მარიო პიუზო

ნათლია

ნაწილი I

Qwelly Library

თავი პირველი

ამერიგო ბონასერა ნიუ-იორკის ნომერ მე-3 კრიმინალური სასამართლოს დარბაზში იჯდა სამართლიანი განაჩენის მოლოდინში; საკადრისი უნდა მიეზღო მათთვის, ვინც მისი ქალიშვილი სასტიკად დაასახიჩრა გაუპატიურების მცდელობისას.

მოსამართლემ, უხეში გარეგნობის მოსულმა კაცმა, შავი მანტიის სახელოები აიკაპიწა, თითქოსდა საკუთარი ხელით აპირებდა ორი ახალგაზრდა კაცის ფიზიკურ დასჯას, საბრალდებო სკამზე რომ ისხდნენ. მოსამართლის ყინულივით ცივი გამომეტყველება მედიდურ ზიზღს გამოხატავდა, მაგრამ ამაში რაღაც სიყალბე იყო, რომელსაც ამერიგო გრძნობდა, თუმცა ბოლომდე ვერ აცნობიერებდა.

- თქვენ პირწავარდნილი დეგენერატებივით იქცეოდით, - წარმოთქვა მოსამართლემ ხისტად.

,,დიახ, დიახ, - გაიფიქრა ამერიგო ბონასერამ, - მხეცები, მხეცები". ორ ახალგაზრდა კაცს მოკლედ შეკრეჭილი მბზინავი თმა ჰქონდა, პირი სუფთად გაეპარსათ. ორივემ მორჩილად დახარა თვალები და თავი ჩაქინდრა.

მოსამართლემ განაგრძო: - თქვენ მხეცებივით იქცეოდით და ბედი თქვენი, რომ საბრალო გოგონა არ გააუპატიურეთ, თორემ ოცი წლით ციხეში გიკრავდით თავს.

მოსამართლემ პაუზა გააკეთა, დაბანჯგვლული წარბების ქვეშ თვალები ეშმაკურად დააკვესა, დაღვრემილ ამერიგო ბონასერას მზერა სტყორცნა და მერე ქაღალდებს ჩააშტერდა. ცოტა ხნის შემდეგ თავი ასწია, შეწუხებული სახე მიიღო, მხრები აიჩეჩა, აქაოდა, ჩემი ნების საწინააღმდეგოდ ვმოქმედებო.

- მაგრამ ვითვალისწინებ რა თქვენს ახალგაზრდა ასაკს, უმწიკვლო წარსულსა და თქვენი ოჯახების შეუბღალავ რეპუტაციას, და რადგან მისი უდიდებულესობა სამართალი შურისგებას არ ეძიებს, სამი წლით თავისუფლების აღკვეთას გისჯით, სასჯელის პირობითი მოხდით.

მხოლოდ და მხოლოდ მესაფლავის ორმოცწლიანმა პროფესიულმა გამოცდილებამ მისცა საშუალება ამერიგო ბონასერას, რომ გამაოგნებელი იმედგაცრუება დაეფარა და

სახე სიძულვილისგან არ მოღრეცოდა. მისი ქალიშვილი ჯერ კიდევ საავადმყოფოშია მოტეხილი ყბით და ამ მხეცებს კი უკვე ათავისუფლებენ? ეს ნამდვილი ფარსია! ბონასერა უყურებდა, როგორ შემოეხვივნენ ბედნიერი მშობლები ძვირფას ნაშიერებს. ოო, ახლა ისინი ნამდვილად ბედნიერები არიან, იღიმებიან...

ბონასერას ყელში შავი ნაღველი შემოაწვა და კბილებშუა გამოჟონა. ჯიბიდან თეთრი ცხვირსახოცი ამოიღო და ტუჩებზე მიიდო. იდგა და უყურებდა ორ ნაძირალას, რომლებიც თავდაჯერებულნი, გაღიმებულნი მიაბიჯებდნენ გასასვლელისკენ, - ისე ჩაუარეს, ზედაც არ შეხედეს. ბონასერას ხმა არ ამოუღია, მხოლოდ ცხვირსახოცი უფრო მაგრად მიიჭირა ტუჩებზე.

შემდეგ იმ მხეცების მშობლებმა ჩაუარეს, - ორმა მამაკაცმა და ორმა ქალმა. მისი ასაკისანი იყვნენ, ოღონდ ჩაცმულობით უფრო მეტად ჩამოჰგავდნენ ნამდვილ ამერიკელებს. ამერიგოს დარცხვენით შეხედეს, მაგრამ მათ მზერაში უცნაური ზიზღიც გამოკრთა, - ზიზღი გამარჯვებულისა დამარცხებულის მიმართ.

ბონასერამ წონასწორობა დაკარგა და უხეშად მიაძახა: - თქვენი დროც დადგება, თქვენც ატირდებით ჩემსავით! აგატირებთ, როგორც თქვენმა შვილებმა ამატირეს!

და ცხვირსახოცი თვალებზე მიიდო. ადვოკატები თავიანთ კლიენტებს გასასვლელისკენ უბიძგებდნენ, თანაც თვალს არ აშორებდნენ ახალგაზრდებს, რომლებიც მშობლების დასაცავად მობრუნდნენ. ზორბა ტანის ბეილიფი სასწრაფოდ ჩადგა გასასვლელში, ბონასერას წინ, გზა გადაუკეტა, თუმცა ეს არც იყო აუცილებელი.

მრავალი წლის განმავლობაში, რაც ამერიკაში გაატარა, ამერიგო ბონასერას სჯეროდა კანონისა და წესრიგის და ამიტომაც მიაღწია წარმატებას, მაგრამ ახლა გონება შურისძიების სურვილმა დაუბინდა. წარმოიდგინა, როგორ ყიდულობს პისტოლეტს და კლავს ორ ნაძირალას, თუმცა მაინც ეყო თავშეკავება, ცოლისკენ შებრუნებულიყო, რომელსაც ჯერ ვერ გაეგო, რა მოხდა, და აუხსნა: „გაგვაბითურეს“. შემდეგ პაუზა

გააკეთა და დაასკვნა: „სამართლის საპოვნელად დონ კორლეონეს უნდა დავუჩოქოთ“.

წითელ სავარძელზე გადაწოლილი ჯონი ფონტეინი შოტლანდიურ ვისკის პირდაპირ ბოთლიდან სვამდა, დროდადრო ცივ წყალს აყოლებდა ყინულის ნატეხებით სავსე ბროლის მაღალი ჭიქიდან. დილის ოთხი საათი იყო. მის გონებაში ნამთვრალევი ფანტაზიები ირეოდა, - წარმოიდგინა, როგორ მოკლავს თავის მემრუშე ცოლს, როცა სახლში დაბრუნდება, თუკი ოდესმე დაბრუნდება. ძალზე გვიან იყო პირველ ცოლთან დასარეკად, ბავშვების მოსაკითხად. რომელიმე მეგობართან დარეკვა კი ამ სიტუაციაში, როცა მისი საქმე სულ უფრო და უფრო უკან მიდიოდა, უბრალოდ, უაზრობა გახლდათ. თავის დროზე სიხარულისგან გაგიჟდებოდნენ, დილის ოთხ საათზე რომ დაერეკა მათთვის, არადა ახლა აღარც კი მალავენ, - მასთან ურთიერთობა მოსწყინდათ. გასაღების წკარუნი გაიგონა, მაგრამ ვისკის წრუპვა გააგრძელა, სანამ ცოლი ოთახში არ შემოვიდა და მის წინ არ გაჩერდა. მშვენიერი, ანგელოზისდარი სახე, ცოცხალი, ცისფერი თვალები, სუსტი, მაგრამ სრულყოფილად ჩამოქნილი სხეული ჰქონდა. მთელ მსოფლიოში ასობით მილიონი მამაკაცი ეტრფოდა მარგარეტ აშტონის სილამაზეს და ფულს იხდიდა, ეკრანზე რომ ეხილა.

- სად ჯანდაბაში დაეთრეოდი? - უღრიალა ჯონიმ.

- ვჟიმაობდი, - უპასუხა ქალმა.

მარგარეტი აშკარად შეცდა ქმრის სიმთვრალის დონის შეფასებაში. ჯონი კოქტეილის მაგიდას გადაევლო და ყელში სწვდა, მაგრამ მომნუსხველი სახისა და მშვენიერი ცისფერი თვალების სიახლოვემ ბოღმა გაუნელა და განაიარაღა. თუმცა ამ დროს ქალმა ახალი შეცდომა დაუშვა, დამცინავად გაუღიმა და როცა ვეება შემართული მუშტი დაინახა, იკივლა: - ოღონდ სახეში არა, ჯონი! ფილმში მიღებენ!

მერე გაიცინა. ჯონიმ მუცელში დაარტყა და ქალი იატაკზე დაეცა. ჯონი ზემოდან გადაემხო და, აი, უკვე გრძნობს მის სუნთქვასა და სუნამოს გამაბრუებელ სურნელს. მკლავებსა და თეძოებზე ურტყამდა. სცემდა ზუსტად ისე, როგორც თავის დროზე, მოზარდობის ასაკში, სცემდა თავისზე უმცროსებს ნიუ-იორკის ერთ-ერთ ღარიბულ კვარტალში, ჰელს ქიჩენში. დარტყმა მტკივნეული იყო, მაგრამ კვალს არ ტოვებდა ჩამტვრეული კბილისა და გატეხილი ცხვირის სახით.

მთელი ძალით არ ურტყამდა. არ შეეძლო. ქალი კი დასცინოდა. იწვა გაშხლართული, ხელფეხგაშლილი, აბრეშუმის ქვედატანი მუხლებზე აექაჩა. ქალმა სცადა მასში სურვილი აღეძრა: - მოდი აქ, გამიდე. გამიდე, ჯონი, შენ ხომ სწორედ ეგ გინდა.

ჯონი ფონტეინი წამოდგა. სძულდა ქალი, იატაკზე რომ იწვა, მაგრამ სილამაზე მისთვის ჯადოსნურ დამცავ ფარად ქცეულიყო. მარგარეტი გვერდზე გადაგორდა და ბალერინის სიმსუბუქით წამოდგა. ჯონის გარშემო ჩამოუარა ბავშვური ცეკვა-ცეკვითა და წამღერებით: „ჯონიმ ვერ მატკინა, ჯონიმ ვერ მატკინა“, შემდეგ კი ნაღველნარევი ინტონაციით უთხრა: - ჯონი, შე უბადრუკო, რეგვენო, ნაბიჭვარო, რა მუშტებს მირტყამ პატარა ბავშვივით... ეჰ, ჯონი, შენ ყოველთვის ბავშვად დარჩები, შტერ, რომანტიკულ იტალიელად. სიყვარულიც კი ბავშვური იცი. დღემდე გგონია, ქალთან ისე წვებიან, როგორც იმ შენს მათრობელა სიმღერებშია, დღემდე რომ მღერი, - თავი გააქნია და დაამატა, - საწყალი ჯონი. მშვიდობით, ჯონი.

საძინებელ ოთახში შევიდა და კარი გასაღებით ჩაკეტა.

ჯონი იატაკზე დაეშვა, ხელები სახეზე აიფარა. სასოწარკვეთილებამდე იყო მისული, მაგრამ შემდეგ სიჯიუტემ (რასაც არაერთხელ გადაურჩენია ჰოლივუდის ჯუნგლებში) აიძულა, ტელეფონის ყურმილი აეღო და ტაქსი შეეკვეთა აეროპორტში წასასვლელად. მხოლოდ ერთ კაცს შეუძლია მისი გადარჩენა. ნიუ-იორკში უნდა დაბრუნდეს. იმ ერთადერთ კაცთან მივა, ვისაც საკმარისი ძალა და სიბრძნე აქვს, რომ უშველოს. ეს კაცი მისი ნათლიაა - დონ კორლეონე.

ხაბაზი ნაზორინი, ისეთივე პუტკუნა და დაბრაწული, როგორიც მისი დიდრონი იტალიური პურები, კვლავაც ფქვილში ამოსვრილი, ცოლს, ქალიშვილსა და თანაშემწე ენცოს ლანძღავდა. ენცოს უკვე ჩაეცვა ტყავის სამხედრო უნიფორმა მწვანე ფერის სამკლავურით. თავზარდაცემული იყო პერსპექტივით, რომ ატეხილი ჩხუბი გოვერნორ-აილენდზე დათქმულ დროს გამოცხადების საშუალებას არ მისცემდა. ისევე, როგორც ათასობით სხვა იტალიელი სამხედრო ტყვე, ვისაც ამერიკაში მუშაობის უფლება მისცეს, ისიც მუდმივად შიშობდა, რომ ამ უფლებას წაართმევდნენ. ამიტომ პატარა კომედია, რომელიც ახლა თამაშდებოდა, მისთვის, შესაძლოა, ძალზე სერიოზულ უსიამოვნებად ქცეულიყო.

ნაზორინი გაშმაგებით ჩაეკითხა: - ჩემი ოჯახი შეურაცხყავი?! ჩემს ქალიშვილს სამახსოვროდ საჩუქარი დაუტოვე?! მშვენივრად მოგეხსენება, ვაჟბატონო, ომი დამთავრებულია და ამერიკის მთავრობა უკან, სიცილიაში, შენს ბინძურ სოფელში გაგაპანღურებს!

ენცომ, დაბალი ტანის, ჩასხმულმა, ფიზიკურად ძლიერმა ყმაწვილმა ხელი გულზე დაიდო და ლამის ტირილით, თუმც კი ერთობ გონივრულად მიმართა: - პადრონე, ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს ვფიცავ, ბოროტად არ მისარგებლია თქვენი დიდსულოვნებით. მთელი გულითა და სულით მიყვარს თქვენი ქალიშვილი და მის ხელსა გთხოვთ. ვიცი, რომ არავითარი უფლება არ გამაჩნია და, თუ იტალიაში გამასახლებენ, ვეღარასოდეს დავბრუნდები ამერიკაში, ვეღარასოდეს შევირთავ ცოლად კატერინას.

ნაზორინის ცოლი, ფილომენა, პირდაპირ საქმეზე გადავიდა.

- სისულელეებს თავი დაანებე, - უთხრა თავის ჩაპუტკუნებულ ქმარს, - შენ თვითონაც მშვენივრად იცი, რა უნდა გააკეთო. დატოვე ენცო აქ. გაგზავნე ლონგ-აილენდზე ჩვენს ბიძაშვილებთან, იქ გადამალე.

კატერინა ტიროდა. სიმსუქნე და ულვაში ზედა ტუჩზე ძლიერ აუშნოებდა. ვერასოდეს იშოვის ისეთ მომხიბლავ ქმარს, როგორიც ენცოა, ვერასოდეს იპოვის მამაკაცს, რომელიც ესოდენი რიდითა და სიყვარულით მოეფერება მისი სხეულის ყველაზე უფრო სანუკვარ ადგილებს...

- წავალ და იტალიაში ვიცხოვრებ! - წივილ-კივილი აუტეხა მამას, - გავიქცევი, თუ ენცოს აქ არ დატოვებ!

ნაზორინიმ ეშმაკური მზერა სტყორცნა. ეს მისი ქალიშვილი ერთობ ,,ცეცხლოვანი'' ვინმეა. ერთხელ შენიშნა, როგორ ელაციცებოდა გამობზეკილი უკანალით ენცოს შარვალზე, როცა მის წინ იდგა და ღუმლიდან ცხელ-ცხელი პურების გადმოღებაში

ეხმარებოდა. თუკი სწორ ნაბიჯს არ გადადგამს, გაიფიქრა ნაზორინიმ, ამ ნაძირალას ცხელი ლავაში მისი ქალიშვილის ღუმელში აღმოჩნდება. აქ უნდა დატოვოს ენცო და ამერიკის მოქალაქეობა მიაღებინოს. მხოლოდ ერთ კაცს შეუძლია ამ საქმის მოგვარება, - დონ კორლეონეს.

ყველა ამ ადამიანმა, და მრავალმა სხვამაც, მიიღო დაბეჭდილი მიპატიჟება მის კონსტანცია კორლეონეს ქორწილზე, რომელიც 1945 წლის აგვისტოს ბოლო შაბათს უნდა გამართულიყო. მიუხედავად იმისა, რომ დონ კორლეონე ახლა ლონგ-აილენდში, უზარმაზარ სახლში ცხოვრობდა, არასოდეს ივიწყებდა მეგობრებსა და ნათესავებს. სტუმრებს კორლეონეს სახლში მიიღებენ, დღესასწაული მთელი დღე გაგრძელდება. ქორწილისთვის შესაფერისი მომენტი შეარჩიეს. ომი იაპონიასთან ახალი დამთავრებულია და ფრონტზე მყოფ შვილებზე ფიქრი ვეღარ წაახდენს მხიარულებას. ქორწილი სწორედ ის არის, რაც ახლა ადამიანებს სჭირდებათ, სიხარული რომ გადმოაფრქვიონ.

შაბათ დილას ნიუ-იორკ-სიტიდან კორლეონეს სახლისკენ სტუმრების ნაკადი დაიძრა. საჩუქრად ყოველ მათგანს ფულით სავსე ყვითელი კონვერტი მიჰქონდა. თითოეულში იდო ბარათი სტუმრის სახელითა და ნათლიისადმი პატივისცემის გამოხატულებით, პატივისცემისა, რომელიც მან დამსახურებულად მოიპოვა.

დონ ვიტო კორლეონე იყო კაცი, ვისაც ყველა მიმართავდა დახმარების თხოვნით, იმედგაცრუებული კი არავინ მიდიოდა. ლიტონ დაპირებას არასოდეს იძლეოდა და არასოდეს ამბობდა უარს იმ ლაჩრული მიზეზით, რომ არ შესწევს ძალა ებრძოლოს ძლიერთა ამა ქვეყნისათა. არ ჰქონდა მნიშვნელობა, შეგეძლო თუ არა სათანადოდ გადაგეხადა მადლობა. მხოლოდ ერთი რამ იყო აუცილებელი: პირადად უნდა განგეცხადებინა, რომ მისი მეგობარი ხარ და სულერთი იყო, მთხოვნელი მდიდარი იყო თუ ღარიბი. კორლეონე ულაპარაკოდ დგებოდა მისი ინტერესების დასაცავად. ანაზღაურება? - მეგობრობა, საპატიო დანამატი წოდებისა ,,დონ". საჩუქრები? - სიმბოლური, პატივისცემის გამოსახატავად; ერთი გალონი შინაურული ღვინო ანდა პილპილმოყრილი ტარალების კალათა, რომლებიც საგანგებოდ საშობაო სუფრის დასამშვენებლად გამოაცხვეს. ამგვარი საჩუქრები მოწმობს, რომ დონის მოვალე ხარ და მას უფლება აქვს, ნებისმიერ წამს მოვიდეს შენთან, ვალის გადახდა რაიმე სამსახურის გაწევით გთხოვოს.

იმ ღირსშესანიშნავ, ქალიშვილის ქორწილის დღეს, დონ კორლეონე თავისი სახლის ზღურბლზე, ლონგ-ბიჩში იდგა და სტუმრებს ხვდებოდა. ყველა სტუმარს პირადად იცნობდა და ყველა მისი ერთგული იყო. მრავალი მათგანი ცხოვრებისეულ წარმატებას დონ კორლეონეს უმადლოდა და თავს უფლებას აძლევდა, მისთვის ,,ნათლია" ეწოდებინა. ქორწილზე მომსახურენიც კი მისი მეგობრები იყვნენ. მისი ძველი მეგობარი იყო ბარმენი, რომელმაც საჩუქრად სადღესასწაულო სუფრა სასმლით უზრუნველყო. ოფიციანტებად დონ კორლეონეს ვაჟიშვილების მეგობრები იყვნენ. დასაკეც მაგიდებზე დაწყობილი კერძები დონ კორლეონეს ცოლისა და მისი მეგობრების მომზადებული გახლდათ, ბაღი კი - მისი ქალიშვილის მეგობრების მორთული.

ყველას, - ღარიბსა და მდიდარს, ძლიერსა და სუსტს, - დონ კორლეონე ერთნაირი პატივით იღებს. არავის ჩაგრავს. ასეთი ხასიათი აქვს. სტუმრები ისე ხმამაღლა

გამოხატავენ აღტაცებას დონ კორლეონეს დანახვისას, რომ გარეშე ადამიანმა შეიძლება იფიქროს, ბედნიერი საქმრო თვით დონ კორლეონეაო.

მასთან ერთად კარში მისი ვაჟიშვილები დგანან. უფროსს, რომლის ნათლობის სახელია სანტინო და რომელსაც ყველა, მამის გარდა, სონის ეძახის, ხნოვანი იტალიელები ალმაცერად უყურებენ. სამაგიეროდ, ახალგაზრდები გიჟდებიან მასზე. სონი მეტისმეტად მაღალია იტალიელი ემიგრანტების პირველი თაობისათვის, თითქმის ექვსი ფუტი. ხვეული, ბუჩქივით თმა კიდევ უფრო მატებს სიმაღლეს. კუპიდონის სახე აქვს, ერთობ მომხიბლავი ნაკვთებით, მაგრამ სქელი, მორკალული, მგრძნობიარე ტუჩები და ნიკაპზე ჩაღრმავება რაღაც ამორალურის შთაბეჭდილებას ტოვებს. ხარივით ძლიერია და ბუნებას ისე უხვად დაუჯილდოებია, რომ მის ცოლს (ეს ყველამ იცოდა) პირველი საქორწილო ღამის ისე ეშინოდა, როგორც ერეტიკოსს ეშინია ინკვიზიციის. ჭორად ჰყვებოდნენ, ახალგაზრდობაში, მეძავთა სახლებში სტუმრობისას, ყველაზე გამოცდილი კახპები მისი ვეება ორგანოს ხილვისას თურმე ორმაგ საფასურს ითხოვდნენ.

საქორწილო სუფრაზე რამდენიმე ახალგაზრდა, სქელგავა, დიდპირა ქალბატონი სონის ვნებიანი თვალებით უმზერდა, მაგრამ ამჯერად უქმად კარგავდნენ დროს. სონი კორლეონეს, მიუხედავად ცოლისა და სამი პატარა შვილის იქ ყოფნისა, სავსებით გარკვეული გეგმები ჰქონდა დის მეჯვარის, ლუსი მანჩინის თაობაზე. ქალიშვილს ვარდისფერი კაბა ეცვა, მბზინავ შავ თმაში გვირგვინი ჩაეწნა, ბაღში იჯდა სუფრასთან. მთელი კვირის განმავლობაში, სანამ ქორწილის რეპეტიცია გრძელდებოდა, სონის ეარშიყებოდა, ამ დილით ეკლესიაში ხელიც კი მოუჭირა ხელზე. ქალიშვილს ამაზე მეტი რა უნდა გაეკეთებინა.

ლუსის არ ანაღვლებდა, რომ სონი ვერასოდეს გახდებოდა ისეთი დიდი კაცი, როგორიც მამამისია. სონი ძლიერი და გამბედავი იყო. ხელგაშლილიც გახლდათ, გული ისეთივე დიდი ჰქონდა, როგორიც ერთი ორგანო, მაგრამ მამის თავდაჭერილობა არ მოსდევდა, პირიქით, ფიცხი იყო და სულსწრაფი, რის გამოც ხშირად მცდარ დასკვნებს აკეთებდა. მართალია, საქმეში მამას დიდ დახმარებას უწევდა, მაგრამ ძალზე ბევრს ეპარებოდა ეჭვი, რომ დონ კორლეონეს მემკვიდრე გახდებოდა.

მეორე ვაჟი, ფრედერიკო, რომელსაც, ჩვეულებრივ, ფრედს ანდა ფრედოს ეძახდნენ, ისეთი შვილი იყო, ნებისმიერი იტალიელი რომ ინატრებდა, - მორჩილი, ერთგული, ყოველთვის მზად იყო სამსახურის გასაწევად. ოცდაათი წლის ასაკში მშობლებთან ცხოვრობდა. საშუალო სიმაღლის, კარგად ჩამოსხმული ახალგაზრდა გახლდათ, ოჯახისთვის დამახასიათებელი კუპიდონის გარეგნობით, ხვეული თმით, მომრგვალო სახითა და მორკალული ტუჩებით, მაგრამ ფრედის ტუჩები მგრძნობიარე კი არ იყო, უფროსი ძმის მსგავსად, არამედ თითქოს გრანიტისგან გამოკვეთილი. სისასტიკისკენ მიდრეკილი ყველაფერში მამის საყრდენი იყო, არასოდეს ეურჩებოდა, არასოდეს სტკენდა გულს ქალებთან დაკავშირებული სკანდალური ისტორიებით. ყველა ამ ღირსების მიუხედავად, არ გააჩნდა პიროვნული ხიბლი და ის ცხოველური ჟინი, რომელიც აუცილებელია იმ კაცისთვის, ვინც მართავს ადამიანებს, და ასევე არავინ მოელოდა, რომ ოჯახურ ბიზნესს იგი მიიღებდა მემკვიდრეობით.

მესამე ძმა, მაიკლ კორლეონე, მამასა და ძმებთან ერთად არ იდგა, მაგიდასთან იჯდა ბაღის ყველაზე უკაცრიელ კუთხეში.

მაიკლი უმცროსი ვაჟიშვილი იყო, - ერთადერთი, ვინც გაბედა მამის, ამ დიდი ადამიანის, ნების საწინააღმდეგოდ წასვლა. გარეგნობით ძმებს არ ჰგავდა, მის ნახშირივით შავ თმას უფრო სწორი ეთქმოდა, ვიდრე ხვეული. მუქი ზეთისხილისფერი კანი ქალიშვილსაც კი დაამშვენებდა. ერთობ ნატიფი და მოხდენილი გარეგნობის პატრონი იყო. თავის დროზე, მამამისს კიდეც აშფოთებდა უმცროსი ვაჟიშვილის ეს გადაჭარბებული სინაზე, მაგრამ როდესაც მაიკლ კორლეონე ჩვიდმეტი წლისა შესრულდა, მამამისს ყოველგვარი ეჭვი გაეფანტა.

ახლა მაიკლი ბაღის შორეულ კუთხეში იჯდა და ამით თითქოსდა ხაზს უსვამდა ოჯახისგან გაუცხოებას. მის გვერდით იჯდა ამერიკელი ქალიშვილი, რომლის შესახებაც ყველას სმენოდა, მაგრამ აქამდე არავის ენახა. მაიკლმა, რაღა თქმა უნდა, სათანადო პატივისცემა გამოავლინა და ყველას, მათ შორის ოჯახის წევრებს, ქალიშვილი წარუდგინა. მას დიდი შთაბეჭდილება არ მოუხდენია. მეტისმეტად გამხდარი, მეტისმეტად ღია ფერისა, მეტისმეტად ჭკვიანური შესახედაობისა იყო და ქალიშვილისთვის მეტისმეტად თავისუფლად ეჭირა თავი. მისი სახელი იტალიელის ყურისთვის ასევე უცხოდ ჟღერდა - ქეი ადამსი. კიდეც რომ ეთქვა მათთვის, ჩემი წინაპრები ამერიკაში ორი ასეული წლის წინათ დასახლდნენ და ჩემი სახელი ამ ქვეყნისათვის ჩვეულებრივიაო, მხოლოდ მხრებს აიჩეჩდნენ.

სტუმრებმა შენიშნეს, რომ დონ კორლეონე უმცროს შვილს ნაკლებ ყურადღებას აქცევდა. ომამდე მაიკლი მისი საყვარელი ვაჟი იყო და ყველას ეგონა, რომ ერთ მშვენიერ დღეს სწორედ იგი ჩაიბარებდა ოჯახის საქმეებს. მაიკლს მოსდგამდა მამის მშვიდი სიძლიერე და წინდახედულობა, თანდაყოლილი უნარი, ისე ემოქმედა, რომ ადამიანებში პატივისცემის გრძნობა აღეძრა, მაგრამ როდესაც მეორე მსოფლიო ომი დაიწყო, მაიკლი მოხალისედ ჩაეწერა სამხედრო-საზღვაო ფლოტში და ამით მამის ნების წინააღმდეგ წავიდა.

დონ კორლეონეს არავითარი სურვილი არ ჰქონდა, შვილისთვის უფლება მიეცა, თავი გაეწირა იმ ქვეყნისათვის, რომელიც მისთვის უცხო იყო. ექიმები მოისყიდა, დიდი ფული დახარჯა, საქმე ჩააწყო, მაგრამ მაიკლი ოცდაერთი წლის ახალგაზრდა იყო და არაფერი გამოვიდოდა მისი თანხმობის გარეშე. მაინც წავიდა ომში, წყნარი ოკეანის ფრონტზე იბრძოდა. კაპიტნის წოდება დაიმსახურა და მრავალი მედალიც მიიღო. 1944 წელს მისი ფოტოსურათი ჟურნალმა ,,ლაიფმა'' გამოაქვეყნა. მეგობარმა ჟურნალი დონ კორლეონეს აჩვენა (ოჯახის წევრებმა ეს ვერ გაბედეს). მან უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა: - ამ სასწაულებს უცხოთათვის სჩადის.

1945 წლის დასაწყისში მაიკლი დაიჭრა, ჰოსპიტალში მოათავსეს, მერე კი ჯარიდან დაითხოვეს, - აზრადაც არ მოსვლია, რომ დემობილიზაცია მამამისის ჩაწყობილი იყო. რამდენიმე კვირა შინ გაატარა, შემდეგ კი ისე, რომ არავისთვის უკითხავს რჩევა, დარტმუთის კოლეჯში ჩააბარა, ნიუ-ჰემფშირის შტატის ქალაქ ჰანოვერში, და მამისეული სახლი მიატოვა. ახლა დის ქორწილზე ჩამოვიდა და თან ჩამოიყვანა თავისი მომავალი ცოლი, - ეს უფერული ამერიკელი ქალიშვილი, - ოჯახისათვის რომ გაეცნო.

მაიკლ კორლეონე ქეი ადამსს ყველაზე უფრო კოლორიტული სტუმრების შესახებ უყვებოდა და ამით ართობდა. ქალიშვილმა, თავის მხრივ, შენიშნა, რომ სტუმრები მეტად ეგზოტიკურები ჩანდნენ, და მაიკლი, როგორც ყოველთვის, მოიხიბლა მისი უშუალობითა და ყოველივე ახლისადმი ინტერესით. ბოლოს, ქალიშვილის ყურადღება მამაკაცების ჯგუფმა მიიქცია. შინაურული ღვინით სავსე კასრის გარშემო მოეყარათ თავი. ესენი იყვნენ ამერიგო ბონასერა, ხაბაზი ნაზორინი, ანტონიო კოპოლა და ლუკა ბრაზი. ქეი ადამსმა მისთვის დამახასიათებელი მიხვედრილობით შენიშნა, რომ ოთხეული მაინცდამაინც ბედნიერად არ გამოიყურებოდა. მაიკლს გაეღიმა.

- მართალია, - თქვა მან, - მომენტს უცდიან, რომ მამაჩემს ცალკე დაელაპარაკონ. დახმარება უნდათ სთხოვონ.

მართლაც, ადვილი შესამჩნევი იყო, - ოთხეული დონ კორლეონეს თვალს არ აშორებდა.

დონი სტუმრებს ესალმებოდა, როდესაც ხეივნის ბოლოს შავი „შევროლე“ შეჩერდა. მანქანაში მყოფმა ორმა მამაკაცმა ჯიბიდან ბლოკნოტები ამოიღო და მოურიდებლად დაიწყო იქ გაჩერებული ავტომანქანების ნომრების ჩაწერა.

- ის ტიპები პოლიციიდან არიან, - უთხრა მამას სონიმ.

დონ კორლეონემ მხრები აიჩეჩა: - ქუჩა მე არ მეკუთვნის. შეუძლიათ აკეთონ, რაც მოეპრიანებათ.

სონის სახე ბრაზისგან აელეწა.

- მაგ ნაბიჭვრებისთვის არაფერი წმინდა არ არსებობს.

სონი ხეივნის ბოლოსკენ გაემართა, სადაც შავი „შევროლე“ იდგა. მანქანასთან ახლოს მივიდა, მძღოლს გაბრაზებით შეხედა. მან მშვიდად ამოიღო მწვანე პირადობის მოწმობა და დაანახვა. სონიმ ხმაამოუღებლივ გადადგა უკან ნაბიჯი და ისე გადააფურთხა, მანქანას რომ მოხვედროდა. იმედი ჰქონდა, მძღოლი მანქანიდან გადმოვიდოდა, მაგრამ ის არ განძრეულა. სონი შეტრიალდა, მამასთან მივიდა და უთხრა: - „ეფ-ბი-აიდან“ არიან. ნომრებს იწერენ. ნაბიჭვრები.

დონ კორლეონემ იცოდა, ვინც იყვნენ. უახლოეს მეგობრებს ურჩია, ქორწილში სხვისი მანქანებით მოსულიყვნენ და, თუმცა ვაჟიშვილის ბრიყვული გაცხარება სულაც არ ეხატებოდა გულზე, იცოდა, ხმაურს შედეგი მაინც მოჰყვებოდა. დაუპატიჟებელი სტუმრები იგრძნობდნენ, რომ მათი იქ ყოფნა არასასურველია, ამიტომ დონ კორლეონე არ ბრაზობდა. ჯერ კიდევ დიდი ხნის წინათ მიხვდა, რომ საზოგადოება ხშირად გაყენებს წყენას, რომელიც უნდა დაითმინო, რადგან შეიძლება დადგეს დრო, როცა ამქვეყნად ყველაზე სუსტი და დაჩაგრულიც კი თვალს გაახელს და სამაგიეროს მიუზღავს უძლიერესთაგან უძლიერესს.

სახლის უკან მდებარე ბაღში ოთხკაციანმა ორკესტრმა დაკვრა დაიწყო. სტუმრები უკვე შეკრებილიყვნენ. დონ კორლეონემ დაუპატიჟებელ სტუმრებზე ფიქრს თავი ანება და თავის ორ ვაჟს სადღესასწაულო სუფრისკენ გაუძღვა.

უზარმაზარ ბაღში ასობით სტუმარს მოუყრია თავი, ზოგიერთი ყვავილებით მორთულ ხის ბაქანზე ცეკვავს, დანარჩენები გრძელ მაგიდებთან სხედან, რომლებიც ყველანაირი კერძითა და შინაურული ღვინით სავსე დოქებითაა გაწყობილი. პატარძალი, კონი კორლეონე, შემაღლებულ ადგილას საგანგებო მაგიდას უზის საქმროსა და მეჯვარეებთან ერთად. ყველაფერი ძველი იტალიური ტრადიციების დაცვითაა ორგანიზებული. კონის ეს მაინცდამაინც არ მოსწონს, მაგრამ იმდენჯერ ატკინა მამას გული ქმრის არჩევისას, რომ ამჯერად გადაწყვიტა, ესიამოვნებინა მისთვის და დათანხმდა ქორწილის „იტალიურად“ გამართვაზე.

საქმრო, კარლო რიჩი, მამით სიცილიელი იყო, დედით - ჩრდილოიტალიელი. სწორედ დედისგან მიეღო მემკვიდრეობით ცისფერი თვალები და ქერა თმა. მისი მშობლები ნევადაში ცხოვრობდნენ, თვითონ კი იძულებული გახდა, შტატი დაეტოვებინა, რადგან კანონთან უმნიშვნელო წინააღმდეგობა შეხვდა. ნიუ-იორკში სონი კორლეონე გაიცნო, მისი მეშვეობით კი - კონი. დონ კორლეონემ, რაღა თქმა უნდა, სანდო ხალხი გაგზავნა ნევადაში, რომლებმაც მოახსენეს, პოლიციასთან გართულება პისტოლეტის მეტისმეტად ნაჩქარევ გამოყენებას მოჰყვა, საქმე არ არის სერიოზული და ადვილად შეიძლება ჩანაწერის ამოღება, ასე რომ, ახალგაზრდა კაცის წარსული შეუბღალავი იქნებაო. ისინი ნევადაში დაბრუნდნენ ნებართვით, ლეგალურად გაეშალათ აზარტული თამაშების ბიზნესი, რითაც დონ კორლეონე მეტად დაინტერესებული იყო. მისი სიდიადის შემადგენელი თვისება ის გახლდათ, რომ ნებისმიერი საქმიდან შეეძლო მოგება ენახა.

კონი კორლეონეს ლამაზი ქალიშვილი არ ეთქმოდა, ზომაზე მეტად გამხდარი და ნერვიული იყო, დროთა განმავლობაში, ეჭვგარეშეა, ჭირვეულ დედაკაცად გადაიქცეოდა, მაგრამ დღეს, თეთრ საქორწილო კაბაში, თითქმის მშვენიერი ჩანდა. ხის მაგიდის ქვეშ ხელი საქმროს დაკუნთულ თეძოზე ედო. ტუჩები ისე ჰქონდა მორკალული, თითქოს ჰაეროვან კოცნას უგზავნისო.

საქმრო უაღრესად მომხიბლავი ეჩვენებოდა. ჭაბუკობაში კარლო რიჩი უდაბნოში, ღია ცის ქვეშ, მძიმე შრომას ეწეოდა და ახლა მძლავრი ხელები და ისეთი ფართო ბეჭები ჰქონდა, რომ საქორწილო ფრაკში ძლივს ეტეოდა. საცოლის მზერა ათბობდა, დროდადრო ღვინის ჭიქას უვსებდა, განსაკუთრებული პატივით ეპყრობოდა და გვერდიდან ისე ჩანდა, თითქოს ორივე როლს თამაშობდა რაღაც სპექტაკლში. კარლო თვალს არ აშორებდა აბრეშუმის საფულეს, პატარძალს მარჯვენა მხარზე რომ ეკიდა - ჩანთა პირამდე სავსე იყო ყვითელი კონვერტებით. რამდენი ფული იქნება შიგ? ათი ათასი? ოცი ათასი? კარლო რიჩიმ გაიღიმა. ეს მხოლოდ დასაწყისია. მან სამეფო ოჯახში შეაღწია. ახლა ის იზრუნებს მასზე.

სტუმრებს შორის კიდევ ერთი ადამიანი არ აცილებდა თვალს აბრეშუმის საფულეს. ეს იყო ახალგაზრდა კაცი, რომელსაც ქრცვინივით სლიპინა თავი ჰქონდა. მხოლოდ ჩვევის გამო ფიქრობდა პაულო გატო იმაზე, როგორ შეეძლო ფულით სავსე ჩანთის მოტაცება. ამაზე ფიქრი ახალისებდა, თუმც კი მშვენივრად ესმოდა, ფუჭი ოცნება იყო, იმის მსგავსი, ბავშვები რომ ოცნებობენ ნამდვილი ტანკის აფეთქებაზე სათამაშო თოფით. თავის ბოსს, პიტერ კლემენცას გახედა, შუახნის მსუქან კაცს, რომელიც ხის ბაქანზე ახალგაზრდა ქალიშვილებს ცეცხლოვან, ვნებიან ტარანტელას აცეკვებდა. ძალზე მაღალი, მოსული, ღიპიანი კლემენცა ისეთი ელეგანტურობით აბზრიალებდა გოგოებს, რომ სტუმრები აღტაცებით უკრავდნენ ტაშს. მოწიფული ქალები მკლავზე

ექაჩებოდნენ, შემდეგ პარტნიორად სთავაზობდნენ თავს. ახალგაზრდა კაცებმა ასპარეზი დაუთმეს, ქვევით ჩამოვიდნენ და ახლა, მანდოლინის გიჟურ რიტმს აყოლილები, მთელი ძალით უკრავდნენ ტაშს. როცა კლემენცა, ბოლოს და ბოლოს, სავარძელში ჩაესვენა, პაულო გატომ ერთი ჭიქა შავი, ყინულივით ცივი ღვინო მიაწოდა და შუბლი თავისი აბრეშუმის ცხვირსახოცით შეუმშრალა. კლემენცა ღვინოს სვამდა, თან ვეშაპივით სუნთქავდა. პაულოს მადლობის მაგიერ უთხრა: - რას მიშტერებიხარ ცეკვას, შენი საქმე აკეთე. წადი, გაიარ-გამოიარე, შეამოწმე, ყველაფერი რიგზეა თუ არა.

პაულო ხალხს შეერია. ორკესტრმა შეისვენა. ახალგაზრდა კაცმა, ნინო ვალენტიმ, მანდოლინა აიღო, მარჯვენა ფეხი სკამზე შედგა და უხამსი სიმღერა წამოიწყო სიყვარულზე. ნინო ვალენტის მოხდენილი სახე ლოთობისგან დასივებოდა. თვალებს ლულავდა და ერთ უხამსობას მეორეს აყოლებდა. ქალები აღტაცებისგან წიოდნენ, კაცები კი ყოველი მისამღერის ბოლო სიტყვებს მასთან ერთად იმეორებდნენ ხმამაღლა.

დონ კორლეონეს ცოლი სხვებთან ერთად წიოდა, მაგრამ თვითონ მეტისმეტად მორიდებული იყო იმისთვის, რომ ასეთი რამ მოესმინა და ამიტომ თავი ტაქტიანად შეაფარა სახლს. სონიმ ეს შენიშნა და მაშინვე საპატარძლოს მაგიდასთან მივიდა, ლუსი მანჩინის მიუჯდა. ახლა მათ არავინ მიაქცევდა ყურადღებას. სონის ცოლი სამზარეულოში საქმიანობდა, საქორწილო ტორტს სუფრაზე გამოსატანად ამზადებდა. სონიმ რაღაც წასჩურჩულა ქალიშვილს, ის წამოდგა და წავიდა. სონიმ რამდენიმე წუთს შეიცადა, შემდეგ თვითონაც ადგა და გაჰყვა, თანაც ხანმოკლე საუბრისთვის ხან ერთ სტუმართან ჩერდებოდა, ხან - მეორესთან.

მათ არაერთი თვალი შეჰყურებდა. პატარძლის მეჯვარე კოლეჯში სამი წლის სწავლის შემდეგ საკმარისად გაამერიკელებული, ერთობ მოწიფული ქალიშვილი გახლდათ, „სახელი“ უკვე გავარდნილი ჰქონდა. ქორწილის მზადებისას სონის ეკეკლუცებოდა, ეგონა, დასაშვების ფარგლებში იქცეოდა: ისინი ხომ თითქოსდა პარტნიორები იყვნენ ქორწილში. ახლა ლუსი მანჩინიმ ვარდისფერი კაბის კალთა აიკეცა და სახლში ხელოვნურად მიამიტური ღიმილით შევიდა, კიბე აირბინა, აბაზანაში შეაბიჯა და რამდენიმე წუთს დაყოვნდა. როდესაც გამოვიდა, ზედა სართულზე სონი დაინახა, რომელიც ხელით ანიშნებდა, ამოდიო.

[Qwelly Library]

კუთხის ოთახიდან, დონ კორლეონეს კაბინეტის ფანჯრიდან, საქორწილო სუფრას ტომ ჰეიგენი ადევნებდა თვალს. კაბინეტის კედლები თაროებს დაეფარა, რომლებიც იურიდიული ლიტერატურით იყო სავსე. ჰეიგენი დონ კორლეონეს ადვოკატი და კონსილიორი, ანუ მრჩეველი გახლდათ და, ამდენად, საოჯახო ბიზნესში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პოზიცია ეკავა. აქ, ამ კაბინეტში, არაერთი რთული პრობლემა გადაუწყვეტიათ ერთად და ახლა, როცა დაინახა, რომ ნათლიამ სუფრა მიატოვა და სახლში შემოვიდა, ჰეიგენი მიხვდა, - ქორწილია თუ არ არის ქორწილი, სამუშაო დღესაც მოელის. დონი მის სანახავად მოდის. შემდეგ ჰეიგენმა შენიშნა, როგორ ჩასჩურჩულა სონი კორლეონემ ლუსი მანჩინის და როგორ გაითამაშეს პატარა

კომედია, როგორ შეჰყვა ქალს სახლში. ჰეიგენს სახე შეეჭმუხნა, დაფიქრდა, ეთქვა თუ არა ეს დონისთვის, და გადაწყვიტა, რომ არ ღირდა. მივიდა მაგიდასთან და იმათი სია აიღო, ვისაც დონ კორლეონესთან შეხვედრა სურდა. როდესაც დონი ოთახში შევიდა, ფურცელი მიაწოდა. დონმა დახედა, თავი გააქნია და უთხრა: - ბონასერა ბოლოსთვის მოიტოვე.

ჰეიგენი ბაღში უკანა გასასვლელით ჩავიდა, ღვინის კასრთან შეკრებილებს მიუახლოვდა და ხაბაზ ნაზორინის ანიშნა.

დონ კორლეონე ხაბაზს ხელგაშლილი შეხვდა. ნაზორინი ხომ მისი ბავშვობის მეგობარია იტალიიდან, ერთად თამაშობდნენ, ერთად იზრდებოდნენ. ყოველ შობას დონ კორლეონე მისგან ახალგამომცხვარ ვეება პიცას იღებს საჩუქრად. პიცას ოქროსფერი კნატუნა ქერქი აქვს და სიდიდით მანქანის ბორბალს არ ჩამოუვარდება. შობასა და ოჯახის ყოველი წევრის დაბადების დღეზე ნაზორინის სახაბაზოდან მირთმეული ნაწარმი მეტყველებს, რამდენად ღრმადა სცემს იგი პატივს დონ კორლეონეს. ამ წლების განმავლობაში, იქნებოდა ეს გაჭირვების წელი თუ დალხენისა, სიამოვნებით უხდიდა გადასახადს ხაბაზთა კავშირს, დონის მიერ რომ იყო ორგანიზებული. არასოდეს უთხოვია რაიმე დახმარება და მხოლოდ ერთხელ, ომის დროს, ისარგებლა დონ კორლეონეს მიერ მიცემული შესაძლებლობით, შავ ბაზარზე შაქრის სამთავრობო ტალონები შეეძინა. ახლა ხაბაზი დონთან სახლში მივიდა, როგორც ძველი მეგობარი, და დონ კორლეონეც მზადაა, მისი ნებისმიერი თხოვნა შეასრულოს.

დონ კორლეონემ ხაბაზს სიგარა ,,დი ნობილე'' და ერთი ჭიქა ყვითელი ,,სტრეგა'' შესთავაზა, შემდეგ კი მხარზე ხელი დაადო, თითქოსდა გაამხნევა, რათა მოურიდებლად ეთქვა, რასაც სთხოვდა. ეს მისი ადამიანურობის გამოვლინება გახლდათ. საკუთარი მწარე გამოცდილებით იცოდა, რაოდენი გამბედაობაა საჭირო, რომ ვინმეს დახმარება სთხოვო.

ხაბაზმა თავისი ქალიშვილისა და ენცოს ამბავი მოუთხრო. ლამაზი და კარგი სიცილიელი ბიჭი ამერიკულმა არმიამ დაატყვევა და როგორც სამხედრო ტყვე, შტატებში გაგზავნა. კატერინასა და ენცოს ერთმანეთი შეუყვარდათ, მაგრამ ომი დასრულდა და საწყალი ბიჭი იტალიაში უნდა დააბრუნონ. კატერინა ამას ვერ გადაიტანს. მხოლოდ ნათლია კორლეონეს შეუძლია დაეხმაროს საბრალო შეყვარებულებს. ის მათი უკანასკნელი იმედია.

დონმა ნაზორინისთან ერთად ისე გაიარ-გამოიარა კაბინეტში, რომ მისი მხრიდან ხელი არ ჩამოუღია, თანაც ყურადღების ნიშნად თავს უქნევდა, ამხნევებდა. როდესაც ხაბაზი დადუმდა, დონ კორლეონემ გაიღიმა და უთხრა: - ძვირფასო მეგობარო, ამაზე ნუ ინაღვლებ.

და დაიწყო იმის დაწვრილებით ახსნა, რა უნდა გააკეთონ: თხოვნით უნდა მიმართონ ადგილობრივ კონგრესმენს, შეიტანოს კანონპროექტი, რომელიც ენცოს საშუალებას მისცემს, შეერთებული შტატების მოქალაქე გახდეს. კანონპროექტს კონგრესი უეჭველად დაამტკიცებს. იმ ნაძირალებს ამის პრივილეგია ერთმანეთისთვის აქვთ შემონახული. დონ კორლეონემ აუხსნა, რომ საქმე ფული ეღირება, დღეს მიღებული ფასი ორი ათასი დოლარია. დონ კორლეონე კანონის დამტკიცების გარანტიას იძლევა და მზად არის, ფული გამოართვას. მისი მეგობარი თანახმაა?

ხაბაზი ენერგიულად მოჰყვა თავის ქნევას თანხმობის ნიშნად. მას არც უფიქრია, რომ ასეთი სერიოზული საქმე უფულოდ გაკეთდებოდა. გასაგებიცაა. კონგრესის სპეციალური აქტი არ შეიძლება, იაფი ღირდეს. ნაზორინის ისე აუჩუყდა გული, კინაღამ ცრემლები წამოსცვივდა. დონ კორლეონემ კარამდე მიაცილა და შეჰპირდა, რომ სახაბაზოში გაგზავნიდა კომპეტენტურ პირებს, რომლებიც ყველა დეტალს დააზუსტებდნენ და სათანადო დოკუმენტაციას მოამზადებდნენ. ხაბაზი გადაეხვია და ოთახიდან გავიდა.

ჰეიგენს გაეღიმა: - მშვენიერი კაპიტალდაბანდებაა ნაზორინისთვის. ერთდროულად სიძეც იშოვა და სამუდამო უფასო დამხმარეც სახაბაზოში. და ეს ყველაფერი სულ რაღაც ორი ათას დოლარად! - ხანმოკლე პაუზის შემდეგ იკითხა, - საქმე ვის დავავალოთ?

დონ კორლეონე დაფიქრდა, შუბლი შეეჭმუხნა.

- ოღონდ ჩვენს იტალიელს არა. დაავალე ებრაელს მეზობელი ოლქიდან. ვფიქრობ, მსგავსი შემთხვევა ახლა ბლომადაა. დამატებითი ხალხი დაგვჭირდება ვაშინგტონში, რომ სიტუაცია ვმართოთ და ფასი იმავე დონეზე დავტოვოთ.

ჰეიგენმა ბლოკნოტში ჩაინიშნა: ,,კონგრესმენი ლუტაკო - არა. ვცადოთ ფიშერი".

შემდეგი შემთხვევა უმარტივესი იყო. ჰეიგენმა კაბინეტში შემოიყვანა კაცი, სახელად ანტონიო კოპოლა, რომლის მამასთან ერთად დონი ახალგაზრდობაში სარკინიგზო სადგურზე მუშაობდა. კოპოლა პიცერიის გახსნას აპირებდა და ამისთვის ხუთასი დოლარი სჭირდებოდა - ღუმლის შესაძენად. გარკვეული მიზეზების გამო, კრედიტის აღება ვერ ხერხდებოდა. დონმა ხელი ჯიბეში ჩაიყო და დაჭმუჭნილი კუპიურების ბღუჯა ამოიღო, მაგრამ თანხა საკმარისი არ აღმოჩნდა. დონს სახე მოეღრიცა და ჰეიგენს უთხრა: - მასესხე ასი დოლარი. ორშაბათს დაგიბრუნებ, როცა ბანკში წავალ.

მთხოვნელმა გააპროტესტა, ამბობდა, ოთხასი დოლარიც მეყოფაო, მაგრამ დონ კორლეონემ მხარზე ხელი დაჰკრა და თითქოსდა მობოდიშებით უთხრა: - ამ გრანდიოზულმა ქორწილმა თითქმის უფულოდ დამტოვა.

ჰეიგენს ასი დოლარი გამოართვა, თავის კუპიურებს დაუმატა და ანტონიო კოპოლას გაუწოდა.

ჰეიგენი ამ სცენას შეფარული აღტაცებით ადევნებდა თვალს. დონი ყოველთვის ასწავლიდა: თუ კაცს ხელგაშლილად მიიჩნევენ, მან ყველა კონკრეტულ შემთხვევაში უნდა გამოიჩინოს ხელგაშლილობაო. როგორი ამაღელვებელი იქნება ანტონიო კოპოლასთვის იმაზე ფიქრი, რომ ისეთი დიდი კაცი, როგორიც დონ კორლეონეა, სხვას ესესხა, რათა მისთვის ფული მიეცა. განა ანტონიო კოპოლამ არ იცოდა, რომ დონი მილიონერია, მაგრამ რამდენი მილიონერი შეიწუხებდა თავს საწყალი მეგობრისთვის, დათანხმდებოდა, ასეთ სიტუაციაში აღმოჩენილიყო?

დონ კორლეონემ ჰეიგენს კითხვითი გამომეტყველებით ახედა. ჰეიგენმა უთხრა: - ლუკა ბრაზი სიაში არ არის, მაგრამ უნდა, პირადად მოგილოცოს.

დონს დღის განმავლობაში პირველად დაეტყო უკმაყოფილება.

- აუცილებელია? - იკითხა.

ჰეიგენმა მხრები აიჩეჩა.

- შენ მას ჩემზე უკეთ იცნობ. ძალზე მადლიერია, რომ ქორწილში დაპატიჟე. არ მოელოდა ამას. მგონი, მადლიერება უნდა გამოხატოს.

დონ კორლეონემ თავი დაუქნია იმის ნიშნად, რომ თანახმაა ლუკა ბრაზი მიიღოს.

ბაღში მყოფი ლუკა ბრაზის სახეზე იისფერმა ლაქებმა, მისი მრისხანე ხასიათის მაუწყებელმა, ქეი ადამსზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ქალიშვილი მისი ვინაობით დაინტერესდა. მაიკლმა ქეი ქორწილზე იმ განზრახვით მოიყვანა, რომ ნელ-ნელა, უეცარი შოკის გარეშე შეეტყო სიმართლე მამამისის შესახებ. აქამდე დონ კორლეონე მას უბრალოდ ბიზნესმენი ეგონა, რომელიც წარმატებას არცთუ კანონიერი გზებით აღწევდა. მაიკლმა გადაწყვიტა, ახლავე მიენიშნებინა სიმართლე. უთხრა, რომ ლუკა ბრაზი ყველაზე საშიში ადამიანია აღმოსავლეთ სანაპიროს კრიმინალურ სამყაროში. მისი განსაკუთრებული ტალანტი იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანებს მარტო, დამხმარეების გარეშე ხოცავს და ეს დანაშაულის გახსნას შეუძლებელს ხდის. მაიკლმა სახე შეიჭმუხნა, მერე დაამატა: - არ ვიცი, რამდენად მართალია ეს ყველაფერი. მხოლოდ ის ვიცი, რომ მამაჩემის მეგობარია.

ქეი პირველად მიხვდა რაღაცას. ერთგვარი ეჭვით იკითხა: - შენ რა, გინდა თქვა, რომ ეს კაცი მამაშენზე მუშაობს?

„რაც იქნება, იქნება“, - გაიფიქრა მაიკლმა და პირდაპირ უთხრა: - დაახლოებით, თხუთმეტი წლის წინ ვიღაც-ვიღაცებს უნდოდათ, მამაჩემისთვის ზეთის იმპორტის ბიზნესი წაერთმიათ. სცადეს, მოეკლათ და კინაღამ მოახერხეს კიდეც. ამის მერე, ორი კვირის განმავლობაში, ლუკა ბრაზიმ ექვსი კაცი მოკლა და ცნობილი „ზეთისხილის ზეთის ომიც“ ამით დასრულდა.

მაიკლმა ისე გაიღიმა, თითქოს ეს ყველაფერი ხუმრობა ყოფილიყო.

ქეის გააჟრჟოლა: - შენ გინდა თქვა, რომ განგსტერებმა მამაშენს ესროლეს?

- თხუთმეტი წლის წინათ, - თქვა მაიკლმა, - მას მერე სიმშვიდეა.

მაიკლი შეშინდა, - ქეის უფრო მეტი ხომ არ ვუთხარი, ვიდრე საჭირო იყოო.

- უბრალოდ, გინდა დამაშინო, - უთხრა ქეიმ, - არ გინდა, ცოლად შემირთო, - გაუღიმა მაიკლს და მსუბუქად გაჰკრა იდაყვი, - ძალიან ჭკვიანი ხარ.

მაიკლმაც გაუღიმა საპასუხოდ.

- მინდა ამაზე იფიქრო, - უთხრა.

- მართლა მოკლა ექვსი კაცი? - ჰკითხა ქეიმ.

- გაზეთები ასე წერდნენ, - უპასუხა მაიკლმა, - ეს არავის არასოდეს დაუმტკიცებია, მაგრამ არსებობს კიდევ ერთი ამბავი, რომელსაც არ ჰყვებიან. როგორც ამბობენ, ისე საშინელია, რომ მამაჩემიც კი არ ძრავს მასზე კრინტს. ტომ ჰეიგენმა იცის ეს ამბავი,

მაგრამ არაფერს მეუბნება. ერთხელ ხუმრობით ვკითხე: „როდის გავიზრდები, ლუკას ამბავი რომ მიამბო?“ ტომმა მიპასუხა: „როცა ასი წლისა გახდები“.

მაიკლმა ღვინო მოსვა.

- ეტყობა, ერთ რამედა ღირს ეგ ამბავი. ლუკაც ერთ რამედა ღირს.

ლუკა ბრაზი მართლაც ისეთი კაცი გახლდათ, თვით ეშმაკს რომ დააშინებდა. დაბალი ტანისა იყო, ჯმუხი, დიდთავა. მისი თანდასწრებით ადამიანს მღელვარება ეუფლებოდა - თითქოს განგაშის ტალღებს ასხივებდა. სახე მრისხანების გამომხატველ ნიღაბს მიუგავდა. ყავისფერი თვალები ჰქონდა, მაგრამ მკვდარი ტონისა, ამ ფერისთვის დამახასიათებელი შინაგანი სითბოს გარეშე. პირი კი იმდენად სასტიკი არა, რამდენადაც უსიცოცხლო.

მოარული ხმები ბრაზის სისასტიკეზე ყველას შიშს ჰგვრიდა, დონ კორლეონესადმი მის ერთგულებაზე კი ლეგენდები დადიოდა. იგი იყო ერთ-ერთი ბურჯი, რომელსაც ეყრდნობოდა დონის ძალაუფლება...

ლუკა ბრაზის არ ეშინოდა არც პოლიციის, არც საზოგადოების, არც ღვთის, არც ეშმაკის, - არ ეშინოდა ადამიანების და არ უყვარდა ისინი. მან თავისი ნებით აირჩია დონ კორლეონეს შიში და სიყვარული. ახლა დონ კორლეონეს რამდენიმე მაღალფარდოვანი ფრაზა უთხრა, მიულოცა, გამოთქვა იმედი, რომ დონის პირველი შვილიშვილი აუცილებლად ბიჭი იქნებოდა, და შემდეგ გადასცა საჩუქარი ახალდაქორწინებულთათვის: ფულით სავსე კონვერტი.

სწორედ ამისთვის ითხოვა დონ კორლეონესთან შეხვედრა. დონმა მიიღო იგი, როგორც ხელმწიფე იღებს ქვეშევრდომს, რომელმაც დიდი სამსახური გაუწია: ნამდვილი მეფური პატივითა და, იმავდროულად, ერთგვარი დისტანციით. ყოველი ჟესტით, ყოველი სიტყვით აგრძნობინებდა ლუკას, რამდენად აფასებს მას. ერთი წამითაც არ გამოუხატავს გაკვირვება, საქორწილო საჩუქარი პირადად მას რომ მიართვა. იგი ყველაფერს მიხვდა.

ბრაზის კონვერტში უეჭველად უფრო მეტი ფული იყო, ვიდრე იმ დღეს მირთმეულ ნებისმიერ სხვა კონვერტში. ლუკას სურდა, ყველაზე ხელგაშლილი ყოფილიყო, ეჩვენებინა, რომ დონს განსაკუთრებულად სცემს პატივს. ამიტომაც მიართვა კონვერტი პირადად. დონი ყველაფერს მიუხვდა და სამადლობელი სიტყვა მაღალფარდოვანი ფრაზებით შეამკო, სიტუაციის აბსურდულობა არ შეიმჩნია. ჰეიგენმა შენიშნა, რომ ლუკას მრისხანების ნიღაბი ჩამოეხსნა, სიამაყითა და სიამოვნებით აღვსილიყო. ბრაზი დონს ხელზე ეამბორა, მიტრიალდა და კარისკენ წავიდა, რომელიც ჰეიგენს წინასწარ გაეღო. ჰეიგენმა ყოველი შემთხვევისთვის მეგობრულად გაუღიმა, ლუკამ კი საპასუხოდ თავაზიანად მოკუმა ტუჩები.

როდესაც ბრაზი გავიდა და კარი გაიხურა, დონ კორლეონემ ამოისუნთქა. ლუკა ერთადერთი ადამიანი იყო მსოფლიოში, ვისაც მისი ანერვიულება შეეძლო. ბუნების სტიქიას ჰგავდა, რომლის გაკონტროლება შეუძლებელია. მასთან მუდმივად უნდა გეფრთხილა, ისე მოჰქცეოდი, როგორც დინამიტს, ხელში რომ გიჭირავს. დონმა მხრები აიჩეჩა. ბოლოს და ბოლოს, თუ გაჭირდა, დინამიტი შეიძლება კიდეც ააფეთქო. ჰეიგენს გახედა: - მხოლოდ ბონასერაღა დარჩა?

ჰეიგენმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია. დონ კორლეონე დაფიქრდა, შუბლი შეეჭმუხნა, შემდეგ უთხრა: - სანამ შემოიყვან, სანტინოს დაუძახე. რაღაც-რაღაცები უნდა ისწავლოს.

ჰეიგენი ბაღში სონი კორლეონეს დაეძებდა. მომლოდინე ბონასერას უთხრა, კიდევ ცოტაც მოეცადა, შემდეგ მაიკლ კორლეონესა და მის მეგობარ ქალიშვილთან მივიდა.

- სონი ხომ არ გინახავთ? - ჰკითხა.

მაიკლმა უარის ნიშნად თავი გააქნია. „ჯანდაბა, - გაიფიქრა ჰეიგენმა, - თუკი სონი ლუსი მანჩინისთან ჟიმაობს აქამდე, ამას შეიძლება სერიოზული გართულება მოჰყვეს. მისი ცოლი აქ არის, მერე ლუსის ოჯახი... ეს შეიძლება კატასტროფად იქცეს“. დაფიქრებული მიადგა იმ შესასვლელს, რომელშიც, როგორც თავისი თვალით დაინახა დაახლოებით ნახევარი საათის წინ, სონი გაუჩინარდა.

ქეი ადამსმა მზერა გააყოლა ჰეიგენს, რომელიც სახლში შევიდა და მაიკლს ჰკითხა: - ეს ვინაა? ისე გამაცანი, როგორც შენი ძმა, არადა სხვა გვარი აქვს და ნამდვილად არ არის იტალიელი.

- ტომი თორმეტი წლის ასაკიდან ცხოვრობს ჩვენთან, - უთხრა მაიკლმა, - მშობლები დაეხოცა და უპატრონოდ დაეხეტებოდა. ერთხელ სონიმ მოიყვანა და ჩვენთან დარჩა. წასასვლელი არა ჰქონდა და, სანამ ცოლს შეირთავდა, ჩვენთან ცხოვრობდა.

ქეი ადამსს გული აუჩუყდა.

- ეს მართლაც რომანტიკულია, - თქვა მან, - ეტყობა, მამაშენი ძალზე კეთილი გულის პატრონია. იშვილო ვიღაც, როცა ისედაც ამდენი შვილი გყავს...

მაიკლმა არ დაუწყო ახსნა, რომ იმიგრანტი იტალიელის აზრით, ოთხი შვილი სულაც არ ნიშნავს ბევრ შვილს. მხოლოდ ეს უთხრა: - ტომი ნაშვილები არ ყოფილა. უბრალოდ, ჩვენთან ცხოვრობდა.

- ოო, - წარმოთქვა ქეიმ, შემდეგ კი ინტერესით ჰკითხა, - და რატომ არ იშვილეთ?

მაიკლს გაეცინა: - მამაჩემმა თქვა, რომ ტომის შეურაცხყოფა იქნებოდა, თუკი გვარს შევუცვლიდით - მისი მშობლების შეურაცხყოფა იქნებოდა.

მაიკლმა და ქეიმ შემინულ კარში სონი შენიშნეს, ჰეიგენს დონის კაბინეტისკენ მიჰყავდა. შემდეგ ჰეიგენი გარეთ გამოვიდა და ამერიგო ბონასერას ანიშნა, შემოდიო.

- რატომ აწუხებენ მამაშენს ასეთ დღეს? - ჰკითხა ქეი ადამსმა.

მაიკლს ისევ გაეცინა: - იციან, რომ, ტრადიციისამებრ, სიცილიელი ქალიშვილის ქორწილის დღეს მთხოვნელს უარს ვერ ეტყვის. ასეთ შანსს არც ერთი სიცილიელი არ გაუშვებს ხელიდან.

*

ლუსიმ გრძელი ვარდისფერი კაბის კალთები აიკეცა და კიბეზე აირბინა. სონი კორლეონეს კუპიდონისებური სახე ვნებისაგან გასწითლებოდა. ლუსი შეკრთა, არადა მთელი კვირა ცდილობდა, მასში სურვილი აღეძრა, რასაც, სწორედაც, ასეთი

ბოლო ექნებოდა. ლუსის ცხოვრებაში ორ სასიყვარულო რომანს, კოლეჯში რომ ჰქონდა, თითქმის არავითარი კვალი არ დაეტოვებინა, - ამ რომანთაგან არც ერთი არ გაგრძელებულა ერთ კვირაზე მეტხანს. როდესაც ლუსი თავის მეორე საყვარელს წაეჩხუბა, მან, დაახლოებით, ასეთი რაღაც უთხრა: „მეტისმეტად დიდი გაქვს იქ, ქვევით“. ლუსი მიხვდა, რაც იგულისხმა და სემესტრის განმავლობაში არც ერთ პაემანზე აღარ წასულა.

ზაფხულში, მისი საუკეთესო მეგობრის, კონი კორლეონეს ქორწილის სამზადისისას, მუდმივად ესმოდა ამბები სონის შესახებ, რომლებსაც ჩურჩულით ჰყვებოდნენ. ერთ მშვენიერ დღეს დონ კორლეონეს სახლის სამზარეულოში სონის ცოლი, სანდრა, მოურიდებლად ალაპარაკდა. სანდრა ფიზიკურად უხეში, მაგრამ კეთილი ქალი იყო. იტალიაში დაიბადა, თუმცა ჯერ კიდევ პატარაობისას ჩამოიყვანეს ამერიკაში. მსხვილი ტან-ფეხი და დიდი ძუძუები ჰქონდა, ქორწინებიდან გასულ ხუთ წელიწადში სამი ბავშვის გაჩენა მოასწრო. სანდრა და სხვა ქალები კონის პირველი საქორწილო ღამის სირთულით აფრთხობდნენ.

- რაც შემეხება მე, - იცინოდა სანდრა, - როცა პირველად დავინახე სონის ანძასავით პალო და გავაცნობიერე, რომ მე უნდა გამიდოს, ისე ვიკივლე, თითქოს ცოცხლად მჭრიდნენ. ერთი წლის შემდეგ ჩემი შიგნეული მაკარონს დაემსგავსა, მთელი საათი რომ ხარშავენ. როცა გავიგე, სხვა ქალებიცა ჰყავსო, ეკლესიაში წავედი და სანთელი დავანთე.

ყველამ გაიცინა, ლუსიმ კი იგრძნო, როგორ აუკანკალდა ლაჯებს შორის ხორცი.

ახლა, როცა კიბეზე არბოდა, ხორციელი სურვილისაგან ჟრუანტელი უვლიდა. კიბის ბაქანს რომ მიაღწია, სონიმ ხელი სტაცა და იქვე, ცარიელ საძინებელში შეათრია. კარი მიიხურა თუ არა, ლუსის ფეხები მოეკვეთა. ტუჩებზე სონის ტუჩები, თამბაქოს მწარე გემო იგრძნო. სონიმ იმავე წამს ხელი კაბის ქვეშ, ფეხებშორის შეუყო. ლუსიმ კისერზე შემოხვია ხელები და ასე დარჩა, სანამ სონი შარვალს იხსნიდა. ლუსის დუნდულებზე ხელი მოავლო და ჰაერში აიტაცა. ლუსიმ ფეხები წელზე შემოაჭდო. იგრძნო, როგორ მისრიალებდა რაღაც გავარვარებული მის ლაჯებზე. მარჯვენა ხელი სონის კისრიდან ჩამოსწია, იმ რაღაცისთვის მიმართულება რომ მიეცა. ხელში უზარმაზარი, სისხლსავსე კუნთი იგრძნო, რომელიც ცოცხალ არსებასავით, ცხოველივით ძაგძაგებდა მადლიერების ექსტაზში. ლუსიმ თავის ნოტიო წიაღში შეუშვა და მისი შესვლის მაუწყებელი მკვეთრი, წარმოუდგენელი ძალის მქონე ბიძგი იგრძნო. დაუჯერებელი სიამოვნებისგან სუნთქვა შეეკრა, მთელ ტანში ჟრუანტელმა დაუარა. ბიძგები ერთიმეორეს მოსდევდა და ლუსის მტანჯველი, თუმც კი, იმავდროულად, ნეტარი განცდა დაეუფლა. თანდათანობით სონის „მხეცი“ დასუსტდა, მოძრაობის რიტმი შენელდა და, ბოლოს, ლუსიმ ლაჯებშორის წებოვანი, თხევადი მასის ნაკადი იგრძნო. ფეხები მოუდუნდა, ჩამოუშვა, იატაკზე დადგა. არაქათგამოცლილები ერთმანეთს ეყუდებოდნენ.

მხოლოდ ახლა გაიგონეს სუსტი კაკუნი. სონი კარს ზურგით მიაწვა, ვინმეს რომ არ გაეღო და სასწრაფოდ შარვლის შეკვრა დაიწყო. ლუსიმ ვარდისფერი კაბა ჩამოიწია. თვალები უბრწყინავდა, იმ ადგილისკენ გაიხედა, სონი რომ იკრავდა, მაგრამ ის რაღაც, ესოდენი სიამოვნება რომ მიანიჭა, ვეღარ დაინახა, - უკვე ტანსაცმელს დაეფარა.

ტომ ჰეიგენის ხმა შემოესმათ: - სონი, აქ ხარ?

სონიმ შვებით ამოისუნთქა და ლუსის თვალი ჩაუკრა.

- აქა ვარ. რა იყო, ტომ?

- დონს შენი ნახვა უნდა. ახლავე. კაბინეტში გელოდება.

ტომის ფეხის ხმა გაიგონეს, რომელიც კარს მოშორდა და წავიდა. სონიმ ერთხანს შეიცადა, შემდეგ ლუსის ტუჩებში მაგრად აკოცა, ოთახიდან გასხლტა და კაბინეტისკენ გაემართა.

ლუსიმ თმა დაივარცხნა, კაბა გაისწორა, თავი მოიწესრიგა. მთელი სხეული უბჟუოდა, ტუჩები დასივებოდა. ბაღში ჩავიდა და, თუმცა ფეხებს შორის ბლანტი სისველე იგრძნო, სააბაზანოში აღარ შებრუნებულა, პირდაპირ საპატარძლოს მაგიდისკენ გაემართა, კონის გვერდით დაჯდა.

კონიმ ჰკითხა: - ლუსი, სად იყავი? მგონი, შეთვერი. ჩემთან დარჩი, არსად წახვიდე.

სასიძომ ლუსის ჭიქა შეუვსო და მრავალმნიშვნელოვნად, გამგებიანად გაუღიმა, მაგრამ ლუსისთვის ყველაფერი სულერთი იყო. მუქი წითელი სითხე გამომშრალი ტუჩებით მოსვა, ლაჯებშორის კვლავ იგრძნო ბლანტი სისველე და ფეხები მაგრად შეატყუპა. ღვინოს სვამდა და თვალებით სონის ეძებდა. არავინ სხვა აღარ აინტერესებდა, შემდეგ კონის უჩურჩულა: - რამდენიმე საათიც და შენ თვითონ გაიგებ, ეს რა არის...

კონიმ ჩაიფხუკუნა. ლუსიმ მკლავები მაგიდაზე ისეთი ტრიუმფული გამომეტყველებით შემოაწყო, თითქოსდა საპატარძლოს რაღაც განძი მოსტაცაო.

ამერიგო ბონასერა ტომ ჰეიგენს კუთხის ოთახში შეჰყვა და დონ კორლეონე დაინახა, რომელიც უზარმაზარ სამუშაო მაგიდასთან იჯდა. სონი კორლეონე ფანჯარასთან იდგა და ბაღში იყურებოდა. პირველად იმ დღის განმავლობაში, დონი ცივად შეხვდა სტუმარს, არ გადაეხვია და ხელიც კი არ ჩამოართვა. მუდამ დაღვრემილი მოპატიჟებას მხოლოდ იმიტომ ეღირსა, რომ მისი ცოლი დონის მეუღლის უახლოესი მეგობარი იყო. თვით დონ კორლეონეს ამერიგო ბონასერა არ უყვარდა.

ბონასერამ თავის სათხოვარზე ლაპარაკი შორიდან, ერთობ ჭკვიანურად დაიწყო: - უნდა აპატიოთ ჩემს ქალიშვილს, თქვენი მეუღლის ნათლულს, პირადად რომ არ მოგილოცათ თქვენ და თქვენს ოჯახს. ჯერ კიდევ საავადმყოფოშია.

ბონასერამ გახედა სონისა და ტომს, მიანიშნა, რომ არ სურს მათი თანდასწრებით საუბრის გაგრძელება, მაგრამ დონმა ხისტად უთხრა: - ყველას კარგად მოგვეხსენება, რა უბედურებაც შეემთხვა შენს ქალიშვილს. თუ რამით შემიძლია დახმარება, შენ მხოლოდ თქვი. ჩემი ცოლი ხომ მისი ნათლიაა. მე არასოდეს ვივიწყებ ამ პატივს.

ამ სიტყვებით დონმა ამერიგოს ,,უკბინა", - მესაფლავე არასოდეს ეძახდა დონს ,,ნათლიას", როგორც ამას ჩვეულება მოითხოვდა.

ბონასერას ფერი ეცვალა და პირდაპირ ჰკითხა: - შეიძლება, მარტო დაგელაპარაკო?

დონ კორლეონემ უარყოფის ნიშნად თავი გააქნია: - მე ამ ორ კაცს ჩემს სიცოცხლეს ვანდობ. ორივე ჩემი მარჯვენა ხელია. ვერ მივაყენებ შეურაცხყოფას იმით, რომ ვუთხრა, ოთახიდან გადით-მეთქი.

მესაფლავემ თვალები წამით მოხუჭა და შემდეგ ლაპარაკი დაიწყო. ხმა ჰქონდა ჩუმი, ისეთი, როგორითაც ანუგეშებდა ხოლმე ჭირისუფლებს.

- ქალიშვილი ამერიკულ ყაიდაზე აღვზარდე. მე მჯერა ამერიკისა. ამერიკამ მომცა სიმდიდრე. ჩემს ქალიშვილს თავისუფლება მივანიჭე და ვასწავლიდი, რომ ოჯახის ღირსებას უნდა გაუფრთხილდეს. ბოიფრენდი გაიჩინა, არაიტალიელი. მასთან ერთად დადიოდა კინოში. გვიან ბრუნდებოდა, მაგრამ ის ბიჭი არასოდეს მოსულა ჩვენს გასაცნობად. ამ ყველაფერს უსიტყვოდ ვიტანდი. ჩემი ბრალია. ორი თვის წინ სასეირნოდ წაიყვანა მანქანით. მათთან ერთად კიდევ ერთი ბიჭი იყო, ბოიფრენდის მეგობარი. ჩემი ქალიშვილი აიძულეს, ვისკი დაელია და მერე გაუპატიურება დაუპირეს. ჩემმა გოგონამ წინააღმდეგობა გაუწია. თავის ღირსებას იცავდა. მხეცურად სცემეს. ახლა საავადმყოფოშია. ცხვირი ჩაუმტვრიეს, ყბა მოსტეხეს. როცა მოვინახულე საავადმყოფოში, ტკივილისაგან ტიროდა ჩემი გოგონა და მეკითხებოდა: „მამიკო, მამიკო, რატომ გამიკეთეს? რატომ გამიკეთეს?“ - და მეც ვტიროდი.

ბონასერა დადუმდა. ლაპარაკი აღარ შეეძლო. ხმაში ქვითინის ინტონაცია გამოერია. დონ კორლეონემ თანაგრძნობის გამომხატველი ჟესტი გააკეთა, მაგრამ აშკარად იგრძნობოდა, მხოლოდ თავაზიანობის გამო. ბონასერამ ტირილნარევი ხმით განაგრძო: - რატომ ვტიროდი? ის ჩემი თვალის სინათლე იყო. ჩემი ნაზი, მგრძნობიარე, ულამაზესი ქალიშვილი. ადამიანებს ენდობოდა, ახლა კი აღარასოდეს ენდობა... და აღარასოდეს იქნება ლამაზი.

ბონასერა ერთიანად კანკალებდა. სახეზე სამაგელი, მუქი წითელი ფერი დაედო.

- პოლიციაში მივედი, როგორც კანონმორჩილი ამერიკელი. ის ნაძირალები დააპატიმრეს, გაასამართლეს. მტკიცებულება აშკარა იყო და დამნაშავეებად ცნეს. მოსამართლემ სამი წელი მიუსაჯა პირობითად. იმავე დღეს გამოუშვეს. სასამართლო დარბაზში უკანასკნელი ბრიყვივით ვიდექი, ის ნაბიჭვრები კი დამცინოდნენ. და მაშინ ცოლს ვუთხარი: დონს უნდა ვეახლოთ და შეევედროთ, სამართალი გვაპოვნინოს-მეთქი.

დონმა თანაგრძნობის ნიშნად თავი დახარა, მაგრამ ალაპარაკდა ცივად, შეურაცხყოფილის ინტონაციით: - რატომ წახვედი პოლიციაში? თავიდანვე რატომ არ მოხვედი ჩემთან?

ბონასერამ თითქმის ჩურჩულით ჩაილაპარაკა: - რას ითხოვ ჩემგან? ყველაფერზე თანახმა ვარ, ოღონდ ის გააკეთე, რასაც გევედრები.

მის სიტყვებში რაღაც თითქმის კადნიერმა გაიჟღერა. დონ კორლეონემ ჰკითხა: - რას მევედრები?

ბონასერამ სონისა და ტომს გახედა და თავი გააქნია. დონი, რომელიც აქამდე მაგიდასთან იჯდა, მესაფლავესკენ გადაიხარა. ბონასერა წამით შეყოვნდა, შემდეგ დონთან მივიდა, თავი დაუკრა, მოიხარა და რაღაც უჩურჩულა, ტუჩებით თითქმის

მის ბალნიან ყურს ეხებოდა. დონ კორლეონე ისმენდა ისე, როგორც მოძღვარი აღსარებას, მდუმარე, განყენებული, სივრცეში მომზირალი. მესაფლავე საკმაოდ დიდხანს ეჩურჩულებოდა, ბოლოს გაჩუმდა, წელში გასწორდა. დონმა დაღვრემით ახედა. ბონასერას სახე ასწითლებოდა, დონს თვალი გაუსწორა.

დონ კორლეონე ხმას არ იღებდა, ბოლოს უთხრა: - არა, ამას ვერ გავაკეთებ. მეტისმეტს ითხოვ.

ბონასერამ ხმამაღლა, მკაფიოდ მიმართა: - გადაგიხდი იმდენს, რამდენსაც მეტყვი.

ამ სიტყვების გაგონებაზე ჰეიგენი შეკრთა, თავი ნერვიულად გააქნია. სონი კორლეონემ ხელები მკერდზე დაიწყო, დამცინავად გაიღიმა, - თითქოს პირველად შენიშნაო სცენა, რომელიც მის წინ თამაშდებოდა.

დონ კორლეონე წამოდგა. სახე კვლავაც მშვიდი, მაგრამ ხმა ყინულივით ცივი ჰქონდა.

- ჩვენ მრავალი წელია, ვიცნობთ ერთმანეთს, - უთხრა მესაფლავეს, - მაგრამ დღემდე ერთხელაც არ მოსულხარ ჩემთან რჩევისა თუ დახმარების სათხოვნელად. და მე ვერ ვიხსენებ, ბოლოს როდის დამპატიჟე შენთან სახლში ყავის დასალევად, არადა ჩემი ცოლი შენი ერთადერთი ქალიშვილის ნათლიაა... მოდი, გულახდილად ვილაპარაკოთ. შენ უარყავი ჩემი მეგობრობა. გეშინოდა, ჩემ წინაშე ვალში ყოფილიყავი.

ბონასერამ საწყლად ჩაილაპარაკა: - არ მინდოდა ხათაბალაში გარევა...

დონმა ხელი შემართა.

- არა, მაგას ნუ იტყვი. ამერიკა სამოთხედ მოგეჩვენა. გქონდა შემოსავლიანი საქმე, კარგი ცხოვრება, გეგონა, ეს სამყარო უსაფრთხო ადგილია, სადაც შენს გემოზე შეგიძლია იცხოვრო. არასოდეს გიზრუნია იმაზე, რომ საიმედო მეგობრები შეგეძინა. შენ ხომ პოლიცია გიცავდა. გარდა ამისა, ხომ არსებობს სასამართლო, სადაც, საჭიროების შემთხვევაში, მისვლა შეგეძლო და ის დაგიცავდა. შენ არ გჭირდებოდა დონ კორლეონე. ძალიან კარგი! მე შეურაცხყოფილად ვგრძნობ თავს. არა ვარ ის კაცი, ვინც იმეგობრებს ადამიანთან, ვინც ვერ აფასებს მეგობრობას, - სათანადოდ ვერ მაფასებს.

დონ კორლეონე დადუმდა, მესაფლავეს ირონიულად გაუღიმა და გააგრძელა: - ახლა კი მოდიხარ ჩემთან და მეხვეწები, ,,დონ კორლეონე, მაპოვნინე სამართალი", - და ამ თხოვნაშიც კი არ იგრძნობა პატივისცემა. შენ მეგობრობას არ მთავაზობ. მოდიხარ ჩემი ქალიშვილის ქორწილის დღეს და მეუბნები, - დონმა ხმა შეიცვალა, ბონასერას გამოაჯავრა, - ,,გადაგიხდი, რამდენსაც მეტყვი". არა, არა, არ მწყენია, მაგრამ განა რა გაგიკეთე ისეთი, რომ ასე უპატივცემულოდ მექცევი?

ამერიგოს შიშითა და მწუხარებით აღმოხდა: - ამერიკამ ისე კარგად მიმიღო. მინდოდა, კარგი მოქალაქე ვყოფილიყავი. მინდოდა, ჩემი გოგონა ნამდვილი ამერიკელი გამხდარიყო.

დონმა ტაში შემოჰკრა, თითქოსდა საუბარი შეაჯამაო: - ეს კი კარგად თქვი. ძალიან კარგად. არაფერი გაქვს სადარდებელი. მოსამართლემ გამოიტანა განაჩენი. ამერიკამ

გამოიტანა განაჩენი. როცა საავადმყოფოში მიხვალ ქალიშვილთან, ყვავილები და ერთი კოლოფი კანფეტი მიუტანე. ეს დაამშვიდებს. სხვა რაღა გინდა? ბოლოს და ბოლოს, არც ისე სერიოზული საქმეა, ახალგაზრდა ბიჭები არიან, სისხლი უდუღთ, თანაც ერთ-ერთი მათგანი გავლენიანი პოლიტიკოსის შვილია. არა, ჩემო ამერიგო, შენ ყოველთვის პატიოსანი კაცი იყავი და თუმცა ჩემი მეგობრობა უარყავი, შემიძლია ვთქვა, რომ ამერიგო ბონასერა ყოველთვის სიტყვის კაცი იყო და მე მის სიტყვას უფრო ვენდობი, ვიდრე ნებისმიერი სხვა ადამიანისას. მაშ, მომეცი სიტყვა, რომ თავიდან ამოიგდებ ამ სიგიჟეს. შენ არ იქცევი ისე, როგორც ამერიკელს შეჰფერის. უნდა მიუტევო. ყველაფერი დაივიწყო. ცხოვრებაში უამრავი უბედურება ხდება.

სასტიკმა და დამამცირებელმა ირონიამ, რომლითაც ეს სიტყვები ითქვა, და დონ კორლეონეს თავშეკავებულმა რისხვამ უბედური მესაფლავე ააცახცახა, მაგრამ მაინც მოახერხა და მტკიცედ უთხრა: - სამართლიან განაჩენს გევედრები.

დონ კორლეონემ უპასუხა: - სასამართლომ გამოიტანა სამართლიანი განაჩენი.

ბონასერამ ჯიუტად გააქნია თავი: - ეს განაჩენი სამართლიანია მხოლოდ დამნაშავეთათვის. ჩემთვის არ არის სამართლიანი.

დონმა ოდნავ შესამჩნევად დაუქნია თავი, თითქოსდა ამ ამომწურავ შეფასებას დაეთანხმაო. შემდეგ ჰკითხა: - და როგორია შენი სამართლიანი განაჩენი?

- თვალი თვალისა წილ, - უპასუხა ბონასერამ.

- შენ მეტს ითხოვ, - უთხრა დონმა, - შენი ქალიშვილი ცოცხალია.

ბონასერამ უკმაყოფილო გამომეტყველებით ჩაილაპარაკა: - ისევე დაიტანჯონ, როგორც ჩემი ქალიშვილი...

დონმა შეიცადა, საშუალება მისცა, ბოლომდე ეთქვა სათქმელი. ბონასერამ გამბედაობა მოიკრიბა და ჰკითხა: - რამდენი უნდა გადაგიხადო?

ეს სასოწარკვეთილის ამოძახილსა ჰგავდა.

დონ კორლეონემ ზურგი შეაქცია, რაც აშკარად ნიშნავდა აუდიენციის დასასრულს, მაგრამ ბონასერა ადგილიდან არ დაიძრა.

ბოლოს, დონ კორლეონემ ამოიოხრა და როგორც გულკეთილი კაცი, ვისაც არ შეუძლია, დიდხანს უწყრებოდეს მეგობარს, შემობრუნდა მესაფლავისკენ. ბონასერა ახლა მიცვალებულივით გაფითრებული იყო. თუმცა დონ კორლეონე დამთმობი და მომთმენი ადამიანი გახლდათ.

- რატომ გეშინოდა ჩემთან მოსვლისა, რატომ არ მომენდე თავიდანვე? - ჰკითხა ბონასერას, - მიდიხარ სასამართლოში და იქ თვეობით ელოდები. ფულს ხარჯავ ადვოკატებზე, რომლებმაც მშვენივრად იციან, რომ გაგაბრიყვებენ. ისმენ მოსამართლის განაჩენს, რომელიც ქუჩის უკანასკნელი მეძავივით იყიდება. მრავალი წლის წინ, როდესაც ჯერ კიდევ ფულის სესხება გჭირდებოდა, მიხვედი ბანკში, გადაიხადე მძარცველური პროცენტები, მათხოვარივით იდექი მათ წინაშე ქუდით ხელში, ისინი კი გარშემო გივლიდნენ, ყოველი მხრიდან გყნოსავდნენ, უკანალში გიყოფდნენ ცხვირს, რომ გაეგოთ, შეგიძლია თუ არა ვალის გადახდა, - დონმა პაუზა

გააკეთა, შემდეგ უფრო მკაცრად განაგრძო, - მაგრამ ჩემთან რომ მოსულიყავი, ჩემი საფულე შენიც გახდებოდა. ჩემთან რომ მოსულიყავი სამართლის საპოვნელად, ნაძირალები, ვინც შენი ქალიშვილი დაასახიჩრა, დღეს მწარე ცრემლით იტირებდნენ. თუკი რაიმე გაუგებარი მიზეზით ისეთი პატიოსანი და წესიერი ადამიანი, როგორიც შენ ხარ, მტრებს გაიჩენდა, ისინი ჩემი მტრებიც გახდებოდნენ, - დონმა ხელი ასწია, ბონასერასკენ თითი გაიშვირა, - და მაშინ, დამიჯერე, მათ შენი შეეშინდებოდათ!

ბონასერამ თავი დახარა და ოდნავ გასაგონად ჩაიბუტბუტა: - იყავი ჩემი მეგობარი. თანახმა ვარ.

დონ კორლეონემ მესაფლავეს მხარზე ხელი დაადო.

- კარგი, - უთხრა მან, - მიიღებ სამართალს და, ერთხელაც, მე მოვალ შენთან და გთხოვ, საპასუხო სამსახური გამიწიო, თუმცა, შესაძლოა, ეს დღე არც არასოდეს დადგეს. მანამდე კი, შეგიძლია ჩათვალო, რომ ეს ჩემი ცოლის, შენი ქალიშვილის ნათლიის, საჩუქარია.

როდესაც მადლიერებით აღსავსე მესაფლავე ოთახიდან გავიდა, დონ კორლეონემ ჰეიგენს მიმართა: - ეს საქმე კლემენცას დაავალე, უთხარი, სანდო ხალხი გამონახოს, ვისაც სისხლის დანახვისას გული არ მისდის. თუმცა ჩვენ მკვლელები არ ვართ, მიუხედავად იმისა, რომ გვამების ამ ბრიყვ მოტრფიალეს ასე ჰგონია.

დონმა შენიშნა, რომ მისი უფროსი ვაჟი ბაღში იყურებოდა, დღესასწაულს ადევნებდა თვალს. „არა, ეს უიმედოა, - გაიფიქრა დონ კორლეონემ, - სანტინოს არ უნდა არაფრის სწავლა, ამის გარეშე კი ოჯახის საქმეებს ვერ გაუძღვება, ვერასოდეს გახდება დონი. რაღაც უნდა მოვიფიქრო, ვიღაც ვიპოვო, თან რაც შეიძლება სწრაფად. უკვდავი ხომ არა ვარ“.

უეცრად ბაღიდან სიხარულის ყიჟინა შემოესმათ, რომელმაც სამივე გააკვირვა. სონი კორლეონე ფანჯარას მიეკრო, შემდეგ კარისკენ შემოტრიალდა კმაყოფილი ღიმილით: - ეს ჯონია, ქორწილზე ჩამოვიდა. ხომ ვამბობდი, ჩამოვა-მეთქი?

ჰეიგენი ფანჯარასთან მივიდა.

- ეს, მართლაც, შენი ნათლულია, - უთხრა დონს, - ამოვიყვანო?

- არა, - უპასუხა დონმა, - მივცეთ სტუმრებს საშუალება, ისიამოვნონ მისი იქ ყოფნით. ამოიყვანე, როცა მზად იქნება.

დონმა ჰეიგენს შეხედა და გაიღიმა: - ხედავ, კარგი ნათლულია.

ჰეიგენმა იეჭვიანა. მოღუშულმა უთხრა: - ორი წელი გავიდა. ალბათ, რაღაც გაუჭირდა და უნდა, რომ დაეხმარო.

- აბა, ვისთან უნდა მისულიყო დახმარების სათხოვნელად, თუ არა ნათლიასთან? - იკითხა დონ კორლეონემ.

ჯონი ფონტეინი პირველმა კონი კორლეონემ შეამჩნია. დაავიწყდა, რომ პატარძალი იყო, სიხარულისგან შეჰკივლა: „ჯონი!“ მისკენ გაექანა და ჩაეხუტა. ჯონი მაგრად მოეხვია და ტუჩებში აკოცა. ამასობაში დანარჩენებიც მივიდნენ, ყველა სათითაოდ

ესალმებოდა. მისი ძველი მეგობრები იყვნენ, ხალხი, ვისთან ერთადაც იზრდებოდა. შემდეგ კონიმ ხელი მოჰკიდა და თავის ახალშერთულ ქმართან მიიყვანა გასაცნობად. ჯონიმ სიამოვნებით აღნიშნა გულში, რომ ქერათმიან საქმროს გუნება გაუფუჭდა, მიხვდა, რომ დღესასწაულის მთავარი ფიგურა ვეღარ იქნებოდა. ჯონიმ მაგრად ჩამოართვა ხელი და სადღეგრძელო დალია.

შემაღლებული ბაქნიდან, სადაც ორკესტრი იყო მოთავსებული, ნაცნობი ხმა შემოესმა: - სიმღერაზე რას იტყოდი, ჯონი?

აიხედა და მოღიმარი ნინო ვალენტი დაინახა. ბაქანზე შეხტა და ნინოს გადაეხვია. ახალგაზრდობაში ერთად მღეროდნენ, განუყრელები იყვნენ მანამ, სანამ ჯონი ცნობილი გახდებოდა, რადიოში დაიწყებდა გამოსვლას. როდესაც ჯონი ჰოლივუდში მიიწვიეს კინოში გადასაღებად, რამდენჯერმე დაურეკა ნინოს, მოიკითხა, დაჰპირდა, რომ ღამის კლუბებში მოუწყობდა გამოსვლებს, მაგრამ არც ერთხელ არ შეუსრულებია დანაპირები. ახლა, როცა ნინო დაინახა, ვისაც მთვრალი კაცის გულითადი და თან დამცინავი ღიმილი ჰქონდა პირზე, ძველი სიმპათია ისევ იგრძნო.

ნინომ მანდოლინა ააჟღარუნა. ჯონიმ მხარზე ხელი დაადო. „ეს პატარძლისთვისაა“, - თქვა და უხამსი სიცილიური სატრფიალო სიმღერა წამოიწყო, თან ფეხით რიტმს აყოლებდა, ქუსლებს აბაკუნებდა. სანამ მღეროდა, ნინო სახასიათო მოძრაობებს აკეთებდა მთელი სხეულით. პატარძალი გაწითლდა, მაგრამ თან სიამაყით აივსო, სტუმრებმა ყიჟინა დასცეს. ყველანი რიტმს აყოლებდნენ ფეხს და მისამღერის ორაზროვან სიტყვებს ხმამაღლა იმეორებდნენ. ტაშისცემა არ შეუწყვეტიათ, სანამ ჯონიმ არ ჩაახველა და ახალი სიმღერა არ დაიწყო.

ჯონი ყველას ეამაყებოდა - ერთ-ერთი მათგანი იყო. თუმცა სახელგანთქმული მომღერალი, კინოვარსკვლავი გახდა, მსოფლიოში ყველაზე უფრო საოცნებო ქალებს რომ იწვენს ლოგინში. ამის მიუხედავად, ნათლიისთვის სათანადო პატივისცემის გამოხატვა არ ავიწყდებოდა, - სამი ათასი მილი გამოიარა, ქორწილზე რომ ჩამოსულიყო. კვლავაც უყვარდა ძველი მეგობრები, როგორიცაა ნინო ვალენტი. იქ მყოფთაგან ბევრს ახსოვდა, როგორ მღეროდნენ ერთად ჯონი და ნინო, როცა ჯერ კიდევ ბიჭები იყვნენ. მაშინ ვერავინ იფიქრებდა, რომ ჯონი ფონტეინი გაიზრდებოდა და ორმოცდაათი მილიონი ქალის გულთამპყრობელი გახდებოდა.

ჯონი დაიხარა და პატარძალი ბაქანზე აიყვანა, თავისსა და ნინოს შორის ჩააყენა. ნინოც და ჯონიც მუხლებზე დადგნენ, ნინომ ძლიერად ჩამოჰკრა მანდოლინას და სიმღერა დაიწყო. ეს მათი ჩვეული პაექრობა იყო, ხმას იყენებდნენ, როგორც იარაღს, რიგრიგობით მღეროდნენ, ცდილობდნენ, რაც შეიძლება ხმამაღლა ემღერათ, ერთმანეთი დაეჯაბნათ. ჯონიმ კეთილშობილურად დაუთმო ნინოს, მისცა საშუალება, გაემარჯვა, პატარძალი ხელში აეყვანა და ემღერა ბოლო, დამაგვირგვინებელი კუპლეტი. სტუმრებმა მხურვალე ტაში დასცხეს, სამივე ერთმანეთს გადაეხვია. აღტაცებული სტუმრები ყვიროდნენ, ეხვეწებოდნენ, კიდევ იმღერეთო.

მხოლოდ დონ კორლეონემ, რომელიც სახლის ზღურბლზე იდგა, იგრძნო, რომ რაღაც მთლად რიგზე არ უნდა ყოფილიყო. გულითადად, იუმორნარევი ინტონაციით, მაგრამ ისე, რომ სტუმრებს შეურაცხყოფილად არ ეგრძნოთ თავი, შესძახა: - ჩემმა

ნათლულმა სამი ათასი მილი გამოიარა, რომ მომილოცოს, და ნუთუ ვერავინ მოიფიქრეთ, ყელი გაასველებინოთ?

ჯონის ღვინით სავსე ჭიქები ყოველი მხრიდან მიაწოდეს. მან თითოეული მათგანიდან მოსვა და ნათლიასთან მიირბინა, გადაეხვია, თანაც ყურში რაღაც უჩურჩულა. დონმა სახლში შეიყვანა.

როცა კაბინეტში შეაბიჯა, ტომ ჰეიგენმა ხელი გაუწოდა. ჯონიმ ჩამოართვა და ჰკითხა, - „როგორ ხარ, ტომ?“ თუმცა ეს სიტყვები იმ სითბოს გარეშე წარმოთქვა, რაც რამდენიმე წამის წინ ბაღში ყოფნისას იგრძნობოდა. ჰეიგენს ეს სიცივე, ცოტა არ იყოს, ეხამუშა, მაგრამ შეეცადა, ყურადღება არ მიექცია. ეს იყო ერთ-ერთი იმ გარდაუვალ უსიამოვნებათაგან, რომლებსაც დონის ერთგული საჭურველთმტვირთველი მუდმივად აწყდებოდა.

ჯონი ფონტეინმა დონს უთხრა: - როდესაც ქორწილზე მოპატიჟება მივიღე, საკუთარ თავს ვუთხარი, ნათლია აღარ მიბრაზდება-მეთქი. ცოლთან გაყრის შემდეგ ხუთჯერ დაგირეკე და ტომმა ხუთჯერვე მითხრა, რომ გასული ხარ ან დაკავებული. ჰოდა, მივხვდი, ბრაზობდი ჩემზე.

დონ კორლეონემ ჭიქებში ყვითელი „სტრეგა“ ჩამოასხა.

- ეს ყველაფერი ახლა უკვე დავივიწყე. რით შემიძლია დაგეხმარო? შენ ხომ ისეთი მდიდარი და ცნობილი ხარ... განა მე რა უნდა გაგიკეთო?

ჯონიმ ერთბაშად გადაკრა ცეცხლივით მხურვალე სითხე და ისევ ითხოვა ჭიქის შევსება. ცდილობდა, მხიარულად ელაპარაკა: - არც ისეთი მდიდარი ვარ. ჩემი საქმე უფრო და უფრო უკან მიდის. შენ მართალი იყავი, - არ უნდა მიმეტოვებინა ცოლი და შვილები იმ ჩათლახის გულისათვის. გასაგებია, რატომაც იყავი ჩემზე გაბრაზებული.

დონმა მხრები აიჩეჩა.

- მე, უბრალოდ, ვწუხდი შენ გამო. შენ ხომ ჩემი ნათლული ხარ. მეტი არაფერი.

ჯონი კაბინეტში ნერვიულად სცემდა ბოლთას.

- ჭკუას ვკარგავდი იმ ძუკნასთვის. ჰოლივუდის უბრწყინვალესი ვარსკვლავია. სახე ნამდვილი ანგელოზის აქვს. და იცი, რას აკეთებს, როცა გადაღება მთავრდება? თუკი გრიმიორმა კარგად გაუკეთა გრიმი, იქვე აძლევს. თუკი ოპერატორმა კარგად გადაუღო, შეჰყავს ოთახში და აძლევს. აძლევს ყველას. თავის სხეულს ისე იყენებს, როგორც მე ხურდა ფულს, რომელსაც ჩაიზე ვჩუქნი. ბოზია, ჯოჯოხეთისთვის გაჩენილი.

უეცრად დონ კორლეონემ სიტყვა შეაწყვეტინა: - შენი ოჯახი როგორაა?

ჯონიმ ამოიოხრა: - მე ვიზრუნე მათზე. გაყრის მერე ჯინისა და ბავშვებს უფრო მეტი მივეცი, ვიდრე სასამართლომ გადაწყვიტა. კვირაში ერთხელ ვნახულობ. ძალიან მაკლია ისინი. ზოგჯერ მგონია, რომ ვგიჟდები.

ჯონიმ მეორე ჭიქაც გადაკრა.

- მეორე ცოლი დამცინის. არ ესმის, რატომ ვეჭვიანობ. ჩამორჩენილ იტალიელს მეძახის და ჩემს სიმღერებს აბუჩად იგდებს. სანამ აქეთ წამოვიდოდი, გემოზე ვბეთქე, მაგრამ სახეში არ ვურტყი, რადგან ფილმში იღებენ, ხელ-ფეხში ვცემდი, ბავშვებმა რომ იციან ხოლმე, და ისევ დამცინა, - სიგარეტს მოუკიდა, - აი, ასეა, ნათლია... ზოგჯერ მეჩვენება, სიცოცხლე აღარ ღირს...

დონ კორლეონემ მარტივად უპასუხა: - ეს ისეთი გასაჭირია, რომელსაც მე ვერ ვუშველი, - პაუზა გააკეთა, შემდეგ კი განაგრძო, - შენს ხმას რა მოუვიდა?

ჯონი ფონტეინს ნაძალადევი მხიარულება ნიღაბივით მოსძვრა. აკანკალებული ხმით უთხრა: - ნათლია, სიმღერა აღარ შემიძლია. ყელზე რაღაც მჭირს, ექიმებმა ვერაფერი გაიგეს.

დონმა და ჰეიგენმა გაოცებით შეხედეს. ჯონი ყოველთვის ძალიან მაგარი იყო. ფონტეინმა განაგრძო: - ორმა ფილმმა ბლომად ფული მომიტანა. კინოვარსკვლავი გავხდი, მაგრამ ახლა ქუჩაში მომისროლეს. სტუდიის დირექტორს ყოველთვის ვძულდი, სამაგიეროს მიხდის.

დონ კორლეონე ნათლულთან მივიდა და ჰკითხა: - იმ კაცს რატომ არ უყვარხარ?

- ლიბერალური ორგანიზაციების შეკრებებზე ვმღეროდი, რაც შენც არ მოგწონდა, ჯეკ ვოლცი კი იმათ დასანახავად ვერ იტანს. კომუნისტს მეძახდა, თუმც კი ეს სახელი ვერ მომაკერა. მერე ქალი წავართვი, რომელიც თავისთვის უნდოდა. ერთი ღამის ამბავი იყო, მაგრამ ის ქალი ამეკიდა. რა ჯანდაბა მექნა? მერე იმ ბოზმა, ჩემმა მეორე ცოლმა, გამომაგდო, ჯინი და ბავშვები კი არ მიმიღებენ, სანამ მუხლებზე ხოხვით არ მივალ და პატიებას არ ვთხოვ. დაბოლოს, სიმღერაც აღარ შემიძლია. ნათლია, რა მეშველება, რა ვქნა?

დონს სახე გაეყინა, ფონტეინისადმი სიმპათიის ნატამალიც კი აღარ შერჩენოდა. ამრეზით უთხრა: - პირველ რიგში, კაცი უნდა იყო! - მოულოდნელად სახე რისხვად გადაექცა, უყვირა, - კაცი! - კორლეონე მაგიდაზე გადაიხარა, ჯონის თმაზე სწვდა მკვეთრი მოძრაობით, - ღმერთო ჩემო, ამდენი ხანი გაატარე ჩემთან და ნუთუ ვერაფერი ისწავლე? არ შეგიძლია, კაცურად მოიქცე? ჰოლივუდელი პინოქიო, რომელიც ცრემლებსა ღვრის და მევედრება, შემიბრალეო! დედაკაცივით მოთქვამს: ,,რა ვქნა, რა მეშველება?"

დონმა ისე ზუსტად და თანაც მოულოდნელად გააკეთა ფონტეინის სიტყვების იმიტაცია, რომ ჰეიგენს და თვით ჯონისაც სიცილი წასკდათ. კორლეონე კმაყოფილი ჩანდა. ერთხანს იმაზე ფიქრობდა, რა ძლიერად უყვარს თავისი ნათლული. მსგავს გამოჯავრებაზე მის შვილებს კი როგორი რეაქცია ექნებოდათ? სანტინოს გული მოუვიდოდა, რამდენიმე კვირის განმავლობაში ჯიბრზე ცუდად მოიქცეოდა. ფრედო შეშინდებოდა. მაიკლი ცივად გაუღიმებდა, შინიდან წავიდოდა და რამდენიმე თვე აღარ გამოჩნდებოდა, მაგრამ რა კარგი ბიჭია ჯონი, იცინის, ცდილობს, ძალა მოიკრიბოს, ხვდება, რა მიზანიც აქვს ნათლიას.

დონ კორლეონემ განაგრძო: - შენს ბოსს, შენზე გაცილებით ძლევამოსილ კაცს, ქალი წაართვი და მერე გიკვირს, რატომ არ მეხმარებაო. რა უაზრობაა! მიატოვე ოჯახი, ბავშვები, ცოლად ბოზი რომ შეგერთო, და მერე გიკვირს, გაშლილი ხელით რატომ არ მიღებენო. შენს ბოზ ცოლს სახეში არ ურტყამ იმიტომ, რომ კინოში იღებენ და მერე

გიკვირს, დამცინისო. ბრიყვულად იცხოვრე და შედეგიც ბრიყვული მიიღე, - დონ კორლეონემ პაუზა გაკეთა და შემდეგ მშვიდად ჰკითხა, - მზადა ხარ, ჩემი რჩევა მიიღო?

ჯონი ფონტეინმა მხრები აიჩეჩა: - ჯინის მეორედ ცოლად ვეღარ შევირთავ, ყოველ შემთხვევაში ისე, როგორც მას უნდა. რა ვქნა, არ შემიძლია კარტის, სმის, დროს ტარების გარეშე. ლამაზი ქალები ბუზებივით მეხვევიან და უარს ვერ ვეუბნები. ჯინისთან როცა ვარ, სულ ვატყუებ. ღმერთო, თავს ამ მძღნერში მეორეჯერ ვეღარ ჩავყოფ.

დონ კორლეონეს გაღიზიანება დაეტყო, რაც უიშვიათესი შემთხვევა იყო.

- მე არ გეუბნები, ჯინი ცოლად თავიდან შეირთე-მეთქი. აკეთე, რაც გსურს. კარგი იქნება, თუკი მოინდომებ, შენს შვილებს მამობა გაუწიო. კაცი, რომელიც შვილებს მამობას არ უწევს, ვერასოდეს იქნება ნამდვილი კაცი, მაგრამ ამისთვის შენი შვილების დედამ უნდა მიგიღოს. ვინ თქვა, რომ არ შეგიძლია ისინი ყოველდღე ნახო? ვინ თქვა, რომ ვერ იცხოვრებ იმავე სახლში, სადაც ისინი? ვინ თქვა, რომ არ შეგიძლია თვითონ განაგო შენი ცხოვრება?

ჯონი ფონტეინმა გაიცინა: - ნათლია, ყველა ქალი არა ჰგავს ძველი ყაიდის იტალიელ ცოლებს. ჯინი ამას ვერ მოითმენს.

დონი აშკარად დაცინვაზე გადავიდა: - და რატომ? იმიტომ, რომ შენ იქცევი, როგორც ნამდვილი პინოქიო. შენ მიეცი მას მეტი, ვიდრე სასამართლომ გადაწყვიტა. მეორე ცოლს სახეში არ ურტყამ, რადგან ფილმში იღებენ. ქალებს უფლებას აძლევ ისე გატრიალონ, როგორც უნდათ. ამის უფლება კი მათ არ აქვთ, ყოველ შემთხვევაში, ამქვეყნად. თუმცაღა საიქიოში ისინი ნამდვილად წმინდანები იქნებიან, კაცებს კი ჯოჯოხეთის ცეცხლი გველის... - დონს ხმა უფრო სერიოზული გაუხდა, - შენ კარგი ნათლული იყავი. ყოველთვის სათანადოდ მცემდი პატივს, მაგრამ როგორ ექცევი შენს მეგობრებს? ერთი წელს ერთთან ურთიერთობ, მეორე წელს - მეორესთან. გახსოვს, ის იტალიელი ბიჭი როგორი სასაცილო იყო ფილმებში? ბედმა არ გაუღიმა, შენ კი არ იკადრე მასთან შეხვედრა, რადგან უკვე ცნობილი კინოვარსკვლავი იყავი. შენი ძველი მეგობარი, ვისთან ერთადაც სკოლაში დადიოდი, ერთად მღეროდით, - ნინო! იმედი გაუცრუვდა, მეტისმეტად ბევრსა სვამს, მაგრამ არასოდეს დაუჩივლია. მძღოლად მუშაობს სატვირთო მანქანაზე, შაბათ-კვირას კი მღერის, რამდენიმე დოლარი რომ იშოვოს, მაგრამ შენზე აუგი არასოდეს დასცდენია. არ შეგეძლო, დახმარებოდი? რატომ არ შეგეძლო? - კარგად მღერის.

ჯონი ფონტეინმა მოთმინებით, მაგრამ თან დაღლილი ინტონაციით უპასუხა: - ნათლია, ნიჭი აკლია. თვითონ კი კარგია, მაგრამ ხმა არა აქვს საკმარისად ძლიერი.

დონმა თვალები მოწკურა და თქვა: - ახლა კი, ნათლულო, შენ თვითონ გაკლია ნიჭი. გიშოვო მძღოლის ადგილი სატვირთოზე, ნინოსავით? - ჯონიმ არაფერი უპასუხა და დონმა განაგრძო, - მეგობრობა ყველაფერია. მეგობრობა ნიჭზე მეტია. მეგობრობა სახელმწიფოზე, ხელისუფლებაზე მეტია. თითქმის ოჯახის ტოლფასია. არასოდეს დაივიწყო ეს. შენ რომ ნამდვილი მეგობრები გყოლოდა, ჩემი დახმარება არ დაგჭირდებოდა. ახლა კი, მითხარი, რატომ ვეღარ მღერი? ბაღში კარგად მღეროდი, ნინოსავით.

ჯონისა და ჰეიგენს ამ „ჩხვლეტაზე“ გაეღიმათ. ახლა ჯონის უნდა გამოეჩინა მოთმინება.

- ხმა აღარ მაქვს, ერთ-ორ სიმღერას შევასრულებ და მერე ვეღარ ვმღერი რამდენიმე საათი ან ზოგჯერ რამდენიმე დღე. რეპეტიციის ბოლომდეც კი ვერ ვქაჩავ. იოგები დამისუსტდა. ექიმებმა ვერ გაიგეს, რა მჭირს.

- ერთი სიტყვით, უსიამოვნებები გაქვს ქალებთან, ხმაც დაგისუსტდა. ახლა მომიყევი, რა პრობლემაა იმ ჰოლივუდელ საპნის ბუშტთან, სამუშაოს რომ არ გაძლევს.

ჯონიმ დაიწყო: - მართლაც ბუშტია, მაგრამ არა საპნისა, სტუდიის მფლობელია. ომის დროს პრეზიდენტის მრჩეველი იყო კინოპროპაგანდის სფეროში. ერთი თვის წინ წლის საუკეთესო რომანის ეკრანიზაციის უფლება შეიძინა. ნამდვილი ბესტსელერია. იქ მთავარი გმირია, რომელიც მე მგავს, არც კი დამჭირდებოდა არაფრის თამაში, უბრალოდ, ეკრანზე ვიქნებოდი ის, რაც ცხოვრებაში ვარ. სცენარის თანახმად, გმირი არ მღერის. შემეძლო, კინოაკადემიის პრიზი მიმეღო. ყველამ იცის, რომ ეს როლი ჩემთვისაა ზედგამოჭრილი და მისი მეშვეობით ისევ გავითქვამდი სახელს, როგორც მსახიობი, მაგრამ ეს ნაბიჭვარი, ჯეკ ვოლცი, როლს არ მაძლევს. მინიმალურ ჰონორარზე შევთავაზე თამაში, თითქმის უფასოდ, მაგრამ მაინც არ დათანხმდა. შემომითვალა: „თუ პავილიონში მოვა და ტრაკზე მაკოცებს, შესაძლოა, დავფიქრდე, მივცე თუ არა როლიო“.

დონმა მთელი ეს ემოციური ბოდვა ხელის ერთი მოძრაობით მოიცილა თავიდან. გონიერ ადამიანებს შორის ამგვარი საქმიანი საკითხის მოგვარება ყოველთვის შესაძლებელია. ნათლულს მხარზე ხელი მოუთათუნა.

- სასოწარკვეთილი ხარ. გგონია, არავის აინტერესებ, თანაც გახდი. ბევრს სვამ? ვერ იძინებ და აბებს ყლაპავ? - დონმა თავი საყვედურით გადააქნია, - ახლა კი მინდა, ჩემს ბრძანებას დაემორჩილო, - ერთი თვით ჩემს სახლში დარჩები. კარგად ჭამე, დაისვენე და ბევრი იძინე. მინდა, ყველგან წამომყვე, სადაც წავალ, იქნებ რამე ისწავლო შენი ნათლიისაგან, რომელიც შეიძლება დაგეხმაროს ამ თქვენი დიადი ჰოლივუდის საქმეებში, მაგრამ სიმღერა, ლოთობა და ქალები აქ არ იქნება. ერთი თვის შემდეგ დაბრუნდები ჰოლივუდში და ის საპნის ბუშტი როლს მოგცემს. მოსულა?

ჯონი მაინც ვერ იჯერებდა, რომ დონს ამხელა ძალა ჰქონდა, მაგრამ მისი ნათლია ხომ არასოდეს იძლეოდა ლიტონ დაპირებებს.

- ის ტიპი ედგარ ჰუვერის პირადი მეგობარია, - ჩაილაპარაკა ჯონიმ, - მის საწინააღმდეგოდ ხმას ვერავინ იღებს.

- ის კაცი ბიზნესმენია, - თქვა დონმა, - ისეთ რაღაცას შევთავაზებ, უარს ვერ იტყვის.

- უკვე გვიანაა, - თქვა ჯონიმ, - კონტრაქტები ხელმოწერილია, გადაღებას ერთ კვირაში იწყებენ. არაფერი გამოვა.

დონ კორლეონემ უთხრა: - სუფრას დაუბრუნდი. მეგობრები გელიან. დანარჩენს მე მივხედავ. - და ჯონი ფონტეინს ზურგში ხელი უბიძგა.

ჯონი ოთახიდან გავიდა.

მაგიდასთან მჯდომი ჰეიგენი ბლოკნოტში რაღაცას ინიშნავდა. დონმა შეხედა, ჰკითხა: - კიდევ დარჩა რამე?

- სოლოცოს უარს ვეღარ ვეტყვით. ამ კვირის განმავლობაში შეხვედრა უნდა დაუნიშნო.

ჰეიგენმა კალმისტარი კალენდრის თავზე შეაჩერა ჰაერში. დონ კორლეონემ მხრები აიჩეჩა: - ახლა, როცა ქორწილი მოვითავეთ, ნებისმიერ დროს შევხვდები, როცა კი მეტყვი.

ამ პასუხით ჰეიგენმა ორი რამ შეიტყო: პირველი და უფრო მნიშვნელოვანი ის იყო, რომ ვირჯილ სოლოცო უარს მიიღებს; მეორე - დონ კორლეონე, რომელიც ქალიშვილის ქორწილამდე არ აძლევდა პასუხს, ვარაუდობს, უარი პრობლემებს შეუქმნის.

ჰეიგენმა ფრთხილად ჰკითხა: - ვუთხრა კლემენცას, სახლში რამდენიმე კაცი ამოიყვანოს?

დონმა ისე უპასუხა, თითქოს მოთმინება დაკარგაო: - რისთვის? ქორწილამდე პასუხი იმიტომ არ მივეცი, რომ ასეთ მნიშვნელოვან დღეს ცაზე ერთი ღრუბელიც კი არ უნდა ჭაჭანებდეს. გარდა ამისა, მინდოდა მცოდნოდა, რის შესახებ აპირებს ჩემთან ლაპარაკს. ახლა ეს უკვე ვიცით. რასაც გვთავაზობს, სამარცხვინოა.

ჰეიგენმა ჰკითხა: - ესე იგი, უარს ეტყვი?

დონმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია. ჰეიგენმა შესთავაზა: - ვფიქრობ, ეს საკითხი ყველამ უნდა განვიხილოთ, - მთელმა ოჯახმა, - სანამ პასუხს მისცემდე.

დონს გაეღიმა: - ასე ფიქრობ? კი, ბატონო, განვიხილოთ, როდესაც კალიფორნიიდან ჩამოხვალ. ხვალვე გაფრინდი და ჯონის საქმე მოაგვარე. იმ ჰოლივუდელ საპნის ბუშტს შეხვდი, დაელაპარაკე. სოლოცოს კი გადაეცი, რომ შევხვდები, როცა კალიფორნიიდან დაბრუნდები. კიდევ არის რამე?

ჰეიგენმა ოფიციალური ტონით უთხრა: - საავადმყოფოდან დარეკეს. კონსილიორი აბანდანდო კვდება, ამ ღამეს ვეღარ გაატანს. ექიმებმა ოჯახს უთხრეს, მივიდნენ და ელოდონ.

ჰეიგენი კონსილიორის მოვალეობებს უკვე ერთი წელია ასრულებდა, მას მერე, რაც კიბომ ჯენკო აბანდანდო სარეცელს მიაჯაჭვა. ახლა ჰეიგენი დონის სიტყვას ელოდა, რომ ეს თანამდებობა სამუდამოდ მისი გამხდარიყო. თუმცა ამის მცირე შანსი ჰქონდა. ტრადიციის თანახმად, ესოდენ მაღალი თანამდებობის მიღება მხოლოდ წმინდა სისხლის იტალიელს შეეძლო. ჰეიგენის მიერ მოვალეობების დროებითი შესრულებაც კი უკმაყოფილებას იწვევდა. გარდა ამისა, იგი მხოლოდ ოცდათხუთმეტი წლისა გახლდათ, რაც იმას ნიშნავდა, რომ გამოცდილება და გამჭრიახობა აკლდა, რათა წარმატებული კონსილიორი ყოფილიყო.

დონმა არაფერი უთხრა, არ დააიმედა, მერე ჰკითხა: - როდის მიემგზავრება ჩემი ქალიშვილი თავის ქმრიანად?

ჰეიგენმა საათზე დაიხედა: - რამდენიმე წუთში ტორტს გაჭრიან და ამის შემდეგ ნახევარ საათში გაემგზავრებიან.

ამ კითხვამ ჰეიგენს რაღაც გაახსენა და დონს უთხრა: - ჰო, მართლა, შენს სიძეს რამე მნიშვნელოვანს აძლევ ოჯახში?

ჰეიგენი გაოცდა, ისე ფიცხლად უპასუხა დონმა: - არასოდეს! - დონმა ხელი მაგიდას დაჰკრა, - არასოდეს! გაუკეთე რამე, საცხოვრებელი ფული რომ ჰქონდეს, საკმარისი ფული, მაგრამ ოჯახის საქმეს ახლოსაც არ გააკარო. გააფრთხილე სონი, ფრედო, კლემენცა, - დონმა პაუზა გააკეთა, შემდეგ განაგრძო, - უთხარი ჩემს შვილებს, სამივეს. ჩემთან ერთად წამოვიდნენ საავადმყოფოში საწყალი ჯენკოს სანახავად. მინდა, უკანასკნელი პატივი მიაგონ. უთხარი ფრედოს, დიდი მანქანა გაამზადოს, და ჰკითხე ჯონის, ჩვენთან ერთად ხომ არ წამოვა.

დონ კორლეონე მიხვდა, ჰეიგენს კიდევ რაღაც აინტერესებდა, და განაგრძო: - კალიფორნიაში ამაღამვე უნდა გაემგზავრო. ჯენკოს მონახულების დრო არ გექნება, მაგრამ სანამ საავადმყოფოდან არ დავბრუნდები და არ მოგელაპარაკები, აეროპორტში არ წახვიდე. გასაგებია?

- გასაგებია, - უპასუხა ჰეიგენმა, - რა დროისთვის გაამზადოს ფრედმა მანქანა?

- სტუმრების წასვლისათვის, - მიუგო დონმა, - ჯენკო მომიცდის.

- სენატორმა დარეკა, - უთხრა ჰეიგენმა, - ბოდიშს გიხდის, რომ ვერ მოვიდა და პირადად ვერ მოგილოცა, მაგრამ იმედი აქვს, გაუგებ. ალბათ, „ეფ-ბი-აის“ აგენტებს გულისხმობს, მანქანების ნომრებს რომ იწერდნენ. საჩუქარი სენატორმა თავის კაცს გამოატანა.

დონმა თავი დაუქნია. არ ჩათვალა საჭიროდ ეთქვა, რომ თვითონ ურჩია სენატორს, არ მოსულიყო.

- საჩუქარი ლამაზი მაინცაა? - იკითხა დონმა.

ჰეიგენი დაიჯღანა, რაც თანხმობას ნიშნავდა. ჰეიგენს ეს საოცრად იტალიურად გამოუვიდა, რაც ირლანდიურ-გერმანული თვისებების მქონე კაცისგან უცნაურიც კი იყო.

- ანტიკვარული ვერცხლეულია, ძალზე ძვირფასი. ნეფე-პატარძალს შეუძლია, დიდ ფულად გაყიდოს. ეტყობა, სენატორი დიდხანს ეძებდა, საკადრისი საჩუქარი რომ შეერჩია. მაგ ყაიდის ადამიანებისთვის ეს უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე საჩუქრის ღირებულება.

დონ კორლეონე არ ფარავდა კმაყოფილებას იმის გამო, რომ ისეთმა მნიშვნელოვანმა პერსონამ, როგორიც სენატორია, პატივისცემა გამოხატა. სენატორი, ლუკა ბრაზის მსგავსად, ერთ-ერთი ბურჯი იყო, რომელსაც დონ კორლეონეს ძალაუფლება ეყრდნობოდა, და ამ საჩუქრით მან თითქოსდა კიდევ ერთხელ დაუდასტურა ერთგულება.

როდესაც ბაღში ჯონი ფონტეინი გამოჩნდა, ქეი ადამსმა წამსვე იცნო და განცვიფრდა.

- არასოდეს გითქვამს, რომ შენი ოჯახი ჯონი ფონტეინს იცნობს, - უთხრა მაიკლს, - ახლა კი ნამდვილად გამოგყვები ცოლად.

- გინდა, გაგაცნო? - ჰკითხა მაიკლმა.

- ახლა არა, - უპასუხა ქეიმ, დადუმდა, მერე კი ამოიოხრა, - სამი წელი ვიყავი შეყვარებული. ყოველთვის, როცა კაპიტოლში ჰქონდა კონცერტები, ნიუ-იორკში ჩამოვდიოდი და აღტაცებისგან ვკიოდი და ვჭყიოდი, რაც ძალი და ღონე მქონდა. ჯონი შესანიშნავი იყო.

- კარგი, მოგვიანებით მივიდეთ მასთან, - თქვა მაიკლმა.

როდესაც ჯონიმ სიმღერა დაამთავრა და დონ კორლეონესთან ერთად სახლში შევიდა, ქეიმ მაიკლს დამცინავად ჰკითხა: - ახლა არ მითხრა, რომ ისეთი ცნობილი კინოვარსკვლავი, როგორიც ჯონი ფონტეინია, მამაშენს სთხოვს დახმარებას!

- მამაჩემის ნათლულია, - მიუგო მაიკლმა, - და მამაჩემი რომ არა, შესაძლოა, ვერც გამხდარიყო კინოვარსკვლავი.

ქეის გაეცინა: - კიდევ ერთი მაგარი ისტორიაა?

- ამ ისტორიას ვერ გიამბობ, - თავი გააქნია მაიკლმა.

- მენდე, არავის ვეტყვი, - უთხრა ქეიმ.

და მაიკლმა უამბო. ყოველგვარი ხუმრობისა და შელამაზების გარეშე. არაფრის ახსნა არ დაუწყია, უბრალოდ, შენიშნა, რომ რვა წლის წინ მამამისი უფრო მოუთმენელი იყო და რადგან საქმე მის ნათლულს ეხებოდა, მიაჩნდა, ეს მისი პირადი ღირსების საქმე იყო.

ამბავი მოკლედ მოუთხრო. რვა წლის წინ ჯონი პოპულარულ საცეკვაო ანსამბლთან ერთად გამოდიოდა და დიდ წარმატებას მიაღწია, მაგრამ, საუბედუროდ, ანსამბლის ხელმძღვანელსა და დირიჟორ ლეს ჰალის, შოუბიზნესში კარგად ცნობილ პიროვნებას, ჯონისთან ხუთწლიანი კონტრაქტი ჰქონდა გაფორმებული. შოუბიზნესში ეს მაშინ მიღებული პრაქტიკა იყო. ლეს ჰალის შეეძლო ჯონი „გაექირავებინა“ და ფულის უდიდესი ნაწილი ჯიბეში ჩაედო.

ლეს ჰალისთან მოლაპარაკებაზე დონ კორლეონე პირადად წავიდა. ოცი ათასი დოლარი შესთავაზა, ოღონდ კი ჯონი ამ კაბალური კონტრაქტისაგან გაეთავისუფლებინა. ჰალიმ მიუგო, ჯონის შემოსავლის ორმოცდაათ პროცენტს დავიტოვებო. ამ პასუხმა დონ კორლეონე გაახალისა და თანხა ოცი ათასიდან ათი ათასზე დაიყვანა. ჰალიმ უარი უთხრა.

მეორე დღეს დონ კორლეონე ლეს ჰალის კაბინეტში თავის ორ საუკეთესო მეგობართან, კონსილიორ ჯენკო აბანდანდოსა და ლუკა ბრაზისთან ერთად გამოეცხადა. ოთახში მათ გარდა არავინ იყო. დონ კორლეონემ ლეს ჰალი დაარწმუნა, ათი ათასი დოლარის სანაცვლოდ უარი ეთქვა კონტრაქტით გათვალისწინებულ უფლებებზე. დონმა ეს მარტივად მოახერხა, ავტომატური პისტოლეტი შუბლზე მიადო და სერიოზული ტონით უთხრა, თუ ხელს არ მოაწერ, ერთ წამში შენი ტვინი

ქაღალდებს დაენთხევაო. ჰალიმ ხელი მოაწერა. დონმა პისტოლეტი ჯიბეში შეინახა და დირიჟორს ჩეკი მიაწოდა.

მერე რაც მოხდა, ყველამ კარგად იცის. ჯონი ფონტეინი გამოსვლებს აგრძელებდა და მალე მუსიკალურ შოუბიზნესში ყველაზე დიდ სენსაციად იქცა. ჰოლივუდის რამდენიმე მიუზიკლში ითამაშა, რამაც ძალზე დიდი ფული მოუტანა. მისი ფირფიტები მილიონიანი ტირაჟებით იყიდებოდა. შემდეგ ჯონი ცოლს გაეყარა, რომელიც ყმაწვილობიდან უყვარდა, ორი შვილი მიატოვა, რომ ცოლად მოეყვანა ჰოლივუდის ყველაზე მომხიბლავი ქერათმიანი კინოვარსკვლავი, მაგრამ ძალიან მალე დარწმუნდა, რომ ცოლად ბოზი შეურთავს. დაიწყო სმა, კარტის თამაში, ქალებში სირბილი. სასიმღერო ხმა დაეკარგა. მისი ჩანაწერები აღარ იყიდებოდა. სტუდიამ კონტრაქტი აღარ განუახლა. და, აი, ჯონი ნათლიასთან მოვიდა.

ქეი ადამსმა დაფიქრებით უთხრა მაიკლს: - დარწმუნებული ხარ, რომ არ გშურს მამაშენის? ყველაფერი, რაც მიამბე, მხოლოდ ერთ რამეზე მეტყველებს, - ის ადამიანებს ეხმარება. ეტყობა, ძალზე კეთილი კაცია, - ქეიმ ცალყბად გაიღიმა და განაგრძო, - თუმცა, რასაკვირველია, მისი მეთოდები ყოველთვის არ არის ზედმიწევნით კანონიერი.

მაიკლმა ამოიოხრა: - არ მინდოდა ამის თქმა, მაგრამ მაინც გეტყვი. ალბათ, გაგიგია: როცა არქტიკის მკვლევრები ჩრდილოეთ პოლუსისკენ მიდიან, გზადაგზა, თოვლქვეშ, საკვების მარაგს ტოვებენ, რადგან შესაძლოა, დაბრუნებისას გამოადგეთ. მამაჩემის კეთილი საქმეებიც ეგრეა, - ერთ მშვენიერ დღეს სათითაოდ მივა ყველასთან და ვალის დაბრუნებას მოსთხოვს.

მზე უკვე ჩადიოდა, როცა დიდი სადღესასწაულო ტორტი შემოიტანეს. ასეთი სილამაზის ხილვისას სტუმრებს აღტაცების შეძახილები აღმოხდათ. ტორტი ნაზორინიმ საგანგებოდ გამოაცხო, მორთო და კრემით სავსე ,,ნიჟარებით" დატენა, რომლებიც იმდენად გემრიელი აღმოჩნდა, რომ პატარძალმა სათითაოდ დაიწყო მათი ამოცლა. დონ კორლეონემ სტუმრებს თავაზიანად აგრძნობინა, წასვლის დრო მოვიდაო, თანაც ყურადღება მიაქცია იმას, რომ ,,ეფ-ბი-აის" შავი მანქანა ახლომახლო აღარ ჩანდა.

ბოლოს და ბოლოს, უამრავი მანქანიდან სახლთან მხოლოდ გრძელი ,,კადილაკიღა" დარჩა, რომლის საჭეს ფრედი მიუჯდა. ასაკისა და აგებულების მიუხედავად, დონ კორლეონე საკმაოდ მკვირცხლად მოთავსდა წინა სავარძელზე. სონი, მაიკლი და ჯონი უკან დასხდნენ.

დონმა მაიკლს ჰკითხა: - შენი მეგობარი სასტუმრომდე მარტო მისვლას მოახერხებს?

მაიკლმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია: - ტომმა მითხრა, მე მივხედავო.

დონ კორლეონე კმაყოფილი დარჩა ჰეიგენის გულისხმიერებით, თავი დახარა.

იმის გამო, რომ ბენზინი ჯერაც ტალონებზე იყო, ავტოსტრადა ბელტ პარკვეიდან მანჰეტენამდე ნახევრად ცარიელი გახლდათ. საათზე ნაკლები დასჭირდათ, ფრანგულ ჰოსპიტლამდე რომ მისულიყვნენ. მგზავრობისას დონ კორლეონემ უმცროს ვაჟს ჰკითხა: ,,კარგად მიდის სწავლა კოლეჯში?" მაიკლმა თავი დაუქნია.

სონიმ მამას მიმართა: - ჯონიმ მითხრა, რომ ჰოლივუდში საქმე უნდა მოუგვარო. გინდა, მეც წავიდე დასახმარებლად?

დონმა მიუგო: - ტომი ამ ღამეს მიფრინავს. დახმარება არ სჭირდება, მარტივი საქმეა.

სონის გაეცინა: - ჯონის კი ჰგონია, შენ ამ საქმეს ვერ მოერევი. ამიტომ ვიფიქრე, იქნებ, მეც წავსულიყავი.

დონ კორლეონემ უკან მოიხედა.

- რატომ არ მენდობი? - ჰკითხა ჯონის, - განა შენი ნათლია არ ასრულებს დანაპირებს? ოდესმე გამიტეხია სიტყვა?

ჯონიმ ნერვიულად დაიწყო თავის მართლება: - სტუდიის დირექტორი მართლა დიდი ბობოლაა. ფულითაც კი ვერ მოისყიდი. სერიოზული კავშირები აქვს უმაღლეს წრეებში და თანაც ვერ მიტანს. არც კი ვიცი, რა შეიძლება მოუხერხოს კაცმა.

დონმა უთხრა: - მე შენ გეუბნები: მაგ როლს მიიღებ, - შემდეგ მაიკლს იდაყვი წაჰკრა, - ნათლულს იმედს არ გავუცრუებთ, არა, მაიკლ?

მაიკლმა, რომელსაც ერთხელაც არ შეჰპარვია მამაში ეჭვი, თავი დაუქნია.

როდესაც საავადმყოფოს შესასვლელთან მივიდნენ, დონ კორლეონემ მაიკლს ხელი მხარზე დაადო, შეაყოვნა, სხვებს საშუალება მისცა, წინ წასულიყვნენ.

- როცა კოლეჯს დაამთავრებ, ჩემთან მოდი. უნდა დაგელაპარაკო, - უთხრა დონმა, - გეგმები მაქვს, ვიცი, მოგეწონება.

მაიკლმა არაფერი უპასუხა. დონ კორლეონემ გააგრძელა: - მე შენ კარგად გიცნობ. არაფერს გთხოვ ისეთს, რის გაკეთებასაც არ მოინდომებ. შენი გზით იარე, კაცი ხარ, ბოლოს და ბოლოს, მაგრამ როცა სწავლას მორჩები, მოდი ჩემთან, როგორც შვილი მამასთან.

ჯენკო აბანდანდოს ოჯახი - ცოლი და სამი ქალიშვილი, შავებში ჩაცმულები, საავადმყოფოს დერეფანში შეჯგუფებულიყვნენ. თეთრი მეტლახის იატაკზე შავი ნასუქი ყვავების გუნდს მიაგავდნენ. როდესაც ლიფტიდან გამოსული დონ კორლეონე დაინახეს, ინსტინქტურად მისკენ გაიწიეს, თითქოსდა შველის სათხოვნელად. დედა შავებში გამოწყობილი მედიდური, მსხვილ-მსხვილი ქალბატონი იყო, ქალიშვილები - ტლანქები და ულაზათოები. ქალბატონმა აბანდანდომ დონ კორლეონეს ლოყაზე აკოცა და ტირილით უთხრა: - ოო, ნამდვილად წმინდა კაცი ხარ, ქალიშვილის ქორწილის დღეს აქ რომ მოხვედი!

დონ კორლეონემ შექება არ მიიღო.

- როგორ არ მოვსულიყავი, - უთხრა მან, - როგორ არა ვცე პატივი მეგობარს, ვინც ჩემი მარჯვენა ხელი იყო ოცი წლის განმავლობაში?

ეს თქვა და უცებ მიხვდა, მომავალმა ქვრივმა ჯერ არ იცოდა, რომ მისი ქმარი ამ ღამეს ვეღარ გადაიტანდა. ჯენკო აბანდანდო საავადმყოფოში თითქმის ერთი წელია იწვა, კიბოსგან კვდებოდა. მისი ცოლისთვის იქ სიარული ცხოვრების ჩვეულ ნაწილად იქცა, მაგრამ ახლა კრიზისული მომენტი დადგა.

ქალი ბუტბუტს განაგრძობდა: - შედი ჩემს საწყალ ქმართან პალატაში... გკითხულობდა. შენი ქალიშვილის ქორწილში უნდოდა მოსვლა, პატივისცემა რომ გამოეხატა, მაგრამ ექიმებმა არ გამოუშვეს. მაშინ თქვა, რომ შენ თვითონ მოხვიდოდი მასთან ამ დიდებულ დღეს, მაგრამ არ დავიჯერე. ოო, კაცებს მეგობრობა სულ სხვანაირად გესმით, ვიდრე ჩვენ, ქალებს.

ამ დროს ჯენკო აბანდანდოს პალატიდან ექიმი და ექთანი გამოვიდნენ. ექიმი მბრძანებლური გამომეტყველების მქონე ახალგაზრდა კაცი გახლდათ. ერთ-ერთმა ქალიშვილმა შიშნარევი ხმით ჰკითხა: - ექიმო კენედი, შეიძლება შესვლა?

ექიმმა იქ შეკრებილთა მრავალრიცხოვან ჯგუფს გაოცებით გადახედა. ნუთუ ამ ადამიანებს არ ესმით, რომ ავადმყოფი კვდება და თანაც საშინელი ტანჯვით? უმჯობესი იქნება, თუკი საშუალებას მისცემენ, მშვიდად დალიოს სული.

- ვფიქრობ, შეიძლება, ოღონდ მხოლოდ ყველაზე ახლო ნათესავები შედით, - უპასუხა თავაზიანად. ძლიერ გაუკვირდა, როცა დაინახა, რომ ავადმყოფის ცოლი და ქალიშვილები საშუალო სიმაღლის, ჩასკვნილი, ფრაკში გამოწყობილი მამაკაცისკენ ისე შეტრიალდნენ, თითქოს მას უნდა გადაეწყვიტა, ვინ შევიდოდა პალატაში.

კაცმა ექიმს მიმართა, ოდნავ შესამჩნევი იტალიური აქცენტი ჰქონდა.

- ძვირფასო ექიმო, - ჰკითხა დონ კორლეონემ, - მართლა კვდება?

- დიახ, - უპასუხა ექიმმა კენედიმ.

- ესე იგი, თქვენ აქ მეტი აღარაფერი გესაქმებათ, - მოუჭრა დონმა, - დანარჩენზე ჩვენ ვიზრუნებთ. ვანუგეშებთ. თვალებს დავუხუჭავთ. დავკრძალავთ და ვიგლოვთ. მივხედავთ მის ცოლსა და ქალიშვილებს.

როდესაც ეს ერთმნიშვნელოვანი სიტყვა გაიგონა, ქალბატონი აბანდანდო ყველაფერს მიხვდა და აქვითინდა. ექიმმა კენედიმ მხრები აიჩეჩა. ამ გლეხებს ვერაფერს შეაგნებინებ. თუმცა, ამავე დროს, ამ კაცის მოურიდებლად ნათქვამში სიმართლეც დაინახა. რაც შეეძლო, გააკეთა, მისი როლი მართლაც დასრულებულია.

ექიმმა კვლავ ისეთივე თავაზიანი ტონით უთხრა: - თუ შეიძლება, ცოტა მოიცადეთ, სანამ ექთანი არ შეგიშვებთ, რამდენიმე აუცილებელი პროცედურა უნდა ჩაუტაროს.

ექიმი წავიდა, თეთრ ხალათს მიაფრიალებდა. ექთანი ქალი პალატაში შებრუნდა, კარი მიხურა. კარგა ხნის შემდეგ გამოვიდა და ჩუმად თქვა: - სიცხისა და ტკივილისაგან ბოდავს, ეცადეთ, არ ანერვიულოთ. რამდენიმე წუთში ყველა გამოდით, მხოლოდ ცოლს შეუძლია დარჩეს.

როდესაც ჯონი ფონტეინმა გვერდით ჩაუარა, ექთანმა უცებ იცნო და თვალები გაუბრწყინდა. ჯონიმ სუსტად გაუღიმა და პალატაში შევიდა.

ჯენკო აბანდანდო დიდხანს ებრძოდა ავადმყოფობას, მაგრამ ახლა, დამარცხებული და დაუძლურებული, შემაღლებულ საწოლზე გადასვენებულიყო.

იმდენად გახდა, ჩონჩხს დაემსგავსა. ოდესღაც ხშირი შავი თმა ალაგ-ალაგ მეჩხერ ბღუჯებად შერჩენოდა.

დონ კორლეონემ მხიარული ხმით მიმართა: - ჯენკო, ძვირფასო მეგობარო, ჩემი ბიჭები მოვიყვანე და ჯონიც კი ჩამოვიდა ჰოლივუდიდან შენს სანახავად.

მომაკვდავმა დონს მადლიერებით ახედა. თვალები ციებისაგან თითქოსდა უბრწყინავდა.

დონმა ხელზე ხელი მოუჭირა, უთხრა: - მალე მორჩი და იტალიაში წავიდეთ, ჩვენი სოფელი მოვინახულოთ. ბოჩია ვითამაშოთ ღვინის დუქანთან, ჩვენი მამები და პაპები როგორც თამაშობდნენ.

მომაკვდავმა თავი გააქნია. მერე ცოლსა და ახალგაზრდებს ანიშნა, საწოლს მოშორებოდნენ და გაძვალტყავებული ხელით დონი თავისკენ მიიზიდა. რაღაცის თქმას ცდილობდა. დონმა თავი დახარა, შემდეგ სკამზე ჩამოჯდა, სასთუმალთან. ჯენკო აბანდანდო რაღაცას ბუტბუტებდა მათი ბავშვობის შესახებ. მერე ნახშირივით შავი თვალები ეშმაკურად აუციმციმდა, ჩქარ-ჩქარა აჩურჩულდა. დონი კიდევ უფრო გადაიხარა მისკენ და იქ მყოფებმა გაოცებით შენიშნეს, - დონ კორლეონეს ცრემლები მოსდიოდა.

ავადმყოფს წარმოუდგენელი ძალისხმევა დასჭირდა, რომ თავი ბალიშიდან წამოეწია. თითქოსდა უსინათლო, არაფრისმხედველი თვალები იქაურობას მოავლო და გაჩხინკული თითი დონისკენ გაიშვირა.

- ნათლია, ნათლია, - აღმოხდა ჯენკოს, - გევედრები, სიკვდილს გადამარჩინე. ვგრძნობ, ჩემი ხორცი იწვის, მატლები ტვინს მიხრავენ... შენ ყველაფერი შეგიძლია, გადამარჩინე, ჩემს საწყალ ცოლს ცრემლები დაუშრე... გახსოვს, პატარები როცა ვიყავით, ერთად ვთამაშობდით კორლეონეში... ნუთუ დაუშვებ, რომ მოვკვდე? ჯოჯოხეთის მეშინია, ბევრი ცოდვა მაქვს...

დონი დუმდა. აბანდანდომ გააგრძელა: - დღეს შენი ქალიშვილის ქორწილის დღეა, უარს ვერ მეტყვი.

დონი მშვიდად, სერიოზულად ალაპარაკდა.

- ძმაო, - უთხრა მან, - ასეთი ძალა მე არ გამაჩნია. რომ მქონდეს, დამერწმუნე, გამოვიდოდა, რომ ღმერთზე უფრო მოწყალე ვარ. ნუ გეშინია სიკვდილისა და ჯოჯოხეთის. შენთვის ყოველდღე მესას შევუკვეთ, დილა-საღამოს ჩაატარებენ, შენი ცოლი და ქალიშვილებიც ილოცებენ შენთვის. როგორ დაგსჯის ღმერთი, როცა ამდენი მავედრებელი გეყოლება?

გაძვალტყავებულმა აბანდანდომ ეშმაკური გამომეტყველებით ჰკითხა: - ესე იგი, საქმე ჩაეწყო?

დონმა ცივად მიუგო: - ნუ მკრეხელობ. ღმერთს დაემორჩილე.

აბანდანდოს თავი უკან, ბალიშზე გადაუვარდა. თვალებში იმედის ნაპერწკალი ჩაუქრა. ექთანი პალატაში დაბრუნდა და მნახველების გარეთ გაყვანას საქმიანად შეუდგა. დონი წამოდგა, მაგრამ აბანდანდომ ხელით დაიჭირა.

- ნათლია, - უთხრა დონს, - ჩემთან იყავი, დამეხმარე, სიკვდილს შევხვდე. იქნებ, დაგინახოს, შეეშინდეს შენი და თავი დამანებოს; ან, იქნებ, სიტყვა შემაწიო, შენი კავშირები გამოიყენო...

მომაკვდავმა დონს თვალი ჩაუკრა, გაეხუმრასავით.

- თქვენ ხომ ღვიძლი ძმები ხართ, - უთხრა დონს და მერე უცებ თითქოსდა შეეშინდა, არ ეწყინოსო, მკლავზე მოებღაუჭა, - დარჩი ჩემთან. ხელი მომკიდე. მაგ ნაბიჭვარსაც გავაცურებთ, როგორც სხვები გაგვიცურებია. ნათლია, არ მიღალატო.

დონმა იქ მყოფებს ანიშნა, გასულიყვნენ, და როცა ყველა გავიდა, აბანდანდოს გაძვალტყავებული ხელი თავის ფართო ხელისგულებში მოიქცია. სათუთად, ბავშვივით ეფერებოდა, აღსასრულის მოლოდინში ანუგეშებდა, ისე, თითქოსდა მართლა შეეძლო ჯენკო აბანდანდოს სიცოცხლე სიკვდილის საცეცებიდან გამოეტაცა.

კონი კორლეონეს პირველმა საქორწილო ღამემ წარმატებით ჩაიარა. კარლო რიჩიმ, რომელიც პატარძლის ხელჩანთაში ჩაწყობილი კონვერტების რაოდენობით იყო განსაკუთრებულად შთაგონებული, - საფულეში ოცი ათასზე მეტი დოლარი აღმოჩნდა, - თავისი მოვალეობა ოსტატურად და გაბედულად აღასრულა. პატარძალი, თავის მხრივ, სიქალწულეს უფრო ადვილად დაემშვიდობა, ვიდრე საფულეს.

ლუსი მანჩინი შინ იჯდა, სონი კორლეონეს სატელეფონო ზარს ელოდებოდა, დარწმუნებული იყო, შეხვედრას დაუნიშნავდა. ბოლოს, ვეღარ მოითმინა და თვითონ დაურეკა, მაგრამ ქალის ხმა როცა გაიგონა, ყურმილი დააგდო. ლუსიმ არ იცოდა, საქორწილო სუფრაზე თითქმის ყველამ შენიშნა, სონისთან ერთად ნახევარი საათით რომ გაუჩინარდა. ჭორი მაშინვე გავრცელდა სონის ახალი გამარჯვების თაობაზე. მსხვერპლი, ამჯერად, მისი დის მეჯვარე გახლდათ.

ამერიგო ბონასერამ კოშმარული სიზმარი ნახა. თითქოს დონ კორლეონე, რომელსაც თავზე ჩაჩი ეხურა, კომბინეზონი ეცვა და ხელთათმანები ეკეთა, სასაფლაოს შესასვლელთან დაცხრილულ გვამებს მიწაზე ყრიდა და ყვირილით ეუბნებოდა: ,,დაიმახსოვრე, ამერიგო, არავისთან არაფერი წამოგცდეს, ესენი სასწრაფოდ დამარხე!“ ამერიგომ ძილში ისე ხმამაღლა დაიკვნესა, რომ ცოლმა მუჯლუგუნი წაჰკრა.

- შენ რა კაცი ხარ, - ბუზღუნით უთხრა ქმარს, - ქორწილიდან მოსულს კოშმარები გესიზმრება.

ქეი ადამსი ნიუ-იორკ-სიტის სასტუმრომდე კლემენცამ და პაულო გატომ გააცილეს. დიდ, ძვირფას მანქანას პაულო მართავდა. კლემენცა უკან იჯდა, ქეი ადამსი - მძღოლის გვერდით. ორივე მამაკაცი ძალზე ეგზოტიკურად ეჩვენებოდა. ისეთი ბრუკლინური აქცენტით ლაპარაკობდნენ, კინოფილმებში რომ აქვთ ხოლმე. ქეის გადაჭარბებული მოწიწებით ეპყრობოდნენ. გზად ქეიმ მსუბუქი, სასხვათაშორისო საუბრის წამოწყება სცადა და განცვიფრებული დარჩა, როცა აღმოაჩინა, როგორი პატივისცემითა და რიდით ახსენებდნენ მაიკლს. მაიკლი ქეის აგრძნობინებდა, რომ მამამისის სამყაროში იგი უცხოა, კლემენცამ კი თავისი როხროხა ხმით აუწყა, მოხუცის აზრით, მაიკლი საუკეთესოა ვაჟებს შორის და მამის ბიზნესს მემკვიდრეობით სწორედ ის მიიღებსო.

- და რა ბიზნესია ეს? - იკითხა ქეიმ ძალზე ბუნებრივად.

პაულო გატომ საჭე მოაბრუნა და ქეის მზერა სტყორცნა.

კლემენცამ გაოცებული ხმით იკითხა: - ნუთუ მაიკლმა არ გითხრათ? დონ კორლეონე იტალიური ზეთისხილის ზეთის უმსხვილესი იმპორტიორია შეერთებულ შტატებში. ახლა, როცა ომი დასრულდა, ამ საქმემ, შეიძლება, ძალიან დიდი მოგება მოიტანოს. აუცილებლად დასჭირდება ისეთი ყოჩაღი ბიჭი, როგორიც მაიკლია.

როცა სასტუმროს მიაღწიეს, კლემენცამ ქეის გაცილება ნომრის კარამდე მოინდომა. ქეიმ გააპროტესტა. კლემენცამ მარტივად აუხსნა: - ბოსმა დამავალა, თქვენზე ვიზრუნო, უნდა დავრწმუნდე, რომ მშვიდობით მიხვედით. ბრძანებას ვასრულებ.

როდესაც ქეიმ თავისი ოთახის გასაღები აიღო, კლემენცამ ლიფტამდე მიაცილა და დაელოდა, სანამ შევიდა. ქეიმ გაუღიმა და დამშვიდობების ნიშნად ხელი დაუქნია. გაოცდა, როცა დაინახა, როგორი კმაყოფილი ღიმილით უპასუხა კლემენცამ. კიდევ კარგი, ვეღარ დაინახა, როგორ მივიდა კლემენცა სასტუმროს კლერკთან და ჰკითხა: - რა გვარითაა აქ გაჩერებული?

კლერკმა ცივად ახედა. კლემენცამ საღეჭი რეზინის პატარა, მწვანე ბურთულა, რომელიც ხელში ეჭირა, დახლზე მისი მიმართულებით გააგორა. კლერკმა დაიჭირა და მაშინვე უთხრა: - მისტერ და მის მაიკლ კორლეონეები.

როდესაც კლემენცა მანქანაში ჩაჯდა, პაულო გატომ თქვა: - მშვენიერი ქალბატონია.

კლემენცამ ჩაიბურტყუნა: - მაიკლი ხმარობს.

შემდეგ გაიფიქრა, შესაძლოა, უკვე დაქორწინებულებიც არიანო.

- ხვალ ადრე დილით გამომიარე, - უთხრა გატოს, - ჰეიგენს რაღაც სასწრაფო საქმე აქვს ჩვენთვის.

კვირა საღამო იყო, როცა ჰეიგენი გამოემშვიდობა ცოლს, აკოცა და აეროპორტში გაემგზავრა. სპეციალურმა, პრიორიტეტული უფლების აღმნიშვნელმა მოწმობამ, რომელიც პენტაგონის მაღალჩინოსანმა ოფიცერმა გაუკეთა თავის დროზე პატივისცემის ნიშნად, საშუალება მისცა უპრობლემოდ ასულიყო თვითმფრინავზე, ლოს-ანჯელესში რომ მიფრინავდა.

ტომ ჰეიგენისთვის ეს დღე დატვირთული, მაგრამ იღბლიანი აღმოჩნდა. ჯენკო აბანდანდო დილის სამ საათზე გარდაიცვალა და საავადმყოფოდან მობრუნებულმა დონ კორლეონემ ჰეიგენს უთხრა, - დღეიდან ოჯახის ახალი კონსილიორი ოფიციალურად ხარო. ეს კი იმას ნიშნავდა, ძალზე მდიდარი კაცი გახდებოდა, რომ აღარაფერი ვთქვათ ძალაუფლებაზე.

დონმა ძველისძველი ტრადიცია დაარღვია. მრჩეველი წმინდა სისხლის სიცილიელი უნდა ყოფილიყო და ის ფაქტი, რომ ჰეიგენი მისი ოჯახის წევრი გახლდათ, საქმეს ვერ შველოდა. ეს წარმომავლობის, სისხლის საკითხი იყო. იგულისხმებოდა, რომ მხოლოდ ნამდვილ სიცილიელს შეუძლია ომერტას, დუმილის კანონის, დაცვა და კონსილიორის თანამდებობაც მხოლოდ მას შეიძლება ანდო.

კავშირი ოჯახისთავს - დონ კორლეონეს, რომელიც პოლიტიკას განსაზღვრავდა, და მათ შორის, ვინც კონკრეტულად ასრულებდა მის ბრძანებებს, სამი შუალედური რგოლის, ანუ ბუფერის, მეშვეობით ხორციელდებოდა. კვალი მხოლოდ ერთ შემთხვევაში მივიდოდა ბოლომდე, ოჯახისთავს მხოლოდ ერთ შემთხვევაში დაემუქრებოდა საფრთხე, - თუკი კონსილიორი მოღალატე აღმოჩნდებოდა. იმ დილით დონ კორლეონემ განკარგულება გასცა იმ ახალგაზრდების თაობაზე, რომლებმაც ამერიგო ბონასერას ქალიშვილი დაასახიჩრეს. ინსტრუქცია, რა უნდა გაეკეთებინათ, დონმა ჰეიგენს პირადად გადასცა. იმავე დღეს, მოგვიანებით, ტომ ჰეიგენმა, ასევე პირადად, კლემენცას დავალება აუხსნა, მაგრამ თავისი სახელით. კლემენცამ, თავის მხრივ, ამ ოპერაციის ჩატარება პაულო გატოს დააკისრა. პაულო გატო შეარჩევს საქმის შემსრულებლებს და უშუალოდ უხელმძღვანელებს. გატომ და მისმა ხალხმა არ იციან, რა მიზანს ისახავს ოპერაცია და ვინ გასცა სინამდვილეში მისი ჩატარების ბრძანება. იმისთვის, რომ კვალი დონამდე მივიდეს, ამ ჯაჭვის ყველა მონაწილე მოღალატე უნდა აღმოჩნდეს, რაც მანამდე არასოდეს მომხდარა. თუმცა კი ამის თეორიული შესაძლებლობა არსებობდა, მაგრამ ასევე ცხადი იყო ამის წამალი, - ამ ჯაჭვიდან მხოლოდ ერთი რგოლის გაქრობა გახლდათ საკმარისი.

კონსილიორი, ანუ მრჩეველი, აკეთებს იმას, რასაც თვით ეს სიტყვა გულისხმობს. ის დონს აძლევს რჩევებს, მისი მარჯვენა ხელია, მისი დამატებითი გონება, უახლოესი მეგობარი და განუყრელი თანამგზავრია. მნიშვნელოვანი მოგზაურობისას მანქანას ის მართავს, შეკრებებისას მას მიაქვს დონისთვის ყავა, სენდვიჩი, გამაგრილებელი სასმელი თუ სიგარა. მან იცის ყველაფერი, ან თითქმის ყველაფერი, რაც იცის დონმა, - ძალაუფლების ყველა შემადგენელი. ის ერთადერთი ადამიანია მსოფლიოში, ვისაც ძალუძს დონის დაღუპვა, მაგრამ ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, რომ კონსილიორის ეღალატოს დონისათვის, ასეთი რამ არ ახსოვთ ძლევამოსილ სიცილიურ ოჯახებს, რომლებიც ამერიკაში დამკვიდრდნენ. ამის გამკეთებელ ადამიანს მომავალი არ ექნებოდა. ამავე დროს, ყოველმა კონსილიორიმ იცის, რომ ერთგულება სიმდიდრეს, ძალაუფლებასა და გარშემომყოფთა პატივისცემას მოუტანს. თუკი რაიმე უბედურება შეემთხვევა, მისი ცოლი და შვილები დაცულნი იქნებიან, მათზე ყოველთვის იზრუნებენ, ისე, თითქოს იგი ცოცხალი ყოფილიყოს, თუკი ერთგული იქნება.

ზოგჯერ კონსილიორის უწევს მოქმედება თითქოსდა დონის სახელით, მაგრამ უნდა ეცადოს, საქმეში უშუალოდ არ ჩარიოს. სწორედ ასეთ საქმეზე მიფრინავდა ჰეიგენი კალიფორნიაში. ის ნათლად აცნობიერებდა: მისი, როგორც მრჩევლის, კარიერა ბევრადაა დამოკიდებული იმაზე, რა შედეგით დამთავრდება ეს მისია. „ოჯახის“ თვალსაზრისით, დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა, მიიღებდა თუ არა ჯონი ფონტეინი როლს ფილმში. გაცილებით მნიშვნელოვანი იყო შეხვედრა ვირჯილ სოლოცოსთან, რომელიც ჰეიგენმა მომავალ პარასკევს დანიშნა, მაგრამ ჰეიგენმა იცოდა, - დონისთვის ორივე საქმე ერთნაირად მნიშვნელოვანი იყო და უშუალოდ მის მომავალს განსაზღვრავდა.

თვითმფრინავი წამდაუწუმ საჰაერო ორმოებში ყვინთავდა, ჰეიგენი ნერვიულობდა და გადაწყვიტა, „მარტინის“ დახმარებით დაემშვიდებინა თავი, სტიუარდესას მოუხმო და სასმელი შეუკვეთა. დონმა და ჯონიმ მოკლედ გააცნეს მას ჯეკ ვოლცის ხასიათის თავისებურებანი და ჰეიგენი მიხვდა, - იგი ვერასოდეს დაარწმუნებდა ვოლცს. ამავე დროს, იცოდა, დონი აუცილებლად შეასრულებდა სიტყვას, რომელიც ჯონის მისცა.

ჰეიგენი სავარძელზე გადაწვა და შეეცადა, ხელთ არსებული ინფორმაცია გონებაში დაელაგებინა. ვოლცი ჰოლივუდში ერთ-ერთი გავლენიანი პროდიუსერი იყო, ჰქონდა სტუდია, თორმეტ კინოვარსკვლავთან ჰქონდა კონტრაქტი დადებული. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის სამხედრო ინფორმაციის მრჩეველთა საბჭოს წევრი გახლდათ, ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, პროპაგანდისტული ფილმების გამოშვებაში მონაწილეობდა. თეთრ სახლში სადილზე არაერთხელ მიუწვევიათ. თვითონაც მრავალჯერ მიუღია ედგარ ჰუვერი შინ, მაგრამ ეს ყველაფერი მაინც არ იყო დიდად შთამბეჭდავი. პირადად ვოლცს არ ჰქონდა არავითარი პოლიტიკური წონა, ნაწილობრივ, იმიტომ, რომ საშინელი რეაქციონერი იყო, ნაწილობრივ კი იმიტომ, რომ ,,მანია გრანდიოზა" სჭირდა, უყვარდა ძალაუფლების დემონსტრირება, არავის უწევდა ანგარიშს და ხშირად სწყდებოდა რეალობას, ვეღარ აცნობიერებდა, რომ ასეთი ქცევით მტრებს იმრავლებდა.

ჰეიგენმა ამოიოხრა. ჯეკ ვოლცის გამოსაჭერად საშუალება არ ჩანდა. პორტფელი გახსნა, ქაღალდები ამოიღო და მუშაობა სცადა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა, - მეტისმეტად დაღლილი იყო. კიდევ ერთი ,,მარტინი" შეუკვეთა და თავის ცხოვრებაზე დაიწყო ფიქრი. სანანებელი არაფერი ჰქონდა: ცხოვრებაში მაგრად გაუმართლა. გეზი, რომელიც ათი წლის წინ აირჩია, სწორი აღმოჩნდა. წარმატებას მიაღწია, ბედნიერად გრძნობდა თავს, თანაც იმდენად, რამდენადაც, საერთოდ, შესაძლებელია ზრდასრული მამაკაცი გრძნობდეს, - ცხოვრება ერთობ საინტერესოდ ეჩვენებოდა.

ტომ ჰეიგენი ოცდათხუთმეტი წლისა იყო, - მაღალი, ძალზე გამხდარი, მოკლედ შეკრეჭილი თმით, გარეგნულად არაფრით გამორჩეული. პროფესიით ადვოკატი გახლდათ და, მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ სამი წელი სასამართლოში პრაქტიკული საქმიანობით იყო დაკავებული, კორლეონეს ოჯახის ოფიციალურ ადვოკატს არ წარმოადგენდა.

თერთმეტი წლისამ სონი კორლეონე გაიცნო, რომელიც მისი თანატოლი იყო. სწორედ იმ წელს ტომის დედა დაბრმავდა და მალევე გარდაიცვალა. მამამისს სმა ადრეც უყვარდა, ამის მერე კი ნამდვილ ლოთად იქცა. პროფესიით დურგალი იყო, ცხოვრებაში უწესო არაფერი ჩაუდენია, მაგრამ ალკოჰოლმა ოჯახიც დაუნგრია და თავადაც დაღუპა. ტომი დაობლდა, ქუჩაში დაეხეტებოდა, სადარბაზოებში ეძინა, მისი უმცროსი და უდედმამო ბავშვების თავშესაფარში მოათავსეს, ტომი კი გაიქცა. 20-იან წლებში სოციალური დაცვის სამსახური თავს არ იწუხებდა იმათ კუდში დევნით, ვინც უარი თქვა დახმარების მიღებაზე. ტომი მარტო დარჩა, თანაც ავად იყო, თვალების ქრონიკული ანთება სჭირდა. მეზობლები ამბობდნენ, ინფექცია დედისგან აქვს და გადამდებიაო. ტომს ყველა ერიდებოდა. თერთმეტი წლის სონი კორლეონემ, რომელიც კეთილი გულის, მაგრამ მბრძანებლური ხასიათის ბიჭი იყო, ტომი სახლში მიიყვანა და მოითხოვა, დაეტოვებინათ. ტომ ჰეიგენს ერთი ულუფა ტომატმოსხმული ცხელი სპაგეტი მისცეს, რომლის გემოც არასოდეს დავიწყებია, შემდეგ კი - ლითონის გასაშლელი საწოლი დასაძინებლად.

სავსებით ბუნებრივად, ისე, რომ არავისთვის არაფერი უთქვამს და არც რჩევა უკითხავს, დონ კორლეონემ ბიჭს ნება დართო, მის სახლში დარჩენილიყო. თვალის ექიმთან მიიყვანა და მოარჩინა. შეიყვანა კოლეჯში, შემდეგ კი უნივერსიტეტის

იურიდიულ ფაკულტეტზე. თუმცა ამ ყველაფერს მამასავით კი არ უკეთებდა, არამედ მეურვესავით. ყველას გასაოცრად, დონ კორლეონე ჰეიგენს უფრო დელიკატურად ექცეოდა, ვიდრე შვილებს. თავის ნებას ძალით არ ახვევდა. კოლეჯის მერე იურიდიულ ფაკულტეტზე შესვლა ტომმა თვითონ გადაწყვიტა. მას ახსოვდა, როგორ თქვა ერთხელ დონმა: ,,პორტფელიან ადვოკატს გაცილებით მეტი შეუძლია მოიპაროს, ვიდრე ავტომატებით შეიარაღებულ ას კაცს''. სონიმ და ფრედომ სკოლის დამთავრების შემდეგ საოჯახო საქმეში შესვლა მაშინვე მოინდომეს, რამაც, სხვათა შორის, დონის უკმაყოფილება გამოიწვია. მხოლოდ მაიკლმა განაგრძო სწავლა, პერლ ჰარბორზე თავდასხმის მეორე დღესვე კი სამხედრო-საზღვაო ფლოტში ჩაეწერა მოხალისედ.

იურიდიული ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, ჰეიგენმა ცოლი შეირთო, - იტალიელი ქალიშვილი ნიუ-ჯერსიდან, რომელსაც ასევე კოლეჯი ჰქონდა დამთავრებული, რაც იმ დროს დიდ იშვიათობას წარმოადგენდა. ქორწილის შემდეგ, რომელიც, რასაკვირველია, დონ კორლეონეს სახლში გაიმართა, მან ჰეიგენს მხარდაჭერა შესთავაზა ყველა წამოწყებაში: მზად იყო, გაეგზავნა მასთან კლიენტები, ვისაც ადვოკატი დასჭირდებოდა, მოეწყო მისი ოფისი, დახმარებოდა უძრავი ქონების შეძენაში.

ტომ ჰეიგენმა თავი დახარა და უთხრა: - მე მინდა შენთვის ვიმუშაო.

დონი გაოცებული და ნასიამოვნები დარჩა.

- იცი, მე ვინა ვარ? - ჰკითხა ტომს.

ჰეიგენმა თავი დაუქნია. სინამდვილეში მას არ ჰქონდა რეალური წარმოდგენა დონის ძალაუფლებაზე, ყოველ შემთხვევაში, იმ დროს. მან ეს მომდევნო ათი წლის განმავლობაშიც არ იცოდა ხეირიანად, სანამ მოქმედი კონსილიორი არ გახდა ჯენკო აბანდანდოს ლოგინად ჩავარდნის შემდეგ, მაგრამ მაშინ ტომმა თავი დაუქნია და დონს თვალებში შეხედა.

- მე შენთვის ისევე ვიმუშავებ, როგორც შენი შვილები, - უთხრა ჰეიგენმა და იგულისხმა, რომ უსასრულოდ ერთგული იქნებოდა და ყველაფერში უსიტყვოდ დაემორჩილებოდა. დონმა, რომლის ძალაუფლებაზე უკვე დადიოდა ლეგენდები, პირველად გამოავლინა მამობრივი სიყვარული მის ოჯახში გაზრდილი ახალგაზრდისადმი. ჰეიგენს მოეხვია, აკოცა და ამის შემდეგ ისე ეპყრობოდა, როგორც ნამდვილ შვილს, თუმცა დროდადრო ეუბნებოდა: ,,ტომ, არასოდეს დაივიწყო შენი მშობლები''.

თუმცა ჰეიგენს მათი დავიწყება რომც ნდომოდა, მაინც არ შეეძლო. დედამისი ერთი ბინძური, გონებრივად ჩამორჩენილი ქალი იყო, ანემიის ისეთი მძიმე ფორმით დაავადებული, რომ შვილების სიყვარულისა და მოვლის უნარიც კი არ ჰქონდა. ტომს მამა სძულდა. დედამისი სიკვდილის წინ დაბრმავდა და ტომი ამან სასტიკად შეაშინა, რადგან თვალების ქრონიკული ანთება ჰქონდა, დარწმუნებული იყო, თვითონაც დაბრმავდებოდა. მამის გარდაცვალების შემდეგ უცნაური ქცევა დასჩემდა, - ქუჩაში დაეხეტებოდა სასიკვდილოდ განწირული ცხოველივით, სანამ ერთ მშვენიერ დღეს სონიმ არ იპოვა სადარბაზოში მძინარე და შინ არ წაიყვანა. რაც მერე მოხდა, ნამდვილი სასწაული იყო. თუმცა ტომს კიდევ დიდხანს ესიზმრებოდა

კოშმარები. სიზმარში ხედავდა, რომ უსინათლო თეთრწვერა მოხუცი იყო, რომელიც ხელჯოხის კაკუნით მიიკვლევდა გზას, უკან კი გუნდად მიჰყვებოდნენ ბრმა შვილები, მომცრო ხელჯოხების მიწაზე კაკუნით, ყველანი მოწყალებას ითხოვდნენ. როცა ეღვიძებოდა, დონის სახე წარმოუდგებოდა გონებაში და შვებით ამოისუნთქავდა ხოლმე, - გადარჩენილი იყო.

მაგრამ დონმა აიძულა ტომი, სამი წელი ადვოკატად ემუშავა, ოჯახის წინაშე მისი მოვალეობების დამატებით. იმ პერიოდში მიღებულმა გამოცდილებამ ჰეიგენს შემდგომ არაერთხელ გაუწია ფასდაუდებელი სამსახური. ორი წელი იმუშავა საადვოკატო ფირმაში, რომელიც სისხლის სამართლის საქმეებით იყო დაკავებული და დონ კორლეონეს გარკვეული გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. თანდათანობით ყველა დარწმუნდა, რომ იურისპრუდენციის ამ დარგში ტომმა საკმარისზე მეტი ცოდნა შეიძინა. მას მერე, რაც იგი სავსებით გადავიდა საოჯახო ბიზნესში, დონ კორლეონეს მომდევნო ექვსი წლის განმავლობაში ერთხელაც არ მიუცია მისთვის შენიშვნა.

როდესაც ჰეიგენი კონსილიორის მოვალეობის შესრულებას შეუდგა, სხვა სიცილიურმა ოჯახებმა კორლეონეს ოჯახს ,,ირლანდიური ბანდა“ შეარქვეს. ჰეიგენმა ამაზე საკმაოდ იხალისა, მაგრამ, ამავე დროს, მიხვდა, რომ დონის გარდაცვალების შემდეგ ოჯახისთავი ვერ გახდებოდა. თუმც კი ჰეიგენი მაინც კმაყოფილი იყო. მიზნად ეს არც არასოდეს ჰქონია, ასეთი რამ პირადად მისი კეთილისმყოფლისა და მისი ოჯახის უპატივცემულობა იქნებოდა.

ჯერ ისევ ბნელოდა, როცა თვითმფრინავი ლოს-ანჯელესში დაეშვა. ჰეიგენი სასტუმროში დაბინავდა, შხაპი მიიღო, გაიპარსა, საუზმე და გაზეთები შეუკვეთა. დასასვენებლად ცოტა დრო ჰქონდა. ჯეკ ვოლცთან შეხვედრა დილის ათ საათზე იყო დანიშნული. ამ შეხვედრის ორგანიზება გასაოცრად იოლად მოხერხდა.

წინადღეს ჰეიგენმა ბილი გოფს დაურეკა, ვინც კინემატოგრაფისტთა პროფკავშირის ერთ-ერთი ხელმძღვანელი გახლდათ. ჰეიგენი დონ კორლეონეს ინსტრუქციების თანახმად მოქმედებდა. გოფს უთხრა, შემდეგი დღისათვის მოეწყო შეხვედრა და თან ვოლცისთვის მიენიშნებინა, რომ, თუკი ჰეიგენი მოლაპარაკებით უკმაყოფილო დარჩებოდა, შეიძლებოდა, სტუდიაში გაფიცვა დაწყებულიყო. ერთი საათის შემდეგ გოფმა დარეკა, ჰეიგენს უთხრა, რომ შეხვედრა დილის ათ საათზე გაიმართებოდა, ამასთან, დასძინა, რომ შეტყობინებას შესაძლო გაფიცვის შესახებ ვოლცზე დიდი შთაბეჭდილება არ მოუხდენია. ვოლცს უთქვამს: ,,თუ საქმე აქამდე მივა, პირადად დაველაპარაკები დონსო“.

- დონი თვითონ დაელაპარაკება, თუკი საქმე აქამდე მივა, - უთხრა ჰეიგენმა გოფს.

ჰეიგენი არაფერს დაჰპირებია, მაგრამ სულ არ გაჰკვირვებია, როცა ბილი გოფმა ასეთი ხალისით შეასრულა დონის განკარგულება. კორლეონეს ოჯახის ,,იმპერია“ ფორმალურად ნიუ-იორკის ფარგლებს არ სცილდებოდა, მაგრამ დონ კორლეონემ ძალაუფლება იმ დახმარების ხარჯზეც მოიპოვა, რაც პროფკავშირების ლიდერებს გაუწია თავის დროზე. არაერთი მათგანი კვლავაც დავალებული იყო დონის წინაშე.

მაგრამ ის, რომ შეხვედრა ათ საათზე დაინიშნა, ცუდის მომასწავებელი გახლდათ. ეს ნიშნავდა, რომ ჰეიგენი სიაში პირველია და ლანჩზე არ დაპატიჟებდნენ; ეს ნიშნავდა, რომ ვოლცი მას სათანადოდ ვერ აფასებდა. შესაძლოა, იმიტომ, რომ გოფი

საკმარისად არ დაემუქრა, რადგან ვოლცზეა დამოკიდებული, მისგან ფულს იღებს. დონის სურვილი, ყოველთვის ჩრდილში დარჩენილიყო, ოჯახის საქმეს ზოგჯერ ვნებდა კიდეც, რადგან მისი სახელი, ხშირ შემთხვევაში, განსაზღვრული წრის მიღმა მყოფ ადამიანებს არაფერს ეუბნებოდა.

ჰეიგენის შეფასება სწორი აღმოჩნდა. ვოლცმა თერთმეტის ნახევრამდე ალოდინა, მაგრამ ჰეიგენი ამას მშვიდად შეხვდა. მისაღები ოთახი ერთობ კომფორტულად მოეწყოთ, მის წინ სავარძელზე ყველაზე მშვენიერი გოგონა იჯდა, ვინც კი ოდესმე უნახავს. თერთმეტი-თორმეტი წლისა იქნებოდა, ეცვა სადა, მაგრამ მეტად ძვირფასი კაბა, ეცვა ზრდასრული ქალივით. მბზინავი, ოქროსფერი თმა, დიდი, ზღვასავით ლურჯი თვალები და მარწყვივით ვარდისფერი ტუჩები ჰქონდა. გოგონას გვერდით იჯდა ქალი, ალბათ, დედამისი, რომელიც ისეთი ცივი მედიდურობით შეჰყურებდა ჰეიგენს, რომ სურვილი გაუჩნდა, ცხვირში წკიპურტი ეტკიცა. „ბავშვი ანგელოზია, დედა კი - ურჩხული“, - გაიფიქრა ჰეიგენმა და ქალს საპასუხოდ რაც შეეძლო ცივი მზერა სტყორცნა.

ბოლოს და ბოლოს, გამოჩნდა ლამაზად ჩაცმული, მაგრამ მსუქანი შუახნის მდივანი ქალი, რომელმაც ჰეიგენი პროდიუსერის კაბინეტისკენ წაიყვანა. გზად რამდენიმე, ერთ ხაზზე განლაგებული ოთახი გაიარეს. ჰეიგენმა ყურადღება მიაქცია იმას, რამდენად ლამაზი იყო ოთახებიცა და იქ მომუშავე ხალხიც. ჰეიგენს გაეღიმა. ესენი ყველა ბედის მაძიებლები იყვნენ, ადამიანები, რომლებიც კინოში ფეხის შედგმას ცდილობდნენ და ოფისში დროებით მუშაობაზე თანხმდებოდნენ, მაგრამ მათი უმეტესობა ოფისშივე დარჩება მანამ, სანამ დამარცხებას არ აღიარებს და არ დაბრუნდება იქ, საიდანაც ჩამოვიდა.

ჯეკ ვოლცი მაღალი, ჩასხმული კაცი აღმოჩნდა, საკმაოდ მოზრდილი ღიპით, რომელსაც შესანიშნავად შეკერილი კოსტიუმი ოსტატურად ფარავდა. ჰეიგენმა იცოდა მისი ბიოგრაფია. ათი წლის ასაკში ჯეკ ვოლცი ისტ-საიდში ლუდის ცარიელ კასრებს დააგორებდა და ურიკას დაატარებდა. ოცი წლისა მამას ეხმარებოდა, რომ მუშებისთვის სიქა გაეცალა. ოცდაათი წლისამ ნიუ-იორკი მიატოვა, დასავლეთ სანაპიროზე გადასახლდა, ფული „ნიკელ-ოდეონში“ დააბანდა და „მოძრავი სურათების“ ერთ-ერთი პიონერი გახდა. ორმოცდარვა წლისა ჰოლივუდის ერთ-ერთი ყველაზე ძლევამოსილი მაგნატი გახლდათ, უხეში, ამორალური კაცი, რომელიც მგელივით დააცხრებოდა ხოლმე დამწყებ, დაუცველ კინომსახიობ გოგონებს. ორმოცდაათი წლისამ საკუთარ თავზე მუშაობა დაიწყო, ერთგვარი ტრანსფორმაცია განიცადა. დიქციის გამოსასწორებლად მასწავლებელი აიყვანა, გემოვნებით ჩაცმა დაიწყო, ტანსაცმელს ინგლისელ მკერავს უკვეთდა, ღირსეული ქცევის წესები თავისი ინგლისელი მაჟორდომისგან გადაიღო. პირველი ცოლის გარდაცვალების შემდეგ, ულამაზესი კინომსახიობი შეირთო, რომელსაც მსოფლიო სახელი ჰქონდა, თუმცა კინოში გადაღება არ უყვარდა. ახლა, სამოცი წლის ასაკში, გამოჩენილ ფერმწერთა ნამუშევრებს აგროვებდა, იყო პრეზიდენტის მრჩეველთა საბჭოს წევრი, დააფუძნა თავისი სახელობის მრავალმილიონიანი ფონდი, რომლის მიზანს კინოხელოვნების განვითარების ხელშეწყობა წარმოადგენდა. მისი ქალიშვილი ინგლისელ ლორდს გაჰყვა ცოლად, ვაჟმა კი იტალიელი პრინცესა შეირთო.

ვოლცის ბოლოდროინდელი გატაცება, რომლის შესახებაც გაზეთები ბეჯითად წერდნენ, სადოღე ცხენები იყო. მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში თავის

ცხენსაშენს ათი მილიონი დოლარი დაახარჯა. გაზეთები არშინიანი ასოებით იუწყებოდნენ მისი ყველაზე ძვირფასი შენაძენის, ინგლისური ჯიშის ცხენის, სახელად ,,ხართუმის" შესახებ, რომელშიც წარმოუდგენელი თანხა, - ექვსასი ათასი დოლარი გადაიხადა. ცოტა მოგვიანებით ვოლცმა განაცხადა, ,,ხართუმი" აღარასოდეს მიიღებს მონაწილეობას დოღში, ჩემს ცხენსაშენში მხოლოდ გამრავლებით იქნება დაკავებულიო.

ჰეიგენი ვოლცმა თავაზიანად მიიღო. შავგვრემანი, სუფთად გაპარსული სახე ცალყბად დამანჭა, რაც, ეტყობა, ღიმილს გამოხატავდა. საუკეთესო კოსმეტოლოგებზე დახარჯული ფულის მიუხედავად, ასაკი მაინც ცხადად ეტყობოდა, - კანი სახეზე თითქოს ცალკეული ნაკუწებისგან დაეკემსათ. თუმცაღა მის მოძრაობაში საოცარი სასიცოცხლო ენერგია იგრძნობოდა და, ამავე დროს, ის თვისებაც აშკარად ჰქონდა, რაც დონ კორლეონეს: აურა კაცისა, ვინც ერთპიროვნულად მართავს სამყაროს, რომელშიც ცხოვრობს.

ჰეიგენი პირდაპირ საქმეზე გადავიდა. უთხრა ვოლცს, რომ ჯონი ფონტეინის მეგობარმა გამოგზავნა; რომ ეს მეგობარი მეტად ძლევამოსილი კაცია და შეძლებს, სათანადოდ გამოხატოს მადლიერება და მეგობრული გრძნობა მისტერ და მის ვოლცებისადმი, თუკი ერთ მცირე თხოვნას შეუსრულებენ. ეს მცირე თხოვნა კი ის არის, რომ ჯონი ფონტეინმა მთავარი როლი მიიღოს ახალ ფილმში სამხედრო თემაზე, რომლის გადაღებასაც სტუდია ერთ კვირაში დაიწყებს.

დაკემსილი სახე არაფერს გამოხატავდა, ვოლცი სრულ სიმშვიდეს ინარჩუნებდა.

- რით შეუძლია თქვენს მეგობარს მადლიერების გამოხატვა? - ჰკითხა ჰეიგენს. ვოლცის ხმაში აშკარად გაისმა აგდებული ინტონაცია.

ჰეიგენმა ამას ყურადღება არ მიაქცია. ახსნა დაიწყო: - თქვენ მალე სტუდიის მუშებთან პრობლემა შეგექმნებათ. ჩემს მეგობარს შეუძლია მოგცეთ გარანტია, რომ ეს პრობლემა არ გაჩნდება. თქვენი სტუდიის ერთ-ერთი წამყვანი კინოვარსკვლავი, რომელსაც თქვენთვის მილიონები მოაქვს, ცოტა ხნის წინ მარიხუანიდან ჰეროინზე გადავიდა. ჩემს მეგობარს შეუძლია მოგცეთ გარანტია, რომ ის ვეღარასოდეს იშოვის ჰეროინს და, თუკი დროთა განმავლობაში თქვენ კიდევ შეგექმნებათ მსგავსი პატარ-პატარა პრობლემები, საკმარისი იქნება ერთი ტელეფონის ზარი ჩემს მეგობართან და ყველაფერი უმალ მოგვარდება.

ჯეკ ვოლცი ამ ყველაფერს ისე ისმენდა, თითქოს ბავშვის ტიტინი ყოფილიყოს. შემდეგ უხეშად ჰკითხა: - თქვენ მე მაწვებით?

ჰეიგენმა მშვიდად უპასუხა: - სულაც არა. მე მოვედი თხოვნით, რომ ჩემს მეგობარს სამსახური გაუწიოთ. ვცდილობ, აგიხსნათ, რომ ამით არაფერი დაგაკლდებათ.

ვოლცმა სახეზე მრისხანების ნიღაბი მოირგო. პირი დამანჭა, შუბლი შეიჭმუხნა, სქელი, შავი წარბები დაქაჩა. ჰეიგენისკენ გადაიწია, მაგიდის თავზე, და მიახალა: - ძალიან კარგი, ნაბიჭვარო, პირდაპირ გეტყვით შენც და შენს ბოსსაც, ვინც უნდა იყოს ის, - ჯონი ფონტეინი მაგ როლს ვერ ეღირსება... და თქვენი ნაბიჭვარი იტალიური მაფია ფეხებზე მკიდია.

ვოლცი სკამის საზურგეს მიეყრდნო.

- ერთ რჩევასაც მოგცემ, ჩემო კარგო. ჯ. ედგარ ჰუვერი, იმედია, გსმენია ეს სახელი, - ვოლცმა სარკასტულად გაიღიმა, - ჩემი პირადი მეგობარია. ერთ სიტყვას თუ ვეტყვი, რომ მაშანტაჟებთ, არც კი იცით, რა მოგივათ.

ჰეიგენი მოთმინებით უსმენდა. ვოლცის სტატუსის მქონე კაცისგან გაცილებით მეტს მოელოდა. ნუთუ შესაძლებელია, კაცი, რომელიც ასე ბრიყვულად იქცევა, იყოს მმართველი კომპანიისა, ასეულობით მილიონი დოლარი რომ ღირს? დონ კორლეონე ბოლო დროს რაიმე ახალ სფეროს ეძებს, სადაც ინვესტიციებს ჩადებს და თუკი ამ ინდუსტრიის ხელმძღვანელები ასეთი ჩლუნგები არიან, მაშინ მართლა ღირს კინოში ფულის დაბანდებაზე ფიქრი. პირადი შეურაცხყოფა ჰეიგენს სრულიად არ აღელვებდა. მოლაპარაკების ხელოვნება მას თვით დონ კორლეონემ ასწავლა.

- არასოდეს გაბრაზდე, - არიგებდა დონი, - არასოდეს დაემუქრო. იმსჯელე ადამიანებთან ერთად, საუბარში აიყოლიე.

სიტყვა „მსჯელობა“ იტალიურად უკეთ ჟღერდა, - „რაგიონარე“, ანუ ხელახლა გაერთიანება, მიმხრობა. მოლაპარაკების ხელოვნება მდგომარეობდა იმაში, რომ ყველა შეურაცხყოფა, ყველა მუქარა უნდა უგულებელყო და მეორე ლოყა მიუშვირო. ჰეიგენს ნანახი ჰქონდა, როგორ უჯდა დონ კორლეონე მოლაპარაკების მაგიდას რვა საათის განმავლობაში, ყლაპავდა შეურაცხყოფას, ცდილობდა, დაერწმუნებინა ერთი ცნობილი მაგარი კაცი, რომელსაც ძალიან დიდი წარმოდგენა ჰქონდა თავის თავზე. რვასაათიანი მოლაპარაკების შემდეგ დონმა ხელები გაასავსავა და მაგიდასთან მსხდომებს მიმართა: „არა, ამ კაცს ვერავინ დაარწმუნებს ამქვეყნად“, - მერე კი ადგა და ოთახიდან გავიდა. მაგარი კაცი გაფითრდა, სასწრაფოდ გაგზავნა თავისი ხალხი დონ კორლეონეს მოსაყვანად. დონი დაბრუნდა, შეთანხმებას მიაღწიეს, მაგრამ ორი თვის შემდეგ მაგარი კაცი თავის საყვარელ სადალაქოში ჩაცხრილეს.

ჰეიგენი კვლავ ალაპარაკდა, სავსებით ჩვეულებრივი ხმით: - შეხედეთ ჩემს სავიზიტო ბარათს, - თქვა მან, - მე ადვოკატი ვარ. როგორ გგონიათ, ყულფში გავყოფ თავს? განა ერთი სიტყვა მაინც დამცდა, რომელიც შეიძლებოდა მუქარად მიგეღოთ? ნება მომეცით, გაცნობოთ, რომ მზად ვარ, განვიხილო ნებისმიერი პირობა, რომელსაც თქვენ დაასახელებთ იმის სანაცვლოდ, რომ ჯონიმ როლი მიიღოს. ვფიქრობ, ძალზე დიდი რამ შემოგთავაზეთ ამ უმნიშვნელო სამსახურში. რამდენადაც მესმის, თქვენს ინტერესებშიც არის ამ წინადადების მიღება. როგორც ჯონიმ მითხრა, თქვენც ეთანხმებით იმ აზრს, რომ ის ამ როლისთვის ზედგამოჭრილია. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, ჩვენ არასოდეს გთხოვდით, რასაც გთხოვთ. და თუკი თქვენ ინვესტიციის საკითხი გაღელვებთ, შემიძლია გითხრათ, რომ ჩემი კლიენტი დააფინანსებს ფილმს. ნება მომეცით, სათქმელი ბოლომდე გითხრათ. ჩვენთვის გასაგებია, რომ თქვენი „არა“ ნიშნავს „არა“ -ს. არავინ გატანთ ძალას და არც ცდილობს, გაიძულოთ. ჩვენ ვიცით მისტერ ჰუვერთან თქვენი მეგობრობის შესახებ და ჩემი ბოსი ამის გამო დიდ პატივს გცემთ. ის ამ ურთიერთობას მეტად აფასებს.

ვოლცი ფურცელზე დიდი, წითელი ავტოკალმით რაღაცას ჯღაბნიდა. ფულის ხსენებისას აშკარად დაინტერესდა, ჯღაბნა შეწყვიტა და უთხრა: - ამ ფილმის ბიუჯეტი ხუთი მილიონი დოლარია.

ტომმა ხმამაღლა დაუსტვინა, რომ ეჩვენებინა, თანხამ მასზე რა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. შემდეგ თითქოსდა სასხვათაშორისოდ შენიშნა: - ჩემს ბოსს ბევრი მეგობარი ჰყავს, ვინც მის გადაწყვეტილებას მხარს უჭერს.

მთელი ამ ხნის განმავლობაში, ვოლცმა პირველად იგრძნო, რომ საქმეს სერიოზულად უნდა შეხედოს. ჰეიგენის სავიზიტო ბარათი ხელში აიღო და კიდევ ერთხელ დაათვალიერა.

- არასოდეს გამიგია ეს სახელი, - უთხრა ჰეიგენს, - მე პირადად ვიცნობ ნიუ-იორკის კარგი ადვოკატების უმრავლესობას, მაგრამ შენ ვინ ოხერი ხარ? - მე ბევრი ღირსეული კორპორაციისთვის მიმუშავია, - მიუგო ჰეიგენმა ცივად, - ახლა კი ანგარიში მაქვს ჩასაბარებელი.

ჰეიგენი წამოდგა.

- დროს აღარ წაგართმევთ, - უთხრა ვოლცს და ხელი გაუწოდა. ვოლცმა ხელი ჩამოართვა.

ჰეიგენმა კარისკენ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, შემდეგ შემოტრიალდა და თქვა: - მივხვდი, რომ თქვენ ძალზე ხშირად გაქვთ საქმე ისეთ ადამიანებთან, ვინც ცდილობს, თავი უფრო მნიშვნელოვნად მოგაჩვენოთ, ვიდრე სინამდვილეშია. ჩემს შემთხვევაში კი პირიქითაა. იქნებ, გაგერკვიათ ეს ჩვენი საერთო მეგობრის დახმარებით? სასტუმროში დამირეკეთ, თუკი რაიმეს მოიფიქრებთ.

ჰეიგენი ცოტა ხანს დუმდა.

- შესაძლოა, მკრეხელობად მოგეჩვენოთ, მაგრამ ჩემს კლიენტს შეუძლია ისეთი რაღაცაც კი გაგიკეთოთ, რასაც მისტერ ჰუვერი ვერასოდეს შეძლებს.

ჰეიგენმა დაინახა, ვოლცმა თვალები მოწკურა. ეტყობა, ბოლოს და ბოლოს, მოსმენილის გაცნობიერება დაიწყო. - სხვათა შორის, თქვენი ფილმები ძალიან მომწონს, - უთხრა ჰეიგენმა რაც შეეძლო მაამებლურად, - იმედი მაქვს, ასევე გააგრძელებთ. ჩვენს ქვეყანას ეს ნამდვილად სჭირდება.

დღისით ჰეიგენს ვოლცის მდივანმა ქალმა დაურეკა სასტუმროში და უთხრა, რომ დაპატიჟებულია სადილზე და ერთი საათის განმავლობაში გამოუვლის მანქანა, რომელიც ქალაქგარეთ, ვოლცის სახლში წაიყვანს. გზას სამი საათი დასჭირდება, მაგრამ მანქანაში არის ბარი: სასმელები და ცივი საუზმეო. ჰეიგენმა იცოდა, ვოლცი საკუთარი თვითმფრინავით აპირებდა გამგზავრებას და გაუკვირდა, რატომ არ შესთავაზა მასთან ერთად გადაფრენა. მდივანმა ქალმა თავაზიანად დასძინა, მისტერ ვოლცი უკან დააბრუნებს ისე, რომ აეროპორტში დილაადრიან მოასწროს მისვლა.

ჰეიგენმა მიპატიჟება მიიღო. კიდევ ერთმა რაღაცამ გააკვირვა: საიდან გაიგო ვოლცმა, რომ მეორე დილით აპირებდა ნიუ-იორკში დაბრუნებას? ჰეიგენი ამაზე დაახლოებით, ერთი წუთის განმავლობაში ფიქრობდა. ყველაზე დამაჯერებელი ახსნა ის იყო, რომ ვოლცს დაქირავებული ჰყავდა კერძო დეტექტივები, რომლებიც ჰეიგენს უთვალთვალებდნენ. თუკი ასეა, მაშინ ვოლცმა უკვე იცის, რომ დონ კორლეონეს წარმომადგენელია, ესე იგი, უკვე რაღაც იცის დონზე, რაც, თავის მხრივ, იმას ნიშნავს, რომ ვოლცი უკვე მზადაა, სერიოზულად შეხედოს ამ საქმეს. „იქნებ,

რაღაც გამოვიდეს კიდეც, - გაიფიქრა ჰეიგენმა, - შესაძლოა, ვოლცი უფრო გამჭრიახი აღმოჩნდეს, ვიდრე ამ დილით ჩანდა“.

*

ჯეკ ვოლცის რეზიდენცია უზარმაზარ, პომპეზურ კინოთეატრს ჩამოჰგავდა. კოლონიური სტილის ცალკე მდგომ ვეება სახლს გარს ერტყა პარკი, სადაც ცხენების საჯირითოდ შავი გრუნტით დაფარული ბილიკები გაეკეთებინათ. იქვე საჯინიბოები და ცხენების საბალახო ადგილები იყო. მწვანე ბუჩქების მესერი და ყვავილნარი საგულდაგულოდ იყო გაკრეჭილი, კინოვარსკვლავის ფრჩხილებივით.

ვოლცი ჰეიგენს დიდი ზომის მინის პანელებით მოპირკეთებულ, კონდიცირებულ წინკარში მიეგება. თავისუფალ სტილზე ეცვა: გადაღეღილი ლურჯი აბრეშუმის პერანგი, მდოგვისფერი, ფართო შარვალი, რბილი ტყავის სანდალეტები. ამ ფერადი, ძვირფასი მატერიის ჩარჩოში ჩასმული მისი თითქოსდა დაკემსილი სახე შეუვალი ჩანდა. ვოლცმა ჰეიგენს „მარტინის“ მოზრდილი ჭიქა მიაწოდა და იქვე მდგარი ლანგრიდან ერთი თავისთვისაც აიღო. ეტყობოდა, სურდა უფრო კეთილგანწყობილი გამოჩენილიყო, ვიდრე დილით ბრძანდებოდა. ვოლცმა ჰეიგენს მხარზე ხელი დაადო და უთხრა: - სადილამდე ცოტა დრო გვაქვს, მოდი, ჩემი ცხენები ვნახოთ.

როცა საჯინიბოსკენ მიდიოდნენ, ვოლცმა თქვა: - ტომ, გავარკვიე, ვის წარმოადგენ. მაშინვე უნდა გეთქვა, რომ შენი ბოსი კორლეონეა. თავიდან ვიფიქრე, ვიღაც ტუფტა ჩალიჩა ბიჭია-მეთქი, ჯონისგან ჩემს დასაშინებლად მოგზავნილი. კარგად დაიმახსოვრე, მე ვერავინ დამაშინებს. არა, ისე არ გაიგო, თითქოს ახალი მტრების შეძენა მინდოდეს, თუმცა არც ამას ვერიდები, მაგრამ, მოდი, ჯერ ვისიამოვნოთ, საქმეზე სადილის შემდეგ ვილაპარაკოთ.

ტომისთვის მოულოდნელად, ვოლცი მართლაც ყურადღებიანი მასპინძელი გამოდგა. ჰეიგენს ის ახალი მეთოდები და სიახლენი გააცნო, რაც, როგორც იმედოვნებდა, მის საჯინიბოს ამერიკაში საუკეთესოდ აქცევდა. საჯინიბო მთლიანად ცეცხლგამძლე მასალისგან იყო აგებული, სანიტარიულად უმაღლეს დონეზე მოვლილი, კერძო დეტექტივთა საგანგებო დამცავი ქსელით გარემოცული. ბოლოს, ვოლცმა ჰეიგენი ცხენის სადგომთან მიიყვანა, რომლის კედელზე ბრინჯაოს ფირფიტა მიემაგრებინათ წარწერით: „ხართუმი“.

სადგომში მყოფი ცხენი, ჰეიგენის გამოუცდელი თვალისთვისაც კი, საოცრად ლამაზი ცხოველი იყო. „ხართუმი“ მთლიანად შავი იყო, მხოლოდ შუბლზე ჰქონდა თეთრი ვარსკვლავი. დიდრონ თვალებს ოქროს ვაშლებივით აკვესებდა, მბზინავი, შემოტკეცილი ტყავი აბრეშუმისა გეგონებოდა.

ვოლცი ბავშვივით ამაყი ჩანდა. ჰეიგენს უთხრა: - ეს არის საუკეთესო სადოღე ცხენი მსოფლიოში. შარშან ინგლისში ექვსასი ათას დოლარად შევიძინე. ერთ ცხენში ამდენი ფული რუსეთის მეფეებსაც კი არ გადაუხდიათ, მაგრამ დოღში მის გაყვანას არ ვაპირებ, გასამრავლებლად მინდა. უნდა შევქმნა სადოღე ცხენების უდიდესი საშენი, რაც კი ოდესმე ყოფილა ამ ქვეყანაში.

ცხენს ფაფარზე ხელი გადაუსვა და ალერსიანად დაუძახა: „ხართუმ“, „ხართუმ“. მის ხმაში ნამდვილი სიყვარული იგრძნობოდა და ცხენიც გამოეპასუხა.

ვოლცმა ჰეიგენს უთხრა: - მე კარგი ცხენოსანი ვარ, ალბათ, იცით, პირველად ცხენზე ორმოცდაათი წლისა შევჯექი, - ვოლცმა გაიცინა, შემდეგ განაგრძო, - შესაძლოა, ჩემმა ერთ-ერთმა ბებიამ თავის დროზე რუსეთში კაზაკთან დაიჭირა საქმე და იმისგან მაქვს სისხლში ცხენების სიყვარული.

,,ხართუმს" მუცელზე ხელი მოუთათუნა და გულწრფელი აღტაცებით თქვა: - ერთი ამის ასოს შეხედეთ. ასეთ ასოზე არც მე ვიტყოდი უარს!

ვოლცი და ჰეიგენი სახლში შებრუნდნენ. სადილს სამი ოფიციანტი ემსახურებოდა, დანა-ჩანგალი ვერცხლისა იყო, ჭურჭელი - უძვირფასესი, მაგრამ თვით კერძები ჰეიგენს მაინცდამაინც არ ეგემრიელა. ვოლცი მარტო ცხოვრობდა და აშკარად არ ჰგავდა კაცს, ვინც საჭმელზე ბევრს ზრუნავს.

ჰეიგენი დაელოდა იმ მომენტს, როდესაც კუბური სიგარები გააბოლეს და ვოლცს ჰკითხა: - მიიღებს ჯონი როლს თუ არა?

- ვერ მიიღებს, - მიუგო ვოლცმა, - რომც მინდოდეს, ჯონის ფილმში მაინც ვეღარ ჩავსვამ. ყველა კონტრაქტი ხელმოწერილია, გადაღება ერთ კვირაში იწყება. ვეღარაფერს შევცვლი.

ჰეიგენმა მოუთმენლად უთხრა: - მისტერ ვოლც, საქმის სათავეში მყოფ კაცთან ურთიერთობის უპირატესობაც ის არის, რომ მისთვის ასეთი დაბრკოლება არაფერს ნიშნავს. თქვენ შეგიძლიათ გააკეთოთ ყველაფერი, რასაც კი მოისურვებთ.

ჰეიგენმა სიგარის კვამლი ბოლქვებად გამოუშვა და დასძინა: - არ გჯერათ, რომ ჩემი კლიენტი ასრულებს იმას, რასაც იტყვის?

ვოლცმა ცივად უპასუხა: - ვიცი, რომ სტუდიის მუშებთან პრობლემები შემექმნება. იმ ნაბიჭვარმა გოფმა პირდაპირ გამომიცხადა და თანაც ისე მელაპარაკა, თითქოს არასოდეს მიმიცია მისთვის ფული, არადა ყოველ წელს ასი ათასს ვუდებ ჯიბეში. არ მჯერა, რომ ის ჩემი პედერასტი კინოვარსკვლავი ჰეროინს ვეღარ იშოვის, მაგრამ ეს არ მენაღვლება, ფილმის დაფინანსება კი მე თვითონაც შემიძლია. საქმე ის არის, რომ ჯონი ფონტეინი მძულს. გადაეცი შენს ბოსს, ამ ერთ თხოვნას ვერ შევუსრულებ. ნებისმიერ სხვა რაღაცას, კი ბატონო, გამომცადოს. ყველაფერს გავუკეთებ.

,,შე ნაბიჭვარო, მაშინ აქ რა ჯანდაბისთვის მოგყავდი?" - გაიფიქრა ჰეიგენმა. ეტყობა, პროდიუსერს რაღაც ჰქონდა ჩაფიქრებული.

ჰეიგენმა ცივად თქვა: - მგონი, თქვენ სიტუაციაში ვერ გაერკვიეთ. მისტერ კორლეონე ჯონი ფონტეინის ნათლიაა. ეს უაღრესად ახლო, მეტად წმინდა, რელიგიური ურთიერთობაა.

ვოლცმა თავი დაუქნია იმის ნიშნად, რომ პატივს სცემს რელიგიას.

ჰეიგენმა გააგრძელა: - იტალიელებს ერთი ხუმრობა აქვთ: ამქვეყნიური ცხოვრება იმდენად მძიმეა, რომ კაცს ორი მამა სჭირდება მოსავლელად, ამიტომაცა ჰყავს ნათლიაო. მას მერე, რაც ჯონის მამა გარდაიცვალა, მისტერ კორლეონე თავის მოვალეობას განსაკუთრებულად გრძნობს. რაც შეეხება იმას, რომ კიდევ გამოგცადოთ, მისტერ კორლეონე ძალზე მგრძნობიარე ადამიანია. იგი არასოდეს აღარაფერს სთხოვს იმას, ვინც ერთხელ უკვე უარი უთხრა.

ვოლცმა მხრები აიჩეჩა და თქვა: - ბოდიში, მაგრამ ჩემი პასუხი კვლავაც უარყოფითია, მაგრამ რადგან მაინც აქ ვართ, რა დამიჯდება, მუშების პრობლემა თავიდან რომ ავიცილო? ნაღდ ფულს ვიხდი. დღესვე.

ამ სიტყვებმა ჰეიგენისთვის ყველაფერი ცხადი გახადა; ანუ რატომ ხარჯავდა ვოლცი მასზე ამდენ დროს, როცა წინასწარ ჰქონდა გადაწყვეტილი, რომ ჯონის როლს არ მისცემდა. მოლაპარაკებისას ის აზრის შეცვლას არ აპირებდა. ვოლცი თავს უსაფრთხოდ გრძნობდა, არ აშინებდა დონ კორლეონეს ძალაუფლება. ვოლცს სამთავრობო წრეებში პოლიტიკური კავშირები მართლაც ჰქონდა, ,,ეფ-ბი-აისთან" პირადი ნაცნობობა აკავშირებდა, კინოინდუსტრიაში დიდ ქონებასა და აბსოლუტურ ძალაუფლებას ფლობდა, ამდენად, დონ კორლეონეს მუქარა არაფრად მიაჩნდა. ნებისმიერი გონიერი ადამიანი, მათ შორის ჰეიგენიც, იფიქრებდა, რომ ვოლცმა სწორად შეაფასა სიტუაცია. დონ კორლეონესათვის ის მიუწვდომელი ჩანდა, თანაც თანახმა იყო, მოსალოდნელი გაფიცვის ზარალი დაეფარა. თუმცა მთელ ამ გათვლაში ერთი შეცდომა მაინც იყო, - დონ კორლეონე დაჰპირდა ნათლულს, როლს მიიღებდა, ხოლო დონს სიტყვა არასოდეს გაუტეხია, ყოველ შემთხვევაში, ჰეიგენს ასეთი რამ არ ახსოვდა.

ჰეიგენმა მშვიდად თქვა: - თქვენ განზრახ არ გინდათ სწორად გამიგოთ. ცდილობთ, გამოძალვის მონაწილედ წარმომაჩინოთ. მისტერ კორლეონე მხოლოდ იმას გპირდებათ, რომ თქვენს სასარგებლოდ სიტყვას იტყვის მუშებთან მოსალოდნელი გართულებისას, იტყვის, როგორც მეგობარი, იმის სანაცვლოდ, რომ თქვენ მისი კლიენტის სასარგებლოდ იტყვით სიტყვას. ეს არის გავლენათა მეგობრული გაცვლა, მეტი არაფერი, მაგრამ ვგრძნობ, თქვენ სერიოზულად ვერ აღმიქვამთ. პირადად მე, მგონია, რომ თქვენ შეცდომას უშვებთ.

ვოლცმა, თითქოს ამ მომენტს ელოდებოდაო, თავს უფლება მისცა, გაბრაზება აშკარად გამოეხატა.

- ყველაფერი კარგად მესმის, - თქვა მან, - ეს მაფიის სტილია, არა? თავის მოქონვა, დაშაქრული ლაპარაკი, ამავე დროს, რასაც ამბობთ, ნამდვილი მუქარაა. ასე რომ, ყველაფერს თავის სახელს დავარქმევ. ჯონი ფონტეინი ვერასოდეს მიიღებს ამ როლს, თუმც კი მისთვის ზედგამოჭრილია. ეს როლი მას დიდ სახელს მოუტანდა, როგორც კინოვარსკვლავს, მაგრამ ვერ ეღირსება, რადგან მძულს ეგ ნაბიჭვარი და კინემატოგრაფიდან საერთოდაც უნდა მოვისროლო. გეტყვი, რატომაც - მან დაღუპა ჩემი ერთ-ერთი ყველაზე ძვირფასი პროტეჟე. ამ გოგონას ხუთი წელი ვამზადებდი, ვასწავლიდი სიმღერას, ცეკვას, სამსახიობო ოსტატობას, ათასობით დოლარი დავახარჯე. კინოვარსკვლავი უნდა გამხდარიყო. გულახდილად ვლაპარაკობ, რომ გაჩვენო, გულქვა კაცი არა ვარ და საქმე მხოლოდ დოლარები და ცენტები არ არის. ქალიშვილი, მართლაც რომ, მშვენიერი იყო, არადა მე მყოლია ქალები მთელი მსოფლიოდან, მაგრამ გამოჩნდა ჯონი თავისი დათაფლული ენითა და დამპალი იტალიური მომხიბლაობით და გოგო გამექცა. ყველაფერი დააგდო, ნამდვილ ბრიყვად გამომიყვანა, ჩემი მდგომარეობის კაცი კი ვერ მივცემ თავს უფლებას, ბრიყვად გამოვიყურებოდე. ჯონის სამაგიეროს გადავუხდი.

ვოლცმა პირველად მოახერხა ჰეიგენის განცვიფრება. ტომს წარმოუდგენლად მიაჩნდა, რომ ზრდასრული კაცი ამგვარ ბანალურ ემოციებს მის საქმიან

გადაწყვეტილებაზე ზემოქმედების ნებას აძლევდა, თანაც ესოდენ მნიშვნელოვან საქმეში. ჰეიგენის სამყაროში, დონ კორლეონეს სამყაროში, ფიზიკურ სილამაზეს, ქალის სექსუალურ მიმზიდველობას იოტისოდენა მნიშვნელობაც კი არ ჰქონდა. ეს კერძო, პირადი საკითხი იყო, ცხადია, იმ შემთხვევის გარდა, როცა საქმე ქორწინებასა და ოჯახის ღირსებას ეხებოდა.

ჰეიგენმა კიდევ ერთხელ სცადა ბედი: - თქვენ სავსებით მართალი ბრძანდებით, მისტერ ვოლც, - თქვა ჰეიგენმა, - მაგრამ არის კი თქვენი უკმაყოფილება ესოდენ ღირებული? ეტყობა, თქვენ ვერ გააცნობიერეთ, ჩემი კლიენტისათვის ეს მცირედი სამსახური რამდენად მნიშვნელოვანია. მისტერ კორლეონეს ჩვილი ჯონი ხელში ჰყავდა აყვანილი, როცა ნათლავდნენ. როდესაც ჯონის მამა გარდაიცვალა, მამის მოვალეობა მისტერ კორლეონემ იტვირთა. მას მართლაც ბევრი ადამიანი უწოდებს ნათლიას, რადგან სურთ, გამოხატონ პატივისცემა და მადლიერება იმ დახმარებისათვის, რომელიც მათ გაუწია. მისტერ კორლეონე თავის მეგობრებს გასაჭირში არასოდეს ივიწყებს.

ვოლცი უეცრად ადგა და თქვა: - მე საკმარისად ბევრი გისმინე. ბანდიტებისგან ბრძანებებს არ ვიღებ, მე თვითონ ვაძლევ მათ ბრძანებებს. თუკი ახლა დავრეკავ, სადაც საჭიროა, ამ ღამეს ციხეში გაათენებ და, თუკი ეგ შენი დამპალი მაფია რაიმეს დააპირებს, იცოდე, მე ორკესტრის დირიჟორი არ ვარ. დიახ, ეგ ისტორიაც კარგად მომეხსენება. მისმინე, ეგ შენი მისტერ კორლეონე აზრზე მოსვლასაც კი ვერ მოასწრებს, თუ თეთრ სახლში ჩემი კავშირები ავამოქმედე.

,,რეგვენი, რეგვენი ნაბიჭვარი", - ფიქრობდა ჰეიგენი და უკვირდა, რა ჯანდაბის ხარჯზე გახდა ეს კაცი ასეთი წონის ბობოლა. პრეზიდენტის მრჩეველი და უდიდესი კინოსტუდიის ხელმძღვანელია. არა, დონი ნამდვილად უნდა შევიდეს კინობიზნესში. ეს ტიპი სიტყვებს პირდაპირი მნიშვნელობით იგებს, მათი გარეგნული, სენტიმენტალურ-ემოციური მნიშვნელობით. ვერ ხვდება, რა იმალება ნათქვამის უკან. ნათქვამის არსს ელემენტარულად ვერ ჩასწვდა.

ჰეიგენი წამოდგა.

- დიდი მადლობა სადილისა და სასიამოვნო საღამოსათვის, - უთხრა ვოლცს, - შეგიძლიათ, მომცეთ ტრანსპორტი, აეროპორტამდე რომ მივიდე? ღამე აქ დარჩენას არ ვაპირებ, - ჰეიგენმა ვოლცს ცივად გაუღიმა და განაგრძო, - დონ კორლეონე ის კაცია, ვინც მოითხოვს, ცუდი ამბები დაუყოვნებლივ მოახსენონ.

სანამ ჰეიგენი გაჩახჩახებულ გალერეაში მანქანის მოსვლას ელოდებოდა, ორი ქალი დაინახა, სახლის წინ მდგომი გრძელი ლიმუზინისკენ რომ მიდიოდნენ. ესენი იყვნენ თორმეტიოდე წლის ულამაზესი ქერათმიანი გოგონა და დედამისი, ამ დილით ვოლცის ოფისში რომ ნახა, მაგრამ ახლა გოგონას მშვენიერი ვარდისფერი ტუჩები დასივებოდა, ცომივით სქელ მასას დამსგავსებოდა. ზღვასავით ლურჯი თვალები გადმოქაჩვოდა, ბარბაცით მიდიოდა, დასახიჩრებული კვიცივით. გოგონა დედას მიჰყავდა, სიარულში ეხმარებოდა, მერე მანქანაში ჩასვა. დედამ ჰეიგენს მალულად ელვისებური მზერა სტყორცნა და ჰეიგენმა მის თვალებში ტრიუმფის ნაპერწკალი შენიშნა. დედა-შვილი მანქანაში ჩაჯდა და გაუჩინარდა.

„აი, რატომ არ წამიყვანა ვოლცმა თვითმფრინავით“, - მოისაზრა ჰეიგენმა. კინოპროდიუსერთან ერთად გოგონამ და დედამისმა იმგზავრეს. თვითმფრინავში ვოლცს საკმარისი დრო ჰქონდა, რომ სადილის წინ გოგონასთან თავის შექცევა მოესწრო.

და ჯონის ამ სამყაროში სურს ცხოვრება? მაშ, კარგად იყოს ჯონიც და კარგად ჰყავდეს ეგ თავისი ვოლციც.

პაულო გატოს არ მოსწონდა სასწრაფო სამუშაო, განსაკუთრებით, თუკი ის ძალის გამოყენებას მოითხოვდა. მას ყველაფრის წინასწარ დაგეგმვა უყვარდა, ხოლო ისეთი საქმე, რომელიც ამ ღამეს მოელოდა, მცირედი შეცდომის შემთხვევაში სერიოზულ გართულებად შეიძლებოდა ქცეულიყო. ახლა გატო ბარში იჯდა, ლუდის წრუპვა-წრუპვით თვალს ადევნებდა ორ ჯეელს, რომლებიც ორ გოგოს ელაზღანდარებოდნენ.

პაულო გატომ ყველაფერი იცოდა ამ ჯეელების შესახებ. მათ ჯერი ვაგნერი და კევინ მუნანი ერქვათ. ორივე ოციოდე წლისა იყო, კარგი შესახედაობის, წაბლისფერთმიანი, მაღალი. ორ კვირაში ორივე ქალაქიდან უნდა გასულიყო, კოლეჯში გამგზავრებულიყო, ორივეს ჰყავდა პოლიტიკურ სფეროებში გავლენიანი მამები და ორივეს კოლეჯის სტუდენტის სტატუსი სამხედრო სამსახურისგან ათავისუფლებდა. ორივე პირობით სასჯელს იხდიდა ამერიგო ბონასერას ქალიშვილის გაუპატიურების მცდელობისათვის. „ნაბიჭვრები“, - გაიფიქრა პაულო გატომ. ჯარიდან თავი დაიძვრინეს, პირობითი სასჯელი ფეხებზე ჰკიდიათ, შუაღამისას ბარიდან ბარში დაეთრევიან, ლოთობენ, ქალებს აბამენ. ნაძირალები. თვით პაულო გატოც გათავისუფლებული გახლდათ სამხედრო სამსახურისგან, რადგან მისმა ექიმმა გამწვევ კომისიას საბუთები წარუდგინა, სადაც ეწერა, რომ ამ პაციენტმა, მამაკაცმა, თეთრკანიანმა, ოცდაექვსი წლისამ, დაუქორწინებელმა, უბედური შემთხვევის შედეგად მიიღო ელექტროშოკი, რომელმაც მის გონებრივ შესაძლებლობებზე უარყოფითად იმოქმედა. ეს, ცხადია, თავიდან ბოლომდე სიცრუე გახლდათ, მაგრამ, როგორც გატოს მიაჩნდა, მან ჯარიდან გათავისუფლება სავსებით დაიმსახურა. ეს ყველაფერი კლემენცას ორგანიზებული იყო მას შემდეგ, რაც გატომ თავი გადადო ოჯახის ბიზნესისათვის.

კლემენცამ გააფრთხილა გატო, ჯეელების საქმე მანამ მოეგვარებინა, სანამ კოლეჯში დაბრუნდებოდნენ. გატოს ვერ გაეგო, რატომ იყო აუცილებელი საქმის გაკეთება მაინცდამაინც ნიუ-იორკში. კლემენცა ყოველთვის იძლეოდა დამატებით ბრძანებებს, ნაცვლად იმისა, უბრალოდ საქმე დაევალებინა. ამიტომ, თუკი ეს ორი გოგო ჯეელებს გაჰყვება, შეიძლება ეს ღამეც დაკარგულად ჩაითვალოს.

გაიგონა, როგორ თქვა ერთ-ერთმა გოგომ სიცილით: - გაგიჟდი, ჯერი? მანქანაში არ ჩაგიჯდები. არ მინდა საავადმყოფოში აღმოვჩნდე იმ საწყალი ქალიშვილივით.

გატოსთვის ეს ნიშანი იყო. მან ლუდის სმა დაამთავრა და ბნელ ქუჩაში გამოვიდა. ძალიანაც კარგი. შუაღამეს გადაცილებული იყო. ახლომახლო მხოლოდ ერთი ბარიღა ჩანდა განათებული. ყველა სხვა დაწესებულება უკვე დაეკეტათ. უბნის პოლიციის მანქანაზე კლემენცა იზრუნებს. ამ გზაზე არ გამოივლის, სანამ რადიოთი შეტყობინებას არ მიიღებს და, თანაც, ნელა წამოვა.

პაულო გატო იქვე მდგომ „შევროლე სედანის“ ფანჯრისკენ დაიხარა და უკანა სავარძელზე მჯდომ ორ კაცს უთხრა: „როცა გამოვლენ, მიდით“. სიბნელეში კაცები არ ჩანდნენ, თუმცა ორივე კი ძალზე ზორბა, დიდი ტანისა იყო.

გატომ გაიფიქრა, რომ ყველაფერი საკმაოდ სწრაფად მოგვარდებოდა. კლემენცამ ორი ჯეელის ფოტოები გადასცა, რაც პოლიციაში გადაუღეს, და პოლიციისავე საიდუმლო ინფორმაცია, სად დაიარებოდნენ ყოველღამ სალოთაოდ და გოგოების გამოსაჭერად. პაულომ ოჯახის ხალხიდან ორი მაგარი დამრტყმელი აიყვანა, ჯეელებზე მიუთითა და ინსტრუქციაც გადასცა. თავში ან კეფაში არ უნდა ურტყან, რომ შემთხვევით არ შემოაკვდეთ. დანარჩენი მათი გადასაწყვეტია, ყველაფერი შეუძლიათ უქნან. და კიდევ ერთი გაფრთხილება მისცა: „თუკი იმ ჯეელებს საავადმყოფოში ერთ თვეზე მეტხანს არ გააჩერებენ, ისევ სატვირთო მანქანებს დაუბრუნდებით“.

ადრე ორივენი სატვირთო მანქანების მძღოლებად მუშაობდნენ. ყოფილი მოკრივეები იყვნენ, რომლებსაც დიდი სპორტული მიღწევები არასოდეს ჰქონიათ, პატარ-პატარა კლუბებს არ გასცილებიან. ისინი სონი კორლეონემ მოიყვანა და ამ საქმეზე დააყენა, რაც მათ ცხოვრების საკმაო სახსარს აძლევდა. ახლა ორივეს უნდოდა თავისი მადლიერება დაემტკიცებინა.

ჯერი ვაგნერი და კევინ მუნანი ბარიდან გვარიანად შეზარხოშებულები გამოვიდნენ. გოგოების დაცინვამ მათ ყმაწვილურ პატივმოყვარეობაზე იმოქმედა. პაულო მანქანის კაპოტზე გადაიწია და სიცილით გასძახა: „ჰეი, კაზანოვა, ახლა ჭკუაზე მოგიყვანთ“.

ორი ჯეელი მისკენ სიხარულითაც კი შემობრუნდა. პაულო გატო ბოღმის ამოსანთხევად შესაფერისი ობიექტი ჩანდა, - ტანდაბალი, სუსტი აღნაგობის ახალგაზრდა. ჯეელები მისცვივდნენ და უცებ იგრძნეს, რომ ზურგიდან ვიღაც იჭერდა. ამასობაში პაულო გატომ ხელზე რკინის ბალთებით ასხმული კასტეტი გაიკეთა. სხარტად მოქმედებდა, კვირაში სამჯერ დადიოდა სპორტულ დარბაზში სავარჯიშოდ. გატომ ვაგნერს პირდაპირ ცხვირში ხეთქა მუშტი. მერე იმან, რომელსაც ვაგნერი ჰყავდა გაკავებული, ჰაერში ასწია იგი და გატომ ახლა ლაჯებშუა დაარტყა მთელი ძალით. ვაგნერი მოიმჩვარა და კაცმა ხელი უშვა, მიწაზე დააგდო. ამ ყველაფერს ექვს წამზე მეტი არ დასჭირვებია.

ახლა კევინ მუნანს მიუბრუნდნენ, რომელიც დაყვირებას ამაოდ ცდილობდა. კაცი მას ადვილად აკავებდა ცალი ხელით, მეორეს კი ყელზე უჭერდა, ხმა რომ არ ამოეღო.

პაულო გატო მანქანაში შეხტა და ძრავა აამუშავა. ყოფილი მოკრივეები მუნანს ძვალსა და რბილს უერთიანებდნენ. ისე სცემდნენ, თითქოს არსად ეჩქარებოდათ. რიგრიგობით ურტყამდნენ, მცირედი შეყოვნებით, დარტყმაში მთელ ძალას დებდნენ. გატომ მუნანის სახეს მოჰკრა თვალი. მისი ცნობა უკვე შეუძლებელი იყო. მერე კაცებმა მუნანი მიაგდეს და ისევ ვაგნერს მიუბრუნდნენ. ვაგნერი ფეხზე წამოდგომას ცდილობდა, ამიტომ უფრო სწრაფად უნდა ემოქმედათ. მუხლებში ხელკეტი ჩაარტყეს, მერე ერთ-ერთმა მკლავზე მოჰკიდა ხელი, ამოუბრუნა, დაუტრიალა და გადაუმტვრია. ძვლის მტვრევის ხმას ვაგნერის სასოწარკვეთილი კივილი დაერთო, - ახლომდებარე სახლებში სინათლეები აინთო, მობინადრეებმა ფანჯრები გააღეს და ქუჩაში გადმოიხედეს. დამრტყმელები ახლა რაც შეეძლოთ სწრაფად ამოქმედდნენ. ერთ-ერთმა ვაგნერი ორივე ხელით ასწია, მისი თავი ისე ეჭირა, თითქოს დიდი ლარნაკი ყოფილიყოს. მეორემ ამ დროს თავისი უზარმაზარი

მუშტი ამ უძრავ სამიზნეს მთელი ძალით სთხლიშა. ბარიდან ვიღაცები გამოვიდნენ, მაგრამ ჩარევა არავის უცდია. პაულო გატომ დაუძახა: ,,კმარა, მოდით!" - კაცები მანქანაში ჩახტნენ და გატომ ავტომობილი მიწას მოსწყვიტა. შესაძლოა, ვინმეს მანქანა აღეწერა და ნომერიც კი დაემახსოვრებინა, მაგრამ გატოს ეს არ ენაღვლებოდა. ნომრები კალიფორნიული იყო, მოპარული, ასეთი შავი ფერის ,,შევროლე სედანი" კი ნიუ-იორკში ათასობითაა.

თავი მეორე

ტომ ჰეიგენი ხუთშაბათ საღამოს სიტიში მდებარე თავის ოფისში მივიდა. ვირჯილ სოლოცოსთან პარასკევს დანიშნული შეხვედრის წინ უნდოდა ყველა საბუთი დაემუშავებინა. შეხვედრა იმდენად მნიშვნელოვანი გახლდათ, რომ დონ კორლეონეს სთხოვა, მთელი საღამო მიეცა მოსამზადებლად. იცოდნენ, რასაც შესთავაზებდა სოლოცო კორლეონეს ოჯახს. ჰეიგენს სურდა, შეძლებისდაგვარად, დაეზუსტებინა ყველა დეტალი, რომ შეხვედრაზე ზედმიწევნით მომზადებული მისულიყო.

დონს არ გაჰკვირვებია ჰეიგენის ნაადრევი დაბრუნება კალიფორნიიდან და ვოლცთან მოლაპარაკების წარუმატებლობა. დონ კორლეონემ ყველა დეტალი მოაყოლა და ამრეზით დაიმანჭა, როდესაც ულამაზესი გოგონასა და დედამისის შესახებ გაიგო. დონმა მხოლოდ ერთი სიტყვა თქვა: ,,ინფამიტა", რაც მისთვის უკიდურესად უარყოფით შეფასებას ნიშნავდა. შემდეგ ჰეიგენს ბოლო კითხვა დაუსვა: - ნამდვილი ყვერები აქვს?

ჰეიგენი დაფიქრდა: რას გულისხმობდა დონი ამ შეკითხვით. მრავალწლიანი ურთიერთობის შედეგად იცოდა, რომ დონის წარმოდგენები ადამიანთა უმრავლესობის წარმოდგენებისგან მკვეთრად განსხვავდებოდა და, შესაბამისად, სიტყვასაც შეიძლებოდა სხვა მნიშვნელობა ჰქონოდა. რა იგულისხმა დონმა? როგორი ხასიათი აქვს ვოლცს? აქვს თუ არა მას ძლიერი ნებისყოფა? შესაძლოა, მაგრამ არა, ალბათ, დონი ამას არ გულისხმობს. ეყოფა თუ არა ვოლცს ვაჟკაცობა, რომ გაუძლოს ზეწოლას? მზადაა თუ არა, განიცადოს დიდი ფინანსური ზარალი, გადაიტანოს ხმაურიანი სკანდალი, როცა ცნობილი გახდება, რომ მისი მთავარი კინოვარსკვლავი ჰეროინს იღებს? პასუხი კვლავაც დადებითი იყო, მაგრამ არა, დონი ამას არ ეკითხება. ბოლოს და ბოლოს, ჰეიგენი ჩახვდა დონ კორლეონეს სიტყვების დაფარულ აზრს. შეუძლია თუ არა ჯეკ ვოლცს გარისკოს საერთოდ ყველაფრით, რაც კი აბადია, პრინციპის გულისთვის, ღირსების გულისთვის, შურისძიების გულისთვის?

ჰეიგენმა გაიღიმა. დონ კორლეონესთან იშვიათად ხუმრობდა, მაგრამ ამჯერად თავი ვერ შეიკავა და უთხრა: - შენ მეკითხები, სიცილიელია თუ არა?

დონმა კმაყოფილებით დაუქნია თავი, მისი გონებამახვილობა დააფასა.

- არა, - თქვა ჰეიგენმა.

სწორედ ეს იყო მთავარი. დონი მეორე დილამდე ფიქრობდა. სადილის შემდეგ ჰეიგენი გამოიძახა და დეტალური ინსტრუქციები მისცა. მათ შესრულებას ჰეიგენმა დღის დარჩენილი ნაწილი მოანდომა, - აღტაცებულიც იყო და გაოცებულიც. ეჭვი არ

არის, დონმა გადაწყვიტა პრობლემა, - ვოლცი ხვალ დილითვე დაურეკავს და ეტყვის, რომ ჯონი ფონტეინმა მთავარი როლი მიიღოო ახალ ფილმში.

იმწუთას ტელეფონი მართლაც აწკრიალდა, მაგრამ ეს ამერიგო ბონასერა რეკავდა. მესაფლავეს მადლიერებისაგან ხმა უთრთოდა. სურდა, დონისთვის გადაეცათ, რომ მისი სამუდამო მეგობარია. საკმარისია, დონმა მხოლოდ დაურეკოს და იგი სიცოცხლეს დასდებს ღვთივკურთხეული ნათლიის გულისათვის. ჰეიგენმა დაარწმუნა ბონასერა, რომ დონს აუცილებლად მოახსენებს მის სიტყვებს.

,,დეილი ნიუსმა" მიწაზე გართხმული ჯერი ვაგნერისა და კევინ მუნანის ფოტოებს მთელი გაშლა დაუთმო. ფოტოები ოსტატურად იყო გადაღებული, კარგად ჩანდა ადამიანთა დასახიჩრებული სხეულები. ,,საოცარია, - წერდა ,,დეილი ნიუსი", - როგორ გადარჩნენ ცოცხლები. საავადმყოფოში მკურნალობა რამდენიმე თვე მაინც მოუწევთ და პლასტიკური ოპერაციებიც დასჭირდებათ"... ჰეიგენმა ჩაინიშნა ბლოკნოტში, კლემენცას უნდა უთხრას, პაულო გატოს რამე დამატებით გაუკეთოს. გატო თავის საქმეს კარგად ასრულებს.

შემდეგი სამი საათის განმავლობაში ჰეიგენი სწრაფად და შედეგიანად მუშაობდა, სწავლობდა ანგარიშებს, რომლებშიც ასახული იყო დონ კორლეონეს უძრავი ქონების სააგენტოს, ზეთისხილის ზეთის კომპანიისა და სამშენებლო ფირმის მდგომარეობა. არც ერთი მათგანი არ ბრწყინავდა, მაგრამ ახლა, ომის დამთავრების შემდეგ, შესაძლოა დიდი მოგება მოეტანათ. მას თითქმის გადაავიწყდა ჯონი ფონტეინის პრობლემა, როდესაც მდივანმა უთხრა, რომ კალიფორნიიდან ურეკავდნენ. მოუთმენლობისგან ერთგვარი მღელვარება იგრძნო, ყურმილს დასწვდა და უპასუხა: - ჰეიგენი გისმენთ.

აღშფოთებისა და სიძულვილისაგან ვოლცს ხმა ისე შესცვლოდა, ძნელად თუ იცნობდი.

- დამპალო ნაბიჭვარო! - ყვიროდა ვოლცი, - ციხეში ამოგალპობთ სათითაოდ! მთელ ჩემს ფულს ამაზე დავხარჯავ! ჯონი ფონტეინს ყვერებს წავაცლი! გესმის ჩემი, ნაბიჭვარო იტალიელო?

ჰეიგენმა თავაზიანად უპასუხა: - მე ნახევრად გერმანელი და ნახევრად ირლანდიელი ვარ.

ამას ხანგრძლივი პაუზა მოჰყვა, შემდეგ კი გაისმა ყურმილის დახეთქების ხმა. ჰეიგენმა გაიღიმა. ვოლცი პირადად დონ კორლეონეს არ დამუქრებია, არც კი უხსენებია. ეს დონის გენიოსობის აღიარების ტოლფასი გახლდათ.

ჯეკ ვოლცი ყოველთვის მარტო იძინებდა. იმხელა საწოლი ჰქონდა, ათ კაცს ეყოფოდა, საძინებელი კი ისეთი ფართო, მეჯლისის ეპიზოდის გადასაღებად გამოდგებოდა, მაგრამ მას მერე, რაც ათი წლის წინ პირველი ცოლი გარდაეცვალა, მარტო ეძინა. ეს არ ნიშნავდა იმას, რომ ქალები აღარ აინტერესებდა. თავისი ასაკისთვის ფიზიკურად საკმაოდ ძლიერი გახლდათ, მაგრამ ახლა მხოლოდ ძალზე ნორჩი ქალიშვილები აღელვებდნენ და 2-3 საათზე მეტხანს ვერც მათთან ძლებდა.

იმ სამშაბათს ჩვეულებრივზე ადრე გაეღვიძა. ამომავალი მზის პირველ სხივებში საძინებელი ნისლით დაფარულ მდელოს მიაგავდა. ვოლცმა იატაკზე, საწოლის

ფეხთან, რაღაც ძალიან ნაცნობ კონტურს მოჰკრა თვალი და იდაყვებზე წამოიწია, რომ უკეთ დაენახა. ცხენის თავი იყო. ჯერ კიდევ ძილ-ბურანში მყოფმა ნათურა აანთო.

როცა გააცნობიერა, რა იყო, ცუდად გახდა. თითქოს უზარმაზარი ურო ჩასცხესო მკერდში, გული გამალებით უცემდა, გული ერეოდა. სქელ ხალიჩაზე აღებინა.

მსოფლიოში უმშვენიერესი ცხენის, ,,ხართუმის", მოკვეთილი თავი სისხლის გუბეში ცურავდა. იატაკზე თეთრი ძარღვები დასთრევდა, ტუჩებზე დუჟი შეშრობოდა, დიდრონი თვალები კი, ცოტა ხნის წინ ოქროს ვაშლებივით რომ ანათებდა, ახლა რაღაც დამპალ ნაყოფს ჩამოჰგავდა. ვოლცი უეცრად გაცოფდა, განრისხებისგან ჭკუა დაკარგა, ჯერ მსახურები მოიხმო ყვირილით, შემდეგ კი ჰეიგენს დაურეკა და ტელეფონით სრულიად დაუფიქრებლად დაემუქრა.

ვოლცი შეძრწუნებული იყო. როგორ შეეძლო ადამიანს გაენადგურებინა ცხენი, რომელიც ექვსასი ათასი დოლარი ღირდა? თანაც, ყოველგვარი წინასწარი გაფრთხილების, ყოველგვარი მოლაპარაკების გარეშე, რასაც შეეძლო ეს ბრძანება შეეცვალა. ამგვარი სისასტიკე მეტყველებდა, რომ იმ კაცისთვის არ არსებობდა ზნეობრივი ფასეულობანი, არც კანონისა ეშინოდა და არც ღვთის, აკეთებდა იმას, რაც სურდა, უკან არაფრის წინაშე არ იხევდა. ღამის დარაჯები უმტკიცებდნენ ვოლცს, არაფერი გაგვიგიაო, მაგრამ არ უჯერებდა. ,,უთუოდ მოისყიდეს, - ფიქრობდა ვოლცი, - მათი გამოტეხა შეიძლება".

ვოლცი სულელი კაცი არ იყო, უბრალოდ, უაღრესად ეგოცენტრული პიროვნება გახლდათ. შეცდომა მოუვიდა, იფიქრა, რომ მეტი ძალაუფლება აქვს, ვიდრე დონ კორლეონეს. ეტყობა, უნდათ აჩვენონ, რომ ცდება. და ვოლცი ჩახვდა ,,შეტყობინების" არსს, - მას ეს დაუმტკიცეს. მიუხედავად ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტთან საქმიანი კონტაქტებისა, მიუხედავად ეფ-ბი-აის დირექტორთან პირადი მეგობრობისა, ვიღაც ყველასათვის უცნობმა იტალიელმა, - ზეთისხილის ზეთის იმპორტიორმა, - საიქიოში შეიძლება გაისტუმროს. და ნამდვილად იზამს ამას! მხოლოდ იმიტომ, რომ ჯონი ფონტეინს როლს არ აძლევს. წარმოუდგენელია! ადამიანებს ასე მოქცევის უფლება არ აქვთ. ეს სიგიჟეა. ეს იმას ნიშნავს, რომ არ შეგიძლია შენი ფული ისე მოიხმარო, როგორც გსურს, - შენი ფირმის ბატონ-პატრონი იყო. ეს კომუნიზმზე გაცილებით უარესია. ამის დაშვება არაფრით არ შეიძლება!

ვოლცმა პირად ექიმს ნება დართო, ძალზე სუსტი დამამშვიდებელი საშუალება მიეცა. ეს დაეხმარა სიტუაცია უფრო საღად შეეფასებინა. ვოლცზე ყველაზე მეტად იმან იმოქმედა, ასეთი გულგრილობით რომ მოაკვლევინა ვიღაც კორლეონემ მსოფლიოში სახელგანთქმული ცხენი, ექვსასი ათასი რომ ღირდა. ექვსასი ათასი დოლარი! და ეს მხოლოდ დასაწყისია. ვოლცს ჟრუანტელმა დაუარა. თავის ცხოვრებაზე დაფიქრდა. მდიდარი კაცია. მსოფლიოს ულამაზესი ქალები მის კაბინეტში ხელების მტვრევით კონტრაქტებს ევედრებიან, ყველაფერზე თანახმანი არიან. მეფეები და დედოფლები პატივით იღებენ. ყველაფერი აქვს, რაც კი ფულმა და ძალაუფლებამ კაცს შეიძლება მისცეს. გიჟი უნდა იყო, რომ ამ ყველაფერს საფრთხე შეუქმნა. რა შეიძლება გაუკეთოს დონ კორლეონეს? რა არის კანონიერი სასჯელი სადოღე ცხენის მოკვლისათვის? ვოლცმა ისტერიულად გადაიხარხარა. ექიმმა და მსახურებმა შეშფოთებით შეხედეს. მერე ვოლცს კიდევ ერთი აზრი მოუვიდა თავში, - მთელი კალიფორნიის დასაცინი

და თითით საჩვენებელი გახდება, თუკი გაიგებენ, ასე რომ გააბითურეს. ამან ვოლცი აიძულა, სასწრაფოდ მიეღო გადაწყვეტილება. ამის დაშვება არაფრით არ შეიძლებოდა!

ვოლცმა საჭირო განკარგულებები გასცა. მსახურებსა და ექიმს მომხდარი საიდუმლოდ უნდა შეენახათ. ყველამ აღუთქვა, რომ კრინტს არ დაძრავდა. პრესას ვოლცმა შეატყობინა, - სადოღე ცხენი ,,ხართუმი'' ავადმყოფობით მოკვდა, რადგან ინგლისიდან გადმოყვანის დროს ინფექცია შეეყარაო. თავმოკვეთილი ცხენი პარკის ტერიტორიაზე ფარულად დამარხეს.

ექვსი საათის შემდეგ ჯონი ფონტეინს დაურეკეს, - ფილმის რეჟისორმა აცნობა, რომ ორშაბათს გადასაღებ მოედანზე ელის.

იმ საღამოს ჰეიგენი დონ კორლეონესთან მივიდა, ვირჯილ სოლოცოსთან მეორე დღეს დანიშნული მეტად მნიშვნელოვანი შეხვედრისათვის რომ მომზადებულიყვნენ. დონმა უფროს ვაჟს, სონის დაუძახა, უნდოდა საუბარში მასაც მიეღო მონაწილეობა. სონი კორლეონე ფანჯარასთან იდგა ჭიქით ხელში. კუპიდონისებურ სახეზე დაღლა ეტყობოდა. ,,უთუოდ კიდევ იმ მეჯვარე გოგოსთან ერთობა'', - გაიფიქრა ჰეიგენმა. ესეც კიდევ დამატებითი საფიქრალი.

დონ კორლეონე სავარძელში იჯდა, სიგარა ,,დი ნობილეს'' აბოლებდა. ჰეიგენს ამ სიგარების კოლოფი მუდმივად მომარაგებული ჰქონდა. ერთი პირობა ეცადა, დონი დაერწმუნებინა, კუბურ სიგარებზე გადასულიყო, მაგრამ ყოველთვის პასუხად იღებდა, კუბურები ყელსა მტკენსო.

- ყველაფერი ვიცით, რაც უნდა ვიცოდეთ? - იკითხა დონ კორლეონემ.

ჰეიგენმა საქაღალე გადაშალა. იქ ჩანაწერები ჰქონდა. ქაღალდები კრიმინალურს არაფერს შეიცავდა, მხოლოდ დაშიფრული აღნიშვნები გაეკეთებინა იმისათვის, რომ დარწმუნებულიყო, - არაფერი დაავიწყდა ან გამორჩა.

- სოლოცო დახმარებას გვთხოვს, - თქვა ჰეიგენმა, - ჩვენგან მილიონ დოლარსა და კანონისგან დაცვას ელის. სანაცვლოდ შემოგვთავაზებს მისი საქმის შემოსავლიდან რაღაც ნაწილს, მაგრამ რამდენს, არავინ იცის. სოლოცოს ტატალიას ოჯახი უდგება თავდებად და ისიც, ალბათ, თავის წილს მიიღებს. ლაპარაკია ნარკოტიკებზე. სოლოცოს კონტაქტები აქვს თურქეთში, სადაც ყაყაჩო მოჰყავთ. ნედლეული გემით გადააქვს სიცილიაზე. იქ ამ ნედლეულიდან ჰეროინის დამამზადებელი ფაბრიკა აქვს, მაგრამ ჰეროინის ნაცვლად, სურვილის შემთხვევაში, მორფინის დამზადებაც შეუძლია. გადამუშავების პროცესი სიცილიაში ყოველმხრივ დაცულია. ერთადერთი სირთულე პროდუქციის ამერიკაში გადატანა და გავრცელებაა. და კიდევ, საწყისი კაპიტალი. მილიონ დოლარს ხე არ ისხამს.

დონ კორლეონე მოიღუშა. მას არ უყვარდა ზედმეტი ენამჭევრობა, როცა ლაპარაკი საქმეს ეხებოდა.

ჰეიგენმა სასწრაფოდ განაგრძო: - სოლოცოს ,,თურქს'' ეძახიან. ორი მიზეზით: დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრობდა თურქეთში და, სავარაუდოდ, იქ თურქი ცოლი და შვილები ჰყავს. მეორეც, ძალზე სწრაფია დანის ხმარებაში, ან, ყოველ შემთხვევაში, სწრაფი იყო ახალგაზრდობაში. ყველაფრის აზრზეა და საკუთარი თავის ბატონ-

პატრონიც თვითონაა. ციხეში ორჯერ იჯდა: იტალიასა და შეერთებულ შტატებში. ცნობილია, როგორც ნარკოტიკებით მოვაჭრე. ეს ჩვენ ხელს გვაძლევს: მისი წარსული და ის ფაქტი, რომ საქმის სათავეშია, არასოდეს მისცემს თავის დაძვრენისა და ჩვენ წინააღმდეგ ჩვენების მიცემის საშუალებას. ახლა ამერიკელი ცოლ-შვილი ჰყავს. თავგადადებული მეოჯახეა და ნებისმიერ სასჯელს აიტანს, თუკი ეცოდინება, რომ მის ცოლ-შვილზე იზრუნებენ და საცხოვრებელი ფული არ მოაკლდებათ.

დონმა სიგარის ბოლი ამოუშვა და სონის ჰკითხა: - შენ რას იტყვი, სანტინო?

ჰეიგენმა იცოდა, სონი რასაც უპასუხებდა. სონის ერთი სული ჰქონდა, რაიმე დიდი საქმე დამოუკიდებლად წამოეწყო და ეს შემთხვევა სწორედ შესაფერისი ჩანდა.

სონიმ ვისკი მოსვა.

- ამ თეთრ ფხვნილში დიდი ფულია, - თქვა მან, - თუმცა რისკიც დიდია. შეიძლება ვიღაც ოცი წლით გაუშვან ციხეში. თუკი ჩვენ ოპერაციებში უშუალოდ მონაწილეობას არ მივიღებთ და მხოლოდ კანონისგან მათ დაცვაზე ვიზრუნებთ, ეს ცუდი იდეა არ არის.

ჰეიგენმა სონის მოწონებით შეხედა. იგი თავის კარტს მარჯვედ ათამაშებდა, ფსონს საქმის ყველაზე აშკარად მომგებიან მხარეზე დებდა.

დონმა ისევ გააბოლა და ჰეიგენს გახედა: - შენ რას ფიქრობ, ტომ?

ჰეიგენი გულწრფელად ლაპარაკობდა. მან უკვე დაასკვნა, რომ დონი სოლოცოს წინადადებაზე უარს იტყოდა. „რაც ყველაზე უარესია, - ფიქრობდა ჰეიგენი, - დონმა, პირველად სიცოცხლეში, ბოლომდე არ გაიაზრა საქმის ვითარება. ამჯერად იგი საკმარისად შორს არ იყურება“.

- მიდი, ტომ, - გაამხნევა ჰეიგენი დონ კორლეონემ, - დონს ყოველთვის სიცილიელი კონსილიორიც კი არ ეთანხმება.

ყველამ გაიცინა.

- ვფიქრობ, უნდა დათანხმდე ამ წინადადებას, - თქვა ჰეიგენმა, - ჩვენთვის ცნობილია ყველაფერი, რაც კი ზედაპირზეა, მაგრამ უმნიშვნელოვანესია შემდეგი: ნარკოტიკებში ფულის ყველაზე დიდი პოტენციალია ნებისმიერ სხვა ბიზნესთან შედარებით. თუ ჩვენ ამ საქმეში არ შევალთ, სხვა შევა, შესაძლოა, ტატალიას ოჯახი. ამ შემოსავლის ხარჯზე ისინი უფრო და უფრო მეტ პოლიტიკურ გავლენას მოიპოვებენ. მათი ოჯახი ჩვენზე უფრო ძლიერი გახდება. საბოლოოდ დაგვიპირისპირდებიან და ყველაფერს წაგვართმევენ, რაც ახლა გვაქვს. ეს სახელმწიფოების ურთიერთობის მსგავსია. თუ ისინი იარაღდებიან, ჩვენც უნდა შევიარაღდეთ. თუკი ეკონომიკურად გაძლიერდებიან, რეალურ საფრთხეს შეგვიქმნიან. ამჟამად ჩვენს ხელშია აზარტული თამაშები და პროფკავშირები, რაც დღეს ყველაზე მომგებიანია, მაგრამ, ჩემი აზრით, მომავალი ნარკოტიკებს ეკუთვნის. ჩვენ ან მივიღებთ ამ საქმეში მონაწილეობას, ან საფრთხეს შევუქმნით ყველაფერ იმას, რასაც ვფლობთ. ახლავე არა, მაგრამ, შესაძლოა, ათი წლის შემდეგ.

ჰეიგენის სიტყვამ დონზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. სიგარის ბოლი ამოუშვა და წაიბუტბუტა: - ეს, რასაკვირველია, ყველაზე მთავარია.

შემდეგ ამოიოხრა, წამოდგა და იკითხა: - ხვალ რომელ საათზე უნდა შევხვდე იმ ურჯულოს?

- დილის ათ საათზე აქ იქნება, - უპასუხა ჰეიგენმა, თანაც, იმედი მიეცა, გაიფიქრა: ,,იქნებ, დონი დათანხმდეს?''

- მინდა, შეხვედრას ორივე დაესწროთ, - თქვა დონმა, შემდეგ შვილს მხარზე ხელი დაჰკრა და უთხრა, - სონი, ამ ღამეს გამოიძინე, საშინლად გამოიყურები. თავს გაუფრთხილდი, ყოველთვის კი არ იქნები ახალგაზრდა.

სონიმ, რომელიც მამის მზრუნველობამ გაამხნევა, ის კითხვა დაუსვა, ჰეიგენს ენის წვერზე რომ უტრიალებდა, მაგრამ თქმას ვერ ბედავდა: - მამა, რა პასუხს მისცემ?

დონ კორლეონემ გაიღიმა: - სანამ არ გავიგებ, რამდენ პროცენტს მთავაზობენ და კიდევ რა პირობები აქვთ, ვერაფერს გეტყვი. გარდა ამისა, დრო მჭირდება იმ რჩევაზე დასაფიქრებლად, რაც აქ მოვისმინე. მე ის კაცი არა ვარ, ვინც გადაწყვეტილებას ხელის ერთი მოსმით იღებს.

როდესაც დონი კართან მივიდა, შემოტრიალდა და ჰეიგენს უთხრა: - შენს ჩანაწერებში თუ გაქვს აღნიშნული, რომ ომამდე ,,თურქი'' პროსტიტუციიდან იღებდა შემოსავალს, როგორც ახლა ტატალიას ოჯახი. ჩაიწერე, სანამ დაგვიწყებია.

დონის ხმაში დაცინვამ გაიჟღერა. ჰეიგენი წამოწითლდა. მან ეს დეტალი არ ახსენა, რადგან მნიშვნელოვნად არ მიაჩნდა, თანაც შიშობდა, რომ მას დონის გადაწყვეტილებაზე შეიძლებოდა ემოქმედა. როცა საქმე სექსს ეხებოდა, დონი ერთობ შეუვალი გახლდათ.

ვირჯილ სოლოცო, ,,თურქი'', საშუალო სიმაღლის შავგვრემანი კაცი იყო. მართლაც ჩამოჰგავდა თურქს. კეხიანი ცხვირი და სასტიკი, შავი თვალები კიდევ უფრო აძლიერებდა მსგავსებას. დონისა არ იყოს, პიროვნული ღირსების გრძნობა მასაც აშკარად გამოხატული ჰქონდა.

სონი კორლეონე მას კართან დახვდა და კაბინეტისკენ წაუძღვა, სადაც დონ კორლეონე და ჰეიგენი ელოდებოდნენ. ჰეიგენმა გაიფიქრა, რომ არასოდეს უნახავს უფრო საშიში შესახედაობის კაცი, ლუკა ბრაზის თუ არ ჩათვლიდა.

ყველამ ერთმანეთს ხელი ჩამოართვა. ,,თუკი ოდესმე დონი მკითხავს, აქვს თუ არა ამ კაცს ყვერები, ვეტყვი, რომ აქვს'', - გაიფიქრა ჰეიგენმა. ესოდენი შინაგანი ძალის მქონე კაცი არასოდეს ენახა, დონიც კი ვერ მოვიდოდა მასთან. საერთოდ, დონი იმ დღეს ერთობ არასახარბიელოდ გამოიყურებოდა, - მეტისმეტად უბრალოდ. მისალმებაშიც რაღაც გლეხური გამოერია.

სოლოცო პირდაპირ საქმეზე გადავიდა. ლაპარაკია ნარკოტიკებზე. ყველაფერი მზადაა. თურქეთიდან ყაყაჩოს პლანტაციები ყოველწლიურად განსაზღვრული ოდენობით ნედლეულს მიაწვდიან. საფრანგეთში მას დაცული ფაბრიკა აქვს, რომელიც ამ ნედლეულისგან მორფინს დაამზადებს. სიცილიაშიც აქვს ყოველმხრივ დაცული ფაბრიკა, რომელიც ჰეროინს უშვებს. ამ ქვეყნებში ნედლეულის კონტრაბანდული შეტანა იმდენად საიმედოა, რამდენადაც კი საერთოდ შესაძლებელია ასეთ საქმეში. პროდუქციის შეერთებულ შტატებში შეტანისას

დაახლოებით ხუთი პროცენტი დაიკარგება, რადგან, როგორც ყველას კარგად მოეხსენება, ეფ-ბი-აის მოსყიდვა შეუძლებელია. შემოსავალი კოლოსალური იქნება, რისკი კი მინიმალური.

- რატომ მოხვედი ჩემთან? - ჰკითხა დონმა თავაზიანად, - რით დავიმსახურე ასეთი პატივი?

სოლოცოს სახეზე კუნთიც არ შესტოკებია.

- ორი მილიონი დოლარი მჭირდება, - თქვა სოლოცომ, - და ასევე, ძალზე მნიშვნელოვანია, გამოვძებნო კაცი, რომელსაც გავლენიანი მეგობრები ეყოლება იქ, სადაც საჭიროა. ზოგი ჩემი კურიერი დროთა განმავლობაში აუცილებლად ჩაუვარდება პოლიციას ხელში. ეს გარდაუვალია. მათ, ყველას, უმწიკვლო წარსული ექნებათ, ამის გარანტიას ვიძლევი. ამიტომ სავსებით ლოგიკური იქნება, თუკი მოსამართლეები მინიმალურ ვადებს მიუსჯიან. მე მჭირდება კაცი, რომელიც გარანტიას მომცემს, როდესაც ჩემი მეგობრები გასაჭირში აღმოჩნდებიან, ციხეში ორ წელზე მეტს არ გაატარებენ. ამ შემთხვევაში ისინი არაფერს იტყვიან, მაგრამ თუკი ათ ან ოც წელს მიუსჯიან? ამქვეყნად ბევრი სუსტი პიროვნებაა. შეიძლება ალაპარაკდნენ, საფრთხე შეუქმნან გაცილებით მნიშვნელოვან ადამიანებს. სასამართლოში კავშირები აუცილებელია. გამიგია, დონ კორლეონე, რომ ჯიბეში მეტი მოსამართლე გიზის, ვიდრე ხურდა ფული უყრია ფეხსაცმელების მწმენდავს.

ამ ქათინაურისთვის მადლობის სათქმელად დონ კორლეონეს თავი არ შეუწუხებია.

- რა პროცენტს მიიღებს ჩემი ოჯახი? - იკითხა დონმა.

სოლოცოს თვალები აუციმციმდა.

- ორმოცდაათს, - გამოაცხადა, პაუზა გააკეთა და შემდეგ ლამის ალერსიანად ალაპარაკდა, - თავიდან შენი შემოსავალი სამი ან ოთხი მილიონი დოლარი იქნება, შემდეგ კი გაიზრდება.

დონ კორლეონემ ჰკითხა: - ტატალიას ოჯახი რამდენ პროცენტს მიიღებს?

სოლოცოს პირველად დაეტყო ნერვიულობა.

- ისინი ჩემი წილიდან მიიღებენ რაღაცას. მათი დახმარება მჭირდება ოპერაციების ჩატარებაში.

- ესე იგი, - თქვა დონ კორლეონემ, - მე ორმოცდაათ პროცენტს მხოლოდ დაფინანსებასა და სასამართლოში საქმის ჩაწყობაში მივიღებ. შენ გინდა თქვა, რომ ოპერაციები მე არ მეხება?

სოლოცომ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია და უთხრა: - თუკი მიგაჩნია, რომ ორი მილიონი დოლარი ,,მხოლოდ დაფინანსებაა", შემიძლია მოგილოცო, დონ კორლეონე.

დონ კორლეონემ მშვიდად დაიწყო: - მე დავთანხმდი შენთან შეხვედრას, რადგან პატივს ვცემ ტატალიას ოჯახს, და გამიგია, რომ სერიოზული კაცი ხარ, რომელიც

ასევე იმსახურებს პატივისცემას, მაგრამ უარი უნდა გითხრა. აგიხსნი, რატომაც. შემოსავალი შენს საქმეში დიდია, მაგრამ ასევე დიდია რისკიც.

თუკი თქვენს ოპერაციებში ჩავერთვები, ამან შეიძლება დააზარალოს ჩემი სხვა ინტერესები. მართალია, ბევრი მეგობარი მყავს პოლიტიკურ წრეებში, მაგრამ აუცილებლად დავკარგავ მათ კეთილგანწყობას, თუკი ჩემი ბიზნესი ნარკოტიკები იქნება და არა აზარტული თამაშები. ისინი ფიქრობენ, რომ აზარტული თამაშები რაღაცით ალკოჰოლს ჰგავს, - მართალია, ცოდვაა, მაგრამ არცთუ მძიმე. ამავე დროს, ნარკოტიკები ბინძურ საქმედ მიაჩნიათ. არა, ნუ მეპასუხები, ეს იმათი აზრია, ჩემი კი არა. როგორ შოულობს კაცი საცხოვრებელ ფულს, მე არ მეხება. მერე, კიდევ ერთხელ მინდა გითხრა, ეს შენი ბიზნესი ძალზე სარისკოა. ჩემი ოჯახის წევრები ბოლო ათი წლის განმავლობაში მშვიდობიანად ცხოვრობდნენ, ყოველგვარი რისკის გარეშე. არ შემიძლია საფრთხე შევუქმნა მათ სიცოცხლეს უზომო ანგარების გამო.

სოლოცომ იმედგაცრუება მხოლოდ იმით გამოხატა, რომ მზერა სწრაფად მოავლო ოთახს, თითქოს ჰეიგენისა და სონისგან ელოდა მხარდაჭერას. შემდეგ იკითხა: - გეშინია, რომ ორ მილიონს დაკარგავ?

დონმა ცივად გაიღიმა და უპასუხა: - არა.

სოლოცომ კიდევ ერთხელ სცადა: - ტატალიას ოჯახი შენს ინვესტიციაზე გარანტიასაც მოგცემს.

და ამ დროს სონიმ უპატიებელი შეცდომა დაუშვა, როცა იკითხა: - ტატალიას ოჯახი იძლევა იმის გარანტიას, რომ ჩვენი ინვესტიცია პროცენტის გადახდის გარეშე დაგვიბრუნდება?

ჰეიგენი სონის ამ მოულოდნელმა ჩარევამ შეაძრწუნა. დაინახა, როგორ ესროლა დონმა მრისხანე მზერა ვაჟიშვილს, რომელიც გაშეშდა, თუმც კი ვერ მიხვდა, რა შეცდომა დაუშვა. სოლოცომ ისევ მოავლო თვალი ოთახს, მაგრამ ამჯერად აშკარა კმაყოფილებით. მან დონის ციხესიმაგრეში ბზარი აღმოაჩინა.

ისევ დონი ალაპარაკდა, მის ხმაში სინანული იგრძნობოდა.

- ახლანდელი ახალგაზრდები მხოლოდ ფულზე ფიქრობენ, - თქვა მან, - ქცევის წესები დაივიწყეს. უფროსებს სიტყვას აწყვეტინებენ. საუბარში ერევიან, მაგრამ მე შვილებისადმი განსაკუთრებულად ნაზი გრძნობები მაქვს და, როგორც ხედავთ, ზომაზე მეტად გავანებივრე. სინიორ სოლოცო, ჩემი უარი საბოლოოა. მინდა, პირადად გისურვო წარმატება შენს ბიზნესში. ჩვენ კონკურენტები არ ვიქნებით. ვწუხვარ, რომ იმედი გაგიცრუე.

სოლოცომ თავი დაუკრა დონს, ხელი ჩამოართვა და ოთახიდან გავიდა. ჰეიგენმა მანქანამდე მიაცილა. ჰეიგენთან გამომშვიდობებისას „თურქის“ სახე არაფერს გამოხატავდა. როდესაც ჰეიგენი ოთახში შებრუნდა, დონმა ჰკითხა: - რას იტყვი ამ კაცზე?

- სიცილიელია, - უპასუხა ჰეიგენმა.

დონმა ჩაფიქრებით დაუქნია თავი, შემდეგ შვილს მიუბრუნდა და რბილად უთხრა: - სანტინო, არასოდეს არავის მისცე საშუალება, გარდა შენი ოჯახის წევრებისა, გაიგონ,

რას ფიქრობ. არასოდეს არ უნდა იცოდნენ, რა გაქვს გულში. ეტყობა, გონება მოგიდუნა კომედიამ, იმ გოგოსთან რომ თამაშობ. ახლა კი გამეცალე, თვალით აღარ დამენახვო.

სონის გაოცება ამ ნოტაციის გამო გაბრაზებით შეიცვალა. ,,ნუთუ მართლა ფიქრობდა, რომ დონი მისი ბოლო ,,გამარჯვების" შესახებ ვერაფერს გაიგებდა? - გაოცებით გაიფიქრა ჰეიგენმა, - და ნუთუ ვერ ხვდება, როგორი მძიმე შეცდომა დაუშვა ამ დილით?" თუკი ასეა, ჰეიგენი არასოდეს ისურვებდა სანტინო კორლეონეს კონსილიორი ყოფილიყო.

დონი დაელოდა, სანამ სონი ოთახიდან გავიდა. შემდეგ ისევ ჩაეშვა ტყავის სავარძელში და ჰეიგენს ხელით ანიშნა, რომ დალევა უნდოდა. ჰეიგენმა ერთი ჭიქა ,,ანისეტი" დაუსხა. დონმა ახედა და უთხრა: - ლუკა ბრაზი გამოიძახე.

სამი თვე გავიდა. საღამო იყო, ჰეიგენი თავის ოფისში მუშაობას ამთავრებდა. ჩქარობდა, უნდოდა მაღაზიაში შეევლო ცოლისა და შვილებისათვის საშობაო საჩუქრების შესარჩევად, მაგრამ ჯონი ფონტეინის სატელეფონო ზარმა შეაფერხა. ყურმილში ჯონის მხიარული, კმაყოფილი ხმა ისმოდა. დონს ისეთ საშობაო საჩუქარს გამო უგზავნის, რომ ყველა პირს დააღებს. თვითონ ჩამოიტანდა, მაგრამ ფილმში რაღაც წვრილმანებია დამატებით გადასაღები და ჰოლივუდში უნდა დარჩეს. ჰეიგენი ცდილობდა, მოუთმენლობა არ დასტყობოდა. ჯონი ფონტეინის ხიბლი მასზე არასოდეს მოქმედებდა, მაგრამ ცნობისმოყვარეობამ სძლია.

- რა საჩუქარია? - იკითხა მან.

- ვერ გეტყვი. საიდუმლო ხომ საშობაო საჩუქრის საუკეთესო თვისებაა.

ჰეიგენს ყოველგვარი ინტერესი დაეკარგა, როგორც შეეძლო, თავაზიანად მოიშორა ჯონი და ყურმილი დაკიდა.

ათი წუთის შემდეგ მდივანმა ქალმა აცნობა, კონი კორლეონე რეკავსო. ჰეიგენმა ამოიოხრა. კონი მშვენიერი გოგონა იყო, მაგრამ გათხოვების შემდეგ ერთ ახირებულ დედაკაცად იქცა. მუდმივად ჩიოდა ქმარზე. ხშირად დედასთან მიდიოდა და ორი-სამი დღე რჩებოდა. კარლო რიჩი უნიათო და უმაქნისი კაცი აღმოჩნდა. პატარა, მაგრამ საიმედო ბიზნესი ჩააბარეს, მან კი მოახერხა და უმოკლეს დროში დაასამარა. ლოთობდა, ქალებში დარბოდა, კარტს თამაშობდა და ხანდახან ცოლსაც კი სცემდა. კონი თავის ოჯახს ამის შესახებ არ უყვებოდა, მხოლოდ ჰეიგენმა იცოდა ყველაფერი. ახლა ჰეიგენი ფიქრობდა, კიდევ რა ახალ საშინელ ამბავს მოუყვებოდა კონი.

მაგრამ წინასაშობაო განწყობილებამ, ეტყობა, კონიზეც სასიკეთო გავლენა მოახდინა. ჰეიგენისგან უნდოდა გაეგო, რა ენდომებოდა მამამისს საშობაო საჩუქრად. და, ასევე, სონის, ფრედისა და მაიკლს. დედას რას აჩუქებდა, უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა. ჰეიგენმა რაღაც-რაღაცები ურჩია, მაგრამ კონის არაფერი მოეწონა. ბოლოს თავი დაანება, ყურმილი დაკიდა.

როცა ტელეფონი კვლავ აწკრიალდა, ჰეიგენმა ქაღალდები გაღიზიანებით დაყარა მაგიდაზე. მორჩა! სამუშაო დღე დასრულებულია, მაგრამ სატელეფონო საუბარზე უარი ჯერაც არასოდეს უთქვამს და როდესაც მდივანმა უთხრა, მაიკლი რეკავსო, სიამოვნებითაც კი დასწვდა ყურმილს. მაიკლი ყოველთვის უყვარდა.

- ტომ, - თქვა მაიკლ კორლეონემ, - მე და ქეი ხვალ ქალაქში ჩამოვდივართ. რაღაც მნიშვნელოვანი უნდა ვუთხრა მამას შობის წინ. ხვალ საღამოს შინ იქნება?

- რა თქმა უნდა, - უპასუხა ჰეიგენმა, - სანამ დღესასწაული არ ჩაივლის, ქალაქიდან გასვლას არ აპირებს. შემიძლია, რამეთი დაგეხმარო?

მაიკლი მამასავით სიტყვაძუნწი გახლდათ.

- არა, - თქვა მან, - შობაზე შევხვდებით. ყველანი ლონგ-ბიჩში შევიკრიბებით, ჰო მართალია?

- მართალია.

მაიკლმა ყურმილი დაკიდა. ჰეიგენს გაუხარდა, ლაპარაკი რომ არ გაუბა. მდივანს უთხრა, მისი ცოლისთვის დაერეკა და გადაეცა, რომ ოდნავ შეაგვიანდება, მაგრამ ვახშამი გამზადებული დაახვედროს.

ჰეიგენი შენობიდან გამოვიდა და „მეისის“ სავაჭრო ცენტრისკენ სწრაფი ნაბიჯით გაემართა. უეცრად ვიღაცამ გზა გადაუღობა. მისდა გასაოცრად, ეს სოლოცო აღმოჩნდა.

სოლოცომ მკლავზე ხელი მოჰკიდა და ჩუმად უთხრა: - ნუ შეგეშინდება, უბრალოდ, მინდა დაგელაპარაკო.

უეცრად ტროტუართან მდგარი მანქანის კარი გაიღო. სოლოცომ სწრაფად ჩაულაპარაკა: - ჩაჯექი, უნდა დაგელაპარაკო.

ჰეიგენმა ხელი გაითავისუფლა. შიშით არ შეშინებია, უბრალოდ, გაღიზიანდა.

- არა მცალია, - თქვა მან.

ამ დროს ორი კაცი ამოუდგა ზურგს უკან. ჰეიგენმა ფეხებში უეცარი სისუსტე იგრძნო. სოლოცომ დინჯად უთხრა: - ჩაჯექი. შენი მოკვლა რომ მნდომოდა, უკვე მკვდარი იქნებოდი, მერწმუნე.

ჰეიგენი მანქანაში იოტისოდენა რწმენის გარეშე ჩაჯდა.

მაიკლმა ჰეიგენს მოატყუა. ის უკვე ნიუ-იორკში იყო ჩამოსული, სასტუმრო „პენსილვანიის“ ნომრიდან რეკავდა, რომელიც ათიოდე კვარტალში იყო ჰეიგენის ოფისიდან. როდესაც ყურმილი დაკიდა, ქეი ადამსმა სიგარეტი ჩააქრო და უთხრა: - არ ვიცოდი, ასეთი მსახიობი თუ იყავი, მაიკლ.

მაიკლი მის წინ ჩამოჯდა საწოლზე.

- ამ ყველაფერს შენი გულისთვის ვაკეთებ, საყვარელო. თუკი ვეტყოდი ოჯახს, რომ ქალაქში ვართ, მაშინვე მოგვიწევდა მათთან მისვლა. მაშინ ვეღარ წავიდოდით რესტორანში, თეატრში, ვერ დავიძინებდით ღამე ერთად. სანამ არ დავქორწინდებით, მამაჩემის სახლში ამის უფლებას არ მოგვცემენ.

მაიკლი მოეხვია და ტუჩებში აკოცა. ქეის ტუჩები იმდენად ტკბილი იყო, რომ თავი ვეღარ შეიკავა, საწოლზე ნაზად გადააწვინა. ქეიმ თვალები დახუჭა, მაიკლს

ელოდებოდა და მაიკლმა უდიდესი ბედნიერება იგრძნო. ომის წლები წყნარ ოკეანეზე გაატარა და იმ სისხლიან კუნძულებზე ყოფნისას სწორედ ისეთ ქალიშვილზე ოცნებობდა, როგორიც ქეია. ისეთ სილამაზეზე, როგორიც მას აქვს. მოხდენილ, ნაზ, რძესავით თეთრსა და ვნებით დამუხტულ სხეულზე. ქეიმ თვალები გაახილა და მაიკლის თავი მიიზიდა, აკოცა. სანამ სადილობისა და თეატრში წასვლის დრო არ მოვიდა, ლოგინში იწვნენ, სიყვარულობდნენ.

სადილის შემდეგ ფეხით ჩაისეირნეს საზეიმოდ გაკაშკაშებული მაღაზიების წინ და მაიკლმა ჰკითხა: - რა გაჩუქო საშობაოდ?

ქეი მკერდზე მიეკრო.

- შენი თავი, - უთხრა მაიკლს, - როგორ ფიქრობ, მამაშენი მიმიღებს?

- რა თქმა უნდა, - მიუგო მაიკლმა, - მაგრამ, აი, შენები თუ მიმიღებენ?

ქეიმ მხრები აიჩეჩა და თქვა: - ეგ არ მენაღვლება.

მაიკლმა თქვა: - გვარის გადაკეთებაზეც კი მიფიქრია, მაგრამ ეს, ალბათ, საქმეს არ უშველის, - შემდეგ კი ნახევრად ხუმრობით დაამატა, - დარწმუნებული ხარ, რომ კორლეონე გინდა გახდე?

- დარწმუნებული ვარ, - ხუმრობის გარეშე უპასუხა ქეიმ.

ერთმანეთს ისევ ჩაეხუტნენ. ხელის მოწერა შობის დღეებში ჰქონდათ გადაწყვეტილი, სამოქალაქო ქორწინება სიტი-ჰოლში ჩატარდებოდა, ცერემონიას მხოლოდ თითო მეჯვარე უნდა დასწრებოდა, მაგრამ მაიკლმა დაიჟინა, წინასწარ ვეტყვიო მამას. არწმუნებდა ქეის, რომ დონი წინააღმდეგი არ იქნებოდა. ქეის ეჭვი ეპარებოდა. თავისი მშობლებისთვის ყველაფერი მხოლოდ ხელის მოწერის შემდეგ უნდოდა მოეყოლა.

- მაშინვე იფიქრებენ, რომ ორსულად ვარ, - თქვა ქეიმ.

მაიკლს გაეღიმა.

- ჩემებიც მაგას იფიქრებენ, - უთხრა ქეის.

არც ერთი არ ახსენებდა იმას, რომ მაიკლს ოჯახთან ახლო ურთიერთობა უნდა გაეწყვიტა. ორივე აცნობიერებდა, რომ მაიკლმა ეს უკვე გააკეთა კიდეც და ამის გამო დანაშაულის გრძნობა ჰქონდათ. ქეი და მაიკლი კოლეჯის დასრულებას გეგმავდნენ, ერთმანეთს მხოლოდ უქმე დღეებში შეხვდებოდნენ და საზაფხულო არდადეგებს ერთად გაატარებდნენ. ყველაფერი მომავალ ბედნიერ ცხოვრებას მოასწავებდა.

თეატრში მიუზიკლი ნახეს, სახელად - „კარუსელი“. ეს იყო ერთი ტრაბახა ქურდის მხიარული ისტორია. ბევრი იცინეს. როდესაც თეატრიდან გამოვიდნენ, ქუჩაში საშინლად ციოდა. ქეი მაიკლს მიეკრო და ჰკითხა: - ქორწილის შემდეგ შენც დამიწყებ ცემას და მერე ჩემთვის საჩუქრად ვარსკვლავს მოიპარავ?

მაიკლმა გაიცინა.

- მე მათემატიკის პროფესორი უნდა გავხდე, - თქვა მან და შემდეგ ქეის ჰკითხა, - შეჭამ რამეს სასტუმროში დაბრუნებამდე?

ქეიმ თავი გააქნია უარის ნიშნად და მრავლისმეტყველი თვალებით შეხედა. როგორც ყოველთვის, მაიკლზე იმოქმედა ქეის მზადყოფნამ, მასთან ესიყვარულა. ქეის გაუღიმა, - შუა ქუჩაში ერთმანეთს კოცნა დაუწყეს, მაგრამ მაიკლს, ცოტა არ იყოს, შიოდა, - გადაწყვიტა სენდვიჩები შეეკვეთა ნომერში.

როდესაც სასტუმროს ვესტიბიულში შევიდნენ, მაიკლმა ქეის უთხრა: - გაზეთები იყიდე, მე კი გასაღებს ავიღებ.

მაიკლს მომცრო რიგში მოუწია დგომამ: მიუხედავად იმისა, რომ ომი უკვე დამთავრებული იყო, სასტუმროში მომსახურე პერსონალის ნაკლებობა იგრძნობოდა. მაიკლმა გასაღები აიღო და მოუთმენლად მიმოიხედა, ქეის ეძებდა. ქეი გაზეთების დახლთან იდგა, ახალშეძენილ გაზეთს ჩაშტერებოდა. მაიკლი მიუახლოვდა. ქეიმ თავი ასწია და შეხედა. თვალები ცრემლებით ჰქონდა სავსე.

- ვაიმე, მაიკლ, - აღმოხდა ქეის, - ვაიმე.

მაიკლმა გაზეთი ხელიდან გამოჰგლიჯა. თვალში ეცა მამამისის ფოტო, - ქუჩაში ეგდო, თავი სისხლის გუბეში ჰქონდა. მის გვერდით ახალგაზრდა კაცი ჩაცუცქულიყო, პატარა ბავშვივით ტიროდა მისი ძმა ფრედი. მაიკლმა იგრძნო, თითქოს სხეული ერთიანად ეყინებოდა. არც სიბრალულს გრძნობდა, არც შიშს, მხოლოდ და მხოლოდ ჟრუანტელის მომგვრელ რისხვას. ქეის უთხრა: - ნომერში ადი.

მაგრამ მერე იძულებული გახდა, ქეისთვის ხელი მოეკიდა და ლიფტში შეეყვანა. ხმას არ იღებდნენ. ოთახში მაიკლი საწოლზე ჩამოჯდა და გაზეთი გადაშალა. სათაური იუწყებოდა: „ვიტო კორლეონეს ესროლეს. მაფიის სავარაუდო ბოსი სასიკვდილოდაა დაჭრილი. ოპერაცია პოლიციის გაძლიერებული დაცვის ქვეშ ჩაუტარდა.

კრიმინალურ დაჯგუფებებს შორის მოსალოდნელია სისხლისმღვრელი ომი“.

მაიკლმა ფეხებში სისუსტე იგრძნო. ქეის უთხრა: - არ მომკვდარა. იმ ნაბიჭვრებმა ვერ მოკლეს.

მაიკლმა საგაზეთო წერილი გადაიკითხა. მამას საღამოს ხუთ საათზე ესროლეს. ესე იგი, მაშინ, როცა იგი ქეის ეალერსებოდა, სადილობდა და თეატრში მიუზიკლს უყურებდა, მამამისი სიკვდილს ებრძოდა. მაიკლმა ისეთი სინდისის ქენჯნა იგრძნო, კინაღამ ცუდად გახდა.

ქეიმ იკითხა: - საავადმყოფოში მივიდეთ?

მაიკლმა უარყოფის ნიშნად თავი გააქნია: - ჯერ სახლში დავრეკავ. ვინც მამას ესროლა, ახლა გაგიჟებული იქნება, ცოცხალი რომ გადარჩა... არავინ იცის, კიდევ რას იზამენ.

ორივე ტელეფონი ლონგ-ბიჩში დაკავებული იყო და მაიკლს დაახლოებით ოცი წუთი დასჭირდა, სანამ დარეკვას მოახერხებდა. ყურმილში სონის ხმა გაისმა: - დიახ.

- სონი, მე ვარ, - თქვა მაიკლმა.

მაიკლმა გაიგონა, როგორ შვებით ამოისუნთქა უფროსმა ძმამ. სონიმ უთხრა: - მადლობა ღმერთს. რას გვანერვიულებ, ბიჭო, სად ჯანდაბაში დაეხეტები? შენს ქალაქში ხალხიც კი გავგზავნე, რომ მოეძებნე.

- მამა როგორაა? - იკითხა მაიკლმა, - მძიმედაა დაჭრილი?

- საკმაოდ, - უპასუხა სონიმ, - ხუთჯერ ესროლეს, მაგრამ მაგარია, - სონის ხმაში სიამაყემ გაიჟღერა, - ექიმებმა თქვეს, რომ გამოძვრება. მისმინე, მაიკლ, იმდენი საქმე მაქვს, ბევრს ვერ გელაპარაკები, სად ხარ?

- ნიუ-იორკში, - მიუგო მაიკლმა, - განა ტომმა არ გითხრა, რომ ჩამოვდიოდი?

სონის ხმა გაებზარა: - ტომი გაიტაცეს. ამიტომაც ვნერვიულობდი ასე. მისი ცოლი აქაა. არაფერი იცის და არც პოლიციამ იცის რამე. ნაბიჭვრები, ვინც ეს გააკეთა, ეტყობა, სრულ ჭკუაზე არ არიან. მინდა, ახლავე მოხვიდე აქ. არავისთან არაფერი წამოგცდეს. ო,კეი?

- ო,კეი, - დაეთანხმა მაიკლი და მერე ჰკითხა, - ვინ ესროლა, იცი?

- ვიცი, - უპასუხა სონიმ, - იმ წუთიდან, რაც თამაშში ლუკა ბრაზი ჩაერთვება, მოეხაზებათ. ყველა ბერკეტი ჩვენს ხელთაა.

- ერთ საათში მანდ ვიქნები, - თქვა მაიკლმა, - ტაქსით მოვალ.

მაიკლმა ყურმილი დაკიდა. გაზეთები სამი საათია, რაც გამოვიდა. ინფორმაცია რადიოთიც აუცილებლად გადაიცემოდა. შეუძლებელია, ლუკა ბრაზიმ არაფერი იცოდეს. სადაა ლუკა ბრაზი?

იმ წამს ჰეიგენი ზუსტად ამ კითხვას უსვამდა თავის თავს და იგივე აწუხებდა სონი კორლეონეს ლონგ-ბიჩში.

იმ დღეს, როდესაც ხუთს ხუთი წუთი აკლდა, დონ კორლეონემ ანგარიშის კითხვა დაასრულა, მისთვის ზეთისხილის ზეთის კომპანიის მენეჯერმა რომ მოამზადა. წამოდგა, პიჯაკი მოიხურა და გაზეთში თავჩარგულ ფრედის თავზე ხელი შეახო, აგრძნობინა, კითხვის დრო აღარ არისო. - უთხარი გატოს, მანქანა გამოიყვანოს, - თქვა დონმა, - რამდენიმე წუთში მზად ვიქნები, სახლში მივდივართ.

ფრედიმ ჩაიბურტყუნა: - მე თვითონ წაგიყვან. პაულომ დილით დარეკა, ავად გამხდარა. ისევ გაცივდა.

დონი წამით ჩაფიქრდა.

- ეს უკვე მესამედ ემართება ამ თვეს. იქნებ ღირდეს უფრო ჯანმრთელი ვინმე შევარჩიოთ ამ სამუშაოზე. უთხარი ეს ტომს.

ფრედიმ გააპროტესტა: - პაულო კარგი ბიჭია. თუ ამბობს, რომ ავადაა, ესე იგი, მართლა ავადაა. მე არ მიჭირს შენი წაყვანა.

ფრედი ქუჩაში გავიდა. დონ კორლეონე ფანჯრიდან უყურებდა, როგორ გადაკვეთა მეცხრე ავენიუ და მანქანების სადგომთან მივიდა. დონმა ჰეიგენს დაურეკა ოფისში, მაგრამ არ უპასუხა. მერე შინ დარეკა, ლონგ-ბიჩში, მაგრამ არც ახლა უპასუხეს.

გაღიზიანებულმა ფანჯარაში გაიხედა. მანქანა ფრედის უკვე ტროტუართან მოეყენებინა, თვითონ გადმოსულიყო, მკერდზე ხელდაწყობილი უყურებდა ხალხს, მაღაზიის წინ რომ ირეოდა. დონმა პიჯაკი ჩაიცვა. შემდეგ ოფისის მენეჯერი პალტოს ჩაცმაში შეეშველა. დონმა ჩაიბურტყუნა: ,,გმადლობო", - და კიბეზე დაეშვა.

ქუჩაში უკვე ბნელდებოდა. ფრედი ისევ მანქანასთან იდგა, მძიმე ,,ბიუიკს" ეყრდნობოდა ზურგით. როცა მამას მოჰკრა თვალი, მანქანაში ჩაჯდა. ის იყო, დონ კორლეონეც მანქანაში უნდა ჩამჯდარიყო, მაგრამ გადაიფიქრა და ხილის ჯიხურისკენ შეტრიალდა, რომელიც იქვე, ქუჩის კუთხეში იყო. ატამი და ფორთოხალი უყვარდა და ბოლო დროს ხშირად ყიდულობდა თვითონ, თითქმის ჩვევად ექცა ეს. გამყიდველი წინ გადმოიწია. დონმა ხილზე მიუთითა, იმაზე, რაც უნდოდა. გამყიდველმა სხვა ნაყოფი ურჩია, აჩვენა, მისი შერჩეულიდან ერთს გული დამპალი ჰქონდა. დონმა ქაღალდის პარკი მარცხენა ხელით აიღო და ხუთდოლარიანი მიაწოდა. როდესაც გამყიდველს ხურდა გამოართვა და მანქანისკენ შემობრუნდა, დაინახა ორი კაცი, რომლებიც უეცრად ქუჩის კუთხიდან გამოვიდნენ. დონ კორლეონე იმავე წამს მიხვდა, რაც უნდა მომხდარიყო.

იმ ორს შავი პალტოები ეცვა და თვალებზე ჩამოფხატული შავი შლაპები ეხურა, რათა ამოცნობა შეუძლებელი გამხდარიყო. დონ კორლეონეს ასეთ ელვისებურ რეაქციას არ ელოდნენ. ხილით სავსე პარკი დააგდო და ისე სწრაფად გაიქცა იქვე მდგომი მანქანისკენ, მისი აგებულების კაცისთვის ნამდვილად გასაოცარი იყო. მირბოდა და ყვიროდა: ,,ფრედო! ფრედო!" ამ დროს იმათ პისტოლეტები ამოიღეს და ცეცხლი გახსნეს.

პირველი ტყვია დონ კორლეონეს ზურგში მოხვდა. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს ჩაქუჩი ჩაარტყეს მთელი ძალით, მაგრამ მაინც აიძულა თავი, მანქანისკენ სვლა განეგრძო. შემდეგი ორი ტყვია დუნდულებში მოხვდა. დონი შუა ქუჩაში წაიქცა. ამასობაში მსროლელები მისკენ წამოვიდნენ, საბოლოოდ რომ ჩაეცხრილათ, თან ცდილობდნენ მიწაზე დაყრილ ხილზე ფეხი არ დასცდენოდათ. პირველი გასროლიდან ხუთი წამიც არ იქნებოდა გასული, ფრედი მანქანიდან გადმოხტა და მამასთან ჩაიჩოქა. დონ კორლეონეს კიდევ ორჯერ ესროლეს, - ერთი ტყვია მხარში მოხვდა, მეორე მარჯვენა მუხლში. ჭრილობები სიცოცხლისთვის საშიში არ იყო, მაგრამ დონმა ბევრი სისხლი დაკარგა. სხეულთან პატარ-პატარა გუბეებად დაგროვდა. ბოლოს დონმა გონება დაკარგა.

ფრედიმ ჯერ მამის ხმა გაიგონა, რომელიც ბავშვობის სახელს ეძახდა, მერე კი ორი გასროლა. როცა მანქანიდან გადმოვიდა, ისეთ შოკში იყო, იარაღი არც ამოუღია. ადვილად შეეძლოთ მოეკლათ, მაგრამ კილერები უკვე თითქმის პანიკაში იყვნენ. იცოდნენ, ფრედი შეიარაღებული იყო, თანაც ოპერაცია მეტისმეტად დიდხანს გაგრძელდა. ამიტომ სასწრაფოდ ქუჩის კუთხეს მიეფარნენ. ფრედი მარტო დარჩა მამასთან, რომელიც ამ დროს სისხლისგან იცლებოდა. სროლისას გამვლელები თავს სადარბაზოებს აფარებდნენ ან მიწაზე წვებოდნენ. ახლა გამოვიდნენ და შეჯგუფდნენ.

ფრედის იარაღი არც მერე ამოუღია. გაოგნებული იყო. მამას დაჰყურებდა, რომელიც სისხლში ცურავდა. გარშემო ბლომად ხალხი შეგროვდა, მაგრამ როგორც კი პოლიციის მანქანის ხმა გაიგონეს, მაშინვე დაიფანტნენ. პოლიციის მანქანას ,,დეილი

ნიუსის“ რადიოავტომობილმა დაასწრო, საიდანაც ფოტორეპორტიორმა ისკუპა და გასისხლიანებულ დონს ფოტოების გადაღება დაუწყო. რამდენიმე წუთში სასწრაფო დახმარებაც მოვიდა. ფოტორეპორტიორმა ყურადღება ახლა ფრედიზე გადაიტანა, რომელიც უკვე დაუფარავად ტიროდა, რაც ასეთი უხეში, კუპიდონისებური გარეგნობის მქონე მამაკაცისთვის სასაცილოც იყო და შეუფერებელიც. პოლიციის მანქანები მოდიოდა და მოდიოდა. ერთ-ერთმა დეტექტივმა ფრედისთან ჩაიმუხლა და გამოკითხვა დაუწყო, მაგრამ ის ჯერ კიდევ შოკში იყო. დეტექტივმა ჯიბეში ხელი ჩაუყო, საფულე ამოუღო. როცა პირადობის მოწმობას დახედა, ხმამაღლა დაუსტვინა და თავის კოლეგას დაუძახა. იმავე წამს ფრედი სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი პოლიციელების ალყაში აღმოჩნდა. პირველმა დეტექტივმა ფრედის იღლიის ქვეშ პისტოლეტი უპოვა და ამოაცალა. ფრედი ფეხზე დააყენეს და უნომრო მანქანაში ჩასვეს. როგორც კი მანქანა დაიძრა, მას ,,დეილი ნიუსის“ რადიოავტომობილიც მიჰყვა. ფოტორეპორტიორი ისევ ყველასა და ყველაფერს უღებდა ფოტოებს.

თავდასხმიდან ნახევარი საათის განმავლობაში სონი კორლეონეს ხუთჯერ დაუძახეს ტელეფონთან. პირველად დეტექტივმა ჯონ ფილიპსმა დარეკა, მას კორლეონეს ოჯახი ფულს უხდიდა. შემთხვევის ადგილზე მისულ პოლიციის პირველივე მანქანაში იჯდა.

- ჩემს ხმას ცნობ? - ჰკითხა მან.

- ჰო, - უთხრა სონიმ, ახალი გაღვიძებული იყო, როცა ცოლმა ტელეფონთან დაუძახა.

ფილიპსი ყოველგვარი შესავლის გარეშე, სწრაფად ალაპარაკდა: - ვიღაცამ მამაშენს ესროლა ოფისთან. თხუთმეტიოდე წუთის წინ. ცოცხალია, მაგრამ მძიმედაა დაჭრილი. უკვე წაიყვანეს ფრანგულ ჰოსპიტალში. ფრედი ჩელსის საპოლიციო უბანშია. როცა გამოუშვებენ, ექიმს აჩვენეთ. მე ახლა საავადმყოფოში მივდივარ, დაჭრილს დავკითხავთ, თუკი ლაპარაკს შეძლებს. თუ რამეს გავიგებ, შეგატყობინებ.

სონის ცოლმა შენიშნა, როგორ გაუწითლდა სახე მის ქმარს, სისხლი მოაწვა. თვალები გაუშეშდა.

- რა მოხდა? - ჩურჩულით იკითხა ქალმა.

სონიმ ხელი აუქნია, გაჩუმდიო, ზურგი შეაქცია და ყურმილში ჩასძახა: - დარწმუნებული ხარ, რომ ცოცხალია?

- დარწმუნებული ვარ, - უპასუხა დეტექტივმა, - ბევრი სისხლი დაკარგა, მაგრამ, მგონი, უფრო კარგად უნდა იყოს, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს.

- გმადლობ, - თქვა სონიმ, - ხვალ დილით რვა საათზე სახლში იყავი. ათას დოლარს მოგიტანენ.

სონიმ ყურმილი დადო. თავი აიძულა, მშვიდად მჯდარიყო. იცოდა, მისი ყველაზე დიდი სისუსტე სიფიცხე გახლდათ, რაც ამ შემთხვევაში შეიძლება დამღუპველი აღმოჩენილიყო. პირველ რიგში, ტომ ჰეიგენი უნდა მოძებნოს, მაგრამ სანამ ყურმილს აიღებდა დასარეკად, ტელეფონი ისევ აწკრიალდა. რეკავდა ბუკმეკერი, რომელიც კორლეონეს ოჯახის ნებართვით იმ უბანში საქმიანობდა, სადაც დონის ოფისი

მდებარეობდა. ბუკმეკერმა უთხრა, დონი მოკლულია, ქუჩაში ჩაცხრილესო. სონიმ რამდენიმე კითხვა დაუსვა და მიხვდა, კაცი, ვინც ეს ბუკმეკერს შეატყობინა, დონთან ახლოს არ მისულა, ამიტომაც სონიმ დაასკვნა, ინფორმაცია სწორი არ უნდა იყოსო. ფილიპსი ნამდვილად უფრო ზუსტი იქნებოდა. ტელეფონმა მესამედ დარეკა. ეს ,,დეილი ნიუსის'' რეპორტიორი გახლდათ. სონიმ ყურმილი მაშინვე დაუკიდა.

სონიმ ჰეიგენთან სახლში დარეკა და მის ცოლს ჰკითხა: - ტომი დაბრუნდა?

- არა, - უპასუხა ქალმა და დასძინა, უახლოესი ოცი წუთის განმავლობაში ქმარს არც ველი, მაგრამ ვახშმისათვის, ალბათ, მოვაო.

- უთხარი, სასწრაფოდ დამირეკოს, - სთხოვა სონიმ.

სონი შეეცადა, სიტუაცია შეეფასებინა. უნდოდა, წარმოედგინა, როგორ მოიქცეოდა მამამისი მსგავს სიტუაციაში. ცხადი იყო, თავდასხმა სოლოცომ მოაწყო, მაგრამ იგი ვერასოდეს გაბედავდა ისეთი ძლევამოსილი ლიდერის ლიკვიდაციას, როგორიც დონ კორლეონეა, ავტორიტეტული ხალხი მხარს რომ არ უჭერდეს. ტელეფონმა მეოთხეჯერ დარეკა და სონის აზრი გაუწყდა. ხმა ყურმილში მეტად თავაზიანი, თითქმის ალერსიანიც კი იყო: - სანტინო კორლეონე?

- დიახ, - უპასუხა სონიმ.

- ტომ ჰეიგენი ჩვენთანაა, - თქვა უცნობმა, - დაახლოებით სამ საათში გამოვუშვებთ და ჩვენს წინადადებას გადმოგცემს. არაფერი მოიმოქმედო, სანამ არ მოუსმენ. აჩქარებით საქმეს უფრო გააფუჭებ. რაც მოხდა, მოხდა. ახლა ყველამ ჭკუა უნდა ვიხმაროთ. შენი სახელგანთქმული თავდაჭერილობა არ დაკარგო.

ხმა, ცოტა არ იყოს, დამცინავად ჟღერდა. სონიმ გაიფიქრა, რომ ეს, შესაძლოა, თვით სოლოცო იყო. ხმა დაგუდულად ისმოდა.

- მოვიცდი, - უთხრა სონიმ.

სონიმ გაიგონა, როგორ დაკიდა იმ ვიღაცამ ყურმილი. მასიურ ოქროს საათზე დაიხედა და ლაპარაკის ზუსტი დრო სუფრაზე დაწერა.

დაღვრემილი სონი სამზარეულოში შევიდა და მაგიდას მიუჯდა.

- რა მოხდა? - ჰკითხა ცოლმა.

- მამას ესროლეს, - ჩუმად მიუგო.

როცა დაინახა, როგორ საშინლად იმოქმედა ამ ამბავმა მის ცოლზე, უხეშად უთხრა: - ნუ გეშინია, არ მომკვდარა... და მეტი აღარაფერი მოხდება.

ჰეიგენის შესახებ არაფერი უთქვამს და მაშინ ტელეფონმა მეხუთედ დარეკა.

ეს კლემენცა იყო. მსუქანა ფშვინვა-ქშენით ლაპარაკობდა: - მამაშენის ამბავი გაიგე? - იკითხა მან.

- გავიგე, - უპასუხა სონიმ, - მაგრამ არ მომკვდარა.

ამას ხანგრძლივი პაუზა მოჰყვა, შემდეგ კლემენცას აღელვებული ხმა გაისმა: - მადლობა ღმერთს, მადლობა ღმერთს, - მერე შეწუხებულმა იკითხა, - დარწმუნებული ხარ? მითხრეს, რომ ქუჩაში მოკლეს.

სონი ყურადღებით აკვირდებოდა კლემენცას ინტონაციას. მისი მღელვარება გულწრფელსა ჰგავდა, მაგრამ სონიმ ისიც იცოდა, რომ კლემენცა საკმაოდ კარგი მსახიობი იყო.

- სონი, სადავეები ახლა შენს ხელშია, - უთხრა კლემენცამ, - რა გინდა, რომ გავაკეთო?

- მამაჩემის სახლში მიდი, - უთხრა სონიმ, - და პაულო გატო წაიყვანე.

- სულ ეს არის? - იკითხა კლემენცამ, - არ გინდა, რამდენიმე კაცი საავადმყოფოში და შენთანაც გამოვაგზავნო? - არა, მინდა მხოლოდ შენ და პაულო გატო მიხვიდეთ, - თქვა სონიმ. ამას ხანგრძლივი პაუზა მოჰყვა. კლემენცა იმაზე ფიქრობდა, რა იმალებოდა ამ სიტყვებს მიღმა. ნათქვამისთვის მეტი ბუნებრიობა რომ მიენიჭებინა, სონიმ დაამატა: - ამის დედაც ვატირე, პაულო სად დაეთრევა? რა ჯანდაბას აკეთებდა?

ყურმილში ქშენა და ფშვინვა შეწყდა. კლემენცამ ძალზე ფრთხილად უპასუხა: - პაულო ავად იყო და სახლში დარჩა. მთელი ზამთარია ავადმყოფობს.

სონი აფეთქდა: - რამდენჯერ დარჩა სახლში ბოლო ორი თვის განმავლობაში?

- ალბათ, სამჯერ ან ოთხჯერ, - თქვა კლემენცამ, - მე რამდენჯერმე ვკითხე ფრედის, ხომ არ გინდა პაულო გამოცვალო-მეთქი, მაგრამ ყოველთვის მეუბნებოდა, არაო. არც იყო ამის მიზეზი, ბოლო ათი წელი ხომ ყველაფერი კარგად იყო.

- კარგი, - უთხრა სონიმ, - მამაჩემის სახლში გნახავ. პაულო აუცილებლად მოიყვანე. არ მაინტერესებს მისი ავადმყოფობა. გასაგებია?

სონიმ ყურმილი ისე დაკიდა, პასუხს არც დალოდებია.

მისი ცოლი ჩუმად ტიროდა. სონი ერთხანს უხმოდ უყურებდა, მერე უხეშად უთხრა: - თუ ვინმე ჩვენიანი დარეკავს, გადაეცი, რომ მამაჩემის სახლში დამირეკოს, მის ნომერზე. თუ ვინმე უცხო დარეკავს, უთხარი, რომ არაფერი იცი. თუკი ტომის ცოლი დარეკავს, უთხარი, რომ ტომი საქმეზეა წასული და შინ ჯერჯერობით ვერ დაბრუნდება.

სონი ისევ ჩაფიქრდა.

- რამდენიმე ჩვენს კაცს აქ გამოვგზავნი, - თქვა მან და ცოლის დამფრთხალი სახე რომ დაინახა, განაგრძო, - საშიში არაფერია. უბრალოდ, მინდა, აქ იყვნენ. გააკეთე, რასაც გეტყვიან. თუ ჩემთან დალაპარაკება დაგჭირდება, მამაჩემის ტელეფონზე დარეკე, ოღონდ ტყუილად არ დარეკო. მხოლოდ საქმეზე... და არ ინერვიულო.

სონი სახლიდან გამოვიდა. უკვე ბნელოდა, დეკემბრის ცივი ქარი ზუზუნით ქროდა ქუჩაში. სონის არ ეშინოდა სიბნელეში გამოსვლისა. გარშემო მდებარე რვა სახლი დონ კორლეონეს ეკუთვნოდა. ორი მათგანი ხეივნის შესასვლელში თავის ხალხზე ჰქონდა გაქირავებული. დანარჩენი ექვსი ნახევარწრედ იყო განლაგებული, მათგან

ერთი ტომ ჰეიგენსა და მის ოჯახს ეკუთვნოდა, ყველაზე მომცრო და შეუმჩნეველი კი თვით დონ კორლეონეს. სამი სახლი დონის ძველ მეგობრებს ეკავათ, რომლებიც საქმეში უშუალოდ აღარ მონაწილეობდნენ, - დონი მათ ქირას არ ართმევდა, თუმცა იგულისხმებოდა, რომ ბინას მაშინვე დაუცლიდნენ, როგორც კი ეტყოდა. ამ პატარა უბანს უწყინარი შესახედაობა ჰქონდა, მაგრამ, სინამდვილეში, ციხესიმაგრესავით მიუდგომელი იყო.

სახლების სახურავებზე მძლავრი პროჟექტორები დაეყენებინათ, გარშემო ყველაფერი დღესავით იყო განათებული, ასე რომ, შეუმჩნევლად ვერავინ შეაღწევდა. სონიმ ხეივანი გადაკვეთა და მამამისის სახლის კარი საკუთარი გასაღებით გააღო. როცა შევიდა, ხმამაღლა დაიძახა: - დედი, სად ხარ?

დედამისი სამზარეულოდან გამოვიდა. ღია კარიდან შემწვარი წიწაკის სურნელი გამოიფრქვა. სონიმ დედას ხელი მოჰკიდა, სკამზე დასვა.

- ახლა დამირეკეს, - უთხრა დედას, - ოღონდ არ ინერვიულო. მამა საავადმყოფოშია. დაჭრილია. ჩაიცვი და მზად იყავი საავადმყოფოში წასასვლელად. ცოტა ხანში მანქანა მზად იქნება. ო,კეი?

დედამისი ერთხანს უხმოდ ჩაჰყურებდა თვალებში და მერე იტალიურად ჰკითხა: - ესროლეს?

სონიმ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია. დედამ წამით დახარა თავი და შემდეგ სამზარეულოში შევიდა. სონი შეჰყვა. დედამ გაზქურა გამოთიშა და საძინებელში შევიდა. ქურაზე შემწვარი წიწაკით სავსე ტაფა იდგა. სონიმ წიწაკა ხელით აიღო, პურს დაადო - სენდვიჩი გაიკეთა. ცხელი ზეთი თითებზე ჩამოსდიოდა. შემდეგ კუთხის დიდ ოთახში, მამამისის კაბინეტში შევიდა და ტელეფონის აპარატი ამოიღო ყუთიდან, რომელიც გასაღებით იკეტებოდა. ეს ტელეფონი საგანგებოდ იყო დაყენებული. სონიმ პირველად ლუკა ბრაზის დაურეკა. არავინ უპასუხა; შემდეგ ბრუკლინის სათადარიგო რაზმის კაპორეჟიმეს, ანუ მეთაურს, რომლის ერთგულებაში ეჭვი არავის ეპარებოდა. მას ტესიო ერქვა. სონიმ მოკლედ უამბო, რა მოხდა, და უთხრა, რა გაეკეთებინა, - ტესიოს ორმოცდაათი სანდო კაცი უნდა შეეკრიბა და საავადმყოფოსა და ლონგ-ბიჩის სახლის დასაცავად გაეგზავნა. ტესიომ ჰკითხა: - და კლემენცა?

- ჯერჯერობით კლემენცას ხალხის გამოყენება არ მინდა, - უპასუხა სონიმ.

ტესიო ყველაფერს უმალ მიხვდა და ხანმოკლე პაუზის შემდეგ თქვა: - მაპატიე, სონი, მაგრამ იმას გეტყვი, რასაც მამაშენი გეტყოდა ასეთ სიტუაციაში: დასკვნას ნაჩქარევად ნუ გამოიტან. ვერ დავიჯერებ, რომ კლემენცამ გვიღალატა.

- გმადლობ, - მიუგო სონიმ, - არც მე მჯერა, მაგრამ სიფრთხილეს თავი არა სტკივა. ხომ ასეა?

- ასეა, - დაეთანხმა ტესიო.

- და კიდევ ერთი, - თქვა სონიმ, - ჩემი უმცროსი ძმა მაიკლი ჰანოვერის კოლეჯში, ნიუ-ჰემფშირის შტატში სწავლობს. ბოსტონში ჩვენს ხალხს დაუკავშირდი, მოძებნონ

და ჩამოიყვანონ, აქ იყოს, სანამ ყველაფერი ჩაწყნარდება. დავურეკავ და ვეტყვი, დაელოდოს.

- ო,კეი, - უთხრა ტესიომ, - როგორც კი საქმეებს მოვაგვარებ, მაშინვე მამაშენის სახლში მოვალ. ჩემს ხალხს სახეზე ცნობ?

- ვცნობ, - უპასუხა სონიმ და ყურმილი დაკიდა. მერე კედლის მომცრო სეიფთან მივიდა, გახსნა და იქიდან ლურჯყდიანი უბის წიგნაკი ამოიღო. გადაშალა, მოძებნა ფურცელი, სადაც ეწერა: „რეი ფარელი, 5.000 დოლარი საშობაოდ“, შემდეგ კი ტელეფონის ნომერი. სონიმ ნომერი აკრიფა და იკითხა: - ფარელი ხარ?

- დიახ, - უპასუხეს.

სონიმ განაგრძო.

- სანტინო კორლეონე ვარ. მინდა, ერთი საქმე გამიკეთო, თანაც სასწრაფოდ. ორ ტელეფონის ნომერს დაგისახელებ, შენ კი მითხარი, ბოლო სამი თვის განმავლობაში იქიდან ვის ურეკავდნენ და ვინ ურეკავდა.

სონიმ ფარელს პაულო გატოსა და კლემენცას სახლის ტელეფონები უკარნახა.

- ეს ძალზე მნიშვნელოვანია, - დაამატა სონიმ, - ყველაფერი შუაღამემდე გამიგე და საშობაოდ დამატებით საჩუქარს მიიღებ.

შემდეგ სონიმ ისევ ლუკა ბრაზისთან დარეკა, მაგრამ კვლავ არავინ უპასუხა. შეშფოთდა, თუმცა შეეცადა ამაზე აღარ ეფიქრა. ლუკა იმავე წამს მოვა, როგორც კი თავდასხმის ამბავს შეიტყობს. სონი მბრუნავი სავარძლის საზურგეს მიეყრდნო. ერთ საათში სახლი კორლეონეს ოჯახის ხალხით გაივსება და იგი ვალდებული იქნება, განკარგულებები გასცეს, - სათითაოდ უთხრას, ვის რა აქვს გასაკეთებელი. სონიმ მხოლოდ ახლა გააცნობიერა, რაოდენ სერიოზული იყო მდგომარეობა. ეს გახლდათ კორლეონეს ოჯახის ძალისა და გამძლეობის პირველი სერიოზული გამოცდა ბოლო ათი წლის განმავლობაში. ეჭვი არ არის, ამ ყველაფრის უკან სოლოცო დგას, მაგრამ იგი ვერ გაბედავდა ასეთ დარტყმას, ნიუ-იორკის ხუთი ყველაზე ძლევამოსილი ოჯახიდან ერთის მხარდაჭერა მაინც რომ არ ჰქონოდა. ეს სრულმასშტაბიან ომს ნიშნავს ან არა და, სოლოცოს პირობები დაუყოვნებლივ უნდა მიიღონ. სონიმ მწარედ ჩაიცინა. მზაკვარმა „თურქმა“ ყველაფერი ზუსტად გათვალა, მაგრამ უიღბლო აღმოჩნდა. დონი ცოცხალია და ეს ნიშნავს, რომ ომი იქნება, ხოლო ლუკა ბრაზის მონაწილეობითა და კორლეონეს ოჯახის რესურსებით ომს მხოლოდ ერთი შედეგი შეიძლება ჰქონდეს. თუმცა სონის ისევ მტანჯველმა აზრმა გაუელვა: სადაა ლუკა ბრაზი?

თავი მესამე

ჰეიგენთან ერთად მანქანაში ოთხი კაცი იყო, მძღოლის ჩათვლით. ჰეიგენი უკანა სავარძელზე დასვეს, იმ ორ კაცს შორის, ვინც ქუჩაში ზურგში ამოუდგა ცოტა ხნის წინ. სოლოცო მძღოლის გვერდით მოთავსდა. ჰეიგენის მარჯვნივ მჯდომმა მას ქუდი ცხვირზე ჩამოაფხატა, გზა რომ ვერ დაენახა, და უთხრა: - გაინძრევი, დაგბრიდავ.

დიდხანს არ უმგზავრიათ, დაახლოებით ოცი წუთი იარეს, მაგრამ, როდესაც მანქანიდან გადმოვიდნენ, უკვე ბნელოდა და ჰეიგენმა ვერაფრით განსაზღვრა, ქალაქის რომელ რაიონში მივიდნენ. სახლში შეიყვანეს, პირველი სართულის ოთახში ხმელ სკამზე დასვეს, რომელსაც სწორი საზურგე ჰქონდა. თვითონ სოლოცო სამზარეულოს მაგიდას მიუჯდა ჰეიგენის პირისპირ. სახე რომელიღაც მტაცებელ ცხოველს მიუგავდა.

- არ მინდა, ჩვენი გეშინოდეს, - უთხრა სოლოცომ, - ვიცი, შენ ოჯახის ძალისმიერ ნაწილს არ მიეკუთვნები. მხოლოდ ერთი რაღაც მინდა: დაეხმარე კორლეონეს ოჯახს და დამეხმარე მეც.

როდესაც ჰეიგენი სიგარეტს უკიდებდა, ხელი უკანკალებდა. ერთ-ერთმა იქ მყოფთაგანმა მაგიდაზე ვისკის ბოთლი დადგა და ჰეიგენს ყავის მომცრო, ჩინური ფაიფურის ფინჯანში ჩამოუსხა. ჰეიგენმა მხურვალე სითხე ერთბაშად გადაკრა. ამან უშველა: ხელები აღარ უკანკალებდა და აღარც ფეხებში გრძნობდა სისუსტეს.

- შენი ბოსი დაბრედილია, - თქვა სოლოცომ და სიტყვა გაწყვიტა. განცვიფრებული დადუმდა, როცა დაინახა, ჰეიგენს ცრემლი წასკდა. შემდეგ განაგრძო: - ოფისის წინ ჩავიჭირეთ. როგორც კი მომახსენეს, აგიყვანე. სონისთან უნდა შემარიგო.

ჰეიგენმა არაფერი უპასუხა. თვითონაც კი გაუკვირდა, როგორი ძლიერი მწუხარება იგრძნო. მიტოვებულობის, მარტოობის განცდა და სიკვდილის შიში ერთმანეთში გადაიხლართა. სოლოცო ისევ ალაპარაკდა: - სონის ჩემი წინადადება ძალზე მოეწონა. ხომ ეგრეა? შენც იცი, რომ ეს მაგარი საქმეა. მომავალი ნარკოტიკებს ეკუთვნის. იქ იმდენი ფულია, რომ ერთ-ორ წელიწადში ნებისმიერი შეიძლება გამდიდრდეს. დონი ძველებურად აზროვნებდა, მისი დრო წავიდა, თუმცა თვითონ ამას ვერა ხვდებოდა, მაგრამ ახლა იგი მკვდარია და ამას ვეღარაფერი შეცვლის. მზადა ვარ, ახალი წინადადება შევთავაზო სონის და მინდა, შენ დაელაპარაკო, დაითანხმო.

ჰეიგენმა უპასუხა: - არავითარი შანსი არ არსებობს. სონი ყველაფერს იღონებს, შური რომ იძიოს.

- ეს მისი პირველი რეაქცია იქნება, - უთხრა სოლოცომ მოუთმენლად, - მაგრამ შენ გონივრული რჩევა უნდა მისცე. ტატალიას ოჯახი, თავისი ხალხით, ჩემს მხარეზეა. ნიუ-იორკის სხვა ოჯახები ყველაფერს გააკეთებენ, ოღონდ ჩვენ შორის მსხვილმასშტაბიანი ომი არ გაჩაღდეს, რადგან ეს მათ ბიზნესს დააზარალებს. თუკი სონი ჩემს წინადადებას მიიღებს, სხვა ოჯახები გაჩუმდებიან, მათ შორის, დონის ძველი მეგობრებიც.

ჰეიგენმა ხელებზე დაიხედა, მაგრამ ხმა არ ამოიღო. სოლოცომ დაბეჯითებით განაგრძო: - დონი ჩაფლავდა. სხვა დროს ვერაფერს ვუზამდი, მაგრამ ახლა სიტუაცია შეიცვალა. ოჯახები აღარ ენდობიან მას, რადგან კონსილიორად შენ დაგნიშნა, არადა შენ არათუ სიცილიელი, იტალიელიც კი არ ხარ. თუ საქმე სრულმასშტაბიან ომამდე მივა, კორლეონეს ოჯახი მოისპობა, მაგრამ ამით ყველა დაზარალდება, მეც, მათ შორის. მე დონის პოლიტიკური კავშირები უფრო მჭირდება, ვიდრე მისი ფული. გადაეცი ეს სონის, დაელაპარაკე კაპორეჟიმეს. შენ დიდი სისხლის ღვრის თავიდან აცილება შეგიძლია.

ჰეიგენმა ყავის ფინჯანი ასწია, კიდევ დამისხითო ვისკი, ითხოვა. როცა ჩამოუსხეს, გადაკრა.

- ვეცდები, - თქვა მან, - მაგრამ სონი ძალიან ჯიუტია. გარდა ამისა, ლუკა ბრაზის ისიც კი ვერ გააჩერებს. ლუკა შენ ყველაზე მეტ პრობლემებს შეგიქმნის. ასევე მეც, თუკი შენი წინადადებით მივალ ოჯახში.

სოლოცომ მშვიდად მიუგო: - ლუკაზე უკვე ვიზრუნე. შენ კი სონისა და სხვებს მიხედე. და გადაეცი, რომ შემეძლო, ფრედიც გამესაღებინა, მაგრამ ჩემს ხალხს კატეგორიულად ვუბრძანე, არ მოეკლათ. ზედმეტი მსხვერპლი არ მჭირდება. ასე რომ, შეგიძლია უთხრა, ფრედი ჩემი წყალობითაა ცოცხალი.

ბოლოს და ბოლოს, ჰეიგენის გონება ძველებურად ამუშავდა. როგორც იქნა, დაიჯერა, რომ სოლოცო მის მოკვლას ან მძევლად დატოვებას არ აპირებდა. ახლა უკვე შერცხვა იმისა, თავიდან რომ დაფრთხა. სოლოცო გამგებიანი ღიმილით უყურებდა. ჰეიგენმა სიტუაციის ყოველმხრივი შეფასება სცადა. თუკი სოლოცოს დახმარებაზე უარს ეტყვის, მოკლავენ, მაგრამ სოლოცოს მისგან მხოლოდ ერთი რამ უნდა: მისი წინადადება წარადგინოს და თანაც, რაც შეიძლება უკეთ. ეს მისი მოვალეობაც კია, როგორც პასუხისმგებელი კონსილიორისა. და ახლა, როცა ყველაფერი აწონ-დაწონა, ჰეიგენი მიხვდა, - სოლოცო მართალია. ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რომ ომი ტატალიასა და კორლეონეს ოჯახებს შორის თავიდან აიცილონ. კორლეონეს ოჯახმა უნდა დამარხოს თავისი მკვდარი, დაივიწყოს წყენა, წავიდეს შეთანხმებაზე და მერე, როცა დროს იხელთებს, სოლოცოს გაუსწორდეს.

მაგრამ როდესაც ჰეიგენმა თავი ასწია და სოლოცოს შეხედა, მიხვდა, - მან იცოდა, რასაც ახლა ჰეიგენი ფიქრობდა. „თურქი“ იღიმებოდა და მაშინ ჰეიგენის გონებაში ერთმა აზრმა გაიელვა. რა მოუვიდა ლუკა ბრაზის, სოლოცო რომ ესოდენ მშვიდადაა? ნუთუ ლუკა „თურქს“ გაურიგდა? ჰეიგენს გაახსენდა, რომ იმ დღეს, როდესაც სოლოცოს უარი უთხრეს, მოგვიანებით, დონმა ლუკა გამოიძახა და ცალკე ეთათბირა, მაგრამ ახლა ამაზე ფიქრის დრო აღარ იყო. როგორმე ცოცხლად უნდა მიაღწიოს კორლეონეთა ციხესიმაგრემდე, ლონგ-ბიჩში.

- რაც შემიძლია, ყველაფერს ვეცდები, - თქვა ჰეიგენმა, - მგონი, მართალი ხარ და, ალბათ, თვით დონიც კი დაეთანხმებოდა იმას, რაც გასაკეთებელია.

სოლოცომ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

- ძალიან კარგი, - თქვა მან, - მე არ მიყვარს სისხლის ღვრა. ბიზნესმენი ვარ, სისხლი კი ძალზე ძვირი ჯდება.

ამ დროს ტელეფონმა დარეკა. „თურქის“ ერთ-ერთმა კაცმა, რომელიც ჰეიგენის ზურგს უკან იჯდა, ყურმილი აიღო. ყურადღებით უსმენდა, შემდეგ თავაზიანად უპასუხა: „დიახ, გადავცემ“. ყურმილი დაკიდა, სოლოცოსთან მივიდა და რაღაც ჩასჩურჩულა. ჰეიგენმა დაინახა, უეცრად როგორ გაფითრდა „თურქი“, როგორ მრისხანედ იელვა მისმა თვალებმა. თვით ჰეიგენიც შეკრთა. შემდეგ სოლოცომ დაფიქრებით შეხედა მას და ტომი უცებ მიხვდა, რომ აღარ გაათავისუფლებდნენ. რაღაც მოხდა, რაც, შესაძლოა, მისი სიკვდილის მიზეზიც კი გახდეს.

სოლოცომ თქვა: - დონი ცოცხალია. ხუთმა ტყვიამ გაუხვრიტა ეგ თავისი სიცილიური ტყავი და მაინც ცოცხალია, - მერე მხრები აიჩეჩა, - არ გამიმართლა, - ჩაილაპარაკა და ჰეიგენს გახედა, - არც შენ გაგიღიმა ბედმა.

თავი მეოთხე

როდესაც მაიკლ კორლეონემ ლონგ-ბიჩს მიაღწია, ხეივანში ვიწრო შესასვლელი გრძელი ჯაჭვით გადაეკეტათ. იქაურობა სახურავებზე დაყენებული პროჟექტორებით იყო განათებული, ბეტონის ტროტუართან ათიოდე მანქანა ჩამწკრივებულიყო.

ჯაჭვთან მაიკლისთვის უცნობი ორი კაცი იდგა. ერთ-ერთმა ბრუკლინური აქცენტით ჰკითხა: - ვინა ხარ?

მაიკლმა უთხრა, ვინც იყო. უახლოესი სახლიდან კიდევ ერთი კაცი გამოვიდა, მაიკლს მიაჩერდა.

- ეს დონის შვილია, - თქვა მან, - მე შევიყვან.

მაიკლი გაჰყვა. მამამისის სახლის შესასვლელთან კიდევ ორი კაცი იდგა. მაიკლი შინ შევიდა.

მაიკლს მოეჩვენა, რომ სახლი უცხო ხალხით იყო სავსე. სასადილოში ტერეზა დაინახა, ტომ ჰეიგენის ცოლი, რომელიც სავარძელში იჯდა და სიგარეტს ეწეოდა. მის წინ, საჟურნალე მაგიდაზე, ვისკის ბოთლი იდგა. დივნის მეორე ბოლოში მსუქანი კლემენცა მოკალათებულიყო. კაპორეჟიმეს სახე არაფერს გამოხატავდა, მაგრამ სახე ოფლით ჰქონდა დაცვარული, ხელში სიგარა ეჭირა, რომელიც მისი ნერწყვისგან შავად ზიმზიმებდა.

კლემენცამ მაიკლს ხელი თანაგრძნობით ჩამოართვა და ჩაილაპარაკა: - დედაშენი საავადმყოფოშია მამასთან, ყველაფერი კარგად იქნება.

პაულო გატოც წამოდგა ხელის ჩამოსართმევად. მაიკლმა გაოცებით შეხედა. იცოდა, გატო მამამისის პირადი მცველი იყო, მაგრამ ის კი არ უწყოდა, რომ თავდასხმის დღეს გატო შინ დარჩა ავადმყოფობის მომიზეზებით. გატოს გამხდარი სახე დაძაბული ჰქონდა. კორლეონეს ოჯახში ის ცნობილი იყო როგორც მარჯვე ბიჭი, რომელიც სწრაფად და ყოველგვარი გართულების გარეშე ასრულებდა ყველაზე უფრო დელიკატურ დავალებებს, მაგრამ ახლა, როგორც ჩანს, ხელი მოეცარა. მაიკლმა ყურადღება მიაქცია, რომ ოთახის კუთხეებში მყოფი რამდენიმე კაცი არ ეცნობოდა. კლემენცას ხალხი არ უნდა ყოფილიყო. მაიკლმა ფაქტები შეაჯერა და დაასკვნა, - კლემენცა და გატო ეჭვქვეშ არიან.

მაიკლს ეგონა, გატო შემთხვევის ადგილზე იქნებოდა ნამყოფი, ამიტომაც ჰკითხა: - ფრედი როგორაა? ო'კეი?

- ექიმმა ნემსი გაუკეთა, - თქვა კლემენცამ, - ახლა სძინავს.

მაიკლი ჰეიგენის ცოლთან მივიდა და დაიხარა, რომ ლოყაზე ეკოცნა. მაიკლი და ტერეზა ყოველთვის მეგობრობდნენ.

- ნუ გეშინია, ტომს არაფერი დაუშავდება. სონის უკვე ელაპარაკე?

ტერეზა წამით ჩაეჭიდა მას და უარის ნიშნად თავი გააქნია. ეს ნაზი, ძალზე მომხიბლავი ქალი უფრო მეტად ამერიკელი იყო, ვიდრე იტალიელი. უაღრესად შეშინებული ჩანდა. მაიკლმა ხელი მოჰკიდა, სავარძლიდან წამოაყენა და კუთხის ოთახისკენ, მამამისის კაბინეტისკენ წაიყვანა.

სონი საწერ მაგიდასთან, სავარძელში მოდუნებული იჯდა, ერთ ხელში ყვითელყდიანი ბლოკნოტი ეჭირა, მეორეში კი ფანქარი. მის გარდა ოთახში მხოლოდ ერთი მამაკაცი იყო. მაიკლმა იცნო კაპორეჟიმე ტესიო და მიხვდა, სახლს მისი ხალხი იცავდა. ბლოკნოტი და ფანქარი ტესიოსაც ეჭირა.

მათ დანახვაზე სონი წამოდგა, და ტერეზას მოეხვია.

- ნუ ღელავ, ტერეზა, - თქვა მან, - ტომს არაფერი მოუვა. უბრალოდ, უნდათ თავისი წინადადება გადასცენ და მერე გამოუშვებენ. ტომი ჩვენს ოპერაციებში უშუალოდ არ მონაწილეობს, მხოლოდ ჩვენი ადვოკატია, არაფერს დაუშავებენ.

შემდეგ სონი მაიკლთან მივიდა და, მისდა გასაოცრად, მოეხვია და ლოყაზე აკოცა. მაიკლმა სონის მსუბუქად უბიძგა და ღიმილით უთხრა: - რომ მირტყამდი, იმას მივეჩვიე, ახლა ამასაც უნდა მივეჩვიო?

ბავშვობაში სონი და მაიკლი გამუდმებით ჩხუბობდნენ. სონიმ მხრები აიჩეჩა: - მისმინე, ბიჭო, მაგრად ვინერვიულე, იმ შენს მიყრუებულ ქალაქში რომ ვერ გიპოვეს. შავებს კი არ ჩავიცვამდი შენი დაკარგვის გამო, უბრალოდ, დედასთვის ამ ახალი ამბის თქმის პერსპექტივა სრულიად არ მხიბლავდა. მამას ამბავი მე ვუთხარი.

- როგორ მიიღო? - იკითხა მაიკლმა.

- ნორმალურად, - მიუგო სონიმ, - ერთხელ უკვე გადაიტანა მსგავსი რაღაც. შენ მაშინ პატარა იყავი, არ გეხსომება. იმის მერე ყველაფერი მშვიდად იყო.

სონი დადუმდა, შემდეგ კი გააგრძელა: - საავადმყოფოშია მამასთან. გამოძვრება.

- იქნებ, ჩვენც მივსულიყავით? - იკითხა მაიკლმა.

სონიმ თავი გააქნია და მოუჭრა: - არა, სახლს ვერ დავტოვებ, სანამ ყველაფერი არ დამთავრდება.

ტელეფონი აწკრიალდა. სონიმ ყურმილი აიღო, ყურადღებით უსმენდა. მაიკლი მაგიდასთან მივიდა, ყვითელყდიან ბლოკნოტს თვალი ჰკიდა, რომელშიც სონი ერთი წუთის წინ რაღაცას ინიშნავდა. ფურცელზე შვიდი სახელი იყო ჩამოწერილი. პირველები სოლოცო, ფილიპ ტატალია და ჯონ ტატალია იყვნენ. მაიკლი უცებ მიხვდა, რომ კაბინეტში იმ მომენტში შევიდა, როცა სონი და ტესიო დასახოცთა სიას ადგენდნენ.

სონიმ ყურმილი დაკიდა და ტერეზა ჰეიგენს უთხრა: - შეგიძლია, ცოტა ხანს გარეთ მოიცადო? მე და ტესიოს რაღაც საქმე გვაქვს დასამთავრებელი.

ჰეიგენის ცოლმა იკითხა: - ეს ზარი ტომს ეხებოდა?

სონი ტერეზას მოეხვია და კარისკენ წაიყვანა.

- სიტყვას გაძლევ, რომ ყველაფერი კარგად იქნება, - თქვა მან, - სასადილო ოთახში მოიცადე. გამოვალ, როგორც კი რამეს გავიგებ.

სონიმ კარი მიხურა. მაიკლი ტყავის დიდ სავარძელში ჩაეშვა. სონიმ გამჭოლი მზერა სტყორცნა და მაგიდას მიუჯდა.

- ჩემ გვერდით იყავი, მაიკლ, - თქვა მან, - ისეთ რაღაცებს გაიგებ, რისი გაგებაც არ გესიამოვნება.

მაიკლმა სიგარეტს მოუკიდა.

- მე შემიძლია დაგეხმარო, - თქვა მან.

- არა, არ შეგიძლია, - მიუგო სონიმ, - მამა სასტიკად გაჯავრდებოდა, რომ გაეგო, ამ საქმეში გაერიე.

მაიკლი წამოდგა და ყვირილით უთხრა: - გამოშტერდი, ნაბიჭვარო? რაებს ბოდავ?! ის ხომ მამაჩემია! შენ გგონია, ვერ დაგეხმარები? დაგეხმარები! ქუჩაში ხალხის დასაბრედად ვერ გავალ, მაგრამ დაგეხმარები. ნუ მექცევი, როგორც პატარა ძამიკოს. ომში ვარ ნამყოფი. დამჭრეს, თუ გახსოვს. რამდენიმე იაპონელი მყავს მოკლული. რა გგონია, როცა ვიღაცას გაასაღებ, რა დამემართება, გული წამივა?

სონიმ გაიღიმა.

- კარგი, კარგი, ხელები არ ამაწევინო. დარჩი აქ და ტელეფონს მიხედე.

შემდეგ სონი ტესიოსკენ შეტრიალდა: - ახლა შემატყობინეს, რასაც ველოდებოდი. ვიღაცას უნდა მიეთითებინა დონზე. ეს შეიძლებოდა ყოფილიყო კლემენცა ან პაულო გატო, რომელიც დღეს ასე გამოწერილივით გახდა ავად, მაგრამ მე უკვე ვიცი პასუხი. მოდი, მაიკლ, ვნახოთ, რამდენად გამჭრიახი ხარ, შენ ხომ კოლეჯში სწავლობ. აბა, თქვი, რას ფიქრობ?

მაიკლი ისევ ტყავის სავარძელში ჩაეშვა. ყველაფერი საგულდაგულოდ აწონ-დაწონა. კლემენცა კორლეონეს ოჯახის კაპორეჟიმეა. დონმა მილიონერი გახადა, ოცი წლის განმავლობაში უახლოესი მეგობრები იყვნენ. მისი თანამდებობა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია ორგანიზაციაში. რა შეიძლება მიიღოს კლემენცამ ღალატით? ფული? - საკმარისად მდიდარია, თუმცა ადამიანებს სიხარბე სჩვევიათ. მეტი ძალაუფლება? ან, იქნებ, ეს შურისძიებაა უნებლიე ან სულაც წარმოსახვითი შეურაცხყოფისათვის? იქნებ, ის ეწყინა, კონსილიორი ჰეიგენი რომ გახდა? ან, იქნებ, ეს უბრალოდ ბიზნესმენის გათვლაა, დარწმუნებულია, რომ, ბოლოს და ბოლოს, სოლოცო მაინც გაიმარჯვებს? არა, შეუძლებელია კლემენცა მოღალატე იყოს... და მაიკლმა გააცნობიერა, რომ მხოლოდ იმიტომ გააკეთა ასეთი დასკვნა, არ უნდა კლემენცა მოკვდეს. როცა პატარა იყო, ამ მსუქან ძიას მისთვის ყველაზე ლამაზი სათამაშოები მოჰქონდა და, როცა დონი დაკავებული იყო, სასეირნოდ მიჰყავდა. ვერ დაიჯერებს, რომ კლემენცა მოღალატეა.

მეორე მხრივ, სოლოცოს კორლეონეს ოჯახიდან ყველაზე მეტად კლემენცა სჭირდებოდა.

მაიკლი პაულო გატოზე დაფიქრდა. იგი ჯერ არ გამდიდრებულა. გატოს აფასებენ და ორგანიზაციაში წინსვლა უზრუნველყოფილი აქვს, მაგრამ, ცხადია, მოცდა მოუწევს, როგორც ნებისმიერს მოუწევდა ასეთ შემთხვევაში. არადა ახალგაზრდები ხშირად ოცნებობენ ხოლმე ძალაუფლებაზე და მოთმინების უნარს კარგავენ. მოღალატე უფრო პაულო გატო იქნება. და მაიკლს გაახსენდა, პაულოსთან ერთად მეექვსე კლასში რომ სწავლობდა, მასთან ერთად მერხზე ჯდომა არ უნდოდა.

- არც ერთი მათგანი, - თქვა მაიკლმა, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ სონიმ განაცხადა, პასუხი უკვე ვიციო. ხმის მიცემა რომ ყოფილიყო საჭირო, მაიკლი გატოს დაადებდა ხელს.

სონიმ გაუღიმა.

- ნუ ღელავ, - თქვა მან, - კლემენცა არაფერ შუაშია. პაულოა.

მაიკლმა დაინახა, რომ ტესიომ შვებით ამოისუნთქა. ისიც კაპორეჟიმე გახლდათ და მისი სიმპათია მთლიანად კლემენცას მხარეს იყო. გარდა ამისა, თვით ღალატის ფაქტი არ იყო ძალიან სერიოზული, თუკი მოღალატეს ესოდენ უმნიშვნელო თანამდებობა ეჭირა ორგანიზაციაში.

ტესიომ ფრთხილად იკითხა: - ესე იგი, ხვალ ჩემი ხალხი შემიძლია გავუშვა?

- ზეგ, - უთხრა სონიმ, - მისმინე, ჩემს ძმას მინდა ცალკე დაველაპარაკო ოჯახის საქმეებზე. თუ შეიძლება, სასადილოში დამელოდე. სიას მოგვიანებით დავასრულებთ. ამაზე კლემენცასთან ერთად იმუშავებ.

- კარგი, - მიუგო ტესიომ და ოთახიდან გავიდა.

- საიდან იცი ასე დარწმუნებით, რომ პაულოა? - ჰკითხა მაიკლმა.

- ჩემი ხალხი მყავს სატელეფონო სადგურში. ყველა ზარს აფიქსირებდნენ, კლემენცასა და პაულოს ტელეფონებზე რომ შედიოდა. იმ სამი დღიდან, როცა პაულო ავად იყო, ერთ-ერთ დღეს მასთან სახლში ტელეფონ-ავტომატიდან დარეკეს, რომელიც დონის ოფისის წინაა. ასევე, დღესაც. მათ უნდოდათ გაეგოთ, პაულო იქნებოდა მამასთან თუ ვინმე სხვა. ან, შესაძლოა, სხვა მიზეზით რეკავდნენ. ამას ახლა უკვე აღარ აქვს მნიშვნელობა, - სონიმ მხრები აიჩეჩა, - მადლობა ღმერთს, რომ ეს პაულოა. კლემენცა ძალიან გვჭირდება.

- ეს ნამდვილი ომი იქნება? - იკითხა მაიკლმა.

სონი მოიღუშა.

- იქნება, - უპასუხა მაიკლს, - მაშინვე დავიწყებ, როგორც კი ტომი დაბრუნდება. ამ ომის შეჩერება მხოლოდ დონს შეუძლია.

- მაშინ რატომ არ გინდა დაელოდო, სანამ თვითონ გეტყვის, რა გააკეთო? - იკითხა მაიკლმა.

სონიმ გაოცებით შეხედა: - ძალიან მაინტერესებს, როგორ მიიღე ეგ შენი საბრძოლო მედლები? როგორ არ გესმის? - როცა გესვრიან, უნდა ესროლო! ომია და უნდა ვიომოთ. სხვა გზა არა გვაქვს. მხოლოდ იმის მეშინია, რომ ტომს აღარ გამოუშვებენ.

მაიკლს გაუკვირდა: - რატომ?

სონიმ მოთმინებით აუხსნა: - ტომი იმიტომ აიყვანეს, რომ ეგონათ, დონი მოკლულია და მას ჩემთან მოსალაპარაკებლად გამოიყენებდნენ, მაგრამ დონი ცოცხალია. ასე რომ, ჩემთან შეთანხმება ჩაიშალა. ესე იგი, ტომიც აღარ სჭირდებათ. შეიძლება, მოკლან ან გამოუშვან, გააჩნია, სოლოცო როგორ ხასიათზეა. თუკი მოკლავენ, ეს იმას ნიშნავს, რომ გადაწყვეტილი აქვთ, ბოლომდე მოგვაწვნენ, აგვიყვანონ.

- რამ აფიქრებინა სოლოცოს, რომ შენთან შეთანხმებას შეძლებდა? - იკითხა მაიკლმა.

სონი გაწითლდა და ერთი წუთის განმავლობაში ხმას არ იღებდა. მერე თქვა: - რამდენიმე თვის წინ სოლოცო ჩვენთან მოვიდა და ნარკოტიკებით ვაჭრობაში მონაწილეობა შემოგვთავაზა. დონმა უარი უთხრა. მოლაპარაკებისას რაღაც წამოვროშე და სოლოცო მიხვდა, რომ ამ საქმით დაინტერესებული ვიყავი. ამის გაკეთება არაფრით არ შეიძლებოდა, მამამ უკვე ჩამიჭედა ტვინში, - უცხოს არ უნდა გააგებინო, რომ ოჯახში სხვადასხვა აზრი აქვთო. სოლოცოს ეგონა, თუ დონს მოვიშორებ, სონი ჩემს პირობებს დათანხმდებაო. დონის გარეშე ჩვენი ოჯახის ძალა განახევრდებოდა. ყველა შემთხვევაში მომიწევდა გადარჩენისთვის ბრძოლა და იმის დაცვა, რაც დონმა მოიპოვა. მომავალი ნარკოტიკებს ეკუთვნის და, ადრე თუ გვიან, იძულებულნი ვიქნებით, ამ საქმეში გავერიოთ. დონის თამაშიდან გამოთიშვის მოტივი სავსებით საქმიანია და არა პირადი. და რადგან ეს ბიზნესია, მე შევუერთდებოდი მას. რასაკვირველია, სოლოცო ახლოს არ გამიკარებდა, რომ მისი მოკვლის ცდუნებას არ წაეძლია, მაგრამ ისიც კარგად იცის, თუკი ამ ბიზნესში შევალ, სხვა ოჯახები არასოდეს მომცემენ მხოლოდ და მხოლოდ შურისძიების გამო ომის დაწყების უფლებას. გარდა ამისა, მის ზურგს უკან ტატალიას ოჯახი დგას.

- რას იზამდი, დონი მართლა რომ მოეკლათ? - ჰკითხა მაიკლმა.

სონიმ მარტივად უპასუხა: - სოლოცოს დავბრიდავდი. ჩემთვის სულერთია, რა დამიჯდებოდა ეს. ყველაფერზე წამსვლელი ვარ. თუნდაც ნიუ-იორკის ხუთივე ოჯახთან მომიწიოს ომმა. ტატალიას ოჯახი განადგურდება. თუნდაც ჩვენც გავნადგურდეთ მასთან ერთად.

- მამა ასე არ მოიქცეოდა, - რბილად შენიშნა მაიკლმა.

სონი აიფოფრა.

- მართალია, მე ვერა ვარ ისეთი კაცი, როგორიც მამაა, მაგრამ ისიც იმას იტყოდა, რასაც ახლა ვამბობ. როცა საქმე პირდაპირ მოქმედებას მოითხოვს, სხვებზე ნაკლები არც მე შემიძლია. ეს სოლოცომაც კარგად იცის, კლემენცამაც და ტესიომაც. მე ეს ცხრამეტი წლისამ დავამტკიცე, როცა ჩვენს ოჯახს ბოლო ომი ჰქონდა და მაშინ მამა ძალზე კმაყოფილი დარჩა ჩემი დახმარებით. ასეთ საქმეში ყველა ბერკეტი ჩვენს ხელთაა. ერთადერთი, რაც მინდა, როგორმე სასწრაფოდ დავუკავშირდე ლუკას.

- ლუკა მართლა ისეთი მაგარია, როგორც ამბობენ? - იკითხა მაიკლმა ინტერესით, - მართლა ასე კარგად იცის თავისი საქმე?

- რაღაც განსაკუთრებულია, უმაღლესი კლასი. სამივე ტატალიას მივუქსევ. სოლოცოს მე თვითონ მოვუვლი, - მიუგო სონიმ.

მაიკლი სავარძელში აწრიალდა. უფროს ძმას გახედა. სონი ზოგჯერ საკმაოდ სასტიკი ჩანდა, მაგრამ სინამდვილეში კეთილი გული ჰქონდა. მისგან ასეთი სიტყვების მოსმენას მაიკლი ჩვეული არ იყო. ჟრუანტელმა დაუარა, როცა დაინახა, რომ სონი სიკვდილით დასასჯელთა სიას ადგენდა რომის ახალნაკურთხი იმპერატორივით. მაიკლს გაუხარდა, ამ საქმეებში მონაწილეობა უშუალოდ რომ არ მოუწევდა. მამა ცოცხალია და იგი არ არის ვალდებული, შური იძიოს. მზადაა დაეხმაროს: ტელეფონს უპასუხოს, განკარგულებები გადასცეს და ასე შემდეგ. მამა და უფროსი ძმა მის გარეშეც დაიცავენ თავს, განსაკუთრებით, როცა მათ გვერდით ლუკა იქნება.

ამ დროს სასადილოდან ქალის შეკივლება მოისმა. ,,ო, ღმერთო, - გაიფიქრა მაიკლმა, - ტერეზას ხმას ჰგავს". კართან მიიჭრა, გამოაღო. სასადილოში ყველა ფეხზე იდგა. სავარძელთან ტომ ჰეიგენს ტერეზა ჰყავდა ჩახუტებული. ქალი ქვითინებდა. ტომმა ცოლი დივანზე ფრთხილად დასვა და მაიკლს სევდიანად გაუღიმა: - მიხარია, რომ გხედავ, მაიკლ.

შემდეგ კაბინეტისკენ წავიდა ისე, რომ ცოლისთვის აღარც შეუხედავს. ქალი კვლავაც ტიროდა. ჰეიგენმა კორლეონეს ოჯახში დაახლოებით ათი წელი გაატარა და ამ წლებს უქმად არ ჩაუვლია. ,,დონისგან აშკარად რაღაც შეიძინა", - გაიფიქრა მაიკლმა უნებლიე სიამაყით. ისევე, როგორც სონიმ. ისევე, როგორც თვითონ, რაც უნდა გასაკვირი იყოს.

თავი მეხუთე

დაახლოებით დილის ოთხი საათი იქნებოდა, როცა ყველანი კაბინეტში შეიკრიბნენ: სონი, მაიკლი, ტომ ჰეიგენი, კლემენცა და ტესიო. ტერეზა ჰეიგენი დაარწმუნეს, შინ დაბრუნებულიყო, რომელიც იქვე, ქუჩის გადაღმა მდებარეობდა. პაულო გატო კვლავაც სასადილო ოთახში იცდიდა, - არ იცოდა, ტესიოს ხალხს რომ ნაბრძანები ჰქონდა, მისთვის თვალი არ მოეშორებინათ.

ტომ ჰეიგენმა შეკრებილებს სოლოცოს წინადადება გააცნო. ისიც უთხრა, როცა ,,თურქს" შეეტყო, დონი ცოცხალიაო, მისი მოკვლა გადაეწყვიტა.

- თუკი ოდესმე უმაღლესი სასამართლოს წინაშე დაცვითი სიტყვით მომიწევს გამოსვლა, - თქვა ჰეიგენმა ღიმილით, - ვერასოდეს მოვახერხებ იმაზე უკეთ, ვიდრე იმ წყეული ,,თურქის" წინაშე წუხელ ღამით გამომივიდა. ვუთხარი, რომ გელაპარაკეთ შეთანხმების შესაძლებლობაზე, მაშინ, როცა უკვე ვიცოდი, რომ დონი ცოცხალი გადარჩა. ვუთხარი, შემიძლია სონი თითზე დავიხვიო, ბავშვობიდან ვმეგობრობთ-მეთქი. და კიდევ, ოღონდ, სონი, არ გაბრაზდე, ისიც ვთქვი: შესაძლოა, სულაც არ არის სონი მეტისმეტად ცუდ გუნებაზე, რადგან დონის ადგილს მიიღებს-მეთქი.

და ტომმა მობოდიშებით გაუღიმა სონის, რომელმაც აგრძნობინა, ამას მნიშვნელობას არ ვანიჭებო.

სავარძლის საზურგეს მიყრდნობილი მაიკლი სონისა და ტომ ჰეიგენს გამომცდელად შეჰყურებდა, მარჯვენა ხელში ტელეფონი ეჭირა. როდესაც ტომი კაბინეტში შემოვიდა, სონი ფეხზე წამოიჭრა და გადაეხვია. მაიკლს, ამის შემხედვარე,

ძალაუნებურად შეშურდა კიდეც, რადგან ისინი ერთმანეთისთვის უფრო მეტადაც კი იყვნენ ახლობლები, ვიდრე თვითონ და სონი, სისხლისმიერი ძმები.

- საქმეზე გადავიდეთ, - თქვა სონიმ, - გეგმა უნდა შევადგინოთ. შეხედეთ ამ სიას, რომელიც მე და ტესიომ ჩამოვწერეთ. ტესიო, შენი ასლი კლემენცას გადაეცი.

- თუკი გეგმებს ვადგენთ, - თქვა მაიკლმა, - ფრედი აუცილებლად უნდა მონაწილეობდეს.

სონიმ კუშტად მიუგო: - ფრედი ვერაფერს გვიშველის. ექიმმა თქვა, ისეთი ძლიერი შოკი ჰქონდა, ხანგრძლივი დასვენება სჭირდებაო. რა ხდება, ვერ ვიგებ. ფრედი ხომ ყოველთვის საკმაოდ მაგარი იყო. არა, ცხადია, მისთვის ძალზე მძიმე იქნებოდა დაცხრილული დონის დანახვა, მამას ყოველთვის აღმერთებდა... მე და შენ, მაიკლ, სხვანაირები ვართ.

- ო,კეი, - სწრაფად ჩაილაპარაკა ჰეიგენმა, - ფრედის თავი დავანებოთ. საერთოდ ნურაფერში გავრევთ. შენ კი, სონი, სახლიდან არ გახვიდე, სანამ ყველაფერი არ მოთავდება. მე ვგულისხმობ, საერთოდ არ გახვიდე. აქ უსაფრთხოდ ხარ. სოლოცოს შეფასებაში არ უნდა შევცდეთ, ნამდვილად სერიოზული ვინმეა. საავადმყოფო საიმედოდაა დაცული?

სონიმ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია: - საავადმყოფო პოლიციელებმა გადაკეტეს და ჩვენი ხალხი მუდმივად იქ არის. სიაზე რას იტყვი, ტომ?

შუბლშეჭმუხნილმა ჰეიგენმა სიას ჩახედა.

- ღმერთო ჩემო, სონი, - თქვა მან, - შენ ამ ყველაფერს უყურებ, როგორც შენს პირად საქმეს. არადა დონი ამას უბრალოდ ბიზნესკონფლიქტად მიიჩნევდა. სოლოცო აქ მთავარი ფიგურაა, მოიცილე თავიდან და ყველაფერი წამსვე დალაგდება, ტატალიას ოჯახს კი ნუ შეეხები.

სონიმ თავის ორ კაპორეჟიმეს გახედა. ტესიომ მხრები აიჩეჩა და თქვა: - რთულია.

კლემენცას საერთოდ არ ამოუღია ხმა.

- მგონი, ერთი რაღაც კამათის გარეშეც შეიძლება გადავწყვიტოთ, - უთხრა სონიმ კლემენცას, - პაულო აქ აღარ უნდა გაჭაჭანდეს. შენი სიის თავში დააყენე.

მსუქანმა კაპორეჟიმემ თავი დაუქნია.

- და ლუკას რაღა დაემართა? - იკითხა ჰეიგენმა, - სოლოცოს ეს რატომღაც არ აღელვებს. მე კი მაღელვებს. თუკი ლუკამ გაგვყიდა, მართლა სერიოზული პრობლემები შეგვექმნება. ვინმემ მოახერხა მასთან დაკავშირება?

- არა, - უპასუხა სონიმ, - მთელი ღამე ვურეკავდი, მაგრამ უშედეგოდ. იქნებ, ჟიმაობს?

- არა, - მიუგო ჰეიგენმა, - ქალებთან ღამით არასოდეს რჩება. საქმეს როგორც კი მორჩება ხოლმე, მაშინვე შინ მიდის. მაიკლ, რეკვა გააგრძელე მანამ, სანამ არ გიპასუხებს.

მაიკლი მორჩილად დასწვდა ყურმილს და ნომერი აკრიფა. დიდხანს ელოდა, მაგრამ პასუხი ვერ მიიღო. ბოლოს და ბოლოს, დაკიდა.

- ყოველ თხუთმეტ წუთში ერთხელ რეკე, - თქვა ჰეიგენმა.

სონიმ მოუთმენლად უთხრა: - შენ ხომ კონსილიორი ხარ, ტომ. იქნებ, მირჩიო რამე? რა ჯანდაბა გავაკეთოთ?

ჰეიგენმა ვისკი ჩამოისხა.

- სოლოცოსთან მოლაპარაკება ვაწარმოოთ მანამ, სანამ მამაშენი მწყობრში არ ჩადგება და საქმეს თვითონ არ მიხედავს. თუ აუცილებელი იქნება, შეიძლება შეთანხმებაზეც კი წავიდეთ. როგორც კი დონი გამომჯობინდება, ყველაფერს წყნარად მოაგვარებს.

სონიმ გაბოროტებით მიახალა: - შენ გგონია, სოლოცოს ვერ მოვერევი?

ჰეიგენმა პირდაპირ თვალებში შეხედა: - სონი, რასაკვირველია, მოერევი. კორლეონეს ოჯახს საამისოდ საკმარისი ძალა აქვს. კლემენცასა და ტესიოს შეუძლიათ ათასი კაცი გამოიყვანონ, თუკი საქმე ნამდვილ ომამდე მივა, მაგრამ ეს მთელ აღმოსავლეთ სანაპიროზე დამანგრეველ შედეგს მოიტანს და სხვა ოჯახები ამაში ჩვენ დაგვდებენ ბრალს. ბევრ ახალ მტერს გავიჩენთ, დონი ამას არასოდეს დაუშვებდა.

მაიკლმა სონის შეხედა და მოეჩვენა, რომ მის ნათქვამს, ალბათ, გაითვალისწინებდა, მაგრამ სონი მაშინვე ჩაეკითხა ჰეიგენს: - და დონი რომ მოეკლათ, მაშინ რას მირჩევდი, კონსილიორი?

ჰეიგენმა მშვიდად უპასუხა: - ვიცი, არ დამიჯერებ და არ გააკეთებ, რასაც გეტყვი, მაგრამ მაინც გირჩევდი, რომ სოლოცოს ნარკოტიკების თაობაზე ნამდვილად შეთანხმებოდი. მამაშენის პოლიტიკური კავშირებისა და პიროვნული გავლენის გარეშე, კორლეონეს ოჯახი ნახევარ ძალას დაკარგავს. მამაშენის არყოფნის შემთხვევაში სხვა ოჯახებმა, შესაძლოა, სოლოცოსა და ტატალიას დაუჭირონ მხარი, ოღონდ კი ხანგრძლივი დამანგრეველი ომი თავიდან აიცილონ. თუკი მამაშენი მოკვდება, შეთანხმებაზე უნდა წახვიდე.

სონი განრისხებისგან გაფითრდა: - შენთვის ლაპარაკი ადვილია, მამაშენი კი არ მოუკლავთ!

ჰეიგენმა სწრაფად და ამაყად უპასუხა: - მე ისეთივე კარგი შვილი ვიყავი, როგორიც შენ და მაიკლი და, შესაძლოა, უკეთესიც. ახლა მე შენ პროფესიულ რჩევას გაძლევ. პირადად მე ყველა მაგ ნაბიჭვრის ჩახოცვა მინდა.

- ო, ღმერთო, - თქვა სონიმ, - მე ეგ არ მიგულისხმია.

სინამდვილეში კი მან სწორედ ეს იგულისხმა. სისხლი სისხლად რჩება და მას ვერაფერი შეცვლის.

სონი ფიქრობდა, სანამ დანარჩენები დაბნეულნი დუმდნენ. შემდეგ ამოიოხრა და ჩუმად თქვა: - ო,კეი, ვისხდეთ წყნარად, სანამ მამა თვითონ არ მოჰკიდებს საქმეს ხელს. ტომ, მინდა, აქ დარჩე. სახლიდან არ გახვიდე. ჩვენი ხეივნიდან. და შენც, მაიკლ, ფრთხილად იყავი, თუმცა არა მგონია, სოლოცო ნამდვილი ომის გაჩაღებას

შეეცადოს. მაშინ ყველა ოჯახი მისი წინააღმდეგი იქნება, მაგრამ სიფრთხილეს თავი არ სტკივა. ტესიო, შენი სათადარიგო რაზმი გააძლიერე და რამდენიმე კაცი ქალაქში დაზვერვაზე გაუშვი. კლემენცა, როცა პაულო გატოსთან საქმეს მორჩები, შენები აქ გამოგზავნე, რომ ტესიოს ხალხი შეცვალონ. ტესიო, საავადმყოფოში შენები დატოვე. ტომ, დილიდან, პირველ რიგში, სოლოცოსა და ტატალიას ოჯახთან მოლაპარაკება დაიწყე ტელეფონით ან შუამავლის მეშვეობით. მაიკლ, ხვალ კლემენცას ორი კაცი წაიყვანე და ლუკასთან სახლში მიდი. დაელოდეთ და თუკი არ მოვა, სადაც გინდათ, იქ იპოვეთ. ეგ არანორმალური, შესაძლოა, სოლოცოს მოსაკლავად გაეკიდა, როცა გაიგო, რაც მოხდა. არა მჯერა, რომ ლუკამ დონს უღალატა.

ჰეიგენმა უხალისოდ შენიშნა: - უკეთესი იქნება, თუკი მაიკლი ამაში არ გაერევა.

- მართალია, - თქვა სონიმ, - მაიკლ, დაივიწყე, რაც გითხარი. შენ აქ მჭირდები, ტელეფონთან.

მაიკლს არაფერი უთქვამს, მიუხედავად იმისა, რომ ძალზე უხერხულად იგრძნო თავი. კლემენცასა და ტესიოს ისეთი გამომეტყველება ჰქონდათ, მიხვდა, ზემოდან უყურებენ და მის მიმართ ამ თავის დამოკიდებულებას ძლივსღა ფარავენ.

მაიკლმა ყურმილი აიღო, ლუკას ნომერი აკრიფა და დიდხანს ეჭირა, რეკავდა და რეკავდა.

თავი მეექვსე

პიტერ კლემენცას ღამე ცუდად ეძინა. დილით ადრე ადგა და საუზმე მოიმზადა: ერთი ჭიქა გრაპა, გენუური ძეხვის სქელი ნაჭერი, დადებული ახალგამომცხვარ იტალიურ პურზე, რომელიც ეს-ესაა მის კართან მოიტანეს, როგორც ძველ დროს იცოდნენ. შემდეგ დიდი ფაიფურის ფინჯნიდან ყავა დალია, რომელშიც ანისულის არაყი გაურია. ძველ სააბაზანო ხალათსა და ხელით ნაქსოვ ჩუსტებში გამოწყობილი ოთახში დასეირნობდა, სამუშაოზე ფიქრობდა, იმ დღეს რომ ჰქონდა გასაკეთებელი. სონიმ გუშინ პირდაპირ უთხრა, პაულო გატოს დაუყოვნებლივ უნდა მიხედოო.

კლემენცა შეწუხებული იყო, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ პაულო გატო მისი პროტეჟე გახლდათ და მოღალატე კი აღმოჩნდა. ეს კაპორეჟიმეს სინდისზე არ ეკიდა. პაულოს ხომ მშვენიერი მონაცემები ჰქონდა. სიცილიურ ოჯახში დაიბადა, იმავე უბანში იზრდებოდა, სადაც კორლეონეს ბიჭები, სკოლაშიც კი ერთ-ერთ მათგანთან ერთად დადიოდა. თავის დროზე გამოცადეს და დარწმუნდნენ, - საქმისათვის გამოდგებოდა. როდესაც ,,თავი გამოიჩინა“, კორლეონეს ოჯახისგან მუდმივი საცხოვრებელი სახსარი მიიღო: ისტ-საიდის სამორინეს შემოსავლის პროცენტი და ერთ-ერთი პროფკავშირის გადასახადის ნაწილი. კლემენცამ ისიც იცოდა, რომ გატო მალულად ხალხსაც ძარცვავდა და თუმცა ეს ოჯახის წესებს ეწინააღმდეგებოდა, მაინც მის სასარგებლოდ მეტყველებდა. წესის ასეთი დარღვევა მოჭარბებულ ენერგიაზე მეტყველებდა, რომელიც აქვს, ვთქვათ, დოღის ცხენს, აღვირს რომ ვერ ჰგუობს.

ძარცვის გამო პაულოს უსიამოვნება არასოდეს შეხვედრია. ოპერაციებს საგულდაგულოდ გეგმავდა და ზედმეტი ხმაურის გარეშე ატარებდა; არც დახოცილებს ტოვებდა, არც დაჭრილებს. გარდა ამისა, ტანსაცმლის ფაბრიკა

მანჰეტენში სამი ათას დოლარს უხდიდა, ცოტა ნაკლებს - ფაიფურის პატარა საწარმო ბრუკლინში. ახალგაზრდა კაცს ხომ ყოველთვის სჭირდება დამატებითი ჯიბის ფული. ეს ყველაფერი დასაშვებ ფარგლებს არ სცილდებოდა. და, აბა, ვინ იფიქრებდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს პაულო გატო მოღალატე გახდებოდა?

იმ დილით პიტერ კლემენცას ადმინისტრაციული ხასიათის პრობლემა აწუხებდა. გატოს გასაღება ადვილია, მაგრამ მის ნაცვლად ვინ მოიყვანოს? „შემსრულებლის“ თანამდებობა სახუმარო სულაც არ არის. კანდიდატი ძლიერი, ჭკვიანი, სანდო უნდა იყოს, - თუ პოლიციას ხელში ჩაუვარდება, კრინტი არ უნდა დაძრას. დუმილის სიცილიურ კანონს - ომერტას - ზედმიწევნით უნდა ფლობდეს. სიკვდილის კანონს. და კიდევ, ისმის კითხვა, რა გასამრჯელო უნდა მისცენ იმ ახალს, ვისაც ამ სამუშაოზე აიყვანენ? კლემენცა რამდენჯერმე ელაპარაკა დონს „შემსრულებელთა“ ხელფასის გაზრდის აუცილებლობაზე, მაგრამ გადაწყვეტილების მიღება რატომღაც გაჭიანურდა. გატოს უფრო დიდი ჯამაგირი რომ ჰქონოდა, ვინ იცის, შესაძლოა, ცდუნებისთვის გაეძლო და „თურქის“ მხარეზე არ გადასულიყო.

კლემენცამ ბევრი ფიქრის შემდეგ სავარაუდო კანდიდატების რაოდენობა სამამდე შეამცირა. პირველი იყო „მიმწოლი“, კაცი, რომელიც ჰარლემის ბანკირებთან მუშაობდა - ფულს აწერდა და რომელსაც შესაშური ფიზიკური ძალა და პიროვნული მომხიბლაობა ჰქონდა. იგი ადვილად ახერხებდა ადამიანებთან საერთო ენის გამონახვას, მაგრამ, თუ საჭირო იყო, მათი დაშინებაც იოლად შეეძლო. კლემენცა დაახლოებით ნახევარ საათს წონიდა მის კანდიდატურას, მაგრამ ბოლოს მაინც ამოიღო სიიდან. ის კაცი მეტისმეტად გაშინაურებული იყო შავკანიანებთან, ეს კი მის რაღაც ფარულ ნაკლზე მეტყველებდა. გარდა ამისა, მისი შემცვლელის პოვნაც ძალზე გაჭირდებოდა.

მეორე იყო ახალგაზრდა, რომელიც მეტად ერთგულად ემსახურებოდა ორგანიზაციას. აზარტული თამაშების აგენტებთან კურიერად დაიწყო მუშაობა, ახლა კი თვითონ კრებდა „გადასახადებს“ იმათგან, ვისაც კორლეონეს ოჯახმა მანჰეტენში ბიზნესის წარმოების უფლება მისცა, მაგრამ, ყველაფრის მიუხედავად, ახალი სამუშაოსთვის იგი ჯერ არ მომწიფებულიყო.

ბოლოს და ბოლოს, კლემენცა როკო ლამპონეს კანდიდატურაზე შეჩერდა. მან კორლეონეს ოჯახში ხანმოკლე, მაგრამ შთამბეჭდავი კარიერა გაიკეთა. ომის დროს აფრიკაში დაიჭრა და 1943 წელს ჯარიდან დაითხოვეს. იმ პერიოდში ხალხის დიდი ნაკლებობა იყო, ამიტომ კლემენცამ, მიუხედავად მისი კოჭლობისა, სამუშაოზე აიყვანა. ლამპონეს იყენებდნენ შუამავლად, რომელიც შავ ბაზარსა და იმ სახელმწიფო მოხელეებს შორის ამყარებდა კონტაქტს, ვინც OPA-ს მარკებს, ანუ სასურსათო ბარათებს ანაწილებდნენ. მალე ლამპონე მთელ ამ ოპერაციას სათავეში ჩაუდგა და ახალ ასპარეზზე თავი წინდახედულობითა და გონიერებით გამოიჩინა. ლამპონე ხვდებოდა, ძალის გამოყენება არ იყო საჭირო იმ შემთხვევებში, როცა ლაპარაკი ფულად ჯარიმასა თუ ექვსთვიან ციხეზე მიდიოდა, - ეს სასჯელი ვერანაირად ვერ შეედრებოდა იმ უზარმაზარ მოგებას, რომელიც ამ საქმეს მოჰქონდა.

კლემენცამ შვებით ამოისუნთქა. რთული პრობლემა გადაწყვიტა. როკო ლამპონე დღევანდელ საქმეშიც დაეხმარება. თავის შესაძლებლობებს დაამტკიცებს, „თავს გამოიჩენს“, - პაულო გატოს გაასაღებს. პაულო კლემენცას პროტეჟე გახლდათ,

სწორედ მან გაუხსნა გზა, წინსვლის საშუალება მისცა, ყველანაირად ხელს უწყობდა. პაულომ არა მარტო კორლეონეს ოჯახს უღალატა, არამედ თავის პადრონესაც და საკადრისი უნდა მიეზღოს.

ყველაფერი ჩინებულად გახლდათ ორგანიზებული. პაულოს გადასცეს, რომ სამ საათზე კლემენცას უნდა გაუაროს თავისი მანქანით.

კლემენცა ტელეფონის ყურმილს დასწვდა, როკო ლამპონეს ნომერი აკრიფა და ვინაობის დაუსახელებლად თქვა: - ჩემთან გამოდი. შენთვის საინტერესო საქმე მაქვს.

კლემენცას ესიამოვნა, - მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ დილა იყო, ლამპონეს არც ნამძინარევი ხმა ჰქონია და არც გაკვირვება დასტყობია.

- ნუ აჩქარდები, ისაუზმე და ისადილე, - უთხრა ლამპონეს, - მაგრამ ორ საათზე ჩემთან იყავი.

როკომ მოკლედ უპასუხა: ,,ო,კეი", - და კლემენცამ ყურმილი დაკიდა. მას უკვე ნაბრძანები ჰქონდა ხელქვეითებისთვის, კორლეონეს ხეივანში ტესიოს ხალხი შეეცვალათ. ასეთი ოპერაციების შესრულებაში თვითონ არასოდეს ერეოდა, რადგან მეტად გამოცდილი და უნარიანი ხალხი ჰყავდა.

კლემენცამ გადაწყვიტა, თავისი ლურჯი ,,კადილაკი" გაერეცხა. ძალზე უყვარდა ეს მანქანა. იმდენად მოსახერხებელი და მყუდრო სალონი ჰქონდა, რომ ზოგჯერ, როცა კარგი ამინდი იყო, კლემენცა შიგ ჯდებოდა და საქმეებზე ფიქრში მთელ საათს ან მეტსაც კი ატარებდა იქ. სახლში ჯდომაზე მეტად მანქანაში ყოფნა სიამოვნებდა. მანქანის მოვლა-გაკრიალებაც უწყობდა ხელს ფიქრში. თავის დროზე მამამისიც ასევე უვლიდა ჯორებს იტალიაში.

კლემენცა მანქანას თავის გარაჟში რეცხავდა. იქ გათბობაც ჰქონდა გაყვანილი, რადგან სიცივეს ვერ იტანდა. ისევ დღევანდელი ოპერაციის გეგმაზე ფიქრობდა. პაულო გატოსთან კაცი ფრთხილად უნდა იყოს, - შესაძლოა, საფრთხე იყნოსოს, ვირთხასავით გრძნობს საშიშროებას. თუკი რამემ დააეჭვა, იქნებ, ტლინკებიც აყაროს იმ ვირივით, უკანალში ჭიანჭველები რომ შეუძვრნენ, მაგრამ კლემენცა მიჩვეული იყო მსგავსი სირთულეების მოგვარებას. ჯერ ერთი, უნდა მოიფიქროს დამაჯერებელი მიზეზი, რატომ იქნება მათთან ერთად მანქანაში როკო ლამპონე. მეორე, - უნდა მოიფიქროს შესაფერისი დავალება, რომელიც, ვითომდა, მათ, სამივეს, ერთად მისცეს.

ამის აუცილებლობა თითქოს არც არსებობდა. პაულო გატოს გასაღება უამისოდაც ადვილად შეიძლებოდა, მაგრამ კლემენცა გრძნობდა, ტრადიცია აუცილებლად უნდა დაეცვათ, ასეთ საქმეში მცირედი დეტალის უგულებელყოფაც კი დაუშვებელი იყო. ბოლოს და ბოლოს, არავინ იცოდა წინასწარ, რა მოხდებოდა, - ეს ყველაფერი სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი გახლდათ.

სანამ თავის ,,კადილაკს" ბავშვივით ელოლიავებოდა, კლემენცამ წარმოიდგინა, როგორ გამომეტყველებას მიიღებს, როცა გატო შეხვდება. მკაცრი უნდა იყოს. უნდა აგრძნობინოს პაულოს, რომ მისით უკმაყოფილოა. ეს გატოს დააბნევს, რადგან ძალზე ეჭვიანი და მგრძნობიარე კაცია. თუკი მასთან დღეს კლემენცა მეტისმეტად ტკბილად მოიქცევა, ამან, შესაძლოა, პირიქით, ეჭვი აღუძრას და მაქსიმალურად

გაფრთხილდეს, მაგრამ, რასაკვირველია, არ უნდა გადააჭარბოს, სიმკაცრე რისხვაში არ უნდა გადავიდეს. უბრალოდ, უნდა აჩვენოს, რომ უკმაყოფილოა და გაბრაზებული, მაგრამ გატო აუცილებლად დაფიქრდება, რატომაა მათთან ერთად ლამპონე. ყველაზე მეტად მაშინ დაფრთხება, როცა როკო მის ზურგს უკან მოთავსდება მანქანაში. კლემენცამ ისიც კი გაიფიქრა, ხომ არ ჯობია ოპერაციაზე სხვა ვინმე წავიყვანოო, მაგრამ მერე დაასკვნა, - გასაკეთებელი ლამპონემ უნდა გააკეთოსო.

კლემენცას ყველაზე მეტად ის აფიქრებდა, რომ ეგზეკუცია „საჯარო“ უნდა ყოფილიყო. მას, რაღა თქმა უნდა, ერჩივნა, გვამი უხმაუროდ მოეშორებინა თავიდან. საამისოდ, როგორც წესი, ნიუ-ჯერსის ჭაობებისა და ოკეანის სანაპიროს იყენებდნენ, - იმ ადგილებს, რომლებსაც დონის მეგობრები ფლობდნენ. არსებობდა სხვა, უფრო რთული მეთოდებიც, მაგრამ, ამჯერად, გვამი უნდა ეპოვათ, რათა პოტენციური მოღალატეები დაშინებულიყვნენ, სხვები კი მიმხვდარიყვნენ, კორლეონეს ოჯახი კვლავაც ისეთივე ძლიერია, როგორიც წინათ იყო. ასეთი სწრაფი რეაქციის შემდეგ სოლოცო უფრო ფრთხილად იმოქმედებს, კორლეონეს ოჯახი კი ნაწილობრივ მაინც აღიდგენს დაკარგულ პრესტიჟს, რომელიც დონის ჩაცხრილვის შემდეგ აშკარად შეერყა.

კლემენცამ ამოიოხრა. მანქანა უკვე ერთიანად ბზინავდა, ფოლადის ლურჯ, ვეება კვერცხს ჩამოჰგავდა, პრობლემა კი ბოლომდე ჯერ ვერ გადაეწყვიტა... და უეცრად შესანიშნავმა აზრმა გაუელვა თავში - ვითომდა საიდუმლო დავალების შესასრულებლად მიდიან.

პაულოს ეტყვის, რომ უნდა შეარჩიონ ბინა იმ შემთხვევისთვის, თუკი ოჯახი „ლეიბებზე გადასვლას“ გადაწყვეტს.

ეს იქნება მშვენიერი ახსნა იმისა, რატომ არიან მანქანაში როკო ლამპონესთან ერთად.

როდესაც ოჯახებს შორის ომი სერიოზულ სახეს იღებს, აუცილებელი ხდება რეზიდენციების მიტოვება და ისეთ დროებით ბინებში გადაბარგება, სადაც „ჯარისკაცებს“ ყოველთვის შეეძლებათ სულის მოთქმა - იატაკზე გაშლილ ლეიბებზე გამოძინება. ამას ეწოდება „ლეიბებზე გადასვლა“. ასეთ შემთხვევაში ცოლ-შვილს სახლებში ტოვებენ, რადგან მათ საშიშროება არ ემუქრება. ომის დროს ეს ნებისმიერი ოჯახის ყველაზე სუსტი და ადვილად მოწყვლადი წერტილი იქნებოდა, რაც მოწინააღმდეგის მხრიდან უცილობლად ანალოგიურ, საპასუხო მოქმედებას გამოიწვევდა.

საიდუმლო ბინის დასაქირავებლად და ლეიბების შესატანად, როგორც წესი, ყველაზე სანდო კაპორეჟიმეს აგზავნიდნენ ხოლმე, რადგან ეს ბინა საბრძოლო მოქმედების ბაზაც და შტაბიც უნდა გამხდარიყო. ამიტომ სავსებით ბუნებრივი გამოჩნდებოდა, რომ სწორედ კლემენცა გაგზავნეს ბინის შესარჩევად. ასევე ბუნებრივი იქნებოდა, კლემენცას თან პაულო გატო და როკო ლამპონე წაეყვანა ბინასთან დაკავშირებული ყველა წვრილმანის მოსაგვარებლად. „გატომ უკვე დაამტკიცა, რა ძლიერ უყვარს ფული, და მისი პირველი აზრი ის იქნება, სოლოცო ამ უძვირფასეს ინფორმაციაში რამდენს გადაუხდის“, - გაიფიქრა კლემენცამ.

როკო ლამპონე დროზე ადრე მივიდა კლემენცასთან და მანაც დეტალურად აუხსნა, რა საქმე ჰქონდათ გასაკეთებელი და ვის რა როლი ეკისრებოდა. ლამპონეს სახე გაოცებითა და მადლიერებით გაუბრწყინდა. ასეთი წინადადებისათვის კლემენცას უღრმესი მადლობა გადაუხადა და კლემენცა დარწმუნდა, - სწორი არჩევანი გააკეთა. ლამპონეს მხარზე ხელი დაჰკრა და უთხრა: - დღეიდან გაცილებით მეტს მიიღებ საცხოვრებლად. ამაზე მოგვიანებით ვილაპარაკოთ. კარგად გესმის, რაც უფრო კრიტიკულ სიტუაციაშია ოჯახი, მით მეტად სერიოზული საქმეა გასაკეთებელი.

ლამპონემ ისეთი ჟესტი გააკეთა, რომელიც გულისხმობდა, რომ ყველაფერი კარგად ესმის და მოთმინებითაც აღიჭურვება. იცოდა, რომ გასამრჯელო ყოველთვის საქმის შესაფერისი იყო ხოლმე.

კლემენცა თავის მომცრო კაბინეტში შევიდა, სეიფი გახსნა, პისტოლეტი გამოიღო და ლამპონეს გაუწოდა.

- მხოლოდ ეს იხმარე, - უთხრა როკოს, - ამის კვალს ვერასოდეს მიაგნებენ. მანქანაში პაულოსთან დატოვე. როცა საქმეს მორჩები, ფლორიდაში წადი დასასვენებლად, თან ცოლ-შვილი წაიყვანე. ჯერჯერობით შენი ფული ხარჯე, მერე გავსწორდებით. დაისვენე. მზის აბაზანები მიიღე. მაიამი-ბიჩის საოჯახო სასტუმროში გაჩერდი, რომ, თუკი დამჭირდება, შენი მოძებნა შევძლო.

ამ დროს კაბინეტის კარზე კლემენცას ცოლმა მიუკაკუნა და უთხრა, პაულო გატო მოვიდა და მანქანაში იცდისო.

კლემენცა და ლამპონე სახლიდან გამოვიდნენ. წინ კლემენცა მიდიოდა. სახეზე უკმაყოფილება აშკარად ეტყობოდა. კლემენცა მანქანაში ჩაჯდა და ოდნავ გასაგონად ჩაიბურტყუნა: „გამარჯობა“. მერე საათზე დაიხედა, თითქოს უნდოდა დარწმუნებულიყო, რომ გატომ დააგვიანა.

პაულომ ყურადღებით შეხედა კლემენცას, თითქოს ამ უცნაურ სიტუაციაში უნდოდა გარკვეულიყო. ცოტა არ იყოს, შეცბა, როცა ლამპონე მის ზურგს უკან მოთავსდა. გატომ უთხრა: - როკო, იქით გადაჯექი, ვეღარაფერს ვხედავ, შენისთანა მხარბეჭიანი ჯეელი უკან ყველაფერს მიფარავს.

ლამპონე მორჩილად, ხმაამოუღებლივ გადაჯდა კლემენცას მხარეს, თითქოს ამ თხოვნაში განსაკუთრებული არც არაფერი ყოფილიყოს.

კლემენცამ უკმაყოფილო, დამჟავებული ხმით უთხრა პაულოს: - ჯანდაბა, სონი დაფრთხა და „ლეიბებზე გადასვლას“ ფიქრობს. ბინა უნდა შევარჩიოთ ვესტ-საიდში. შენ და როკომ იქ ყველაფერი უნდა მიიტანოთ, რაც „ჯარისკაცებს“ შეიძლება დასჭირდეთ. რამე შესაფერისი ადგილი ხომ არ გეგულება?

როგორც ელოდა, პაულოს სიხარბისგან თვალები გაუბრწყინდა. სატყუარა გადაყლაპა. ახლა მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, ამ ინფორმაციაში სოლოცო რამდენს გადაუხდიდა. გადაავიწყდა, ფრთხილად რომ უნდა ყოფილიყო. ლამპონე თავის როლს ჩინებულად ასრულებდა, სავარძელზე გადაწოლილი ფანჯარაში გულგრილად იცქირებოდა. კლემენცამ თავის თავს მიულოცა, რომ ასეთი კარგი არჩევანი გააკეთა.

- უნდა მოვიფიქრო, - თქვა გატომ.

- იფიქრე, მანამ გზაში ვართ, - უთხრა კლემენცამ, - ნიუ-იორკში დროზე უნდა ჩავიდეთ.

პაულო საუკეთესო მძღოლი გახლდათ, საღამოს ამ პერიოდში ქალაქისკენ მიმავალი ტრანსპორტის ნაკადი დიდი არ იყო, ასე რომ, ადგილზე დაღამებამდე მივიდნენ. მგზავრობისას ბევრი არ ულაპარაკიათ. კლემენცამ გატოს უბრძანა, ვაშინგტონის ბორცვისკენ წასულიყო. რამდენიმე დიდ საცხოვრებელ სახლს როცა გასცდნენ, კლემენცამ არტურ-ავენიუსთან გააჩერებინა და უთხრა, დალოდებოდა. ლამპონეც მანქანაში დატოვა.

კლემენცა რესტორან ,,ვერა მარიოში" შევიდა, მსუბუქი სადილი შეუკვეთა, - მოხარშული ხბოს ხორცი და სალათა. დროდადრო ნაცნობებს თავის დაკვრით ესალმებოდა. ერთი საათის შემდეგ რესტორნიდან გამოვიდა, რამდენიმე ქუჩა გაიარა და მანქანასთან მივიდა. გატო და ლამპონე ადგილზე იყვნენ.

- ჯანდაბა, - თქვა კლემენცამ, - უკან, ლონგ-ბიჩში უნდა დავბრუნდეთ. სხვა საქმე აქვთ ჩვენთვის. სონი ამბობს, შეიძლება ,,ლეიბები" გადავდოთო. როკო, შენ ხომ სიტიში ცხოვრობ, მიგიყვანოთ სახლამდე?

- ჩემი მანქანა შენს სახლთან დარჩა, - მშვიდად მიუგო ლამპონემ, - არადა, ხვალ დილით ჩემს ცოლს დასჭირდება.

- კარგი, - თქვა კლემენცამ, - ესე იგი ჩვენთან წამოსვლა მოგიწევს.

ლონგ-ბიჩისკენ მიმავალ გზაზე ისევ ჩუმად იყვნენ. ქალაქის მისადგომებთან კლემენცამ უცებ თქვა: - პაულო, გააჩერე, ვეღარ ვითმენ.

გატო დიდი ხანია მუშაობდა მსუქან კაპორეჟიმესთან და იცოდა, სუსტი შარდის ბუშტი ჰქონდა. ასეთი თხოვნით ხშირად მიმართავდა ხოლმე. გატომ მანქანა ტრასიდან გადაიყვანა და გააჩერა გზასთან, რომელიც ჭაობისკენ მიდიოდა. კლემენცა მანქანიდან გადმოვიდა და ბუჩქებისკენ გაემართა. მართლაც უჭირდა. როდესაც მანქანაში შებრუნდა, სწრაფად მოავლო თვალი იქაურობას. ბნელოდა, შოსე ცარიელი იყო. ,,მიდი", - თქვა კლემენცამ და იმავე წამს მანქანა გასროლის ხმამ შეაზანზარა. პაულო გატო ადგილზე შეხტა, საჭეს გადაემხო და მერე ნელ-ნელა ჩამოცურდა. კლემენცა სასწრაფოდ გვერდზე გაიწია, სისხლში რომ არ ამოსვრილიყო.

როკო ლამპონე მანქანიდან გადახტა და პისტოლეტი შორს, ჭაობისკენ მოისროლა. მერე კლემენცასთან ერთად სწრაფი ნაბიჯით წავიდა მეორე ავტომობილისკენ, იქვე, შორიახლო რომ იდგა მოფარებულ ადგილას. როკო და კლემენცა მანქანაში ჩასხდნენ. ლამპონემ სავარძლის ქვეშ ხელი მოაფათურა და იპოვა გასაღები, რომელიც მათთვის იყო დატოვებული. ძრავა ჩართო და კლემენცა შინ მიიყვანა. შემდეგ ჯონს-ბიჩის ავტოსტრადით უკან წამოვიდა, ქალაქ მერიკს გასცდა, მიდოუბრუკ-პარკვეით იარა, სანამ ნორსერნ-სტეით-პარკვეის არ მიაღწია. შემდეგ ლონგ-აილენდის ავტოსტრადას გაუყვა, უაითსტოუნ-ბრიჯი გადაკვეთა და ბრონქსის გავლით მანჰეტენში, თავის სახლში მივიდა.

თავი მეშვიდე

დონზე თავდასხმის წინაღამეს მისი ყველაზე ერთგული, ძლიერი და მრისხანე საჭურველთმტვირთველი მტერთან შესახვედრად ემზადებოდა. ლუკა ბრაზი სოლოცოს ხალხს პირველად რამდენიმე თვის წინ შეხვდა. ეს მან თვით დონ კორლეონეს ბრძანებით გააკეთა. რამდენიმე ღამის კლუბს ესტუმრა, რომლებიც ტატალიას ოჯახს ეკუთვნოდა, და ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ „გამოძახებაზე მყოფ ქალიშვილთან“ ახლო ურთიერთობაში შევიდა. მასთან ყოფნისას, ლოგინში, ლუკა ხშირად ბუზღუნებდა, რომ კორლეონეს ოჯახში სათანადოდ ვერ აფასებენ და ხელსაც კი უშლიან. ამ სასიყვარულო ურთიერთობის დაწყებიდან ერთი კვირის თავზე ლუკასთან ბრუნო ტატალია, ღამის კლუბის მენეჯერი მივიდა. ბრუნო უმცროსი ვაჟიშვილი გახლდათ და პროსტიტუციის ბიზნესში, რომლითაც მისი ოჯახი იყო დაკავებული, უშუალოდ თითქოს არც მონაწილეობდა, მაგრამ, ამავე დროს, მისი ღამის კლუბი გრძელფეხება მოცეკვავე ქალებით იყო განთქმული და ქალაქელი ჯეელებისთვის ერთგვარ „უმაღლეს სკოლას“ წარმოადგენდა...

პირველი შეხვედრისას ტატალიამ ლუკას შესთავაზა მისი ოჯახისათვის „მიმწოლად“ ემუშავა. „ფლირტი“ მათ შორის, დაახლოებით, ერთ თვეს გაგრძელდა. ლუკა ახალგაზრდა ლამაზმანით გატაცებული კაცის როლს თამაშობდა, ბრუნო ტატალია კი ბიზნესმენისა, რომელიც ცდილობს კონკურენტის ყველაზე უნარიანი მუშაკი გადაიბიროს. ერთ-ერთი შეხვედრისას ლუკამ ისე დაიჭირა თავი, თითქოს მზადაა წინადადება მიიღოს, და თქვა: - ოღონდ ერთი რამ დაიმახსოვრეთ: ნათლიის წინააღმდეგ არასოდეს წავალ. მე პატივს ვცემ დონ კორლეონეს და მესმის, საოჯახო ბიზნესში იძულებულია, თავისი შვილები ჩემზე წინ დააყენოს.

ბრუნო ტატალია ახალი თაობის კაცი გახლდათ და ვერ იტანდა ისეთ ქედმაღალ ადამიანებს, როგორებიც იყვნენ ლუკა ბრაზი, დონ კორლეონე ან თვით მისი მამაც. ბრუნომ თქვა: - მამაჩემს არც ჰგონია, რომ კორლეონეს წინააღმდეგ წახვალ. ან რა საჭიროა? ახლა ყველა ახერხებს ყველასთან მშვიდობიან ურთიერთობას. ძველი დრო კი აღარ არის. უბრალოდ, თუკი ახალ სამუშაო ადგილს ეძებ, მზად ვარ ეს მამაჩემს გადავცე. ჩვენს საქმეში ყოველთვის საჭიროა ისეთი კაცი, როგორიც შენა ხარ. მძიმე საქმეა და ყველაფერი რიგზე რომ იყოს, მაგარი კაცია საჭირო. გამაგებინე, თუკი რამეს მოიფიქრებ.

ლუკამ მხრები აიჩეჩა.

- მაინცდამაინც ცუდ ადგილას არც ახლა ვარ.

ლუკას უნდა ეჩვენებინა, რომ ნარკოტიკების ბიზნესის შესახებ იცის და კორლეონეს ოჯახის გარეშე მომავალი მოგებიდან წილის მიღებას აპირებს. ამ გზით მას შეეძლო, „თურქის“ გეგმები შეეტყო, თუკი მას საერთოდ ჰქონდა რაიმე კონკრეტული გეგმა, ანუ თუ აპირებდა კორლეონეს წინააღმდეგ გალაშქრებას.

ლუკამ ორ თვეს იცადა, მაგრამ ვერაფერი გაარკვია და შემდეგ დონს შეატყობინა, რომ სოლოცო, როგორც ჩანს, შურისძიებას არ აპირებსო. დონმა უბრძანა, თამაში გაეგრძელებინა, ოღონდ მეტისმეტად არ ეაქტიურა.

დონზე თავდასხმის წინაღამეს ლუკამ ღამის კლუბში შეიარა. ბრუნო ტატალია მაგიდას მიუჯდა.

- ერთ ჩემს მეგობარს შენთან ლაპარაკი უნდა, - უთხრა ბრუნომ.

- მოიყვანე, - მიუგო ლუკამ, - მზად ვარ, დაველაპარაკო ნებისმიერ შენს მეგობარს.

- არა, - უპასუხა ბრუნომ, - მას შენთან პირისპირ უნდა ლაპარაკი.

- ვინაა? - იკითხა ლუკამ.

- უბრალოდ, ჩემი მეგობარია, - თქვა ბრუნო ტატალიამ, - უნდა, რაღაც შემოგთავაზოს. შეგიძლია, დღეს ღამე შეხვდე?

- რა თქმა უნდა, - უთხრა ლუკამ, - სად და როდის?

- კლუბი ოთხ საათზე იკეტება, - შემპარავი ხმით გააგრძელა ტატალიამ, - აქ ხომ არ შეხვდებოდი მაგ დროს, როცა ოფიციანტები მაგიდების ალაგებას დაიწყებენ?

,,ჩემი განრიგი სცოდნიათ, - გაიფიქრა ლუკამ, - ეტყობა, მითვალთვალებდნენ". ჩვეულებრივ, ლუკა ბრაზი დღის სამ-ოთხ საათზე იღვიძებდა, სადილობდა, მეგობრებთან ბანქოს თამაშობდა ანდა ქალებში მიდიოდა. ზოგჯერ შუაღამისას კინოს უყურებდა, შემდეგ კი რომელიმე ღამის კლუბს სტუმრობდა ერთი-ორი ჭიქის დასალევად. გათენებამდე არასოდეს იძინებდა. ამიტომ წინადადება, დილის ოთხ საათზე შეხვედროდა ვიღაცას, მისთვის უჩვეულო არ ყოფილა, როგორც ეს ერთი შეხედვით შეიძლებოდა ვინმეს მოსჩვენებოდა.

- კარგი, კარგი, - თქვა მან, - ოთხი საათისთვის დავბრუნდები.

ლუკა კლუბიდან გამოვიდა, ტაქსი გააჩერა და მეცხრე ავენიუსკენ გაემართა. იტალიურ ოჯახში, შორეულ ნათესავებთან ცხოვრობდა. ლუკას ორი ოთახი ბინისგან საგანგებო კარით იყო გამოყოფილი. ასეთი განლაგება მას მეტად აძლევდა ხელს, რადგან, ერთი მხრივ, ოჯახური ყოფის ილუზიას უქმნიდა, მეორე მხრივ კი მოულოდნელი თავდასხმისგან დაცული გახლდათ.

,,ეტყობა, იმ ბებერმა მელა სოლოცომ თავისი ფუმფულა კუდი უნდა მაჩვენოს, - გაიფიქრა ლუკამ, - თუკი საქმე გაიჩარხა, ეს დონისთვის მშვენიერი საშობაო საჩუქარი იქნება".

ლუკამ ჩემოდანი გახსნა და ტყვიაგაუმტარი ჟილეტი ამოიღო. ტანზე გაიხადა, ჟილეტი შალის მაისურზე მოირგო, ზემოდან პერანგი და პიჯაკი ჩაიცვა. ჟილეტი საკმაოდ მძიმე იყო. მერე იფიქრა, იქნებ, ღირს დონს ლონგ-ბიჩში დავურეკო და მოვუყვე ბოლო ამბებსო, მაგრამ კარგად მოეხსენებოდა, დონი ტელეფონით საქმეზე არასოდეს არავისთან ლაპარაკობდა, თანაც მისი დავალების შესახებ თვით ჰეიგენმა და სონიმაც კი არაფერი იცოდნენ.

ლუკა პისტოლეტს ყოველთვის თან ატარებდა. იარაღის ტარების სპეციალური ნებართვა ჰქონდა, - ალბათ, ყველაზე ძვირად ღირებული ნებართვა, რაც კი ოდესმე ან სადმე გაუცია პოლიციას. ათი ათასი დოლარი დაუჯდა, სამაგიეროდ, ჩხრეკისას დაპატიმრება არ ემუქრებოდა. როგორც საოჯახო საქმის ოპერატიული სამსახურის უფროსი, ლუკა იარაღს განსაკუთრებით აფასებდა, მაგრამ იმ ღამეს ,,სუფთა" პისტოლეტი სჭირდებოდა, რომლის კვალს პოლიცია ვერ გაჰყვებოდა, მფლობელს ვერ მიაგნებდა.

სახლიდან გამოვიდა და კლუბისკენ გაემართა, ერთხანს ორმოცდამერვე ქუჩაზე იბორიალა, თავის საყვარელ იტალიურ რესტორან „პატსიაში“ შეიარა, ივახშმა, მაგრამ აღარ დაულევია. ოთხი საათი სრულდებოდა, როცა კლუბში შევიდა.

შესასვლელში აღარც მეკარე იდგა, აღარც მეგარდერობე ქალი ჩანდა. ლუკას თვით ბრუნო ტატალია შეეგება, ხელი მოჰკიდა და დარბაზის კუთხეში, ბართან მიიყვანა. ლუკამ სიბნელეში საცეკვაო მოედანი და ორკესტრის შემაღლებული ბაქანი დალანდა ზედ დარჭობილი მიკროფონით. ლუკა ბარს მიუჯდა, ბრუნოს შეთავაზებულ ვისკიზე უარი თქვა და სიგარა გააბოლა. შესაძლოა, სულაც „თურქს“ კი არ სურს მასთან შეხვედრა, არამედ ვიღაც სხვას, მაგრამ ამ დროს დარბაზის შორეული ბნელი კუთხიდან სწორედ სოლოცო გამოვიდა.

სოლოცომ ლუკას ხელი ჩამოართვა და ბარს მიუჯდა. ტატალიამ „თურქს“ ჭიქა დაუდგა, მანაც თავის დაქნევით მადლობა გადაუხადა.

- მცნობ? - ჰკითხა სოლოცომ.

ლუკამ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია. სევდიანად გაიღიმა და გაიფიქრა, - „ვირთხები სოროებიდან გამოდიან“. ამ რენეგატ სიცილიელს სიამოვნებით მოუვლის.

- იცი, რა მინდა გთხოვო? - ჰკითხა სოლოცომ.

ლუკამ უარის ნიშნად თავი გააქნია.

- დიდ საქმეს ვიწყებთ, - თქვა „თურქმა“, - მე ვგულისხმობ მილიონებს მათთვის, ვინც საქმის სათავეში იქნება. პირადად შენ პირველივე პარტიაზე ორმოცდაათი ათასის გარანტია შემიძლია მოგცე. წამალს ვგულისხმობ. მომავალი წამალს ეკუთვნის.

- მე რატომ მომმართე? - ჰკითხა ლუკამ, - გინდა, რომ ჩემს დონს დაველაპარაკო?

სოლოცოს სახე დაემანჭა: - დონს უკვე ველაპარაკე. ამ საქმეში გარევა არ სურს. მის გარეშეც შემიძლია, საქმე დავიწყო, მაგრამ მაგარი კაცი მჭირდება. ამბობენ, რომ შენს ოჯახში მაინცდამაინც კარგად ვერ გრძნობ თავს და მზად ხარ, ჩვენთან გადმოხვიდე.

- პირობებს გააჩნია, - უთხრა ლუკამ.

სოლოცომ ყურადღებით შეხედა ლუკას და თითქოსდა გუნებაში რაღაც გადაწყვეტილება მიიღო.

- რამდენიმე დღეს გაძლევ მოსაფიქრებლად და მერე ისევ დავილაპარაკოთ, - თქვა მან.

სოლოცომ ხელი გაუწოდა, მაგრამ ლუკამ ეს ვითომ ვერ შენიშნა, სიგარა პირთან მიიტანა. ბრუნო ტატალიამ სანთებელა ამოიღო და, ის იყო, ლუკასთვის უნდა მოეკიდებინა, მაგრამ უეცრად უცნაური რაღაც გააკეთა, - სანთებელა დააგდო და ლუკას მარჯვენა ხელში სწვდა.

ლუკამ რეაგირება წამსვე მოახდინა, ხელის გათავისუფლება სცადა, მაგრამ ამ დროს სოლოცო მარცხენა მკლავში ეცა მეორე მხრიდან. ლუკა ფიზიკურად უფრო ძლიერი იყო და, ალბათ, მოახერხებდა თავის დახსნას, ზურგიდან ვიღაცას მისთვის

მოულოდნელად ყელზე წვრილი აბრეშუმის მარყუჟი რომ არ მოეგდო. მარყუჟი მთელი ძალით დაიჭიმა, ლუკას სუნთქვა შეეკრა. სახე აუჭარხლდა, ხელებში ძალა გამოეცალა. სოლოცო და ტატალია ახლა უკვე ადვილად აკავებდნენ მას, - უცნაურ პოზებში იდგნენ, ლუკას ზურგს უკან მდგომი კაცი კი მარყუჟს სულ უფრო და უფრო მაგრად უჭერდა ხელს. უეცრად იატაკი ლუკას ქვეშ დასველდა, მოსლიპინდა. ლუკას სფინქტერი კონტროლიდან გამოვიდა, გაიხსნა და დაიცალა. ლუკა უკანასკნელ ძალას კარგავდა. სოლოცომ და ტატალიამ ხელი უშვეს და ლუკა იატაკზე გაიშხლართა. შემდეგ სოლოცო და ტატალია განზე გადგნენ, ლუკასთან მხოლოდ მკვლელიღა დარჩა, ჩაიმუხლა და მარყუჟი ისეთი ძალით მოუჭირა, რომ ყელზე კანი გაეჭრა, ხორცში შეაღწია. ლუკას თვალები გადმოეკარკლა, სახეზე გაოცებული გამომეტყველება შეეყინა, - ეს გახლდათ ერთადერთი, რაც კი ოდნავ ადამიანური შერჩენოდა.

ლუკა ბრაზი მოკვდა.

- არ უნდა იპოვონ, - თქვა სოლოცომ, - ძალზე მნიშვნელოვანია, რომ სწორედ ახლა არავინ იპოვოს.

შეტრიალდა და ისევ სიბნელეში გაუჩინარდა.

თავი მერვე

დონზე თავდასხმის მეორე დღე მოვლენებით იყო აღსავსე. მაიკლი ტელეფონთან იჯდა და შემოსულ ინფორმაციას სონის გადასცემდა. ტომ ჰეიგენი შუამავალს ეძებდა, რომელსაც სოლოცოსთან შეხვედრა უნდა მოემზადებინა და რომელსაც ორივე მხარე ენდობოდა. ,,თურქი" ძალზე ფრთხილობდა, ეტყობა, იცოდა, კლემენცას ,,შემსრულებლები" მას მთელ ქალაქში დაეძებდნენ, მაგრამ სოლოცო, ტატალიას ოჯახის ხელმძღვანელთა მსგავსად, ეტყობა, მუდმივად საიმედო თავშესაფარში იყო. სონისთვის ,,თურქის" ასეთი სიფრთხილე მოულოდნელი არ ყოფილა.

კლემენცა პაულო გატოს საქმით იყო დაკავებული. ტესიომ მიიღო ბრძანება, რადაც უნდა დასჯდომოდა, ლუკა ბრაზი მოეძებნა. ლუკა თავდასხმის წინადღეს გაქრა და მისგან არაფერი ისმოდა. ეს ცუდი ნიშანი გახლდათ, მაგრამ სონი ვერ იჯერებდა, რომ ლუკა მოღალატე შეიძლებოდა გამხდარიყო ანდა ყურადღება იმდენად მოედუნებინა, რომ მისი გამოჭერა მოეხერხებინათ.

დონის მეუღლე თავის მეგობრებთან გადავიდა ქალაქში საცხოვრებლად, რომ საავადმყოფოსთან რაც შეიძლება ახლოს ყოფილიყო. კარლო რიჩიმ სამსახური შესთავაზა, მაგრამ უბრძანეს, თავისი საქმისათვის მიეხედა, ყველაზე შემოსავლიანი ტოტალიზატორისთვის მანჰეტენის იტალიურ უბანში, რომელიც დონმა აჩუქა. კონი მუდმივად დედასთან იყო და მასთან ერთად მიდიოდა საავადმყოფოში.

ფრედი ჯერ კიდევ დამამშვიდებელი საშუალებებით იყო გაჭყეპილი, მამისეულ სახლში იწვა, თავის ოთახში. მაიკლმა და სონიმ მოინახულეს და გაოცებულები დარჩნენ, იმდენად გაფითრებული იყო, იმდენად ცუდად გამოიყურებოდა.

- ღმერთო ჩემო, - უთხრა სონიმ მაიკლს, როდესაც მისი ოთახიდან გამოვიდნენ, - შეიძლება იფიქრო, რომ მამაზე მეტად დაზარალდა.

მაიკლმა მხრები აიჩეჩა. მსგავს მდგომარეობაში მყოფი ჯარისკაცები ბრძოლის ველზე არაერთხელ ენახა, მაგრამ ვერასოდეს წარმოიდგენდა, რომ ასეთი რაღაც ფრედის მოუვიდოდა. ბავშვობაში შუათანა ძმა ფიზიკური ძალით გამოირჩეოდა, მაგრამ, ამავე დროს, ყველაზე დამჯერი შვილიც ის გახლდათ. ყველამ იცოდა, რომ ფრედიმ მამას იმედი გაუცრუა და დონი აღარ ელოდა, რომ საოჯახო ბიზნესში იგი ოდესმე მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებდა. ფრედი საკმარისად გონიერი და სასტიკი არ გამოდგა. გამბედაობაც აკლდა, თანაც მეტად გულჩათხრობილი იყო.

საღამოთი ჯონი ფონტეინმა ჰოლივუდიდან დარეკა. მაიკლმა ყურმილი სონის გადასცა.

- არა, ჯონი, დონის სანახავად შენი ჩამოსვლა არ არის საჭირო. ჯერჯერობით, ძალზე სუსტადაა და ცუდ რეკლამას გაგიწევს, რაც თვითონ მას არ მოეწონებოდა. დაიცადე, მომჯობინდება, სახლში გადავიყვანთ და მერე მოინახულე. შენს მოკითხვას აუცილებლად გადავცემ, - სონიმ ყურმილი დაკიდა, მაიკლისკენ მიტრიალდა და უთხრა: - მამას გაუხარდება. ჯონი კალიფორნიიდან აპირებდა ჩამოსვლას, ნათლიას მონახულება მინდაო.

მოგვიანებით კლემენცას ერთ-ერთმა კაცმა მაიკლს სამზარეულოში ტელეფონთან დაუძახა. ქეი ადამსი რეკავდა.

- კარგადაა მამაშენი? - იკითხა მან. დაძაბული ლაპარაკობდა, ინტონაცია, ცოტა არ იყოს, არაბუნებრივი ჰქონდა. მაიკლმა იცოდა, ქეის არ შეეძლო ბოლომდე ერწმუნა, რომ მამამისი „განგსტერია“, როგორც ამას გაზეთებში წერდნენ.

- კარგად იქნება, - მიუგო მაიკლმა.

- შეიძლება, წამოგყვე, როცა მამაშენის სანახავად წახვალ საავადმყოფოში? - ჰკითხა ქეიმ.

მაიკლმა გაიცინა. ესე იგი, ქეიმ დაიხსომა მისი ნათქვამი. რამდენად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ასეთ რაღაცებს, თუკი ძველმოდურ იტალიელებთან მომავალში ურთიერთობის გაგრძელებას აპირებს. - ეს განსაკუთრებული სიტუაციაა, - უთხრა მაიკლმა, - თუკი რეპორტიორები შენ შესახებ გაიგებენ, „დეილი ნიუზის“ მესამე გვერდზე აღმოჩნდები: „ამერიკის პირველმოსახლეთა პატივსაცემი ოჯახის შთამომავალს სასიყვარულო კავშირი აქვს მაფიის დიდი ბოსის ვაჟიშვილთან!“ - როგორ მოეწონებათ ეს შენს მშობლებს?

- ჩემი მშობლები „დეილი ნიუზს“ არ კითხულობენ, - მშრალად უპასუხა ქეიმ.

ხანმოკლე პაუზის შემდეგ კი ჰკითხა: - მაიკლ, საფრთხე არ გემუქრება?

მაიკლმა ისევ გაიცინა.

- მე ცნობილი ვარ, როგორც ყველაზე მხდალი, კორლეონეს ოჯახში. არავითარი საშიშროება. ისინი ჩემით დაინტერესებულნი არ არიან. ჩემზე ხელს არ გაისვრიან.

და, საერთოდაც, ყველაფერი უკვე მორჩა. ცუდი აღარაფერი მოხდება. აგიხსნი, როცა გნახავ.

- და როდის მნახავ? - იკითხა ქეიმ.

მაიკლი დაფიქრდა.

- იქნებ, ამ საღამოს? - თქვა მან, - შენს სასტუმროში შევხვდეთ, ვივახშმოთ, თითო ჭიქა დავლიოთ და მერე მამაჩემის სანახავად წავალ საავადმყოფოში. დავიღალე აქ ჯდომით და ტელეფონზე პასუხით. ო,კეი? ოღონდ არავის უთხრა. არ მინდა, რეპორტიორებმა ერთად გვნახონ. მართლა... ეს უხერხულ სიტუაციას შექმნის, განსაკუთრებით შენი მშობლებისათვის.

- კარგი, - უთხრა ქეიმ, - დაგელოდები. გინდა, საშობაოდ რამე გიყიდო? ან, იქნებ, რამე სხვა გავაკეთო შენთვის?

- არა, - უპასუხა მაიკლმა, - უბრალოდ, მზად იყავი.

ქეიმ გაიცინა. ხმაზე ოდნავი აღელვება დაეტყო.

- მზად ვიქნები, - უპასუხა, - განა მე ყოველთვის მზად არა ვარ?

- მართალია, - დაეთანხმა მაიკლი, - და ამიტომაც ხარ ჩემი უპირველესი...

- მიყვარხარ, - უთხრა ქეიმ, - შეგიძლია, იგივე მითხრა?

მაიკლმა სამზარეულოში მყოფ ოთხ კაცს გახედა და მიუგო: - არა. ღამით. ო,კეი?

- ო,კეი, - უპასუხა ქეიმ. მაიკლმა ყურმილი დაკიდა.

კლემენცა მძიმე შრომითი დღის შემდეგ დაბრუნებულიყო და ახლა სამზარეულოში ფაციფუცობდა, უზარმაზარ ქვაბში ტომატის სოუსს ამზადებდა. მაიკლი მას თავის დაკვრით მიესალმა და კაბინეტში გავიდა, სადაც სონი და ჰეიგენი მოუთმენლად ელოდნენ.

- კლემენცა სადაა? - იკითხა სონიმ.

მაიკლს გაეღიმა: - ჯარისკაცებისთვის სპაგეტის ხარშავს, - მიუგო სონის, - როგორც არმიაში იციან ხოლმე...

სონიმ გაღიზიანებით თქვა: - მაგ სისულელეს თავი დაანებოს და აქ შემოვიდეს. მისთვის უფრო სერიოზული საქმე მაქვს... და ტესიოც შემოვიდეს.

რამდენიმე წუთში ყველამ კაბინეტში მოიყარა თავი. სონიმ კლემენცას ერთი სიტყვით ჰკითხა: - მოუარე?

კლემენცამ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია: - ვეღარასოდეს ნახავ.

მაიკლს უეცრად ტანში თითქოს დენმა დაუარაო, მიხვდა, პაულო გატოზე ლაპარაკობდნენ, - პაულო მკვდარია. ქორწილის მხიარულმა მოცეკვავემ, კლემენცამ დაბრიდა.

სონი ჰეიგენს მიუბრუნდა: - სოლოცოსთან რამე გამოგივიდა?

ჰეიგენმა უარის ნიშნად თავი გააქნია.

- მოლაპარაკების იდეა, როგორც ჩანს, მაინცდამაინც გულზე არ ეხატება, - უპასუხა ჰეიგენმა, - არ ეტყობა, რომ განსაკუთრებით ღელავდეს; ან, შესაძლოა, უბრალოდ ფრთხილობს, იცის, ჩვენი ხალხი მასზე ნადირობს. ყოველ შემთხვევაში, შუამავალი ვერ ვნახე, ვისაც ენდობოდა, მაგრამ არ შეიძლება, არ ხვდებოდეს, რომ მაინც მოუწევს მოლაპარაკებაზე წამოსვლა. თავისი შანსი მაშინ დაკარგა, როცა დონი ცოცხალი გაუშვა.

- სოლოცო ჭკვიანი ტიპია, - თქვა სონიმ, - ყველაზე ჭკვიანი და მოხერხებული, ვინც კი ჩვენს ოჯახს ოდესმე დასჯახებია. ალბათ, ხვდება, ველოდებით, დონი როდის მომჯობინდება და თვითონ მიხედავს საქმეს, ანდა მის გამოჭერას როდის შევძლებთ.

ჰეიგენმა მხრები აიჩეჩა და თქვა: - რა თქმა უნდა, სოლოცო ამას ხვდება, მაგრამ მაინც მოუწევს მოლაპარაკებაზე წამოსვლა. სხვა გზა არ აქვს. ეს ხვალვე გაირკვევა, დარწმუნებული ვარ.

ამ დროს კარზე დააკაკუნეს და კაბინეტში კლემენცას ერთ-ერთი კაცი შემოვიდა.

- ეს-ესაა რადიომ გადმოსცა, - უთხრა კლემენცას, - პაულო გატო მკვდარი უპოვიათ საკუთარ მანქანაში.

კლემენცამ თავი დაუქნია და უთხრა: - შენ ეგ ნუ გაღელვებს.

კაცმა თავის კაპორეჟიმეს გაოცებულმა შეხედა, მაგრამ მერე ყველაფერს მიხვდა და უკან, სამზარეულოში გაბრუნდა.

თათბირი გაგრძელდა. სონიმ ჰეიგენს ჰკითხა: - დონის მდგომარეობა არ გაუმჯობესდა?

ჰეიგენმა თავი გააქნია და თქვა: - დონი უკეთაა, მაგრამ ლაპარაკს მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ შეძლებს. დედაშენი და კონი მთელი დღეები მასთან არიან. საავადმყოფოში ბლომად პოლიციელია და ტესიოს ხალხიც მუდმივად იქ ტრიალებს, ყოველი შემთხვევისთვის. რამდენიმე დღეში დონი საბოლოოდ მომჯობინდება და გავიგებთ, რას ფიქრობს. ახლა კი იმაზე უნდა ვიზრუნოთ, რომ სოლოცომ მოუფიქრებელი ნაბიჯი არ გადადგას. ამიტომაც მინდა, მოლაპარაკება დაიწყო.

სონიმ ჩაიბუზღუნა: - სანამ მოლაპარაკებას დავიწყებდეთ, კლემენცასა და ტესიოს ნაბრძანები აქვთ, ეძებონ. იქნებ, ბედმა გაგვიღიმოს და ხელის ერთი მოსმით მოვრჩეთ საქმეს.

- ბედი არ გაგვიღიმებს, - ჩაილაპარაკა ჰეიგენმა, - სოლოცო მეტისმეტად ჭკვიანია.

პაუზა გააკეთა, შემდეგ კი განაგრძო: - სოლოცო მშვენივრად ხვდება, მოლაპარაკების მაგიდასთან, უმეტეს შემთხვევაში, იძულებული იქნება, დაგვეთანხმოს. ამიტომაც გაჰყავს დრო. ახლა, ალბათ, ნიუ-იორკის დანარჩენი ოჯახების მხარდაჭერის მოპოვებას ცდილობს, ასე რომ, დონი როცა მომჯობინდება და თავის სიტყვას იტყვის, მაშინაც კი ვერ გავასაღებთ.

სონი მოიღუშა: - დედაც ვატირე, ვითომ რატომ უნდა დაუჭირონ მხარი?

ჰეიგენმა მოთმინებით დაუწყო ახსნა: - მათ უნდათ, თავიდან აიცილონ ომი, რომელიც აუცილებლად შეეხება ყოველ მათგანს და პრესასა და მთავრობას აიძულებს, სათანადო ზომები მიიღოს. გარდა ამისა, სოლოცო მომავალი მოგების წილს ჰპირდება. ხომ იცი, რამდენი ფულია ნარკოტიკებში. კორლეონეს ოჯახს ეს ფული არ სჭირდება, რადგან ჩვენ აზარტულ თამაშებს ვაკონტროლებთ, რაც დღესდღეობით საუკეთესო ბიზნესია, მაგრამ დანარჩენი ოჯახები დამშეულნი არიან. სოლოცომ მოასწრო თავის გამოჩენა, დაამტკიცა, რომ მსხვილმასშტაბიანი ოპერაციების ჩატარება შეუძლია. სანამ „თურქი“ ცოცხალია, ჯიბეში ფული არ გამოელევათ, როცა მოკვდება, - ფულის ნაცვლად პრობლემებს მიიღებენ.

სონის სახე ეცვალა. მაიკლს იგი ასეთი არასოდეს ენახა. მძიმე, კუპიდონისეული მოყვანილობის ტუჩებსა და გარუჯულ კანს რუხი ფერი დაედო.

- მაგათი დედაც, რა უნდათ, არ მაინტერესებს. ურჩევნიათ, ჩემს ომში საერთოდ არ ჩაეჩარონ!

ტესიო და კლემენცა სკამებზე აწრიალდნენ. მეთაურებს დაემსგავსნენ, რომლებსაც გენერალმა უბრძანა, რაც უნდა დაუჯდეთ, მიუდგომელი სიმაღლე აიღონ. ჰეიგენი ამჯერად, ცოტა არ იყოს, გაღიზიანებული ალაპარაკდა: - მოიცა, სონი. დონი ამას არ მოიწონებდა. ხომ იცი, მსგავს სიტუაციაში რას ამბობს ხოლმე: ეს დროის ტყუილად კარგვაა. იმაში კი მართალი ხარ, რომ თუ დონი იტყვის სოლოცოს გასაღებას, სხვა ოჯახების გამო არ უნდა გავჩერდეთ, მაგრამ ეს ბიზნესია და არა პირადი ანგარიშსწორება. თუ დანარჩენი ოჯახები ჩაერევიან, მათთან მოლაპარაკება გვექნება. თუკი დაინახავენ, რომ გადაწყვეტილი გვაქვს სოლოცოს გასტუმრება, ისინი ამას დაეთანხმებიან, რადგან დონი სხვა რაღაცებს დაუთმობს, მაგრამ თავისთავად სისხლზე ნუ გაგიჟდები. ეს ბიზნესია. მამაშენის დაცხრილვაც კი ბიზნესი იყო. უკვე დროა, ეს გაიგო.

სონის ჯერაც სასტიკი გამომეტყველება ჰქონდა.

- ო,კეი, ყველაფერი გავიგე და შენც უნდა გაიგო, რომ ვერავინ დამიდგება წინ, თუკი სოლოცოს დაბრედვას მოვინდომებ.

სონი ტესიოსკენ მიტრიალდა და ჰკითხა: - ლუკაზე ისმის რამე?

ტესიომ უარის ნიშნად თავი გააქნია.

- არაფერი. სოლოცომ, ეტყობა, გამოიჭირა.

ჰეიგენმა მშვიდად განაგრძო: - ჩვენი საუბრისას ვიგრძენი, ლუკა სოლოცოს სრულიად არ ადარდებს, რაც მაშინ სასაცილოდაც კი მომეჩვენა. სოლოცო საკმარისად ჭკვიანია იმისთვის, რომ ხვდებოდეს, მშვიდად ვერ იქნება, როცა ისეთ კაცზეა ლაპარაკი, როგორიც ლუკაა, მაგრამ მან, ეტყობა, რაღაცნაირად მოახერხა და ლუკა თამაშიდან გამოთიშა.

- ღმერთო, იმედია, ლუკა ჩვენ წინააღმდეგ არ წამოვა, - თქვა სონიმ, - ეს არის ერთადერთი, რისიც მეშინია. კლემენცა, ტესიო, რას ფიქრობთ ამაზე?

კლემენცა დინჯად, სვენებ-სვენებით ალაპარაკდა: - შეცდომა ყველას შეიძლება მოუვიდეს. აი, მაგალითად, პაულო ავიღოთ, მაგრამ ლუკას მხოლოდ ერთი

მიმართულებით შეეძლო სვლა. ნათლია ერთადერთი ადამიანია ამქვეყნად, ვისიც მას სჯეროდა და ვისიც ეშინოდა, მაგრამ მხოლოდ ეს არ იყო საქმე. სონი, ლუკა მამაშენს პატივს სცემდა ისე, როგორც არავინ სხვა, არადა დონს ყველა პატივს სცემს, ვინც კი იცნობს. ლუკა არასოდეს გვიღალატებს. მეორე მხრივ, ვერც იმას ვიჯერებ, რომ თუნდაც ისეთ მოხერხებულ კაცს, როგორიც სოლოცოა, შეეძლო ლუკას გამოჭერა. ლუკა არავის და არაფერს ენდობა. მუდმივად ყველაზე უარესისთვისაა მზად. ვფიქრობ, უბრალოდ, რამდენიმე დღით სადღაც გაემგზავრა და წუთი წუთზე შეიძლება გამოგვეცხადოს.

სონი ტესიოსკენ მიტრიალდა. ბრუკლინელმა კაპორეჟიმემ მხრები აიჩეჩა: - ღალატით ნებისმიერმა შეიძლება გიღალატოს. ლუკა მეტად მგრძნობიარე კაცია. შესაძლოა, დონმა თავისდა უნებურად რაღაც აწყენინა. ეს გამორიცხული არ არის. და მაინც მგონია, რომ სოლოცომ მოახერხა და როგორღაც გამოიჭირა. ჩემი ეს მოსაზრება კონსილიორის ნათქვამსაც ემთხვევა. ასე რომ, ყველაზე უარესისთვის უნდა ვიყოთ მზად.

სონიმ ყველა იქ მყოფს მიმართა: - სოლოცოს მალე ეტყვიან პაულო გატოს შესახებ. როგორ გგონიათ, რა რეაქცია ექნება?

კლემენცამ კუშტად თქვა: - ეს მას დააფიქრებს. მიხვდება, რომ კორლეონეს ოჯახში ბრიყვები არ არიან. მიხვდება, რომ გუშინ მას, უბრალოდ, გაუმართლა.

- ეს გამართლება არ იყო, - მკვახედ მიუგო სონიმ, - სოლოცო იმ ოპერაციას რამდენიმე კვირა ამზადებდა. დონს უეჭველად თვალყურს ადევნებდნენ და მისი განრიგი კარგად შეისწავლეს. მერე მოისყიდეს პაულო და, შესაძლოა, ლუკაც. ბოლო მომენტში მოიტაცეს ტომი. ყველაფერი გააკეთეს, რასაც გეგმავდნენ, მაგრამ არ გაუმართლათ. დაქირავებული შემსრულებლები მთლად გამოცდილები არ გამოდგნენ, თანაც დონი ძალზე სწრაფად მოძრაობდა. რომ მოეკლათ, იძულებული გავხდებოდი, მოლაპარაკებაზე დავყოლოდი და სოლოცო საბოლოოდ გაიმარჯვებდა. ჯერჯერობით, მაინც მომიწევდა ცდა და, შესაძლოა, ხუთ ან ათ წელიწადსაც კი მეცადა, სანამ გამოვიჭერდი. ასე რომ, პიტ, ნუ ამბობ, გაუმართლაო. ეს ნიშნავს, რომ სათანადოდ ვერ აფასებ. ჩვენ კი იძულებულნი ვიქნებოდით, გასაკეთებელი ძალზე გვიან გაგვეკეთებინა.

ამ დროს ერთ-ერთმა „ჯარისკაცმა“ სამზარეულოდან სპაგეტის ქვაბი, რამდენიმე თეფში, ჩანგლები, ჭიქები და ღვინო შემოიტანა. ჭამას შეუდგნენ, თანაც საუბრობდნენ. მაიკლი უყურებდა მათ და გულში ხალისობდა. არც თვითონ და არც ტომი პირს არაფერს აკარებდნენ, მაგრამ სონი, კლემენცა და ტესიო წარმოუდგენელი სისწრაფით ნთქავდნენ მაკარონს, თანაც ტომატის სოუსში კიდევ დამატებით პურსაც აწობდნენ. თითქმის სასაცილო სცენა გახლდათ.

თათბირი გაგრძელდა. ტესიო არ ფიქრობდა, რომ პაულო გატოს დაკარგვა სოლოცოს დააბნევდა, სავსებით შესაძლებელია, „თურქი“ ამას ელოდებოდა და ვინ იცის, იქნებ, კმაყოფილიცაა. ერთით ნაკლები კაცი ეყოლება, ვისაც ფული უნდა გადაუხადოს. და, ცხადია, ამით არ დაშინდება. განა თვითონ ისინი, რა, მსგავს სიტუაციაში დაშინდებოდნენ?

- მე ამ საქმეში სპეციალისტი არა ვარ, - მაიკლმა ლაპარაკი არცთუ დარწმუნებით დაიწყო, - მაგრამ ყველაფერი, რაც თქვით, და ის ფაქტი, რომ სოლოცო ტომთან კონტაქტზე არ გამოდის, მაფიქრებინებს, რაღაც სიურპრიზს გვიმზადებს. შესაძლოა, ისეთი რამ ჩაიფიქრა, რაც საშუალებას მისცემს კვლავ მომგებიანი პოზიცია დაიკავოს. თუკი მივხვდებით, რას გვიმზადებს, მაშინ ინიციატივა ისევ ჩვენს ხელთ იქნება.

სონიმ უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა: - ჰო, მეც ვფიქრობდი ამაზე, მაგრამ ერთადერთი, რაც მოვიფიქრე, - ეს ლუკა ბრაზია. ბრძანება გაცემულია, აქ მოიყვანონ, სანამ რაიმეს მოასწრებდეს... და კიდევ ვფიქრობ, შესაძლოა, სოლოცო შეუთანხმდა ნიუ-იორკის დანარჩენ ოჯახებს და ხვალ შეტყობინებას მივიღებთ, რომ, ომის შემთხვევაში, ისინი ჩვენ წინააღმდეგ გამოვლენ. აი, მაშინ კი იძულებულნი გავხდებით ,,თურქის" წინადადება მივიღოთ. არა, ტომ?

ტომმა თავი დაუქნია.

- მეც ასე ვფიქრობ. ამგვარ ოპოზიციას მამაშენის გარეშე წინააღმდეგობას ვერ გავუწევთ. ყველა ოჯახს ერთად მხოლოდ დონი თუ აღუდგება წინ. მას პოლიტიკური კავშირები აქვს, რაც დანარჩენ ოჯახებს მუდმივად ესაჭიროებათ, და ეს შეიძლება მათთან ვაჭრობისას გამოიყენოს. საერთოდ თუკი მოინდომებს ვაჭრობას.

- ომის შემთხვევაში სოლოცო ამ სახლს ახლოსაც ვერ გაეკარება. ბოსმა ამაზე არ უნდა იღელვოს, - გამოაცხადა კლემენცამ და ეს სიტყვები, ცოტა არ იყოს, თავხედურად გაისმა კაცისგან, რომლის მთავარი შემსრულებელი სულ ცოტა ხნის წინ მოღალატე აღმოჩნდა.

სონიმ დაფიქრებით შეხედა მას და შემდეგ ტესიოს მიუბრუნდა: - საავადმყოფოში რა ხდება, შენი ხალხი იცავს?

რაც თათბირი დაიწყო, ტესიო აბსოლუტური თავდაჯერებით პირველად ალაპარაკდა: - გარედანაც და შიგნიდანაც, - განაცხადა მან, - ოცდაოთხი საათის განმავლობაში. პოლიციაც საკმაოდ კარგად ყარაულობს. პალატასთან მუდმივად რამდენიმე დეტექტივია, ელოდებიან პირველივე შესაძლებლობას, რომ დონი დაჰკითხონ. სასაცილოა. დონი ჯერ კიდევ იმ წვრილ-წვრილი მილებით იღებს რაღაც ნივთიერებებს საჭმლის ნაცვლად, ამიტომ სამზარეულოზე თვალყურის დევნება არ გვიხდება, რაც სხვა შემთხვევაში აუცილებელი იქნებოდა - თურქები საწამლავს ხომ მეტად აფასებენ. არა, დონს არავითარი საშიშროება არ ემუქრება.

სონი სავარძლის საზურგეზე გადაწვა და თქვა: - მე ხელს არ მახლებენ, ჩემთან ბიზნესი უნდათ გააკეთონ, შეთანხმებისთვის ვჭირდები.

შემდეგ მაიკლს გაუღიმა და უთხრა: - იქნებ, შენზე ფიქრობენ? იქნებ, სოლოცო აპირებს მოგიტაცოს და მძევლად ჰყავდე, რომ მერე ვაჭრობა გაგვიმართოს?

მაიკლმა სინანულით გაიფიქრა, რომ ქეისთან შეხვედრის გეგმა იშლება. სონი სახლიდან გასვლის უფლებას არ მისცემს, მაგრამ ჰეიგენმა სწრაფად თქვა: - არა, მაიკლს დიდი ხნის წინ გაიტაცებდა, რომ ნდომოდა. ყველამ იცის, მაიკლი საოჯახო ბიზნესში არ მონაწილეობს, ,,სამოქალაქო პირია" და თუკი სოლოცო ამას გააკეთებს, ნიუ-იორკის დანარჩენი ოჯახების მხარდაჭერას დაკარგავს. ამ საკითხში ტატალიას ოჯახიც კი ჩვენს მხარეზე იქნება. არა, ყველაფერი ძალზე მარტივადაა. ხვალ ჩვენთან

მოვა ნიუ-იორკის ყველა ოჯახის წარმომადგენელი და გამოგვიცხადებს, ,,თურქს“ უნდა შეუთანხმდეთო. სწორედ ამას ელოდება. ეს არის მისი სიურპრიზი.

მაიკლმა შვებით ამოისუნთქა.

- კარგი, - თქვა მან, - საღამოს ქალაქში გავალ.

- რისთვის? - უმალ ჰკითხა სონიმ.

მაიკლმა გაიღიმა: - მინდა მამა მოვინახულო, დედასაც და კონისაც ვნახავ. გარდა ამისა, რაღაც საქმეებიც მაქვს.

დონის მსგავსად, მაიკლიც ნამდვილ მიზეზს არასოდეს ასახელებდა ხოლმე და ახლაც არ უნდოდა ეთქვა, რომ ქეი ადამსთან აპირებდა შეხვედრას. ამის დაფარვის არავითარი რეალური მიზეზი არ არსებობდა, უბრალოდ, მაიკლს ასეთი ჩვევა ჰქონდა.

ამ დროს სამზარეულოს მხრიდან ხმები შემოესმათ. კლემენცა იმის გასაგებად გავიდა, რა ხდებოდა. მალევე შემობრუნდა ლუკა ბრაზის ტყვიაგაუმტარი ჟილეტით ხელში, რომელშიც უზარმაზარი მკვდარი თევზი იდო.

კლემენცამ მშრალად შენიშნა: - ,,თურქმა“ პაულო გატოს, თავისი ჯაშუშის შესახებ შეიტყო.

ტესიომ ასევე თითქოსდა მშრალად დაამატა: - და ახლა ვიცით, სად არის ლუკა ბრაზი.

სონიმ სიგარა გააბოლა და ვისკი გადაკრა. მაიკლმა გაოცებით იკითხა: - ეს რა ჯანდაბას ნიშნავს?

პასუხი ირლანდიელმა ჰეიგენმა, კონსილიორიმ, გასცა.

- თევზი ნიშნავს, რომ ლუკა ბრაზი ზღვის ფსკერზე განისვენებს, - თქვა მან, - ეს ძველი სიცილიური შეტყობინებაა.

თავი მეცხრე

მაიკლი იმ საღამოს ქალაქში ცუდ გუნებაზე გავიდა. გრძნობდა, თავისივე ნების საწინააღმდეგოდ, უფრო და უფრო ღრმად ეფლობოდა ოჯახის საქმეებში. გაღიზიანებული ფიქრობდა, რომ სონი მას, უბრალოდ, ტელეფონზე მოპასუხედ იყენებს. უხერხულად გრძნობდა თავს, როდესაც საოჯახო თათბირებში მონაწილეობდა ისე, ვითომდა მას ისეთი საკითხების გადაწყვეტასაც კი ანდობენ, როგორიც მკვლელობაა. ახლა, როცა ქეისთან შესახვედრად მიდიოდა, მის წინაშეც გრძნობდა თავს დამნაშავედ. როცა საქმე ოჯახს ეხებოდა, მასთან ბოლომდე გულახდილი არასოდეს ყოფილა. ოჯახის წევრთა შესახებ ყოველთვის მსუბუქი იუმორით, კოლორიტული ანეკდოტებით ჰყვებოდა, ამდენად, ისინი ჰოლივუდის სათავგადასავლო ფილმის პერსონაჟებს უფრო მოგაგონებდნენ, ვიდრე ცოცხალ ადამიანებს. და, აი, ახლა მამამისი ქუჩაში დაცხრილეს, მისი უფროსი ძმა კი მკვლელობის გეგმებს აწყობს. ყველაფერი ძალზე მარტივად იყო, მაგრამ მაიკლს

წარმოდგენა არ ჰქონდა, როგორ შეეძლო, ეს ყველაფერი ქეისთვის აეხსნა. თანაც უკვე უთხრა, რომ, რაც მამამისს დაემართა, „უბედური შემთხვევის“ მსგავსი რამ იყო და ყველაფერი ამით დამთავრდა. როგორც ჩანს, ყველაფერი მხოლოდ ახლა იწყებოდა. ეტყობა, სონი და ტომი სოლოცოს სათანადოდ მაინც ვერ აფასებდნენ, არადა სონი საკმარისად ჭკვიანი იყო იმისთვის, რომ საფრთხე დაენახა. მაიკლი ცდილობდა, წარმოედგინა, რა სიურპრიზი შეიძლებოდა მოემზადებინა სოლოცოს. იგი აშკარად გამბედავი კაცი იყო, ჭკვიანი, განსაკუთრებული ძალის მქონე. მზად უნდა იყო, რომ ნამდვილ სიურპრიზს შემოგთავაზებს, მაგრამ სონიც, ტომიც, კლემენცაც და ტესიოც აცხადებდნენ, სიტუაცია კონტროლს ექვემდებარებაო, არადა ამ საქმეებში მათ მაიკლზე განუზომლად დიდი გამოცდილება ჰქონდათ. ამ ომში იგი მხოლოდ და მხოლოდ „სამოქალაქო პირია“, - მაიკლი შუბლშეჭმუხნილი ფიქრობდა. და თუკი სურთ, რომ ამ ომს შეუერთდეს, ათასჯერ მეტი მედალი უნდა მისცენ, ვიდრე მეორე მსოფლიო ომში მიიღო. მაიკლი მამის წინაშეც გრძნობდა თავს დამნაშავედ. მამამისი უმოწყალოდ ჩაცხრილეს, მაგრამ მაიკლი, ეტყობა, სხვებზე უკეთ ჩახვდა ტომის ნათქვამს, რომ ეს ბიზნესია და არა პირადი ანგარიშსწორება. დონი ახლა იმ ძალაუფლების საფასურს იხდიდა, რომელსაც მთელი ცხოვრება ფლობდა, - იმ პატივისცემის საფასურს, რომლითაც გარშემომყოფებში სარგებლობდა.

მაიკლს სულითა და გულით უნდოდა, ამ ყველაფერს გაჰქცეოდა, საკუთარი ცხოვრებით ეცხოვრა, მაგრამ გრძნობდა, ოჯახს ვერ მიატოვებდა, სანამ კრიზისი არ გადაივლიდა. უნდა დაეხმაროს ისე, როგორც „სამოქალაქო პირს“ ხელეწიფება. და უეცრად მაიკლმა ცხადად გააცნობიერა, რომ მისთვის განკუთვნილი როლი, - პრივილეგირებული პაციფისტის, გვერდიდან დამკვირვებლის როლი, - აღიზიანებს. ამიტომაც სიტყვა „სამოქალაქო“, რომელიც წამდაუწუმ ახსენდებოდა, განსაკუთრებით აბრაზებდა.

როდესაც მაიკლი სასტუმროში შევიდა, ქეი დაინახა, - ჰოლში იდგა და ელოდებოდა (კლემენცას ორმა კაცმა მაიკლი ქალაქში მანქანით ჩაიყვანა და სასტუმროს ახლოს ჩამოსვა მას მერე, რაც დარწმუნდნენ, არავინ უთვალთვალებდათ).

ქეიმ და მაიკლმა ერთად ისადილეს და ცოტა დალიეს.

- რომელ საათზე მიდიხარ მამაშენის სანახავად? - ჰკითხა ქეიმ.

მაიკლმა საათს დახედა.

- მნახველების შეშვება ოფიციალურად ცხრის ნახევარზე წყდება, მაგრამ მაშინ მივალ, როცა უკვე აღარავინ იქნება. შემიშვებენ. მამას საკუთარი პალატა აქვს და ცოტა ხანს მის გვერდით ვიქნები. არა მგონია, ლაპარაკი ან თუნდაც იმის გაგება შეეძლოს, იქ რომ ვარ, მაგრამ მაინც უნდა მოვინახულო.

- ძალიან განვიცდი მამაშენის გამო, - ჩუმად უთხრა ქეიმ, - როგორი მომხიბლავი იყო ქორწილზე. არ მჯერა, რასაც მასზე გაზეთებში წერენ. დარწმუნებული ვარ, თითქმის ყველაფერი ტყუილია.

- მეც ასე მგონია, - ზრდილობიანად მიუგო მაიკლმა.

თვითონაც კი უკვირდა, რამდენად ფრთხილობდა, როცა ქეის ამ თემაზე ელაპარაკებოდა. ქეი უყვარდა, ენდობოდა, მაგრამ მამასა და ოჯახზე ყველაფერს ვერ უყვებოდა. ქეი მაინც გარეშე იყო.

- და შენ რას აპირებ? - ჰკითხა ქეიმ, - შეიძლება ჩაგითრიონ განგსტერთა ამ ომში, რომელზეც გაზეთები ასეთი სიხარულით წერენ?

მაიკლმა გაიღიმა, პიჯაკი შეიხსნა, ფართოდ გაშალა, დაანახვა და უთხრა: - შეხედე, პისტოლეტები არა მაქვს.

ქეის გაეცინა. უკვე გვიანი იყო და ნომერში ავიდნენ. ქეიმ ორი კოქტეილი მოამზადა, მაიკლს მუხლებზე დაუჯდა, - მოწრუპეს. ქეის კაბის ქვეშ კანი თითქოს აბრეშუმისა ჰქონდა, მაიკლმა ქათქათა თეძოზე ხელი გადაუსვა. ჩაცმულები საწოლზე გადაგორდნენ... სასწრაფოდ ისიყვარულეს, ისე, რომ არც კი გაუხდიათ, თუმცა გრძნობდნენ, როგორ უხურდათ სხეული ტანისამოსის ქვეშ. როდესაც ყველაფერს მორჩნენ, ქეიმ წასჩურჩულა: - ჯარისკაცები ამას ეძახით „ჰაიჰარად“?

- ვეძახით, - თავი დაუქნია მაიკლმა.

- არა უშავს რამეა, - თქვა ქეიმ ერთობ თავდაჭერილად.

ერთხანს თვლემდნენ, მერე მაიკლი უეცრად წამოიჭრა, შეწუხებულმა საათს დახედა.

- ჯანდაბა, - თქვა მან, - უკვე ათი საათია. საავადმყოფოში უნდა მივიდე.

მაიკლი სააბაზანოში შევიდა დასაბანად და თმის გადასავარცხნად. ქეი შეჰყვა, ზურგიდან ხელები მოხვია და ჰკითხა: - როდის დავქორწინდეთ?

- როცა მეტყვი, - მიუგო მაიკლმა, - როგორც კი ჩემი ოჯახის სიტუაცია მოგვარდება და მამაჩემი მომჯობინდება მგონი, ამასობაში, შენს მშობლებსაც უნდა აუხსნა.

- რა უნდა ავუხსნა? - ჩუმად ჰკითხა ქეიმ.

მაიკლმა სავარცხელი სველ თმაზე გადაისვა.

- უთხარი, რომ შეხვდი ერთ გულადსა და მომხიბლავ იტალიელს. კოლეჯში უმაღლესი შეფასებები აქვს. მეორე მსოფლიო ომში „წარჩინების ჯვრითა“ და „ალისფერი გულით“ დააჯილდოეს. პატიოსანია, მშრომელი, მაგრამ მამამისი მაფიის ბოსია, რომელიც იძულებულია, ცუდი ადამიანები დახოცოს ხოლმე და დროდადრო სახელმწიფო მოხელეები მოისყიდოს. ამ საქმიანობისას თვითონ იგი დაცხრილეს ქუჩაში, მაგრამ ყოველივე ეს სრულებითაც არ ეხება მის პატიოსან, მშრომელ ვაჟიშვილს. შეგიძლია, ეს ყველაფერი სიტყვასიტყვით დაიმახსოვრო?

ქეიმ ხელი უშვა მაიკლს და სააბაზანოს კარს ზურგით მიეყრდნო.

- მართლა ამას აკეთებს? - ქეიმ სიტყვა გაწყვიტა და მერე ისევ გაიმეორა, - მართლა აკეთებდა?

ხანმოკლე პაუზის შემდეგ დაამატა: - მართლა კლავდა?

მაიკლი თმის ვარცხნას მორჩა.

- არ ვიცი, - მიუგო ქეის, - დანამდვილებით არავინ იცის, მაგრამ არ გამიკვირდება, თუკი გავიგებ, რომ მართლა.

სანამ კართან მივიდოდა, ქეიმ ჰკითხა: - როდის შევხვდებით?

მაიკლმა აკოცა.

- შენს პატარა ქალაქში დაბრუნდი და ამ ყველაფერზე დაფიქრდი, - უთხრა ქეის, - არ მინდა, რამენაირად გაერიო ამ საქმეებში. საშობაო არდადეგების შემდეგ დავბრუნდები კოლეჯში და ერთმანეთს ჰანოვერში შევხვდებით. ო,კეი?

- ო,კეი, - უთხრა ქეიმ.

უყურებდა, როგორ მიდიოდა მაიკლი დერეფანში და როგორ დაუქნია ხელი, სანამ ლიფტში შეაბიჯებდა. ქეის არასოდეს უგრძნია იმაზე მეტი სიახლოვე და სიყვარული, რასაც იმწუთას განიცდიდა მაიკლის მიმართ და ვინმეს რომ ეთქვა, სამი წელი ვეღარ ნახავო, ალბათ, გული გაუსკდებოდა.

როდესაც მაიკლი ფრანგული ჰოსპიტლის შესასვლელთან ტაქსიდან გადმოვიდა, გაოცდა, რადგან ქუჩაში კაციშვილი არ ჭაჭანებდა. როდესაც საავადმყოფოში შევიდა, ისევ გაოცდა, რადგან არც დერეფანში ჩანდა ვინმე. „დედაც ვატირე, რა ჯანდაბას აკეთებენ ტესიო და კლემენცა?!“ - გაიფიქრა. მართალია, ვესტ-პოინტი არ დაუმთავრებიათ, მაგრამ ტაქტიკისა იმდენი მაინც ხომ უნდა გაეგებოდეთ, რომ გარეთა ყარაული აუცილებლად დააყენონ. დერეფანში ორი კაცი მაინც ხომ უნდა ჰყავდეთ?

მნახველები დიდი ხნის წასულები იყვნენ. თერთმეტის ნახევარი სრულდებოდა. მაიკლი დაიძაბა, შეშფოთდა. ცნობათა ბიუროსთან არ შეჩერებულა, მამის პალატის ნომერი იცოდა. მეოთხე სართულზე ლიფტით ავიდა. არავის გაუჩერებია, პალატის კართანაც არავინ იყო. სად ჯანდაბაშია ის ორი დეტექტივი, რომლებიც მუდმივად იცავენ დონს და ელოდებიან მომენტს, რომ დაჰკითხონ? სად ჯანდაბაშია ტესიოსა და კლემენცას ხალხი? იქნებ, პალატაში მაინც არის ვინმე? მაგრამ პალატის კარი ღია დახვდა. მაიკლი შევიდა. საწოლზე სილუეტი დალანდა, - დეკემბრის მთვარის შუქზე, რომელიც ფანჯრიდან იღვრებოდა, სახე გაარჩია. მშვიდი, არაფრისმთქმელი სახე ჰქონდა, მკერდი სუნთქვისას წყვეტილად აუდ-ჩაუდიოდა. ფოლადის შტატივიდან, რომელიც საწოლის გვერდით იდგა, წვრილი მილაკები ცხვირში ჰქონდა შეყვანილი. იატაკზე მინის ჭურჭელი იდგა, სადაც მუცლის ღრუს გამონაყოფი გროვდებოდა, სხვა მილაკებს რომ მოჰყვებოდა. მაიკლი რამდენიმე წუთს დაყოვნდა, დარწმუნდა, მამამისი წესრიგში იყო და პალატიდან გამოვიდა.

ექთანს უთხრა: - მე მაიკლ კორლეონე ვარ, მამის სანახავად მოვედი. სად არიან დეტექტივები, რომლებიც მას უნდა იცავდნენ?

ექთანი მომხიბლავი ქალიშვილი აღმოჩნდა, რომელსაც მეტისმეტად სერიოზულად ეჭირა თავი, - თავისი მისიის მნიშვნელობა ზედმიწევნით ჰქონდა შეგნებული.

- მამათქვენს ძალზე ბევრი მნახველი ჰყავდა, - უთხრა მაიკლს, - საავადმყოფოს პერსონალს ხელს უშლიდნენ, ამიტომ პოლიციამ ათიოდე წუთის წინ აქედან ყველა გაიყვანა. ხუთიოდე წუთის წინ კი დეტექტივებს დაურეკეს მთავარი

დეპარტამენტიდან და სასწრაფოდ გამოიძახეს, განგაშიაო, მაგრამ ნუ წუხხართ, ხშირად შევდივარ მამათქვენის პალატაში და ნებისმიერ ხმაურს გავიგებ. კარიც ამიტომ დავტოვე ღია.

- დიდი მადლობა, - უთხრა მაიკლმა, - მე ცოტა ხანს მასთან დავრჩები. ო,კეი?

ექთანმა გაუღიმა.

- მხოლოდ რამდენიმე წუთით. მერე, ვშიშობ, წასვლა მოგიწევთ. ხომ გესმით, წესი წესია.

მაიკლი პალატაში შებრუნდა, ტელეფონის ყურმილი აიღო და საავადმყოფოს ოპერატორს სთხოვა, ლონგ-ბიჩის სახლთან შეეერთებინა, იმ ტელეფონის ნომერი დაუსახელა, რომელიც მამამისის კაბინეტში იდგა. სონიმ უპასუხა. მაიკლმა ჩურჩულით უთხრა: - სონი, ჰოსპიტალში ვარ. გვიან მოვედი. არავინ დამხვდა, არც ტესიოს ხალხი, არც დეტექტივები. მამა სრულიად დაუცველია.

მაიკლს ხმა უკანკალებდა.

ხანგრძლივი პაუზის შემდეგ სონიმ ხმადაბლა უპასუხა: - ესაა სოლოცოს სიურპრიზი, რაზეც ვლაპარაკობდით.

- მეც ეგრე მგონია, - თქვა მაიკლმა, - მაგრამ როგორ მოახერხა აქედან პოლიციის გაყვანა? რა დაემართა ტესიოს ხალხს? ღმერთო ჩემო, ნუთუ იმ ნაბიჭვარ სოლოცოს ნიუ-იორკის პოლიციის დეპარტამენტიც ჯიბეში უზის?

- ნუ ღელავ, ბიჭო, - უთხრა სონიმ. მისი ხმა მართლა დამამშვიდებლად მოქმედებდა, - ჩვენი ბედი, რომ ასე გვიან მიხვედი საავადმყოფოში. პალატაში დარჩი. კარი შიგნიდან ჩაკეტე. ახლავე დავრეკავ და თხუთმეტ წუთში ჩვენი ხალხი მანდ გაჩნდება. მშვიდად იყავი, პანიკაში არ ჩავარდე. ო,კეი?

- არა ვარ პანიკაში, - უპასუხა მაიკლმა.

რაც კი ეს ამბები დაიწყო, მაიკლმა მამამისის მტრებისადმი სასტიკი სიძულვილი პირველად იგრძნო.

ყურმილი დაკიდა და ზარი დარეკა, რომლითაც ექთნის გამოძახება შეიძლებოდა. გადაწყვიტა, დამოუკიდებლად ემოქმედა, სონის ბრძანება უგულებელეყო. როდესაც ექთანი შემოვიდა, უთხრა: - არ მინდა თქვენი შეშინება, მაგრამ მამაჩემი სასწრაფოდ უნდა გადავიყვანოთ სხვა სართულზე, ანდა სხვა პალატაში. შეგიძლიათ, ეს მილაკები მოხსნათ, საწოლი რომ გავაგოროთ?

- სასაცილო რამეს ამბობთ, - უპასუხა ექთანმა, - ამისთვის ექიმის ნებართვაა საჭირო.

მაიკლი ძალზე სწრაფად ალაპარაკდა: - თქვენ, ალბათ, მამაჩემის შესახებ გაზეთებში წაგიკითხავთ. როგორც ხედავთ, ამ ღამით მას აღარავინ იცავს. ეს-ეს არის შემატყობინეს, რომ ახლა აქ რამდენიმე კაცი მოვა მის მოსაკლავად. თუ შეიძლება, დამიჯერეთ და დამეხმარეთ.

როდესაც უნდოდა, მაიკლს ძალზე დამაჯერებლად შეეძლო ლაპარაკი. ექთანმა უთხრა: - მილაკების გამოძრობა საჭირო არ არის. შტატივი საწოლთან ერთად შეიძლება გადავიტანოთ.

- არის აქ ცარიელი პალატა? - ჰკითხა მაიკლმა.

- დერეფნის ბოლოში, - უპასუხა ექთანმა.

დონის გადაყვანას მხოლოდ რამდენიმე წუთი დასჭირდა. შემდეგ მაიკლმა ექთანს უთხრა: - აქ დარჩით, სანამ საშველად მოვლენ. გარეთ თუ იქნებით, შეიძლება რამე დაგიშავდეთ.

ამ დროს გაისმა დონის ხმა, ხრინწიანი, მაგრამ მტკიცე: - მაიკლ, შენა ხარ? რა მოხდა?

მაიკლი საწოლზე გადაიხარა. მამის ხელს თავისი ხელი მოუჭირა.

- მე ვარ, მაიკლი, - თქვა მან, - ნუ გეშინია. ახლა მისმინე, ეცადე, არ იხმაურო, განსაკუთრებით, თუკი ვინმე ხმამაღლა დაგიძახებს. შენი მოკვლა უნდათ, გესმის? მაგრამ აქა ვარ, ნუ შეგეშინდება.

დონ კორლეონეს ჯერ ვერ გაეცნობიერებინა, რა მოხდა წინადღეს, ძლიერი ტკივილისგან იტანჯებოდა, მაგრამ ვაჟიშვილს მაინც გაუღიმა და უთხრა: - რატომ უნდა შემეშინდეს? ჩემს მოსაკლავად პირველად მაშინ მოვიდნენ, როცა თორმეტი წლისა ვიყავი.

თავი მეათე

საავადმყოფო კერძო იყო და არცთუ დიდი, ერთადერთი შესასვლელი ჰქონდა. მაიკლმა ფანჯრიდან გაიხედა. ჩანდა ვიწრო, უსწორო ფორმის პატარა ეზო, რომელიც ქუჩაში გამავალი კიბით მთავრდებოდა. ქუჩა სავსებით ცარიელი გახლდათ. ვინც საავადმყოფოში შემოსვლას დააპირებს, ამ გზით გამოივლის. მაიკლმა იცოდა, რომ ძალზე ცოტა დრო ჰქონდა, ამიტომ პალატიდან გამოვარდა და კიბეზე სირბილით დაეშვა.

საავადმყოფოდან გამოვიდა, ტროტუარზე დადგა შესასვლელთან და სიგარეტს მოუკიდა. პალტოს ღილები გაიხსნა და ლამპიონის ქვეშ დადგა, რომ კარგად გამოჩენილიყო. დაინახა, მეცხრე ავენიუზე საავადმყოფოსკენ სწრაფი ნაბიჯით ახალგაზრდა კაცი მოდიოდა, იღლიაში პაკეტი ამოეჩარა. სამხედრო ქურთუკი ეცვა, ხშირი თმა ჰქონდა. როდესაც ლამპიონს გაუსწორდა, მაიკლს ეცნო, მაგრამ ვინ იყო, ვერ გაიხსენა. ახალგაზრდა კაცი შეჩერდა, ხელი გაუწოდა და ძლიერი იტალიური აქცენტით უთხრა: - დონ მაიკლ, არ გახსოვართ? ენცო ვარ, მეფუნთუშე ნაზორინის თანაშემწე, მისი სიძე. მამათქვენმა გადამარჩინა, დამეხმარა, მთავრობას ამერიკაში რომ დავეტოვებინე.

მაიკლმა ხელი ჩამოართვა. ახლა კი გაახსენდა ენცო.

ენცომ გააგრძელა: - მამათქვენის მონახულება მინდა. ასე გვიან შემიშვებენ?

მაიკლმა გაიღიმა და უარის ნიშნად თავი გააქნია: - არა, არ შეგიშვებენ, მაგრამ მაინც გმადლობ. მამას გადავცემ, რომ იყავი.

უეცრად ქუჩაში მანქანა გამოჩნდა. ღმუილით მოქროდა მათკენ. მაიკლი დაიძაბა, ენცოს უთხრა: - ჩქარა წადი. პრობლემები შეიძლება გაჩნდეს. პოლიციასთან საქმის დაჭერა არ გენდომება.

მაიკლმა ენცოს სახეზე შიშის ანარეკლი შენიშნა. პოლიციასთან პრობლემები თუ შეექმნა, შესაძლოა, ქვეყნიდან გაასახლონ, ანდა მოქალაქეობაზე უარი უთხრან, მაგრამ ენცო ადგილიდან არ დაძრულა. იტალიურად წასჩურჩულა: - თუ პრობლემებია, დავრჩები, დაგეხმარებით. ნათლიას მოვალე ვარ.

ამ სიტყვებმა მაიკლს გული აუჩუყა. კიდევ ერთხელ უნდოდა ენცოსთვის ეთქვა, წადიო, მაგრამ მერე გაიფიქრა: ,,რატომაც არ უნდა დავტოვო? საავადმყოფოს წინ მდგომმა ორმა კაცმა სოლოცოს ხალხს შეიძლება გადააფიქრებინოს ,,სამუშაოს'' შესრულება, რისთვისაც გამოგზავნეს, ერთი კაცისა კი ნამდვილად არ შეეშინდებათ''. მაიკლმა სიგარეტი ამოიღო და ენცოს მიაწოდა. გააბოლეს. დეკემბრის ცივ ღამეს ლამპიონის ქვეშ იდგნენ. მათ თავზე საავადმყოფოს ყვითელი ფანჯრები ლაპლაპებდა, რომლებიც სადღესასწაულოდ მწვანე ქაღალდის გირლანდებით მოერთოთ. სიგარეტი თითქმის ჩაამთავრეს, როდესაც მეცხრე ავენიუს მხრიდან ოცდამეათე სტრიტზე შემოუხვია და პირდაპირ მათკენ გამოქანდა სიგარის ფორმის მქონე გრძელი, შავი ავტომობილი. ტროტუართან ძალზე ახლოს მოდიოდა. მათ წინ გააჩერა. მაიკლმა მანქანაში შეიხედა, იქ მყოფთა სახეები რომ გაერჩია, და თავისდა უნებურად შეკრთა. თითქმის გაჩერებული მანქანა უეცრად ადგილს მოსწყდა და გავარდა. მაიკლი ვიღაცამ იცნო. ენცოს მეორე სიგარეტი გაუწოდა და შენიშნა, ხაბაზს ხელები უკანკალებდა. თავისდა გასაოცრად, თვითონ ხელებზე არაფერი ეტყობოდა.

მაიკლი და ენცო ქუჩაში იდგნენ, სიგარეტს ეწეოდნენ. დაახლოებით, ათი წუთის შემდეგ ღამეული ჰაერი პოლიციის სირენამ გაკვეთა. საპატრულო ავტომობილმა მეცხრე ავენიუდან ღრჭიალით შემოუხვია და საავადმყოფოს წინ შეჩერდა. მას პოლიციის კიდევ ორი მანქანა მოჰყვა. საავადმყოფოს შესასვლელი უცებ დეტექტივებითა და პოლიციელებით აივსო. მაიკლმა შვებით ამოისუნთქა. ეტყობა, სონიმ ზომები მიიღო. მაიკლი პოლიციელებისკენ გაემართა.

მოულოდნელად, ორმა მაღალმა, მოსულმა პოლიციელმა ხელები გადაუგრიხა. მესამემ გაჩხრიკა. ამ დროს კიბეზე ამოვიდა პოლიციის კაპიტანი, ქუდს დიდი, ოქროსფერი გერბი უმშვენებდა. პოლიციელები და დეტექტივები პატივისცემის ნიშნად აქეთ-იქით იწეოდნენ, გზას უთმობდნენ. თავისი აგებულებისა და ასაკის მიუხედავად, საკმაოდ მკვირცხლად და ენერგიულად მოძრაობდა. სახე უმი ხორცივით წითელი ფერისა ჰქონდა. მაიკლთან მიიჭრა და უღრიალა: - მე მეგონა, ყველა იტალიელი ნაძირალა გავიყვანე აქედან. ვინა ხარ, შენი დედაც, აქ რას აკეთებ?

ერთ-ერთმა პოლიციელმა, რომელიც მაიკლის ზურგს უკან იდგა, უთხრა: - არაფერი არა აქვს, კაპიტანო, სუფთაა.

მაიკლს ხმა არ ამოუღია. პოლიციის კაპიტანს ცისფერ, გაყინულ თვალებში მშვიდად და გამომცდელად ჩაჰყურებდა. სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმულმა დეტექტივმა თქვა: - ეს მაიკლ კორლეონეა, დონის ვაჟი.

მაიკლმა ჩუმად იკითხა: - რა დაემართათ დეტექტივებს, რომლებიც მამაჩემს უნდა იცავდნენ? ვინ უბრძანა აქედან წასვლა?

პოლიციის კაპიტანი გაცოფდა: - ნაბიჭვარო განგსტერო, ვინ გგონია თავი, პასუხს რომ მთხოვ? მე ვუბრძანე! სულაც დაგიხოციათ ერთმანეთი ყველა იტალიელ ბანდიტს, ფეხებზე მკიდია. ჩემი ნება რომ იყოს, თითსაც არ გავანძრევდი მამაშენის დასაცავად. ამ ქუჩაზე აღარ გაჭაჭანდე, ნაბიჭვარო, საავადმყოფოში შემოსული არ გნახო, როცა მიღება დამთავრებულია.

მაიკლი პოლიციის ოფიცერს კვლავაც ყურადღებით აკვირდებოდა. მის სიტყვებზე არ გაბრაზებულა. მაიკლის გონება გამალებით მუშაობდა. შესაძლებელია, მანქანაში თვით სოლოცო იჯდა, სწორედ მან იცნო საავადმყოფოს კართან მდგომი? შესაძლებელია, სოლოცოს პოლიციის კაპიტნისთვის დაერეკა და ეკითხა: ,,როგორ მოხდა, რომ კორლეონეს ხალხი ისევ საავადმყოფოსთანაა, მე ხომ ფული გადაგიხადე, იქიდან რომ გაგეყვანა?“ შესაძლებელია, ყველაფერი ასეთი სიზუსტით იყოს დაგეგმილი, როგორც სონიმ ივარაუდა? მართლაც, ასე ჩანს. მაიკლმა ისევ ძალზე მშვიდად თქვა: - საავადმყოფოდან არ გავალ, სანამ მამაჩემის პალატასთან დაცვას არ დააყენებთ.

კაპიტანს პასუხით თავი არ შეუწუხებია, გვერდით მდგომ დეტექტივს უბრძანა: - ფილ, დააკავე ეს ნაბიჭვარი.

დეტექტივი შეყოყმანდა.

- არაფერი აქვს, სუფთაა. ომის გმირია, კანონი არასოდეს დაურღვევია. პრესა ერთ ამბავს ატეხს.

კაპიტანმა დეტექტივს უღრიალა: - ჯანდაბას, დაიჭირე-მეთქი!

მაიკლმა, რომელიც კვლავაც ცივ გონებას ინარჩუნებდა, მშვიდად ჰკითხა: - კაპიტანო, ,,თურქმა“ რამდენი გადაგიხადა?

კაპიტანი მისკენ შეტრიალდა. იქვე მდგომ ორ მოსულ საპატრულო პოლიციელს უბრძანა: ,,დაიჭირეთ!“ მაიკლმა იგრძნო, ხელები გადაუგრიხეს და დაინახა, როგორ გამოქანდა მისკენ კაპიტნის ვეება მუშტი. გაწევა სცადა, მაგრამ ვერ შეძლო, მუშტი პირდაპირ ყბაში მოხვდა. თითქოს ხელყუმბარა აუფეთქდაო თავში. პირი სისხლითა და წვრილ-წვრილი ძვლებით აევსო. მიხვდა, - კბილები იყო. იგრძნო, როგორ უსივდებოდა ცალი მხარე, თითქოს ჰაერით ტუმბავენო. ფეხებში ძალა გამოეცალა და უეჭველად წაიქცეოდა, ორ პოლიციელს მაგრად რომ არ ჰყოლოდა გაკავებული, მაგრამ გონება არ დაუკარგავს. სამოქალაქოში ჩაცმული დეტექტივი მათ შორის ჩადგა, განმეორებითი დარტყმისგან რომ დაეცვა, და კაპიტანს უთხრა: - ღმერთო ჩემო, მგონი, მართლა დააშავეთ.

კაპიტანმა ხმამაღლა უპასუხა, ყველას გასაგონად: - ხელი არ მიხლია. თავს დამესხა და წაიქცა. გაიგეთ? დაპატიმრებისას წინააღმდეგობა გამიწია.

ალისფერ ბინდში მაიკლმა რამდენიმე მანქანა გაარჩია, ტროტუართან რომ შეჩერდა. მანქანებიდან გადმოსულებს შორის კლემენცას ადვოკატი იცნო, რომელიც პოლიციის კაპიტანთან მივიდა და მკაცრად უთხრა: - კორლეონეს ოჯახმა დაიქირავა რამდენიმე

კერძო დეტექტივი, მათ იარაღის ტარების ოფიციალური ნებართვა აქვთ. თუკი ახლა მათ დააპატიმრებთ, ხვალ დილით სასამართლოში პასუხის გაცემა მოგიწევთ.

ადვოკატმა მაიკლს თვალი შეავლო და ჰკითხა: - აპირებ, უჩივლო, ვინც უნდა იყოს ამის გამკეთებელი?

მაიკლი გაჭირვებით ალაპარაკდა. ყბა ამოგდებული ჰქონდა, ამიტომ მხოლოდ ჩურჩული შეძლო.

- ფეხი დამიცურდა, - თქვა მან, - დამიცურდა და წავიქეცი.

შენიშნა, როგორი ტრიუმფით გაუღიმა კაპიტანმა და შეეცადა, თვითონაც გაეღიმა საპასუხოდ. არაფრით არ უნდოდა თავისი გრძნობების გამჟღავნება, არ უნდოდა ამქვეყნად ვინმეს გაეგო, რას განიცდიდა. როგორც დონს არ ენდომებოდა. შემდეგ იგრძნო, საავადმყოფოსკენ მიჰყავდათ და გონება დაკარგა.

როდესაც მეორე დილით გაიღვიძა, აღმოაჩინა, რომ ქვედა და ზედა ყბა ერთმანეთზე გადაუბეს, მარცხენა მხარეს კი ოთხი კბილი აკლია. საწოლთან ჰეიგენი იჯდა.

- წამლებით გამჭყიპეს? - ჰკითხა მაიკლმა.

- კი, - უპასუხა ჰეიგენმა, - ძვლების ნამსხვრევებს გიღებდნენ ღრძილებიდან და ჩათვალეს, რომ ძალიან გეტკინებოდა. თანაც, პრაქტიკულად, უგონოდ იყავი.

- კიდევ რამე მჭირს? - ისევ იკითხა მაიკლმა.

- არა, - მიუგო ჰეიგენმა, - სონის უნდა ლონგ-ბიჩის სახლში გადაგიყვანოს. როგორ ფიქრობ, შეძლებ?

- აბა, რა, - უპასუხა მან, - დონი კარგადაა?

ჰეიგენს სახე წამოუწითლდა.

- მგონი, პრობლემა გადავწყვიტეთ, - თქვა მან, - კერძო დეტექტივები დავიქირავეთ და ახლა ყველგან ჩვენი ხალხია. დეტალებს მანქანაში მოგიყვები.

მანქანას კლემენცა მართავდა. მაიკლი და ჰეიგენი უკანა სავარძელზე მოთავსდნენ. მაიკლს თავში განუწყვეტლივ რაღაც უბჟუოდა.

- ბოლოს და ბოლოს, გაარკვიეთ თუ არა, გუშინ რა ჯანდაბა მოხდა?

ჰეიგენმა მშვიდად მიუგო: - სონის ჰყავს თავისი კაცი, სწორედ ის დეტექტივი ფილიპსი, რომელიც შენს დაცვას შეეცადა. მისგან გავიგეთ ყველაფერი. პოლიციის კაპიტანი მაკ-კლასკი ქრთამს ჯერ კიდევ იმ დროიდან იღებს, როცა პატრულის რიგითი პოლიციელი იყო. თავის დროზე ჩვენმა ოჯახმაც საკმაოდ ბევრი გადაუხადა, მაგრამ მეტისმეტად ხარბი აღმოჩნდა, მასთან საქმის დაჭერა არ ღირს, ვერ ენდობი. სოლოცომ, ეტყობა, უზარმაზარი ფული მისცა. გუშინ, როგორც კი მნახველთა მიღების დრო ამოიწურა, მაკ-კლასკიმ ტესიოს ხალხი დააკავა. იმანაც არ უშველა, რომ ზოგიერთ მათგანს იარაღიც კი არ ჰქონდა. შემდეგ მაკ-კლასკიმ დეტექტივები გაიყვანა, რომლებიც დონს იცავდნენ. გამოაცხადა, სასწრაფოდ მჭირდებიან და მალე მათ სხვები შეცვლიანო. პონტია. სოლოცომ მაკ-კლასკი, უბრალოდ, იყიდა. ფილიპსი

ამბობს, მაკ-კლასკი იმ ტიპთაგანია, უკან რომ არ იხევენ, - ესე იგი, მცდელობა კიდევ განმეორდება. სოლოცომ, ალბათ, იმ უზარმაზარი ფულის ჯერ მხოლოდ ნაწილი მისცა, დანარჩენი ოპერაციის დასრულების შემდეგ ექნება მისაღები.

- გაზეთებმა ჩემზე რამე დაწერეს?

- არა, - უპასუხა ჰეიგენმა, - ამის მიჩუმათება მოვახერხეთ. არავის უნდა ამ ამბავმა გაჟონოს. არც პოლიციელებს. არც ჩვენ.

- ძალიან კარგი, - თქვა მაიკლმა, - ენცომ გაქცევა მოახერხა?

- მოახერხა, - მიუგო ჰეიგენმა, - შენზე ჭკვიანი აღმოჩნდა. როგორც კი პოლიცია გამოჩნდა, მაშინვე დაითესა. ამტკიცებს, რომ შენთან იყო, როცა სოლოცოს მანქანა მოვიდა. მართალია?

- მართალია, - უპასუხა მაიკლმა, - კარგი ბიჭია.

- მივხედავთ, - თქვა ჰეიგენმა, - როგორ გრძნობ თავს? - ჰეიგენს შეწუხებული სახე ჰქონდა, დაამატა, - ვერ გამოიყურები კარგად.

- არა მიშავს, - მიუგო მაიკლმა, - რა გვარია ის კაპიტანი?

- მაკ-კლასკი, - თქვა ჰეიგენმა, - სხვათა შორის, შესაძლოა, უკეთ იგრძნო თავი, როცა გაიგებ, რომ ბოლოს და ბოლოს, ერთი ქულა ჩვენც ავიღეთ. ბრუნო ტატალია, დილის ოთხ საათზე...

მაიკლი ადგილზე გასწორდა.

- ეს როგორ? - იკითხა მან, - მე მეგონა, მშვიდად ჯდომას ვაპირებდით.

ჰეიგენმა მხრები აიჩეჩა.

- საავადმყოფოში მომხდარის მერე სონი გაცოფდა. ჩვენი ,,შემსრულებლები'' მთელ ნიუ-იორკსა და ნიუ-ჯერსის მოედვნენ. გუშინ საღამოს სია შევადგინეთ. ვცდილობდი, სონი როგორმე დამეშოშმინებინა. იქნებ, დაელაპარაკო, მაიკლ. ეს ყველაფერი ჯერჯერობით კიდევ შეიძლება დიდი ომის გარეშე მოგვარდეს.

- დაველაპარაკები, - თქვა მაიკლმა, - დილით თათბირი გქონდათ?

- გვქონდა, - უპასუხა ჰეიგენმა, - სოლოცო, როგორც იქნა, კონტაქტზე გამოვიდა, მოლაპარაკების დაწყება მოინდომა. შუამავალი დეტალებს ათანხმებს. ეს ნიშნავს, რომ ვიმარჯვებთ. სოლოცომ იცის, წააგო, და სიცოცხლის შენარჩუნებას ცდილობს.

ჰეიგენმა პაუზა გააკეთა.

- ალბათ, ეგონა, დანებებას ვაპირებდით, რადგან დარტყმას დარტყმით არ ვუპასუხეთ. ახლა, როცა ერთ-ერთი ტატალია მკვდარია, მიხვდა, არ ვხუმრობთ. საშინელ რისკზე წავიდა, დონის მოშორება რომ სცადა. სხვათა შორის, ლუკას შესახებ ინფორმაცია მივიღეთ. დონზე თავდასხმის წინაღამეს მოუკლავთ ბრუნო ტატალიას კლუბში. წარმოიდგენდი?

- არ არის გასაკვირი, გამოჭერა რომ მოახერხეს, - შენიშნა მაიკლმა.

ლონგ-ბიჩში კორლეონეს ხეივნის შესასვლელს გრძელი შავი მანქანა ხერგავდა. ორი კაცი იქვე იდგა, მანქანას ზურგით მიყრდნობოდნენ. მაიკლმა შენიშნა, შესასვლელის ორივე მხარეს მდებარე სახლების ბოლო სართულის ფანჯრები ღია იყო. ღმერთო ჩემო, სონი მართლაც არ ხუმრობს.

კლემენცამ მანქანა ხეივნის გარეთ გააჩერა და გზა ფეხით განაგრძეს. მცველები კლემენცას ხალხი იყო, - მისალმების ნიშნად დაუბღვირა. მცველებმა თავი დაუქნიეს. ყველაფერი ეს უთქმელად, მცირედი გაღიმების გარეშე მოხდა. კლემენცა მაიკლსა და ტომ ჰეიგენს სახლში შეუძღვა.

კარი მანამდე გაიღო, სანამ ზარს დარეკავდნენ. აშკარა იყო, მცველი ფანჯრიდან უთვალთვალებდა. კაბინეტში შევიდნენ, სადაც სონი და ტესიო ელოდებოდნენ.

სონი უმცროს ძმასთან მივიდა, მისი თავი ხელებში მოიქცია და თითქოსდა ხუმრობით უთხრა: - მშვენიერია, მშვენიერი.

მაიკლმა ხელით მოიშორა, მაგიდასთან მივიდა, ცოტაოდენი ვისკი დაისხა და გადაკრა, იმედი ჰქონდა, ყბის ტკივილს ოდნავ მაინც დაუამებდა.

ხუთივენი თავ-თავიანთ ადგილებზე დასხდნენ, მაგრამ ატმოსფერო ძველი თათბირებისგან განსხვავებული იყო. სონი გაცილებით მხიარული და კეთილგანწყობილი ჩანდა, ვიდრე წინა შეხვედრისას. მაიკლი მიხვდა, რით იყო ეს გამოწვეული. მისმა უფროსმა ძმამ ყოველგვარი ეჭვი მოიშორა თავიდან. გადაწყვეტილება მიღებულია და ვეღარაფერი შეაცვლევინებს. წინაღამეს სოლოცოს მცდელობა ის უკანასკნელი წვეთი იყო, ფიალას რომ ავსებს. ახლა მშვიდობიან შეთანხმებაზე ლაპარაკიც კი აღარ შეიძლებოდა.

- თქვენს არყოფნაში შუამავალმა დარეკა, - თქვა სონიმ, - „თურქი“ სასწრაფოდ ითხოვს შეხვედრას, - სონიმ გაიცინა, - ნაბიჭვარს მაგარი ყვერები აქვს, - სონიმ ეს ერთგვარი გაოცებითაც კი წარმოთქვა, - გუშინ ჩაისვარა, დღეს კი შეხვედრას ითხოვს. ჩვენ კიდევ ამ დროს გულხელდაკრეფილები უნდა ვისხდეთ და ყველაფერი ვყლაპოთ, რასაც გამოაცხობს. მაგარი თავხედია, მაგის დედაც ვატირე!

- რა უპასუხე? - ფრთხილად ჰკითხა ტომმა.

სონიმ გაიღიმა.

- ვუთხარი, კი ბატონო, რატომაც არა-მეთქი. ნებისმიერ დროს, როცა იტყვის, ჩვენ არსად გვეჩქარება. ჩემი ასიოდე „შემსრულებელი“ ქალაქშია გასული. დღედაღამ ქუჩაში არიან. სოლოცომ თითიც რომ გამოყოს, უკვე დაბრედილია. ნებისმიერი დრო გვაწყობს.

- კონკრეტულად რამე წინადადება თუ აქვს?

- აქვს, - მიუგო სონიმ, - უნდა, რომ შეხვედრაზე მაიკლი გავგზავნოთ. შუამავალი მაიკლის უსაფრთხოების გარანტიას იძლევა. სოლოცო არ ითხოვს, უსაფრთხოების გარანტია მივცეთ, რადგან იცის, ამის მოთხოვნის უფლება არ აქვს. უაზრობაა. ასე რომ, შეხვედრა მის ტერიტორიაზე შედგება. მისი ხალხი მაიკლს მოლაპარაკების ადგილზე მიიყვანს. მაიკლი მოუსმენს სოლოცოს და შემდეგ გამოუშვებენ.

შეხვედრის ადგილი გასაიდუმლოებულია. გვპირდებიან, ისეთი მომხიბლავი წინადადებაა, უარს ვერ იტყვითო.

- და ტატალიას რაც შეეხება? - იკითხა ჰეიგენმა, - ბრუნოსთან დაკავშირებით რას აპირებენ?

- შეთანხმებაში ესეც შედის. შუამავალმა თქვა, ტატალიას ოჯახი მზადაა, სოლოცოსთან ერთად ბოლომდე იაროსო... ბრუნოს ამბავს დაივიწყებენ. მან ზღო ის, რაც დონს გაუკეთეს. ერთი ანეიტრალებს მეორეს, - სონიმ ისევ გაიცინა, - ნაბიჭვრები.

- უნდა მოვუსმინოთ, - ფრთხილად შენიშნა ჰეიგენმა.

სონიმ თავი გააქნია.

- არა, კონსილიორი, ამჯერად არა, - სონის ინგლისურ ნათქვამში იტალიურმა ინტონაციამ გაიჟღერა. მამას ჰბაძავდა, - არავითარი შეხვედრები. არავითარი მოლაპარაკება. არავითარი სოლოცოს ხრიკები. როცა შუამავალი დაგიკავშირდება, ერთი რაღაც გადაეცი. მე სოლოცოს თავი მჭირდება. თუ არა და, სრულმასშტაბიან ომს მიიღებენ. „ლეიბებზე გადავალთ“ და ჩვენს ხალხს ქუჩაში გავიყვანთ. საქმე იზარალებს, მაგრამ რა გაეწყობა.

- სხვა ოჯახები სრულმასშტაბიან ომს არ დაეთანხმებიან, - მიუგო ჰეიგენმა, - ეს ყველასთვის წამგებიანი იქნება.

სონიმ მხრები აიჩეჩა.

- მარტივი გამოსავალი აქვთ. სოლოცო ჩამაბარონ. არა და, კორლეონეს ოჯახს ეომონ, - სონი დადუმდა, შემდეგ უხეშად განაგრძო, - და არავითარი რჩევა აღარ მჭირდება, როგორ გამოვასწოროთ სიტუაცია. გადაწყვეტილება მიღებულია. ახლა, ტომ, ომის მოგებაში უნდა დამეხმარო. გასაგებია?

ჰეიგენმა თავი დახარა. ღრმად ჩაფიქრდა. შემდეგ სონის უთხრა: - მე ველაპარაკე შენს კაცს პოლიციის დეპარტამენტიდან. ამბობს, რომ კაპიტანი მაკ-კლასკი სოლოცოსგან ჯამაგირს მართლაც იღებს, თანაც საკმაოდ დიდ თანხას. გარდა ამისა, ნარკოტიკებით ვაჭრობიდან წილი უნდა ერგოს. მაკ-კლასკი დათანხმდა, სოლოცოს პირადი მცველი გახდეს. მის გარეშე „თურქი“ გარეთ ცხვირსაც კი აღარ ყოფს. მაიკლთან შეხვედრისას მაკ-კლასკი უთუოდ მის გვერდით იქნება. სამოქალაქო ტანსაცმელში, მაგრამ შეიარაღებული. სონი, გაიგე, ასეთი დაცვის თანხლებით სოლოცოს ხელს ვერ დააკარებ. ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, ვინმეს მოეკლას ნიუ-იორკის პოლიციის კაპიტანი და დაუსჯელი დარჩენილიყოს. ქალაქში გაჩერება შეუძლებელი გახდება, ისეთ ცეცხლს დაანთებენ გაზეთები, პოლიციის დეპარტამენტი, ეკლესიები, მოკლედ, ყველა. ეს კატასტროფა იქნება. დანარჩენი ოჯახები ამას არ გვაპატიებენ. კორლეონეს ოჯახს კანონგარეშე გამოაცხადებენ. დონის პოლიტიკური კავშირებიც კი ვერაფერს უშველის. გაითვალისწინე.

სონიმ მხრები აიჩეჩა.

- მაკ-კლასკი სოლოცოს გვერდით მუდმივად ვერ იქნება. მოვიცდით.

ტესიო და კლემენცა სიგარებს აბოლებდნენ, ხმას არ იღებდნენ, მაგრამ ოფლი კი სდიოდათ. იცოდნენ, არასწორი გადაწყვეტილება უპირველესად მათ დააზარალებდა.

საუბარში მაიკლი ჩაერია.

- მამას სახლში ვერ გადმოვიყვანთ? - ჰკითხა ჰეიგენს.

ჰეიგენმა უარის ნიშნად თავი გააქნია.

- ეს იყო პირველი, რაც ვიკითხე. შეუძლებელია. მძიმედაა. გამოძვრება, მაგრამ მიხედვა სჭირდება, შესაძლოა, ახალი ოპერაციაც კი. არა, ვერ გადმოვიყვანთ.

- ესე იგი, სოლოცო ახლავე უნდა გავისტუმროთ, - თქვა მაიკლმა, - ლოდინის უფლება არა გვაქვს. ,,თურქი" ძალზე საშიშია. ახალ იდეებზე ფიქრის დრო აღარ არის. ამ საქმის გასაღები თვით დონია. თუკი სოლოცო დონს მოიშორებს, თავის ყველა პრობლემას გადაჭრის. მან ეს კარგად იცის. მართალია, ახლა ამის გაკეთება მისთვის გაცილებით რთულია და მზადაა, კაპიტულაცია გამოაცხადოს, თუკი სანაცვლოდ სიცოცხლის შენარჩუნების გარანტიას მიიღებს, მაგრამ რადგან ფიქრობს, რომ მაინც გაასაღებენ, განა არ არის მოსალოდნელი, კიდევ ერთხელ სცადოს დონის მოკვლა? და, ვინ იცის, რა შეიძლება მოხდეს, როცა მას პოლიციის ოფიცერი ეხმარება. ვერ გავრისკავთ. სოლოცო ახლავე უნდა გავისტუმროთ.

სონი დაფიქრებული იფხანდა ნიკაპს.

- მართალი ხარ, ბიჭო, - უთხრა მაიკლს, - ათიანში გაარტყი. სოლოცოს დონზე კიდევ ერთი თავდასხმის უფლებას ვერ მივცემთ.

ჰეიგენმა ჩუმად იკითხა: - და კაპიტან მაკ-კლასკის რა ვუყოთ?

სონი მაიკლს ძლივს შესამჩნევი უცნაური ღიმილით მიუბრუნდა: - ბიჭო, რა ვუყოთ პოლიციის ოფიცერს?

- ო,კეი, - დინჯად უპასუხა მაიკლმა, - ეს ექსტრემალური ზომაა, მაგრამ არსებობს სიტუაციები, როცა ასეთი ზომები დასაშვებია. მოდი, მოვიფიქროთ, მაკ-კლასკი როგორ გავისტუმროთ. ეს ყველაფერი ისე უნდა ჩავატაროთ, რომ ყველამ გაიგოს, პოლიციის პატიოსანი ოფიცერი კი არ მოკლეს, არამედ კორუმპირებული მოხელე, რომელიც რეკეტსა და გამოძალვაში მონაწილეობდა. პრესაში ჩვენი ხალხი გვყავს და ეს ამბავი ყველა წვრილმანითა და მტკიცებულებით შეგვიძლია მივაწოდოთ, რაც საკმარისი იქნება, ყველა დარწმუნდეს, - ეს სიმართლეა. ასეთი პუბლიკაცია მღელვარებას მნიშვნელოვნად დააცხრობს. რას იტყვით?

მაიკლმა იქ მყოფებს გადახედა. ტესიო და კლემენცა დაღვრემილები ისხდნენ და ხმას არ იღებდნენ. სონიმ მაიკლს უთხრა: - მიდი, ბიჭო, გააგრძელე, ,,პირითა ჩვილთა ჭეშმარიტება ღაღადებს", როგორც დონს უყვარს ხოლმე თქმა. მიდი, ბოლომდე მიაწექი.

ჰეიგენსაც გაეღიმა, მაიკლს გადახედა. მაიკლმა თავისი ნათქვამი შეაჯამა: - მათ უნდათ, სოლოცოსთან შეხვედრაზე მივიდე. სოლოცოს გარდა, იქნება მაკ-კლასკი. შეხვედრა ორი დღის შემდეგ დაანიშვნინე, მერე კი ჩვენი ინფორმატორების

მეშვეობით გაიგე, სად აპირებს შეხვედრას. გადაჭრით უთხარი, რომ ეს უნდა იყოს საზოგადოებრივი ადგილი, კერძო ბინაში ან სახლში არ წავყვები. შეარჩიონ რომელიმე რესტორანი ან ბარი, სადილობის პერიოდი, თავი უსაფრთხოდ რომ ვიგრძნო. ისინიც თავს უსაფრთხოდ იგრძნობენ. სოლოცოც კი ვერ წარმოიდგენს, რომ პოლიციის კაპიტნის ჩაცხრილვას გავბედავთ. აუცილებლად გამჩხრეკენ, ამიტომ თავიდან იარაღი არ უნდა მქონდეს, მაგრამ იფიქრეთ იმაზე, როგორ შეიძლება მოლაპარაკების დროს გადმომცეთ... და მაშინ ორივეს გავათავებ.

ყველა მაიკლს მიაჩერდა. კლემენცა და ტესიო გაშტერებულები უყურებდნენ. ჰეიგენს, ცოტა არ იყოს, სევდიანი გამომეტყველება ჰქონდა, მაგრამ გაოცება არ დასტყობია. რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ ბოლო წამს გადაიფიქრა. სონის მძიმე, კუპიდონისებური სახე სიხარულისგან დაემანჭა, ხმამაღლა გადაიხარხარა. ეს გულიდან ამოსული სიცილი გახლდათ. მაიკლისკენ თითი გაიშვირა, სიცილ-სიცილით ალაპარაკდა: - შენ, კოლეჯის წარჩინებულ სტუდენტს, რომელიც ოჯახის საქმეებში არასოდეს გარეულხარ, ახლა პოლიციის ოფიცერი და „თურქი“ მხოლოდ იმიტომ გინდა დაბრიდო, რომ მაკ-კლასკიმ ყბა მოგინგრია. შენ ამას იღებ, როგორც პირად საქმეს, არადა ეს ხომ ბიზნესია. იმ ორი ტიპის გასაღებას აპირებ, რადგან სიფათში გხიეს. ყველაფერი ტუფტა ყოფილა. მთელი შენი ბაზარი ტუფტა ყოფილა.

კლემენცა და ტესიო ვერაფერს მიხვდნენ, ეგონათ, სონი მასხრად იგდებს უმცროსი ძმის ბაქიბუქობას, ასეთი რაღაცის გამკეთებელი ვარო. იღიმებოდნენ და მაიკლს, ცოტა არ იყოს, ზემოდან უყურებდნენ. მხოლოდ ჰეიგენი ინარჩუნებდა სიმშვიდეს, წარბიც არ შეუხრია.

მაიკლმა სათითაოდ შეავლო თვალი იქ მყოფთ, შემდეგ კი სონის შეხედა, ისევ რომ იცინოდა.

- შენ გაათავებ ორივეს? - განაგრძო სონიმ, - ჰეი, ბიჭო, მედლებს კი აღარ ჩამოგკიდებენ, ელექტროსკამზე დაგაბრძანებენ. ხვდები ამას? ეს გმირების გასაკეთებელი საქმე არ არის, აქ ერთი მილის სიშორიდან არ ესვრიან ადამიანს. იმათ თვალებს ხედავ, ვისაც ესვრი. მათ გვერდით უნდა იდგე, თავი უნდა აუფეთქო და მათი ტვინი შენს კოპწია სტუდენტურ ფორმაზე გადმოასხამს. ამაზე რას იტყვი, ბიჭო, მაინც გინდა ამის გაკეთება, მხოლოდ იმიტომ, რომ ვიღაც რეგვენმა პოლიციელმა სიფათში გხია?

სონი სიცილს განაგრძობდა. მაიკლი წამოდგა.

- გირჩევნია, გაჩუმდე, - თქვა მან.

მასში მომხდარი ცვლილება იმდენად თვალში საცემი იყო, რომ კლემენცასა და ტესიოს ღიმილი სახეზე შეეყინათ. მაიკლი არ იყო მაღალი ან მკვრივად ნაგები, მაგრამ მისი თანდასწრებით ისეთი გრძნობა უჩნდებოდა კაცს, თითქოს საფრთხეს ასხივებსო. იმწამს იგი თვით დონ კორლეონეს განსახიერება იყო. თვალები გაუცივდა, სახე გაუფერმკრთალდა. შეიძლებოდა, გეფიქრა, ცოტაც და, თავის უფროსსა და ფიზიკურად გაცილებით ძლიერ ძმას ყელში ეცემაო. მაიკლს ხელში იარაღი რომ ჰქონოდა, სონის საფრთხე ნამდვილად დაემუქრებოდა. სონიმ სიცილი შეწყვიტა. მაიკლმა ყინულივით ცივი ხმით ჰკითხა: - შენ გგონია, ნაბიჭვარო, ამას ვერ გავაკეთებ?

სონი, როგორც იქნა, მოერია სიცილს.

- ვიცი, შეგიძლია ამის გაკეთება, - თქვა მან, - იმაზე კი არ ვიცინოდი, რაც თქვი. უბრალოდ იმაზე, როგორ უცნაურად შეტრიალდა ყველაფერი. ყოველთვის ვამბობდი, შენ ყველაზე მაგარი ხარ ოჯახში, დონზეც კი უფრო მაგარი. მარტო შენ შეგეძლო, მის წინაშე ქედი არ მოგეხარა. პატარაობაში მახსოვხარ. როგორი ტემპერამენტი გქონდა! არ მეპუებოდი, არადა შენზე ბევრად უფროსი ვიყავი. ფრედი იძულებული იყო, კვირაში ერთხელ მაინც ეცემე. ახლა სოლოცოს ჰგონია, ოჯახის ყველაზე სუსტ წერტილს შენ წარმოადგენ, რადგან მაკ-კლასკის ხელი არ შეუბრუნე და კიდევ იმიტომ, რომ ოჯახების ომში ჩარევა არ გინდა. ჰგონია, შენთან პირისპირ შეხვედრისას არაფერი ემუქრება. მაკ-კლასკისაც ფარჩაკი ჰგონიხარ.

სონიმ პაუზა გააკეთა და შემდეგ თითქმის ნაზად განაგრძო: - მაგრამ შენ ხომ კორლეონე ხარ, ერთადერთი მე ვიყავი აქ, ვისაც ეს ახსოვდა. მამაზე თავდასხმის შემდეგ სამი დღეა ველოდები, ბოლოს და ბოლოს, როდის ჩამოიხსნი სამაგალითო სტუდენტის, ომის გმირის ამ ბრიყვულ ნიღაბს. ველოდები, რომ ჩემი მარჯვენა ხელი გახდები და ერთად ჩავაძაღლებთ მაგ ნაბიჭვრებს, მამაჩვენისა და ჩვენი ოჯახის განადგურება რომ უნდათ. და თურმე ამისთვის ყბაში ერთი დარტყმა ყოფილა საჭირო. როგორ მოგწონთ? - სონიმ ხუმრობით მუშტი ჰაერში აიქნია და გაიმეორა, - როგორ მოგწონთ?

ოთახში დაძაბულობამ იკლო. მაიკლმა თავი გააქნია.

- სონი, მე ამას ვაკეთებ იმიტომ, რომ ეს არის ერთადერთი, რაც ახლა უნდა გავაკეთოთ. მე სოლოცოს მეორე შანსს ვერ მივცემ, მამას ესროლოს. ეტყობა, ერთადერთი ვარ, ვისაც შეუძლია, მას მიუახლოვდეს. ყველაფერი კარგად ავწონ-დავწონე. ეჭვი მეპარება, ვინმე იშოვო ჩემ გარდა, ვინც პოლიციის კაპიტანს გაისტუმრებს. შესაძლოა, შენ თვითონ გაგეკეთებინა ეს, მაგრამ ცოლ-შვილი გყავს და საოჯახო ბიზნესს უნდა მიხედო, სანამ მამა ფეხზე წამოდგება. ვრჩებით მე და ფრედი, მაგრამ ფრედი შოკშია და ვერაფერს იზამს. ვრჩები მე. ელემენტარული ლოგიკაა და ყბაში დარტყმა არაფერ შუაშია.

სონი ადგა, მაიკლთან მივიდა და გადაეხვია.

- მოტივები არ მაინტერესებს, მთავარია, ჩვენთან ხარ. და კიდევ ერთ რამეს გეტყვი: ყველაფერში მართალი ხარ. რას იტყვი, ტომ?

ჰეიგენმა მხრები აიჩეჩა: - დამაჯერებელი არგუმენტაციაა. გარდა ამისა, სოლოცოს გულწრფელობაში ეჭვი მეპარება, თითქოსდა ჩვენთან შეთანხმება უნდოდეს. ვფიქრობ, კიდევ ერთხელ ეცდება დონის მოშორებას. ამიტომ სოლოცოს უნდა დავასწროთ. ეს უნდა გავაკეთოთ, თუნდაც ამისთვის პოლიციის კაპიტნის გასტუმრება დაგვჭირდეს, მაგრამ ვინც ამას გააკეთებს, ძალიან მძიმე სიტუაციაში აღმოჩნდება. რამდენად აუცილებელია, რომ ეს კაცი მაიკლი იყოს?

სონიმ დინჯად თქვა: - მე შემიძლია ამის გაკეთება.

ჰეიგენმა მოუთმენლად გაიქნია თავი: - სოლოცო, ერთის მაგივრად პოლიციის ათი კაპიტანიც რომ ჰყავდეს, კილომეტრზეც არ მიგიშვებს. გარდა ამისა, შენ ოჯახისთავის მოვალეობას ასრულებ და რისკის უფლება არა გაქვს.

ჰეიგენმა პაუზა გააკეთა და შემდეგ კლემენცასა და ტესიოს მიმართა: - შეუძლია თქვენს ერთ-ერთ „შემსრულებელს“, რომელიმე მაგარ პროფესიონალს, ამის გაკეთება? სიცოცხლის ბოლომდე ფულზე ზრუნვა აღარ დასჭირდება.

კლემენცამ პირველმა უპასუხა: - სოლოცო ჩემს ხალხს იცნობს და მაშინვე მოწვავს, რაშიცაა საქმე. ასევე იქნება, თუკი თვითონ მე ან ტესიო მივალთ.

- იქნებ, ახლებიდან გყავთ ვინმე შესაფერისი?

ორივე კაპორეჟიმემ უარის ნიშნად თავი გააქნია. ტესიომ ღიმილით თქვა: - ეგ იგივეა, ახალგაზრდული გუნდიდან ბიჭი აიყვანო და კალათბურთის მსოფლიო ჩემპიონატზე ცენტრის მოთამაშედ ჩასვა.

საუბარში სონი ჩაერია.

- ეს უნდა გააკეთოს მაიკლმა, საამისოდ მილიონი მიზეზი არსებობს. მთავარი კი ის არის, რომ ჰგონიათ, მაიკლი ფარჩაკია, მაგრამ მას შეუძლია ამის გაკეთება, გარანტიას გაძლევთ. ამას ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან მხოლოდ მაიკლის ნასროლი მისწვდება იმ ნაბიჭვარ „თურქს“. ახლა უნდა მოვიფიქროთ, როგორ დავეხმაროთ მაიკლს. ტომ, კლემენცა, ტესიო, გაიგეთ, სად აპირებს სოლოცო მაიკლთან შეხვედრას. ამის გაგება რა დაჯდება, არ მაინტერესებს. თუკი ამას გავიგებთ, მოვიფიქრებთ, როგორ გადავცეთ იარაღი. კლემენცა, შეურჩიე ყველაზე „უსაფრთხო“ იარაღი შენი კოლექციიდან, ყველაზე „ცივი“, რომლის კვალს ვერაფრით მიაგნებენ. იყოს მძლავრი, ჰქონდეს მოკლე ლულა. არ არის აუცილებელი, ძალიან ზუსტი იყოს. მაიკლი უშუალოდ მათ წინ იქნება, როცა მას გამოიყენებს. მაიკლ, მაშინვე დააგდე იარაღი, როგორც კი ესვრი. ხელში არ უნდა გქონდეს, თუკი დაგიჭერენ. კლემენცა, იარაღს წაუსვით ნივთიერება, რომელზეც თითის ანაბეჭდი არა რჩება. გახსოვდეს, მაიკლ, ჩვენ შეგვიძლია, ყველაფერი ჩავაწყოთ, - მოწმეებიც და ასე შემდეგ, მაგრამ თუკი იარაღით ხელში დაგიჭერენ, ვეღარაფერს გავხდებით. ტრანსპორტსა და საიმედო თავშესაფარს მოგიმზადებთ და ხანგრძლივ სასიამოვნო შვებულებაში გაგიშვებთ, სანამ აქ სიტუაცია არ დალაგდება. დიდი ხნით მოგიწევს გამგზავრება. არ მინდა, შენს მეგობარ გოგოს დაემშვიდობო ან, თუნდაც, უბრალოდ დაურეკო. როდესაც უკვე დატოვებ ქვეყნის ფარგლებს, გადავცემ, რომ ცოცხალი ხარ, ო,კეი? ეს ბრძანებაა.

სონიმ ძმას გაუღიმა.

- ახლა დარჩი კლემენცასთან და ნახე იარაღი, რომელსაც შეგირჩევს. იქნებ, ცოტა წაივარჯიშო კიდეც. დანარჩენზე ჩვენ ვიზრუნებთ. ყველაფერზე. ო,კეი, ბიჭო?

მაიკლ კორლეონემ მთელ სხეულში ისევ იგრძნო სასიამოვნო სიგრილე. ძმას უთხრა: - არ უნდა გეთქვა, შენს მეგობარ გოგოს არ დაელაპარაკოო. ამის დედაც ვატირე, რა გგონია, რას ვაპირებდი, დავურეკავდი და ვეტყოდი, - კარგად იყავი, მივემგზავრები-მეთქი?

სონიმ მოთმინებით აუხსნა: - ო,კეი, მაგრამ შენ ამ საქმეში ახალბედა ხარ, ჰოდა, უბრალოდ აგიხსენი რაღაც-რაღაცები. მოდი, დავივიწყოთ.

მაიკლს გაეღიმა; - რას გულისხმობ „ახალბედაში“? მამას შენსავით ყურადღებით ვუსმენდი. როგორ გგონია, რატომ გამოვედი ასეთი ჭკვიანი?

ყველას გაეცინა. ჰეიგენმა ჭიქები შეავსო. ოდნავ სევდიანი ჩანდა. პოლიტიკოსი იძულებულია, ომობდეს, ადვოკატი - სჯიდეს.

- ყოველ შემთხვევაში, ახლა ვიცით, რა უნდა გავაკეთოთ, - თქვა მან.

თავი მეთერთმეტე

კაპიტანი მარკ მაკ-კლასკი თავის კაბინეტში იჯდა, ხელში სამი კონვერტი ეჭირა, რომლებშიც სამორინეს ჟეტონები იყო ჩაწყობილი. კაპიტანი ჟეტონებზე გაკეთებული აღნიშვნების გაშიფვრას შუბლშეჭმუხნილი ცდილობდა. ეს ძალზე მნიშვნელოვანი იყო. ამ ჟეტონების კონფისკაცია პოლიციამ წინა ღამით კორლეონეს ოჯახის კუთვნილ ერთ-ერთ სამორინეში მოახდინა. ახლა სამორინეს მფლობელი იძულებული იქნება ჟეტონები გამოისყიდოს.

კაპიტან მაკ-კლასკისთვის ძალზე მნიშვნელოვანი, იყო ზუსტად განესაზღვრა, რა თანხას აღნიშნავდა თითოეული ჟეტონი, - არ უნდოდა შეცდომა დაეშვა და ფული დაეკარგა. თუკი ისინი ორმოცდაათი ათასზე იყო, მაშინ შესაძლოა, ხუთი ათასი მოითხოვოს, მაგრამ თუკი თანხა გაცილებით დიდია, - ასი ათასი ან, სულაც, ორასი ათასი, - მაშინ გამოსასყიდი გაცილებით მეტი უნდა იყოს. მაკ-კლასკიმ კონვერტები ერთი ხელიდან მეორეში გადაიტანა და გადაწყვიტა მოეცადა, სანამ სამორინეს მფლობელი ფასს თვითონ არ შესთავაზებდა. ეს ჟეტონების ნამდვილ ღირებულებაზე მინიშნებას მისცემს.

მაკ-კლასკიმ კედლის საათს ახედა. უკვე დროა, იმ ბღენძ „თურქს“, სოლოცოს, გაუაროს და გაჰყვეს იქ, სადაც კორლეონეს ოჯახთან შეხვედრას გეგმავს. მაკ-კლასკი კედლის კარადასთან მივიდა და სამოქალაქო ტანსაცმლის ჩაცმა დაიწყო. როდესაც დაასრულა, შინ დარეკა, ცოლს უთხრა, რომ საღამოს სამსახურში საქმე აქვს და სავახშმოდ არ მივა. ცოლს თავის საქმეებზე არასოდეს არაფერს უყვებოდა. ისიც დარწმუნებული იყო, რომ ხელფასზე ცხოვრობდნენ. მაკ-კლასკიმ კმაყოფილმა ჩაიცინა. დედამისიც ასე ფიქრობდა, არადა მან ყველაფერი ჯერ კიდევ ადრეულ ასაკში შეიტყო. პროფესიულ საიდუმლოებებს მამამ აზიარა.

მამამისი პოლიციის სერჟანტი გახლდათ, ყოველ კვირას მამა-შვილი უბანს ჩამოუვლიდა ხოლმე. უფროსი მაკ-კლასკი თავის ექვსი წლის ვაჟიშვილს მაღაზია-დუქნების მფლობელებს წარუდგენდა და ეუბნებოდა: „ეს ჩემი პატარა ბიჭია“.

ისინიც ხელს ართმევდნენ, თავზე ხელს უსვამდნენ, ეფერებოდნენ, შემდეგ კი წკრიალით ხსნიდნენ სალარო-აპარატებს და ჩუქნიდნენ ვინ ხუთსა და ვინ ათ დოლარს. საღამოს პატარა მაკ-კლასკის ჯიბეები გამოტენილი ჰქონდა ქაღალდის ფულით, თვითონ კი უაღრესად ამაყი იყო, რომ მამამისის მეგობრებს ისე უყვართ, ყოველ დანახვაზე ფულს ჩუქნიან. მამამისი ფულს ბანკში, მის სამომავლო განათლებაზე დებდა, ხელზე კი ორმოცდაათცენტიანს აძლევდა.

როდესაც შინ ბრუნდებოდა და პოლიციელი ბიძები ეკითხებოდნენ, ვინ უნდა გამოვიდეს, როცა გაიზრდება, უყოყმანოდ უპასუხებდა: „პოლიციელი“. ისინიც სიცილით იხოცებოდნენ და, რა გასაკვირია, როცა დრომ მოუწია, პირდაპირ პოლიციელთა კურსებს მიაშურა, მიუხედავად იმისა, რომ მამა კოლეჯში ჩაბარებას ურჩევდა.

კარგი პოლიციელი გამოვიდა, გაბედული და პატიოსანი. მის დანახვაზე ხულიგნები, რომლებიც მთელ კვარტალს შიშის ზარს სცემდნენ, თავქუდმოგლეჯილები გარბოდნენ, ბოლოს კი მისი რაიონიდან საერთოდ იკარგებოდნენ. მაკ-კლასკი მეტად მკაცრი, მაგრამ პატიოსანი პოლიციელი გახლდათ. მას არასოდეს მიჰყავდა ვაჟი, როდესაც ადგილობრივი დუქან-მაღაზიების შემოვლაზე მიდიოდა, და ფულს იღებდა იმაში, რომ თვალს ხუჭავდა, ვთქვათ, ნაგვის გატანის თუ მანქანის გაჩერების წესების წვრილმან დარღვევებზე. ფულს თავისი ხელით იღებდა, რადგან მიაჩნდა, რომ სავსებით დაიმსახურა. როდესაც პატრულში იყო, კინოსა თუ რესტორანში არასოდეს მჯდარა, როგორც ამას სხვები აკეთებდნენ. ზედმიწევნით აკურატულად აკეთებდა შემოვლას. მოვაჭრეები საიმედოდ იყვნენ დაცულნი. როდესაც მის რაიონში ბოვერიდან ლოთები შებორიალდებოდნენ ხოლმე, ისე გაყრიდა, მეტად აღარც გაჭაჭანდებოდნენ. რაიონის მოვაჭრეები მაკ-კლასკის მეტად აფასებდნენ და პატივისცემას საქმით გამოხატავდნენ.

მაკ-კლასკი, ასევე, სისტემას სცემდა პატივს. მის რაიონში სამორინეების მეპატრონეებმა იცოდნენ, რომ არასოდეს მოითხოვდა იმაზე მეტს, ვიდრე დადგენილი იყო, ყოველთვის სჯერდებოდა კუთვნილ წილს. არასოდეს მოუთხოვია დამატებითი გადასახადი. პატიოსანი პოლიციელი გახლდათ, მხოლოდ იმას იღებდა, რაც ეკუთვნოდა, ამიტომ მისი კარიერული წინსვლა პოლიციის დეპარტამენტში სტაბილური გახლდათ, რომ არაფერი ვთქვათ, შთამბეჭდაობაზე.

დიდი ოჯახი ჰყავდა კმაყოფაზე. მისი ოთხი ვაჟიშვილიდან პოლიციელი არც ერთი არ გამხდარა. ყველა ფორდჰაიმის უნივერსიტეტში სწავლობდა და იმ პერიოდში, როდესაც მაკ-კლასკი სერჟანტობიდან ჯერ ლეიტენანტად, შემდეგ კი კაპიტნად დააწინაურეს, მათ არაფერი მოჰკლებიათ. სწორედ იმ დროს შეიძინა მან გადასახადების უმოწყალო ამკრების რეპუტაცია. სამორინეების მფლობელები მის რაიონში უფრო მეტს იხდიდნენ, ვიდრე მათი კოლეგები ქალაქის სხვა რაიონებში, მაგრამ რა გაეწყობოდა, ოთხ ახალგაზრდას უმაღლესი განათლება ხომ უნდა მიეღო.

მაკ-კლასკის აზრით, „სუფთა“ ქრთამის აღებაში ცუდი არაფერი იყო. რატომ უნდა სწავლობდნენ მისი შვილები იაფფასიან ადგილობრივ კოლეჯში, ანდა გაემგზავრონ სამხრეთში, ყველასთვის უცნობ უნივერსიტეტში, მხოლოდ იმიტომ, რომ პოლიციის დეპარტამენტი თავის ხალხს საკმარისად არ უხდის, ოჯახის ადამიანურად შენახვა რომ შეძლონ? რისკზე მიდის, ქალაქის მოსახლეობას იცავს, მის პირად საქმეში არაერთი ჩანაწერია, როგორ ესროდნენ მას შეიარაღებული მძარცველები, შანტაჟისტები თუ სუტენიორები, მაგრამ მაკ-კლასკიმ ყველანი მიწაში ჩააჭედა. თავდაუზოგავად იცავდა ქალაქის ამ პატარა კუთხეს და იმსახურებდა გაცილებით მეტს, ვიდრე ერთ საცოდავ ასდოლარიანს კვირაში. არასოდეს წუწუნებდა დაბალი ხელფასის გამო. მიხვდა, ყველამ თვითონ უნდა მიხედოს თავს.

ბრუნო ტატალია მისი ძველი მეგობარი გახლდათ. მის ვაჟთან ერთად სწავლობდა უნივერსიტეტში, შემდეგ კი ღამის კლუბი გახსნა და, როდესაც მაკ-კლასკის ოჯახი გადაწყვეტდა, ქალაქში დრო გაეტარებინა, რაც არცთუ ხშირად ხდებოდა, მისი კაბარე და სასმელები მათ სრულ განკარგულებაში იყო, - კლუბის ხარჯზე. ახალი წლის წინ კლუბის ხელმძღვანელობისგან მიწვევას იღებდა. მათ ერთ-ერთ საუკეთესო მაგიდასთან სვამდნენ. ბრუნო ზრუნავდა იმაზეც, რომ მისთვის წარედგინა ცნობილი პირები, რომლებიც კლუბს სტუმრობდნენ - მომღერლები და ჰოლივუდის ვარსკვლავები. რაღა თქმა უნდა, დროდადრო პატარა სამსახურს სთხოვდა. როგორც წესი, ეს იყო კარგი დახასიათება, სუფთა ჩანაწერი პირად საქმეში, რომლის გარეშეც შეუძლებელი იყო სამუშაოზე მოწყობა. მაკ-კლასკი ყოველთვის სიამოვნებით ეხმარებოდა.

მაკ-კლასკი ცდილობდა არასოდეს ეჩვენებინა, რომ ხვდება, რა განზრახვა აქვს იმას, ვინც დახმარებას სთხოვს. როდესაც სოლოცომ სთხოვა, კორლეონე საავადმყოფოში დაცვის გარეშე დატოვეო, არ უკითხავს, რატომ უნდოდა ეს. ფასი ჰკითხა. როდესაც სოლოცომ უთხრა: „ათი ათასი“, უკვე იცოდა, რატომ სთხოვდა ამას და წამითაც არ შეყოყმანებულა. კორლეონე ქვეყანაში მაფიის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ბოსი გახლდათ, რომელსაც გაცილებით მეტი პოლიტიკური კავშირები ჰქონდა, ვიდრე თვით ალ კაპონეს. მისი მოშორება ქვეყნისთვის სიკეთე იქნებოდა. მაკ-კლასკიმ ფული წინასწარ აიღო და საქმეც გააკეთა.

როდესაც სოლოცომ მაკ-კლასკის ტელეფონით შეატყობინა, რომ საავადმყოფოს შესასვლელთან კორლეონეს ორი კაცი კვლავაც დგასო, პოლიციის კაპიტანი გაცოფდა. მან ხომ ტესიოს ხალხი უკლებლივ დააკავა, კორლეონეს პალატასთან მყოფი თავისი დეტექტივები კი გაუშვა და, რადგანაც მაკ-კლასკი პრინციპული კაცი გახლდათ, ახლა იმ ათი ათასის დაბრუნება მოუწევდა, რომელიც უკვე აიღო და შვილიშვილების განათლებისთვის კიდეც გადადო. მართლა ცოფებს ყრიდა, როცა საავადმყოფოში მივიდა და იქ მაიკლ კორლეონე დახვდა.

მაგრამ მისთვის ყველაფერი მაინც სასიკეთოდ მოტრიალდა. მაკ-კლასკი სოლოცოს ტატალიას კლუბში შეხვდა და კიდევ უფრო სარფიანი შეთანხმება დაუდო. ახლაც არაფერი უკითხავს, - პასუხი წინასწარ იცოდა. ფასიც კიდევ ერთხელ განსაზღვრეს. მაკ-კლასკის წამითაც არ დაუშვია, რომ შეიძლებოდა საფრთხე დამუქრებოდა. ვერ წარმოიდგენდა, თუ ვიღაცას ნიუ-იორკის პოლიციის კაპიტნის მოკვლა მოუვიდოდა აზრად. ყველაზე მაგარი მაფიოზიც კი მორჩილად ითმენდა, პატრულის რიგითი პოლიციელი სილას როცა შემოარტყამდა. პოლიციელის მოკვლაში აბსოლუტურად არანაირი ხეირი არ იყო, რადგან ამის შემდეგ მაფიის წევრები ერთიმეორის მიყოლებით იხოცებოდნენ: ზოგიერთი პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევისას, ზოგიც - გაქცევის მცდელობისას და განა ვინ დაიწყებდა გარკვევას, სინამდვილეში რა მოხდა ან როგორ?

მაკ-კლასკიმ ამოიოხრა და პოლიციის შენობიდან გამოვიდა. პრობლემები, გაუთავებელი პრობლემები. ირლანდიაში ცოლისდა გარდაეცვალა. კიბოს მრავალი წელი ებრძოდა და მაკ-კლასკის მისი ავადმყოფობა გვარიანი თანხა დაუჯდა. ახლა დასაფლავებისთვის ექნება ფული გასაგზავნი. მის საკუთარ დეიდებსა და ბიძებს, რომლებიც ასევე ირლანდიაში, მის ძირძველ სამშობლოში ცხოვრობდნენ, კარტოფილის ნათესების შესანახად ფული სჭირდებოდათ და მათაც უგზავნიდა. ამ

მხრივ, ხელმოჭერილი სულაც არ ეთქმოდა. როდესაც ცოლთან ერთად ირლანდიაში სტუმრად ჩავიდა, მეფურად მიიღეს. ომი დასრულდა და, დამატებითი ფულის წყალობით, თავს შეიძლება უფლება მისცენ, რომ ზაფხულში თავიანთ ძველ სამშობლოში კიდევ ერთხელ იმოგზაურონ. მაკ-კლასკიმ პოლიციის კლერკს დაუბარა, სად შეიძლებოდა მისი მოძებნა. ერთი წამითაც არ უფიქრია, რომ უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომების მიღება იყო საჭირო. ყოველთვის შეეძლო ეთქვა, რომ სოლოცო მისი ინფორმატორია და მასთან შესახვედრად მიდის. მაკ-კლასკი ქუჩაში გამოვიდა, რაღაც მანძილი ფეხით გაიარა, შემდეგ ტაქსი გააჩერა და სოლოცოსთან წავიდა.

ტომ ჰეიგენს ყველაფერი უნდა მოეგვარებინა, რაც მაიკლის ქვეყნიდან გასამგზავრებლად იყო აუცილებელი: ეშოვა ყალბი პასპორტი, მეზღვაურის პირადობის მოწმობა, ადგილი იტალიურ სატვირთო გემზე, რომელიც სიცილიაში მიცურავდა. იმავე დღეს სიცილიაში თვითმფრინავით გაგზავნეს ემისრები, რომლებსაც, ადგილობრივი მაფიის ბოსის დახმარებით, მაიკლისთვის მთებში თავშესაფარი უნდა მოემზადებინათ.

სონიმ იზრუნა ავტომობილსა და სავსებით სანდო მძღოლზე, რომელიც მაიკლს იმ რესტორანთან უნდა დალოდებოდა, სადაც შეხვედრა გაიმართებოდა. მძღოლობის სურვილი თვით ტესიომ გამოთქვა. ერთი შეხედვით, მანქანა შელახული გახლდათ, მაგრამ ახალთახალი ძრავა ჰქონდა, ნომრები, რაღა თქმა უნდა, ყალბი. მანქანის პატრონის მიგნება სრულიად შეუძლებელი იქნებოდა. ამ მანქანას არ ხმარობდნენ, სწორედ ასეთი განსაკუთრებული შემთხვევისათვის ინახავდნენ.

მაიკლმა მთელი დღე კლემენცასთან გაატარა - მან იარაღი შეურჩია და სროლაში ავარჯიშებდა. ეს 22-კალიბრიანი მომცრო რევოლვერი იყო. სპეციალური, რბილთავიანი ტყვიები ჰქონდა, სხეულში მოხვედრისას ქინძისთავისხელა ნახვრეტი რჩებოდა, გამოსვლისას კი უზარმაზარი დაგლეჯილი ჭრილობა. მაიკლი დარწმუნდა, რევოლვერი მიზანში ზუსტად მხოლოდ ხუთიოდე ნაბიჯზე ისროდა, თანაც სასხლეტი მძიმედ მოძრაობდა, მაგრამ კლემენცამ გაქლიბა და გამოასწორა. გადაწყვიტეს, მაყუჩი არ ეხმარათ. ჯობდა, ყველა მაშინვე მიმხვდარიყო, რა ხდება, თორემ რესტორნის რომელიმე სტუმარი შეიძლება სიტუაციაში უცებ ვერ გარკვეულიყო და ჩარევა ეცადა. გასროლის ხმა კი მაიკლთან მისვლის სურვილს გაუქრობდა.

კლემენცა მაიკლის დარიგებას აგრძელებდა.

- როგორც კი იარაღს იხმარ, მაშინვე დააგდე. უბრალოდ, ხელი გაუშვი, იატაკზე რომ დავარდეს. ამას ვერ შენიშნავენ და ეგონებათ, ისევ შეიარაღებული ხარ. შენს სახეს იქნებიან მოჩერებულნი. რაც შეგიძლია სწრაფად წამოდი, მაგრამ ნუ გამოიქცევი. თვალებში არავის შეხედო, მაგრამ თავსაც ნუ მიატრიალებ. გახსოვდეს, შენი შიში ექნებათ... შეეშინდებათ შენი, მერწმუნე. ქუჩაში მანქანა დაგელოდება, საჭესთან - ტესიო. მანქანაში შეხტები და დანარჩენი უკვე თვითონ იცის. რაიმე მოულოდნელობაზე ნუ იფიქრებ. ნახავ, ეგეთი საქმეები რა სწრაფად კეთდება. ახლა ეს შლაპა დაიხურე, ვნახოთ ერთი, როგორ გამოიყურები.

კლემენცამ ნაცრისფერი ფეტრის შლაპა გაუწოდა. მაიკლი ასეთ ქუდს არასოდეს ატარებდა, ამიტომ უკმაყოფილოდ დაიჯღანა, მაგრამ კლემენცამ დაარწმუნა: - ეს შენს

ამოცნობას ხელს შეუშლის. თითის ანაბეჭდებზე ნუ ინაღვლებ. სახელური და სასხლეტი სპეციალური ლენტით იქნება დაფარული. იარაღის სხვა ნაწილს არ შეეხო. დაიმახსოვრე.

- სონიმ უკვე გაიგო, სოლოცო სად წამიყვანს? - იკითხა მაიკლმა.

კლემენცამ მხრები აიჩეჩა.

- ჯერ არა. სოლოცო მეტისმეტად ფრთხილობს, მაგრამ არ ინერვიულო, ხელს არ გახლებს. შუამავალი ჩვენთან იქნება, სანამ არ დაბრუნდები. თუკი რაღაც მოხდა, პასუხს საკუთარი ტყავით აგებს.

- და თავისი ნებით ყულფში თავს რატომ ყოფს? - იკითხა მაიკლმა.

- დიდ ფულს იღებს, - მიუგო კლემენცამ, - თითქმის მთელ კაპიტალს. გარდა ამისა, ოჯახებისათვის მნიშვნელოვანი კაცია. სოლოცო ვერ დაუშვებს, რაიმე დაემართოს. ასე რომ, არავითარი საფრთხე არ გემუქრება. ეს ჯოჯოხეთი მოგვიანებით ჩვენ დაგვატყდება თავს.

- მართლა ძალიან მძიმე სიტუაცია იქნება? - იკითხა მაიკლმა.

- ძალიან მძიმე, - დაუდასტურა კლემენცამ, - მივიღებთ სრულმასშტაბიან ომს კორლეონესა და ტატალიას ოჯახებს შორის. დანარჩენი ოჯახები ტატალიას დაუჭერენ მხარს. ამ ზამთარს სანიტარიულ დეპარტამენტს ბლომად გვამების გატანა მოუწევს, - კლემენცამ მხრები აიჩეჩა, - ასეთი რამ, დაახლოებით, ათ წელიწადში ერთხელ ხდება. დაშმორებული სისხლის გამოშვებასავითაა. ოღონდ, თუკი მცირედს დავუთმობთ, ყველაფრის ხელში ჩაგდებას მოინდომებენ. დასაწყისშივე უნდა გავაჩეროთ. ზუსტად ისე, როგორც ჰიტლერი უნდა გაეჩერებინათ ჯერ კიდევ მიუნხენში, თუკი არ უნდოდათ მიეღოთ ის, რაც მიიღეს.

მაიკლს გაახსენდა, მამამისი ზუსტად ამას ამბობდა ჯერ კიდევ 1939 წელს, ომის დაწყებამდე. „სახელმწიფო დეპარტამენტს ოჯახები რომ მართავდნენ, მეორე მსოფლიო ომი, უბრალოდ, არ მოხდებოდა“, - გაიფიქრა მაიკლმა ღიმილით.

მაიკლი და კლემენცა კორლეონეს ხეივანში მანქანით დაბრუნდნენ, - დონის სახლში, სადაც სონის შტაბი ჰქონდა გამართული. მაიკლს აინტერესებდა, რამდენ ხანს გაძლებდა სონი ხეივნის უსაფრთხო ტერიტორიიდან გამოუსვლელად. ბოლოს და ბოლოს, ხომ მოუწევს გასვლა? სონი დივანზე მთვლემარე დახვდათ. საჟურნალე მაგიდა მისი ვახშმის ნარჩენებით იყო მოფენილი, - ბიფშტექსის ნაგლეჯი, პურის ნამცეცები, ვისკის ნახევრად ცარიელი ბოთლი.

დონ კორლეონეს კაბინეტი ყოველთვის სუფთა და მოწესრიგებული გახლდათ, ახლა კი იაფფასიანი სასტუმროს ნომერს დამსგავსებოდა. მაიკლმა უფროსი ძმა გააღვიძა და უთხრა: - აღარ მოგწყინდა ნაგავში ცხოვრება, ოთახს რატომ არ ალაგებინებ?

სონიმ დაამთქნარა: - რა ჯანდაბა გინდა? ყაზარმას ამოწმებ თუ რა? რა დროს ეგ არის. ჯერაც ვერ გავიგეთ, ის ნაბიჭვარი სოლოცო სად გიპირებს წაყვანას და, თუკი ვერ გავიგებთ, იარაღს როგორღა გადმოგცემთ?

- თან რომ მქონდეს? - იკითხა მაიკლმა, - იქნებ, არც გამჩხრიკონ, თუნდაც გამჩხრიკონ და მიპოვონ, უბრალოდ, წამართმევენ და ეგ იქნება.

სონიმ თავი გააქნია.

- არა, - თქვა მან, - სოლოცოზე დარტყმა ასპროცენტიანი უნდა იყოს. დაიმახსოვრე, ჯერ სოლოცო უნდა გაასაღო, თუკი ეს შესაძლებელი იქნება. მაკ-კლასკი უფრო ნელიცაა და უფრო ჩლუნგიც. მის დასაბრედად უამრავი დრო გექნება. კლემენცამ გითხრა, იარაღი რომ უნდა დააგდო?

- მილიონჯერ, - მიუგო მაიკლმა.

სონი სავარძლიდან წამოდგა და გაიზმორა: - ყბა როგორა გაქვს, ბიჭო?

- შავად, - უპასუხა მაიკლმა.

მართლაც, მარცხენა მხარეს სახე მუდმივად სტკიოდა, გარდა ამისა, ფოლადის მავთულიც საკმაოდ აწუხებდა, რომლითაც ყბები ჰქონდა გადაბმული. მაიკლმა ვისკის ბოთლი აიღო და მოიყუდა, რამდენიმე ყლუპი მოსვა. ტკივილი ოდნავ დაუცხრა.

- მშვიდად, მაიკლ, ახლა სმის დრო არ არის, - უთხრა სონიმ.

- ო, ღმერთო ჩემო, უფროსი ძმის როლში ძალიანაც ნუ შეიჭრები, რა, სონი, - მიუგო მაიკლმა, - უფრო მაგარ ბიჭებთან მიომია, ვიდრე ეგ შენი სოლოცოა, და უარეს სიტუაციაშიც ვყოფილვარ. მაგათი დედაც ვატირე, აბა, რა აქვთ რო? ვთქვათ, ნაღმსატყორცნები? ანდა საჰაერო თავდაცვა? ანდა დანაღმული ველები? ანდა მძიმე არტილერია? ერთი ვიღაც გაიძვერა ნაბიჭვარია, რომელსაც ერთი ბღენძი პოლიციელი იცავს. თუკი ვინმე მათ გასაღებას გადაწყვეტს, არავითარი სირთულე არ იქნება. ყველაზე ძნელია, გადაწყვიტო. ნუ გეშინია, ისე გავაკეთებ ყველაფერს, აზრზე მოსვლასაც ვერ მოასწრებენ.

ოთახში ტომ ჰეიგენი შემოვიდა, იქ მყოფებს თავის დაკვრით მიესალმა და ტელეფონის ყურმილი აიღო. რამდენიმე ნომერზე დარეკა, შემდეგ კი სონის მიუბრუნდა.

- ჯერაც არაფერი ისმის, - თქვა მან, - სოლოცო ბოლო წუთამდე ყველაფერს ასაიდუმლოებს.

ამ დროს ტელეფონმა დარეკა. სონიმ ყურმილი აიღო და ოთახში მყოფთ ხელით ანიშნა, გაჩუმდითო, თუმცა არც არავინ ლაპარაკობდა. სონიმ ბლოკნოტში რაღაც ჩაინიშნა, შემდეგ თქვა: - ო,კეი, მოვა.

სონიმ ყურმილი დაკიდა. გაიცინა: - ეს ნაბიჭვარი სოლოცო მართლაც რაღაცად ღირს. აი, რა შემოგვთავაზა: საღამოს რვა საათზე ის და კაპიტანი მაკ-კლასკი ბროდვეიზე, ჯეკ დემპსის ბართან, მაიკლს შეხვდებიან და მოსალაპარაკებლად სადღაც წაიყვანენ. იქ სოლოცო და მაიკლი იტალიურად ილაპარაკებენ, ასე რომ, ირლანდიელი კოპი ვერაფერს გაიგებს. ისიც კი მითხრა, მაკ-კლასკიმ იტალიურად ერთადერთი სიტყვა იცისო: „სოლდი“ (ფული). თანაც გაურკვევია, მაიკლს სიცილიური დიალექტი რომ ესმის.

- მაგაში საკმაოდ მოვიკოჭლებ, მაგრამ არა უშავს, საუბარი დიდხანს არ მოგვიწევს, - მშრალად შენიშნა მაიკლმა.

ტომ ჰეიგენმა თქვა: - მაიკლს ვერ გავუშვებთ, სანამ შუამავალი ჩვენთან არ იქნება. ეს მოგვარებულია?

კლემენცამ თავი დაუქნია.

- შუამავალი უკვე ჩემთანაა, სახლში, და ჩემს ხალხს კარტს ეთამაშება. სანამ არ ვეტყვი, არ გაუშვებენ.

სონი ტყავის სავარძლის საზურგეს მიეყრდნო: - შეხვედრის ადგილი როგორ დავადგინოთ? ტომ, როგორ მოხდა, რომ ტატალიას ოჯახში ჩვენმა ინფორმატორებმა ვერაფერი გაიგეს?

ჰეიგენმა მხრები აიჩეჩა: - სოლოცო მართლა ძალიან ეშმაკია. ყველაფერს მარტო აკეთებს, საკუთარი დაცვის გარეშე. ჰგონია, პოლიციის კაპიტანი სავსებით საკმარისი იქნება. სხვა გზა არ არის, მაიკლს უკან უნდა გავყვეთ.

სონიმ უარის ნიშნად თავი გააქნია: - არა, ნებისმიერი „კუდის“ მოშორება შეიძლება, თუკი კაცი მოინდომებს. პირველ რიგში სწორედ იმას შეამოწმებენ, ვინმე ხომ არ უთვალთვალებთ.

უკვე საღამოს ხუთი საათი სრულდებოდა. სონიმ შეწუხებული სახით ჩაილაპარაკა: - იქნებ, ჯობია, მაიკლმა ყველა გადახოცოს, ვინც მის წასაყვანად მისულ მანქანაში იქნება?

ჰეიგენმა უარის ნიშნად თავი გააქნია: - სოლოცო მანქანაში რომ არ იყოს? მაშინ გამოვა, კარტი ტყუილად გაგვიხსნია. ჯანდაბა, როგორ გავიგოთ, სად მიჰყავთ მაიკლი?

საუბარში კლემენცა ჩაერია: - იქნებ, ვცადოთ იმის გამოთვლა, სოლოცო ამას ასე რატომ ასაიდუმლოებს?

მაიკლმა მოუთმენლად მიუგო: - საქმე მის უსაფრთხოებას ეხება. რატომ გვეტყვის დეტალებს, რომელთა ცოდნა ჩვენთვის აუცილებელი არ არის? თანაც საფრთხეს გრძნობს. მაგარი გაიძვერაა. პოლიციის კაპიტანი ჰყავს დაცვად და სიფრთხილეს მაინც არ კარგავს.

ჰეიგენმა თითები გაატკაცუნა.

- იმ დეტექტივს, ფილიპსს, რატომ არ დავურეკეთ? - ჰკითხა მან სონის, - შესაძლოა, მოახერხოს იმის გაგება, სად შეიძლება კაპიტნის მოძებნა. მგონი, ღირს, ვცადოთ. მაკ-კლასკი თავის უსაფრთხოებაში სავსებით დარწმუნებულია.

სონიმ ყურმილი აიღო და ნომერი აკრიფა. დინჯად წარმოთქვა რამდენიმე სიტყვა, შემდეგ დაკიდა.

- თვითონ დაგვირეკავს, - თქვა მან.

დაახლოებით ნახევარი საათის შემდეგ ტელეფონის ზარი გაისმა. ფილიპსი რეკავდა.

სონიმ მოისმინა, ბლოკნოტში რაღაც ჩაინიშნა და ყურმილი დაკიდა. შუბლი შეეჭმუხნა.

- მგონი, გავიგეთ, რაც გვინდოდა, - თქვა მან, - კაპიტანი მაკ-კლასკი ყოველთვის იბარებს, სად შეიძლება მისი მოძებნა. დღეს საღამოს რვიდან ათამდე ,,ლუნა აზურში" იქნება, ბრონქსში. ეს ადგილი ვინმემ იცით?

ტესიომ დარწმუნებით უპასუხა: - მე ვიცი. ჩვენთვის შესანიშნავია. პატარა ოჯახური რესტორანია ცალ-ცალკე კაბინეტებით, სადაც მშვიდად შეიძლება საუბარი. მშვენიერი სამზარეულო აქვთ. სხვის საქმეში ცხვირს არავინ ყოფს. საუცხოოა.

წინ გადაიხარა, სიგარეტის ნამწვავები მაგიდაზე სქემასავით განალაგა და განაგრძო: - აი, აქ შესასვლელია. მაიკლ, როცა საქმეს მორჩები და გამოხვალ, მარცხნივ წადი, მერე კუთხეში შეუხვიე. დაგინახავ, მანქანის ფარებს ავანთებ და წამოვალ. მაშინვე შემოხტი. თუ რამე პრობლემა შეგექმნება, დაიყვირე, გადმოვალ და ვეცდები გამოგიყვანო. კლემენცა, სწრაფად უნდა იმოქმედო, ახლავე გაგზავნე ვინმე, ვინც იქ იარაღს წაიღებს. ძველებური ტუალეტი აქვთ, წყლის რეზერვუარსა და კედელს შორის სივრცეა. შენმა კაცმა იარაღი რეზერვუარის უკანა კედელზე უნდა მიამაგროს. მაიკლ, მანქანაში გაგჩხრეკენ და როცა დარწმუნდებიან, სუფთა ხარ, დამშვიდდებიან. რესტორანში ცოტა მოიცადე, მერე ბოდიში მოიხადე და უთხარი, რომ ტუალეტში გასვლა გინდა. არა, ჯობია, სთხოვო, გასვლის უფლება მოგცენ. ვერაფერს მიხვდებიან. ტუალეტიდან როგორც კი გამოხვალ, სწრაფად იმოქმედე, დრო არ დაკარგო. მაგიდასთან აღარ დაჯდე, მაშინვე ესროლე. თავში. თითოჯერ და ქუჩაში, რაც შეგიძლია, სწრაფად გამოდი.

სონი დაძაბული უსმენდა.

- კლემენცა, იარაღი ყველაზე სანდო კაცმა უნდა წაიღოს, - თქვა სონიმ, - არ მინდა, ჩემი ძმა ტუალეტიდან გამოვიდეს და იარაღის ნაცვლად ხელში ასო ეჭიროს.

კლემენცამ ხაზგასმით მიუგო: - იარაღი იქ იქნება.

- ო,კეი, - თქვა სონიმ, - დავიძარით.

კლემენცა და ტესიო გავიდნენ.

- მაიკლი ქალაქში მე გავიყვანო? - იკითხა ჰეიგენმა.

- არა, - მიუგო სონიმ, - აქ მჭირდები. როგორც კი მაიკლი საქმეს მორჩება, ჩვენი ჯერი დადგება, აქ უნდა იყო. გაზეთებში ჩვენი ხალხი მზადაა?

- ინფორმაციას მაშინ გადავცემ, როცა მკვლელობის შესახებ ცნობილი გახდება, - თქვა ჰეიგენმა.

სონი ადგა, მაიკლთან მივიდა, მის წინ გაჩერდა, მერე ხელი ჩამოართავა.

- ო,კეი, ბიჭო, - თქვა მან, - მიდი. დედას მე თვითონ დაველაპარაკები და ავუხსნი, რატომ ვერ გამოემშვიდობე. როგორც კი შესაძლებელი იქნება, შენს გოგოს სიტყვას გადავცემ. ო,კეი?

- ო,კეი, - მიუგო მაიკლმა, - როგორ ფიქრობ, როდის შევძლებ დაბრუნებას?

- სულ ცოტა, ერთი წელი მაინც დაგჭირდება, - მიუგო სონიმ.

ჰეიგენი საუბარში ჩაერთო: - დონს შეუძლია, ამაზე სწრაფადაც იმოქმედოს, მაგრამ შენი დაბრუნება ბევრ ფაქტორზე იქნება დამოკიდებული: რამდენად კარგად ვიმუშავებთ პრესასთან; რამდენად იქნება პოლიცია დაინტერესებული, რომ მკვლელობის დეტალები დაფაროს; რამდენად მძაფრი რეაქცია ექნებათ დანარჩენ ოჯახებს. თუმცა ერთ რაღაცაში ისედაც შეიძლება დარწმუნებული ვიყოთ, სასტიკად „დაცხება“.

მაიკლმა ჰეიგენს ხელი ჩამოართვა და უთხრა: - რაც შეგიძლია, ყველაფერი გააკეთე. არ მინდა, სამი წელი სხვაგან გავატარო.

ჰეიგენმა მშვიდად მიუგო: - გადაფიქრება ჯერაც არ არის გვიან. შემსრულებლად ვინმე სხვას ვიპოვით. შეიძლება, ალტერნატიული ვარიანტებიც განვიხილოთ. მაგალითად, მე ბოლომდე არ ვარ დარწმუნებული, რომ სოლოცო აუცილებლად უნდა გავასაღოთ.

მაიკლმა გაიცინა.

- საკუთარი თავი ნებისმიერ რაღაცაში შეიძლება დავარწმუნოთ, - თქვა მან, - მაგრამ საქმეც ის არის, რომ ჩვენი გადაწყვეტილება სწორია. მთელი ცხოვრება უდარდელად გავატარე, ახლა ვალების დაბრუნების დრო დამიდგა.

- მოტეხილმა ყბამ შენზე არ უნდა იმოქმედოს, - უთხრა ჰეიგენმა, - მაკ-კლასკი იდიოტია, ეს ბიზნესია და არა პირადი ანგარიშსწორება.

უცებ ჰეიგენმა დაინახა: მაიკლ კორლეონემ კვლავაც ისეთი გამომეტყველება მიიღო, რომ დონ კორლეონეს ასლი გეგონებოდათ.

- ტომ, არავის მისცე უფლება, აბუჩად აგიგდოს. მძღნერის ყოველი ლუკმა, რომელსაც ცხოვრებაში გადაყლაპავ, პირადი საქმე ხდება. ისინი ამას ბიზნესს ეძახიან? ო,კეი... მაგრამ ეს პირადი საქმეა, ჯოჯოხეთივით. იცი, ვისგან ვისწავლე ეს ყველაფერი? დონისაგან. მამაჩემისაგან. თუკი მეხი მის მეგობარს ატყდებოდა თავს, დონი ამას, როგორც საკუთარს, ისე იღებდა. ჩემი ჯარში წასვლაც საკუთარ საქმედ მიიღო... და სწორედ ამ ყველაფრის გამო გახდა დიადი. დიადი დონი. ყველაფერს საკუთარ საქმედ მიიჩნევს. ღვთის მსგავსად, რომელსაც დათვლილი აქვს ყველა ბუმბული, ჩიტი რომ კარგავს, თუ როგორცაა ნათქვამი. განა ასე არ არის? და უბედური შემთხვევა იმას არ ემართება, ვინც უბედურ შემთხვევას პირად შეურაცხყოფად იღებს. მე გვიან მოვედი, ეს მართალია, მაგრამ ბოლომდე ვივლი. ჯანდაბა, მოტეხილ ყბას პირად საქმედ ვიღებ, სოლოცოს მამაჩემის მოკვლა რომ უნდა, ამასაც პირად საქმედ ვიღებ.

მაიკლმა გაიცინა.

- გადაეცი მამას, ეს ყველაფერი მისგან ვისწავლე და მიხარია, რომ მაქვს შესაძლებლობა, მადლობა გადავუხადო იმ ყველაფრისათვის, რაც მომცა. კარგი მამა იყო.

მაიკლი გაჩუმდა. პაუზის შემდეგ ჰეიგენს დაფიქრებით უთხრა: - ვერ ვიხსენებ, რომ ერთხელ მაინც დაერტყა ჩემთვის, ან სონისთვის, ან ფრედისთვის. კონიზე აღარ არის

ლაპარაკი. მას არც კი უყვიროდა. მითხარი სიმართლე, ტომ, მამაჩემმა რამდენი კაცი მოკლა ანდა მოაკვლევინა?

ჰეიგენი მისკენ შეტრიალდა.

- ერთი რაღაც მისგან არ გისწავლია, - უთხრა მაიკლს, - ის, როგორც ახლა ლაპარაკობ. არსებობს რაღაცები, რაც უნდა გააკეთო და აკეთებ, მერე კი აღარასოდეს ლაპარაკობ მათზე. არ უნდა სცადო მათი გამართლება. მათი გამართლება შეუძლებელია. შენ, უბრალოდ, აკეთებ და მერე ივიწყებ.

მაიკლი მოიღუშა. ჩუმად იკითხა: - როგორც კონსილიორი, ეთანხმები იმას, რომ დონისა და მთელი ოჯახისთვის სახიფათოა სოლოცოს ცოცხლად დატოვება?

- ვეთანხმები, - მიუგო ჰეიგენმა.

- ო,კეი, - თქვა მაიკლმა, - ესე იგი, უნდა მოვკლა.

მაიკლი ბროდვეიზე ჯეკ დემპსის რესტორნის წინ იდგა და ელოდებოდა, როდის წაიყვანდნენ სოლოცოსთან შეხვედრაზე. საათს დახედა. რვას ხუთი აკლდა. სოლოცო პუნქტუალურია. მაიკლი დათქმულ ადგილზე ადრე მივიდა. თხუთმეტიოდე წუთი იცადა.

ლონგ-ბიჩიდან ქალაქისკენ მიმავალ მანქანაში მჯდომი მაიკლი ცდილობდა, დაევიწყებინა, რაც ჰეიგენს უთხრა. რადგან თუკი სჯერა იმისა, რაც თქვა, მაშინ გამოდის, იმ გზას დაადგა, რომელსაც ვეღარ გადაუხვევს. თუნდაც ამ ღამის შემდეგ შეძლებს კი წინანდებურად ცხოვრებას? ამ ღამეს შეიძლება საიქიოს გაისტუმრონ, თუკი ასეთ სისულელეებზე ფიქრს არ მოეშვება, - ნაღვლიანად გაიფიქრა მაიკლმა. გასაკეთებელზე მაქსიმალურად უნდა მოახდინოს კონცენტრაცია. სოლოცო სულაც არ გახლავთ ბრიყვი და მაკ-კლასკიც საკმაოდ კერკეტი კაკალია. მაიკლმა მოტეხილი ყბის ტკივილი იგრძნო და გაიფიქრა: „ტკივილი ყურადღების მოდუნების საშუალებას არ მომცემს“.

მიუხედავად იმისა, რომ ბროდვეის თეატრებში სპექტაკლები უნდა დაწყებულიყო, ქუჩა დეკემბრის იმ ცივ ღამეს თითქმის ცარიელი გახლდათ. მაიკლმა ძალაუნებურად უკან დაიხია, როდესაც მის წინ გრძელი, შავი ავტომობილი შეჩერდა. მძღოლმა კარი გაუღო და უთხრა: - დაჯექი, მაიკლ.

მაიკლი არ იცნობდა მძღოლს - ახალგაზრდა განგსტერს - შავი, გადასვლეპილი თმითა და გულზე მოღეღილი პერანგით, მაგრამ მანქანაში მორჩილად შეაბიჯა. უკანა სავარძელზე სოლოცო და მაკ-კლასკი ისხდნენ.

სოლოცომ სავარძლის თავზე ხელი გადმოყო და მაიკლს ჩამოართვა. ძლიერი, ცხელი და მშრალი ხელი ჰქონდა. სოლოცომ თქვა: - მიხარია, რომ მოხვედი, მაიკლ. იმედი მაქვს, ყველაფერს მოვაგვარებთ. რაც მოხდა, საშინელებაა. არ უნდა მომხდარიყო, მე ეს არ მინდოდა...

მაიკლმა მშვიდად მიუგო: - მეც მაქვს იმედი, რომ ყველაფერს მოვაგვარებთ. არ მინდა, მამაჩემი კიდევ შეაწუხონ.

- აღარავინ შეაწუხებს, - გულწრფელი ინტონაციით უთხრა სოლოცომ, - ბავშვებს ვფიცავ, აღარავინ შეაწუხებს. მოდი, გულახდილად ვილაპარაკოთ. იმედი მაქვს, შენ ისეთი შეუვალი არა ხარ, როგორიც შენი ძმა სონი. მასთან ბიზნესზე ლაპარაკი შეუძლებელია.

კაპიტანმა მაკ-კლასკიმ გაიღიმა.

- კარგი ბიჭია, ყოველმხრივ, - წინ გადაიწია, რომ მაიკლისთვის ხელი მხარზე მეგობრულად მოეტყაპუნებინა, - მაიკლ, ვწუხვარ იმაზე, რაც გუშინ მოხდა, ეტყობა, დავბერდი, ნერვები აღარაფრად მივარგა. ალბათ, დროა, პენსიაზე გავიდე. დღითი დღე უფრო და უფრო ადვილად ვღიზიანდები.

შემდეგ გულდათუთქულივით ამოიოხრა და მაიკლი გაჩხრიკა. მაიკლმა შენიშნა, მძღოლს ტუჩებზე მსუბუქმა ღიმილმა გადაურბინა. მანქანა დასავლეთისკენ მიქროდა, მაინცდამაინც არ ეტყობოდა, რომ შესაძლო მდევრებისგან თავის დახსნას ცდილობდა. შემდეგ ვესტ საიდ-ჰაივეიზე ავიდა, შოსეზე მანქანებს ძალზე სწრაფად დაუწყო გასწრება, წინ გადიოდა და მერე ისევ თავის რიგში ბრუნდებოდა. თუკი ვინმე უკან გაჰყვებოდათ, იძულებული ხდებოდა ასევე ემოძრავა. მერე გეზი ჯორჯ ვაშინგტონის ხიდისკენ აიღეს, ეს კი ნიშნავდა, რომ ნიუ-ჯერსიში მიდიოდნენ. მაიკლს გააცივა, - გამოდის, სონის ინფორმატორმა შეხვედრის ადგილის შესახებ არასწორი ცნობა მიაწოდა.

მანქანა ხიდზე ავიდა, ქალაქი უკან მოიტოვა. მაიკლი სიმშვიდეს ინარჩუნებდა, სახეზე არაფერი ეტყობოდა. რას უპირებენ? უახლოეს ჭაობში უნდა ჩაახრჩონ თუ, იქნებ, გაიძვერა სოლოცომ ბოლო მომენტში შეხვედრის ადგილი შეცვალა. უეცრად ხიდის თითქმის ბოლოში გასული მანქანა შემობრუნდა. მძღოლმა საჭე მკვეთრად მოატრიალა, მძიმე ავტომობილი ლამის ჰაერში აიჭრა, მერე კი ნიუ-იორკისკენ გაქანდა სრული სვლით. მაკ-კლასკი და სოლოცო უკან მიბრუნდნენ, რომ ენახათ, მსგავს მანევრს კიდევ ვინმე ხომ არ ასრულებდა. მანქანა უსწრაფესად მიქროდა. ხიდი რომ გადასერეს, აღმოსავლეთ ბრონქსისკენ აიღეს გეზი. განაპირა, ვიწრო ქუჩებით იარეს, - ცხადი გახდა, არავინ მოსდევდათ. უკვე ცხრა საათი სრულდებოდა. სოლოცომ მაიკლსა და მაკ-კლასკის სიგარეტი შესთავაზა. ორივემ უარი უთხრა. ,,თურქმა“ გააბოლა და მძღოლს მიმართა: - კარგად გამოგდის. დავიმახსოვრებ.

ათიოდე წუთის შემდეგ მანქანა პატარა იტალიურ უბანში რესტორნის კართან გაჩერდა. ქუჩაში არავინ იყო, თვით რესტორანში კი მხოლოდ რამდენიმე კაცი ვახშმობდა. მაიკლი შიშობდა, რომ მძღოლი მათთან ერთად წამოვიდოდა, მაგრამ მანქანაში დარჩა. შუამავალს მძღოლზე არაფერი უთქვამს, მასზე საერთოდაც არ ყოფილა ლაპარაკი. ტექნიკური თვალსაზრისით, სოლოცომ შეთანხმება დაარღვია, მძღოლი რომ იყოლია, მაგრამ მაიკლმა გადაწყვიტა, ამისთვის ყურადღება არ მიექცია. იცოდა, იფიქრებდნენ, - ამაზე ლაპარაკის დაწყებას უფრთხის, შეთანხმების შანსი რომ არ დაკარგოსო.

ერთადერთ მრგვალ მაგიდას მიუსხდნენ, ცალკე კაბინეტში შესვლაზე სოლოცომ უარი თქვა. დარბაზში ორად ორი კაცი ვახშმობდა. მაიკლს გაუკვირდა, როცა დაასკვნა, სოლოცოს ხალხი არ ყოფილანო. თუმცა ამას მნიშვნელობა არც ჰქონდა. სანამ ჩარევას მოასწრებენ, ყველაფერი უკვე დამთავრებული იქნება.

- კარგი სამზარეულო აქვთ? - ინტერესით იკითხა მაკ-კლასკიმ.

სოლოცომ დარწმუნებით მიუგო: - ხბოს ხორცი გასინჯეთ. საუკეთესოა ნიუ-იორკში.

ოფიციანტმა ბოთლი ღვინო მოიტანა და გახსნა, ჩამოასხა. მაიკლის გასაოცრად, მაკ-კლასკიმ არ დალია.

- მე, ალბათ, ერთადერთი არამსმელი ირლანდიელი ვარ, - თქვა მან, - ბევრი მინახავს, სმას რომ გადაჰყოლია.

სოლოცომ მაკ-კლასკის უთხრა: - მე და მაიკლი იტალიურად ვილაპარაკებთ. იმიტომ კი არა, რომ არ გენდობით, უბრალოდ, ინგლისურად აზრს ბოლომდე მკაფიოდ ვერ ვაყალიბებ, მე კი ძალიან მინდა მაიკლი დავარწმუნო, თუკი შევთანხმდებით, ამით ყველა მოიგებს. შეურაცხყოფად ნუ მიიღებთ, არ იფიქროთ, თითქოსდა არ გენდობით.

მაკ-კლასკიმ ირონიულად გაიღიმა.

- გასაგებია, მიდით, მიდით, - თქვა მან, - მე ხბოს ხორცსა და სპაგეტის მივხედავ.

სოლოცომ სხაპასხუპით დაიწყო: - უნდა გაიგო, რაც მამაშენსა და ჩემ შორის მოხდა, საქმიანი კამათია, მეტი არაფერი. დონ კორლეონეს დიდ პატივს ვცემ და მასთან მუშაობა ჩემთვის ბედნიერება იქნებოდა, მაგრამ ისიც უნდა გაიგო, რომ მამაშენი ძველი ყაიდის კაცია. პროგრესს ხელს უშლის. საქმეს, რომელსაც ვიწყებ, დიდი მომავალი აქვს. ამაში იმდენი ფულია, ყველას ეყოფა, მაგრამ მამაშენი წინ გადამიდგა, რადგან არარეალური წარმოდგენები აქვს. თავის აზრს მახვევს მეც და სხვებსაც. კი, ვიცი, ამბობს: „როგორც გინდა, ისე მოიქეცი, ეგ შენი საქმეა“, მაგრამ ჩვენ, ორივე, ვხვდებით, რომ ეს არარეალურია. გვინდა თუ არა, ერთმანეთს ხელს შევუშლით. მისი სიტყვებიდან გამოდის, რომ ეს საქმე ვერ დამიწყია. თავმოყვარე კაცი ვარ და ვერავის მივცემ უფლებას, საკუთარი აზრი თავს მომახვიოს. რაც მოხდა, აუცილებლად უნდა მომხდარიყო. ისიც მინდა გითხრა, ნიუ-იორკის დანარჩენი ოჯახები უსიტყვოდ მიჭერენ მხარს. ტატალიას ოჯახი ჩემი პარტნიორია. თუკი ჩვენ შორის კამათი გაგრძელდება, კორლეონეს ოჯახი ყველას წინააღმდეგ მარტოდმარტო აღმოჩნდება. მამაშენი ჯანმრთელად რომ ყოფილიყო, თქვენი თავისთვის ამის უფლება შეგეძლოთ მიგეცათ, მაგრამ სონი არ არის ისეთი კაცი, როგორიც დონ კორლეონეა, და არც კონსილიორი ტომ ჰეიგენია ჯენკო აბანდანდოს მსგავსი, ღმერთმა აცხონოს მისი სული. ამიტომაც მშვიდობას, უფრო სწორად, ზავს გთავაზობთ. მოდი, მოვიცადოთ, სანამ მამაშენი ბოლომდე გამოჯანმრთელდება და მოლაპარაკებაში მონაწილეობას შეძლებს. ტატალიას ოჯახი დავარწმუნე, წარსული დაივიწყონ და ბრუნოს გამო შურისძიებას არ ეცადონ. თანამშრომლობას არა გთხოვთ, მაგრამ თქვენ, კორლეონეს ოჯახმა, ხელი არ უნდა შემიშალოთ. ეს არის ჩემი წინადადება. ვიმედოვნებ, საკმარისი უფლებამოსილება გაქვს, რომ კორლეონეს ოჯახის სახელით შეთანხმება დამიდო.

მაიკლმა სიცილიურად უპასუხა: - უფრო დაწვრილებით მომიყევი, როგორ აპირებ ბიზნესის დაწყებას, რა როლი ეკისრება ჩვენს ოჯახს და რა შემოსავალია მოსალოდნელი.

- ჩემი წინადადების ყველა დეტალი გინდა იცოდე? - ჰკითხა სოლოცომ.

- ჩვენ გვინდა გარანტიები, რომ მამაჩემის სიცოცხლეს აღარაფერი დაემუქრება.

სოლოცომ ხელები გაშალა.

- რა გარანტიები შეიძლება მოგცეთ? ჩემზე ნადირობენ. ბოლო შანსი დავკარგე. მეტისმეტად კარგი წარმოდგენა გქონია ჩემზე, მეგობარო. არც ამდენად ჭკვიანი ვარ.

მაიკლი დარწმუნდა, რომ სოლოცოს მოლაპარაკების გზით რამდენიმე დღის მოგება უნდოდა. დონის მოკვლას კიდევ ერთხელ ეცდება. თვითონ მას „თურქი" არაფრისმაქნის ლაწირაკად მიიჩნევს. მაიკლს ტანში ნაცნობმა სასიამოვნო სიგრილემ დაუარა. შეწუხებული გამომეტყველება მიიღო.

- რა მოხდა? - სწრაფად ჰკითხა სოლოცომ.

მაიკლი თითქოს დაიბნაო.

- ღვინომ თავში კი არა, პირდაპირ შარდის ბუშტში დამკრა. ვითმენდი, მაგრამ მეტი აღარ შემიძლია.

სოლოცო ყურადღებით დააკვირდა. შემდეგ წინ გადაიწია და უხეშად დაუწყო ჩხრეკა. მაიკლმა შეურაცხყოფილი გამომეტყველება მიიღო. მაკ-კლასკიმ თქვა: - გავჩხრიკე უკვე. ათასობით განგსტერი გამიჩხრეკია. სუფთაა.

სოლოცოს მაიკლის ნათქვამი არ მოეწონა. უბრალოდ, არ მოეწონა. ყოველგვარი კონკრეტული მიზეზის გარეშე. კაცს გახედა, რომელიც მათ წინ იჯდა კედელთან, შემდეგ მზერა ტუალეტის კარზე გადაიტანა. კაცმა თავის ოდნავი დაკვრით ანიშნა, ტუალეტი შემოწმებულია და იქ არავინ არისო.

- მიდი, დროზე, - უთხრა სოლოცომ. აშკარად ნერვიულობდა, რაღაცას გრძნობდა.

მაიკლი საპირფარეშოში შევიდა. მართლაც უჭირდა. სწრაფად მოისაქმა, შემდეგ ხელი წყლის ემალირებული რეზერვუარის უკან შეყო და მანამ აფათურა, სანამ იარაღს არ მიაგნო, - წებოვანი ლენტით მიემაგრებინათ. მაიკლმა რევოლვერი გამოიღო, ის ადგილები ცხვირსახოცით გაწმინდა, სადაც თითის ანაბეჭდი შეიძლებოდა დარჩენილიყო და ქამარში გაირჭო. შემდეგ ხელები დაიბანა, სველი ხელი თმაზე გადაისვა და ტუალეტიდან გამოვიდა.

სოლოცო საპირფარეშოსკენ სახით იჯდა. მის ბნელ თვალებში მღელვარება იკითხებოდა. მაიკლმა გაიღიმა.

- აი, ახლა შემიძლია ლაპარაკი, - თქვა მან და შვებით ამოისუნთქა.

მაკ-კლასკი ხბოს ხორცსა და სპაგეტის მიირთმევდა. მოპირდაპირე კედელთან მჯდომი კაცი მაიკლს ყურადღებით უყურებდა, მაგრამ აშკარად ეტყობოდა, მოდუნდა, ისე დაძაბული აღარ იყო, როგორც ცოტა ხნის წინ.

მაიკლი სუფრას მიუჯდა. მართალია, ახსოვდა კლემენცას რჩევა, მაშინვე ესროლა, როგორც კი ტუალეტიდან გამოვიდოდა, მაგრამ ინტუიციამ თუ, უბრალოდ, შიშმა აიძულა მაგიდასთან დამჯდარიყო. გრძნობდა, ერთი ზედმეტი მოძრაობაც რომ გაეკეთებინა, მაშინვე ჩაცხრილავდნენ. ახლა თავს გაცილებით მშვიდად გრძნობდა, კმაყოფილი იყო, სკამზე რომ დაჯდა. შიშისგან მუხლები უკანკალებდა.

სოლოცო მისკენ გადმოიხარა. მაიკლმა პიჯაკის ქვედა ღილები ფრთხილად შეიხსნა. სოლოცოს არ უსმენდა. მის ერთ სიტყვასაც კი ვერ აღიქვამდა, თავში სისხლს დაგადუგი გაჰქონდა. მაიკლმა ქამრიდან იარაღი ამოაცოცა. ამ დროს მაგიდასთან ოფიციანტი მივიდა და სოლოცო მისკენ შებრუნდა. მაიკლმა მარცხენა ხელი მაგიდას ჰკრა და იარაღი სოლოცოს თითქმის თავზე მიაბჯინა. „თურქმა“ საოცრად სწრაფად მოახდინა რეაგირება, გაწევა სცადა, მაგრამ მაიკლმა, რომელიც გაცილებით ახალგაზრდა იყო და რეაქციაც უფრო სწრაფი ჰქონდა, სასხლეტს გამოჰკრა. ტყვია სოლოცოს თვალსა და ყურს შორის მოხვდა, ტვინი, სისხლი და ძვალი ამოაგლიჯა, რაც ოფიციანტის გაქათქათებულ ფორმაზე აღმოჩნდა. მაიკლმა ინსტინქტურად იგრძნო, - ერთი ტყვია საკმარისი იყო. სოლოცომ თავი მისკენ მიაბრუნა და მაიკლმა ცხადად დაინახა, როგორ ჩაქრა მის თვალებში სიცოცხლე, სანთელს სულს რომ შეუბერავ, ისე.

იმავე წამს მაიკლმა რევოლვერი მაკ-კლასკისკენ მიაბრუნა. პოლიციის კაპიტანი ფლეგმატური გაოცებით შესცქეროდა, - თითქოსდა ეს ყველაფერი მას არც კი ეხებოდა. არ ეტყობოდა, რომ საფრთხეს აცნობიერებდა. ჩანგალი, ზედ წამოგებული ხბოს ხორცით, ჰაერში გაუშეშდა, მაიკლს მისჩერებოდა. ისე თავდარწმუნებულად შეურაცხყოფილი გამომეტყველება მიიღო, თითქოს ელოდებოდა, რომ მაიკლი ახლა დანებდებოდა ან გაიქცეოდა. მაიკლს გაეღიმა და სასხლეტს გამოჰკრა, მაგრამ გასროლა არცთუ მარჯვე აღმოჩნდა, - სასიკვდილო არ იყო. ტყვია მაკ-კლასკის ხარივით კისერში მოხვდა, პირი დააფჩინა, თითქოს ჰაერი არ ჰყოფნისო, თითქოს ხბოს ხორცი ყელში გაეჩხირაო. ხრიალით ამოისუნთქა და სისხლი ამოაყოლა. მაიკლმა მეორედ პირდაპირ შუბლში ესროლა.

ჰაერი თითქოს ვარდისფერმა ნისლმა აავსო. მაიკლი კედელთან მჯდომი კაცისკენ შებრუნდა. გაუნძრევლად იჯდა, პარალიზებულივით. ხელები მაგიდაზე დაეწყო საგულდაგულოდ და სადღაც სივრცეში იყურებოდა. შეძრწუნებული ოფიციანტი სამზარეულოსკენ გარბოდა, თან მაიკლისკენ მალიმალ იხედებოდა, თითქოსდა თვალებს არ უჯერებსო. სოლოცო კვლავაც სკამზე იყო, ხელები მაგიდაზე ეწყო. მაკ-კლასკის გვამი იატაკზე მძიმედ გაიშხლართა. მაიკლმა იარაღს ხელი უშვა და ისიც უხმაუროდ დაეცა გვამს. არც ოფიციანტს, არც კაცს ამისთვის ყურადღება არ მიუქცევიათ. მაიკლი გასასვლელისკენ სწრაფად წავიდა, კარი გამოაღო. სოლოცოს მანქანა ტროტუართან იდგა, მაგრამ მძღოლი არსად ჩანდა. მაიკლი ქუჩაში გამოვიდა და მარცხნივ კუთხეში შეუხვია. იქვე მდგომმა მანქანამ ფარები ააციმციმა და მისკენ წამოვიდა. მაიკლი ღია კარში შეხტა და მანქანა ღმუილით გავარდა. საჭესთან ტესიო იჯდა. მტკიცე, შეუვალი გამომეტყველება ჰქონდა.

- გააფორმე სოლოცო? - ჰკითხა მაიკლს.

მაიკლს გაუკვირდა, ტესიომ ეს გამოთქმა რომ იხმარა. ჩვეულებრივ, მას სექსუალური დატვირთვა ჰქონდა და ქალის გაჟიმვას გულისხმობდა. უცნაური იყო, რატომ გამოიყენა ის ტესიომ.

- ორივე, - მიუგო მაიკლმა.

- დარწმუნებული ხარ? - ჩაეკითხა ტესიო.

- მაგათი ტვინი ვნახე.

მანქანაში მაიკლისთვის გამოსაცვლელად ერთი ხელი ტანსაცმელი იყო მომზადებული. ოცი წუთის შემდეგ იგი უკვე იტალიურ სავაჭრო გემზე იყო, რომელიც სიცილიაში მიცურავდა. ორ საათში გემი ზღვაში გავიდა და მაიკლმა თავისი კაიუტიდან ნიუ-იორკის სინათლეები დაინახა, ჯოჯოხეთის ცეცხლივით რომ ჩახჩახებდა. წარმოუდგენელი შვება იგრძნო. ყველაფერი უკან დარჩა. მსგავსი შეგრძნება ერთხელ უკვე განეცადა. გაახსენდა, როგორ გადასხეს საზღვაო ფეხოსნების დესანტი წყნარი ოკეანის ერთ-ერთ კუნძულზე. მაშინ მაიკლი მსუბუქად დაიჭრა, ბრძოლა გრძელდებოდა, ის კი მცურავ ჰოსპიტალზე გადაიყვანეს. მაშინაც ასეთი შვება იგრძნო. რა ჯოჯოხეთიც უნდა დატრიალდეს, თვითონ იქ აღარ იქნება.

სოლოცოსა და კაპიტან მაკ-კლასკის მკვლელობის მეორე დღეს ნიუ-იორკის პოლიციის ადგილობრივ უბნებზე კაპიტნებსა და ლეიტენანტებს აცნობეს: აზარტული თამაშები, პროსტიტუცია, მაფიასთან გარიგებები შეწყდება მანამდე, სანამ მაკ-კლასკის მკვლელს არ დაიჭერენ. მთელ ქალაქში რეიდები დაიწყო. კორლეონეს ოჯახს დანარჩენი ოჯახების წარმომადგენელმა შეკითხვით მიმართა, მკვლელს ხომ არ გასცემთო. პასუხად მიიღო: კორლეონეს ოჯახს ამ საქმესთან არავითარი კავშირი არ აქვსო. იმავე ღამეს ლონგ-ბიჩში, კორლეონეს ხეივანში, ხელყუმბარა აფეთქდა, რომელიც მანქანიდან ისროლეს. იმავე ღამეს გრინვიჩ-ვილიჯში, პატარა იტალიურ რესტორანში, კორლეონეს ოჯახის ორი „შემსრულებელი“ ჩაცხრილეს.

1946 წელს ხუთი ოჯახის ომი დაიწყო.

ნაწილი II

თავი მეთორმეტე

ჯონი ფონტეინმა ხელის მსუბუქი მოძრაობით მსახური დაითხოვა და უთხრა: - ხვალამდე, ბილი.

ფერადკანიანმა მსახურმა თავი დაუკრა და უზარმაზარი სასტუმრო ოთახიდან გავიდა, საიდანაც წყნარ ოკეანეზე ხედი იშლებოდა. ეს უფრო მეგობრულ თავის დაკვრას მიაგავდა, ვიდრე მსახურისთვის შესაფერისს, და ისიც მხოლოდ იმიტომ გახდა აუცილებელი, რომ ჯონის სადილად სტუმარი ჰყავდა.

ჯონიმ გადაწყვიტა საღამო ქალიშვილთან გაეტარებინა, რომელსაც შერონ მური ერქვა, გრინვიჩ-ვილიჯიდან (ნიუ-იორკ-სიტი) იყო ჩამოსული. ჰოლივუდში მეორეხარისხოვანი როლისთვის უნდა გაესინჯათ ფილმში, რომელსაც ცნობილი, მაგრამ უკვე ხანში შესული მექალთანე იღებდა. შერონი შემთხვევით იმ პავილიონში აღმოჩნდა, სადაც ჯონი ფონტეინის მონაწილეობით ვოლცის ფილმის გადაღება მიმდინარეობდა. ჯონიმ ქალიშვილს თვალი დაადგა: ნორჩი იყო, ქორფა, მომხიბლავი და გონებამახვილი, - სთხოვა, საღამოს მასთან სახლში სადილად მისულიყო. ჯონის სადილზე მიპატიჟებანი საყოველთაოდ იყო ცნობილი და მეფის ბრძანების ტოლფასი გახლდათ, ამიტომ, რაღა თქმა უნდა, ქალიშვილმა უარი ვერ უთხრა.

ცხადია, შერონ მური ელოდებოდა, რომ ჯონი მას ეგრეევ დააცხრებოდა, მაგრამ ფონტეინი ვერ იტანდა ჰოლივუდურ დამოკიდებულებას ქალისადმი, როგორც „ხორცის ნაჭრისადმი“. არასოდეს წვებოდა ქალთან, თუკი მასში რაღაც განსაკუთრებულად არ მიიზიდავდა. გარდა, რასაკვირველია, იმ შემთხვევებისა, როცა გალეშილი იყო და დილით ლოგინში იღვიძებდა ქალთან, რომელსაც, შეიძლება ითქვას, პირველად ხედავდა. ახლა, ოცდათხუთმეტი წლის ასაკში, მეორეჯერ დაქორწინებული (თუმცა მეორე ცოლთან, ფაქტობრივად, არ ცხოვრობდა), ათასობით ქალზე მოპოვებული გამარჯვების შემდეგ, განსაკუთრებულ სქესობრივ შიმშილს არ გრძნობდა. და მაინც, შერონ მურს ჰქონდა რაღაც, რამაც მიიზიდა და აიძულა, სადილზე დაეპატიჟებინა.

ჯონი ბევრს არასოდეს ჭამდა, მაგრამ იცოდა, ახალგაზრდა, ლამაზი ქალიშვილები ხშირად შიმშილობენ, ოღონდ კი ჩასაცმელისთვის ფული დააგროვონ და, როდესაც სუფრაზე აღმოჩნდებიან, საჭმელს მიაძღებიან ხოლმე. ამიტომ ჯონის სუფრაზე ბლომად კერძები დაეხვავებინა. დასალევიც ბევრი იყო: შამპანურის ბოთლი ყინულიან სათლში, ვისკი, ბრენდი, ლიქიორი. ჯონიმ სუფრაზე სასმელ-საჭმელი თავისი ხელით დაალაგა. ყველაფერი წინასწარ მომზადებული იყო და იქვე მაგიდასთან ეწყო. როდესაც ჭამას მორჩნენ, ჯონიმ ქალიშვილი ოთახში შეიყვანა, რომელსაც ერთი კედელი მინისა ჰქონდა, - პირდაპირ წყნარ ოკეანეს გადაჰყურებდა. ელა ფიცჯერალდის ფირფიტები გადმოიღო, ფირსაკრავზე დადო და შერონის გვერდით სავარძელზე მოკალათდა. ცოტა წაიმუსაიფეს. ჯონი ეკითხებოდა, როგორი იყო ბავშვობაში, ლამაზი თუ უშნო, ახტაჯანა თუ დედიკოს გოგო, მხიარული თუ გულჩათხრობილი. იცოდა, ასეთი დეტალებით დაინტერესება ქალიშვილებს ყოველთვის გულს უჩუყებს, ნაზ გრძნობებს უღვიძებს, რაც სიყვარულისთვის ესოდენ აუცილებელია.

ერთმანეთს მიეხუტნენ, მეგობრებივით, თავს ძალზე კარგად გრძნობდნენ. შემდეგ ჯონიმ ტუჩებში აკოცა. ეს უფრო მეგობრულ კოცნას ჰგავდა და არა ვნებიანს, - და რადგან ქალიშვილი ამით დაკმაყოფილდა, მანაც ასე გააგრძელა.

უზარმაზარი კვადრატული ფანჯრის მიღმა მუქი ლურჯი ოკეანე მთვარის შუქზე ლივლივებდა.

- შენს ფირფიტებს რატომ არ უკრავ? - ჰკითხა შერონმა. ჯონის მისი ხმა აღელვებდა. გაიღიმა. სიამოვნებდა შეგრძნება, რომელსაც მასში შერონი იწვევდა.

- არა ვარ ტიპური ჰოლივუდელი, - მიუგო.

- მაინც დაუკარი რა, ჩემთვის, - სთხოვა ქალიშვილმა, - ანდა შენ თვითონ მიმღერე. როგორც ფილმებში. და მეც წამსვე დავდნები, როგორც ის ქალიშვილები ეკრანზე.

ჯონიმ ჩაიცინა. შედარებით ახალგაზრდა როცა იყო, ზუსტად ამას აკეთებდა, შედეგიც ყოველთვის ერთნაირი გახლდათ. ქალიშვილები ცდილობდნენ, რაც შეიძლება სექსუალურები გამოჩენილიყვნენ, იბნიდებოდნენ, თვალებს ლულავდნენ და ისე იქცეოდნენ, თითქოს უხილავი კინოკამერა იღებდა. ამჯერად სიმღერას არ აპირებდა; ჯერ ერთი, რამდენიმე თვე არ ემღერა, თავისი ხმის იმედი აღარ ჰქონდა. მეორეც, - ჩვეულებრივმა ადამიანმა არ იცის, პროფესიონალი მომღერალი რამდენადაა დამოკიდებული ტექნიკურ საშუალებებზე, მისი ხმა საუკეთესოდ რომ

ჟღერდეს. მას, რასაკვირველია, შეუძლია დაუკრას საკუთარი ფირფიტა, მაგრამ არ სიამოვნებს ახალგაზრდობის დროინდელი ხმის მოსმენა, ზუსტად ისევე, როგორც გამელოტებულ, ღიპიან კაცს არ სიამოვნებს, როცა ეკრანზე თავის თავს ახალგაზრდასა და ჯან-ღონით სავსეს ხედავს.

- ფორმაში არა ვარ, - თქვა მან, - თანაც, სიმართლე გითხრა, საკუთარი თავის მოსმენა მომბეზრდა.

ცოტ-ცოტა მოწრუპეს.

- გავიგე, ახალ ფილმში შესანიშნავად თამაშობ, - უთხრა ქალიშვილმა, - მართალია, რომ უსასყიდლოდ ითამაშე?

- სიმბოლური ანაზღაურებით.

ჯონი წამოდგა, შერონის ჭიქა ბრენდით რომ შეევსო. შემდეგ სიგარეტი მიაწოდა, რომელზეც მისი მონოგრამა ოქროსფერი ასოებით იყო გამოყვანილი და ნათურა ისე მიაბრუნა, ქალიშვილი კარგად რომ გაენათებინა. შერონმა სიგარეტის კვამლი ბოლქვად ამოუშვა და ჭიქიდან მოსვა. ჯონი ისევ გვერდით მიუჯდა. ჭიქაში გაცილებით მეტი ბრენდი ჰქონდა, ვიდრე შერონს. სასმელი გასახურებლად, ასაგზნებად სჭირდებოდა. სიტუაცია იმის საწინააღმდეგო გახლდათ, რაც მამაკაცს აქვს ხოლმე. იმის მაგივრად, ქალიშვილი დაეთრო, თვითონ უნდა დაელია. ქალიშვილები, ჩვეულებრივ, ყველაფრისთვის მზად იყვნენ, მაშინ, როცა თვითონ სურვილს თითქმის ვეღარც გრძნობდა. ბოლო ორი წელი მისთვის ნამდვილი ჯოჯოხეთი იყო და თავს უმარტივესი გზით შველოდა: ღამეს ნორჩ, ქორფა ქალიშვილთან ატარებდა, ერთი-ორჯერ ვახშმობდა მასთან, ყიდულობდა მისთვის ძვირფას საჩუქარს და ძალზე ტაქტიანად იცილებდა თავიდან, - ისე, რომ მათ შორის ყველაზე მგრძნობიარეც კი ნაწყენი არ რჩებოდა. ამის შემდეგ მათ სრული უფლება ჰქონდათ ეამაყათ, რომ დიდ ჯონი ფონტეინთან „რაღაც“ ჰქონდათ.

ჯონი ვერ იტანდა ვულგარულ ქალებს, რომლებიც იჟიმავებდნენ თუ არა მასთან, მაშინვე გარბოდნენ და დაქალებს უყვებოდნენ, ჯონი ფონტეინთან ვიწექიო, თანაც ყოველთვის დასძენდნენ, უფრო დიდი სიამოვნებაც მიმიღიაო ცხოვრებაში. ჯონის განსაკუთრებით აცვიფრებდნენ ქმრები, რომლებიც ეუბნებოდნენ, რომ ცოლებს მასთან ღალატი აპატიეს, რადგან ყველაზე ერთგულმა ცოლმაც კი შეიძლება ერთხელ უღალატოს ქმარს ისეთ სახელგანთქმულ მომღერალსა და კინოვარსკვლავთან, როგორიც ჯონი ფონტეინია. ასეთი საუბრები სახტად ტოვებდა.

ჯონის ელა ფიცჯერალდის ჩანაწერები უყვარდა. მისი სიმღერის სიკამკამე და სიცხადე. ეს იყო ერთადერთი რამ ცხოვრებაში, რაც ესმოდა და ესმოდა ბოლომდე, სხვებზე უკეთ. ახლა, სავარძელზე გადაწოლილს, ბრენდისაგან ყელგახურებულს, მოუნდა, ემღერა. არა, უბრალოდ, ხმა აეყოლებინა ელა ფიცჯერალდისათვის, მაგრამ ამას უცხო ადამიანის თანდასწრებით ვერ გააკეთებდა. ერთი ხელი შერონს თეძოზე დაადო მშვიდად, მეორით ბრენდის ჭიქა ეჭირა. ყოველგვარი მორიდების გარეშე, თითქოსდა ბავშვის მგრძნობელობით, სითბოს რომ ეძებს, კაბის კალთა აუწია, აჟურული მაღალი წინდით დაფარული, რძესავით თეთრი ლაჯები გაუშიშვლა და როგორც ყოველთვის, - მიუხედავად უამრავი ქალისა, ვისთანაც ახლოს ყოფილა, მიუხედავად განვლილი წლებისა, - ჯონიმ მთელ სხეულში დატრიალებული

სიმხურვალე იგრძნო. სასწაული ჯერ კიდევ ხდებოდა, მაგრამ რაღა ეშველება, როცა ერთხელ ესეც უღალატებს, როგორც ხმამ უღალატა?

ახლა ჯონი უკვე მზად იყო. კოქტეილის ჭიქა გრძელ, ინკრუსტირებულ მაგიდაზე დადგა და შერონისკენ შებრუნდა. მეტად თავდაჯერებული, მაგრამ, ამავე დროს, ძალზე დელიკატური და ნაზი იყო. მის საქციელში არაფერი ყოფილა უხამსი. ტუჩებში აკოცა, მკერდზე ეფერებოდა. საპასუხო კოცნა მხურვალე იყო, თუმცა არცთუ ვნებიანი, მაგრამ იმწამს სწორედ ასეთი ერჩივნა. ვერ იტანდა ქალიშვილებს, რომლებიც უცბად აინთებოდნენ, მექანიზმებივით, თითქოსდა მათი სხეული რაღაც დამუხტული ძრავა, ეროტიკული ტუმბო ყოფილიყოს, თმიან ჩამრთველზე ხელის ერთი შეხებით რომ იწყებს მოქმედებას.

შემდეგ ჯონიმ გააკეთა ის, რასაც ჩვეულებრივ აკეთებდა და რაც პირადად მას არასოდეს აღაგზნებდა. თითი ლაჯებს შუა ღრმად, ნელა და ნაზად შეუყო. ზოგიერთი ქალიშვილი ამ პირველ სასიყვარულო მოძრაობას ვერც კი აღიქვამდა. ზოგიერთი იბნეოდა, რადგან ამ დროს ის ყოველთვის ვნებიანად კოცნიდა ხოლმე ტუჩებში. ზოგიც კიდევ მის თითს თითქოსდა სხეულში იწოვდა ტანის მოძრაობით. და ზოგიც, ცხადია, სანამ ჯონი საქვეყნოდ ცნობილი ვარსკვლავი გახდებოდა, სილას შემოარტყამდა ხოლმე. მთელი მისი ტექნიკა ეს გახლდათ და ჩვეულებრივ სავსებით საკმარისიც აღმოჩენილა.

შერონს უჩვეულო რეაქცია ჰქონდა. თითქოს ყველაფერი მიიღო: თითის შეხებაც, კოცნაც, მაგრამ მერე ნელ-ნელა უკან დაიწია, საზურგეს მიეყრდნო და ხელში ჭიქა აიღო. ეს ცივი, კატეგორიული უარი იყო. ასეთი რამ ზოგჯერ მომხდარა. იშვიათად, მაგრამ მომხდარა. ჯონიმაც ჭიქა აიღო და სიგარეტს მოუკიდა.

შერონი მსუბუქად, ლამის ტკბილად ალაპარაკდა: - იმიტომ კი არა, თითქოს არ მომწონდე, გაცილებით უკეთესი ხარ, ვიდრე მოველოდი. და არც იმიტომ, თითქოს სხვა კატეგორიას ვეკუთვნი. უბრალოდ, ჯერ უნდა ავენთო, კაცთან ეს რომ გავაკეთო. გესმის, რას ვგულისხმობ?

ჯონი ფონტეინმა გაუღიმა. ქალიშვილი ჯერ კიდევ მოსწონდა.

- და მე ვერ აგანთე?

შერონი, ცოტა არ იყოს, დაბნეული ჩანდა.

- იცი, როდესაც დიდი მომღერალი და ყველაფერიც გახდი, მე ჯერ კიდევ პატარა ბავშვი ვიყავი. ჩვენ ერთმანეთს ავცდით, მე სხვა თაობას ვეკუთვნი. მართლა, იმიტომ არა, თითქოს უკარება ვიყო. შენ რომ ჯეიმზ დინი ანდა ვინმე სხვა იყო, ვისთანაც ერთად გავიზარდე, ერთ წამში დაგიწვებოდი.

ახლა უკვე ნაკლებად მოსწონდა. მომხიბლავი, გონებამახვილი და ჭკვიანი იყო. რაც უნდა დასჯდომოდა, მასთან ლოგინში ჩაწოლას და ჰოლივუდში მისი კავშირების თავის სასარგებლოდ გამოყენებას არ ცდილობდა. ერთობ პირდაპირი ქალიშვილი გახლდათ, მაგრამ ჯონი მასში კიდევ სხვა რაღაცასაც ხედავდა. მსგავსი შემთხვევა რამდენჯერმე ადრეც ჰქონია. ქალიშვილი პაემანზე მოსულა მტკიცე გადაწყვეტილებით, ლოგინში არ ჩასწოლოდა, არ ეფიქრა იმაზე, რამდენად ძლიერ მოსწონს იგი და ეს ყველაფერი მხოლოდ იმისთვის, რომ მერე დაქალებისთვის

მოეყოლა, როგორ თქვა უარი სახელგანთქმულ ჯონი ფონტეინთან ეჟიმავა. ახლა, როცა წლები მოემატა, მსგავსი სურვილის გაგება უკვე შეეძლო და აღარ ბრაზდებოდა. უბრალოდ, ქალიშვილი ნაკლებად მოსწონდა.

და ახლა, როცა შერონი ნაკლებად მოსწონდა, მეტადაც მოდუნდა. რამდენიმე ყლუპი მოსვა და ოკეანეს გახედა. შერონმა უთხრა: - იმედი მაქვს, არ გწყინს. მესმის, ჯონი, ფრიგიდულივით ვიქცევი. ვიცი, რომ ჰოლივუდში გოგოები ისევე ადვილად წვებიან ლოგინში, როგორც ამბობენ: ,,ღამე მშვიდობისა", მაგრამ მე ამას ჯერ ვერ მივეჩვიე.

ჯონიმ მსუბუქად მოუთათუნა ხელი ლოყაზე, კაბა გაუსწორა და უთხრა: - რა თქმა უნდა, არ მწყინს. ასეთი ძველმოდური პაემანი უფრო მომწონს კიდეც.

მაგრამ ჯონის, რასაკვირველია, არ უთქვამს, - სინამდვილეში შვებას გრძნობდა, თავისი სუპერმამაკაცური რეპუტაციის დამტკიცება რომ აღარ მოუწევდა; იმის მტკიცება, თითქოს ცხოვრებაშიც ისეთი მაგარია, როგორიც კინოში... და მერე არ მოუწევდა ყალბი ქათინაურების მოსმენა.

კიდევ თითო ჭიქა დალიეს და რამდენჯერმე საკმაოდ მშრალად აკოცეს ერთმანეთს. შერონი წამოდგა და თქვა, ჩემი წასვლის დროაო.

- შეიძლება, კიდევ დაგირეკო და ვახშამზე დაგპატიჟო? - ჯონიმ თავაზიანად ჰკითხა.

ქალიშვილი ბოლომდე გულახდილი იყო.

- მესმის, არ გინდა დროს კარგავდე და ვერ კმაყოფილდებოდე, - თქვა მან, - დიდი მადლობა მშვენიერი საღამოსათვის. ოდესმე ჩემს შვილებს მოვუყვები, რომ სახელგანთქმულ ჯონი ფონტეინთან ვახშამზე მის აპარტამენტში სრულიად მარტო ვიყავი.

ჯონიმ გაუღიმა.

- და რომ არ მომეცი, - თქვა მან.

ორივეს გაეცინა.

- ამას არავინ დაიჯერებს, - მიუგო შერონმა.

მაშინ ჯონიმ ტყუილუბრალოდ შესთავაზა: - გინდა წერილობით დაგიდასტურებ?

ქალიშვილმა უარის ნიშნად თავი გააქნია. ჯონიმ განაგრძო: - თუკი ვინმე არ დაგიჯერებს, დამირეკე და მოვუყვები ყველაფერს - როგორ დაგდევდი ოთახიდან ოთახში, შენ კი შენს ღირსებას იცავდი. ო,კეი?

ჯონი, საბოლოოდ, ცოტა არ იყოს, სასტიკად მოექცა. გაუკვირდა, შერონს სახეზე ტკივილი ესოდენ აშკარად რომ გამოეხატა. ქალიშვილი მინიშნებას მიუხვდა, - ჯონი მაინცდამაინც არაფერს ცდილა. თავისი ნათქვამით მან შერონს გამარჯვებით მიღებული სიამოვნება ჩაუშხამა. შერონი ახლა მიხვდება, რომ გამარჯვებული ამ ღამეს თავისი ქალური მომხიბლაობისა თუ მიმზიდველობის ნაკლებობის გამო დარჩა. და ყოველთვის, როცა მოჰყვება, როგორ უწევდა წინააღმდეგობას ჯონი ფონტეინს, იძულებული იქნება, დაამატოს: ,,მაგრამ, რასაკვირველია, მეტისმეტად დაჟინებულიც არ ყოფილა".

ჯონის შერონი შეეცოდა და უთხრა: - თუკი ოდესმე ძალიან ცუდ გუნებაზე იქნები, დამირეკე. ო,კეი? მართლა ყველა გოგოს კი არ ვჟიმავ, ვისაც ვიცნობ.

- აუცილებლად დაგირეკავ, - უპასუხა შერონმა.

ჯონი მარტო დარჩა. მთელი საღამო მარტო უნდა გაეტარებინა. რასაკვირველია, შეეძლო ესარგებლა იმით, რასაც ვოლცი ,,ხორცის ფაბრიკას" ეძახდა, ანუ დამწყები კინომსახიობი გოგონების ,,მომსახურებით", მაგრამ მას ადამიანური ურთიერთობა სჭირდებოდა. პირველი ცოლი, ვირჯინია, გაახსენდა. ახლა, როცა ფილმის გადაღება დასრულებულია, შვილებთან ურთიერთობისთვის მეტი დრო ექნება. ისევ უნდა, მათ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობა მიიღოს. გარდა ამისა, თვით ვირჯინიაც აფიქრებდა. ჰოლივუდელი ,,ტარზანებისაგან" საკმარისად დაცული არ არის, თავს დასტრიალებენ, რომ მერე იტრაბახონ, ჯონი ფონტეინის პირველი ცოლი გავჟიმეთო. ჯერჯერობით ამას, რამდენადაც იცის, ვერავინ ამბობს. ,,სამაგიეროდ, ყველას შეუძლია, ეს ჩემი მეორე ცოლის შესახებ თქვას", - გაიფიქრა დაძმარებული ღიმილით. ტელეფონის ყურმილს დასწვდა, ნომერი აკრიფა.

ხმა მაშინვე იცნო და ეს სულაც არ იყო გასაკვირი. პირველად მაშინ გაიგონა, როცა ორივენი ათი წლისანი იყვნენ და ერთსა და იმავე, მე-4ბ ჯგუფში სწავლობდნენ.

- ჰაი, ჯინი, - უთხრა მან, - ამ საღამოს დაკავებული ხარ? შეიძლება, ცოტა ხნით შემოგიარო?

- კარგი, - უპასუხა ვირჯინიამ, - ბავშვებს უკვე სძინავთ. გაღვიძება არ მინდა.

- ო,კეი, - მიუგო ჯონიმ, - უბრალოდ, მინდა, დაგელაპარაკო.

ვირჯინიას ხმაზე ყოყმანი დაეტყო, მაგრამ მერე თავი ხელში აიყვანა და ისე, რომ მღელვარება არ დასტყობოდა, ჰკითხა: - რამე სერიოზული ხომ არ მოხდა?

- არა, - მიუგო ჯონიმ, - ფილმი დავასრულეთ და ვიფიქრე, ვნახავ, დაველაპარაკები-მეთქი. იქნებ, ბავშვებსაც შევავლო თვალი. ვეცდები, არ გავაღვიძო.

- ო,კეი, - უპასუხა ჯინიმ, - მიხარია, ის როლი რომ მიიღე, რომელიც გინდოდა.

- გმადლობ, - უთხრა ჯონიმ, - დაახლოებით ნახევარ საათში მანდ ვიქნები.

როდესაც ბევერლი-ჰილზში თავის ყოფილ სახლს მიადგა, ჯონი ფონტეინი ერთხანს მანქანაში იჯდა და შენობას უყურებდა. ნათლიის სიტყვები გაახსენდა, თავისი ცხოვრება თვითონ რომ უნდა განაგოს. ამის კარგი შანსი გაქვს, თუკი იცი, რა გინდა, მაგრამ განა იცის, რა უნდა?

პირველი ცოლი კარში დახვდა. კოხტა, საშუალო სიმაღლის შავგვრემანი იტალიელი გოგო იყო, მეზობლად რომ ცხოვრობს და არასოდეს გიღალატებს. ეს კი მისთვის ძალზე მნიშვნელოვანი გახლდათ. სურს თუ არა იგი კიდევ? - ჯონიმ თავის თავს ჰკითხა. პასუხი უარყოფითი იყო. ჯონის აღარ შეეძლო მისი სიყვარული, აღარ ჰქონდა მასთან ცხოვრების სურვილი, მეტისმეტად დიდი ხნის ურთიერთობა აკავშირებდა. გარდა ამისა, იყო რამდენიმე რაღაც, რაც სექსს არ ეხებოდა და რასაც ჯინი მას ვერასოდეს აპატიებდა.

ჯინიმ ყავა მოუმზადა და სასტუმრო ოთახში შინაურულ ნამცხვართან ერთად მიართვა.

- სავარძელზე მოთავსდი, - უთხრა, - დაღლილი ჩანხარ.

ჯონიმ პიჯაკი და ფეხსაცმელი გაიხადა, ჰალსტუხი მოიშვა. ამ დროს ჯინი მის წინ ოდნავ შესამჩნევი ღიმილით სავარძელში ჩაეშვა.

- უცნაურია, - თქვა მან.

- რა არის უცნაური? - იკითხა ჯონიმ.

- სახელგანთქმული ჯონი ფონტეინი საღამოს სასიყვარულო პაემნის გარეშე ატარებს.

- სახელგანთქმული ჯონი ფონტეინი ბედნიერი იქნება, თუკი საერთოდ აუდგა.

ესოდენ გულახდილი ჯონი იშვიათად ყოფილა. ვირჯინიამ ჰკითხა: - მართლა მოხდა რამე?

- შეხვედრა მქონდა ერთ გოგოსთან და დამეთესა... და იცი, შვება ვიგრძენი.

თავისდა გასაოცრად, დაინახა, ჯინის სახეზე გაბრაზებამ როგორ გადაურბინა.

- მაგ შენი პატარა ჩათლახების გამო ნერვებს ნუ მოიშლი. ნამდვილად ჰგონია, რომ ასე უფრო დაინტერესდები მისით.

ჯონიმ კმაყოფილება იგრძნო, - ჯინი ბრაზობს ქალიშვილზე, რომელმაც მოასრიალა.

- ჯანდაბამდის გზა ჰქონია, - თქვა მან, - მომბეზრდა ეს ნაყარნუყარი. აზრზე უნდა მოვიდე. ახლა, როცა ხმა დავკარგე, ქალებთანაც, ალბათ, უფრო რთულად წამივა საქმე. ჩემი გარეგნობის იმედი დიდად ისედაც არასოდეს მქონია...

ჯინიმ დაამშვიდასავით: - ყოველთვის უკეთესად გამოიყურები, ვიდრე ფოტოებზე გამოდიხარ.

ჯონიმ თავი გააქნია.

- ვსუქდები და ვმელოტდები. ჯანდაბა, თუკი ეს ფილმი სახელს არ დამიბრუნებს, ალბათ, პიცის ცხობა უნდა ვისწავლო. ანდა, იქნებ, ჩაგიწყო, კინოში გადაგიღონ, მშვენივრად გამოიყურები.

ვირჯინია ოცდათხუთმეტი წლისა იყო. კარგად გამოიყურებოდა, მაგრამ თავისი ასაკის შესაფერისად. აქ კი, ჰოლივუდში, ეს იმას ნიშნავდა, ასი წლისა რომ ყოფილიყო. ახალგაზრდა, მშვენიერი ქალიშვილები ქალაქს კალიებივით მოსდებოდნენ, - ერთ ან ორ წელს ძლებდნენ. ზოგიერთი ისეთი ლამაზი იყო, სუნთქვა შეგეკვრებოდა, ოღონდ მანამ, სანამ სიტყვას იტყოდა, სანამ ფულისა და სახელის მოპოვების ხარბი სურვილი მის მშვენიერებას გააუფერულებდა. ჩვეულებრივი ქალი გარეგნობით მათ კონკურენციას ვერ გაუწევდა. შეიძლება, დაუსრულებლად ილაპარაკო პიროვნულ ხიბლზე, ჭკუაზე თუ მიხრა-მოხრაზე, მაგრამ ყველაფერს ბუნებრივი სილამაზე გადაფარავდა. შესაძლოა, ლამაზმანები ასე ბევრნი რომ არ ყოფილიყვნენ, შანსი სასიამოვნო გარეგნობის ქალებსაც გასჩენოდათ.

და რადგან ჯონი ფონტეინს შეეძლო, ჰოლივუდის თითქმის ყველა ლამაზმანი ლოგინში ჩაეწვინა, ჯინი ხვდებოდა, რაც ახლა უთხრა, მხოლოდ და მხოლოდ ქათინაური იყო. ამ მხრივ, იგი ყოველთვის ხელგაშლილი გახლდათ. ყოველთვის, დიდების ზენიტში მყოფიც კი, ქალებთან საოცრად თავაზიანი იყო, საქებარ სიტყვებს არ იშურებდა, კარის გაღება და სიგარეტის მოსაკიდებლად სანთებლის მომარჯვება არ ავიწყდებოდა. და რადგანაც ამას თვით იგი აკეთებდა, ეს ყოველთვის ახდენდა შთაბეჭდილებას, განსაკუთრებით, იმ ქალიშვილებზე, ვისთანაც მერე ღამეს ატარებდა. ასე ექცეოდა ყველა ქალს, იმასაც კი, ვისი სახელიც კი არ იცოდა, თუმცა ლოგინში იწვენდა.

ჯინიმ მეგობრულად გაუღიმა: - შენ მე ოცი წლის განმავლობაში მიწყობდი საქმეს. არ გინდა, ჩემთან ეგეთები არ გჭირდება.

ჯონიმ ამოიოხრა და სავარძელზე გადაწვა.

- მართლა, ჯინი, მშვენივრად გამოიყურები. ნეტავი მეც ასეთ კარგ ფორმაში ვიყო.

ჯინიმ არაფერი უპასუხა. ცხადად ხედავდა, რაღაც აწუხებდა.

- ფილმი როგორი გამოვიდა? კმაყოფილი ხარ? - იკითხა მან.

ჯონიმ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

- კი. ამ ფილმმა შეიძლება ამომქაჩოს. თუკი აკადემიის პრიზს მივიღებ და კარტებს სწორად გავათამაშებ, სიმღერის გარეშეც შევძლებ ძველი სახელის დაბრუნებას. მაშინ შენ და ბავშვებს უფრო მეტ ფულს მოგცემთ.

- ისედაც საკმარისი გვაქვს, - მიუგო ჯინიმ.

- ბავშვები უფრო ხშირ-ხშირად მინდა ვინახულო, - თქვა ჯონიმ, - იქნებ, ყოველ პარასკევ საღამოს მოვიდე ხოლმე და ბავშვებთან ერთად ვისადილო? სიტყვას გაძლევ, ერთ პარასკევსაც არ გავაცდენ. მიუხედავად იმისა, რამდენად შორს ვიქნები ან რამდენად დაკავებული. და მერე, როცა შევძლებ, უქმე დღეებსაც ბავშვებთან გავატარებ, ანდა, იქნებ, იმათ გაატარონ ჩემთან არდადეგების ნაწილი?

ჯინიმ მკერდზე საფერფლე დაადო.

- წინააღმდეგი არ ვიქნები, - თქვა მან, - იმიტომაც არ გავთხოვდი, რომ მინდოდა მათთვის მამობა გაგეწია.

ეს ყველაფერი სრულიად უემოციოდ წარმოთქვა, მაგრამ ჯონი მიხვდა, ეს იმ გესლიან სიტყვებზე უარის თქმას ნიშნავდა, რომლებიც ერთხელ უთხრა, როდესაც მათმა ოჯახმა ნგრევა, მისმა კარიერამ კი თავქვე დაშვება დაიწყო.

- ჰო, მართლა, აბა, გამოიცანი, ვინ დამირეკა დღეს, - უთხრა ჯინიმ.

ჯონის ასეთი თამაშები არასოდეს ხიბლავდა, ამიტომ კითხვაზე კითხვით უპასუხა: - ვინ?

ჯინიმ მოუგო: - მიდი, გამოიცანი, ერთი შეცდომის უფლებას გაძლევ.

ჯონიმ არაფერი უპასუხა.

- შენმა ნათლიამ, - უთხრა ჯინიმ.

ჯონი განცვიფრდა: - ტელეფონით საერთოდ არავის ელაპარაკება... და რა გითხრა?

- მთხოვა, დაგეხმარო, - მიუგო ჯინიმ, - მითხრა, რომ შეიძლება ძველი სახელი დაიბრუნო და რომ სწორ გზაზე დგახარ, მაგრამ გჭირდება ადამიანები, რომელთაც შენი რწმენა ექნებათ. ვკითხე, ეს ადამიანი მე რატომ უნდა ვიყო-მეთქი. ,,იმიტომ, რომ შენი შვილების მამაა", - მიპასუხა. რა შესანიშნავი მოხუცია, გაზეთებში კი მასზე რამდენ საზიზღრობას წერენ.

ვირჯინიას ტელეფონი არ უყვარდა. სახლში ორი აპარატი ედგა, ერთი საძინებელში, ერთიც - სამზარეულოში. მოულოდნელად სამზარეულოდან ზარის ხმა გაისმა. ჯინი გავიდა და მალევე შემობრუნდა გაკვირვებული: - ჯონი, ტელეფონთან გეძახიან. ტომ ჰეიგენია, ამბობს, სერიოზული საქმე მაქვსო.

ჯონი სამზარეულოში შევიდა და ყურმილი აიღო.

- გისმენ, ტომ, - თქვა მან.

ჰეიგენი მშრალად ლაპარაკობდა.

- ნათლიას უნდა, რომ კალიფორნიაში ჩამოვიდე და შენი საქმეები მოვაგვარო, რაც ახლა, ფილმის დასრულების შემდეგ, დაგეხმარება. უნდა, რომ დილის თვითმფრინავით ჩამოვიდე. შეგიძლია, ლოს-ანჯელესში დამხვდე? იმავე საღამოს უკან უნდა დავბრუნდე, ასე რომ, არ იღელვო, ღამეს არ დაგაკარგვინებ.

- რასაკვირველია, დაგხვდები, - უთხრა ჯონიმ, - და თუკი ერთ ღამეს დამაკარგვინებ, არაფერია. დარჩი აქ ღამით. დაისვენე. წვეულებას მოვაწყობ. კინოს ხალხს გაგაცნობ.

ჯონი ასეთ რაღაცას ყოველთვის სთავაზობდა ხოლმე, არ უნდოდა, ეფიქრათ, თითქოს თავის ძველ მეგობრებთან ურთიერთობისა რცხვენოდა.

- გმადლობ, - უთხრა ჰეიგენმა, - მაგრამ პირველივე თვითმფრინავით მომიწევს დაბრუნება. ო,კეი, 11.30-ზე თვითმფრინავის დასახვედრად მოხვალ?

- აუცილებლად.

- მანქანაში დარჩი, - უთხრა ჰეიგენმა, - კაცი გამოუშვი თვითმფრინავთან, შენს მანქანამდე რომ მომიყვანოს.

- მოსულა.

ჯონი სასტუმრო ოთახში დაბრუნდა. ვირჯინიამ კითხვითი გამომეტყველებით შეხედა.

- ნათლიას რაღაც გეგმები აქვს, უნდა, რომ დამეხმაროს, - თქვა ჯონიმ, - ფილმში როლი როგორ მიშოვა, წარმოდგენა არა მაქვს, მაგრამ მირჩევნია, მეტად აღარ ჩაერიოს ამ ყველაფერში.

ჯონი სავარძელზე ჩამოჯდა. ძალიან დაღლილი ჩანდა.

- იქნებ დარჩე აქ ღამე, სტუმრების ოთახში დაიძინე, ხვალ დილით კი ბავშვებთან ერთად ისაუზმებ, - უთხრა ჯინიმ, - ცუდად ვხდები ხოლმე, როცა წარმოვიდგენ, იმხელა სახლში სრულიად მარტო ხარ. თავს არ გრძნობ ცუდად?

- სახლში იშვიათად ვარ ხოლმე.

- ესე იგი, არ შეცვლილხარ, - უთხრა ჯინიმ სიცილით.

შემდეგ პაუზა გააკეთა და იკითხა: - ცალკე საძინებელში გაგიშალო?

- იქნებ შენს საძინებელში დავწვე? - ჰკითხა ჯონიმ.

ჯინი გაწითლდა. მერე უთხრა: - არა.

ერთმანეთს გაუღიმეს. კვლავაც მეგობრები იყვნენ.

როდესაც დილით გაეღვიძა, ჩამოშვებულ ფარდებში აქა-იქ შემოსული მზის სხივების მიხედვით ჯონიმ განსაზღვრა, საკმაოდ გვიან უნდა ყოფილიყო.

- ჰეი, ჯინი, - დაიყვირა, - საუზმე მეკუთვნის თუ აღარ?

- ერთი წამით! - მოესმა სამზარეულოდან.

და მართლაც, წამიც არ იყო გასული, - ჯონიმ ის იყო პირველ სიგარეტს მოუკიდა, - რომ კარი გაიღო და მისმა ორმა პატარა ქალიშვილმა ოთახში გორგოლაჭიანი მაგიდა შემოაგორა, რომელზედაც ცხელი საუზმე იყო. ეტყობა, ჯინიმ ყველაფერი წინასწარ გაამზადა და მხოლოდ მის დაძახებას ელოდა.

გოგონები იმდენად ლამაზები იყვნენ, რომ ჯონის გული შეეკუმშა. ნათელი სახეები და ცოცხალი, ცნობისმოყვარეობით აღსავსე თვალები ჰქონდათ. ძლივს ითმენდნენ, ისე უნდოდათ მისკენ გამოქანება. თმა ძველ მოდაზე შეეკრათ, - ე. წ. ცხენის კუდებად; ძველმოდური წინსაფრები ეკეთათ და თეთრი ტყავის ფეხსაცმელები ეცვათ. გორგოლაჭიან მაგიდასთან იდგნენ და ელოდებოდნენ, როდის ჩააქრობდა სიგარეტს და მოუხმობდა. ჯონიმ ხელები ფართოდ გაშალა, გოგონები მისკენ გაქანდნენ და ჩაეხუტნენ. ჯონის სახე მათ ლოყებს შორის მოექცა. ამ დროს ოთახში ჯინი შემოვიდა, გორგოლაჭიანი მაგიდა მასთან ახლოს მიაგორა. ასე რომ, პირდაპირ საწოლში შეეძლო ესაუზმა. შემდეგ ჯინი საწოლის კიდეზე ჩამოჯდა, ყავა დაუსხა და ტოსტებზე კარაქი წაუსვა. გოგონები საძინებელში მდგარ ტახტზე ჩამომსხდრები უყურებდნენ. უკვე მეტისმეტად დიდები იყვნენ, მათთან ერთად ბალიშებით ბრძოლა რომ გაემართა ან ჰაერში სათითაოდ აესროლა. ო, ღმერთო, ცოტა ხანში სულ გაიზრდებიან და ჰოლივუდელი ლოველასები მათზე ნადირობას დაიწყებენ.

საუზმობისას ტოსტები და ბეკონი გოგონებს გაუყო, რამდენიმე ყლუპი ყავაც მოასმევინა. ეს მათი ძველი ჩვეულება გახლდათ, ჯერ კიდევ იმდროინდელი, როცა ორკესტრთან ერთად გამოდიოდა და შინ იშვიათად იყო ხოლმე. გოგონებს მოსწონდათ მასთან ერთად უდროო დროს ჭამა, - ვახშმობა დილით ან საუზმე საღამოს. მოსწონდათ დილის შვიდ საათზე სტეიკისა და კარტოფილი-ფრის, სადილზე კი ბეკონიანი ერბოკვერცხის მირთმევა.

მხოლოდ ჯინიმ და მისმა რამდენიმე მეგობარმა იცოდნენ, რამდენად აღმერთებდა თავის გოგონებს. ამიტომ გაყრა და სახლიდან წასვლა მისთვის ძალზე მძიმე გადასაწყვეტი იყო. ერთადერთი, რის შესანარჩუნებლადაც ბოლომდე იბრძოდა, მამის სტატუსი გახლდათ. პირდაპირ მიანიშნა ჯინის, რომ სასტიკად არ მოეწონება, თუკი მეორედ გათხოვდება, რადგან მის ახალ ქმარზე კი არა, არამედ გოგონების მამობილზე იეჭვიანებს. გაყრისას ისეთი შეთანხმება გააფორმა, რომ ფულს ჯინის უხდიდა. ასე რომ, ხელახალი ქორწინების შემთხვევაში, იგი ბევრს დაკარგავდა. ცხადი იყო, მას შეიძლება საყვარლები ჰყოლოდა, ოღონდ თუკი ისინი ოჯახის საქმეში არ ჩაერეოდნენ. თუმცა, ამ მხრივ, ჯინის სავსებით ენდობოდა. სექსის თვალსაზრისით, ყოველთვის მეტისმეტად მორცხვი და ძველმოდური გახლდათ. ჰოლივუდელმა ჟიგოლოებმა ვერაფერი გააწყვეს, როდესაც მის გარშემო დაიწყეს სუნსული, არკვევდნენ, მისი სახელგანთქმული ქმრისგან რა სარგებელი შეიძლებოდა ენახათ.

ჯონის არ გასჩენია შიში, რომ ჯინი ოჯახის აღდგენას ეცდებოდა, რადგან წინა ღამით მასთან დაწოლა მოინდომა. არც ერთ მათგანს ძველი ურთიერთობის განახლება არ სურდა. ჯინის ესმოდა, - დაუძლეველი ლტოლვა აქვს სილამაზისადმი, ახალგაზრდა ქალებისადმი, რომლებიც გარეგნულად სჯობდნენ. ცნობილი იყო, რომ ჯონი ერთხელ მაინც იწვენდა ლოგინში იმას, ვისთან ერთადაც ფილმში თამაშობდა. ჯონის პარტნიორი მსახიობი ქალები მის ყმაწვილკაცურ მომხიბლაობას წინააღმდეგობას ვერ უწევდნენ, ისევე, როგორც თვით იგი მათ სილამაზეს.

- მალე უნდა ადგე, - უთხრა ჯინიმ, - ტომის თვითმფრინავი საცაა ჩამოფრინდება.

ჯინიმ გოგოებს ანიშნა, ოთახიდან გასულიყვნენ.

- ჰოო, - მიუგო ჯონიმ, - სხვათა შორის, ჯინი, იცი, ცოლს რომ ვეყრები? მალე ისევ თავისუფალი კაცი ვიქნები.

ჯინი უყურებდა, როგორ იცვამდა. სუფთა ტანსაცმელი ამ სახლში მისთვის ყოველთვის გამზადებული გახლდათ მას მერე, რაც ახალ შეთანხმებას მიაღწია ჯინისთან, - კონი კორლეონეს ქორწილის შემდეგ.

- ორ კვირაში შობაა, - უთხრა ჯინიმ, - აპირებ აქ ყოფნას?

ეს პირველი შემთხვევა იყო, როდესაც ჯონი არდადეგებზე ფიქრობდა. როცა ხმა კარგ ფორმაში ჰქონდა, დღესასწაულები და უქმეები ყველაზე შემოსავლიანი პერიოდი გახლდათ მისთვის, განსაკუთრებით, საშობაო არდადეგები. მეორეჯერ უშვებს ხელიდან ასეთ ხელსაყრელ შესაძლებლობას. შარშან შობაზე ესპანეთში გახლდათ, თავის მომავალ მეორე ცოლს თავს ევლებოდა, არწმუნებდა, დავქორწინდეთო.

- კი, - თქვა ჯონიმ, - შობაზეც და შობის წინაც.

ახალი წელი არ უხსენებია. ახალი წლის დამდეგი აწყვეტის საღამო იქნებოდა, რაც დროდადრო აუცილებელი იყო მისთვის, - მეგობრებთან ერთად დალევდა, ასეთ დროს კი გვერდით ყოფილი ცოლი სრულიად ზედმეტია.

ჯინი დაეხმარა პიჯაკის ჩაცმაში და ჯაგრისითაც კი გაუწმინდა. ჯონი ტანსაცმელს ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა. ჯინიმ შენიშნა, როგორ მოიღუშა

ჯონი, როცა დაინახა, პერანგი მისი გემოვნებისამებრ არ იყო გაქათქათებული, მანჟეტების სარჭებიც კარგად არ შეიკრა. ჯინიმ გაიცინა და უთხრა: - ტომი ვერაფერს შეამჩნევს.

სამმა ქალმა გამოაცილა და მანქანამდე მიჰყვა. აქეთ-იქით გოგონებს ჩაეკიდათ მისთვის ხელი, ცოტა მოშორებით ჯინი მოდიოდა. უხაროდა, რომ ჯონის ასე ბედნიერს ხედავდა. როდესაც მანქანასთან მივიდნენ, გოგონები ჰაერში რიგრიგობით დააპროწიალა და გადაკოცნა. შემდეგ ცოლსაც აკოცა და მანქანაში ჩაჯდა. დამშვიდობების ცერემონიალი არასოდეს ჰყვარებია.

ჰეიგენის დახვედრა ჯონის პიარმენეჯერმა მოამზადა. ჯონის სახლთან მანქანა ელოდებოდა, რომელიც მძღოლიანად დაიქირავეს. მანქანაში ისხდნენ პიარმენეჯერი და კიდევ ერთი კაცი ჯონის გარემოცვიდან. ჯონიმ თავისი ავტომობილი დატოვა, დაქირავებულში გადაჯდა და აეროპორტისკენ გასწიეს. შემდეგ ტომ ჰეიგენს დიდხანს უცადა მანქანიდან გადმოუსვლელად, - პიარმენეჯერი მას თვითმფრინავთან დახვდებოდა. ბოლოს და ბოლოს, ტომი მანქანაში ჩაჯდა. ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს და ჯონის სახლისკენ გაემართნენ.

და, აი, ჯონი და ტომი სასტუმრო ოთახში მარტო დარჩნენ. ცოტა არ იყოს, დაძაბული ურთიერთობა ჰქონდათ. ჯონის ვერაფრით ეპატიებინა ჰეიგენისთვის, რომ მასსა და დონს შორის ერთგვარი ბარიერის როლს თამაშობდა იმ ავადგასახსენებელ დროს, როდესაც დონი მასზე გულმოსული გახლდათ, - კონის ქორწინებამდე. ტომი თავისი საქციელისთვის ბოდიშს არასოდეს იხდიდა. უბრალოდ, არ შეეძლო. მის ერთ-ერთ პირდაპირ მოვალეობას შეადგენდა სწორედ ერთგვარი მეხამრიდის ფუნქციის შესრულება, - დონისთვის უნდა აეცილებინა და თავის თავზე მიეღო ის უარყოფითი ემოციები, რომლებიც, ფაქტობრივად, დონის წინააღმდეგ გახლდათ მიმართული.

- ნათლიამ გამომგზავნა, რომ საქმეების მოგვარებაში დაგეხმარო, - უთხრა ტომმა, - შობამდე ყველაფერს უნდა მოვრჩეთ.

ჯონიმ მხრები აიჩეჩა.

- ფილმი დასრულებულია. რეჟისორი კარგი ტიპი აღმოჩნდა, ნორმალურად მექცეოდა. კადრები ჩემი მონაწილეობით უმნიშვნელოვანესია და ვოლცი მონტაჟისას მათ ვერ ამოჭრის, როგორც უნდა უნდოდეს ჩემთვის სამაგიეროს გადახდა. ვერ დაანგრევს ფილმს, რომელიც ათი მილიონი დოლარი დაუჯდა. ამიტომ ახლა ყველაფერი მაყურებლის რეაქციაზეა დამოკიდებული.

ჰეიგენმა ფრთხილად იკითხა: - აკადემიის პრიზი მსახიობის კარიერისთვის მართლა ძალიან მნიშვნელოვანია თუ ეს მხოლოდ სარეკლამო ხარახურაა, რომელსაც არავითარი რეალური ფასი არ გააჩნია? - ტომმა პაუზა გააკეთა და მაშინვე დაამატა, - გარდა, ცხადია, სახელ-დიდებისა... სახელ-დიდება ყველას უყვარს...

ჯონიმ გაიღიმა.

- ნათლიის გარდა, - თქვა მან, - და შენ გარდა. არა, ტომ, ეს სულაც არ არის ხარახურა. აკადემიის პრიზი მსახიობს ათი წლით უზრუნველყოფს სამუშაოთი და სახელით. მსახიობს შეუძლია, თავისთვის როლები თვითონ შეარჩიოს. პუბლიკა დადის მის ფილმებზე. ეს, რაღა თქმა უნდა, არ არის ყველაფერი, მაგრამ მსახიობის პროფესიულ

კარიერაში უმნიშვნელოვანესია. ჩემი ანგარიშით, პრიზი უნდა მივიღო. იმიტომ კი არა, რომ ძალიან დიდი მსახიობი ვარ, არა, უბრალოდ, მიცნობენ როგორც მომღერალს, თანაც ეს როლი ჩემთვის რთული არ ყოფილა. სხვათა შორის, მართლა კარგად ვთამაშობ.

ტომ ჰეიგენმა მხრები აიჩეჩა და თქვა: - როგორც დონმა მითხრა, დღევანდელ სიტუაციაში პრიზის მიღების შანსი არ გაქვს.

ჯონი გაბრაზდა.

- რა ჯანდაბაა, რას ახურებ? ფილმი ჯერ არ დაუმონტაჟებიათ, პრაქტიკულად არავის უნახავს. დონი კინობიზნესში გარკვეული არ არის. სამი ათასი მილი იმისთვის იფრინე, ეს რომ გეთქვა ჩემთვის?

ჯონი იმდენად ნაწყენი იყო, რომ ლამის ტიროდა.

- ჯონი, კინობიზნესისა ბევრი არც მე გამეგება, - უთხრა ჰეიგენმა შეწუხებული სახით, - მე, უბრალოდ, ამბის მომტანი ვარ. დონი და მე ხშირად ვლაპარაკობთ შენზე. დონი წუხს შენ გამო, შენი მომავლის გამო. გრძნობს, რომ კვლავაც გჭირდება მისი დახმარება და უნდა, შენი საქმეები ერთხელ და სამუდამოდ მოაგვაროს. აქ სწორედ ამისთვის ვარ, საქმეების მოგვარება უნდა დავიწყოთ, მაგრამ შენ, ჯონი, ბოლო-ბოლო, დაკაცება უნდა დაიწყო. საკუთარ თავზე, როგორც მომღერალსა თუ მსახიობზე, აღარ უნდა იფიქრო. დაიწყე ფიქრი, როგორც კინომაგნატზე, როგორც ძლიერ პიროვნებაზე.

ჯონიმ გაიცინა და ჭიქა შეივსო.

- თუკი ,,ოსკარს" არ მომცემენ, ისევე ძლიერი ვიქნები, როგორიც ჩემი გოგონები არიან. ჯანდაბა, ხმა დავკარგე, ვეღარ ვმღერი! ხმა რომ მომივიდეს, კიდევ შევძლებდი წინ წასვლას. ე-ეჰ... დედაც ვატირე!.. და რატომ ჰგონია ნათლიას, რომ პრიზს არ მომცემენ?.. ო,კეი, მჯერა, რომ იცის. არასოდეს შემცდარა.

ჰეიგენმა წვრილი სიგარა აანთო.

- როგორც გავიგეთ, ჯეკ ვოლცი შენი კანდიდატურის წარდგენაზე ერთი ცენტის დახარჯვასაც არ აპირებს. ამით მან, ფაქტობრივად, ჟიურის წევრებს განუცხადა: არ უნდა, რომ ,,ოსკარი" მიიღო. გარდა ამისა, ყველაფერს აკეთებს, ხმები სხვა ჯეელს რომ ერგოს. ამისთვის სხვადასხვა ხერხს იყენებს: ქრთამს, თანამდებობის დაპირებას, ლამაზმანებს, ერთი სიტყვით, ყველაფერს. თანაც ისე ცდილობს ამ ყველაფრის გაკეთებას, ფილმს რომ არ ავნოს.

ჯონი ფონტეინმა მხრები აიჩეჩა. ვისკი ჩამოისხა.

- ესე იგი, დავიბრიდე, - ჩაილაპარაკა.

ჰეიგენი უკმაყოფილო გამომეტყველებით ადევნებდა თვალს, სახე დაემანჭა.

- ლოთობა ხმას ვერ დაგიბრუნებს, - თქვა მან.

- შენი დედაც... - შეუღრინა ჯონიმ.

უეცრად ჰეიგენმა სრულიად განყენებული, შეუვალი სახე მიიღო.

- ო,კეი, მაშინ მხოლოდ საქმიანი ურთიერთობა მექნება შენთან..

ჯონიმ ჭიქა დადგა და ჰეიგენის წინ ჩამოჯდა.

- ტომ, ძალიან ვწუხვარ იმაზე, რაც გითხარი, - უთხრა მობოდიშებით, - ღმერთო, ძალიან ვწუხვარ! შენზე იმიტომ გადმოვანთხიე ბოღმა, რომ იმ ნაბიჭვარი ვოლცის მიხრჩობა მინდა და თან მეშინია, ნათლიაზე რამე ცუდი არ წამომცდეს. ამიტომაც გელაპარაკებოდი ასე.

თვალებზე ცრემლი მოადგა. ვისკის ცარიელი ჭიქა კედელს მიანარცხა, მაგრამ სუსტად მოუვიდა, სქელი მინა არ გამტყდარა და უკან, მის ფეხებთან მიგორდა. გაცოფებულმა ჭიქას დახედა და მოულოდნელად გაიცინა: - ღმერთო ჩემო.... - ჩაილაპარაკა.

ჯონი ოთახის მოპირდაპირე მხარეს გადავიდა, ჰეიგენის წინ ჩამოჯდა და უთხრა: - იცი, საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში, რაც მსიამოვნებდა, იმას ვაკეთებდი. მერე ჯინის გავეყარე და ყველაფერი უკუღმართად წამივიდა. ხმა დავკარგე. ჩემი ფირფიტები აღარ იყიდებოდა. კინოში აღარ მიღებდნენ. ნათლია ჩემზე გულმოსული იყო, არც ტელეფონით მელაპარაკებოდა და არც მიღებდა, ნიუ-იორკში როცა ჩავდიოდი. შენ ის კაცი იყავი, ვინც დონთან მისასვლელ გზას მიღობავდა და ყველაფერს შენ გაბრალებდი, თუმცა კი მესმოდა, დონის ბრძანების გარეშე ამას ვერ გააკეთებდი. თვითონ მას კი კაცი ვერ გაუბრაზდება. ეს იგივეა, ღმერთს რომ გაუბრაზდე. ამიტომ ისევ შენზე ვიყრიდი ჯავრს. თუმცა შენ ყოველთვის მართალი იყავი და იმისთვის, რომ დაგიმტკიცო, მართლა ვნანობ, შენს რჩევას ვიღებ. წვეთსაც კი აღარ დავლევ, სანამ ხმა არ დამიბრუნდება.

მონანიება გულწრფელი ჩანდა. ჰეიგენი შეეცადა, წყენა დაევიწყებინა. ამ ოცდათხუთმეტი წლის ყმაწვილში ნამდვილად იყო რაღაც, თორემ დონს ასე არ ეყვარებოდა.

- ჯონი, რაც მოხდა, დავივიწყოთ, - უთხრა ჰეიგენმა.

ჯონის განცდების სიღრმემ ჰეიგენი შეაცბუნა, - შეაცბუნა ეჭვმა, რომ ის შეიძლება გამოწვეული ყოფილიყო შიშით, თითქოსდა მას შეეძლო დონი განეწყო ჯონის წინააღმდეგ, მაგრამ, რაღა თქმა უნდა, დონი განწყობას ვინმეს გავლენით არასოდეს შეიცვლიდა. მხოლოდ საკუთარი ნებით იცვლიდა ხოლმე.

- ჯონი, მდგომარეობა არც ისე უიმედოა, - გააგრძელა ჰეიგენმა, - დონი დარწმუნებულია, რომ შეუძლია გაანეიტრალოს ყველაფერი, რასაც ვოლცი შენ წინააღმდეგ აკეთებს. ასე რომ, აკადემიის პრიზს მაინც მიიღებ, მაგრამ ეს შენს პრობლემებს ვერ გადაჭრის. დონს აინტერესებს, გაქვს თუ არა საკმარისი ჭკუა და მაგარი ყვერები იმისთვის, რომ პროდიუსერი გახდე და ფილმები თავიდან ბოლომდე შენ თვითონ აკეთო.

- დედაც ვატირე, პრიზს როგორღა მიშოვის? - ჯონიმ დაეჭვებით იკითხა.

- რატომ გგონია, რომ ვოლცს ამ ყველაფრის ორგანიზება შეუძლია და დონს კი არა? - მკვახედ მიუგო ჰეიგენმა, - ჩვენი შეთანხმებისთვის აუცილებელია, ბოლომდე

გვენდო. გაითვალისწინე ეს. შენი ნათლია გაცილებით ძლევამოსილი კაცია, ვიდრე ჯეკ ვოლცი. კინოინდუსტრიის ყველა პროფკავშირის პატრონია, უფრო სწორად, პატრონების პატრონი და ჟიურის ყველა წევრის პატრონიც, მაგრამ, რასაკვირველია, სათანადო სიმაღლეზე უნდა იყო, „ოსკარის“ ღირსი რომ გახდე. შენს ნათლიას მეტი ჭკუა აქვს, ვიდრე ვოლცს. ჟიურის წევრებს შუბლზე იარაღს არ დაადებს და არ ეტყვის: „ჯონი ფონტეინს ხმა მიეცით, თორემ სამუშაოს დაკარგავთო“. იქ, სადაც ძალის გამოყენება უადგილოა ან შეიძლება, მეტისმეტად შესამჩნევი კვალი დატოვოს, დონი სხვა მეთოდებს იყენებს. ყველაფერს ისე გააკეთებს, ჟიურის წევრებს თვითონვე მოუნდებათ, ხმა რომ მოგცენ, მაგრამ მათ ეს ნამდვილად არ მოუნდებათ, თუკი ნათლია სათანადო დაინტერესებას არ გამოიჩენს. დამიჯერე, მას შეუძლია „ოსკარი“ გიშოვოს, მაგრამ თუკი არ ეცდება ამას, პრიზს ვერასოდეს ეღირსები.

- ო,კეი, - თქვა ჯონიმ, - მჯერა. საკმარისი ჭკუაც მაქვს და ყვერებიც მაბია საიმისოდ, პროდიუსერი რომ გავხდე, მაგრამ ფული არ მაქვს და არც ერთი ბანკი კრედიტს არ მომცემს. ფილმი რომ გადავიღო, მილიონებია საჭირო.

ჰეიგენმა მშრალად მიუგო: - როგორც კი პრიზს მიიღებ, პირველი სამი ფილმის გეგმის შედგენაზე დაიწყე მუშაობა. დაიქირავე საუკეთესო პერსონალი, საუკეთესო ტექნიკოსები, კინოვარსკვლავები, ვინც კი საერთოდ დაგჭირდება. სამიდან ხუთ ფილმამდე დაგეგმე.

- გაგიჟდი? - თქვა ჯონიმ, - ამას ოცი მილიონი დოლარი დასჭირდება!

- როცა ფულზე მიდგება საქმე, - უთხრა ჰეიგენმა, - დამიკავშირდი. ერთი აქაური, კალიფორნიული ბანკის მისამართს მოგცემ, რომელიც დაგაფინანსებს, სესხს გამოგიყოფს. ეს მათი ბიზნესია, მუდმივად ფილმებს აფინანსებენ. მიხვალ და ფულს სთხოვ, როგორც წესი და რიგია, ყველა ფორმალობის დაცვით, - ეს საქმიანი გარიგება იქნება. ისინი დათანხმდებიან. ოღონდ ჯერ ჩემთან მოხვალ, მეტყვი, რამდენი ფული გჭირდება და შენს გეგმებსაც გამაცნობ. ო,კეი?

ჯონი დიდხანს დუმდა. ბოლოს ჩუმად იკითხა: - კიდევ არის რამე?

ჰეიგენს გაეღიმა.

- გინდა მკითხო, ამ ოცი მილიონის სანაცვლოდ რა უნდა გააკეთო? - ჰეიგენი წამით დადუმდა, ჯონის რეაქციას დააკვირდა, - არაფერი, რასაც დონისთვის ისედაც არ გააკეთებდი.

ჯონიმ მიუგო: - თუკი რაღაც სერიოზულია, დონმა თვითონ უნდა მთხოვოს, შენ ან სონიმ კი არა.

ჰეიგენი სასიამოვნოდ გაკვირვებული დარჩა. ფონტეინი არც ისეთი ბრიყვი აღმოჩნდა. იცის, დონს უყვარს იგი და სარისკო საქმეში არ გარევს, სონის კი ამის გაკეთება თავისუფლად შეუძლია.

ჰეიგენმა ჯონის უთხრა: - ტყუილად ღელავ. მე და სონიმ დონისგან სავსებით კონკრეტული ინსტრუქციები მივიღეთ, არ გაგრიოთ იმ საქმეში, რომელმაც შენს კარიერას შეიძლება ზიანი მიაყენოს და, აბა, თვითონ ამას როგორღა იზამს. დარწმუნებული ვარ, დონი თუკი რაიმეს გთხოვს, იმას ისედაც გააკეთებ. ო,კეი?

ჯონიმ გაიღიმა.

- ო,კეი, - თქვა მან.

ჰეიგენმა განაგრძო: - დონს შენი სჯერა. ფიქრობს, საკმარისი ჭკუა გაქვს და ამ ინვესტიციით ბანკი მოგებას ნახავს, რაც იმას ნიშნავს, რომ თვითონ ნახავს მოგებას. ასე რომ, ეს სინამდვილეში საქმიანი წინადადებაა, დაიმახსოვრე. ფულს გაუფრთხილდი, ტყუილად არ დახარჯო. მართალია, შენ დონის საყვარელი ნათლული ხარ, მაგრამ ოცი მილიონი დოლარი დიდი თანხაა. როცა ამხელა ფულს გაძლევს, დიდ რისკზე მიდის.

- გადაეცი, არ იღელვოს. თუკი ჯეკ ვოლცისნაირი ტიპი კინოს გენიოსად შეიძლება ითვლებოდეს, ნებისმიერი მოახერხებს ამას.

- ნათლიასაც ასე მიაჩნია, - მიუგო ჰეიგენმა, - შეგიძლია, შენს ხალხს უთხრა, უკან, აეროპორტში რომ გამიყვანონ? რაც სათქმელი მქონდა, ყველაფერი უკვე გითხარი. სანამ კონტრაქტებზე ხელს მოაწერ, ადვოკატები დაიქირავე. ამ საქმეში პირადად არ ჩავერევი, მაგრამ სანამ ხელს მოაწერდე, კონტრაქტი მაჩვენე ხოლმე, ო,კეი? მუშებთან პრობლემები არ გექნება, რაც ხარჯებს ერთგვარად შეგიმცირებს. ასე რომ, ყურადღება მიაქციე, ბუღალტრები შრომით კონფლიქტებთან დაკავშირებულ გათვლებს რომ მოგიტანენ.

ჯონიმ დაფიქრებით ჰკითხა: - ყველაფერ დანარჩენზე: სცენარებზე, მსახიობებსა და ასე შემდეგ, შენი თანხმობა დამჭირდება?

ჰეიგენმა თავი გააქნია.

- არა. შეიძლება მოხდეს, დონს რაღაც არ მოეწონოს, მაგრამ ამის შესახებ თვითონ გეტყვის. თუმცა ეს ძნელი წარმოსადგენია. ფილმების მიმართ სრულიად გულგრილია. ჩემი გამოცდილებით შემიძლია გითხრა, დონი ამ საქმეში უშუალოდ არ ჩაერევა.

- კარგი, - თქვა ჯონიმ, - აეროპორტში მე თვითონ გაგიყვან. ნათლიას ჩემგან მადლობა გადაეცი. დავურეკავდი, მაგრამ ტელეფონთან არასოდეს მიდის. სხვათა შორის, რატომ?

ჰეიგენმა მხრები აიჩეჩა.

- ტელეფონით პრაქტიკულად არ ლაპარაკობს. არ უნდა მისი ხმა ჩაიწერონ, თუნდაც სრულიად უწყინარ რაღაცას ამბობდეს. შიშობს, მის სიტყვებს ისე გადაამონტაჟებენ, სავსებით შეუცვლიან აზრს. მგონი, ამას ერთადერთი ახსნა აქვს. ფიქრობს, რომ ერთ მშვენიერ დღეს ხელისუფლება შეეცდება გაუსწორდეს, და არ უნდა, საქმე გაუადვილოს.

მანქანაში ჩასხდნენ და აეროპორტისკენ გასწიეს. ჰეიგენი მთელი გზა ფიქრობდა იმაზე, რომ ჯონი გაცილებით უკეთესი ჯეელი აღმოჩნდა, ვიდრე ეგონა. რაღაც-რაღაცებს უკვე ხვდება. ეს თუნდაც იქიდან ჩანს, რომ თვითონ მიჰყავს აეროპორტში. დონი ამგვარ დამოკიდებულებას ყოველთვის აფასებდა. მერე კიდევ, ბოდიში როგორ მოუხადა? ნამდვილად გულწრფელი იყო. ჰეიგენი ჯონის საკმარისად დიდხანს იცნობდა იმისთვის, რომ მიმხვდარიყო, შიშის გამო არ უთხოვია პატიება. ჯონი

ყოველთვის გაბედული გახლდათ. ამიტომაც იყო მუდმივად ხათაბალაში, ვერც კინოინდუსტრიის ბოსებსა და ვერც საკუთარ ცოლებს ვერ ეგუებოდა. იმ რამდენიმე კაციდან ერთ-ერთი იყო, ვისაც დონისა არ ეშინოდა. ალბათ, ფონტეინი და მაიკლი იყვნენ ისინი, ვისზეც ჰეიგენს ეს დანამდვილებით შეეძლო ეთქვა. ასე რომ, მონანიება გულწრფელი გახლდათ, ასეთად მიიღო ის. უახლოესი წლების განმავლობაში ჯონისთან ურთიერთობა ხშირად მოუწევს. ჯონიმ ერთგვარად გამოცდა უნდა ჩააბაროს, დაამტკიცოს, რომ მართლაც აქვს საკმარისი ჭკუა. დონს სამსახური უნდა გაუწიოს, თუმცა დონი თვითონ არაფერს სთხოვს და არც კი შეახსენებს, - ეს შეთანხმების აუცილებელი პირობაა. თუმცა ჰეიგენს მაინც ეჭვი ეპარებოდა, რომ ჯონი ამ ყველაფერს დამოუკიდებლად მიხვდებოდა.

მას მერე, რაც ჰეიგენი აეროპორტში დატოვა (ტომმა დაბეჯითებით სთხოვა, მანქანიდან არ გადმოსულიყო), ჯონი თავისი პირველი ცოლის სახლში მიბრუნდა. ჯინის გაუკვირდა, მაგრამ ჯონის იქ უბრალოდ მარტო დარჩენა სურდა, არავის რომ არ შეეწუხებინა და სამომავლო გეგმები მშვიდად დაეწყო. კარგად ესმოდა, ჰეიგენმა უაღრესად მნიშვნელოვანი რაღაც შესთავაზა, რამაც მთელი მისი ცხოვრება შეიძლება გადააბრუნოს. ოდესღაც დიდი ვარსკვლავი იყო, მაგრამ ჯერ კიდევ ახალგაზრდა, ოცდათხუთმეტი წლისა, მშრალზე დარჩა. ამის თაობაზე არავითარი ილუზიები არ ჰქონდა. თუნდაც მისცენ პრიზი, როგორც საუკეთესო მსახიობს, ბოლოს და ბოლოს, განა ეს რამეს შეცვლის? არაფერს, თუკი ხმა არ დაუბრუნდება. მეორეხარისხოვან შემსრულებლად დარჩება, არც ძალაუფლება ექნება, არც ფული. საინტერესოა, წარმატების მწვერვალზე რომ ყოფილიყო, ის მომხიბლავი და ჭკვიანი ქალიშვილი თუ გაექცეოდა? ახლა, როცა დონი ფულს მისცემს, შეეძლება ჰოლივუდში ისეთივე დიდი სახელი მოიპოვოს, როგორიც ზოგიერთებს აქვთ. შეიძლება მეფე გახდეს. ჯონის გაეღიმა. ჯანდაბა. შეიძლება სულაც დონი გახდეს.

კარგი იქნებოდა, რამდენიმე დღე ჯინისთან გაეტარებინა, ანდა ცოტა უფრო მეტი ხანიც კი. ყოველდღე გოგონებს გაასეირნებდა, იქნებ რამდენიმე მეგობარიც მიეწვია. სმასა და მოწევას თავი უნდა დაანებოს, თავს მიხედოს. იქნებ ხმაც მოუვიდეს. თუკი ხმაც აღუდგება და დონის ფულიც ექნება, ვეღარავინ მოერევა. ძველი დროის მეფეებსა და იმპერატორებს დაემსგავსება, რამდენადაც ეს საერთოდ შესაძლებელია ამერიკაში, და აღარ იქნება დამოკიდებული იმაზე, რამდენ ხანს გაძლებს მისი ხმა ან პუბლიკის ინტერესი მის მიმართ, როგორც მსახიობისადმი. ეს იქნება იმპერია, რომელიც ფულისა და ძალაუფლების განსაკუთრებულ, ყველაზე სასურველ ნაირსახეობაზე იქნება დაფუძნებული.

ჯინიმ სტუმრებისთვის განკუთვნილი საძინებელი გაუმზადა. იცოდა, მის ოთახში არ დაწვებოდა, - აღარასოდეს იცხოვრებდნენ როგორც ცოლი და ქმარი. მათი ურთიერთობა ვეღარ განახლდებოდა და, მიუხედავად იმისა, რას წერდნენ ჰოლივუდელი მიმომხილველები ან რას ჭორაობდნენ კინოს მოყვარულები, - თითქოს მათი გაყრა მთლიანად ჯონის ბრალი იყო, - ორივემ იცოდა, ამაში ჯინი უფრო მეტად გახლდათ დამნაშავე.

როდესაც ჯონი ფონტეინი ცნობილი მომღერალი და მიუზიკლების ვარსკვლავი გახდა, ოჯახის მიტოვება აზრადაც არ მოსვლია. შინაგანად მეტისმეტად იტალიელი, თითქმის ძველი ყაიდის იტალიელი იყო და თანაც, საკმაოდ ინფანტილური. იმ ცდუნებაზე უარის თქმა, რაც მის საქმეში ყოველ ფეხის ნაბიჯზე ხვდებოდა,

უბრალოდ, არ შეეძლო. მიუხედავად იმისა, რომ გარეგნულად დელიკატური ყმაწვილი იყო, რკინისებური სიჯიუტე ჰქონდა, რაც არაერთი იტალიელისთვისაა დამახასიათებელი. ქალებში მათი გაოცების უნარი ხიბლავდა. უმანკო გამომეტყველების მქონე ქალიშვილებთან ურთიერთობა და საზოგადოებაში გამოსვლა უყვარდა. როცა საქმეზე გადავიდოდა, სიამოვნებდა იმის აღმოჩენა, რომ ძუძუ-მკერდი მოულოდნელად სავსე თუ მწიფე ჰქონიათ, რაც უცოდველ გამომეტყველებასთან საოცარ კონტრასტს ქმნიდა. მოსწონდა სექსუალური მორცხვობისა თუ მორიდებულობის აღმოჩენა ქალიშვილებში, რომლებიც ცდილობდნენ უაღრესად სექსუალურები გამოჩენილიყვნენ, - ისე ეჭირათ ხოლმე თავი, თითქოს ასობით კაცთან წოლილან ლოგინში, არადა შემდეგ მთელი საათი უხდებოდა მათთან ბრძოლა, რომ „გაეფორმებინა“ და დარწმუნებულიყო, - სინამდვილეში ქალწულები ყოფილან.

ჰოლივუდელი ჯეელები ქალწულებისადმი მის ამ მიდრეკილებას მასხრად იგდებდნენ. ამბობდნენ, ძველმოდური იტალიელიაო, იმპოტენტია და ამიტომ სჭირდებაო ბევრი დრო, ლოგინში არც არაფერს წარმოადგენსო, მაგრამ ჯონიმ იცოდა, - ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, როგორ მოეპყრობი ქალწულს. სწორად უნდა მიუდგე და მაშინ აღმოჩნდება, რომ არაფერი სჯობია ქალიშვილს, რომელმაც პირველად იგემა ასო და აღფრთოვანდა. რამხელა სიამოვნებაა მათი შენგრევა! რამხელა სიამოვნებაა, როცა მათ ფეხებს შენს წელზე იგრძნობ! ისინი, ყველანი, სხვადასხვანაირნი იყვნენ, ყველაფერი განსხვავებული ჰქონდათ, სხეულის ფორმაც, კანის ფერიც. როდესაც ერთ დეტროიტელ შავკანიან ქალიშვილთან ეძინა, - კარგ გოგოსთან, ჯაზის მომღერლის შვილთან, რომელიც იმავე ღამის კლუბში მღეროდა, სადაც თვით ჯონი, - ყველაზე ტკბილი აღმოჩნდა მათ შორის, ვინც კი ოდესმე ჰყოლია. ტუჩებს პილპილნარევი თაფლის გემო ჰქონდა, მუქი ყავისფერი კანი - ნაზი და მხურვალე. ყველაზე ტკბილი ქალი იყო, რომელიც კი ღმერთს ოდესმე შეუქმნია და, ამ დროს, ქალწული გახლდათ.

ჰოლივუდელი ჯეელები ხშირად ლაპარაკობდნენ ხოლმე მინეტის ამა თუ იმ ვარიანტზე, მაგრამ თვითონ ჯონი ამისგან განსაკუთრებულ სიამოვნებას არ იღებდა. აღარ მოსწონდა ქალი, რომელიც ამის გაკეთებას შეეცდებოდა. მეორე ცოლს ბოლო-ბოლო იმიტომაც გაეყარა, რომ „სამოცდაცხრიანი“ პოზა მეტისმეტად უყვარდა. სხვა არაფერი უნდოდა და ჯონის ნამდვილი ბრძოლა უხდებოდა, ცოლისთვის რომ გაედო. ცოლმა დაცინვა დაუწყო, გოიმს ეძახდა, ხმა გაუვრცელა, ლოგინში ბავშვივით იქცევაო. წინა ღამით ის ქალიშვილი, შერონი, შესაძლოა, სწორედ ამიტომაც გაექცა. ჯანდაბამდის გზა ჰქონია, ლოგინში მაინც დიდი ვერაფერი იქნებოდა. მაშინვე შეიძლება განისაზღვროს, ამ საქმისათვის გამოდგებიან თუ არა. არაჩვეულებრივად კარგები არიან, ვისაც ეს საქმე უყვარს, მაგრამ დიდი ხანი არაა, რაც მას მისდევს. ჯონი განსაკუთრებით იმათ ვერ იტანდა, ვინც თორმეტი წლიდან ჟიმაობდა და ოცი წლის ასაკში უკვე სრულიად გამოფიტული იყო, არადა, მათ შორის ძალზე მომხიბლავებიც გამოერეოდნენ ხოლმე, რასაც კაცი, შესაძლოა, შეცდომაში შეეყვანა.

ჯინიმ ლანგრით ყავა და შინაურული ნამცხვარი მიართვა, გრძელ მაგიდაზე დადგა, რომელიც იქვე საძინებელ ოთახში იყო. ჯონიმ მოკლედ მოუყვა, - ჰეიგენი ეხმარება კრედიტის შოვნასა და პროდიუსერობის დაწყებაში. ჯინი აღელდა - ესე იგი ჯონი კვლავ მნიშვნელოვანი პერსონა გახდება. მაგრამ მას წარმოდგენაც არ ჰქონდა, რამდენად ძლევამოსილია დონ კორლეონე და რამდენად მნიშვნელოვანია ნიუ-

იორკიდან ჰეიგენის ჩამოსვლა. ჯონიმ დასძინა, რომ ჰეიგენი მას ყველა ფორმალური საკითხის მოგვარებაში დაეხმარება.

როდესაც ყავის სმას მორჩნენ, ჯონიმ უთხრა, ღამით მუშაობას ვაპირებო; სამომავლო გეგმები უნდა შეადგინოს და ტელეფონითაც გადარეკოს აქეთ-იქით.

- მოგების ნახევარი ბავშვების სახელზე დაიდება, - უთხრა ჯინის. ჯინიმ მადლიერებით გაუღიმა, აკოცა, ღამე მშვიდობისა უსურვა და ოთახიდან გავიდა.

საწერ მაგიდაზე, ჭიქაში მისი მონოგრამიანი სიგარეტები ეწყო. იქვე იდო წვრილი, ფანქრისსიმსხო შავი კუბური სიგარებით სავსე ხის კოლოფი. ჯონი სკამის საზურგეს მიეყრდნო და ტელეფონის აპარატი ახლოს დაიდგა. მისი გონება გამალებით მუშაობდა. თავდაპირველად წიგნის ავტორს დაურეკა, რომლის მიხედვითაც ფილმი გადაიღეს. მწერალი მისი ტოლი იყო, აღიარებას მძიმე შრომის შედეგად მიაღწია და ლიტერატურულ სამყაროში ცნობილი პიროვნება გახდა. როცა ჰოლივუდში ჩავიდა, ეგონა, მიიღებდნენ, როგორც მნიშვნელოვან პერსონას, მაგრამ ავტორთა უმეტესობის მსგავსად, მასაც როგორც არარაობას, ისე უყურებდნენ.

ჯონიმ თავისი თვალით ნახა, როგორ დაამცირეს იგი ერთ მშვენიერ საღამოს ბრაუნ დერბიში. იქ მწერალი ერთ ცნობილ, დიდ ძუძუმკერდიან კინომსახიობ ქალთან ერთად მივიდა. უნდა ესადილათ, შემდეგ კი ეჟიმავათ, მაგრამ სადილობისას ქალმა მოულოდნელად მიატოვა, რადგან ერთმა კინოკომიკოსმა, ვირთხას რომ მიუგავდა ცხვირ-პირი, თითი დაუქნია, თავისთან დაუძახა. ამან ნათლად აჩვენა მწერალს, ვინ ვინაა ჰოლივუდის რეიტინგ-ლისტში. მნიშვნელობა არ ჰქონდა იმას, რომ წიგნმა მას მსოფლიო სახელი მოუტანა. მსახიობ ქალს მაინც საზიზღარი, ვირთხისთავა კომიკოსი ერჩივნა.

ჯონიმ მწერალს ნიუ-იორკში დაურეკა და მადლობა გადაუხადა იმ დიდებული ხასიათისათვის, რომელიც მან თავის წიგნში შექმნა. მერე თითქოსდა სასხვათაშორისოდ ჰკითხა, ახალ რომანს ხომ არ წერს და რის შესახებ? სანამ მწერალი ყველაზე საინტერესო თავის შინაარსს უყვებოდა, სიგარა გააბოლა და უთხრა: - ოო, როგორ მინდა წავიკითხო! ერთ ეგზემპლარს ხომ ვერ გამომიგზავნით? შეიძლება კარგი კონტრაქტი გიშოვოთ, უფრო უკეთესი, ვიდრე ვოლცთან გქონდათ.

მწერალმა ეს წინადადება ენთუზიაზმით მიიღო და ჯონი მიხვდა, სწორად გათვალა. ვოლცი მწერალს უმოწყალო ექსპლუატაციას უწევდა და კაპიკები გადაუხადა. ჯონიმ უთხრა, რომ დღესასწაულების შემდეგ ნიუ-იორკში იქნება და, თუ მწერალი მოინდომებს, შეიძლება, რამდენიმე მეგობართან ერთად რესტორანში ისადილონ.

- გარდა ამისა, ლამაზმანებსაც გაგაცნობ, - უთხრა ჯონიმ თითქოსდა ხუმრობით. მწერალმა სიცილით მიუგო: ,,ო,კეი".

შემდეგ ჯონიმ ფილმის რეჟისორსა და ოპერატორს დაურეკა და თანამშრომლობისთვის მადლობა გადაუხადა. თანაც საიდუმლოდ უთხრა, - ვიცოდი, ვოლცი ჩემ წინააღმდეგ იყო განწყობილი და ამიტომ ძალზე ვაფასებ თქვენს კორექტულ დამოკიდებულებასა და ხელშეწყობას. თუკი რამე დაგჭირდებათ და მე დახმარება შემეძლება, ოღონდ დამირეკეთ და სიტყვა მითხარითო.

ამის მერე ყველაზე რთული საუბარი ჰქონდა. ჯონიმ ჯეკ ვოლცს დაურეკა და მადლობა გადაუხადა როლისთვის, რომელიც მისცა, უთხრა, რომ ბედნიერი იქნება, თუკი ასეთ შესანიშნავ პროდიუსერთან თანამშრომლობის შესაძლებლობა მომავალშიც ექნება. ჯონი ყოველთვის მეტად პირდაპირი და გულწრფელი გახლდათ, მაგრამ ამჯერად შეგნებულად უნდოდა, ვოლცი შეცდომაში შეეყვანა. რამდენიმე დღის შემდეგ ვოლცი ყველაფერს გაიგებს და ჯონის მზაკვრობით განცვიფრებული დარჩება.

ჯონიმ ყურმილი დაკიდა და სიგარა გააბოლა. გვერდით მაგიდაზე ვისკის ბოთლი იდგა, მაგრამ საკუთარ თავსა და ჰეიგენს სიტყვა მისცა, აღარ დალევდა. მოწევითაც არ უნდა მოწიოს. თუმც კი სისულელეა, დალევასა და მოწევაზე უარის თქმა, ალბათ, ხმას ვერ დაუბრუნებს, მაგრამ რაღაც შანსი მაინც არსებობს და ახლა, როცა ბრძოლის შესაძლებლობა გაჩნდა, ყველა საშუალება უნდა გამოიყენოს.

როცა სახლში სიჩუმემ დაისადგურა, როცა პირველ ცოლსა და საყვარელ გოგონებს ეძინათ, გაახსენდა ის საშინელი დრო, როდესაც თავისი მეორე ცოლის, იმ გავარდნილი ბოზის გამო ოჯახი მიატოვა. თუმცა ამის გახსენებაზე თან გაეღიმა, - ისეთი საყვარელი არსება იყო ის მეორე ცოლი ბევრი თვალსაზრისით. ერთადერთი, რამაც ჯონი გადაარჩინა, ის იყო, რომ ერთ მშვენიერ დღეს გადაწყვიტა, - არასოდეს შეიძულებს ქალს, უფრო ზუსტად, არ შეიძულებს პირველ ცოლს, ქალიშვილებს, მეორე ცოლს, საყვარლებს, მეგობარ გოგონებსა და თუნდაც შერონს, რომელსაც შეუძლია იამაყოს იმით, სახელგანთქმულ ჯონი ფონტეინთან ჟიმაობაზე უარი რომ თქვა.

ჯონი თავდაპირველად ორკესტრთან ერთად გამოდიოდა, შემდეგ რადიოსა და მიუზიკლების ცნობილი მომღერალი და, ბოლოს, კინოვარსკვლავი გახდა. ამ ხნის განმავლობაში ისე ცხოვრობდა, როგორც მოეპრიანებოდა, იმ ქალებს ჟიმავდა, ვინც უნდოდა, მაგრამ არასოდეს დაუშვია, ამას მის პირად ცხოვრებაზე გავლენა მოეხდინა. შემდეგ მარგოტ აშტონი შეუყვარდა და ცოლადაც შეირთო. ჭკუას კარგავდა მასზე. კარიერა დაემსხვრა. ხმა დაკარგა. ოჯახი დაენგრა. ერთ მშვენიერ დღეს საერთოდ ყველაფერი გამოეცალა ხელიდან.

საქმე ის იყო, რომ დიდსულოვანი და ხელგაშლილი გახლდათ. გაყრისას პირველ ცოლს ყველაფერი დაუტოვა, რაც კი ჰქონდა. დაიფიცა, თავის გოგონებს წილს მისცემდა ყველაფრისგან, რასაც კი გააკეთებდა - ყოველი ფირფიტის, ფილმისა თუ კლუბში გამოსვლისგან. მდიდარი და სახელგანთქმული როცა იყო, პირველ ცოლს უარს არაფერზე ეუბნებოდა. მშობლებს, ძმებსა და დებს, თანაკლასელ მეგობარ გოგონებსა და მათ ოჯახებს ეხმარებოდა. არასოდეს ქცეულა ისეთ ვარსკვლავად, რომელიც მხოლოდ საკუთარი პერსონითაა დაკავებული. თავისი პირველი ცოლის ორი უმცროსი დის ქორწილშიც კი იმღერა, არადა ქორწილებში სიმღერა ჭირივით სძულდა. უარს არავის არაფერზე ეუბნებოდა. ერთადერთი, პირად ცხოვრებაში ვერავის ჩარევას ვერ იტანდა.

როდესაც მთლად ფსკერზე დაეშვა, როცა კინოში როლებს აღარ აძლევდნენ, ხმა დაკარგა, მეორე ცოლი ყოველ ფეხის ნაბიჯზე ღალატობდა, რამდენიმე დღე ჯინისთან და გოგონებთან გაატარა. მათთან იმ დღეს მივიდა, როცა თავისი ბოლო ჩანაწერი მოისმინა და იმდენად საძაგლად მოეჩვენა, რომ ხმის ოპერატორებს

საბოტაჟი დააბრალა. მერე მიხვდა, - ასე საშინლად მისი საკუთარი ხმა ჟღერდა. ჩანაწერის მატრიცა დაამტვრია და სიმღერაზე საერთოდაც უარი განაცხადა. ისე იყო შერცხვენილი, იმ დღის მერე ერთხელაც აღარ უმღერია, კონი კორლეონეს ქორწილზე ნინოსთან შეჯიბრებას თუ არ ჩავთვლით.

არასოდეს დაავიწყდება ჯინის გამომეტყველება, როდესაც მან იმ უბედურებათა შესახებ შეიტყო, რომლებიც თავს დაატყდა. ამ გამომეტყველებამ წამიერად გაიელვა, მაგრამ საკმარისი იყო იმისთვის, რომ ჯონის სამუდამოდ დამახსოვრებოდა. ეს იყო ცხოველური სიხარულისა და კმაყოფილების გამოხატულება. ისეთი გამომეტყველება იყო, ამის შემდეგ შეეძლო, მართლა დაეჯერებინა, - მთელი ამ წლების განმავლობაში ჯინის იგი სძულდა. ქალმა იმავე წამს თავი ხელში აიყვანა და თავაზიანი თანაგრძნობა გამოუცხადა. ჯონიმ ისე დაიჭირა თავი, თითქოს მიიღო თანაგრძნობა. იმ დღეებში კიდევ სამი თავისი ყოფილი საყვარელი მოინახულა, ვისთანაც კვლავაც აგრძელებდა მეგობრობას და ვისთვისაც თავის დროზე ათასობით დოლარის საჩუქრები ჰქონდა მირთმეული და სამსახურებიც ნაშოვნი, მაგრამ მათაც ისეთივე გამომეტყველება შეატყო, - გესლიანი კმაყოფილებისა.

ჯონი მიხვდა, არჩევანი უნდა გაეკეთებინა. ჰოლივუდის მრავალი წარმატებული მამაკაცის - გამოჩენილი პროდიუსერების, მწერლების, რეჟისორების, მსახიობების - მსგავსად, შეეძლო ლამაზი ქალისადმი ავხორცული სიძულვილით გამსჭვალულიყო, მათთან ურთიერთობისას გამოეყენებინა თავისი ძალაუფლება, ფული და მუდმივად იმაზე ეფიქრა, რომ მოატყუებენ, უღალატებენ და სხვასთან გაიქცევიან; ანდა ქალის სიძულვილზე უარი ეთქვა და მათი რწმენა როგორმე შეენარჩუნებინა.

იცოდა, თავს ვერ მისცემს უფლებას, რომ არ უყვარდეს ისინი. თვით მასში გაქრება რაღაც, თუკი ქალების სიყვარულზე ხელს აიღებს, მიუხედავად იმისა, რამდენად ორგულნი თუ ორპირნი არიან. არ ჰქონდა მნიშვნელობა იმას, რომ ქალებს, რომლებიც უყვარდა, გულის სიღრმეში უხაროდათ მისი წარუმატებლობა თუ დამცირება. რომ ღალატობდნენ, არც ეს ნიშნავდა რაიმეს. გამოსავალი არ ჰქონდა. სხვა გზა არ არსებობდა, - უნდა მიეღო ისინი ისეთებად, როგორებიც იყვნენ. ასე რომ, ჯონი კვლავაც თავს ევლებოდა მათ, ჩუქნიდა საჩუქრებს და გულში იხვევდა ტკივილს, რომელსაც აყენებდნენ. ყველაფერს აპატიებდა, რადგან იცოდა, მხოლოდ მათი წყალობითაა თავისუფალი და სრულად შეიგრძნობს მათ მაცოცხლებელ სურნელებას, მაგრამ, ამასთან, ჯონი მთლიანად გათავისუფლდა მათ წინაშე დანაშაულის შეგრძნებისგან. ჯინის წინაშეც აღარ გრძნობდა თავს დამნაშავედ იმის გამო, როგორც ექცეოდა. მხოლოდ ერთი რამ სურდა: ქალიშვილებისთვის მამად დარჩენილიყო. ჯინის ხელმეორედ შერთვას არ აპირებდა და პირდაპირ მიანიშნა კიდეც. სწორედ ამან გადაარჩინა „ზეციდან“ დაცემისას. თითქოს კანი გაუსქელდაო, ვეღარ გრძნობდა ტკივილს, ქალები რომ აყენებდნენ.

ძალზე დაღლილი იყო და უკვე დაძინებას აპირებდა, მაგრამ ერთმა გახსენებამ არ მოასვენა, - ნინო ვალენტისთან შეჯიბრების გახსენებამ. და უცებ მიხვდა, ყველაზე მეტად დონ კორლეონეს რითი ასიამოვნებდა. ყურმილი აიღო და ოპერატორს სთხოვა, ნიუ-იორკთან შეეერთებინა. სონი კორლეონესგან ნინო ვალენტის ტელეფონი გაიგო და დაურეკა. ნინომ, როგორც ყოველთვის, შეზარხოშებულმა უპასუხა: - ჰეი, ნინო, იქნებ ჩამოსულიყავი და ჩემთან წაგემუშავა, - უთხრა ჯონიმ, - კაცი მჭირდება, ვისაც ვენდობი.

ნინომ ნათქვამი ხუმრობად მიიღო და შესაფერისად უპასუხა: - აბა, რა გითხრა, ჯონი, სატვირთო მანქანაზე კარგი სამუშაო მაქვს, გზად დიასახლისებს ვჟიმავ ხოლმე, თანაც კვირაში 150 დოლარი გამომდის სუფთად. შენ რას მთავაზობ?

- ჩემთან 500 დოლარიდან დაიწყებ და კინოვარსკვლავებსაც მიჟიმ-მოჟიმავ, - უთხრა ჯონიმ, - და, იქნებ, ჩემს წვეულებებზეც იმღერო ხოლმე.

- მოიცა, მოვიფიქრო. ჯერ ჩემს ადვოკატს, ბუღალტერსა და სატვირთოზე თანაშემწეს უნდა მოველაპარაკო.

- ნინო, არ ვხუმრობ. მართლა მჭირდები აქ. ხვალ დილითვე უნდა გამოფრინდე. მინდა, ერთწლიან კონტრაქტს ხელი მოაწერო, კვირაში ხუთას დოლარს მიიღებ. მერე ქალს თუ დამაწერ, გაგიშვებ, მაგრამ ერთი წლის ხელფასს ხომ მაინც მიიღებ. ო,კეი?

ამას ხანგრძლივი პაუზა მოჰყვა. ნინო აშკარად გამოფხიზლდა და ჰკითხა: - ჰეი, ჯონი, არ მაშაყირებ?

- არა, ბიჭო, ყველაფერი სერიოზულადაა, - უპასუხა ჯონიმ, - ხვალ ჩემს აგენტთან მიდი ნიუ-იორკში. თვითმფრინავის ბილეთსა და ცოტა ფულს მოგცემს. დილითვე დავურეკავ. ასე რომ, სადილის მერე მიდი. ო,კეი? აეროპორტში ვინმეს გამოვგზავნი, დაგხვდება და ჩემთან მოგიყვანს.

ისევ დიდი ხნით დუმილმა დაისადგურა. ბოლოს, როგორც იქნა, ნინომ ხმადაბლა, ყოყმანით უპასუხა: - ო,კეი, ჯონი.

ხმა სრულიად ფხიზელი ჰქონდა.

ჯონიმ ყურმილი დაკიდა და ლოგინში ჩაწვა. მას მერე, რაც თავისი ბოლო ფირფიტა დაამტვრია, ყველაზე უკეთ იგრძნო თავი.

თავი მეცამეტე

ჯონი ფონტეინი ხმის ჩამწერ უზარმაზარ სტუდიაში დასაკეც სკამზე იჯდა და ყვითელ ბლოკნოტში რაღაცას ინიშნავდა, ხარჯებს ანგარიშობდა. ერთიმეორის მიყოლებით შემოდიოდნენ მუსიკოსები, რომლებსაც ჯერ კიდევ იმ დროიდან იცნობდა, როდესაც ორკესტრთან ერთად გამოდიოდა. დირიჟორი, ერთ-ერთი საუკეთესო პოპულარული მუსიკის სფეროში და ერთ-ერთი იმ მცირეთაგანი, ვინც ჯონის კარგად ექცეოდა მისთვის ყველაზე მძიმე პერიოდშიც კი, მუსიკოსებს ნოტებს ურიგებდა და ინსტრუქციებს აძლევდა. დირიჟორს ედი ნეილსი ერქვა. მეტად დაკავებული გახლდათ და ამ ჩანაწერის გაკეთებას მხოლოდ ჯონის ხათრით დათანხმდა.

ნინო ვალენტი როიალთან იჯდა, აქეთ-იქით იყურებოდა და კლავიშებზე ფრჩხილებს ნერვიულად აკაკუნებდა. დროდადრო დიდი ჭიქიდან ვისკის წრუპავდა. ჯონი ამას ყურადღებას არ აქცევდა. იცოდა, ნასვამი ნინო ისევე კარგად მღეროდა, როგორც ფხიზელი, თანაც დღევანდელი სამუშაო მისგან რაღაც განსაკუთრებულ მუსიკალურ მონაცემებს არ მოითხოვდა.

ედი ნეილსმა რამდენიმე ძველი სიცილიური სიმღერისა და იმ დუეტ-შეჯიბრების არანჟირება გააკეთა, რომელიც კონი კორლეონეს ქორწილზე ნინოსა და ჯონის ჰქონდათ გამართული. ჯონიმ მხოლოდ იმიტომ გადაწყვიტა ამ ფირფიტის ჩაწერა, რომ დონს უყვარდა ასეთი სიმღერები და ეს ფირფიტა მისთვის კარგი საშობაო საჩუქარი იქნებოდა. და კიდევ, წინათგრძნობა ჰქონდა, ჩანაწერი კარგად გაიყიდებოდა, რასაკვირველია, მილიონი არა, მაგრამ საკმაო რაოდენობით. ჯონი მიხვდა, ნინოს დახმარება სწორედ ის საპასუხო სამსახური უნდა ყოფილიყო, რომელსაც დონი მისგან მოელოდა. ბოლოს და ბოლოს, ნინოც ხომ დონის ნათლული გახლდათ.

ჯონიმ ბლოკნოტი დასაკეც სკამზე დადო და როიალთან მივიდა.

- ჰეი, მეგობარო, - ნინოს მიმართა.

ნინომ შეხედა და გაღიმება სცადა. მთლად კარგად ვერ გამოიყურებოდა. ჯონი მისკენ გადაიხარა და მხარზე ხელი მეგობრულად დაჰკრა.

- ცოტა მოეშვი, ბიჭო, - უთხრა ჯონიმ, - დღეს რაც შეგიძლია კარგად იმუშავე და ჰოლივუდის ყველაზე ცნობილსა და გემრიელ ტაკუნებს დაგაჯახებ.

ნინომ ჭიქა მოიყუდა და ერთიანად დაცალა.

- ვის, ლასის?

- არა, დინა დანს, - გაიცინა ჯონიმ, - ხარისხზე პასუხს ვაგებ.

ნინოზე ამან სათანადო შთაბეჭდილება მოახდინა, მაგრამ მაინც ვერ მოითმინა, რომ ვითომდა უიმედოდ არ ეკითხა: - და ლასის ვერ გამიშანსავ?

ორკესტრმა დაკვრა დაიწყო. ჯონი ყურადღებით უსმენდა. ედი ნეილსი ჯერ ყველა სიმღერას ორკესტრთან ერთად შეასრულებს და მერე ჩაწერს. მოსმენისას ჯონიმ ბლოკნოტში რამდენიმე შენიშვნა გააკეთა. იცოდა, მისი ხმა დიდხანს ვერ გაძლებდა, მაგრამ დღეს საქმე უმეტესად ნინომ უნდა გააკეთოს, თვითონ კი მხოლოდ ბანს მისცემს, გარდა, ცხადია, დუეტ-შეჯიბრებისა. აი, იქ კი ბოლომდე მოუწევს ძალის დაძაბვა.

ნინოს ანიშნა, ადექიო, და ორივენი მიკროფონებთან დადგნენ. ნინომ სიმღერაში შესვლა დააგვიანა, მერე კიდევ ერთხელ მოუვიდა იგივე შეცდომა. სახე დაბნეულობისაგან აუჭარხლდა.

- ჰეი, ეგრე თუ გააგრძელე, ღამემდე ვერ მოვრჩებით, - უთხრა ჯონიმ.

- ხელში მანდოლინა მაკლია, - თავი იმართლა ნინომ.

ჯონი წამით დაფიქრდა.

- ჭიქა დაიჭირე, - ურჩია ნინოს.

ამან გაჭრა. ნინო დროდადრო ჭიქიდან თითო ყლუპს სვამდა, მაგრამ მაინც კარგად მღეროდა. ჯონიც ადვილად, დაუძაბავად აყოლებდა ბანს, მისი ხმა ნინოს წამყვანი მელოდიის გარშემო ტრიალებდა და, თუმცა ასეთი სიმღერა განსაკუთრებულ

მორალურ კმაყოფილებას არ ანიჭებდა, თავისი საშემსრულებლო ოსტატობისა თვითონ უკვირდა. სიმღერის ათმა წელმა რაღაც-რაღაცები მართლაც ასწავლა.

დუეტ-შეჯიბრების ჩაწერისას, რაც ფირფიტას აგვირგვინებდა, ჯონიმ თავს უფლება მისცა, მთელი ძალით ემღერა და იოგებში ტკივილი იგრძნო. გამოცდილი, პროფესიონალი მუსიკოსები მათი სიმღერით მოიხიბლნენ, რაც მეტად იშვიათი შემთხვევა გახლდათ. ჩაწერა როცა დაასრულეს, ინსტრუმენტები დაუშვეს და ფეხები ააბაკუნეს აპლოდისმენტების ნიშნად. დოლი ტყვიამფრქვევივით აბაგუნდა.

შესვენებებისა და თათბირების ჩათვლით ოთხი საათი იმუშავეს. ედი ნეილსი ჯონისთან მივიდა და ჩუმად უთხრა: - ბიჭო, კარგად გამოგივიდა. მგონი, მზად ხარ საკუთარი ფირფიტის ჩასაწერად. კარგი სიმღერა მაქვს შენთვის, მოგეწონება.

ჯონიმ უარის ნიშნად თავი გააქნია: - კარგი რა, ედი, მაღადავებ? ერთ-ორ საათში ხრიალს დამაწყებინებს, ლაპარაკის თავიც კი არ მექნება. როგორ გგონია, დღევანდელ ჩანაწერში ბევრი იქნება გადასაკეთებელი?

ედიმ დაფიქრებით მიუგო: - ნინოს ხვალ სტუდიაში მოსვლა მოუწევს. რამდენიმე შეცდომა დაუშვა, მაგრამ გაცილებით უკეთესი ყოფილა, ვიდრე მეგონა. შენს მასალას რაც შეეხება, ხმის ოპერატორებს ვთხოვ და ალაგ-ალაგ შეასწორებენ, რაც ნაკლებად მომეწონა. ო,კეი?

- ო,კეი, - უპასუხა ჯონიმ, - როდის შეიძლება გამზადებული ფირფიტა მოვისმინოთ?

- ხვალ საღამოს, - თქვა ედი ნეილსმა, - შენთან სახლში?

- ჩემთან, კი, - მიუგო ჯონიმ, - გმადლობ, ედი, ხვალამდე.

ჯონიმ ნინოს ხელი მოჰკიდა და სტუდიიდან გამოვიდნენ. ჯონის სახლისკენ გაემართნენ.

გვიანი საღამო იყო. ნინო თითქმის მთვრალი გახლდათ. ჯონიმ ურჩია, შხაპი მიეღო და წაეთვლიმა. თერთმეტი საათისთვის დიდი წვეულება იყო დანიშნული.

როცა ნინომ გამოიღვიძა, ჯონიმ ჭკუის დარიგება დაუწყო.

- ესაა წვეულება კინოვარსკვლავთა კლუბისა ,,ეული გული", - თქვა მან, - ლამაზმანები, რომლებიც ამ საღამოზე იქნებიან, ეკრანზე მრავალჯერ გინახავს, მილიონობით ჯეელი მარჯვენა ხელსაც კი დათმობდა, ოღონდ ერთ-ერთი მათგანი გაეჟიმა. არადა წვეულებაზე ისინი ერთადერთი მიზნით მოდიან, იპოვონ კაცი, რომელიც ,,გააფორმებს". და იცი რატომ? მოენატრათ ეს, ცოტა არ იყოს, მობერდნენ და ისევე, როგორც ყველა ქალს, უნდათ, მაღალ დონეზე ასიამოვნონ.

- ხმაზე რა მოგივიდა? - ჰკითხა ნინომ.

ჯონიმ თითქმის ჩურჩულით უპასუხა: - ერთს წავიმღერებ თუ არა, ეგრე მემართება. ახლა მთელი თვე ვეღარ ვიმღერებ. თუმცა ხრიალი ორ-სამ დღეში გამივლის.

- მურტალია, არა? - დაფიქრებით ჩაილაპარაკა ნინომ.

ჯონიმ მხრები აიჩეჩა.

- მისმინე, ნინო, ძალიან ბევრი არ დალიო. ეს ჰოლივუდელი ლამაზმანები უნდა დარწმუნდნენ, რომ ჩემი იტალიელი ძმაკაცი ამ საქმეში მაგარზე მაგარია. თავი უნდა გამოიჩინო. გახსოვდეს, ამ ქალბატონებიდან ზოგიერთი კინოინდუსტრიაში მნიშვნელოვანი პერსონაა, სამუშაო შეიძლება გიშოვონ. შეეცადე, ბოლომდე მომხიბლავი იყო, ჟიმაობის მერეც კი.

ნინომ ვისკი გადაკრა.

- მე ყოველთვის მომხიბლავი ვარ, - მიუგო და ღიმილით ჰკითხა, - მართლა შეგიძლია, დინა დანი დამაჯახო?

- ძალიანაც ნუ გაგიჟდები, - მიუგო ჯონიმ, - არც ისეთი მაგარია, შენ რომ გგონია.

კინოვარსკვლავების კლუბ „ეული გულის“ (ეს სახელი მას ახალგაზრდა მამაკაცებმა შეარქვეს, რომლებიც წვეულებებს ყოველთვის ესწრებოდნენ) წევრები ყოველ პარასკევს როი მაკ-ელროის სასახლის მსგავს, სტუდიის კუთვნილ სახლში იკრიბებოდნენ. მაკ-ელროი ვოლცის საერთაშორისო კინოკორპორაციის პრესაგენტი ან, უფრო ზუსტად, კონსულტანტი გახლდათ, - საზოგადოებასთან ურთიერთობის დარგში. მიუხედავად იმისა, რომ წვეულებები მის სახლში იმართებოდა, მათი იდეა თვით ჯეკ ვოლცს ეკუთვნოდა. მისი საუკეთესო და ყველაზე დიდი მოგების მომტანი კინოვარსკვლავი ქალები სწრაფად ბერდებოდნენ. სპეციალური განათებისა და დახელოვნებული გრიმიორების დახმარების გარეშე ისინი თავიანთ ასაკზე ხნიერადაც კი გამოიყურებოდნენ. პრობლემები გაუჩნდათ. დაკარგეს მგრძნობელობა, რომელმაც მსახიობებად აქცია, დაკარგეს „შეყვარების“ უნარი. უკვე ვეღარ თამაშობდნენ ქალებს, რომლებსაც მამაკაცები ელტვიან და რომელთა გულისთვისაც ერთმანეთს ექიშპებიან. ფულმა, დიდებამ და წარსულმა მშვენიერებამ ისინი ძალზე გაამედიდურა. ვოლცი წვეულებებს აწყობდა, რომ გაადვილებოდათ ახალი საყვარლების პოვნა, რომლებიც, თუკი სათანადო ნიჭსა და უნარს გამოიჩენდნენ, შეიძლება მათი მუდმივი პარტნიორები გამხდარიყვნენ და ამის მეშვეობით საზოგადოების მწვერვალისკენ მიმავალი გზა გაეკაფათ. და რადგანაც წვეულებებზე საქმე ზოგჯერ სკანდალებითა და სექსუალური ექსცესებით სრულდებოდა, რასაც პოლიციის ჩარევა მოჰყვებოდა, ვოლცმა გადაწყვიტა, ეს საღამოები პრესაგენტის სახლში გაემართა ხოლმე, რომელიც წესრიგსაც თვალყურს ადევნებდა და, თუ საჭირო გახდებოდა, ჟურნალისტებსა და პოლიციას მოქრთამავდა.

ახალგაზრდა მამაკაცი მსახიობებისათვის, რომელნიც სტუდიის კმაყოფაზე იყვნენ, მაგრამ ჯერ სახელი ან წამყვანი როლები არ მოეპოვებინათ, ამ წვეულებებზე დასწრება ყოველთვის დიდად სასიამოვნო მოვალეობას არ წარმოადგენდა. საღამოებზე უჩვენებდნენ ახალ ფილმებს, რომლებიც ჯერ ფართო ეკრანზე გამოსული არ იყო. ფაქტობრივად, ეს წვეულების გამართლება გახლდათ. იგულისხმებოდა, რომ ასე უნდა ეთქვათ: „წავიდეთ და ვნახოთ, ახალი ფილმი როგორი გამოვიდა“. ასე რომ, გარეგნულად ყველაფერი პროფესიულ კონტექსტში იყო მოქცეული.

ახალგაზრდა, დამწყებ მსახიობ ქალებს წვეულებაზე დასწრება ეკრძალებოდათ. უფრო სწორად, მათი იქ ყოფნა სასურველი არ გახლდათ. მათი უმეტესობა ამ მინიშნებას ხვდებოდა.

ფილმის ჩვენება შუაღამისას იწყებოდა ხოლმე. ჯონი და ნინო თერთმეტი საათისთვის უკვე ადგილზე იყვნენ. როი მაკ-ელროი, ერთი შეხედვით, მეტად სასიამოვნო, ზრდილი, თავაზიანი კაცი აღმოჩნდა. მშვენივრად იყო ჩაცმული. ჯონი ფონტეინს სიხარულის გამომხატველი ყიჟინით შეეგება.

- აქ რა ჯანდაბამ მოგიყვანა? - გაოცებულმა ჰკითხა.

ჯონიმ ხელი ჩამოართვა.

- ჩემს სოფლელ ბიძაშვილს ღირსშესანიშნაობებს ვაჩვენებ. გაიცანი, ნინო.

მაკ-ელროიმ ნინოს ხელი ჩამოართვა და შემფასებლური მზერა სტყორცნა.

- ცოცხლად შეჭამენ, - უთხრა ჯონის და პატიოსკენ წაუძღვა.

პატიო ერთმანეთის მიყოლებით განლაგებულ რამდენიმე დიდ ოთახს წარმოადგენდა, რომელთა მინის კარები ბაღში გადიოდა, სადაც აუზიც იყო. კარები ბოლომდე გაეხსნათ. ბაღში ას კაცამდე იქნებოდა, ჭიქებით ხელში დაბორიალებდნენ. პატიოს განათება ისე ოსტატურად იყო შერჩეული, რომ იქ მყოფი ქალების კანსა და სახეებს ალამაზებდა და აახალგაზრდავებდა. ამ ქალებს ნინო კინოეკრანზე ჯერ კიდევ სიყმაწვილეში უცქეროდა. მის ბიჭურ ოცნებებში მათ თავისი როლი შესრულებული ჰქონდათ, მაგრამ ახლა მათი ცოცხლად დანახვა ნინოსთვის საკმაოდ უცნაური აღმოჩნდა. მათი სულისა თუ სხეულის დაღლილობას ვეღარაფერი ფარავდა; მათი ღვთაებრიობა დროს გამოეხრა. მოძრაობა თუ აღნაგობა ძველებურად მომხიბლავი ჰქონდათ, მაგრამ თვითონ ცვილის ფიგურებს მიაგავდნენ. ნინომ ორი ჭიქა გადაკრა და ბოთლებით დახუნძლულ მაგიდასთან დადგა. ჯონი მასთან მივიდა. როცა დალიეს, ზურგს უკან დინა დანის ზღაპრული ხმა შემოესმათ.

ეს ხმა ნინოს, ისევე როგორც მილიონობით სხვა მამაკაცს, გონებაში სამუდამოდ ჰქონდა ჩაბეჭდილი. დინა დანს აკადემიის პრიზი ორჯერ მისცეს, ჰოლივუდის ერთ-ერთ ბრწყინვალე კინოვარსკვლავად ითვლებოდა. ეკრანზე ისეთი ქალური მომხიბლაობა გამოარჩევდა, რომ ვერც ერთი მამაკაცის გული ვერ უძლებდა, მაგრამ სიტყვები, რომლებსაც იგი ახლა წარმოთქვამდა, კინოდარბაზში მისგან არავის არასოდეს სმენია.

- ჯონი, შე ნაბიჭვარო, იმ ღამის გამო, ჩემთან რომ იყავი, ფსიქიატრთან მომიწია მისვლამ. რატომ აღარ მოხვედი ჩემთან...

ჯონიმ ლოყაზე აკოცა.

- შენ მერე ერთი თვე ძლივს ვინძრეოდი, - თქვა ჯონიმ, - გაიცანი, ეს ჩემი ბიძაშვილია, ნინო. მშვენიერი, მაგარი იტალიელი ბიჭია. ვინ იცის, იქნებ ჩემზე მაგარიც კი აღმოჩნდეს...

დინა შეტრიალდა და ნინოს ცივად ახედ-დახედა.

- მოსწონს წინასწარი ჩვენებები?

- არა მგონია, აქამდე ერთზე მაინც იყოს ნამყოფი, - სიცილით მიუგო ჯონიმ, - ხომ არ გაასეირნებდი?

როდესაც ნინო დინა დანთან მარტო დარჩა, დიდი ჭიქა ვისკი გადაკრა. ცდილობდა, სიმშვიდე შეენარჩუნებინა, მაგრამ ეს არც ისე იოლი აღმოჩნდა. დინა დანს აპრეხილი ცხვირი, კლასიკური ანგლოსაქსური სილამაზე ჰქონდა. რა კარგად იცნობს მას! უნახავს მარტოდ დარჩენილი, გულგატეხილი, საძინებელ ოთახში როგორ გამოიტირა, მფრინავი ქმარი რომ დაეღუპა და პატარა ბავშვების ამარა დატოვა. უნახავს განრისხებული, დამცირებული, მაგრამ ღირსებით აღსავსე, როდესაც უტიფარმა კლარკ გეიბლმა მასთან სასიყვარულო რომანი გააბა, მაგრამ შემდეგ მიატოვა ვიღაც სექსუალური ლამაზმანის გამო (დინა დანი ასეთ ქალებს არასოდეს თამაშობდა). ნინოს მრავალჯერ ენახა და მოესმინა მისთვის, მრავალჯერ უოცნებია მასზე, მაგრამ რაც მისგან ახლა გაიგონა, ამისთვის მზად ნამდვილად არ იყო.

- ჯონი ამ ქალაქში ერთ-ერთია იმ რამდენიმე კაციდან, ვისაც ყვერები აბია, - თქვა დინამ, - დანარჩენები პედერასტები და კლინიკური იმბეცილები არიან, ქალს ვერ გაჟიმავენ, თუნდაც ტრაკში კრაზანის ბუდე შეუტენო.

დინა დანმა ნინოს ხელი მოჰკიდა და ოთახის კუთხისკენ წაიყვანა, იქ დასვა და სთხოვა, შენს თავზე მომიყევიო. ნინო მიხვდა, - ამჯერად იგი მაღალი საზოგადოების ქალს თამაშობდა, ვინც მეჯინიბესა თუ მძღოლს თავს უყადრებს, სიკეთეს უკეთებს, მაგრამ რომელიც, ამავე დროს, თავის ნამდვილ თაყვანისმცემელს უარს ეუბნება (თუკი მას სპენსერ ტრეისი თამაშობს), ანდა პირიქით, ყველაფერზე მიდის გიჟური ვნების გამო (თუკი მისი პარტნიორი კლარკ გეიბლია). მაგრამ ნინოსთვის ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა. მოუყვა, როგორ იზრდებოდნენ ის და ჯონი ნიუ-იორკში, როგორ მღეროდნენ ერთად პატარ-პატარა კლუბებში. დინა დანი საოცრად გულისხმიერი მსმენელი აღმოჩნდა. ერთხელ, თითქოსდა სასხვათაშორისოდ, ჰკითხა: „თუ იცი, როგორ აიძულა ჯონიმ ის ნაბიჭვარი ვოლცი მისთვის როლი მიეცა?“ ნინო შეცბა და უარის ნიშნად თავი გააქნია, მაგრამ დინას ამაზე მეტი სიტყვა აღარ დაუძრავს.

ვოლცის ახალი ფილმის წინასწარი ჩვენების დროც დადგა. დინამ ნინოს თავისი მხურვალე ხელი ხელში ჩაჰკიდა და უფანჯრებო დარბაზში შეიყვანა, სადაც სკამების ნაცვლად ორადგილიანი სავარძლები იყო უწესრიგოდ მიმოფანტული ისე, რომ თითოეულის გარშემო საკუთარი, ავტონომიური სივრცე რჩებოდა.

ნინომ დაინახა, ყოველ სავარძელთან მომცრო მაგიდა იდგა, სადაც სასმელები, ჭიქები, ყინული და სიგარეტი ეწყო. ნინომ დინას სიგარეტი მიაწოდა, მოუკიდა, შემდეგ დასალევი გაუმზადა. ერთმანეთისთვის არაფერი უთქვამთ. მალე სინათლეც ჩაქრა.

ნინო რაღაც წარმოუდგენლის მოლოდინში იყო. ჰოლივუდის აღვირახსნილობაზე ლეგენდები დადიოდა, მაგრამ მაინც არ ელოდა, რომ დინა დანი მტაცებელივით დააცხრებოდა მის სასქესო ორგანოს, სიტყვასაც არ ეტყოდა ან არ გააფრთხილებდა. ნინო სასმელს წრუპავდა და ფილმს უყურებდა, მაგრამ ვერც გემოს გრძნობდა და ვერც იმას აღიქვამდა, რაც ეკრანზე ჩანდა. ისე ღელავდა, როგორც არასოდეს. ამის მიზეზი ის იყო, ლამაზმანი, სიბნელეში რომ „ემსახურებოდა“ და ბიჭობა-სიყმაწვილეში მისი ოცნების ქალი გახლდათ.

მაგრამ ამასთან ნინომ თავი შეურაცხყოფილად იგრძნო, მამაკაცური ღირსება შეელახა. ამიტომ, როდესაც საქვეყნოდ ცნობილი დინა დანი საქმეს მორჩა და

ტანსაცმელიც გაუსწორა, ნინომ ერთობ ცივად დაუსხა ახალი ჭიქა, სიგარეტი მიაწოდა, მოუკიდა და არაჩვეულებრივად მშვიდი ხმით უთხრა: - საკმაოდ კარგი ფილმი ჩანს.

ნინომ იგრძნო, დინას ხასიათი როგორ წაუხდა. ნუთუ რაიმე ქათინაურს ელოდა? ნინომ პირველივე ბოთლიდან, რომელიც სიბნელეში ხელთ მოხვდა, ჭიქა ბოლომდე შეივსო. ჯანდაბა! დინა დანი მას ისე მოექცა, როგორც მეძავს, ოღონდ მამაკაცთა სქესისას. ნინომ რატომღაც ყველა ქალისადმი სასტიკი სიძულვილი იგრძნო. დაახლოებით, თხუთმეტი წუთი ფილმს უხმოდ უყურებდნენ. ნინო უკან გადაწვა სავარძელზე ისე, რომ ერთმანეთს აღარ ეხებოდნენ.

ბოლოს დინამ უხეშად უჩურჩულა: - წმინდანივით ნუ იქცევი. ვიცი, რომ დაგევასა. დიდი გქონდა, ცათამბჯენივით.

ნინომ სასმელი მოსვა და თავისი ჩვეული, სასხვათაშორისო ტონით მიუგო: - ყოველთვის ამხელაა. შენ მაშინ უნდა ნახო, როცა აღგზნებული ვარ.

დინა დანმა ჩუმად გაიცინა და ფილმის ბოლომდე ხმა აღარ ამოუღია. ჩვენება, როგორც იქნა, დასრულდა. აინთო სინათლე. ნინომ გარშემო მიმოიხედა და მიხვდა, იქ, სიბნელეში, ცოტა ხნის წინ ნამდვილი ორგია გამართულიყო, თუმცა ჩამიჩუმიც კი არ გაუგია, მაგრამ ზოგიერთ ქალს ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, თვალები ისე უბრწყინავდა, აშკარა იყო, გემოზე ,,წაიმუშავეს". სინათლის ანთებისთანავე ყველანი წამოცვივდნენ და ,,სადემონსტრაციო დარბაზიდან" გავიდნენ. დინა დანმა ნინო მაშინვე მიატოვა, ხნოვან კაცთან, ცნობილ მსახიობთან მივიდა სალაპარაკოდ. ნინომ მხოლოდ ახლა, ის კაცი ცოცხლად რომ ნახა, გააცნობიერა, - ჰომოსექსუალია.

ნინო ჩაფიქრებული სახით სასმელს წრუპავდა. ჯონი მასთან მივიდა და ჰკითხა: - ჰეი, ძველო, კარგი დრო გაატარე?

ნინომ გაიღიმა: - არ ვიცი. რაღაც სხვა პონტია. უკან რომ დავბრუნდები, უბანში შემიძლია მოვყვე, დინა დანმა მიხმარა-მეთქი.

ჯონიმ გაიცინა: - შეუძლია უკეთესიც იყოს, თუკი სახლში დაგპატიჟებს. ჯერ არ დაუპატიჟებიხარ?

ნონომ უარის ნიშნად თავი გააქნია.

- ფილმმა მეტისმეტად გამიტაცა, - თქვა ნინომ.

ამჯერად ჯონის აღარ გაუცინია.

- ცოტა უფრო სერიოზულად რა, ბიჭო, - თქვა მან, - ამ ქალბატონს ბევრი რამე შეუძლია გაგიკეთოს, თუკი მოინდომებს. შენ ხომ ადრე ყველას ჟიმავდი. ღამით ზოგჯერ კოშმარებიც კი მქონია, როცა მახსენდებოდა, რა მათხოჯები იხმარე.

ნინო მთვრალივით შეირხა, ჭიქა ასწია და მოულოდნელად ხმამაღლა თქვა: - კი, მართალია, მათხოჯები იყვნენ, მაგრამ ისინი ქალები იყვნენ.

დინა დანმა ოთახის კუთხიდან მათკენ გამოიხედა. ნინომ ჭიქა მის დასანახავად მაღლა ასწია, - მისალმების ნიშნად.

ჯონი ფონტეინმა ამოიოხრა: - ოო, შენ ისევ ის იტალიელი გლეხი ხარ.

- და არც ვაპირებ, რომ შევიცვალო, - მიუგო ნინომ თავისი მომხიბლავი ნამთვრალევი ღიმილით.

ჯონი ყველაფერს მშვენივრად მიხვდა. ნინო იმდენად მთვრალი სულაც არ იყო, როგორც უნდოდა გამოჩენილიყო. თავს იმიტომ იმთვრალებდა, ხმამაღლა რომ ეთქვა ის, რასაც ჰოლივუდში კაცი თავის პადრონეს ფხიზელი ვერ ეტყოდა. ჯონიმ ნინოს მხარზე მოჰხვია ხელი და უთხრა: - შე ჭკუის კოლოფო, იცი, რომ ერთწლიანი, რკინასავით მტკიცე კონტრაქტი გაქვს ჯიბეში და შეგიძლია, ილაპარაკო და აკეთო, რაც გინდა, მაინც ვერ გაგაგდებ.

- ვერ გამაგდებ? - ეშმაკურად ჩაეკითხა ნინო.

- ვერა, - მიუგო ჯონიმ.

- მაშინ შენი დედაც... - უთხრა ნინომ.

ჯონი წამით გაშრა და მერე გაბრაზდა კიდეც. ნინოს სახეზე უდარდელი ღიმილი დასთამაშებდა, მაგრამ ჯონის მისი ცხოვრების ბოლო წლებმა, ეტყობა, ჭკუა შესძინა, ან, შესაძლოა, „ზეციდან“ ჩამოვარდნამ უფრო მგრძნობიარე გახადა. იმწამს მან ნინოს გაუგო, რატომ ვერ მიაღწია მისი ბავშვობის მეგობარმა ცხოვრებაში წარმატებას და ახლაც რატომ კარგავდა შანსს. საქმე ის იყო, ნინოს არ უღირდა ეს წარმატება იმ ფასად, რაც მის სანაცვლოდ უნდა გადაეხადა. შეურაცხყოფილი გახლდათ იმით, რასაც უკეთებდნენ.

ჯონიმ ნინოს ხელი მოჰკიდა და გარეთ გაიყვანა. ნინო ფეხებს ძლივს ადგამდა, მართლა მთვრალი იყო თითქოს. ჯონიმ შემრიგებლური ტონით უთხრა: - ო,კეი, ბიჭო, ჩემთვის იმღერე, მინდა, შენი დახმარებით ფული გავაკეთო. შენს ცხოვრებაში არ ჩავერევი. რაც გინდა, ის აკეთე. კარგი, ძმაო? შენ მხოლოდ იმღერე და ფული მიშოვე ახლა, როცა მე თვითონ ვეღარ ვმღერი. მოსულა, შე ძველო?

ნინო წელში გასწორდა.

- ვიმღერებ შენთვის, ჯონი, - თქვა მან. ენა ებმოდა, ამიტომ მისი გაგება არცთუ ადვილი იყო, - მე შენზე მაგარი მომღერალი ვარ. ყოველთვის შენზე მაგრად ვმღეროდი, იცი შენ ეს?

ჯონი ჩაფიქრდა. აი, რაში ყოფილა საქმე. მან იცოდა, რომ როდესაც ხმა წესრიგში ჰქონდა, მაშინ ნინო მასთან ახლოსაც კი ვერ მოვიდოდა, - უბრალოდ, სხვა ლიგის მოთამაშე გახლდათ, სხვა კატეგორიაში გადიოდა. ჯონი ხედავდა, ნინო მისგან პასუხს ელოდა. კალიფორნიული მთვარის შუქზე მართლა მთვრალი კაცივით ყანყალებდა.

- შენი დედაც... - უთხრა ჯონიმ მშვიდად და ორივემ გაიცინა, როგორც ძველ დროს, როცა ჯერ კიდევ ჯეელები იყვნენ.

როდესაც ჯონი ფონტეინმა შეიტყო, რომ დონ კორლეონე დაცხრილეს, არა მხოლოდ თავისი ნათლიის გამო შეწუხდა, არამედ საკუთარი ფილმის დაფინანსების გამოც. უნდოდა ნიუ-იორკში გადაფრენილიყო და დონ კორლეონე მოენახულებინა, მაგრამ

უთხრეს, უმჯობესია, თავი შეიკავო, ეს ცუდ რეკლამას გაგიწევსო... და ეს თვითონ ნათლიასაც არ ენდომებოდა. ამიტომ ჯონიმ მოცდა გადაწყვიტა. ერთი კვირის თავზე მასთან ტომ ჰეიგენის კაცი მივიდა და გადასცა, რომ დაფინანსება იქნებოდა, მაგრამ ჯერჯერობით მხოლოდ ერთი ფილმისა.

ამასობაში ჯონიმ ნინოს მეურვეობაზე უარი თქვა და ისიც მშვენივრად „აფორმებდა“ ახალგაზრდა დამწყებ მსახიობ ქალებს. ზოგჯერ ჯონი ეპატიჟებოდა და ერთად ატარებდნენ დროს, მაგრამ არასოდეს ეუბნებოდა, რა უნდა გაეკეთებინა.

როდესაც დონზე თავდასხმის შესახებ ლაპარაკობდნენ, ნინომ ჯონის მოუყვა: - იცი, ერთხელ დონს ვთხოვე, ჩემთვის სამუშაო მოეცა თავის ორგანიზაციაში და უარი მითხრა. სატვირთო მანქანაზე მუშაობით დავიღალე, თანაც ბევრი ფულის შოვნა მინდოდა. და იცი რა მითხრა? - ყველა ადამიანს ცხოვრებაში თავისი დანიშნულება აქვს, შენი დანიშნულება ხელოვნებაა; ანუ იგულისხმა, რომ ჩემგან განგსტერი არ გამოვიდოდა.

ჯონი ამ ყველაფერზე დიდხანს ფიქრობდა. ნათლია, ეჭვგარეშეა, ერთ-ერთი უჭკვიანესი კაცია მსოფლიოში. მაშინვე მიხვდა, რომ ნინოსგან განგსტერი არ გამოვიდოდა, თავს ხათაბალაში ჩაიგდებდა ან, უბრალოდ, მიაბრიდავდნენ. ამას რომ მიხვდა, ეს მის სიბრძნეზე მეტყველებდა, მაგრამ საიდან მიხვდა, რომ ნინო ხელოვანი გახდებოდა? აა, ჯანდაბა, უბრალოდ, მიხვდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს დავეხმარებოდი, მაგრამ ეს როგორღა გათვალა? იმიტომ, რომ სიტყვა ჩამაწვეთა და მეც ვეცდებოდი მადლიერების გამოხატვას. რა თქმა უნდა, ამას თვითონ არასოდეს მთხოვდა. მან, უბრალოდ, მაგრძნობინა, რომ ამით შემიძლია ვასიამოვნო. ჯონიმ ამოიოხრა. ახლა დონი დაჭრილია, განსაცდელშია. აკადემიის პრიზს შეუძლია დაემშვიდობოს. მხოლოდ დონს შეეძლო თავისი პირადი კავშირების წყალობით ჟიურიზე გავლენა მოეხდინა, მაგრამ ამჟამად კორლეონეს ოჯახს მისთვის არ სცხელა. ჯონიმ დაურეკა და სამსახური შესთავაზა, მაგრამ ჰეიგენისგან ლაკონიური უარი მიიღო.

ჯონი თავისი ფილმის საორგანიზაციო საკითხებით იყო დაკავებული. მწერალმა, რომლის რომანის მიხედვითაც გადაღებულ ფილმში ჯონიმ მთავარი როლი ითამაშა, ახალი წიგნი დაასრულა და ჰოლივუდში ჩავიდა, ჯონის რომ პირადად შეხვედროდა, სტუდიის აგენტებისა თუ შუამავლების გარეშე მოლაპარაკებოდა. მეორე წიგნი ჯონის შესანიშნავად მიესადაგებოდა. მას არ მოუწევდა სიმღერა. რომანში აღწერილი გახლდათ ბობოქარი ამბავი, სადაც იყო ბევრი ქალი, სექსი და, რაც მთავარია, ერთ-ერთი გმირი ზედგამოჭრილი ნინო ბრძანდებოდა. ეს პერსონაჟი ნინოსავით გამოიყურებოდა, მეტყველებდა და იქცეოდა. ასეთი დამთხვევა უცნაურიც კი იყო. ერთადერთი, რაც ნინოს უნდა გაეკეთებინა, ეკრანზე თავისი თავი განესახიერებინა.

ჯონი სწრაფად მოქმედებდა. აღმოჩნდა, რომ კინოწარმოებაზე გაცილებით მეტი სცოდნია, ვიდრე ეგონა, მაგრამ მაინც დაიქირავა აღმასრულებელი პროდიუსერი, კაცი, რომელიც თავისი საქმის ნამდვილი პროფესიონალი გახლდათ, თუმც კი სამუშაოს ვეღარ შოულობდა მას მერე, რაც შავ სიაში მოხვდა. ჯონის შეეძლო, ეს გარემოება თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა, მაგრამ მაინც ძალზე სარფიანი კონტრაქტი შესთავაზა.

- იმედი მაქვს, ასე უფრო მეტ ფულს დავზოგავ, - გულახდილად უთხრა ჯონიმ.

ჯონის მეტად გაუკვირდა, როდესაც აღმასრულებელმა პროდიუსერმა უთხრა, პროფკავშირი წინასწარ 50000 დოლარს ითხოვსო. ჯონის ეჭვი შეეპარა, პროდიუსერმა ჩემი გაცურება ხომ არ მოინდომაო, ამიტომაც თქვა: - პროფკავშირის კაცი პირდაპირ ჩემთან მოვიდეს.

,,პროფკავშირის კაცი" ბილ გოფი აღმოჩნდა.

- მეგონა, პროფკავშირთან ურთიერთობა ჩემმა მეგობარმა ბოლომდე გაარკვია, - უთხრა ჯონიმ.

- ვინ გითხრა? - ჰკითხა გოფმა.

- შენც მშვენივრად იცი, ვინც მითხრა, - მიუგო ჯონიმ, - სახელს არ ვიტყვი, მაგრამ თუკი მან მითხრა, ესე იგი, ასეცაა.

- სიტუაცია შეიცვალა, - თქვა გოფმა, - შენი მეგობარი განსაცდელში აღმოჩნდა, ამიტომ მისი სიტყვა დასავლეთ სანაპირომდე ვეღარ აღწევს.

ჯონიმ მხრები აიჩეჩა: - რამდენიმე დღეში შემომიარე, ო,კეი?

გოფმა გაუღიმა: - რა თქმა უნდა, ჯონი, - თქვა მან, - მაგრამ ნიუ-იორკში დარეკვა ვეღარ გიშველის.

მაგრამ დარეკვამ უშველა. ჯონი ჰეიგენს მის ოფისში ელაპარაკა. ტომმა გადაჭრით უთხრა, ფული არ გადაეხადა.

- შენი ნათლია საშინლად გაბრაზდება, თუკი გაიგებს, რომ თუნდაც ერთი ცენტი გადაუხადე მაგ ნაბიჭვარს, - უთხრა ჯონის, - დონის პრესტიჟი დაეცემა, ამის უფლებას კი თავს ახლა ვერაფრით მისცემს.

- შეიძლება, დონს დაველაპარაკო? - იკითხა ჯონიმ, - ან, იქნებ, შენ დაელაპარაკო? საცაა ფილმის გადაღება უნდა დავიწყო.

- დონს ჯერჯერობით ვერავინ დაელაპარაკება, - თქვა ჰეიგენმა, - ძლიერ სუსტადაა. სონის დაველაპარაკები, მაგრამ იცოდე, ასეთ საქმეებს მე ვწყვეტ. მაგ ნაბიჭვარს არაფერი გადაუხადო. თუ რამე შეიცვლება, შეგატყობინებ.

ჯონი გაღიზიანდა და ყურმილი დაკიდა. პროფკავშირებთან უსიამოვნებამ შეიძლება ფილმის ხარჯები მნიშვნელოვნად გაზარდოს და გადაღება საერთოდაც სათუო გახდეს. ჯონს გაუელვა აზრმა, გოფისთვის ფული ფარულად ხომ არ მიმეცაო. რადგან, როცა დონი ეუბნება მას რაღაცას, ეს ერთია, და როცა ჰეიგენი, - სულ სხვა, მაგრამ ბოლოს გადაწყვიტა, კიდევ რამდენიმე დღე მოეცადა.

ამ გადაწყვეტილებამ მას 50000 დოლარი დააზოგვინა. ორი დღის შემდეგ გოფი თავის სახლში, გლენდეილში, მოკლული იპოვეს. ამის მერე პროფკავშირთან უსიამოვნებაზე ლაპარაკიც აღარ ყოფილა. მკვლელობამ ჯონი, ცოტა არ იყოს, შეაშფოთა. ეს პირველი შემთხვევა იყო, როდესაც დონის ,,მსახვრალმა ხელმა" სასიკვდილო დარტყმა მასთან ესოდენ ახლოს მოახდინა.

შემდეგი რამდენიმე კვირის განმავლობაში ჯონი გადაღების პროცესში სულ უფრო მეტად და მეტად ეფლობოდა: სცენარის დამუშავებაში, მსახიობების შერჩევასა და

სხვა საორგანიზაციო საქმეებში. ჯონი ფონტეინმა სრულიად გადაივიწყა, რომ ვეღარ მღერის და, როდესაც აკადემიის პრიზზე ნომინირებულთა სიაში თავისი თავი იპოვა, იმ აზრმა შეაწუხა, რომ დაჯილდოების ცერემონიის სატელევიზიო შოუზე შეიძლებოდა რამდენიმე სიმღერის შესრულება მოეთხოვათ, მაგრამ მერე ამაზე ფიქრი შეწყვიტა და მუშაობა განაგრძო. ახლა, როცა დონს აღარ აქვს საშუალება გავლენა მოახდინოს ჟიურიზე, აკადემიის პრიზის მიღების შანსი დაკარგა, თუმცა ის ფაქტი, რომ ნომინანტებს შორის დაასახელეს, თავისთავად რაღაცას მაინც ნიშნავდა.

იტალიური სიმღერების ფირფიტა, რომელიც მან და ნინომ ერთად ჩაწერეს, გაცილებით უკეთ იყიდებოდა, ვიდრე ნებისმიერი ფირფიტა, რაც კი მან ბოლო დროს გამოუშვა, თუმცა ჯონი ხვდებოდა, ეს უფრო ნინოს წარმატება იყო, ვიდრე მისი.

კვირაში ერთხელ ჯინისა და ბავშვებთან ერთად ვახშმობდა. მიუხედავად იმისა, რა მოულოდნელობა ხდებოდა მუშაობის პროცესში, ამ თავის ნებაყოფლობით მოვალეობას პირნათლად ასრულებდა, მაგრამ ჯინისა და მას ერთად არ ეძინათ. ამასობაში მისმა მეორე ცოლმა ,,მექსიკური გაყრა'' მოუწყო და ჯონი ისევ თავისუფალი მამაკაცი შეიქნა. უცნაური იყო, მაგრამ ამის მერე ახალგაზრდა დამწყებ კინომსახიობ ქალებს არ დარევია. მისი პატივმოყვარეობა, ცოტა არ იყოს, იმით შეილახა, რომ არც ერთ ახალგაზრდა მსახიობ ქალს, რომელიც მის ახალ ფილმში მთავარ როლებს ასრულებდნენ, არ შეუთავაზებია ჟიმაობა, მაგრამ ეს, ერთი მხრივ, კარგიც იყო, რადგან ძალიან ბევრს მუშაობდა. საღამოობით უმეტესად შინ მარტო ბრუნდებოდა, თავის რომელიმე ძველ ფირფიტას ჩართავდა, ერთ-ორ ჭიქას დალევდა და საკუთარ ხმას ბანს აყოლებდა. თავის დროზე კარგად მღეროდა, საოცრად კარგად. თვითონაც კი ვერ აცნობიერებდა, რაოდენ კარგად. იმ ტექნიკური დახმარების გარეშეც, რაც, კაცმა რომ თქვას, ნებისმიერმა შეიძლება მიიღოს. ნამდვილი ხელოვანი გახლდათ, არადა, ვერც კი აცნობიერებდა, რამდენად უყვარდა ხელოვნება. თავისი ხმა ლოთობას, მოწევასა და ქალებს ისე გადააყოლა, ვერც მოასწრო გაეგო, რა სიმდიდრეს ფლობდა.

ზოგჯერ მასთან სახლში ნინო მიდიოდა ხოლმე თითო ჭიქის დასალევად. ერთად უსმენდნენ მის ფირფიტებს და ჯონი ეუბნებოდა: - მისმინე, ნაბიჭვარო, შენ ასე არასოდეს გიმღერია.

ნინო იღიმებოდა თავისი უჩვეულოდ მომხიბლავი ღიმილით და უპასუხებდა: - არ მიმღერია და ვერც ვიმღერებ.

ბოლოს, ფილმის გადაღების დაწყებამდე ერთი კვირით ადრე, აკადემიის პრიზების გადაცემის საზეიმო ცერემონიალი გაიმართა. ჯონიმ ნინოს სთხოვა, წაჰყოლოდა.

- მისმინე, ძმაო. ცხოვრებაში შენთვის არაფერი მითხოვია, ასე არ არის? - უთხრა ჯონიმ, - მოდი, რა, ჰქენი სიკეთე და წამომყევი. შენ ხარ ერთადერთი ადამიანი, რომელსაც მართლა ეწყინება, თუკი პრიზს არ მომცემენ.

ნინო წამით გაშტერდა, შემდეგ უთხრა: - რა თქმა უნდა, ძმაო, წამოვალ და თუ ,,ოსკარს'' ვერ მიიღებ, მიაფურთხე. ერთი კარგად გამოთვერი და ეგ იქნება. ყველანაირად დაგეხმარები და ამ საღამოს წვეთსაც არ დავლევ.

- ძმა ხარ, - უთხრა ჯონიმ.

ნინომ სიტყვა შეასრულა, - საღამოს მივიდა და თან სავსებით ფხიზელიც გახლდათ. ერთად გასწიეს დარბაზისკენ, სადაც ცერემონიალი უნდა გამართულიყო. ნინოს აინტერესებდა, რატომ არ წაიყვანა თან ჯონიმ თავისი ერთ-ერთი ქალი ან ყოფილი ცოლი. ვთქვათ, ხომ შეეძლო, ჯინი დაეპატიჟებინა? თუ მის ერთგულებაშიც ეჭვი ეპარებოდა? ნინოს ისე უნდოდა დალევა, რომ გიჟს ჰგავდა. საღამო დაუსრულებელი და სასტიკად მოსაწყენი ეჩვენებოდა.

ნინო ვალენტისთვის აკადემიის პრიზების გადაცემის ცერემონიალი მართლაც მოსაწყენი სანახაობა გახლდათ, სანამ მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისთვის გამარჯვებულის სახელი არ ამოიკითხეს: „ჯონი ფონტეინი“. ეს რომ გაიგო, ნინო ფეხზე წამოვარდა და ტაში დასცხო. ჯონიმ ხელი გაუწოდა, - ნინომ ჩამოართვა. მიხვდა, მის მეგობარს ადამიანური კონტაქტი სჭირდებოდა ვინმესთან, ვისაც ენდობოდა, და ნინოს გული დაეწვა, რომ ჯონის მის გარდა არავინ ჰყავდა, ვისაც დიდების ზენიტში მყოფი სიხარულს გაუზიარებდა.

ცერემონიალს რაც მოჰყვა, ნამდვილ კოშმარს ჰგავდა. ჯეკ ვოლცის ფილმმა ყველა მთავარი ჯილდო მიიღო და სტუდიის მიერ მოწყობილი მიღება რეპორტიორებითა და ყველა ჯურის აფერისტებით აივსო და გადაივსო - როგორც მამაკაცებით, ასევე ქალებით. ნინომ ჯონისთვის მიცემული სიტყვა შეასრულა, არ დაულევია, თანაც ჯონის გვერდიდან არ სცილებოდა, მაგრამ ქალები ჯონის წამდაუწუმ „ორი სიტყვის სათქმელად“ ეძახდნენ ცალკე ოთახში და ისიც იქიდან სულ უფრო და უფრო მთვრალი გამოდიოდა.

ამ დროს მსახიობი ქალბატონი, რომელმაც მთავარი პრიზი მიიღო ქალის როლის საუკეთესო შესრულებისათვის, იმავე დღეში იყო, მაგრამ ეს ახალი როლი უფრო მოსწონდა და ჯონიზე უკეთესადაც ართმევდა თავს. ნინო ერთადერთი მამაკაცი გახლდათ მიღებაზე, ვინც მას ყურადღება არც მიაქცია.

ბოლოს ვიღაცას გენიალური იდეა მოუვიდა თავში, - ორი გამარჯვებულის საჯარო სქესობრივი აქტი მოვაწყოთო. ყველა დანარჩენი მაყურებელი უნდა ყოფილიყო. მსახიობი ქალი გაშიშვლდა, იქ მყოფი სხვა ქალები კი ჯონის ეცნენ და ტანსაცმლის შემოგლეჯა დაუწყეს, მაგრამ ნინომ, ერთადერთმა ფხიზელმა დამსწრეთა შორის, ივაჟკაცა, ნახევრად შიშველ ჯონის ხელი სტაცა, ამოიიღლიავა, კარისკენ ბრძოლით გზა გაიკაფა, მანქანაში ჩატენა და შინ წაიყვანა. სანამ მიჰყავდა, ნინო ფიქრობდა, - თუკი ეს არის წარმატება, მაშინ საერთოდაც არ უნდა არაფერიო.

ნაწილი III

თავი მეთოთხმეტე

თორმეტი წლისა დონი უკვე ნამდვილი კაცი იყო. დაბალი, შავგვრემანი, ხმელი. სიცილიის სოფელ კორლეონეში ცხოვრობდა, რომელიც უცნაურად ჩამოჰგავდა მავრების სოფელს. მისი ნამდვილი სახელი და გვარი ვიტო ანდოლინი გახლდათ, მაგრამ როდესაც თორმეტი წლის ასაკში მის მოსაკლავად მოვიდნენ ისინი, ვინც მამა მოუკლა, დედამ ბიჭი ნათესავებთან, ამერიკაში გახიზნა. იქ მან გვარი შეიცვალა,

კორლეონე გახდა, მშობლიურ სოფელთან რამენაირი კავშირი მაინც რომ შეენარჩუნებინა. ეს იყო ერთ-ერთი იმ ძალზე იშვიათი სენტიმენტალური ჟესტებიდან, რაც კი ოდესმე ცხოვრებაში გაუკეთებია.

საუკუნის ბოლოს სიცილიაში მაფია მეორე მთავრობას წარმოადგენდა, რომელიც რომში მყოფ ოფიციალურ ხელისუფლებაზე გაცილებით ძლევამოსილი გახლდათ. ვიტოს მამას ჩხუბი მოუვიდა თანასოფლელთან, რომელმაც დახმარებისთვის მაფიას მიმართა. მამამისმა დაჩოქებაზე უარი განაცხადა და ჯგუფური ჩხუბისას ადგილობრივი მაფიის ბოსი შემოაკვდა. ერთი კვირის თავზე იგი მკვდარი იპოვეს, - ლუპარის გასროლას მისი სხეული ნაკუწებად დაეგლიჯა. დასაფლავებიდან ერთი თვის შემდეგ მაფიის ხალხმა ვიტო მოიკითხა. იცოდნენ, რომ სულ მალე, რამდენიმე წლის შემდეგ, სრულწლოვანი გახდებოდა და მამის გამო შურს იძიებდა. თორმეტი წლის ბიჭი ნათესავებმა გადამალეს, შემდეგ კი გემით ამერიკაში გაამგზავრეს. ასე აღმოჩნდა ვიტო აბანდანდოების ოჯახში, რომლის ერთ-ერთი ვაჟი, ჯენკო, მოგვიანებით მისი კონსილიორი გახდა.

ყმაწვილი ვიტო აბანდანდოს ბოსტნეულის მაღაზიაში მუშაობდა მეცხრე ავენიუზე, ნიუ-იორკის რაიონ ჰელს-ქიჩენში. თვრამეტი წლისამ სიცილიიდან ახალჩამოსული ქალიშვილი შეირთო ცოლად. მხოლოდ და მხოლოდ თექვსმეტი წლისა იყო, მაგრამ მშვენიერ კერძებს ამზადებდა და, საერთოდაც, კარგი დიასახლისი გახლდათ. მეათე ავენიუზე, 35-ე ქუჩის მახლობლად მრავალბინიან სახლში დასახლდნენ, რომელსაც ვიტოს სამუშაო ადგილს მხოლოდ რამდენიმე კვარტალი აშორებდა. ორი წლის შემდეგ პირველი ბიჭი შეეძინათ, სანტინო, რომელსაც მეგობრებმა, მამისადმი ერთგულების გამო, სონი (ანუ ვაჟიშვილი) შეარქვეს.

მათ უბანში ერთი კაცი ცხოვრობდა, სახელად ფანუჩი, ჩასხმული, სასტიკი გამომეტყველების მქონე, - ღია ფერის ძვირფას კოსტიუმებსა და კრემისფერ ფეტრის შლაპებს ატარებდა. მასზე ამბობდნენ, ,,შავი ხელიაო", ანუ მაფიის განაყოფი, და მაღაზიების მფლობელებსა და იტალიელთა ოჯახებს ფიზიკური ანგარიშსწორების მუქარით ფულს სძალავსო. რადგან უბნის მცხოვრებთა უმეტესობა თვითონ იყო კრიმინალი, ფანუჩის მუქარას მხოლოდ ხანში შესული წყვილები შეეძლო დაეშინებინა, რომელთაც არ ჰყავდათ ვაჟები, რომლებიც მათ დაიცავდნენ. ზოგიერთი მაღაზიის მეპატრონე მას ყოველი შემთხვევისათვის მცირე თანხას უხდიდა. გარდა ამისა, ფანუჩი ფულს თანამემამულე კრიმინალებზეც აკეთებდა, - ვინც არალეგალურად ავრცელებდა იტალიური ლატარიის ბილეთებს და იატაკქვეშა სამორინეები ჰქონდა გამართული საკუთარ სახლში. აბანდანდოს მაღაზია მას მცირე გადასახადს უხდიდა მიუხედავად იმისა, რომ ჯენკო მამას ემუდარებოდა, მიეცა უფლება ფანუჩისთან საქმე მოეგვარებინა, მაგრამ მამამ აუკრძალა. ვიტო კორლეონე ამ ყველაფერს გვერდიდან ადევნებდა თვალს.

ერთხელაც ფანუჩის სამი ახალგაზრდა დაესხა თავს. ყელი დანით გადაუსერეს, იმდენად ღრმად არა, რომ მომკვდარიყო, მაგრამ საკმარისად იმისთვის, რომ ბევრი სისხლი დაეკარგა და დაშინებულიყო. ვიტომ თავისი თვალით ნახა, როგორ გარბოდა დაჭრილი ფანუჩი, - არასოდეს დაავიწყდება, როგორ ეჭირა ნიკაპქვეშ თავისი კრემისფერი შლაპა, სისხლის წვეთები რომ დაეჭირა. თითქოს კოსტიუმი არ უნდოდა დალაქავებოდა, ანდა სამარცხვინო კვალის დატოვება არ სურდა.

ახალგაზრდები, რომლებიც ფანუჩის თავს დაესხნენ, მკვლელები არ ყოფილან, უბრალოდ, მაგარი ბიჭები იყვნენ და გადაწყვიტეს, მისთვის ჭკუა ესწავლებინათ, რათა სხვის ხარჯზე ცხოვრებას გადასჩვეოდა, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ, ახალგაზრდა, რომელმაც დანა იხმარა, ჩაცხრილეს, ორი დანარჩენის ოჯახებს კი ფანუჩისთვის ფულის გადახდამ მოუწიათ, შურისძიებაზე უარი რომ ეთქვა. ამის შემდეგ უბანში გადასახადები გაიზარდა, ფანუჩი კი სამორინეების მეპატრონეთა პარტნიორი გახდა, მაგრამ ეს ვიტო კორლეონეს არ ეხებოდა. მან ეს ყველაფერი უმალ ამოიგდო თავიდან.

პირველი მსოფლიო ომის დროს, როდესაც იმპორტული ზეთისხილის ზეთი გაძვირდა, ფანუჩი აბანდანდოს მაღაზიის წილში შევიდა იმით, რომ იტალიიდან არა მხოლოდ ზეთის, არამედ ძეხვეულის, ლორისა და ყველის შემოტანაც დაიწყო. შემდეგ მაღაზიაში სამუშაოდ ბიძაშვილი მოაწყო და ვიტო კორლეონე უმუშევარი დარჩა.

იმ დროისათვის ვიტოს მეორე ვაჟიშვილი, ფედერიკო, შეეძინა, - უკვე ოთხი სული ჰყავდა დასაპურებელი. იმ მომენტამდე ვიტო ჩუმი, თავის თავში ჩაკეტილი ყმაწვილი გახლდათ, თავის ფიქრებს არავის უზიარებდა. ჯენკო აბანდანდო მისი უახლოესი მეგობარი იყო, მაგრამ ვიტომ იმაში, რაც მამამისმა გააკეთა, ყველას გასაკვირად, თვით ჯენკო დაადანაშაულა. ჯენკო სირცხვილისგან გაწითლდა და მეგობარს შეჰფიცა, საჭმლის გასაჭირი არასოდეს გექნება, მამაჩემის მაღაზიიდან მოვიპარავ ყველაფერს, რაც დაგჭირდებაო. ვიტომ კატეგორიულად უარყო ეს წინადადება - სირცხვილია, შვილი მამას ჰპარავდესო.

ვიტოს ფანუჩი სასტიკად სძულდა. არასოდეს გამოუმჟღავნებია, რასაც განიცდიდა, უბრალოდ, ელოდა მომენტს, მასთან ანგარიში რომ გაესწორებინა. რამდენიმე თვე რკინიგზაზე იმუშავა, მაგრამ ომის დასრულების შემდეგ სამუშაო გაცილებით ნაკლები იყო და თვეში მხოლოდ რამდენიმე დღის სამყოფ ფულს შოულობდა. თანაც, საქმეთა მწარმოებლები უმეტესად ირლანდიელი ამერიკელები იყვნენ და მუშებს უკანასკნელი სიტყვებით ლანძღავდნენ და აგინებდნენ. ვიტო ყოველთვის ისეთი სახით იდგა ხოლმე, თითქოს არ ესმოდა, რას ეუბნებოდნენ, თუმცა სინამდვილეში ინგლისური მშვენივრად იცოდა, მიუხედავად იტალიური აქცენტისა.

ერთ საღამოს, როდესაც ვიტო ოჯახთან ერთად ვახშმობდა, სარკმელზე, რომელიც მომიჯნავე სახლის კედლის სავენტილაციო ხვრელზე გადიოდა, ვიღაცამ მოაკაკუნა, ვიტომ ფარდა გადასწია და, თავისდა გასაოცრად, უბნელი ახალგაზრდა, პიტერ კლემენცა დაინახა. მან თეთრ ნაჭერში გახვეული რაღაც გაუწოდა და უთხრა: - ჰეი, ძმაო, გამომართვი და შემინახე, სანამ არ მოგთხოვ. ჩქარა.

ვიტომ შეფუთული მექანიკურად გამოართვა. კლემენცა აშკარად შეშფოთებული და აღელვებული ჩანდა. ეტყობა, განსაცდელში იყო და ვიტოს დახმარება სავსებით ინსტინქტური ჟესტი გახლდათ. როდესაც ვიტომ ფუთა გახსნა, იქ ხუთი ცალი დაშლილი, დაზეთილი პისტოლეტი ნახა. ისევ გამოკრა ფუთა და საძინებელი ოთახის კარადაში დამალა. შემდეგ შეიტყო, პოლიციას კლემენცა დაეპატიმრებინა. როდესაც სავენტილაციო ხვრელიდან ფუთას აწვდიდა, მის კარზე უკვე პოლიცია იყო მომდგარი.

ვიტოს ამის შესახებ არავისთვის არაფერი უთქვამს, მისი ცოლი კი იმდენად იყო შეშინებული, რომ ვიტოსაც დაიჭერდნენ, უახლოეს დაქალებთანაც არ დაუძრავს კრინტი. ორი დღის შემდეგ კლემენცა გამოუშვეს. ვიტოსთან მივიდა და ჰკითხა: - ჩემი საქონელი ისევ შენთანაა?

ვიტომ თავი დაუქნია. ბევრი ლაპარაკი არ უყვარდა. კლემენცა სახლში გაჰყვა. ვიტომ ერთი ჭიქა შინაურული ღვინო ჩამოუსხა და გადამალული ფუთის ამოღებას შეუდგა.

კლემენცამ ღვინო დალია და ვიტოსკენ მიტრიალდა. კეთილი სახე ჰქონდა. ვიტოს ჰკითხა: - ნახე, რა არის შიგ?

ვიტოს სახე არაფერს გამოხატავდა.

- სხვისი ნივთები არ მაინტერესებს, - მიუგო.

მთელი საღამო ღვინის სმაში გაატარეს. კლემენცა კარგი მთხრობელი აღმოჩნდა, ვიტო კორლეონე კი ყურადღებიანი მსმენელი. სამუდამოდ დამეგობრდნენ.

რამდენიმე დღის შემდეგ კლემენცამ ვიტოს ცოლს ჰკითხა, სასადილო ოთახისთვის ლამაზი ხალიჩა ხომ არ გინდაო. შემდეგ ვიტოს უთხრა, ხალიჩის გადმოტანაში მომეხმარეო.

კლემენცამ ვიტო ერთ ლამაზ სახლთან მიიყვანა, რომელსაც მარმარილოს ორი სვეტი და მარმარილოს კიბე ამშვენებდა. კარი გასაღებით გააღო. მდიდრულად გაწყობილ ბინაში აღმოჩნდნენ. კლემენცამ უთხრა: - ოთახის ბოლოში გადი და ხალიჩის დახვევაში მომეხმარე.

ხალიჩა წითელი ფერის ძვირფასი მატყლისგან იყო მოქსოვილი. ვიტოს კლემენცას ხელგაშლილობა აოცებდა. ხალიჩა დაახვიეს და ერთმა ერთ ბოლოში მოჰკიდა ხელი, მეორემ - მეორეში. ხალიჩა გასასვლელისკენ წაიღეს.

ამ დროს კარზე ზარი დარეკეს. კლემენცამ ხალიჩა იმავე წამს დააგდო და ფანჯარას ეცა. ფარდა ფრთხილად გასწია, ცალი თვალით გაიხედა და პიჯაკის შიდა ჯიბიდან პისტოლეტი ამოაცურა. ვიტომ მხოლოდ იმწამს გააცნობიერა, რომ ხალიჩას ვიღაც უცნობის ბინიდან იპარავდნენ.

ზარი ხელმეორედ დაირეკა. ვიტო კლემენცასთან მივიდა და ფანჯარაში გაიხედა. შესასვლელთან პოლიციელი იდგა. პოლიციელმა ერთხელ კიდევ დარეკა, მხრები აიჩეჩა და წავიდა.

კლემენცამ კმაყოფილმა ჩაიფხუკუნა და ვიტოს უთხრა: - წამო, წავედით.

ხალიჩა ისევ ისე ასწიეს და გასასვლელისკენ წავიდნენ. პოლიციელმა, ის იყო, კუთხეში შეუხვია, რომ გარეთ გამოაღწიეს, მძიმე მუხის კარი მიხურეს და ხალიჩით ხელში ქუჩას სირბილით დაუყვნენ. ნახევარ საათში ხალიჩას ვიტოს სასადილო ოთახში ნაწილებად ჭრიდნენ. ორად გაჭრეს: დიდი ნაწილი სასადილო ოთახისთვის, მომცრო - საძინებლისთვის. კლემენცა კარგი ხელოსანი იყო და ფართო პიჯაკის (უყვარდა ფართო, ფართხუნა ტანსაცმელი, თუმცა მაშინ ძალიან მსუქანიც არ იყო) ჯიბეში ხალიჩის საჭრელი იარაღიც აღმოაჩნდა.

დრო გადიოდა, მაგრამ მდგომარეობა ისევ მძიმე რჩებოდა. ვიტო კორლეონეს ოჯახი ხალიჩას საჭმელად ვერ გამოიყენებდა. ვიტო იძულებული გახდა, ჯენკო აბანდანდოსთვის მაინც გამოერთმია რამდენიმე შეკვრა პროდუქტი. ბოლოს, კლემენცამ და ტესიომ, მეორე მისმა უბნელმა მაგარმა ბიჭმა, წინადადება შესთავაზეს. ვიტოს კარგად იცნობდნენ, იცოდნენ, როგორც ცხოვრობდა და გამოუვალ მდგომარეობაში რომ იყო ჩავარდნილი. შესთავაზეს ვიტოს, მათ ბანდას შეერთებოდა, რომელიც, ძირითადად, იმით იყო დაკავებული, აბრეშუმის კაბებით დატვირთულ საბარგო მანქანებს აყაჩაღებდა, 31-ე ქუჩაზე მდებარე ფაბრიკაში რომ კერავდნენ. საქმე სრულიად უხიფათო იყო. საბარგოების მძღოლები ჭკვიანი ბიჭები იყვნენ, - როგორც კი პისტოლეტს დაინახავდნენ, ეგრევე პანტაპუნტით ცვიოდნენ ასფალტზე, მათი მანქანები კი მძარცველებს თავიანთ საწყობში გადაჰყავდათ. საქონლის ნაწილს ნაცნობ მოვაჭრეს ბითუმად აძლევდნენ, დანარჩენს კი კარდაკარ დაატარებდნენ იტალიურ კვარტალებში - არტურ-ავენიუზე, ბრონქსში, მალბერი-სტრიტზე და მანჰეტენის ჩელსის უბანში. ღარიბი იტალიური ოჯახების ქალიშვილებს ასეთ ძვირფას კაბებზე ოცნებაც კი არ შეეძლოთ და, როცა იაფად შესთავაზებდნენ, გიჟებივით იტაცებდნენ. კლემენცასა და ტესიოს ვიტო საბარგო მანქანის მძღოლად სჭირდებოდათ, - იცოდნენ, რომ აბანდანდოს მაღაზიაში მუშაობის დროს მანქანას მართავდა. 1919 წელს კარგი მძღოლები მეტად ფასობდნენ.

თავისი შეხედულებების მიუხედავად, ვიტომ მათი წინადადება მიიღო. ვერ გაუძლო ცდუნებას - შეეძლო, ათასი დოლარი ეშოვა. მაგრამ, ვიტოს აზრით, მისი ახალგაზრდა კომპანიონები მეტად წინდაუხედავად მოქმედებდნენ, საქმე უთავბოლოდ, სანახევროდ დაგეგმილი იყო, ნადავლის განაწილება კი უაზრო. მისი ჭკუით, მათი საქმიანობა წარმოუდგენლად მოუფიქრებელი და სახიფათო გახლდათ, მაგრამ იმასაც ხედავდა, რომ კლემენცასა და ტესიოს ძლიერი, მტკიცე ხასიათი ჰქონდათ.

თვითონ საქმემ ყოველგვარი გართულების გარეშე ჩაიარა. თავისდა გასაოცრად, ვიტო კორლეონეს არანაირი შიში არ უგრძნია, როცა მისმა ორმა მეგობარმა პისტოლეტები დააძრო და მძღოლს უბრძანეს, მანქანიდან გადამხტარიყო. კლემენცასა და ტესიოს სიმშვიდემაც გააოცა. სულ არ ღელავდნენ, პირიქით, მძღოლს ეხუმრებოდნენ კიდეც. უთხრეს, თუ კარგად მოიქცევი, შენს ცოლს საჩუქრად ერთ-ორ კაბას გავუგზავნითო. რადგან ვიტოს მიაჩნდა, რომ სისულელე იყო ნაძარცვის კარდაკარ ტარება, თავისი წილი საქონელი მთლიანად ბითუმად მოვაჭრეს მისცა, რითაც მხოლოდ შვიდასი დოლარი იშოვა, თუმცა 1919 წელს ეს საკმაოდ სოლიდური თანხა გახლდათ.

მეორე დღეს ვიტო ქუჩაში ღია ფერის კოსტიუმში, ფეტრის კრემისფერ შლაპაში გამოწყობილმა ფანუჩიმ გააჩერა. სასტიკი გამომეტყველება ჰქონდა, თანაც სულ არ ცდილობდა რამენაირად დაეფარა საზარელი იარა, ყურიდან ყურამდე ყელზე, ნიკაპქვეშ რომ გასდევდა. ხშირი, ბანჯგვლიანი წარბები და მძიმე ნაკვთები ჰქონდა. თუმცა როცა გაიღიმებდა, სახე, უცნაურია, მაგრამ თითქოსდა კეთილმოსურნე უხდებოდა.

უხეშ სიცილიურ დიალექტზე ლაპარაკობდა.

- ა, გამარჯობა, ახალგაზრდავ, - უთხრა ვიტოს, - შენზე მითხრეს, გამდიდრდაო, შენც და შენი ორი მეგობარიც. მაგრამ ხომ არ ფიქრობთ, რომ, ცოტა არ იყოს,

უპატივცემულოდ მექცევით? ბოლო-ბოლო, ეს ჩემი უბანია და ნისკარტი მეც უნდა გავისველო.

ეს ბოლო ფრაზა სიცილიური მაფიის გამოთქმა იყო და ფანუჩიმ ის იტალიურად წარმოთქვა: „Fari vagnari a pizzu“. „Pizzu“ ნებისმიერი პატარა ჩიტის ნისკარტს აღნიშნავს, მაგალითად, იადონისას. ფრაზა, თავისთავად, ნადავლის ნაწილის მოთხოვნა გახლდათ.

ვიტომ, ჩვეულებისამებრ, არაფერი უპასუხა. ნათქვამის არსს წამსვე ჩახვდა და ახლა კონკრეტულ მოთხოვნას ელოდა.

ფანუჩიმ გაუღიმა, ოქროს კბილები და კისერზე იარა გამოაჩინა. მერე სახე ცხვირსახოცით შეიმშრალა და პიჯაკი შეიხსნა, თითქოსდა გაგრილება სურდა, მაგრამ სინამდვილეში უნდოდა, ვიტოს დაენახა პისტოლეტი, ფართო შარვლის ქამარში რომ ჰქონდა გარჭობილი. შემდეგ ამოიოხრა და თქვა: - მომეცი ხუთასი დოლარი და შეურაცხყოფას დავივიწყებ. აბა, რა გამოდის, ახალგაზრდებს სულ დაგავიწყდათ, რომ ისეთ კაცს, როგორიც მე ვარ, პატივი უნდა სცეთ.

ვიტომ გაიღიმა, მაგრამ მის ღიმილში იყო რაღაც, რის გამოც ფანუჩი წამით შეყოვნდა, სანამ ლაპარაკს განაგრძობდა.

- თუ არა და, პოლიცია მოგაკითხავს, - უთხრა ვიტოს, - შენი ცოლი და შვილები შერცხვებიან და ულუკმაპუროდ დარჩებიან. ოღონდ თუკი ჩემი ინფორმაცია შენი შემოსავლის შესახებ არაზუსტია, შემიძლია, ცოტა ნაკლებად გავისველო ნისკარტი, მაგრამ სულ მცირე, სამასი დოლარი მაინც მჭირდება... და ჩემს გაცურებას ტყუილად ნუ ეცდები, არაფერი გამოგივა.

ვიტო ამ ხნის განმავლობაში პირველად ალაპარაკდა. ხმა ჰქონდა მშვიდი, აუღელვებელი, გაღიზიანების ნატამალიც კი არ ეტყობოდა. თავაზიანად ლაპარაკობდა, ისე, როგორც ახალგაზრდამ უნდა მიმართოს ასაკით უფროსსა და თანაც ესოდენ პატივსაცემ კაცს.

- ჩემი ფული მეგობრებს აქვთ, უნდა დაველაპარაკო, - თქვა ვიტომ.

ფანუჩი დამშვიდდა.

- შეგიძლია, გადასცე შენს ორ მეგობარს, ველოდები, რომ ისინიც გამასველებინებენ ნისკარტს. ამის თქმა მათთვის ნუ შეგეშინდება, - დაამატა ფანუჩიმ, - მე და კლემენცა ერთმანეთს კარგად ვიცნობთ, ასეთ რაღაცებში გარკვეულია. მიეცი უფლება, გიხელმძღვანელოს. შენზე მეტი გამოცდილება აქვს.

ვიტო კორლეონემ მხრები აიჩეჩა. შეეცადა, ოდნავ დაბნეული გამომეტყველება მიეღო.

- კი, რა თქმა უნდა, - უთხრა ფანუჩის, - თქვენ კარგად გესმით, რომ ეს ყველაფერი ჩემთვის ახალია. გმადლობთ, რომ ნათლიასავით დამელაპარაკეთ.

ფანუჩიზე ამან შთაბეჭდილება მოახდინა.

- კარგი ბიჭი ხარ, - უთხრა მან, ვიტოს ხელი ბანჯგვლიან ტორებს შორის მოიქცია, მოუჭირა და განაგრძო, - უფროსებს პატივს სცემ. მეტად ძვირფასი თვისებაა ახალგაზრდა კაცისათვის. შემდეგ ჯერზე შენ თვითონ მოდი ჩემთან და გამომელაპარაკე, კარგი? შესაძლოა, საქმის დაგეგმვაში მოგეხმარო.

მრავალი წლის შემდეგ ვიტომ გააცნობიერა, რომ ფანუჩისთან საუბრისას ესოდენ გონივრულად და ტაქტიანად მხოლოდ იმიტომ იქცეოდა, რომ მამამისი სიცილიაში მაფიას თავისი სიფიცხის გამო შეეწირა. თუმც კი მთელი ამ ხნის განმავლობაში ყინულივით მწველ რისხვას გრძნობდა იმ კაცის მიმართ, ვინც ფულის წართმევას უპირებდა, სიცოცხლისა და თავისუფლების რისკის ფასად რომ მოიპოვა. შიშით არ შეშინებია. იმწამს გაიფიქრა კიდეც, რომ ფანუჩი არანორმალურად ბრიყვია. რამდენადაც კლემენცას იცნობს, ის მომსუქნო იტალიელი უმალ სიცოცხლეს დათმობს, ვიდრე ყაჩაღობით ნაშოვნი ფულიდან ვინმეს კაპიკს მისცემს. ხალიჩის გამო ხომ პოლიციელის მოსაკლავადაც მზად იყო. გამხდარ ტესიოს კი სულაც ასპიტივით მომაკვდინებელი მზერა ჰქონდა.

მაგრამ იმ საღამოს ვიტომ ახალი გაკვეთილი მიიღო იმ მეცნიერებიდან, რომლის დაუფლებას ახლახან შეუდგა. სამივენი კლემენცას სახლში იყვნენ. კლემენცა იგინებოდა, ტესიო აღშფოთებისაგან დუღდა, მაგრამ ბოლოს ორივემ იმაზე დაიწყო მსჯელობა, ფანუჩი სამასის ნაცვლად ორას დოლარს ხომ არ დაჰყაბულდებოდა. ტესიო ფიქრობდა, რომ, ალბათ, დათანხმდებოდა.

თუმცა კლემენცა სხვა აზრისა იყო.

- ეგ ნაბიჭვარი ფანუჩი ნამდვილად გაარკვევდა ბითუმად მოვაჭრესთან, რამდენი ფული ავიღეთ, - თქვა კლემენცამ, - ფანუჩი კაპიკსაც არ დააკლებს. მოგვიწევს გადახდა.

ვიტო განცვიფრებული იყო, მაგრამ შეეცადა განცვიფრება არაფრით გამოეხატა.

- რატომ უნდა გადავუხადოთ? - იკითხა მან, - რა შეუძლია, გაგვიკეთოს? ჩვენ, სამნი, მასზე ძლიერები ვართ. იარაღი გვაქვს. ჩვენი ფული რატომ უნდა მივცეთ?

კლემენცამ მოთმინებით აუხსნა: - ფანუჩის ბევრი მეგობარი ჰყავს. ნამდვილი მხეცები არიან. მერე კიდევ, პოლიციასთანაც შეკრულია. იმიტომაც უნდა ჩვენი გეგმების გაგება, რომ მერე პოლიციას ჩაუკაკლოს. ამის გამო ისინი შეღავათს უკეთებენ, რაღაც-რაღაცებზე თვალს ხუჭავენ. მაგის მთელი მეთოდიც ეს არის. ჩვენს რაიონში მოქმედების უფლება მარანზალასგან აქვს მიღებული.

მარანზალა განგსტერი გახლდათ, რომელზეც გაზეთებში ხშირად წერდნენ. ცნობილი იყო, როგორც კრიმინალური გაერთიანების ხელმძღვანელი, რომელიც შანტაჟს, შეიარაღებულ ძარცვასა და აზარტული თამაშების ორგანიზებას ეწეოდა.

კლემენცამ თავისი ხელით დაწურული ღვინო გამოიტანა. მისმა ცოლმა სუფრაზე იტალიური ძეხვი, ზეთისხილი და პური დააწყო. შემდეგ ეზოში ჩავიდა დაქალებთან საჭორაოდ, თან სკამი წაიღო. იგი იტალიიდან ერთი-ორი წლის ჩამოსული გახლდათ და ინგლისური ჯერ არ იცოდა.

ვიტო კორლეონე ორ მეგობართან ერთად ღვინოს სვამდა. მის გონებას ადრე არასოდეს უმუშავია ისე, როგორც მაშინ. თვითონაც კი უკვირდა, რამდენად ცხადად და მკაფიოდ აზროვნებდა. გაახსენდა ყველაფერი, რაც ფანუჩის შესახებ იცოდა. გაახსენდა ის დღე, როცა ქუჩაში ყელგამოღადრული გარბოდა და თან შლაპით სისხლის წვეთების დაჭერას ცდილობდა. გაახსენდა ბიჭი, ფანუჩიმ რომ მოკლა, და ორი სხვაც, ვისი სიცოცხლეც მათმა ოჯახებმა ფულით გამოისყიდეს. უცებ ვიტო მიხვდა, რომ ფანუჩის სერიოზული კავშირები არ გააჩნია. პოლიციის ინფორმატორს ის, უბრალოდ, არ შეიძლება ჰქონდეს... არ შეიძლება, ჰქონდეს კაცს, რომელიც შურისძიებაზე ფულის გამო ამბობს უარს. მაფიის ნამდვილი ბოსი იმ ორ ჯეელსაც მიასაღებდა. არა, ფანუჩის უბრალოდ გაუმართლა, - ერთი კი მოკლა, მაგრამ მის ორ მეგობარს ვეღარაფერს მოუხერხებდა, რადგან ისინი უკვე ფრთხილობდნენ და მასთან შესახვედრად მზად იყვნენ. ფანუჩი გამოსასყიდზე სწორედ ამიტომაც დათანხმდა. მხოლოდ მისი პირადი უხეში ძალა არის ის, რაც საშუალებას აძლევს, ფული გამოსძალოს მაღაზიების მფლობელებსა და სამორინეების მეპატრონეებს, თავ-თავიანთ სახლებში რომ აქვთ არალეგალურად გამართული. ვიტომ დანამდვილებით ისიც იცოდა, რომ ერთ-ერთი სამორინეს მეპატრონე ფანუჩის გადასახადს არ უხდიდა, თუმცაღა ამის გამო არასოდეს უსიამოვნება არ შეხვედრია.

ესე იგი, ფანუჩი მარტოა. ანდა, შესაძლოა, როდესაც საქმის გაკეთება უნდა, რამდენიმე შეიარაღებულ კაცს ქირაობს. ამან ვიტო იმ გადაწყვეტილებამდე მიიყვანა, რომელმაც მთელი მისი ცხოვრება შემოაბრუნა.

თავისი ცხოვრებისეული გამოცდილებიდან გამომდინარე, ვიტოს სჯეროდა, რომ ყოველ ადამიანს საკუთარი ბედისწერა წარმართავს. იმ ღამეს მას შეეძლო, ფანუჩისთვის ფული გადაეხადა და მერე ისევ ბოსტნეულის მაღაზიაში მოწყობილიყო სამუშაოდ. ცხოვრების ბოლოს, დიდი-დიდი, თვითონ გამხდარიყო ასეთივე პატარა მაღაზიის მეპატრონე, მაგრამ ბედისწერამ გადაწყვიტა, რომ იგი დონად უნდა ქცეულიყო! და იმისათვის, რომ თავისი ცხოვრების ბილიკზე შემდგარიყო, ფანუჩის შეახვედრა.

როდესაც ბოთლი ღვინო დაცალეს, ვიტომ კლემენცასა და ტესიოს უთხრა: - თუ გინდათ, მომეცით ორას-ორასი დოლარი, რომელიც ფანუჩის უნდა გადაუხადოთ. გარანტიას გაძლევთ, ამ ფულს აიღებს, როცა მე მივცემ. მერე კი ყველაფერი მე მომანდეთ. ამ პრობლემას გადავჭრი. კმაყოფილები დარჩებით.

კლემენცას მზერაში ეჭვი გამოკრთა. ვიტომ ცივად თქვა: - მე არასოდეს ვატყუებ იმას, ვინც მეგობრად მივიღე. ფანუჩის ხვალ შენ თვითონ დაელაპარაკე. მიეცი საშუალება, რომ ფულზე გკითხოს, მაგრამ ნურაფერს გადაუხდი. და არავითარ შემთხვევაში არ წაეჩხუბო. უთხარი, რომ ფულს გადაუხდი და რომ მისთვის მისაცემ თანხას მე გადმომცემ. აგრძნობინე, რომ თანახმანი ხართ გადავუხადოთ იმდენი, რამდენსაც გვთხოვს. არ ევაჭრო. ამაზე მე დაველაპარაკები. არ არის საჭირო მისი გაბრაზება, თუკი მართლაც ისეთი საშიში კაცია, როგორც ამბობთ.

ამაზე შეთანხმდნენ. მეორე დღეს კლემენცა ფანუჩის მართლაც დაელაპარაკა, რომ დარწმუნებულიყო, ვიტო არაფერს იგონებდა. შემდეგ ვიტოსთან სახლში მივიდა და ორასი დოლარი გადასცა, გაოცებით შეხედა და ჰკითხა: - ფანუჩიმ მითხრა, სამას დოლარს ცენტიც არ მოაკლდებაო. როგორ დაარწმუნებ, ნაკლები აიღოს?

ვიტომ დაფიქრებით მიუგო: - ეს შენ არ გეხება. უბრალოდ, დაიმახსოვრე, კარგ საქმეს გიკეთებ.

ტესიო ვიტოსთან მოგვიანებით მოვიდა. იგი კლემენცაზე თავდაჭერილი გახლდათ, უფრო ჭკვიანი, მაგრამ პიროვნულად ნაკლებად ძლიერი. რაღაცას წინასწარ გრძნობდა, რაც მთლად მართებული არ უნდა ყოფილიყო. ოდნავ შეწუხებული ჩანდა. ვიტოს უთხრა: - მაგ ნაბიჭვარ „შავ ხელთან“ ყურადღებით იყავი, მღვდელივით მოხერხებულია და ეშმაკი. გინდა, ფულს რომ გადასცემ, იქ ვიქნები, როგორც თვალი?

ვიტომ უარის ნიშნად თავი გააქნია. პასუხის გაცემაც კი არ ჩათვალა საჭიროდ. უბრალოდ, უთხრა: - გადაეცი ფანუჩის, რომ ფულს აქ, ჩემს სახლში მივცემ, საღამოს 9 საათზე. ჭიქა ღვინოს დავალევინებ და დაველაპარაკები, რომ ნაკლებზე დათანხმდეს.

ტესიომ თავი გაიქნია.

- არაფერი გამოგივა. ფანუჩი ნათქვამ სიტყვას არასოდეს ცვლის.

- მე მოველაპარაკები, - თქვა ვიტო კორლეონემ.

ეს ფრაზა შემდგომ საყოველთაოდ ცნობილი გახდა, ერთგვარი გამაფრთხილებელი სიგნალივით სასიკვდილო შეტაკების წინ. როდესაც ვიტო დონი გახდა და ოპონენტებს სთხოვდა ხოლმე მოსალაპარაკებლად დამსხდარიყვნენ, ისინი ხვდებოდნენ - ბოლო შანსიღა დარჩენოდათ, სანამ საქმე სისხლის ღვრამდე მისულა.

ვიტომ ცოლს უთხრა, ორივე ბავშვი, სონი და ფრედო, გარეთ გაეყვანა და მანამ არ მობრუნებულიყო, სანამ ნიშანს არ მისცემდა. სახლის კართან დარაჯივით უნდა მჯდარიყო. ფანუჩისთან პირადი საქმე მაქვს და ხელი არავინ შემიშალოსო. ვიტომ ცოლს შეხედა, მისი გამომეტყველება არ მოეწონა და გაბრაზდა, მაგრამ მშვიდად უთხრა: - შენ რა გგონია, სულელს გაჰყევი ცოლად?

ცოლმა არაფერი უპასუხა. შეშინებული იყო, მაგრამ ახლა უკვე ფანუჩისა კი არ ეშინოდა, არამედ საკუთარი ქმრისა. იგი მის თვალწინ იცვლებოდა, აშკარად ისეთ კაცად გარდაიქმნებოდა, რომელიც რაღაც შემაძრწუნებელ ძალას ასხივებდა. ვიტო ყოველთვის ცოტას ლაპარაკობდა, ჩუმი გახლდათ, მაგრამ თუკი იტყოდა რამეს, იტყოდა რბილად და გონივრულად, რაც ახალგაზრდა სიცილიელი მამაკაცისგან ერთობ გასაკვირი იყო. რასაც მისი ცოლი ახლა ხედავდა, დამცავი ნიღბის ჩამოხსნას ჰგავდა, - არავინ უწყოდა, რომ ვიტო თავისი ბედისწერის აღმართს შეუდგა. გვიან დაიწყო, ოცდახუთი წლის ასაკში, მაგრამ დაიწყო წარმატებით.

ვიტომ გადაწყვიტა, ფანუჩი მოეკლა. ამით იგი საკუთარ ანგარიშზე დამატებით შვიდას დოლარს მიიღებდა. სამას დოლარს, თვითონ რომ უნდა გადაეხადა „შავი ხელისათვის“ და ორას-ორასს - ტესიოსა და კლემენცას ფულს. ცოცხალი ფანუჩი ვიტოს ამ თანხად ნამდვილად არ უღირდა. იგი არ გადაიხდის შვიდას დოლარს იმისთვის, რომ ფანუჩი ცოცხალი დასეირნობდეს. შვიდასი დოლარი რომ დასჭირვებოდა საოპერაციოდ, სიცოცხლის გადასარჩენად, ამ ფულს მისთვის არ გაიმეტებდა. ფანუჩის წინაშე მადლიერებას არ გრძნობდა, სისხლით ნათესავები არ იყვნენ, ფანუჩი არ უყვარდა. მაშ, რატომ უნდა მისცეს შვიდასი დოლარი?

და ვიტომ მტკიცედ გადაწყვიტა: თუკი ფანუჩის სურს, შვიდასი დოლარი ძალით წაართვას, ვითომ რატომ არ შეიძლება, რომ მოკლას? სამყარო ფანუჩის გარეშეც მშვენივრად გაძლებს.

თუმცა, მეორე მხრივ, ამ საქმეში პრაქტიკული მომენტებიც აუცილებლად გასათვალისწინებელი იყო. ფანუჩის მართლაც შეიძლება, აღმოაჩნდეს ძლევამოსილი მეგობრები, რომლებიც შურისძიებას მოინდომებენ. თვითონ ფანუჩიც საკმაოდ საშიში კაცია, რომელსაც ასე ადვილად ვერ გაასაღებ. მერე კიდევ, პოლიცია და ელექტროსკამიც ხომ არსებობს, მაგრამ ვიტო კორლეონე სიკვდილით დასჯის შიშით მას შემდეგ ცხოვრობდა, რაც მამამისი მოკლეს. თორმეტი წლის ასაკში მკვლელებს გაექცა, ოკეანე გადასერა და უცხო ქვეყანაში სხვისი სახელით დაიწყო ცხოვრება. მშვიდი ცხოვრების წლებმა დაანახვა, რომ გაცილებით მეტი ჭკუა და გამბედაობა აქვს, ვიდრე სხვებს, თუმც კი მანამდე ამის გამოვლენის შესაძლებლობა არ მისცემია. და მაინც ყოყმანობდა, სანამ საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებდა, ბედისწერის გზაზე პირველ ნაბიჯს გადადგამდა.

შვიდასი დოლარი დასტად შეკრა და შარვლის ყველაზე საიმედო, მარცხენა ჯიბეში ჩაიდო, მარჯვენაში კი პისტოლეტი ჰქონდა, რომელიც კლემენცამ აბრეშუმით დატვირთული მანქანების დასაყაჩაღებლად მისცა.

ფანუჩი ზუსტად ცხრა საათზე მოვიდა. ვიტომ ერთი დოქი შინაურული ღვინო დაუდგა, კლემენცას რომ გამოართვა წინასწარ.

ფანუჩიმ თეთრი ფეტრის შლაპა მაგიდაზე, დოქის გვერდით დადო. ყელზე ფართო, ჭრელი ჰალსტუხი შეიხსნა, რომელზედაც ტომატის საწებლისგან დარჩენილი ლაქები კაშკაშა ფერის ქსოვილის ნაკუწებით იყო შენიღბული. ზაფხულის ცხელი ღამე იდგა, გაზის ნათურა სუსტად ანათებდა. ბინაში ჩამიჩუმი არ ისმოდა, მაგრამ კორლეონე ყინულივით იყო. ფანუჩიზე კარგი შთაბეჭდილება რომ მოეხდინა, ფული უმალვე გადასცა და ყურადღებით უყურებდა, როგორ ითვლიდა კუპიურებს, შემდეგ როგორ ამოიღო პიჯაკის ჯიბიდან ტყავის ვეება საფულე და როგორ შეინახა ცალკე განყოფილებაში. ფანუჩიმ ღვინო მოსვა და უთხრა: - შენ ჩემი კიდევ ორასი დოლარი გმართებს.

ფანუჩის უხეში, მძიმენაკვთიანი სახე არაფერს გამოხატავდა. ვიტო კორლეონემ მშვიდი ხმით უპასუხა: - ჯერჯერობით ფული მიჭირს, სამუშაო არა მაქვს. ნება მომეცით, ვალი რამდენიმე კვირაში გადავიხადო.

ეს ფანუჩისთვის მისაღები ვარიანტი იყო. ფულის დიდი ნაწილი უკვე ხელში ჰქონდა, ამიტომ მოცდასაც დასთანხმდებოდა. შეიძლება, კიდეც დაარწმუნოს, დანარჩენი თანხა აღარ მოითხოვოს, ანდა მეტი დრო მისცეს. ფანუჩიმ ღვინო მოსვა და თქვა: - ჰოო, ეს რა ყოჩაღი ბიჭი ყოფილხარ. ჩუმჩუმელა. ადრე როგორ არ გიცნობდი? შენი საქმისა არაფერი გეშლება. მერე რაღაცას გამოგინახავ, სარფიანს.

ვიტომ რაც შეეძლო დაინტერესებული და თავაზიანი გამომეტყველება მიიღო და ფანუჩის ჭიქა შეუვსო, მაგრამ ფანუჩი ახლა იმაზე ფიქრობდა, რა იქნებოდა უკეთესი, ვიტოსთვის საბოლოოდ რომ ეთქვა.

წამოდგა, ვიტოს ხელი გაუწოდა.

- ღამე მშვიდობისა, ყმაწვილო, - თქვა ფანუჩიმ, - რამე ხინჯი ხომ არ დაგრჩა გულში, ა? თუკი რაღაცით შემეძლება დახმარება, მითხარი. თუ ხვდები, რომ ამ საღამოს თავს მშვენიერი სამსახური გაუწიე?

ვიტომ ფანუჩის მისცა საშუალება, კიბეზე ჩასულიყო და სახლი უვნებლად დაეტოვებინა. ქუჩაში უამრავი მოწმე იქნება იმისა, რომ ვიტოსგან საღ-სალამათი გამოვიდა. ვიტო ფანჯრიდან ადევნებდა თვალს. დაინახა, რომ ფანუჩიმ მეთერთმეტე ავენიუსკენ შეუხვია, შინისკენ გაემართა, შესაძლოა, იმისთვის, რომ ფული გადაენახა, ანდა სულაც - პისტოლეტი. ვიტო ბინიდან გამოვიდა და სხვენზე სირბილით აიჭრა. რამდენიმე მიმდებარე სახლის ბრტყელი სახურავი გადაირბინა და სახანძრო კიბით დაეშვა უკანა ეზოში, რომელიც მაღალ, ცარიელ შენობას ემიჯნებოდა. ეზოს კარი ფეხით გააღო და ქუჩაზე ფანუჩის სახლის წინ გამოვიდა.

მეათე ავენიუზე საცხოვრებელი სახლები იყო განლაგებული, მეთერთმეტეზე კი უმეტესად სხვადასხვა ფირმის მიერ იჯარით აღებული საწყობები, სადაც ინახებოდა საქონელი, რკინიგზით რომ გადაეზიდათ. ფანუჩის მრავალბინიანი სახლი ამ უკაცრიელ ადგილას იდგა. სახლში, ძირითადად, მარტოხელა რკინიგზელები, მუშები და უიაფესი მეძავი ქალები ცხოვრობდნენ. ისინი თავიანთი სახლის წინ არ ისხდნენ ხოლმე და არ ჭორაობდნენ, როგორც პატიოსან იტალიელებს სჩვეოდათ, არამედ პაბებსა და დუქნებში ისხდნენ და ნაშოვნ ფულს იქ ხარჯავდნენ. ასე რომ, ვიტოსთვის ფანუჩის სახლის სადარბაზოში შეუმჩნევლად შესვლა არავითარ სირთულეს არ წარმოადგენდა. იქ პისტოლეტი ამოიღო, საიდანაც ჯერ ერთხელაც არ გაესროლა და ფანუჩის ჩაუსაფრდა.

ვიტო მინის კარიდან ქუჩას გაჰყურებდა, იცოდა, ფანუჩი მეათე ავენიუდან უნდა მოსულიყო. კლემენცასგან იცოდა, სად ჰქონდა პისტოლეტს დამცავი და აუშვა. ბავშვობაში მამასთან ერთად ხშირად ნადირობდა და მძიმე სიცილიური თოფიდან, ლუპარიდან, კარგად ისროდა. თოფის ხმარებაში იმდენად დახელოვნებული გახლდათ, რომ მამამისის მკვლელებმა მისი იმ ქვეყნად გასტუმრება სწორედ ამის გამო გადაწყვიტეს.

სადარბაზოს ბნელ კუთხეში მდგომმა ვიტომ ფანუჩის თეთრ შლაპას მოჰკრა თვალი. ფანუჩი სახლისკენ მოდიოდა, ქუჩა გადაკვეთა. ვიტომ რამდენიმე ნაბიჯი უკან გადადგა, ზურგით კარს მიეყრდნო, შიდა კიბეზე რომ გადიოდა. პისტოლეტი ამოიღო. სადარბაზომდე ორიოდე ნაბიჯი იყო მხოლოდ. კარი გაიღო. ფანუჩიმ, - თეთრმა, სუნამოსსურნელიანმა, - განათებული მართკუთხედი თითქმის მთლიანად შეავსო. ვიტო კორლეონემ ჩახმახს თითი გამოჰკრა.

გასროლამ სახლი შეაზანზარა, ღია კარიდან ხმამ გარეთაც გააღწია. ფანუჩი ჩაიკეცა, კარს ჩაებღაუჭა, ცდილობდა, გასწორებულიყო და პისტოლეტი ამოეღო. არაადამიანური დაძაბულობისაგან ღილები ასწყდა და პიჯაკი შეეხსნა. ვიტომ ქამარში გარჭობილი პისტოლეტი დაინახა, მუცელზე კი წითელი ლაქა. ძალზე ფრთხილად, თითქოს ვენაში ნემსი შეჰყავსო, მეორე ტყვია ზუსტად წითელ ლაქაში ჩააჭედა.

ფანუჩი მუხლებზე დაეცა, გახსნილ კარს მიეყრდნო. საზარელი კვნესა აღმოხდა, გაუსაძლისი ტკივილისგან დატანჯული კაცის კვნესა, მაგრამ ეს ხმა თან კომიკურადაც ჟღერდა. კიდევ რამდენჯერმე დაიკვნესა. ვიტო შემდეგ იხსენებდა,

რომ ფანუჩიმ ეს, სულ ცოტა, სამჯერ მაინც გააკეთა, სანამ პისტოლეტი მის ოფლიან ლოყას მიადო და ტყვია პირდაპირ ტვინში შეუშვა. ხუთი წამიც არ გასულა, ფანუჩიმ სული განუტევა. სადარბაზოს კარში გაშხლართული ეგდო, - შესასვლელს სხეული ხერგავდა.

ვიტომ ფანუჩის პიჯაკის ჯიბიდან ვეება საფულე ფრთხილად ამოაცალა და პერანგის უბეში ჩაიდო. შემდეგ გარეთ გამოვიდა, ქუჩა გადაკვეთა, ეზო გადაჭრა და მაღალი შენობის სახურავზე სახანძრო კიბით ავიდა. სახურავიდან გადმოიხედა, იქაურობა დაზვერა. ფანუჩის გვამი ისევ სადარბაზოს შესასვლელში ეგდო. ახლომახლო კაციშვილი არ ჭაჭანებდა. საცხოვრებელი სახლის ორ ფანჯარაში ვიტომ ადამიანების სილუეტები შენიშნა, მაგრამ რადგან მათი სახე არ ჩანდა, ესე იგი ვერც ისინი გაარჩევდნენ მისას. და ისედაც, პოლიციას ინფორმაციას არავინ მიაწვდიდა. ფანუჩი, შეიძლება, მეორე დილამდე ეგდოს ასე, სანამ საპატრულო პოლიციელი შემოვლაზე შემთხვევით არ წააწყდება. ამ სახლიდან ნებით პოლიციაში არავინ წავა იმის შიშით, რომ მოწმედ ანდა ეჭვმიტანილად გამოიყვანენ. ბინების კარებს საგულდაგულოდ დაგმანავენ, ვითომცდა საერთოდ არაფერი გაგვიგიაო.

დრო ბლომად ჰქონდა. სახურავებზე აუჩქარებლად იარა, თავის სახლს მიაღწია და ეზოში ჩაეშვა. ბინაში შევიდა და კარი გასაღებით გადაკეტა. ფანუჩის საფულე ამოიღო და გახსნა. გარდა იმ შვიდასი დოლარისა, რომელიც თვითონ მისცა, იქ მხოლოდ რამდენიმე დოლარიანი და ერთი ხუთდოლარიანი კუპიურა აღმოჩნდა.

საფულის სარჩულში კიდევ ძველი ხუთდოლარიანი ოქროს მონეტა იპოვა, ეტყობა, ფანუჩის თილისმა. ფანუჩი მართლა მდიდარი განგსტერი რომ ყოფილიყო, სიმდიდრე თან არ ექნებოდა. ამან ვიტოს ფანუჩის თაობაზე ეჭვები კიდევ უფრო გაუმყარა.

ვიტომ იცოდა, რომ იარაღი და საფულე უნდა მოეშორებინა (თანაც ოქროს მონეტა აუცილებლად შიგ უნდა დარჩეს). ვიტო ისევ ავიდა სახურავზე, ცოტა ხანს იარა და საფულე ერთ-ერთ სავენტილაციო ხვრელში ჩაუშვა. მერე პისტოლეტი დაშალა, ტყვიები ამოიღო და შეეცადა, ლულა სახურავის გამოშვერილზე გაეტეხა, მაგრამ არ გამოუვიდა. შემდეგ პისტოლეტი შემოაბრუნა და სახელური საკვამურს მთელი ძალით დაახეთქა. პისტოლეტი ორ ნაწილად გაიპო. ვიტომ ნაწილები ცალ-ცალკე სავენტილაციო ხვრელებში ჩაუშვა. დაშლილი პისტოლეტი ხუთი სართულით ქვემოთ, მიწაზე უხმაუროდ დაეცა და ნაგვის გროვაში ჩაიკარგა. დილით იმ ადგილს ნაგვის ახალი ფენა დაფარავს, რომელსაც მობინადრეები ფანჯრებიდან გადმოყრიან. ვიტო თავის ბინაში დაბრუნდა.

სულ ოდნავ თრთოდა, თუმცაღა თავს სავსებით აკონტროლებდა. ტანსაცმელი გამოიცვალა, შიშობდა, შესაძლოა, ზედ სისხლის წვეთები დარჩენილიყო. ტანსაცმელი ლითონის ტაშტში ჩაყარა, სადაც მისი ცოლი ჭუჭყიან სარეცხს აგროვებდა ხოლმე, მერე შიგ წყალი ჩაასხა, უხეში სარეცხი საპონი და სარეცხის სახეხი ფიცარი აიღო. ტანსაცმელი გარეცხა, ოთახის კუთხეში ახალგარეცხილი ტანსაცმლის გროვა დაინახა და თავისიც მას შეურია. სუფთა პერანგი და შარვალი ჩაიცვა და ქუჩაში გავიდა, სახლის წინ მსხდომ თავის ცოლ-შვილსა და მეზობლებს შეუერთდა.

უსაფრთხოების ყველა ეს ზომა ზედმეტი აღმოჩნდა. პოლიციამ გვამი, მართლაც, მეორე დილით იპოვა, მაგრამ თავში არავის მოსვლია აზრად, ამის გამო ვიტო კორლეონე დაეკითხათ. ძალზე გაოცებული დარჩა, რომ პოლიციამ ვერაფერი გაიგო იმ ვიზიტის შესახებ, რომელიც ფანუჩის სიკვდილის წინ მასთან ჰქონდა. მოგვიანებით, ვიტო მიხვდა, რომ პოლიციას, ეტყობა, კიდეც გაუხარდა, ფანუჩი რომ გაასაღეს, და მისი მკვლელების ძებნით თავი მაინცდამაინც არც შეუწუხებია. პოლიციაში ივარაუდეს, რომ ეს ერთ-ერთი ბანდის ნამოქმედარი იქნებოდა და კრიმინალური წარსულის მქონე ჯეელების დაკითხვას დასჯერდნენ.

მაგრამ პოლიცია რომ ვერაფერს მიხვდა, ერთია, მისი პარტნიორები კი - სულ სხვა. პიტ კლემენცა და ტესიო ორი კვირის განმავლობაში არ გამოჩენილან, მერე კი ერთ საღამოს მიაკითხეს. ახლა მათ აშკარად მისი რიდი ჰქონდათ. ვიტო მშვიდი თავაზიანობით შეხვდა, ღვინო გამოუტანა.

ლაპარაკი კლემენცამ დაიწყო: - მეცხრე ავენიუს მაღაზიებისაგან გადასახადს აღარავინ კრებს და არც ჩვენი რაიონის სამორინეებისგან.

ვიტომ ორივეს დაკვირვებით შეხედა, მაგრამ ხმა არ ამოუღია. ტესიომ დაამატა: - ფანუჩის კლიენტებზე მეურვეობა ჩვენ შეიძლება ვიკისროთ. გადაგვიხდიან.

ვიტო კორლეონემ მხრები აიჩეჩა.

- ჩემთან რატომ მოხვედით? მე მსგავსი რაღაცები არ მაინტერესებს.

კლემენცამ გაიცინა. ახალგაზრდობაშიც კი, სანამ უზარმაზარი ღიპი დაედებოდა, მსუქანი კაცის სახასიათო სიცილი ჰქონდა. ვიტო კორლეონეს უთხრა: - რას იტყვი იარაღზე, მე რომ მოგეცი საბარგო მანქანების საქმეზე? რადგან აღარ გჭირდება, იქნებ, დამიბრუნო?

ვიტო კორლეონემ ჯიბიდან ბანკნოტების დასტა აუჩქარებლად ამოიღო და ხუთი ათდოლარიანი გადათვალა.

- აი, გიხდი. პისტოლეტი გადავაგდე, როცა საბარგოების საქმეს მოვრჩით.

და სტუმრებს გაუღიმა.

ვიტოს მაშინ არ უფიქრია იმაზე, რა ეფექტი მოახდინა მისმა ღიმილმა. საკუთარ ხუმრობაზე გაიღიმა, - ხუმრობაზე, რომელიც მხოლოდ თვითონ შეეძლო, შეეფასებინა, მაგრამ რადგან მისი მზერა ამ დროს ისევ ისეთივე ცივი რჩებოდა, რადგან გარეგნულად ესოდენ წესიერი და წყნარი იყო, მისი ნამდვილი არსის ეს უეცარი გამოვლინება ერთობ შემაშინებელი აღმოჩნდა.

კლემენცამ თავი გაიქნია.

- ფული არ მჭირდება.

ვიტომ კუპიურები ჯიბეში შეინახა. ამას ელოდებოდა. ერთმანეთს მშვენივრად გაუგეს. იცოდნენ, რომ ფანუჩი ვიტომ მოკლა და, მართალია, არავისთვის არაფერი უთქვამთ, ერთი-ორი კვირის განმავლობაში მთელმა უბანმა მაინც შეიტყო. ვიტო

კორლეონეს, როგორც „ღირსების კაცს“, ისე დაუწყეს ყურება, მაგრამ ვიტოს ფანუჩის რეკეტისა და შანტაჟის სისტემის ხელში ჩაგდება არც უცდია.

რაც ამას მოჰყვა, გარდაუვალი გახლდათ. ერთ საღამოს მისმა ცოლმა ბინაში მათი მეზობელი, ქვრივი ქალი შემოიყვანა. იტალიელი იყო, მეტად წესიერი და პატიოსანი ადამიანი. დღე და ღამეს ასწორებდა, თავაუღებლად მუშაობდა, რომ უქმროდ დარჩენილს ბავშვები როგორმე გამოეკვება. მის თექვსმეტი წლის ბიჭს ხელფასი დაბეჭდილი კონვერტით მოჰქონდა და დედას აბარებდა, ძველი წესისამებრ. ასევე იქცეოდა მისი ჩვიდმეტი წლის დაც, მკერავი. მთელი ოჯახი დღედაღამ საცოდავ გროშებად ღილებს მუყაოს ფირფიტებს აკერებდა. ქალს სინიორა კოლომბო ერქვა.

ცოლმა უთხრა: - სინიორას უნდა, რაღაც სამსახურის გაწევა გთხოვოს. უსიამოვნება შეემთხვა.

ვიტო ელოდებოდა, რომ ქალი ფულს სთხოვდა, და მიცემასაც აპირებდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ სინიორა კოლომბოს ჰყოლია ძაღლი, რომელიც მის უმცროს ბიჭს ძალიან უყვარდა. მეზობლებს სახლის მეპატრონესთან უჩივლიათ, ძაღლი ღამღამობით ყეფს, არ გვაძინებსო და მანაც სინიორა კოლომბოს უბრძანა, მოეშორებინა. ქვრივმა ძაღლი ბინაში გადამალა. სახლის მეპატრონემ ეს გაიგო და უბრძანა, ბინა დაეცალა. ამჯერად ქალი დაჰპირდა, რომ ნამდვილად წაიყვანდა ძაღლს და, მართლაც, შეასრულა სიტყვა, მაგრამ სახლის მეპატრონე ნათქვამს აღარ გადავიდა. უთხრა, ნებით თუ არ გახვალ, პოლიცია ძალით გაგიყვანსო. არადა მისმა პატარა ბიჭმა იმდენი იტირა, გული ამოუჯდა, როცა ძაღლი ლონგაილენდელ ნათესავებს მისცეს, მაგრამ სულ ამაო გამოდგა ყველაფერი, სახლს მაინც კარგავენ.

ვიტომ თავაზიანად ჰკითხა: - მე რატომ მთხოვთ დახმარებას?

სინიორა კოლომბომ მისი ცოლისკენ გაიქნია თავი.

- მან მითხრა, რომ თქვენთვის მეთხოვა.

ვიტო გაოცდა. მის ცოლს არასოდეს უკითხავს მისთვის ტანსაცმლის შესახებ, ფანუჩის მკვლელობის ღამეს რომ გარეცხა, არასოდეს უკითხავს, საიდან მოდიოდა ფული, როდესაც უმუშევარი იყო. ახლაც მისი სახე არაფერს გამოხატავდა. ვიტომ სინიორა კოლომბოს უთხრა: - მე შემიძლია, მოგცეთ ფული, რაც გადასვლაში დაგეხმარებათ. იქნებ ეს გნებავთ?

სინიორა კოლომბომ უარის ნიშნად თავი გააქნია. თვალებზე ცრემლი მოადგა.

- ყველა ჩემი მეგობარი აქ არის, გოგოები, ვისთანაც ერთად იტალიაში ვიზრდებოდი. როგორ გადავიდე უცხო უბანში, სადაც არავის ვიცნობ? მინდა, სახლის მეპატრონეს დაელაპარაკოთ, იქნებ დამტოვოს.

ვიტომ თავი დაუქნია.

- კარგი, გაგიკეთებთ ამას, გადასვლა არ მოგიწევთ. ხვალ დილასვე დაველაპარაკები.

ცოლმა გაუღიმა. ვიტომ არ შეიმჩნია, მაგრამ გულის სიღრმეში ესიამოვნა. სინიორა კოლომბო თითქოს მაინც ჭოჭმანობდა.

- დარწმუნებული ხართ, რომ დამტოვებს? - იკითხა მან.

- სინიორ რობერტო? - იკითხა ვიტომ ვითომცდა გაოცებული ღიმილით, - რასაკვირველია. კეთილი გული აქვს. როცა საქმის ვითარებას ავუხსნი, თქვენს გასაჭირს აუცილებლად გულთან მიიტანს. მეტად ეს ნუღარ შეგაწუხებთ. არ ინაღვლოთ. იფიქრეთ საკუთარ ჯანმრთელობაზე, თქვენი შვილების გულისათვის.

*

სინიორ რობერტო ყოველ დილით ჩამოივლიდა ხოლმე უბანში - თავისი ხუთი სახლის მდგომარეობას ამოწმებდა. იგი პადრონე გახლდათ, კაცი, რომელიც ახალჩამოსულ იტალიელ მუშახელს პორტში ხვდებოდა და დიდ კორპორაციებზე ყიდდა. მიღებული შემოსავლით ერთიმეორის მიყოლებით შეიძინა სახლები. განათლებული კაცი გახლდათ ჩრდილოეთ იტალიიდან და ამ ბნელი სამხრეთელების, სიცილიელებისა და ნეაპოლელებისადმი მიმართ მხოლოდ და მხოლოდ ზიზღს გრძნობდა, - მის სახლებში მატლებივით რომ ფუთფუთებდნენ, სავენტილაციო ხვრელებში ნაგავს ყრიდნენ, ტარაკანებსა და ვირთხებს აპარპაშებდნენ და მათ მოსასპობად თითსაც კი არ ანძრევდნენ. ბოროტი კაცი არ იყო, კარგი მეუღლე და მამა გახლდათ, მაგრამ მუდმივი ზრუნვა კაპიტალდაბანდებაზე, მოგებულ ფულზე, გარდაუვალ ხარჯებზე, რაც საკუთრების მფლობელს აქვს, ნერვებს იმდენად აწყვეტდა, რომ მუდმივად გაღიზიანებული ბრძანდებოდა. როდესაც ვიტო კორლეონემ ქუჩაში გააჩერა, სინიორ რობერტოს აშკარა მოუთმენლობა დაეტყო. მართალია, ცდილობდა, უხეში არ გამოჩენილიყო, რადგან ამ სამხრეთელებს რას გაუგებ, შეიძლება უცებ მუცელში დანა გაგიყარონ, თუკი რამე შეგეშლება, თუმცაღა ეს ყმაწვილი მშვიდი ვინმე ჩანდა.

- სინიორ რობერტო, - უთხრა ვიტომ, - ჩემი ცოლის მეგობარმა, საწყალმა ქვრივმა, რომელსაც ამქვეყნად არავინ ჰყავს, ვინც მის ინტერესებს დაიცავს, მითხრა, გარკვეული მიზეზის გამო გიბრძანებიათ, თქვენს კუთვნილ შენობაში ბინა დაცალოს. სასოწარკვეთილია, - არა აქვს ფული, არა ჰყავს მეგობრები იმათ გარდა, ვინც აქ ცხოვრობს. დავპირდი, რომ დაგელაპარაკებოდით, ვუთხარი, რომ თქვენ გონიერი კაცი ბრძანდებით, რომ, როგორც ჩანს, რაღაც გაუგებრობას აქვს ადგილი. სინიორა კოლომბომ თავიდან მოიშორა ცხოველი, რომლის გამოც ატყდა უსიამოვნება, მაშ, რატომ არ შეიძლება, დარჩეს ბინაში? როგორც იტალიელი იტალიელს, ისე გთხოვთ, დიდსულოვნება გამოიჩინოთ.

სინიორ რობერტომ მის წინ მდგომ ახალგაზრდას დაკვირვებით შეხედა. მას ელაპარაკებოდა საშუალო ტანის, მკვრივად ნაგები გლეხი, მაგრამ არა ბანდიტი, ვინც ესოდენ სასაცილო ფორმით უწოდა თავის თავს იტალიელი. რობერტომ მხრები აიჩეჩა.

- ბინა უფრო ძვირად უკვე სხვა ოჯახს მივაქირავე, - თქვა მან, - შენი მეგობრის გამო უარს ვეღარ ვეტყვი.

ვიტო კორლეონემ თავი დახარა იმის ნიშნად, ყველაფერი კარგად მესმისო.

- რამდენით ძვირად? - იკითხა მან.

- თვეში ხუთი დოლარით, - მიუგო სინიორ რობერტომ. ცრუობდა. ბინა რკინიგზის გვერდით იყო, ოთხი ბნელი ოთახისგან შედგებოდა. ქვრივი თვეში ოც დოლარს იხდიდა. ამაზე მეტს ამ ბინაში არავინ მისცემდა.

ვიტომ ჯიბიდან ბანკნოტების დასტა ამოიღო და სამი ათდოლარიანი გადაარჩია.

- აი, ექვსი თვის გაზრდილი ფასი წინასწარ, - თქვა ვიტომ, - მაგრამ ამის შესახებ ნურაფერს ეტყვით, მეტად ამაყი ქალია. ექვსი თვის შემდეგ მომაკითხეთ და კიდევ დაგიმატებთ, მაგრამ, რასაკვირველია, ძაღლის გაჩერების უფლება უნდა მისცეთ.

- კი, რადგან შენ იტყვი, - უპასუხა სინიორ რობერტომ, - ვინ ოხერი ხარ, ბრძანებებს რომ იძლევი? ჯერ დაფიქრდი, სანამ რამეს იტყოდე, თორემ ამ შენს სიცილიურ ტრაკზე ქუჩაში მოგასრიალებ.

ვიტომ ხელები გაოცებით გაშალა.

- მე მხოლოდ სიკეთესა გთხოვთ. არავინ იცის, როდის დასჭირდება კაცს მეგობარი, ასე არ არის? აი, აიღეთ ეს ფული ჩემი კეთილგანწყობის ნიშნად და თავად გადაწყვიტეთ, როგორ მოიქცევით. თქვენთან კამათს ვერ გავბედავ.

ვიტომ ფული სინიორ რობერტოს ხელში ჩაუდო.

- ეს პატარა სამსახური გამიწიეთ, ფული აიღეთ და ყველაფერი კარგად მოიფიქრეთ. თუკი ფულის დაბრუნებას გადაწყვეტთ, ხვალ დილითვე დამიბრუნეთ. თქვენი სახლიდან ქალის გაგდება თუ გნებავთ, ხელს როგორ შეგიშლით? ეს ხომ, ბოლოს და ბოლოს, თქვენი საკუთრებაა. მე შემიძლია გავიგო თქვენი, რომ არ გსურთ, შინ ძაღლი ჰყავდეთ. ცხოველები მე თვითონაც არ მიყვარს.

ვიტომ სინიორ რობერტოს მხარზე ხელი მოუთათუნა.

- გამიწიეთ სამსახური, კარგი? არ დაგივიწყებთ. ჩემზე უბანში, თქვენს მეგობრებში გაიკითხეთ. ყველა გეტყვით, რომ ის კაცი ვარ, ვინც თავის მადლიერებას საქმით ამტკიცებს.

როგორც იქნა, სინიორ რობერტოს გონებაში რაღაც ნელ-ნელა გაუნათდა, - რაღაცას მიხვდა. იმავე საღამოს ვიტო კორლეონეზე მართლაც გაიკითხა. მეორე დილამდე აღარ მოუცდია. საკმაოდ გვიან იყო, როცა კორლეონეს ბინის კარს მიუკაკუნა. დაგვიანებული ვიზიტისთვის ბოდიში მოიხადა, მაგიდასთან დაჯდა და სინიორა კორლეონეს ღვინით სავსე ჭიქა გამოართვა. ვიტო კორლეონე დაარწმუნა, რომ ეს ყველაფერი, რასაკვირველია, სამწუხარო გაუგებრობა გახლდათ და, ცხადია, სინიორა კოლომბოს შეუძლია, ბინაში დარჩეს და ძაღლიც იყოლიოს. რა უფლება აქვთ დამქირავებლებს საწყალ ცხოველზე ჩიოდნენ, როდესაც ესოდენ მცირე თანხას უხდიან? საუბრის ბოლოს სინიორ რობერტომ ამოიღო ოცდაათი დოლარი, რომელიც მას ვიტომ მისცა, მაგიდაზე დადო და ერთობ ცერემონიულად წარმოთქვა: - შენმა კეთილმა გულმა, საცოდავი ქვრივის უანგარო დახმარებამ, ჩემში სირცხვილის გრძნობა გააღვიძა და მინდა დავამტკიცო, რომ ქრისტიანული გულმოწყალების უნარი არც მე დამიკარგავს. მისი ბინის ქირა იგივე დარჩება.

ამ კომედიის ყველა მოქმედმა პირმა თავისი როლი მშვენივრად შეასრულა. ვიტომ ღვინო დაუსხა, ცოლს სთხოვა, ნამცხვარი გამოეტანა, სინიორ რობერტოს ხელი

მაგრად ჩამოართვა და მისი გულკეთილობა შეაქო. სინიორ რობერტომ შვებით ამოისუნთქა და ბრძანა, რომ ისეთი კაცის გაცნობა, როგორიც ვიტო კორლეონეა, მას ადამიანების რწმენას უბრუნებს. ბოლოს და ბოლოს, ერთმანეთს დაემშვიდობნენ. სინიორ რობერტო, რომელსაც ჯერაც მუხლები უკანკალებდა იმაზე ფიქრით, რა ხიფათს გადარჩა, ტრანსპორტში ჩაჯდა და ბრონქსში, თავისი სახლისკენ გასწია. სამი დღის განმავლობაში გაქირავებულ ბინებში აღარ გამოჩენილა.

ახლა ვიტო უბანში უკვე „ღირსების კაცი“ გახლდათ. მას, როგორც სიცილიური მაფიის წევრს, ისე უყურებდნენ. ერთ მშვენიერ დღეს მასთან მივიდა კაცი, რომელსაც არალეგალური სამორინე ჰქონდა და „მეგობრობის“ სანაცვლოდ კვირაში ოცი დოლარი თავისი ნებით შესთავაზა. ვიტო კვირაში ერთხელ ან ორჯერ უნდა დასწრებოდა ბანქოს თამაშს, რათა მოთამაშეები მიმხვდარიყვნენ, რომ სამორინეს ის მფარველობს.

მაღაზიების მფლობელებმა, რომელთაც ხულიგნებთან პრობლემები ჰქონდათ, შველა სთხოვეს. თხოვნა შეუსრულა და სათანადო ანაზღაურებაც მიიღო. მალე ვიტოს იმ დროისათვის უზარმაზარი შემოსავალი გაუჩნდა, - კვირაში ასი დოლარი. კლემენცა და ტესიო მისი მეგობრები და პარტნიორები იყვნენ, ამიტომ შემოსავალს უნაწილებდა, მაგრამ ამას ნებით აკეთებდა, მათი თხოვნის გარეშე. საბოლოოდ, ვიტომ გადაწყვიტა, ზეთისხილის ზეთის იმპორტის ბიზნესში შესულიყო ყმაწვილკაცობის მეგობართან, ჯენკო აბანდანდოსთან ერთად. ჯენკო გაუძღვებოდა საქმეს - იტალიიდან ზეთის შემოტანას, მამამისის საწყობებში შენახვასა და შესაფერის ფასად გასაღებას. ჯენკოს ამ მხრივ მდიდარი გამოცდილება ჰქონდა. კლემენცა და ტესიო გასაღების აგენტები იქნებოდნენ. ისინი ჩამოუვლიდნენ ყველა იტალიურ მაღაზიას მანჰეტენზე, ბრონქსში, ბრუკლინში და მეპატრონეებს დაარწმუნებდნენ, ევაჭრათ ზეთისხილის ზეთით, „ჯენკო პურათი“ (მისთვის დამახასიათებელი თავმდაბლობის გამო, ვიტო კორლეონემ უარი თქვა ახალი პროდუქტისთვის თავისი სახელი ეწოდებინა). ვიტო, ცხადია, კომპანიის ხელმძღვანელი იქნებოდა, რადგან ფულის უდიდესი წილი მისი გახლდათ. ასევე, საქმეში იმ შემთხვევებში ჩაერეოდა, თუკი მაღაზიის მფლობელები კლემენცასა და ტესიოს ზეთის შეძენაზე უარს ეტყოდნენ. მაშინ ვიტო დარწმუნების საკუთარ მეთოდებს გამოიყენებდა.

შემდეგი რამდენიმე წელი ვიტო კორლეონე წვრილი ბიზნესმენის ცხოვრებით ცხოვრობდა, თავისი კომერციული წამოწყების გაფართოებით, დინამიკურ, მზარდ კომპანიად გადაქცევით იყო დაკავებული. ერთგული ქმარი და მამა გახლდათ, მაგრამ იმდენად დაკავებული იყო, რომ ოჯახისთვის ძალზე ცოტა დრო რჩებოდა. მალე მისი „ჯენკო პურა“ ამერიკაში ყველაზე პოპულარული ზეთი გახდა. ვიტო კარგი ბიზნესმენი გამოდგა, - იცოდა, კონკურენტებთან ბრძოლაში ფასის დაკლება რა უპირატესობას იძლეოდა, და არწმუნებდა მაღაზიების მეპატრონეებს, მხოლოდ მისი პროდუქტი შეეკვეთათ. როგორც გონიერი ბიზნესმენი, მონოპოლიას ესწრაფოდა, აიძულებდა კონკურენტებს, ბიზნესის ეს სფერო ან დაეტოვებინათ, ან მის კომპანიას შერწყმოდნენ. და რადგან მან, ფაქტობრივად, ნულიდან დაიწყო, რეკლამას მაინცდამაინც არ ენდობოდა, პირადად ნათქვამი სიტყვა ერჩივნა, მით უფრო, კარგად იცოდა - სინამდვილეში მისი ზეთი სხვებს არაფრით სჯობდა. ასე რომ, ლეგალური ბიზნესის საშუალებები წარმატებისთვის ნამდვილად არ იყო საკმარისი. ვიტო საკუთარ პიროვნულ ძალასა და „ღირსების კაცის“ რეპუტაციას ეყრდნობოდა.

ახალგაზრდობაში ვიტო კორლეონე ცნობილი გახლდათ, როგორც კეთილგონიერი ადამიანი. არავის არასოდეს ემუქრებოდა. ლოგიკური არგუმენტებით მოქმედებდა და მიაჩნდათ, რომ წინააღმდეგობას საუბარში ვერავინ გაუწევდა. ვიტო ყოველთვის არწმუნებდა კონკურენტს, რომ თუკი მის საქმეში შემოვიდოდა, ეს თვით მისთვისვე იქნებოდა მომგებიანი. არავინ დარჩებოდა წაგებული. ამას მხოლოდ ერთი მიზეზით აკეთებდა. ვიტო ძალზე სწრაფად მიხვდა, რომ კონკურენცია ძალებისა და სახსრების ზედმეტ ხარჯვას იწვევს და მხოლოდ მონოპოლიას შეიძლება დაეყრდნო. ბრუკლინში რამდენიმე ზეთით ბითუმად მოვაჭრე ფიცხი და შეუგნებელი აღმოჩნდა, მათ არ მიიღეს ვიტო კორლეონეს არგუმენტები. სიტუაციის მისეული ხედვა არ გაითავისეს მას მერეც კი, რაც ყველაფერი დეტალურად და საოცრად მშვიდად აუხსნა. საბოლოოდ, ვიტომ უმწეოდ გაშალა ხელები და ბრუკლინში ტესიო გაგზავნა, პრობლემა რომ მოეგვარებინა. რამდენიმე საწყობი დაიწვა, პორტის მიმდებარე რაიონში ზეთმა ქვაფენილი მორწყა. ამ მოვაჭრეთაგან ერთ-ერთმა, უხეშმა, თავდაჯერებულმა მილანელმა კაცმა პოლიციას მიმართა, თანამემამულეებს უჩივლა, რითიც ომერტას, ანუ დუმილის ათსაუკუნოვანი დაუწერელი კანონი დაარღვია, მაგრამ სანამ საქმეს ოფიციალური მსვლელობა მიეცემოდა, მოვაჭრე გაქრა, - უგზო-უკვლოდ დაიკარგა. ცოლი და შვილები დარჩა, რომლებიც, მადლობა ღმერთს, იმ ასაკში იყვნენ, რომ მამისეული საქმე ხელში აეღოთ და ,,ჯენკო პურას“ ზეთის კომპანიასთან შეთანხმება გაეფორმებინათ.

დიდ ადამიანებად არ იბადებიან, - ასეთებად თვითონ ხდებიან. ვიტო კორლეონეს შემთხვევაშიც ასე იყო. როდესაც ,,მშრალი კანონი“ შემოიღეს, ალკოჰოლით ვაჭრობა აიკრძალა, ვიტო კორლეონემ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა, რამაც წვრილი ბიზნესმენი კრიმინალური სამყაროს დონად აქცია. ეს უცებ არ მომხდარა, - ერთ დღეს ან თუნდაც ერთ წელიწადში, მაგრამ ,,მშრალი კანონის“ გაუქმების მომენტისთვის, დიდი დეპრესიის საწყის პერიოდში, ვიტო კორლეონე ნათლიად, დონად, დონ კორლეონედ იქცა.

ეს, შეიძლება ითქვას, შემთხვევით მოხდა. იმ დროს ,,ჯენკო პურას“ ზეთის კომპანიას ექვსი საბარგო ავტომობილი ჰყავდა. კლემენცას მეშვეობით, ვიტო კორლეონე იტალიელი ბუტლეგერების ჯგუფს დაუკავშირდა, რომლებსაც ვისკი და სპირტი კანადიდან არალეგალურად შემოჰქონდათ. მათ მანქანები და ხალხი სჭირდებოდათ, ვინც შემოტანილ სასმელს ნიუ-იორკში გაავრცელებდა. აგრეთვე, გავლენიანი და ძლიერი ადამიანებიც. ვიტო კორლეონეს, მანქანებისა და მისი ხალხის გამოყენების სანაცვლოდ, იმდენად დიდი თანხა შესთავაზეს, რომ ვიტომ ზეთის ბიზნესს თითქმის დაანება თავი და ბუტლეგერებთან მუშაობაზე გადაერთო. თავიანთ წინადადებას ამ ჯენტლმენებმა თითქმის შეუნიღბავი მუქარაც ზედ მიაყოლეს. მიუხედავად ამისა, ვიტო საკმარისად დაბრძენებული აღმოჩნდა იმისთვის, რომ ეს შეურაცხყოფად არ მიეღო, არ გაბრაზებულიყო და სარფიან წინადადებაზე უარი არ ეთქვა. მუქარა არ შეიმჩნია და თავის ახალ პარტნიორებს სათქმელი მშვიდად გადასცა. მიხვდა, - მათ, უბრალოდ, ჭკუა არ ეყოთ და მუქარა დაიწყეს იქ, სადაც სავსებით ზედმეტი იყო.

ვიტო კორლეონეს კვლავ გაუმართლა. საქმე მეტად სარფიანი აღმოჩნდა, მაგრამ რაც უფრო მნიშვნელოვანი იყო, ცოდნა, კონტაქტები და გამოცდილება შეიძინა. კეთილ საქმეებს აკეთებდა და ისე აგროვებდა მათ, როგორც ბანკირი ფასიან ქაღალდებს.

შემდეგი ერთი წლის განმავლობაში ცხადი გახდა, რომ ვიტო მხოლოდ ნიჭიერი კაცი კი არ არის, არამედ თავის საქმეში ნამდვილი გენიოსია.

იმ იტალიური ოჯახების მფარველი გახდა, რომლებსაც თავიანთ სახლებში იატაკქვეშა დუქნები ჰქონდათ გამართული, - იქ უბრალო მუშას თხუთმეტ ცენტად ჭიქა ვისკი შეეძლო დაელია. სინიორა კოლომბოს ვაჟიშვილის ნათლია გახდა, როდესაც მან კონფირმაცია მიიღო, და ოქროს ოცდოლარიანი მონეტა აჩუქა. იმ პერიოდში პოლიციამ კონტრაბანდული სასმლით დატვირთული მისი რამდენიმე მანქანა დააკავა და ჯენკო აბანდანდომ ადვოკატი დაიქირავა, რომელსაც პოლიციის დეპარტამენტსა და, ზოგადად, იუსტიციის სფეროში მრავალრიცხოვანი კონტაქტები ჰქონდა. დონმა „ჯამაგირების“ სისტემა შეიმუშავა და სულ მალე ორგანიზაციაში იმ ოფიციალური პირების სია გაჩნდა, რომელთაც ყოველთვიურად ფულს უხდიდნენ. ადვოკატმა სიის შემოკლება სცადა, ამბობდა, მეტისმეტად დიდი ხარჯიაო, მაგრამ ვიტომ დაამშვიდა.

- არა, არა, - უთხრა ადვოკატს, - ისინიც კი დატოვე სიაში, ვინც ამწუთას კონკრეტულად ვერაფრით გვეხმარება. მეგობრობისა მჯერა და მინდა, ეს საქმით პირველმა დავამტკიცო.

იმ დროისათვის კორლეონეს იმპერია გაფართოვდა, ახალი საბარგო მანქანები შეიძინეს, „სიაც“ უფრო წარმომადგენლობითი გახდა. იმ ხალხის რაოდენობამაც იმატა, ვინც უშუალოდ ტესიოსა და კლემენცასთან მუშაობდა. ეს ყველაფერი უკვე ძალზე ძნელი სამართავი იყო. საბოლოოდ, ვიტო კორლეონემ ორგანიზაციის მწყობრი სისტემა ჩამოაყალიბა. კლემენცასა და ტესიოს კაპორეჟიმეს, ანუ კაპიტნის წოდება მიანიჭა, მათთან მომუშავეებს კი ჯარისკაცები დაარქვა. ჯენკო აბანდანდო მისი მრჩეველი, ანუ კონსილიორი გახდა. დონმა თავის თავსა და ოპერაციის უშუალო შემსრულებლებს შორის იზოლაციის რამდენიმე ფენა უზრუნველყო. ბრძანებას ჯენკოს ან რომელიმე კაპორეჟიმეს პირისპირ, მარტოდმარტო აძლევდა. უიშვიათესი შემთხვევა გახლდათ, როდესაც დონის კაბინეტში, ბრძანების გაცემის მომენტში, ვინმე მესამეც იმყოფებოდა. შემდეგ ტესიოს ჯგუფი ცალკე გამოყო და სამოქმედოდ ბრუკლინი მისცა, ამ რაიონზე პასუხისმგებელი გახადა. ტესიო და კლემენცა განაცალკევა და მოგვიანებით ცხადი გახდა: დონს არ სურს, ეს ორი ადამიანი რამენაირად ურთიერთობდეს, გარდა სრულიად აუცილებელი შემთხვევებისა. ვიტო კორლეონემ უფრო საზრიან ტესიოს, რომელიც განზრახვას უმალვე მიუხვდა, თავისი გადაწყვეტილება შემდეგნაირად აუხსნა, - ეს, უბრალოდ, კანონისა და სამართალდამცველების წინააღმდეგ მიღებული უსაფრთხოების ზომაა. მაგრამ ტესიომ იაზრა, - დონს არ უნდა, ორ კაპორეჟიმეს მის წინააღმდეგ შეთქმულების შესაძლებლობა გაუადვილოს. სამაგიეროდ, კომპენსაციის სახით ტესიომ ბრუკლინში თავისუფლად მოქმედების უფლება მიიღო მაშინ, როდესაც კლემენცა ბრონქსში დონის უშუალო კონტროლითა და მეთვალყურეობით მოქმედებდა. კლემენცა ტესიოზე გამბედავი და რისკიანი, ამავე დროს, უფრო სასტიკიც გახლდათ, მიუხედავად თავისი გარეგნული მხიარულებისა, და მისი მოთოკვა მუდმივად იყო საჭირო.

დიდმა დეპრესიამ ვიტო კორლეონეს პოზიციები გაამყარა. იმ დროს მას უკვე დონს უწოდებდნენ. ნიუ-იორკში პატიოსანი ხალხი კანონიერ სამუშაოს ყველგან დაეძებდა, მაგრამ ამაოდ. ამაყი და თავმომწონე ადამიანები სასტიკად იმცირებდნენ თავს,

ოღონდ კი თვითონ და მათ ოჯახებს ოფიციალური ხელისუფლებისგან სამოწყალოდ საცოდავი გროშები მიეღოთ. ამ დროს კორლეონეს ხალხი ქუჩაში გამართული, თავაწეული დადიოდა, ჯიბეები ვერცხლითა და ქაღალდის ფულით ჰქონდათ სავსე. სამსახურის დაკარგვა არ აშინებდათ. და თვით დონ კორლეონე, უთავმდაბლესი ადამიანი, ერთგვარ სიამაყეს გრძნობდა. იგი თავის სამყაროზე, თავის ხალხზე ქმედითად ზრუნავდა. არ უცრუებდა იმედს მათ, ვინც მისთვის ოფლს ღვრიდა, ვინც მის სამსახურში სიცოცხლისა და თავისუფლების დაკარგვის რისკზე მიდიოდა. და როდესაც ერთ-ერთი მისი კაცი შემთხვევით ჩავარდა, - ციხეში აღმოჩნდა, - მისმა ოჯახმა ყოველთვიური საარსებო ფული მიიღო. თანაც რაღაც მათხოვრული, მიზერული შემწეობა კი არა, არამედ ზუსტად იმდენი, რამდენსაც ის კაცი იღებდა, ორგანიზაციაზე როცა მუშაობდა.

ეს, რაღა თქმა უნდა, ქრისტიანული გულმოწყალება არ გახლდათ. დონს წმინდანსა თუ ანგელოზს მისი საუკეთესო მეგობრებიც კი არ ეძახდნენ. ამ დიდსულოვნების უკან საკუთარი ინტერესი იმალებოდა. ორგანიზაციაზე ყველა მომუშავემ დანამდვილებით იცოდა, - თუკი დაიჭერდნენ, მაგრამ ხმას არ ამოიღებდა, მისი ცოლ-შვილი საიმედოდ უზრუნველყოფილი იქნებოდა. თუკი პოლიციას არაფერს ეტყოდა, ციხიდან როცა გამოვიდოდა, მხურვალე დახვედრას მოუწყობდნენ. სახლში დღესასწაული დახვდებოდა: გაშლილი სუფრა, ღვინო, რავიოლი, საუკეთესო ნუგბარი. მისი ნათესავები და მეგობრები შეიკრიბებოდნენ და მის გათავისუფლებას მხიარულად აღნიშნავდნენ. კონსილიორი ჯენკო აბანდანდო ან თვით დონ კორლეონეც კი მივიდოდა მასთან, ჭიქა ღვინით ადღეგრძელებდა და საჩუქრად თანხას დაუტოვებდა, რაც საშუალებას მისცემდა ერთი-ორი კვირა სახლში გაეტარებინა ოჯახთან, დაესვენა, სანამ თავის ყოველდღიურ საქმიანობას დაუბრუნდებოდა. ასეთ შემთხვევებში დონ კორლეონეს თანაგრძნობა და გამგებიანობა უსაზღვრო გახლდათ.

იმ პერიოდში დონ კორლეონე მიხვდა, რომ თავის სამყაროს გაცილებით უკეთ მართავდა, ვიდრე უზომოდ უფრო დიდ სამყაროს - მისი მტრები, სავალ ბილიკებზე წამდაუწუმ რომ ეღობებოდნენ. ამის რწმენას მისი რაიონის უღარიბესი ხალხიც უმყარებდა, ვინც განუწყვეტლივ აკითხავდა ხოლმე დახმარების სათხოვნელად. ზოგს ბინა უნდოდა, ზოგს შვილისთვის სამსახურის შოვნა ან ციხიდან გამოყვანა, ანდა გადაუდებელი საჭიროებისთვის ფულის სესხება, ანდა, ვთქვათ, ჩარევა კონფლიქტში სახლის მეპატრონესთან, რომელიც უმუშევრებსა და სრულიად უსახსროდ დარჩენილებს ბინის ქირას ძალით ახდევინებდა.

დონ ვიტო ყველას ეხმარებოდა. უბრალოდ კი არ ეხმარებოდა, არამედ მთელი სულითა და გულით, - ამხნევებდა, კეთილ სიტყვას ეუბნებოდა, რომ არავის დარჩენოდა უსიამოვნო განცდა, თითქოსდა მოწყალებას იღებს. და სავსებით ბუნებრივი იყო, რომ, როდესაც ეს უბრალო იტალიელები არჩევნებისას იბნეოდნენ, არ იცოდნენ, ვისთვის მიეცათ ხმა, თავის წარმომადგენლად ვინ გაეგზავნათ ქალაქისა თუ შტატის არჩევით ორგანოებში ან, სულაც, კონგრესში, რჩევის სათხოვნელად თავიანთ მეგობარსა და ნათლიას, დონ კორლეონეს აკითხავდნენ. აი, ასე შეიძინა მან პოლიტიკური ძალა, რომელსაც სხვადასხვა პარტიის ლიდერები სერიოზულ ანგარიშს უწევდნენ. დონმა თავისი ძალების კონსოლიდირება შორსმჭვრეტელი სახელმწიფო მოღვაწის წინდახედულობით მოახდინა; განათლების მიღებაში ეხმარებოდა ნიჭიერ იტალიელ ბიჭებს ღარიბი ოჯახებიდან, ბიჭებს, რომლებიც

მოგვიანებით ადვოკატები, რაიონული პროკურორის დამხმარენი ანდა, სულაც, მოსამართლენი გახდებოდნენ. დონ კორლეონე თავისი იმპერიის მომავალს ჭეშმარიტი ეროვნული ლიდერის შორსმჭვრეტელობით გეგმავდა.

მშრალი კანონის გაუქმებამ დონის იმპერიაზე მტკივნეულად იმოქმედა, მაგრამ დამცავი ზომები მან წინასწარ მიიღო. 1933 წელს დონმა ემისრები გაგზავნა კაცთან, რომელიც მანჰეტენის საპორტო რაიონსა და ჰარლემში აზარტულ თამაშებს, იპოდრომებს, სპორტულ ტოტალიზატორებს აკონტროლებდა. იმ კაცს სალვატორე მარანძანო ერქვა და ნიუ-იორკის კრიმინალურ სამყაროში ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ იტალიელ მაფიოზად ითვლებოდა. კორლეონეს ემისრებმა მარანძანოს თანასწორუფლებიანი თანამშრომლობა შესთავაზეს, რომელიც ორივე მხარისათვის ერთნაირად მომგებიანი უნდა ყოფილიყო. ვიტო კორლეონეს, თავისი ორგანიზაციისა და პოლიტიკური კავშირების მეშვეობით, შეეძლო დაეცვა მარანძანოს ოპერაციები, თანაც, ბრუკლინსა და ბრონქსში შეღწევის საშუალებაც მიეცა, მაგრამ იგი შორსმჭვრეტელი კაცი არ აღმოჩნდა, - კორლეონეს წინადადება ქედმაღლურად უარყო. მარანძანო თვით სახელგანთქმულ ალ კაპონესთან მეგობრობდა, საკუთარი ორგანიზაცია, თავისი ხალხი ჰყავდა, ომის საწარმოებლად საჭირო რესურსებზე რომ აღარაფერი ვთქვათ. მარანძანო ვერ იტანდა ამ საიდანღაც გამომხტარ მეტიჩარას, რომელსაც პოლიტიკური დებატების სპეციალისტის რეპუტაცია უფრო ჰქონდა, ვიდრე ნამდვილი მაფიოზისა. მარანძანოს უარმა გამოიწვია 1933 წლის ომი, რომელმაც ნიუ-იორკის კრიმინალური სამყაროს სტრუქტურა მთლიანად შეცვალა.

ერთი შეხედვით, ეს უთანასწორო ბრძოლა იყო. მარანძანოს მძლავრი ორგანიზაცია და ძლიერი „შემსრულებლები“ ჰყავდა, ჩიკაგოელ ალ კაპონესთან მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა და ნებისმიერ დროს შეეძლო მისთვის დახმარება ეთხოვა. კარგი ურთიერთობა აკავშირებდა, აგრეთვე, ტატალიას ოჯახთან, რომელიც ნიუ-იორკში პროსტიტუციას და იმ დროისთვის ნარკოტიკების ერთობ უმნიშვნელო ვაჭრობას აკონტროლებდა. ასევე, პოლიტიკური კონტაქტები ჰქონდა ძლევამოსილ მაგნატებთან, რომელთაც არაერთხელ გამოუყენებიათ მისი „შემსრულებლები“ საფეიქრო მრეწველობის ებრაული პროფკავშირებისა თუ ურჩი იტალიური სამშენებლო სინდიკატების დასაშინებლად.

ამ ყველაფრისთვის დონ კორლეონეს მხოლოდ და მხოლოდ ორი, მაგრამ მშვენივრად ორგანიზებული რეჟიმე (რაზმი) შეეძლო დაეპირისპირებინა, - კლემენცასა და ტესიოს მეთაურობით. მისი პოლიტიკური კავშირები მსხვილი ბიზნესმენების მიერ მარანძანოს მხარდაჭერით იქნებოდა ნეიტრალიზებული, მაგრამ დონის უპირატესობა ის იყო, რომ მისი ორგანიზაციის შესახებ მოწინააღმდეგეს სრული და სწორი წარმოდგენა არ გააჩნდა. კრიმინალურ სამყაროში დონ კორლეონეს ჯარისკაცების ნამდვილი ძალა არ იცოდნენ, ტესიოს რაზმი ბრუკლინში კი სულაც ცალკე მდგომ დამოუკიდებელ ორგანიზაციად მიაჩნდათ.

მიუხედავად ყველაფრისა, კორლეონემ მოახერხა და ერთი ოსტატური დარტყმით უთანასწორო შანსები გაათანაბრა.

მარანძანომ კაპონეს სთხოვა, ამ საიდანღაც გამომხტარი მეტიჩრის სალიკვიდაციოდ თავისი ორი საუკეთესო მსროლელი გამოეგზავნა. კორლეონეს ოჯახს ჩიკაგოში

მეგობრები და ინფორმატორები ჰყავდა, რომლებმაც შეატყობინეს, რომ კაპონეს ხალხი ნიუ-იორკში მატარებლით ჩავიდოდა. ვიტომ ლუკა ბრაზის დაავალა, მათთვის მოევლო, და თანაც უთხრა, რომ ამჯერად მისთვის ჩვეული სისასტიკე სრულად შეეძლო გამოევლინა.

ბრაზი და მისი ხალხი ჩიკაგოელებს რკინიგზის სადგურში დახვდნენ. ბრაზის ერთ-ერთი კაცი ტაქსის მძღოლად იყო გადაცმული, ბარგის მტვირთავმა კი ჩამოსულთა ჩემოდნები პირდაპირ მის მანქანასთან მიიტანა. მანქანაში ჩასხდომისას ბრაზიმ და მისმა კაცმა ჩიკაგოელებს ზურგში იარაღები დაადეს და აიძულეს მანქანის იატაკზე გაწოლილიყვნენ. ტაქსი საპორტო უბანში წინასწარ მომზადებული საწყობისკენ გაემართა.

იქ კაპონეს ორ კაცს ხელ-ფეხი შეუკრეს, ხახაში პირსახოცები ჩაუტენეს, ხმა რომ ვერ ამოეღოთ. შემდეგ ბრაზიმ კედელზე ჩამოკიდებული ნაჯახი ჩამოხსნა, ერთ-ერთ ჩიკაგოელთან მივიდა და ნაწილ-ნაწილ აჩეხა დაუწყო. ფეხები ჯერ ქუსლებში, მერე მუხლებში და მერე ბარძაყებში მოჰკვეთა. ბრაზი ფიზიკურად ძალზე ძლიერი კაცი იყო, მაგრამ ამ სამუშაოს შესრულება მასაც კი გაუჭირდა. მსხვერპლმა საქმის დამთავრებამდე გაცილებით ადრე დალია სული. საწყობის იატაკი მისი ხორცის ნაფლეთებით დაიფარა, სისხლით მოირწყა. როდესაც ბრაზი მეორე ჩიკაგოელისკენ შებრუნდა, აღმოაჩინა, რომ მუშაობა აღარ მოუწევდა. კაპონეს მეორე მსროლელს შიშისგან პირსახოცი გადაეყლაპა და დამხრჩვალიყო. პირსახოცი მუცელში უპოვეს, როცა პოლიციის მორგში გაკვეთეს, სიკვდილის მიზეზის დასადგენად.

რამდენიმე დღის შემდეგ კაპონემ ჩიკაგოში წერილი მიიღო: „ახლა შენ იცი, როგორ ვექცევი ჩემს მტრებს. ნეაპოლიტანელი ორი სიცილიელის კამათში რატომ უნდა ჩაერიო? თუკი მეგობრად მიმიღებ, გპირდები, რომ საქმით გადაგიხდი. შენისთანა კაცს უნდა ესმოდეს - გაცილებით მომგებიანია, იმეგობრო ისეთ ადამიანთან, ვინც დახმარებას კი არ გთხოვს, არამედ თავის საქმეებს თვითონვე აგვარებს და ყოველთვის მზად იქნება, იქით დაგეხმაროს, როცა რაღაც გაგიჭირდება. შენ შეგიძლია უარყო ჩემი მეგობრობა, მაგრამ უნდა შევნიშნო, რომ კლიმატი ჩვენს ქალაქში ძალზე ნოტიოა, ნეაპოლიტანელებისთვის მავნებელი, ამიტომ გირჩევ, აქ არასოდეს ჩამოხვიდე“.

წერილის თავხედური ტონი წინასწარგანზრახული გახლდათ. დონს კაპონეს ხალხი, უბრალოდ, რეგვენ, თავზე ხელაღებულ მკვლელებად მიაჩნდა. დონს ინფორმატორები ატყობინებდნენ, რომ კაპონემ, საზოგადოებაში თავხედური და გამომწვევი ქცევის გამო, პოლიტიკური გავლენა სრულიად დაკარგა. დონმა იცოდა, პოლიტიკური გავლენისა და საზოგადოებრივი კამუფლაჟის გარეშე კაპონესა და მისი მსგავსი ორგანიზაციები უმარტივესად შეიძლებოდა განადგურებულიყო. იმასაც ხვდებოდა, რომ კაპონე სწორედაც თვითგანადგურების გზას ადგა. იცოდა, აგრეთვე, რომ კაპონეს გავლენა, როგორიც უნდა ყოფილიყო ის, ჩიკაგოს ფარგლებს არ სცილდებოდა.

ტაქტიკა წარმატებული აღმოჩნდა. მნიშვნელობა იმდენად სისასტიკემ არ იქონია, რამდენადაც დონის რეაგირების სისწრაფემ. თუკი დონს ასეთი ყოვლისმცოდნე საინფორმაციო სამსახური ჰყავდა, ნებისმიერი შემდეგი ნაბიჯი უდიდეს რისკთან იქნებოდა დაკავშირებული. დონ კორლეონეს მიერ შეთავაზებული მეგობრობის

მიღება გაცილებით ჭკვიანური ჩანდა. კაპონემ შეუთვალა დონს, რომ აღარაფერში ჩაერეოდა.

ახლა შანსები გათანაბრდა. შეერთებული შტატების კრიმინალურ სამყაროში სათანადოდ შეაფასეს, თუ როგორ დაამცირა დონ კორლეონემ თვით სახელგანთქმული ალ კაპონე. ექვსი თვის შემდეგ კი დონი პირადად მარანძანოსაც გაუსწორდა. დონმა მის იატაკქვეშა სამორინეებში შეაღწია, ჰარლემში მისი უმსხვილესი ბანკირი დაიჭირა და აიძულა, აზარტული თამაშებიდან შემოსული ფულის ანგარიშები ეჩვენებინა. დონმა მოწინააღმდეგეს ყველა ფრონტზე აჯობა. კლემენცა საფეიქრო პროფკავშირების მხარდასაჭერად გაგზავნა, - მარანძანოს „შემსრულებლების“ წინააღმდეგ, რომლებიც მათ ატერორებდნენ. დონს საკუთარმა ჭკუამ და ჩინებულმა ორგანიზაციამ ყველა ფრონტზე გამარჯვება მოუტანა. საბოლოო წარმატების მიღწევაში წვლილი კლემენცას მხიარულმა სისასტიკემაც შეიტანა, რომელიც დონმა მეტად გონივრულად გამოიყენა. დაბოლოს, დონ კორლეონემ უბრძანა ტესიოს რაზმს, რომელიც აქამდე ბრძოლაში არ მონაწილეობდა, პირადად მარანძანოსთვის გაესწორებინა ანგარიში.

იმ დროს მარანძანომ დონ კორლეონეს თავისი ხალხი გაუგზავნა და მშვიდობა შესთავაზა, მაგრამ დონი, სხვადასხვა გარემოების მომიზეზებით, მასთან შეხვედრაზე უარს ამბობდა. მარანძანოს ჯარისკაცებმა დეზერტირობა დაიწყეს, რადგან უკვე წაგებულ ომში ტყუილუბრალოდ თავის დადება არ სურდათ. ბუკმეკერები და არალეგალური სამორინეების მფლობელები მფარველობისთვის ფულს ახლა უკვე კორლეონეს ორგანიზაციას უხდიდნენ. ომი თითქმის დასრულდა.

და აი, ახალი, 1933 წლის დამდეგს, ტესიომ მარანძანოს ციხესიმაგრეში შეაღწია. მარანძანოს თანაშემწეები დათანხმდნენ, პატრონი გაეყიდათ, - პირდაპირ სასაკლაოზე მიეყვანათ. მარანძანოს უთხრეს, რომ ბრუკლინის ერთ-ერთ რესტორანში კორლეონეს უნდა შეხვედროდა, და მცველებად გაჰყვნენ. მარანძანო კუბოკრულსუფრიან მაგიდასთან იჯდა და პურს ნერვიულად ღეჭავდა. როგორც კი რესტორანში ტესიო და მისი ოთხი კაცი გამოჩნდნენ, თანაშემწეები მაშინვე დაითესნენ, ბოსი მიატოვეს. ეგზეკუცია სწრაფად და შედეგიანად ჩატარდა. მარანძანო, პირში ნახევრად გაღეჭილი პურით, საგულდაგულოდ დაცხრილეს. ომი დასრულდა.

მარანძანოს იმპერია კორლეონესას შეერწყა. დონ კორლეონემ გადასახადების სისტემა შეიმუშავა, რამაც აზარტული თამაშებიდან შემოსული თანხების აკრება მოაწესრიგა და ბუკმეკერებს საშუალება მისცა ძველ ადგილებზე დარჩენილიყვნენ. დამატებითი პრიზის სახით მან საფეიქრო პროფკავშირზე თავისი გავლენის გავრცელების შესაძლებლობა მიიღო, რაც შემდგომ მეტად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა. და, აი, როდესაც საქმეები მოგვარდა, დონი პრობლემებს საკუთარ სახლში წააწყდა.

თექვსმეტი წლის სანტინო კორლეონე მაღალი და მხარბეჭიანი ყმაწვილი დადგა, მძიმე ნაკვთებისა და მგრძნობიარე პირის პატრონი გახლდათ, თუმცა ქალური არანაირად არ ბრძანდებოდა. ფრედი მშვიდი ბიჭი იყო, მაიკლი სულაც ჯერ კიდევ ბავშვი, სანტინო კი მუდმივად რაღაც ხათაბალაში ეხვეოდა, ქუჩაში ხშირად ჩხუბობდა, ცუდად სწავლობდა. ერთხელაც კლემენცამ, რომელიც მისი ნათლია იყო, დონს შეატყობინა, რომ სონი შეიარაღებულ ძარცვაში მონაწილეობდა, რომელიც

ამასთან მეტად სულელურად გახლდათ ორგანიზებული და ძალზე ცუდად შეიძლებოდა დამთავრებულიყო. ცხადია, ძარცვის ორგანიზატორი სონი ბრძანდებოდა, ორი სხვა ბიჭი კი, უბრალოდ, მას გაჰყვა.

ეს ერთ-ერთი იყო იმ უიშვიათეს შემთხვევათაგან, როდესაც ვიტო კორლეონემ წონასწორობა დაკარგა. ტომ ჰეიგენი მის სახლში უკვე სამი წელია ცხოვრობდა და დონმა კლემენცას ჰკითხა, ეს ობოლი ბიჭი შეიარაღებულ ძარცვაში მონაწილეობდა თუ არა. კლემენცამ უარის ნიშნად თავი გააქნია. დონ კორლეონემ ბრძანა, სანტინო ზეთისხილის ზეთის კომპანია ,,ჯენკო პურაში" მოეყვანათ.

პირველად ცხოვრებაში დონმა მარცხი განიცადა. როდესაც ვაჟიშვილთან ერთი-ერთზე დარჩა, დაგროვებული რისხვა გადმოაფრქვია, სონი სიცილიურ დიალექტზე გამოლანძღა, ენაზე, რომელიც მრისხანების გამოსახატად, ეჭვგარეშეა, საუკეთესო ენას წარმოადგენს. ტირადა შეკითხვით დაასრულა: - ვინ მოგცა ასეთი რაღაცის გაკეთების უფლება? რამ გაიძულა ასეთი რაღაცის გაკეთება?

სონი დაღვრემილი, გაბრაზებული იდგა და ხმას არ იღებდა. დონმა ზიზღით განაგრძო: - თანაც ასე სულელურად. ამ ერთ ღამეში რა იშოვეთ? თითომ ორმოცდაათი დოლარი? თუ სულაც ოც-ოცი? და ოცი დოლარისთვის კი ღირდა ასეთი რისკი?

სონი ალაპარაკდა ისე, თითქოს დონის ბოლო სიტყვები ვერც კი გაიგო: - მე ვნახე, როგორ მოკალი ფანუჩი.

- ააა, - თქვა დონმა და სავარძლის საზურგეს მიეყრდნო. ელოდებოდა.

- როდესაც ფანუჩი სახლიდან გამოვიდა, - განაგრძო სონიმ, - დედამ მითხრა, შეგიძლია შინ დაბრუნდეო. დაგინახე, სხვენზე რომ ადიოდი და უკან გამოგყევი. ყველაფერი ვნახე, რაც გააკეთე, როგორ გადააგდე საფულე და პისტოლეტი.

დონმა ამოიოხრა. შემდეგ თქვა: - ესე იგი, ვეღარ გეტყვი, როგორ უნდა მოიქცე. არ გინდა სკოლის დამთავრება? არ გინდა გახდე ადვოკატი? ადვოკატს თავისი პორტფელის მეშვეობით გაცილებით მეტი ფულის მოპარვა შეუძლია, ვიდრე ათას შეიარაღებულსა და ნიღბიან კაცს.

სონიმ ეშმაკურად გაუღიმა და უთხრა: - მინდა ოჯახის ბიზნესში შემოვიდე.

როდესაც დაინახა, რომ დონს რეაქცია მის ნათქვამზე არ ჰქონია, როგორც ხუმრობაზე, არ გაუცინია, დაამატა: - ზეთისხილის ზეთით ვაჭრობა შემიძლია ვისწავლო.

დონი კვლავ დუმდა. ბოლოს, მხრები აიჩეჩა.

- ყველა ადამიანს თავისი ბედი აქვს, - თქვა მან. აღარ დაუმატებია, რომ ფანუჩის მკვლელობის ხილვამ სწორედ მისი შვილის ბედი გადაწყვიტა. დონი გატრიალდა და ოთახიდან გასვლისას თქვა: - ხვალ ცხრა საათზე მოდი. ჯენკო გაჩვენებს, რა უნდა გააკეთო.

ჯენკო აბანდანდო ინტუიციით, რომელიც კონსილიორის აუცილებლად ესაჭიროება, მიხვდა, რა სურდა სინამდვილეში დონს, და სონის, ძირითადად, მის პირად

მცველად იყენებდა. თანაც, ამ პოზიციაში სონის დონად ყოფნის ნიუანსები თვალნათლივ შეეძლო დაენახა. დონი თავის უფროს ვაჟს მუდმივად ლექციებს უტარებდა, წარმატებას როგორ უნდა მიაღწიოს. გარდა მრავალჯერ გამოთქმული თეორიისა, რომ ყოველ ადამიანს თავისი ბედისწერა წარმართავს, იგი სონის ხასიათის სიფიცხეს მუდმივად საყვედურობდა. დონს მიაჩნდა, რომ მუქარა ზემოქმედების ყველაზე სულელური მეთოდია; მრისხანების დაუოკებლობა უგუნურებაა. თვით დონისგან აშკარა მუქარა არავის არასოდეს გაეგონა, ისე არასოდეს განრისხებულა, კონტროლი რომ დაეკარგა. ეს მისთვის წარმოუდგენელი რამ გახლდათ. დონი ცდილობდა, სონისთვის საკუთარი თავის ფლობა ესწავლებინა. ამტკიცებდა, რომ არ არსებობს უფრო დიდი, ბუნებრივი უპირატესობა ცხოვრებაში, ვიდრე გყავდეს ისეთი მტერი, რომელიც შენს სისუსტეებს გადამეტებულად აფასებს, - ეს იგივეა, რომ გყავდეს მეგობარი, რომელიც შენს ღირსებებს ვერ ხედავს.

კაპორეჟიმე კლემენცამ სონის მომზადება დაიწყო - პისტოლეტის სროლა და გაროტას ხმარება ასწავლა, მაგრამ იტალიურ ბაწარს სონიმ გული ვერ დაუდო; მეტისმეტად ამერიკანიზებული გახლდათ. მას უპიროვნო ანგლოსაქსური პისტოლეტი ერჩივნა, რამაც კლემენცა ერთობ დაანაღვლიანა. სამაგიეროდ, სონი დონისთვის სასურველი და მუდმივი კომპანიონი შეიქნა, მამა მანქანით დაჰყავდა, წვრილ-წვრილ საქმეებში ეხმარებოდა. მომდევნო ორი წლის განმავლობაში იგი ტოვებდა ჩვეულებრივი შვილის შთაბეჭდილებას, რომელიც მამის ბიზნესში შესასვლელად ემზადება. ციდან ვარსკვლავებს არ წყვეტდა, მაინცდამაინც დიდ მონდომებასაც არ იჩენდა, - იმითაც კმაყოფილი გახლდათ, რასაც აკეთებდა.

ამ დროს მისი ბავშვობის მეგობარი და მასთან შეზრდილი ტომ ჰეიგენი კოლეჯში სწავლობდა; ფრედო სკოლას ამთავრებდა, მაიკლი დაწყებით კლასში იყო, ყველაზე უმცროსი, კონი - მათი და - ჯერ სულ პატარა ბავშვი გახლდათ, ოთხი წლისა. ოჯახმა ძველი ბინა ბრონქსში დიდი ხნის წინ მიატოვა, დონ კორლეონე ლონგ-აილენდზე საკუთარი სახლის შეძენას ფიქრობდა, თანაც ეს თავისი სხვა სამომავლო გეგმების გათვალისწინებით უნდოდა გაეკეთებინა.

ვიტო კორლეონე შორსმჭვრეტელი კაცი ბრძანდებოდა. ამერიკის დიდ ქალაქებში კრიმინალურ სამყაროს გაუთავებელი შინაომი აზანზარებდა. მუდმივად ათობით წვრილ-წვრილი პარტიზანული ომი მძვინვარებდა, ამბიციური განგსტერები რაც შეიძლება დიდი ლუკმის ჩაგდებას ლამობდნენ; დონ კორლეონეს მსგავსი ადამიანები კი იძულებულნი იყვნენ, თავიანთი სამფლობელოების საზღვრების უსაფრთხოებასა და საქმის დაცვაზე ეზრუნათ. დონ კორლეონე კარგად ხედავდა, რომ პრესა და სამთავრობო ორგანიზაციები ცდილობდნენ, ეს მკვლელობები კანონისა და პოლიციური ზომების გასამკაცრებლად გამოეყენებინათ. ასევე, აცნობიერებდა, - საზოგადოების აღშფოთებას დემოკრატიული პროცედურების გაუქმება შეეძლო გამოეწვია, რაც მისთვის და მისი ხალხისთვის დამღუპველი იქნებოდა. შიგნიდან მის იმპერიას არაფერი ემუქრებოდა. დონ კორლეონემ გადაწყვიტა, ყველა ურთიერთდაპირისპირებული ჯგუფი ჯერ ნიუ-იორკში, მერე კი მთელ ამერიკაში დაეზავებინა.

მშვენივრად გრძნობდა, ეს განზრახვა რაოდენ საშიში იყო. მთელი წელიწადი ნიუ-იორკის ბანდების წინამძღოლებთან შეხვედრებში გაატარა, მათ განწყობას არკვევდა, სთავაზობდა, ქალაქი გავლენის სფეროებად დაენაწილებინათ, მაგრამ მეტისმეტად

ბევრი ჯგუფი არსებობდა, თითოეულს თავისი, ურთიერთგამომრიცხავი ინტერესი ჰქონდა. ისტორიაში ცნობილი მმართველებისა და კანონმდებლების მსგავსად, დონ კორლეონემ დაასკვნა: მშვიდობა შეუძლებელი იქნებოდა, სანამ სახელმწიფოთა რაოდენობა მინიმუმამდე არ შემცირდებოდა.

ხუთი-ექვსი ოჯახი იმდენად ძლიერი გახლდათ, მათ განადგურებაზე ფიქრიც კი შეუძლებელი იყო, მაგრამ დანარჩენები - არაერთი „შავი ხელი“, ცალკეული უბნის მატერორებელი ყაჩაღები, შანტაჟისტები, უმართავი, თავზე ხელაღებული ბუკმეკერები, რომლებსაც საიმედო მფარველი არ ჰყავდათ და თავიანთ რისკზე მოქმედებდნენ - უნდა გამქრალიყვნენ. დონ კორლეონემ ასეთების წინააღმდეგ ომი წამოიწყო და ამ ბრძოლას თავისი ოჯახის მთელი რესურსები მოახმარა.

ნიუ-იორკის დაშოშმინებას სამი წელი დასჭირდა, რამაც მოულოდნელი ნაყოფიც გამოიღო. თავიდან საქმე არ აეწყო. ცოფიანი ირლანდიელი ქუჩის ყაჩაღების ჯგუფმა, რომლის მოსპობასაც დონი აპირებდა, მისი გეგმა კინაღამ სულაც დაასამარა. ერთ-ერთმა მათგანმა თვითმკვლელის თავგანწირვით გაარღვია დაცვის ხაზი და დონ კორლეონეს გულში ესროლა. თავდამსხმელი უმალ ჩაცხრილეს, მაგრამ საქმე უკვე გაკეთებული იყო.

ამ შემთხვევამ სანტინოს შანსი მისცა. დონი მწყობრიდან გამოვიდა და მისმა უფროსმა ვაჟმა ხელში აიღო ომის სადავეები, ქალაქის ბრძოლაში თავისი უნარი დაამტკიცა, - ახალგაზრდა ნაპოლეონივით. მას საკუთარი რეჟიმე, ანუ რაზმი ჰყავდა, თავად კაპორეჟიმეს რანგში მოქმედებდა. მას იმგვარი სისასტიკე აღმოაჩნდა, რომლის ნაკლებობა თვით დონს მხოლოდ ხელს თუ უშლიდა, აბსოლუტურად წარმატებული დამპყრობელი რომ გამხდარიყო.

1935-1937 წლებში სონიმ კრიმინალურ სამყაროში ყველაზე მზაკვარი და სასტიკი ჯალათის სახელი დაიგდო, ვინც კი მანამდე არსებულა, მაგრამ სისასტიკით მაინც ვერ გაუტოლდა კაცს, რომელსაც ლუკა ბრაზი ერქვა.

სწორედ ბრაზი გახლდათ, ვინც დანარჩენ ირლანდიელ ბანდიტებს ბოლომდე სდია და თავისი ხელით სათითაოდ გაასაღა. სწორედ მან გაისტუმრა იმ ქვეყნად ნიუ-იორკის ექვსი მძლავრი ოჯახიდან ერთ-ერთის ხელმძღვანელი, რომელმაც გადაწყვიტა, ამ საქმეში ჩარეულიყო და მფარველობის ქვეშ აეყვანა ისინი, ვინც დამოუკიდებლად მოქმედებდა და ვისაც დონ კორლეონემ ომი გამოუცხადა. თუმცა დონი მალე გამოჯანმრთელდა და ამ ოჯახს დაუზავდა.

1937 წელს ნიუ-იორკში მშვიდობამ დაისადგურა, რამდენიმე უმნიშვნელო ინციდენტსა და გაუგებრობას თუ არ ჩავთვლით, რომლებიც, რაღა თქმა უნდა, ზოგჯერ სიკვდილითაც მთავრდებოდა.

ანტიკური ქალაქების მმართველების მსგავსად, ვინც დღედაღამ მოუღლელად უთვალთვალებდა ბარბაროსთა ტომებს, მათი პოლისების გალავნის გარშემო რომ დაბორიალებდნენ, დონ კორლეონეც თვალყურს ადევნებდა მოვლენებს, გარე სამყაროში რომ მიმდინარეობდა. მას საკუთარი შეხედულება ჰქონდა ჰიტლერის ხელისუფლებაში მოსვლაზე, ესპანეთის დაცემაზე, მიუნხენის გარიგებაზე. ნათლად ხედავდა - მსოფლიო ომი ახლოვდებოდა. ომის მოტივებსაც მშვენივრად ხვდებოდა. გამჭრიახმა, მოხერხებულმა ადამიანმა ასეთ დროს, შესაძლოა, ძალზე დიდი ფული

იშოვოს, მაგრამ თვითონ მხოლოდ იმ შემთხვევაში მოახერხებდა ამას, თუკი მის იმპერიაში მშვიდობა იქნებოდა, მაშინ როცა მსოფლიო ომის ქაოსში ჩაიძირებოდა.

დონ კორლეონემ სათანადო შეტყობინება ყველა შტატში დაგზავნა. თანამემამულეებთან მოლაპარაკებებს ლოს-ანჯელესში, სან-ფრანცისკოში, კლივლენდში, ჩიკაგოში, ფილადელფიაში, მაიამისა და ბოსტონში აწარმოებდა. იგი კრიმინალური სამყაროს მშვიდობის მოციქული გახლდათ და 1939 წელს, უფრო წარმატებულმა, ვიდრე ნებისმიერი პაპი ყოფილა, ამერიკის ყველაზე უფრო მძლავრ კრიმინალურ დაჯგუფებებთან შეთანხმებას მიაღწია. შეერთებული შტატების კონსტიტუციის მსგავსად, ეს ხელშეკრულება პატივს სცემდა თითოეული მონაწილის შინაგან დამოუკიდებლობას საკუთარ შტატსა თუ ქალაქში. შეთანხმება მხოლოდ სფეროების გამიჯვნას გულისხმობდა, რასაც კრიმინალურ სამყაროში მშვიდობა უნდა მოეტანა.

და როდესაც 1939 წელს მეორე მსოფლიო ომი დაიწყო, როცა 1941 წელს შეერთებული შტატები ამ ომში ჩაება, დონ კორლეონეს სამყაროში მშვიდობა და წესრიგი სუფევდა, - იგი უკვე მზად იყო უხვი მოსავალი მოემკო, როცა ამერიკის მრეწველობაში ციებ-ცხელება დაიწყებოდა. კორლეონეს ოჯახი შავ ბაზარზე სახელმწიფო სასურსათო და ბენზინის ბარათებით ვაჭრობას აკონტროლებდა. დონ ვიტოს შეეძლო, დახმარებოდა ნებისმიერ ფირმას, მთავრობასთან სამხედრო კონტრაქტი გაეფორმებინა არმიის მომარაგების თაობაზე, ხოლო იმ ფირმებისთვის, რომლებსაც ასეთი კონტრაქტი არ გააჩნდათ, შავი ბაზრის მეშვეობით დეფიციტური ნედლეული შეეძლო მიეწოდებინა. თავისი ორგანიზაციის ის ახალგაზრდა წევრები, ვისაც ომში მონაწილეობა არ სურდა, სამხედრო ვალდებულებისგანაც კი შეეძლო გაეთავისუფლებინა. ამას იგი ექიმების დახმარებით ახერხებდა, რომლებიც წინასწარ ეუბნებოდნენ, რა პრეპარატები უნდა მიეღოთ სამედიცინო გამოკვლევის წინ, ან მათთვის სამხედრო მრეწველობაში ისეთ თანამდებობებს შოულობდა, რაც გაწვევისგან ათავისუფლებდა.

დონ კორლეონეს თავისი მმართველობით ნამდვილად შეეძლო ეამაყა. მისი სამყარო სრულიად საიმედო და უსაფრთხო გახლდათ იმისთვის, ვინც მას ერთგულება შეჰფიცა; ამ დროს მილიონობით ადამიანი, ვისაც კანონისა და კანონიერების სჯეროდა, ბრძოლის ველზე იღუპებოდა. ერთადერთი გამონაკლისი, ვინც უარი თქვა დახმარებასა და საქმის ჩაწყობაზე, მისი საკუთარი ვაჟიშვილი, მაიკლი გახლდათ. გადაწყვიტა, ომში მოხალისედ წასულიყო, თავის ქვეყანას დახმარებოდა. დონის გასაოცრად, მაიკლის მაგალითს ორგანიზაციიდან კიდევ რამდენიმე ახალგაზრდამ მიჰბაძა. ერთ-ერთმა მათგანმა, როდესაც თავისი კაპორეჟიმესთვის ცდილობდა აეხსნა, რატომ აკეთებდა ამას, შემდეგი სიტყვები თქვა: ,,ეს ქვეყანა მე კარგად მეპყრობოდა". ნათქვამი დონს გადასცეს. დონი გაბრაზდა და კაპორეჟიმეს უთხრა: ,,ეს მე ვეპყრობოდი მას კარგად". ამ ახალგაზრდებისთვის თავიანთი განზრახვა ცუდად შეიძლებოდა დამთავრებულიყო, მაგრამ რადგან მან ასეთი საქციელი საკუთარ შვილს აპატია, იძულებული გახდა, მათთვისაც ეპატიებინა, ვინც, მისი აზრით, დონისა და საკუთარი თავის მიმართ მოვალეობის გაგებაში ესოდენ ძლიერად ცდებოდნენ.

მეორე მსოფლიო ომის დასასრულისთვის დონი მშვენივრად აცნობიერებდა, რომ მის ორგანიზაციას კვლავ მოუწევდა შეცვლა, გარე სამყაროში მიმდინარე ცვლილებებს

უკეთ რომ მორგებოდა. თუმცაღა იმედი ჰქონდა, ამას მნიშვნელოვანი დანაკარგების გარეშე მოახერხებდა.

ამგვარი ვარაუდის საფუძველს გამოცდილება აძლევდა. სწორი მიმართულება მას ორმა პერსონალურმა საქმემ უჩვენა. ერთხელ, თავისი კარიერის დასაწყისში, მასთან მაშინ მთლად ახალგაზრდა ნაზორინი მივიდა, რომელიც იმხანად ჯერ მხოლოდ ხაბაზის თანაშემწე გახლდათ, და დახმარება სთხოვა. ნაზორინი ცოლის შერთვას აპირებდა. მან და მისმა საცოლემ, კარგმა იტალიელმა ქალიშვილმა, იმ დროისთვის საკმაოდ დიდი თანხა, სამასი დოლარი დააგროვეს და ჩააბარეს ავეჯით მოვაჭრეს, რომელიც ნაცნობებმა ურჩიეს. ავეჯის მოვაჭრემ მისცა მათ საშუალება, ამოერჩიათ ყველაფერი, რაც კი სურდათ. გადაწყვეტილი ჰქონდათ ლამაზი საძინებლის შეძენა, ორი ტუმბოთი და ღამის ლამპებით. გარდა ამისა, შეარჩიეს სასადილო ოთახის ავეჯიც - მასიური ტახტი და სავარძლები, რომლებსაც ძვირფასი ოქროსფერი ქსოვილი ჰქონდა გადაკრული. გაბედნიერებულმა ნაზორინიმ საცოლესთან ერთად მთელი დღე საწყობის უზარმაზარ დარბაზში გაატარა, რომელიც ნაირ-ნაირი ავეჯით იყო გავსებული. მოვაჭრემ მათ ოფლით ნაშოვნი სამასი დოლარი გამოართვა, ჯიბეში ჩაიდო და უთხრა, ერთ კვირაში მიართმევდა ავეჯს ბინაში, რომელიც უკვე დაქირავებული ჰქონდათ.

მაგრამ ერთ კვირაში მისი ფირმა გაკოტრდა. ავეჯით გამოტენილი საწყობი დალუქეს. საქონელი გაყიდეს, მთავარი კრედიტორებისთვის ვალი რომ დაებრუნებინათ. მოვაჭრე გაუჩინარდა. დანარჩენ კრედიტორებს ისღა დარჩენოდათ, აღშფოთება ცარიელ სივრცეში გადმოეფრქვიათ გულის მოსაფხანად. ნაზორინი, რომელიც ერთ-ერთი მათგანი იყო, ადვოკატთან მივიდა, მაგრამ მან აუხსნა, რომ არაფრის გაკეთება არ შეიძლებოდა, სანამ სასამართლო საბოლოო გადაწყვეტილებას არ გამოიტანდა და ყველა კრედიტორი არ დაკმაყოფილდებოდა. ამას კი, შეიძლება, სამი წელიწადი დასჭირდესო და, ადვოკატის თქმით, ნაზორინი კმაყოფილი უნდა დარჩენილიყო, თუკი ყოველ გადახდილ დოლარზე ათ ცენტს მაინც მიიღებდა.

ვიტო კორლეონემ ეს მონათხრობი ეჭვით მიიღო. შეუძლებელია, კანონი ასეთ უსამართლობას ხელს უწყობდეს. გაკოტრებულ მოვაჭრეს ძვირფასი სახლი აქვს, ლონგ-აილენდში უძრავ საკუთრებას ფლობს, უმაღლესი კლასის ავტომობილით დადის, შვილებს განათლებას ძვირად ღირებულ კოლეჯში აძლევს. როგორ შეიძლება, საწყალი ნაზორინის სამასი დოლარი ჯიბეში ედოს და შეკვეთილ ავეჯს არ აძლევდეს? ყველაფერი რომ დაეზუსტებინა, ვიტო კორლეონემ ჯენკო აბანდანდოს „ჯენკო პურას“ ადვოკატებისგან კონსულტაციის მიღება დაავალა.

ადვოკატებმა ნაზორინის მონაყოლი მთლიანად დაადასტურეს. გაკოტრებულ მოვაჭრეს საკუთრება თურმე ცოლის სახელზე ჰქონია გაფორმებული. ავეჯის ფირმა ინკორპორირებული გახლდათ და პირადად იგი არავითარ პასუხს არ აგებდა. მართალია, მოვაჭრე, მორალური თვალსაზრისით, ცუდად მოიქცა, როდესაც ნაზორინის ფული გამოართვა, რადგან უკვე იცოდა, რომ ფირმის საქმე გაკოტრებისკენ მიდიოდა, მაგრამ კანონით მას პასუხს ვერავინ მოსთხოვდა.

ნაზორინის პრობლემა დონმა, რაღა თქმა უნდა, ადვილად გადაწყვიტა. თავისი კონსილიორი, ჯენკო აბანდანდო, მოვაჭრესთან გაგზავნა, პირადად რომ დალაპარაკებოდა. როგორც მოსალოდნელი იყო, გამჭრიახი მოვაჭრე უმალ მიხვდა,

რაშიც იყო საქმე, და იზრუნა, რომ ნაზორინის შეკვეთილი ავეჯი უკლებლივ მიეღო. ეს შემთხვევა ახალგაზრდა ვიტო კორლეონესთვის კარგი გაკვეთილი აღმოჩნდა.

მეორე ამბავს გაცილებით შორსმიმავალი შედეგი ჰქონდა. 1939 წელს დონ კორლეონემ გადაწყვიტა, ოჯახთან ერთად ქალაქგარეთ დასახლებულიყო. როგორც ნებისმიერ მამას, მასაც სურდა, მის შვილებს საუკეთესო სკოლაში ესწავლათ და საუკეთესო ამხანაგები ჰყოლოდათ. უნდოდა, ეცხოვრა ქალაქგარეთ, სადაც არავინ იცნობდა. ლონგ-ბიჩში ხეივანი შეიძინა, სადაც ოთხი ახალაშენებული სახლი იდგა და სადაც, რაც მთავარია, სხვა სახლების ასაგებად კიდევ ბევრი ადგილი იყო.

სონი ცოლის შერთვას აპირებდა, ასე რომ, ერთი სახლი მისი და მისი მეუღლის, სანდრასი იქნებოდა. მეორეში დონი იცხოვრებდა, მესამეში - ჯენკო აბანდანდო თავისი ოჯახით, მეოთხე ჯერჯერობით ცარიელი რჩებოდა.

კვირის თავზე ხეივანს სატვირთო მანქანა მიადგა, საიდანაც სამი მუშა გადმოვიდა. გამოაცხადეს, ქალაქ ლონგ-ბიჩის სახანძრო ინსპექციიდან ვართო. დაცვის ერთმა ახალგაზრდა, გამოუცდელმა წევრმა ისინი სახლში შეიყვანა და პირველ სართულზე არსებული კედლის ღუმელი აჩვენა. ამ დროს დონი, მისი ცოლი და სონი ბაღში ისვენებდნენ, ზღვიდან მონაბერი სუფთა ჰაერით ტკბებოდნენ.

დონი მეტად გაღიზიანდა, როდესაც დაცვის ბიჭმა დაუძახა. ღუმელთან სამი ზორბა ტანის მუშა იდგა. უკვე მოესწროთ ღუმლის დაშლა, - ნაწილები ბეტონის იატაკზე აქეთ-იქით იყო მიმოფანტული. ერთ-ერთმა, რომელიც მათ შორის უფროსი უნდა ყოფილიყო, დონს უთხრა: - ღუმელი არაფრად ვარგა. თუ გინდა, რომ სწორად ავაწყოთ და ინსპექცია გაიარო, ასორმოცდაათი დოლარი უნდა გადაგვიხადო.

კაცმა ჯიბიდან რაღაც მომცრო წითელი იარლიყი ამოიღო და გააგრძელა: - აი, ამას მივაკრავთ და მუნიციპალიტეტიდან აღარავინ შეგაწუხებს.

ამ ყველაფერმა დონი გაახალისა. წინა ერთი კვირა მისთვის მეტად მოსაწყენი იყო, საინტერესო არაფერი მომხდარა, დონმა თავის საქმეს დროებით თავი მიანება, რადგან ახალ სახლში გადასასვლელად ემზადებოდნენ. უფრო დამახინჯებული ინგლისურით, ვიდრე ჩვეულებრივ ლაპარაკობდა, იკითხა: - და რა მოხდება, რომ არ გადავიხადო?

კაცმა მხრები აიჩეჩა: - ღუმელს ისე დავტოვებთ, როგორც ახლაა.

და იატაკზე მიმოფანტულ რკინის დეტალებზე მიუთითა.

დონმა მორჩილად მიუგო: - მომიცადეთ, ფულს მოგიტანთ.

შემდეგ ბაღში გავიდა და სონის უთხრა: - მისმინე, იქ სამი კაცია, ღუმელთან. ვერ გავიგე, რა უნდათ. შედი სახლში და გაარკვიე.

დონის მხრიდან ეს უბრალო ხუმრობა არ ყოფილა, - მას სურდა, უფროსი ვაჟიშვილი ნამდვილ თანაშემწედ ექცია. სონის გამოცდა უნდა ჩაებარებინა.

მაგრამ ის, რაც სონიმ გააკეთა, დონს სრულიად არ მოსწონებია. მისი მოქმედება მეტისმეტად სწორხაზოვანი გახლდათ, - სიცილიური გამჭრიახობის ნატამალიც კი არ ეტყობოდა. ის უფრო კეტის ქნევასა ჰგავდა, ვიდრე ფარიკაობას. როგორც კი სონიმ

აფერისტების მოთხოვნა გაიგო, მაშინვე პისტოლეტი დააძრო და სამივე „მუშა“ დაცვას აცემინა. შემდეგ აიძულა, ღუმელი აეწყოთ და იატაკი მოეგავათ. სამივე გაჩხრიკა და ნაპოვნი საბუთებიდან შეიტყო, რომ ისინი სახლების სარემონტო ფირმაში მუშაობდნენ, რომლის ოფისი საფოლკის რაიონში მდებარეობდა. ფირმის მფლობელის ვინაობა ჩაიწერა, შემდეგ სამივე თავის მანქანასთან მიაპანღურა და უთხრა: - ლონგ-ბიჩში მეტად აღარ დაგინახოთ, თორემ ყურებზე საკუთარ ყვერებს ჩამოგკიდებთ.

ასეთი საქციელი ახალგაზრდა სანტინოსთვის მეტად დამახასიათებელი გახლდათ, - სანამ ასაკი და სისასტიკე მოემატებოდა, თავისი უბნის დასაცავად ხშირად უჩხუბია. სონიმ სარემონტო ფირმის მეპატრონეს პირადად დაურეკა და გააფრთხილა, ლონგ-ბიჩში მუშები აღარასოდეს გაეგზავნა. როდესაც კორლეონეს ოჯახმა ადგილობრივ პოლიციასთან ჩვეული ურთიერთობები დაამყარა, ამ უკანასკნელისგან სრული ინფორმაცია წამოვიდა მათ რაიონში მსგავსი საჩივრებისა და პროფესიონალი კრიმინალების მიერ ჩადენილი ყველა დანაშაულის შესახებ. შემდეგი ერთი წლის განმავლობაში ლონგ-ბიჩი შეერთებული შტატების ყველაზე უსაფრთხო ქალაქად იქცა. მძარცველებსა და პროფესიონალ შანტაჟისტებს გადასცეს, ამ ქალაქში აღარ გამოჩენილიყვნენ. მხოლოდ ერთი დანაშაულის შანსი დაუტოვეს. როგორც კი მეორეს ჩაიდენდნენ, უბრალოდ, ქრებოდნენ. სახლების რემონტზე დაოსტატებული და კარდაკარ მოხეტიალე აფერისტები თავაზიანად გააფრთხილეს, რომ ლონგ-ბიჩში მათი ყოფნა არასასურველია. მათგან მეტისმეტად თავდაჯერებულები, ვინც გაფრთხილებას სათანადო ყურადღება არ მიაქცია, ისე სცემეს, კინაღამ იმ ქვეყნად გაამგზავრეს. ადგილობრივ ხულიგნებს, რომელთაც კანონისა და ხელისუფლების პატივისცემა აკლდათ, მამაშვილურად ურჩიეს, მშობლიური სახლებიდან სასწრაფოდ გაქცეულიყვნენ. ერთი სიტყვით, ლონგ-ბიჩი სანიმუშო ქალაქად იქცა.

დონისთვის ცხადი იყო, მისი ნიჭის მქონე კაცს თავისუფლად შეეძლო კუთვნილი ადგილი დაეკავებინა სამყაროში, რომლის კარიც მისთვის ბავშვობიდან დახშული გახლდათ და მან შესაბამისი ნაბიჯები გადადგა, ამ სამყაროში ახლა მაინც რომ შეეღწია.

აი, ასე ბედნიერად ცხოვრობდა დონ კორლეონე თავის ლონგ-ბიჩის მამულში, საკუთარ სამეფოს აფართოებდა და განამტკიცებდა მანამ, სანამ „თურქმა“ სოლოცომ მშვიდობა არ დაარღვია, დონის იმპერია ომის ქარცეცხლში არ ჩაითრია, რამაც, ბოლოს და ბოლოს, თვით იგი საავადმყოფოს სარეცლამდე მიიყვანა.

ნაწილი IV

თავი მეთხუთმეტე

პატარა ქალაქ ნიუ-ჰემფშირში ყოველ ახალ მოვლენას ფანჯრებიდან მუდმივად მომზირალი დიასახლისები და თავიანთ მაღაზიებში უსაქმობისგან გაბეზრებული წვრილი მოვაჭრეები უმალ ამჩნევდნენ. ამიტომ, როდესაც ადამსების სახლის წინ ნიუ-იორკისნომრებიანი დიდი, შავი ლიმუზინი გაჩერდა, ეს მთელმა ქალაქმა წამში შეიტყო.

ქეი ადამსი, მიუხედავად თავისი საუნივერსიტეტო განათლებისა, მაინც პატარა ქალაქის ტიპურ მცხოვრებად რჩებოდა, - საძილე ოთახის ფანჯრიდან ისიც იყურებოდა ხოლმე. დილიდან გამოცდებისათვის ემზადებოდა, ახლა კი სახლის პირველ სართულზე აპირებდა ჩასვლას ლანჩზე, როდესაც ქუჩაში მომავალი შავი მანქანა შენიშნა. მიზეზთა გამო არ გაჰკვირვებია, როდესაც ლიმუზინმა მისი სახლის წინ დაამუხრუჭა. მანქანიდან ორი ბრგე, მოსული ტანის მამაკაცი გადმოვიდა, რომლებიც, მისი აზრით, კინოში ნანახ განგსტერებს უფრო მიაგავდნენ. ქეი კიბეზე სირბილით დაეშვა, კართან პირველი რომ მისულიყო. გუმანმა უკარნახა, ეს ხალხი მაიკლთან იყო დაკავშირებული, და არ უნდოდა, მშობლებს ისინი მანამდე ენახათ, სანამ თვითონ შეხვდებოდა და წარუდგენდა. არა, მაიკლის ნაცნობებისა ქეის, რაღა თქმა უნდა, არ რცხვენოდა, უბრალოდ, მისი დედ-მამა ნამდვილი იანკები იყვნენ ახალი ინგლისიდან და ვერც კი წარმოიდგენდნენ, რომ მას ასეთი ნაცნობები შეიძლებოდა ჰყოლოდა.

ქეიმ სწორედ მაშინ მიირბინა კართან, როცა ზარი დაირეკა. დედას გასძახა: ,,მე გავაღებ!'' და კარი გამოაღო. ზღურბლზე ორი ზორბა ტანის კაცი იდგა. ერთ-ერთმა ჯიბეში ჩაიყო ხელი, განგსტერებმა რომ იციან იარაღის ამოღებისას, და ეს იმდენად მოულოდნელი მოძრაობა აღმოჩნდა, ქეიმ სუსტად შეჰკივლა, მაგრამ კაცმა ჯიბიდან რაღაც წიგნაკი დააძრო, გაშალა და თვალებთან მიუტანა.

- დეტექტივი ჯონ ფილიპსი ნიუ-იორკის პოლიციის დეპარტამენტიდან, - თქვა მან, შემდეგ მის გვერდით მდგომ შავგვრემან კაცზე მიუთითა, - ეს კი ჩემი კოლეგაა, დეტექტივი სირიანი. თქვენ ქეი ადამსი ხართ?

ქეიმ თავი დაუკრა. ფილიპსმა უთხრა: - შეიძლება, ცოტა ხნით შემოვიდეთ და დაგელაპარაკოთ? საქმე მაიკლ კორლეონეს ეხება.

ქეი განზე გადგა, საშუალება მისცა, სახლში შესულიყვნენ. ამ დროს კაბინეტში გამავალი გვერდითა ჰოლიდან მამამისი გამოჩნდა.

- ქეი, რა ხდება? - იკითხა მან.

მამამისი ჭაღარა, ხმელი, არაორდინარული გარეგნობის კაცი გახლდათ. ბაპტისტური ეკლესიის პასტორი იყო, მაგრამ რელიგიურ წრეებში მეცნიერის რეპუტაციითაც სარგებლობდა. ქეის მამასთან ახლო ურთიერთობა არა ჰქონია, შეიძლება ითქვას, არც კი იცნობდა კარგად, მისთვის მამა ყოველთვის გამოცანად რჩებოდა. თუმცა გრძნობდა, რომ მამას უყვარდა, მიუხედავად ისეთი შთაბეჭდილებისა, თითქოს მისი პიროვნება არ აინტერესებდა. და, მიუხედავად იმისა, რომ ახლო ურთიერთობა არასოდეს ჰქონიათ, ქეი მას ენდობოდა. ამიტომაც არაფერი დაუმალა, პირდაპირ მიუგო: - დეტექტივები არიან ნიუ-იორკიდან. რამდენიმე კითხვა უნდათ დამისვან ერთი ბიჭის შესახებ, რომელსაც ვიცნობ.

მისტერ ადამსს გაოცება დაეტყო.

- იქნებ ჩემს კაბინეტში შევსულიყავით? - თქვა მან.

დეტექტივმა ფილიპსმა მშვიდად უპასუხა: - იცით, მისტერ ადამს, თქვენს ქალიშვილთან ცალკე საუბარს ვაპირებდით.

მისტერ ადამსმა თავაზიანად მიუგო: - ეს, მგონი, თვითონ ქეიმ უნდა გადაწყვიტოს. ძვირფასო, როგორ გირჩევნია, ამ ჯენტლმენებს მარტო დაელაპარაკები თუ გინდა, რომ მე ან დედაშენი დავესწროთ?

ქეიმ უარის ნიშნად თავი გააქნია: - მარტო დაველაპარაკები.

მისტერ ადამსმა ფილიპსს მიმართა: - ჩემს კაბინეტში შეგიძლიათ შეხვიდეთ და იქ ისაუბროთ. ლანჩზე ხომ არ დაგვეწვეოდით?

ორივე დეტექტივმა უარის ნიშნად თავი გააქნია. ქეი დეტექტივებს კაბინეტში შეუძღვა. დეტექტივები ფართო სავარძლის კიდეზე მოთავსდნენ უხერხულად, ქეი კი მამამისის ტყავის სავარძელში ჩაეშვა. საუბარი ფილიპსმა დაიწყო: - მის ადამს, გინახავთ თუ არა მაიკლ კორლეონე ან გსმენიათ თუ არა რაიმე მის შესახებ ბოლო სამი კვირის განმავლობაში?

ეს ერთი კითხვა საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ქეი ადამსი ყველაფერს მიმხვდარიყო და კიდეც გაფრთხილებულიყო. სამი კვირის წინ ქეიმ ბოსტონის გაზეთებში ნიუ-იორკში მომხდარი მკვლელობის შესახებ წაიკითხა, - პოლიციის კაპიტანი და ნარკოტიკებით მოვაჭრე ვირჯილ სოლოცო დაეცხრილათ. გაზეთები წერდნენ, რომ ეს მკვლელობა განგსტერთა ომის ერთ-ერთი ეპიზოდი იყო, რომელშიც კორლეონეს ოჯახი მონაწილეობდა.

ქეიმ უარის ნიშნად თავი გააქნია.

- არა, როცა უკანასკნელად ვნახე, მამის მონახულებას აპირებდა საავადმყოფოში. ეს, ალბათ, ერთი თვის წინ იყო.

მეორე დეტექტივმა უხეშად მოუჭრა: - მაგ შეხვედრის შესახებ ყველაფერი ვიცით. მერე აღარ გინახავს?

- არა, - უპასუხა ქეიმ.

დეტექტივმა ფილიპსმა თავაზიანად მიმართა: - თუკი შეხვდებით, აუცილებლად შეგვატყობინეთ. მაიკლ კორლეონეს უნდა დაველაპარაკოთ. გაფრთხილებთ: თუკი მაიკლ კორლეონესთან კონტაქტი გაქვთ, შესაძლოა, ძალზე უსიამოვნო სიტუაციაში აღმოჩნდეთ, ხოლო თუ დახმარებას შეეცდებით, შესაძლოა, ნამდვილ უბედურებაში გაეხვიოთ.

ქეი სავარძელში გასწორდა.

- და რატომ არ შემიძლია, დავეხმარო? - იკითხა მან, - ჩვენ დაქორწინებას ვაპირებთ, ქმარი და ცოლი კი ერთმანეთს უნდა ეხმარებოდეს.

მას დეტექტივმა სირიანიმ უპასუხა: - თუკი დაეხმარები, მკვლელობის თანამონაწილე შეიძლება გახდე. შენს ბოიფრენდს ვეძებთ, რადგან პოლიციის კაპიტანი მოკლა, და კიდევ, პოლიციის ინფორმატორიც, ვისთანაც შეხვედრა ჰქონდა. დანამდვილებით ვიცით, ერთსაც და მეორესაც მაიკლ კორლეონემ ესროლა.

ქეის გაეცინა. მისი სიცილი იმდენად ბუნებრივი იყო, რომ ამან დეტექტივებზე აშკარად მოახდინა შთაბეჭდილება.

- მაიკლი ასეთ რაღაცას ვერ გააკეთებდა, - თქვა ქეიმ, - თავისი ოჯახის საქმეებთან საერთო არასოდეს არაფერი ჰქონია. მე მისი დის ქორწილზე ვიყავი და ნათლად დავინახე, მას როგორც გარეშეს, ისე უყურებენ, დაახლოებით ისევე, როგორც მე. თუკი ახლა მაიკლი იმალება, ალბათ, იმიტომ, რომ ამ საქმეებში არ უნდა გაერიოს. მაიკლი განგსტერი არ არის. მე მას თქვენზე და ნებისმიერ ადამიანზე უკეთ ვიცნობ. მაიკლს უაღრესად რბილი ხასიათი აქვს, ისეთ სამაგლობას, როგორიც მკვლელობაა, უბრალოდ, ვერ ჩაიდენდა. არ ვიცნობ არავის, მაიკლივით რომ იცავდეს კანონს. ჩემთვის ტყუილი არასოდეს უთქვამს.

- რამდენი ხანია, რაც იცნობთ? - ფრთხილად ჰკითხა ფილიპსმა.

- წელიწადზე მეტია, - უპასუხა ქეიმ და გაუკვირდა, როცა დაინახა, დეტექტივები იღიმებოდნენ.

- მგონი, რაღაც-რაღაცები არც იცით, - თქვა ფილიპსმა, - იმ ღამეს, როდესაც ერთმანეთს დაშორდით, მაიკლი საავადმყოფოში წავიდა, სადაც სამსახურებრივ საქმეზე მისულ პოლიციის ოფიცერთან შელაპარაკება მოუვიდა. მერე თავს დაესხა. ეს ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ მაიკლს ყბა მოსტყდა და რამდენიმე კბილიც დაკარგა. მეგობრებმა ლონგ-ბიჩის სახლში გადაიყვანეს. შემდეგ საღამოს ის პოლიციის ოფიცერი მოკლეს, მაიკლ კორლეონე კი გაუჩინარდა. ჩვენ გვაქვს კონტაქტები, გვყავს ინფორმატორები. ყველა ერთხმად მაიკლ კორლეონეზე მიუთითებს, მაგრამ, სამწუხაროდ, არ გაგვაჩნია მტკიცებულება, რომელიც სასამართლოს შეიძლება წარვუდგინოთ. ერთადერთმა მოწმემ - ოფიციანტმა - მაიკლი ფოტოზე ვერ ამოიცნო, მაგრამ, შესაძლოა, ცოცხლად რომ ნახავს, იცნოს. სოლოცოს მძღოლი ჩვენების მიცემაზე უარს ამბობს, მაგრამ ალაპარაკდება, როცა მაიკლი ხელში გვეყოლება. ამიტომ დავეძებთ მას ყველა, მათ შორის, „ეფ-ბი-აიც“. თუმცა, ჯერჯერობით, უშედეგოდ. იმედი გვაქვს, დაგვეხმარებით.

- თქვენი არც ერთი სიტყვისა არ მჯერა, - ცივად მიუგო ქეიმ, მაგრამ როდესაც მოტეხილი ყბა ახსენეს, კინაღამ ცუდად გახდა, იგრძნო, ეს მართალი უნდა ყოფილიყო, თუმცა მაიკლი ამის გამო მკვლელი ხომ ვერ გახდებოდა.

- შეგვატყობინებთ, თუკი მაიკლი დაგიკავშირდებათ? - ჰკითხა ფილიპსმა.

ქეიმ უარის ნიშნად თავი გააქნია. მეორე დეტექტივმა, სირიანიმ, უხეშად უთხრა: - ვიცით, რომ შენ და მაიკლი ჟიმაობთ. სასტუმროს სარეგისტრაციო ჩანაწერიც არსებობს და მოწმეებიც. თუკი ეს ინფორმაცია პრესაში გაჟონავს, შენი მშობლები ცუდ დღეში ჩაცვივდებიან. რას იტყვის ისეთი რესპექტაბელური ხალხი, როგორიც დედაშენი და მამაშენია, თავის ქალიშვილზე, განგსტერთან რომ ჟიმაობს? გინდა, მამაშენს დავუძახო და ყველაფერი მოვუყვე?

ქეიმ გაოგნებულმა შეხედა. შემდეგ ადგა, კაბინეტის კართან მივიდა და გამოაღო. მამა დაინახა, რომელიც სასადილო ოთახში ფანჯარასთან იდგა და ჩიბუხს ეწეოდა. ხმამაღლა დაუძახა: - მამა, შეგიძლია შემოხვიდე?

მისტერ ადამსი მობრუნდა, გაუღიმა და კაბინეტისკენ აუჩქარებლად გაემართა. როდესაც ოთახში შევიდა და ქალიშვილს გაუსწორდა, წელზე ხელი მოხვია, დეტექტივებისკენ შეტრიალდა და უთხრა: - დიახ, ბატონებო?

დეტექტივებმა არაფერი უპასუხეს. ქეიმ სირიანის მზერა ცივად სტყორცნა და თქვა: - მოუყევით ყველაფერი, ბატონო ოფიცერო.

სირიანი წამოწითლდა.

- მისტერ ადამს, მე ამას თქვენი ქალიშვილის კეთილდღეობისთვის ვაკეთებ. მას კავშირი აქვს განგსტერთან, რომელმაც, რამდენადაც ვიცით, პოლიციის ოფიცერი მოკლა. სწორედ ახლა ვეუბნებოდი თქვენს ქალიშვილს, რომ ძალზე დიდ უსიამოვნებაში შეიძლება გაეხვიოს, თუკი ჩვენთან არ ითანამშრომლებს, მაგრამ, ეტყობა, ვერ ხვდება, რამდენად სერიოზულად აქვს საქმე. იქნებ თქვენ უთხრათ რაიმე?

- ეს სრულიად წარმოუდგენელია, - თავაზიანად მიუგო მისტერ ადამსმა.

სირიანიმ ყბები აამოძრავა.

- თქვენი ქალიშვილი და მაიკლ კორლეონე უკვე ერთი წელია, რაც ერთმანეთს ხვდებიან. სასტუმროში ცხოვრობდნენ, როგორც ცოლი და ქმარი. მაიკლ კორლეონეს პოლიციის ოფიცრის მკვლელობისთვის დაეძებენ. თქვენი ქალიშვილი უარს ამბობს, მოგვაწოდოს ინფორმაცია, რომელიც, შეიძლება, დაგვეხმაროს. ეს ფაქტებია. თქვენ უფლება გაქვთ, მათ წარმოუდგენელი უწოდოთ, მაგრამ ეს ყველაფერი თავისუფლად შემიძლია დაგიმტკიცოთ.

- ეჭვიც არ მეპარება, - თავაზიანად მიუგო მისტერ ადამსმა, - უბრალოდ, არა მგონია, რომ ჩემს ქალიშვილს სერიოზული უსიამოვნება შეიძლება შეხვდეს. ოღონდაც თუკი თქვენ არ გულისხმობთ, რომ იგი, - აქ მისტერ ადამსმა მეცნიერის შესაფერისი გამომეტყველება მიიღო, - „ბოროტმოქმედის თანამზრახველია“, ასე ამბობენ, მგონი.

ქეიმ მამას გაოცებულმა შეხედა. იცოდა, მას შეეძლო, პროფესორივით ეხუმრა, მაგრამ არ მოელოდა, თუკი ამ საქმეს ესოდენ მსუბუქად შეხვდებოდა.

- მაგრამ ეჭვი ნუ შეგეპარებათ, - დაამატა მისტერ ადამსმა ამჯერად უკვე მტკიცე ხმით, - თუკი ის ახალგაზრდა კაცი აქ გაჭაჭანდება, სათანადო ინსტანციებს უმალ შევატყობინებ. ისევე, როგორც ჩემი ქალიშვილიც. ახლა კი, თუ ნებას მოგვცემთ, ჩვენი ლანჩი ცივდება.

მისტერ ადამსმა სტუმრები გასასვლელამდე თავაზიანად მიაცილა და ზურგს უკან კარი ფრთხილად, მაგრამ მტკიცედ მიუხურა. შემდეგ ქეის ხელი მოჰკიდა და სამზარეულოსკენ წაიყვანა: - წამოდი, ძვირფასო, დედა უკვე დიდი ხანია, გველოდება.

სამზარეულოში მიმავალი ქეი უხმოდ ტიროდა. ეს შვების ცრემლები იყო, რაც მძიმე საუბარმა და მამამისის მოულოდნელმა გულისხმიერებამ გამოიწვია. როდესაც სამზარეულოში შევიდნენ, დედამ მისი ცრემლები არ შეიმჩნია და ქეიმ მოისაზრა, რომ, ალბათ, მამამ უკვე მოასწრო და გააფრთხილა დეტექტივების შესახებ. ქეი მაგიდასთან სიტყვის უთქმელად დაჯდა. დედამ დანა-ჩანგალი და თეფში წინ დაუდგა. მამამ თავი დახარა და ლოცვა წაიკითხა.

მისის ადამსი ტანდაბალი მსუქანი ქალი გახლდათ, ყოველთვის კოპწიად ჩაცმული და საგულდაგულოდ დავარცხნილი. ქეის დედა მოუწესრიგებელი და არეულ-

დარეული არასოდეს ენახა. ქალიშვილი დედამისს, მამისა არ იყოს, დიდად არ აინტერესებდა, - მათ შორის ყოველთვის გარკვეული დისტანცია არსებობდა. და ახლაც ზუსტად ასე იყო.

- ქეი, ნუ ართულებ ყველაფერს და ტრაგედიას ნუ ქმნი. დარწმუნებული ვარ, რაღაცას აბუქებენ, არაფრისგან ბერავენ საქმეს. ბოლოს და ბოლოს, ბიჭი დარტმუთში სწავლობდა, არ შეიძლება, ასეთ საშინელებაში გარეული იყოს.

ქეიმ განცვიფრებულმა შეხედა: - საიდან იცი, რომ მაიკლი დარტმუთში სწავლობდა?

დედამისმა თვითკმაყოფილი ტონით მიუგო: - თქვენ, ახალგაზრდები, ყველაფერს ასაიდუმლოებთ, გგონიათ, ამქვეყნად ყველაზე ჭკვიანები ხართ. მთელი ამ ხნის განმავლობაში ყველაფერი ვიცოდით, მაგრამ პირველები ამ თემაზე ლაპარაკს, ცხადია, ვერ დავიწყებდით.

- მაგრამ საიდან გაიგეთ? - იკითხა ქეიმ. მამას თვალებში ვეღარ უყურებდა, რადგან აღმოჩნდა, - თურმე იცის, მაიკლთან ხორციელი ურთიერთობა რომ აქვს. ამდენად, ქეიმ ვერ დაინახა მამამისის ღიმილი, რომლითაც თქვა: - ჩვენ, რასაკვირველია, შენი კორესპონდენცია გავხსენით.

ქეი გაოგნდა, თანაც განრისხდა. ახლა უკვე შეეძლო, მამისთვის თვალი გაესწორებინა. რაც მან გააკეთა, გაცილებით სამარცხვინოა, ვიდრე მისი საკუთარი ცოდვა. ვერც კი იჯერებდა ამას.

- მამა, შეუძლებელია, მამა, ამას არ გააკეთებდი.

მისტერ ადამსმა კვლავ გაიღიმა.

- მე დიდხანს ვფიქრობდი, რა უფრო მძიმე ცოდვაა: შენი წერილების უნებართვოდ წაკითხვა თუ არცოდნა იმისა, ჩემს ერთადერთ ქალიშვილს რა საფრთხე შეიძლება დაემუქროს. არჩევანი გავაკეთე და სწორიც აღმოვჩნდი.

ამ დროს მისის ადამსი ალაპარაკდა, თან მოხარშული ქათმის ბარკალს ღრღნიდა.

- ძვირფასო, შენი ასაკისთვის საოცრად მიამიტი ხარ. ჩვენ ვალდებულები ვიყავით, ყველაფერი გვცოდნოდა. აბა, შენ იმ ყმაწვილზე ჩვენთან არაფერს ამბობდი.

ქეიმ გონებაში მადლობა გადაუხადა მაიკლს, რომ თავის წერილებში მეტისმეტად ემოციური არ ყოფილა, და უხაროდა, მისი საკუთარი წერილები მშობლებს ნანახი რომ არ ჰქონდათ.

- მე არაფერს გეუბნებოდით მის შესახებ, რადგან ვფიქრობდი, მისი ოჯახი დაგაფრთხობდათ.

- მართლაც დაგვაფრთხო, - მხიარულად მიუგო მისტერ ადამსმა, - სხვათა შორის, მაიკლი დაგიკავშირდა?

ქეიმ უარის ნიშნად თავი გააქნია.

- არა მჯერა, რომ რამეში დამნაშავეა, - თქვა მან.

ქეიმ შენიშნა, რომ მისმა მშობლებმა მრავალმნიშვნელოვნად გადახედეს ერთმანეთს.

- თუკი მკვლელობაში გარეული არ არის და მაინც გაქრა, ესე იგი, შესაძლოა, სხვა რაღაც შეემთხვა, - წარმოთქვა მისტერ ადამსმა რბილად.

ქეი უცებ ვერ მიხვდა, რაც იგულისხმა, მერე კი ადგილიდან წამოიჭრა და თავის ოთახში შევარდა.

სამი დღის შემდეგ ქეი ლონგ-ბიჩში, კორლეონეს ხეივნის წინ ტაქსიდან გადმოვიდა. შეხვედრაზე ტელეფონით წინასწარ შეუთანხმდა. მას უკვე ელოდნენ. კარში თვით ტომ ჰეიგენი შეეგება და ეს ფაქტი მისთვის იმედგაცრუების მომასწავებელი აღმოჩნდა. ქეი წინასწარ ხვდებოდა, ტომი მას არაფერს ეტყოდა.

სასტუმრო ოთახში ტომ ჰეიგენმა სასმელი შესთავაზა. დერეფანსა და ოთახებში ქეიმ რამდენიმე კაცს მოჰკრა თვალი, მაგრამ მათ შორის სონი არ ყოფილა. ქეიმ ტომს პირდაპირ ჰკითხა: - მაიკლი სად არის, იცით? შეგიძლიათ, დამაკავშიროთ?

ტომმა მშვიდად მიუგო: - ვიცით, რომ კარგად არის, მაგრამ ახლა ზუსტად სად იმყოფება, ვერ გეტყვით. როდესაც იმ პოლიციის ოფიცრის მკვლელობის ამბავი გაიგო, შეეშინდა, რომ მას დასდებდნენ ბრალს, და გადაწყვიტა, დროებით გამქრალიყო. მითხრა, რომ რამდენიმე თვეში გამოჩნდება.

ესე იგი, ისტორია, რომელიც დეტექტივებმა უამბეს, თავიდან ბოლომდე გამოგონილი არ ყოფილა, - გაიფიქრა ქეიმ, მაგრამ ამას მაინც შემოწმება სჭირდებოდა.

- პოლიციის ოფიცერმა ყბა მართლა მოსტეხა?

- ვშიშობ, რომ მართლა, - უპასუხა ჰეიგენმა, - მაგრამ მაიკლი შურისმაძიებელი არასოდეს ყოფილა. დარწმუნებული ვარ, ამ საქმესთან საერთო არაფერი აქვს.

ქეიმ ხელჩანთა გახსნა და კონვერტი ამოიღო.

- შეგიძლიათ, გადასცეთ, როდესაც დაგიკავშირდებათ?

ჰეიგენმა უარის ნიშნად თავი გააქნია.

- თუკი ამ წერილს გამოგართმევთ და მერე თქვენ სასამართლოში ჩვენებას მისცემთ, რომ გამოგართვით, ეს შეიძლება ისე იქნეს გაგებული, თითქოს მაიკლის ადგილსამყოფელი ვიცოდი. რატომ არ გინდათ, კიდევ ცოტაც მოიცადოთ? დარწმუნებული ვარ, მალე თვითონ დაგიკავშირდებათ.

ქეიმ ჭიქა დაცალა და წამოდგა. ჰეიგენმა კარამდე მიაცილა, მაგრამ სანამ ქეი გარეთ გასვლას მოასწრებდა, კარი გაიღო და სახლში ვიღაც მსუქანი, დაბალი, შავ კაბაში ჩაცმული ქალი შემოვიდა. ქეი მიხვდა, მაიკლის დედა იყო. ქეიმ ხელი გაუწოდა და უთხრა: - როგორ ბრძანდებით, მისის კორლეონე?

ქალს პატარა შავი თვალები წამით თითქოს გაუბრწყინდა, მუქ, ზეთისხილისფერ, დანაოჭებულ სახეზე თავაზიანი ღიმილი გამოესახა, რომელიც, უცნაურია, მაგრამ მართლა გულითადი თუ კეთილგანწყობილი ჩანდა.

- აა, შენ ხომ მაიკლის პატარა გოგონა ხარ, - ჩაილაპარაკა მისის კორლეონემ. მძიმე იტალიური აქცენტი ჰქონდა, იმდენად მძიმე, რომ ქეი ძლივს უგებდა.

- გაჭამეს რამე?

ქეიმ უარის ნიშნად თავი გააქნია. იგულისხმა, რომ ჭამა არ უნდოდა, მაგრამ მისის კორლეონე ტომ ჰეიგენს გაცეცხლებული მიუბრუნდა და იტალიურად გამოლანძღა: - საბრალო გოგონას ყავაც კი არ შესთავაზე, შე უსინდისო, - დაამთავრა მან ტირადა, მერე ქეის ხელი ჩაჰკიდა - მოხუც ქალს მოულოდნელად თბილი და ცოცხალი ხელი აღმოაჩნდა - და სამზარეულოსკენ წაიყვანა.

- ყავა დალიე და რამე შეჭამე, მერე ვეტყვი და მანქანით გაგიყვანენ. არ მინდა, შენისთანა ლამაზმა გოგომ მატარებლით იჩაქჩაქოს.

ქეი მაგიდასთან დასვა, თვითონ კი სამზარეულოში დატრიალდა, პალტო და ქუდი გაიძრო, იქვე სკამზე დააგდო. რამდენიმე წამში მაგიდაზე პური, ყველი და ძეხვი გაჩნდა, ქურაზე კი ყავა დუღდებოდა.

ქეიმ მორიდებით იკითხა: - მაიკლის ამბის გასაგებად მოვედი, დიდი ხანია, არ მინახავს. მისტერ ჰეიგენმა მითხრა, რომ არავინ იცის, სად იმყოფება, მაგრამ რაღაც ხნის მერე აუცილებლად შეგვეხმიანებაო.

ტომ ჰეიგენი სასწრაფოდ ჩაერია.

- ახლა ამაზე მეტს ვერაფერს ვეტყვით, დედა.

მისის კორლეონემ უკმაყოფილოდ გახედა.

- შენ უნდა მასწავლიდე, რა ვთქვა და რა - არა? ამას ჩემი ქმარიც კი არ მეუბნება, ღმერთმა ჯანმრთელად ამყოფოს! - წარმოთქვა მისის კორლეონემ და პირჯვარი გადაიწერა.

- როგორ გრძნობს თავს მისტერ კორლეონე? - იკითხა ქეიმ.

- კარგად, - მიუგო მისის კორლეონემ, -- კარგად. ეტყობა, ბერდება და ცოტ-ცოტა ჭკუაც აკლდება, თორემ ასეთ რაღაცას არ დაუშვებდა.

და თავზე ხელი მიიკაკუნა. შემდეგ ქეის ყავა დაუსხა და აიძულა, ყველი და პური შეეჭამა. როდესაც ყავა დალიეს, მისის კორლეონემ ქეის ხელი თავის ხელებში მოიქცია და მშვიდად უთხრა: - მაიკლი აღარ მოგწერს, მასზე ვეღარასოდეს ვეღარაფერს გაიგებ. ორი-სამი წელი უნდა დაიმალოს. შეიძლება. მეტიც ან ბევრად მეტიც კი. დაბრუნდი შინ, შენს ოჯახში, და ვინმე კარგი ბიჭი იპოვე, ვინც ცოლად შეგირთავს.

ქეიმ ხელჩანთიდან კონვერტი ამოიღო.

- ამ წერილს გადასცემთ?

- კარგი, კარგი, - მიუგო მისის კორლეონემ, კონვერტი გამოართვა და ქეის ლოყაზე ხელი მოუთათუნა. ჰეიგენი შეეცადა წერილის გადაცემა იტალიურად გაეპროტესტებინა, მაგრამ მისის კორლეონემ დაუცაცხანა და ისიც უმალ ჩაჩუმდა.

შემდეგ ქეი მისის კორლეონემ კარამდე მიაცილა, სწრაფად აკოცა ლოყაზე და უთხრა: - მაიკლი უნდა დაივიწყო, დღეიდან ის შენთვის აღარ არსებობს.

ქეის ქუჩაში მანქანა ელოდებოდა, წინ ორი მამაკაცი იჯდა. ნიუ-იორკამდე ხმა არ ამოუღიათ. ქეიც მთელი გზა დუმდა. სასტუმრომდე მიიყვანეს, სადაც ნომერი ჰქონდა დაქირავებული.

ქეი ცდილობდა, გაეცნობიერებინა, რომ კაცი, რომელიც უყვარდა, სინამდვილეში ცივსისხლიანი მკვლელი ყოფილა. ეს მან ყველაზე სანდო წყაროსგან, დედამისისაგან, შეიტყო.

თავი მეთექვსმეტე

კარლო რიჩი მთელ ქვეყნიერებაზე დაბოღმილი გახლდათ. ვერ მოასწრო კორლეონეს ოჯახთან დანათესავება, რომ მაშინვე განზე მოისროლეს, მომცრო საბუკმეკერო ბიზნესი, ანუ ტოტალიზატორი ჩააბარეს მანჰეტენის ზედა ისტ-საიდში. ეგონა, დონი თავის ხეივანში ერთ-ერთ სახლს მდგმურებს დააცლევინებდა, - თავისუფლად შეეძლო გაეკეთებინა ეს, თუკი მოისურვებდა, - და იქ ახალდაქორწინებულებს დაასახლებდა. ამ შემთხვევაში კარლო კორლეონეს ოჯახის შუაგულში აღმოჩნდებოდა, მაგრამ დონი მას სწორად არ ექცევა. „დიდი დონი“, - გაიფიქრა კარლომ ზიზღით. ბებერი რეგვენი, რომელმაც მკვლელებს ქუჩაში ორი დღის დამწყები განგსტერივით გამოაჭერინა თავი. კარლოს იმედი ჰქონდა, ბებერი ნაბიჭვარი დაიბრიდებოდა. სონისთან ადრე მეგობრობდა და, თუკი სონი ოჯახისთავი გახდებოდა, კარლოს საქმეში შესვლის შანსი მიეცემოდა.

ცოლს შეხედა, რომელიც ამ დროს ყავას უსხამდა. ღმერთო, რას დაემსგავსა. ქორწილიდან მხოლოდ ხუთიოდე თვე გავიდა, მაგრამ უკვე ისე გასივდა და გაიბერა, ლამისაა გასკდეს. ყველანი ასეთები არიან, ეს იტალიელი გოგოები აღმოსავლეთ სანაპიროდან.

კარლომ რბილ, თახთახა დუნდულებზე მოუთათუნა ხელი. კონიმ გაუღიმა, მაგრამ მან ზიზღით უთხრა: - ღორზე მეტი ქონი გაქვს.

კარლოს სიამოვნება მოჰგვარა იმის ყურებამ, როგორ ეტკინა მის ცოლს გული, როგორ წამოუვიდა ცრემლები. მართალია, დიდი დონის ქალიშვილია, მაგრამ ახლა მისი ცოლია, მისი საკუთრება, და, რასაც უნდა, იმას უზამს. თვით ის ფაქტი, რომ უფლება აქვს კორლეონეს ოჯახის ქალს ფეხები შეაწმინდოს, კარლოს საკუთარი სიძლიერის შეგრძნებით აღავსებდა.

ცოლთან ურთიერთობაში თავიდანვე სწორი ტაქტიკა აირჩია. ქორწილზე საჩუქრად მიღებული ფული, - ბანკნოტებით გამოტენილი ხელჩანთა, - თავისთვის უნდოდა დაეტოვებინა, მაგრამ კარლომ ცალი თვალი ჩაულურჯა და წაართვა. არასოდეს უთქვამს ცოლისთვის იმ ფულს რა უყო. ეს რომ კონის გაეგო, შესაძლოა, დიდი უსიამოვნება შეხვედროდა. კარლოს კიდეც გააჟრჟოლა იმის გაფიქრებაზე, რომ მთელი ორმოცდაათი ათასი დოღის ცხენებსა და მიუზიკ-ჰოლის ქალებს მიაფშვნიტა.

კარლომ იგრძნო, რომ კონი ზურგში უყურებდა და კუნთები დაეძაბა, მაგიდაზე გადაიწია და თეფშიდან ტკბილი ფუნთუშები გადმოიღო. ერთი წუთის წინ ბეკონიანი ერბოკვერცხი მიირთვა, მაგრამ ჯან-ღონით სავსე კაცი ბრძანდებოდა და საუზმეც შესაფერისი ესაჭიროებოდა. კარლო თავისი გარეგნობით ერთობ კმაყოფილი გახლდათ. ჩვეულებრივ, ღიპიან იტალიელ ქმრებს კი არ ჰგავდა, არამედ ქერათმიანი, დაკუნთული კაცი იყო, წვრილი წელითა და ფართო მხრებით. და ისიც იცოდა, რომ ფიზიკურად გაცილებით უფრო ძლიერია, ვიდრე ნებისმიერი ის ვითომ მაგარი ბიჭი, ორგანიზაციაზე რომ მუშაობდნენ, კლემენცა იქნებოდა ეს, ტესიო, როკო ლამპონე თუ პაულო, რომელიც ვიღაცამ მიასაღა. კარლო ვერ ხვდებოდა, ამ საქმის უკან რა იმალებოდა. მერე რატომღაც სონი გაახსენდა. ერთი-ერთზე სონისაც კი მოერეოდა, თუმცა სონი მასზე ცოტა უფრო მოსული და უფრო მძიმეც გახლდათ. თუმცაღა კარლოს სონის სისასტიკე აფრთხობდა, რომელზეც ბევრს ლაპარაკობდნენ, არადა სონი მხოლოდ მოღიმარი და მხიარული ენახა. სონი მისი ძმაკაცია. როცა ბებერი დონი მარილზე გავა, იქნებ, მისი საქმეც გაიჩარხოს...

კარლო ყავას პატარ-პატარა ყლუპებით სვამდა. ამ ბინას ვერ იტანდა. ვესტ-ენდის ფართო ბინებს იყო მიჩვეული. თანაც თავის საბუკმეკერო ოფისში რომ მისულიყო, ნახევარი ქალაქი უნდა გაევლო მანქანით. კვირა დღე იყო - მისთვის ყველაზე მძიმე დღე მთელი კვირის განმავლობაში: ჯერ ბეისბოლის მატჩები იმართებოდა, მერე კალათბურთის, ბოლოს კი დოღი. ნელ-ნელა კარლომ გააცნობიერა, რომ კონი მის გარშემო ტრიალებდა, თავი მოაბრუნა და ცოლს ახედა.

კონი ნამდვილ ნიუ-იორკულ, იტალიურ-ამერიკულ სტილზე იყო ჩაცმული, რომელსაც კარლო დასანახავად ვერ იტანდა, - აბრეშუმის ჭრელი, ყვავილებიანი, ფართოსახელოებიანი, ქამრიანი კაბა, ბრჭყვიალა სამაჯური და საყურეები. თავის ასაკზე ოცი წლით უფროსი ჩანდა.

- სად ჯანდაბაში მიეთრევი? - შეუბღვირა ცოლს.

- ლონგ-ბიჩში, მამა მინდა ვნახო, - ცივად მიუგო კონიმ, - ჯერ კიდევ ლოგინში წევს. დაველაპარაკები მაინც.

კარლომ ინტერესით იკითხა: - შოუს ჯერ კიდევ სონი ხელმძღვანელობს?

კონიმ გაოცებული სახე მიიღო: - რა შოუს?

კარლო გაცოფდა.

- შე ბინძურო იტალიელო ძუკნა, ეგრე ნუ მელაპარაკები, თორემ მაგ ბავშვს ახლავე მუცლიდან ამოგიგდებ.

კონი შეშინებული ჩანდა და ამან კარლო კიდევ მეტად გაახელა. ფეხზე წამოიჭრა და სილა გააწნა, - სახეზე წითლად დაატყო. მერე კი ავტომატის სიზუსტითა და სისწრაფით კიდევ სამჯერ შემოარტყა ცოლს. დაინახა, ზედა ტუჩი როგორ დაუსისხლიანდა და გაუსივდა. ამან გააჩერა. არ უნდოდა, კვალი დაეტოვებინა. კონი საძინებელში შევარდა, კარი გაიჯახუნა და გასაღებით გადაკეტა. კარლომ გაიცინა და ყავას მიუბრუნდა.

ეწეოდა, სანამ ჩაცმის დრო არ დაუდგა. საძინებლის კართან მივიდა, დააკაკუნა და ხმამაღლა თქვა: - გააღე, სანამ დამიმტვრევია.

პასუხი არ იყო.

- გააღე, უნდა ჩავიცვა! - იღრიალა კარლომ. გაიგონა, როგორ გაიჭრიალა საწოლმა. კონი ადგა და კარი გაუღო. როდესაც ოთახში შევიდა, ცოლმა ზურგი შეაქცია, საწოლთან ნელა დაბრუნდა და კედლისკენ პირით დაწვა.

კარლომ სწრაფად ჩაიცვა და მერეღა შენიშნა - კონი ღამის პერანგში იყო. კარლოს უნდოდა, რომ იგი მამასთან წასულიყო. იმედი ჰქონდა, იქიდან ინფორმაციას მოიტანდა.

- ვითომ რა მოხდა, ერთი-ორმა შემოლაწუნებამ რა, ძალა წაგართვა? - ჰკითხა კარლომ. კონი ერთობ ზარმაცი ვინმე გახლდათ.

- წასვლა აღარ მინდა, - კონიმ ტირილნარევი ხმით წაილუღლუღა. კარლომ ხელი მოჰკიდა, თავისკენ შემოაბრუნა. მაშინვე მიხვდა, რატომაც აღარ უნდოდა მის ცოლს წასვლა და გაიფიქრა, - იქნებ, ჯობია კიდეც, რომ აღარ მიდის.

როგორც ჩანს, უფრო ძლიერად მოუვიდა დარტყმა, ვიდრე აპირებდა. კონის მარცხენა ლოყა ჩამოუსივდა, ზედა ტუჩი სასაცილოდ დაებუშტა, ცხვირის წვერი კი გაუთეთრდა.

- ო,კეი, - თქვა კარლომ, - მაგრამ სახლში გვიან დავბრუნდები. კვირა დღე ჩემთვის ყველაზე მძიმე სამუშაო დღეა.

სახლიდან გამოვიდა და თავისი მანქანის შუშის საწმენდის ქვეშ მწვანე ფერის საჯარიმო ტალონი აღმოაჩინა, - უადგილო ადგილას გაჩერებისათვის. თხუთმეტი დოლარი უნდა გადაეხადა. ტალონი მანქანის უჯრაში შეაგდო, სადაც ასეთი ტალონების მთელი გროვა ჰქონდა. მშვენიერ გუნებაზე გახლდათ. ამ განებივრებული პატარა ძუკნას ცემა ყოველთვის კარგ ხასიათზე აყენებდა. ეს იმ დამოკიდებულების ერთგვარი კომპენსაცია გახლდათ, რასაც კორლეონეს ოჯახისგან გრძნობდა.

როდესაც ცოლი პირველად დაალილავა, ცოტა არ იყოს, შეშფოთდა, რადგან კონი მაშინვე ლონგ-ბიჩში გაიქცა, დედ-მამასთან რომ ეჩივლა და ჩალურჯებული თვალი ეჩვენებინა. კარლომ მაშინ, მართლაც, მაგრად მოსდო. მეტისმეტად ძლიერად მოუვიდა, მაგრამ როდესაც კონი შინ მობრუნდა, მოულოდნელად მორჩილი, დამყოლი იტალიელი ცოლი შეიქნა. ამან კარლოს გადააწყვეტინა, შემდეგი რამდენიმე კვირა სამაგალითო ქმარი ყოფილიყო: ალერსიანი გახდა, ტკბილად ექცეოდა, ყოველღამე მასთან წვებოდა, დილა-საღამოს ჟიმავდა. კონის ეგონა, კარლო სამუდამოდ გამოიცვალაო, და მოუყვა, იმ დღეს ლონგ-ბიჩში რა მოხდა.

კონის გასაოცრად, მშობლები მისი გასაჭირის მიმართ თითქოსდა გულგრილნი დარჩნენ. მართალია, დედამისმა თანაგრძნობის რაღაც ნატამალი მაინც გამოავლინა და მამამისს სთხოვა, კარლოს დალაპარაკებოდა, მაგრამ უარი მიიღო.

დონმა თქვა: - ჩემი ქალიშვილია, მაგრამ ახლა უკვე ქმარს ეკუთვნის. იმან კიდევ თავისი მოვალეობა თვითონ იცის. ქმრისა და ცოლის ურთიერთობაში თვით იტალიის მეფეც კი ვერ ჩაერევა. წადი შინ და ისწავლე ისე მოქცევა, რომ აღარ გცემოს.

კონიმ გაბრაზებით მიუგო: - შენი ცოლი ოდესმე გიცემია?

კონი მამის საყვარელი შვილი გახლდათ და შეეძლო, თავისი თავისთვის ასეთი უპატივცემულო მიმართვის უფლება მიეცა.

დონმა უპასუხა: - ამის საბაბი არასოდეს მოუცია.

დედამისმა ამაზე თავი დაუკრა და გაიღიმა.

კონიმ მოუყვა მამას, კარლომ ქორწილზე ნაჩუქარი ფული რომ წაართვა და მერე კრინტიც კი არ დაუძრავს იმაზე, სად ან რაში დახარჯა. დონმა მხრები აიჩეჩა და უთხრა: - მეც იმავეს ვიზამდი, ჩემი ცოლი შენსავით პრეტენზიული რომ ყოფილიყო.

აი, ასე დაბრუნდა კონი შინ, - ცოტა დაბნეული, ცოტა დამფრთხალი. იგი ყოველთვის მამის საყვარელი შვილი გახლდათ და ახლა მისი გულგრილობა ვერაფრით აეხსნა.

არადა დონი სულაც არ ყოფილა ისეთი გულგრილი, როგორიც ერთი შეხედვით ჩანდა. გამოარკვია, რაში დახარჯა კარლო რიჩიმ ქორწილზე საჩუქრად მიღებული ფული. დონმა თავის ხალხს დაავალა, მისთვის თვალყური ედევნებინათ, - რას აკეთებდა თავის საბუკმეკერო ოფისში და ყველაფერი ჰეიგენისთვის შეეტყობინებინათ, მაგრამ დონს ჩარევა არ შეეძლო. როგორ გინდა კაცს მოსთხოვო, ცოლთან თავისი მოვალეობები ნორმალურად შეასრულოს, თუკი მისი ოჯახის ეშინია? ეს აუტანელი სიტუაცია იქნებოდა და ამიტომ დონმა ჩარევა ვერ გაბედა. როდესაც მოგვიანებით კონი დაორსულდა, დონმა დაასკვნა, რომ სწორი გადაწყვეტილება მიიღო. ჩარევა არ შეიძლებოდა, მიუხედავად იმისა, რომ კონიმ კიდევ რამდენიმეჯერ იჩივლა დედასთან, ქმარი მცემსო. დედამისი ბოლოს ამან ისე შეაწუხა, რომ დონს უთხრა. თანაც, კონიმ დედას მიანიშნა, რომ გაყრაზე ფიქრობს. დონი ქალიშვილს ცხოვრებაში პირველად გაუბრაზდა: - შენი ბავშვის მამაა. ამქვეყნად ბავშვი ვინ შეიძლება დადგეს, თუკი მამა არ ეყოლება?

ეს რომ შეიტყო, კარლო რიჩის თავდაჯერებულობა კიდევ უფრო გაიზარდა. მიხვდა, არაფერი ემუქრებოდა. დაიტრაბახა კიდეც თავის საბუკმეკერო ოფისში „ჩამწერების“, სალი რაგსისა და კოჩის, წინაშე, როგორ ალილავებს თავის ცოლს, და მათ მზერაში პატივისცემა აშკარად ამოიკითხა. მართლაც, მაგარი კაცი უნდა იყო, დიდი დონის ქალიშვილს ასე რომ მოექცე.

მაგრამ რიჩი თავს ესოდენ უსაფრთხოდ არ იგრძნობდა, რომ სცოდნოდა, როგორ სასტიკად გაცოფდა სონი, დის ცემის ამბავი რომ გაიგო და გააჩერა მხოლოდ დონის პირადმა, მკაცრმა და ერთმნიშვნელოვანმა ბრძანებამ - არ ჩარეულიყო. ეს ისეთი ბრძანება გახლდათ, სონიმაც კი ვერ გაბედა მისი დარღვევა. ამიტომ იგი კარლო რიჩის ერიდებოდა, არ უნდოდა მასთან შეხვედრა, რადგან თავის იმედი არ ჰქონდა, ეშინოდა, კონტროლი არ დაეკარგა.

ასე რომ, იმ მშვენიერ კვირა დილას კარლო რიჩი ისტ-საიდის 96-ე ქუჩაზე ავტომობილს რომ მიაქროლებდა, ვერ შენიშნა, მის სახლთან სონის მანქანა როგორ გაჩერდა.

სონიმ ლონგ-ბიჩის ხეივანი დროებით მიატოვა, რომელიც მისი საზრუნავი გახლდათ, და ღამე ქალაქში გაატარა ლუსი მანჩინისთან. ახლა ოთხი პირადი

მცველის თანხლებით შინ ბრუნდებოდა. ლუსისთან სონი უსაფრთხოდ გრძნობდა თავს. მისი დაცვის ბიჭებს ლუსი მანჩინის სახლის გვერდით ჰქონდათ ბინები, ამდენად, მასთან სტუმრობა სახიფათო არ იყო, თუმცა სონი ამას მაინც იშვიათად აკეთებდა. ბოდიგარდები თავიანთი მანქანებით მიჰყვებოდნენ: ორი - წინ, ორი - უკან. რადგან ახლა ქალაქში იყო, სონიმ გადაწყვიტა, დისთვის შეევლო და ლონგ-ბიჩში წაეყვანა. იცოდა, კარლო თავის საბუკმეკერო ოფისში იქნებოდა. იმ ძუნწმა ნაბიჭვარმა მის დას მანქანაც კი არ უყიდა. ჰოდა, კონის გზად წაიყოლებს.

სონი დაელოდა, სანამ მისი ორი კაცი შენობაში შევიდოდა, შემდეგ კი თვითონაც მიჰყვა. დაინახა, რომ ორი დანარჩენი მისი მანქანის უკან დადგა და ქუჩის თვალთვალი დაიწყო. სონი მუდმივად ფრთხილობდა. მართალია, მილიონიდან ერთი შანსი იყო, მის მტრებს სცოდნოდათ, რომ ახლა ქალაქშია, მაგრამ სიფრთხილეს თავი არ სტკიოდა. ეს მან 1930 წლის ომის მერე შეიგნო.

სონი ლიფტით არასოდეს მგზავრობდა. ნამდვილი ხაფანგია. მერვე სართულზე ფეხით ავიდა. სწრაფად იარა. კონის კართან შეჩერდა. დააკაკუნა. თავისი თვალით დაინახა, კარლოს მანქანა როგორ წავიდა, ამიტომ დარწმუნებული იყო, მისი და სახლში მარტო იქნებოდა, მაგრამ არავინ უპასუხა. სონიმ კიდევ ერთხელ დააკაკუნა და კონის შეშინებული ხმა გაიგონა: - ვინ არის?

სონი განაცვიფრა იმ შიშმა, რომელმაც კონის ხმაში გაიჟღერა. მისი პატარა დაიკო ოჯახში ყველაზე მხიარული და გაბედული გახლდათ, ახლა რა ჯანდაბა დაემართა? სონიმ უპასუხა: - მე ვარ, სონი.

კონიმ საკეტი გასწია, კარი გააღო და ძმას ქვითინით ჩაეხუტა. სონი ისე გაოცდა, რომ ადგილზე გაშეშდა. შემდეგ კონი გვერდზე გასწია, დასივებული სახე დაინახა და ყველაფერს მიხვდა.

სონიმ დას ხელი ჰკრა, უნდოდა, კარლოს გამოჰკიდებოდა. გაცოფდა, სახე ბრაზისგან მოეღრიცა. კონი ჩაეჭიდა, არ გაუშვა, აიძულა, ბინაში შესულიყო. ახლა იგი შიშისგან ტიროდა. მან კარგად იცოდა უფროსი ძმის ხასიათი და ეშინოდა მისი. სწორედ ამიტომ ქმარზე მასთან არასოდეს ჩიოდა.

- ყველაფერი ჩემი ბრალია, - თქვა კონიმ, - ჩხუბი მე დავიწყე, მინდოდა, მისთვის დამერტყა, ამიტომაც მლეწა, მაგრამ ასე მაგრად არ უნდოდა. არ გავიწიე და პირდაპირ მომხვდა, მე ვარ დამნაშავე.

სონის კუპიდონისებური სახე არაფერს გამოხატავდა.

- გინდა, დღეს მამა მოინახულო? - ჰკითხა დას.

კონიმ არაფერი უპასუხა, ამიტომ სონიმ განაგრძო: - ვიფიქრე, რომ გენდომებოდა, ამიტომაც შემოგიარე. ისედაც ქალაქში ვიყავი.

კონიმ თავი გაქნია უარის ნიშნად.

- არ მინდა ასეთი მნახოს. იქით კვირას წავალ.

- ო,კეი, - თქვა სონიმ და სამზარეულოში შევიდა, ტელეფონის ყურმილი აიღო და ნომერი აკრიფა.

- ექიმს ვურეკავ, რომ მოვიდეს და გაგსინჯოს. შენს მდგომარეობაში ფრთხილად უნდა იყო. ბავშვის გაჩენამდე რამდენი თვე დაგრჩა?

- ორი, - მიუგო კონიმ, - სონი, გეხვეწები, არაფერი უყო. ძალიან გთხოვ.

სონიმ გაიცინა, მაგრამ როდესაც ალაპარაკდა, სასტიკი გამომეტყველება მიიღო.

- ნუ გეშინია, ბავშვს არ დაგიობლებ, სანამ არ დაბადებულა.

სონიმ დას უვნებელ ლოყაზე აკოცა და ბინიდან გავიდა.

ისტ-ენდის 112-ე ქუჩაზე, საკონდიტრო მაღაზიის წინ, სადაც კარლო რიჩის საბუკმეკერო ოფისი ჰქონდა, მანქანები ტროტუართან ორ რიგად ჩამწკრივებულიყო. მაღაზიის წინ მამები თავიანთ პატარა შვილებს, რომლებიც კვირა დილით სასეირნოდ გამოიყვანეს და, თანაც, ფსონების დასადებადაც გაიყოლეს, დაჭერობანას ეთამაშებოდნენ. როდესაც კარლო რიჩი დაინახეს, თამაში შეწყვიტეს და შვილებს სასწრაფოდ ნაყინი უყიდეს, წყნარად რომ ყოფილიყვნენ და მათთვის ხელი არ შეეშალათ. შემდეგ დილის გაზეთებში ინფორმაცია მოიძიეს, იმ დღეს ბეისბოლის მატჩებში დამწყები პიჩერები ვინ უნდა ყოფილიყვნენ, - ცდილობდნენ ამის მიხედვით საბოლოო შედეგი გამოეცნოთ.

კარლო დიდ ოთახში შევიდა, რომელიც მაღაზიის უკანა ნაწილში იყო განლაგებული. იქ მისი ორი ჩამწერი, ტანდაბალი, გამხდარი სალი რაგსი და მოსული, მსხვილი კოუჩი, უკვე ელოდებოდნენ. მაგიდებზე ვეება დავთრები გადაეშალათ, სადაც ფსონები უნდა ჩაეწერათ. იქვე ხის ჩარჩოზე შავი დაფა გახლდათ დამაგრებული, სადაც ცარცით წყვილებად დაეჯგუფებინათ ბეისბოლის ლიგის თექვსმეტი გუნდის სახელები - ვინ ვის ხვდებოდა. ყოველი წყვილის გასწვრივ შემოხაზულ კვადრატში კოეფიციენტი აღინიშნებოდა.

- მაღაზიის ტელეფონი ჩართულია? - ჰკითხა კარლომ კოუჩს.

კოუჩმა უარის ნიშნად თავი გააქნია.

- ჯერაც არა.

კარლო კედელზე მიმაგრებულ ტელეფონთან მივიდა და ნომერი აკრიფა. სალი რაგსი და კოუჩი განყენებული სახეებით ისხდნენ. უყურებდნენ, როგორ ჩაინიშნა კოეფიციენტები, ტელეფონით რომ შეატყობინეს, შემდეგ კი მივიდა დაფასთან და ყოველი წყვილის გასწვრივ ცარცით ჩაწერა კვადრატებში. კარლომ არ იცოდა, რომ მათ წინასწარ უკვე გაგებული ჰქონდათ კოეფიციენტები და ახლა მხოლოდ ამოწმებდნენ, რას წერდა. მუშაობის პირველ კვირას კარლოს დაფაზე ციფრების გადატანისას შეცდომა მოუვიდა და შექმნა სიტუაცია, რომელიც ტოტალიზატორზე ყველა მოთამაშის ოცნებას წარმოადგენს, - ე. წ. „საშუალო“. ეს ისეთი სიტუაცია გახლდათ, როცა მოთამაშე არც ერთ შემთხვევაში წაგებული არ დარჩებოდა, თუკი კარლოს ტოტალიზატორში ფსონს რომელიმე ერთი გუნდის მოგებაზე დადებდა, სადაც კოეფიციენტი შემცირებული იყო, სხვა ტოტალიზატორში კი, სადაც რეალური კოეფიციენტი იქნებოდა - იმავე გუნდის წაგებაზე. ერთადერთი, ვინც ამ სიტუაციაში დაზარალდებოდა, კარლო იყო. ამ შეცდომამ მის ტოტალიზატორს ექვსი ათასი

დოლარი წააგებინა და დონის ეჭვი სიძეზე კიდევ უფრო განამტკიცა. დონმა ბრძანა, კარლოს მუშაობისთვის მუდმივად თვალყური ედევნებინათ.

ჩვეულებრივ, კორლეონეს ოჯახის ხელმძღვანელობა ასეთი წვრილმანი, პრაქტიკული საქმეებით თავს არ იწუხებდა. მსგავსი საქმეებისგან მას მინიმუმ ხუთი საიზოლაციო, შუალედური შრე ყოფდა, მაგრამ მათი სიძისათვის ტოტალიზატორი ერთგვარი საცდელი პოლიგონი გახლდათ, ამიტომ ის ჰეიგენის უშუალო მეთვალყურეობის ქვეშ მოექცა. საჭირო ინფორმაციას თავისი ხალხისგან ყოველდღე იღებდა.

ახლა, როდესაც კარლომ დაფაზე კოეფიციენტები ჩამოწერა, მოთამაშეები საკონდიტროს უკანა ოთახში შეჯგუფდნენ, ფსონები რომ გაეკეთებინათ. ზოგიერთებს პატარა ბავშვები ხელჩაკიდებულები მოჰყავდათ და მათთან ერთად დგებოდნენ დაფის წინ, ციფრებს არკვევდნენ. ერთ-ერთმა მოთამაშემ, რომელმაც საკმაოდ დიდი თანხა დადო, გვერდით მდგომ პატარა გოგონას ხუმრობით ჰკითხა: - დღეს ვინ გირჩევნია, ,,გოლიათები“ თუ ,,მეკობრეები“?

გოგონამ, რომელსაც ეს სახელები აშკარად მოეწონა, მამას კითხვაზე კითხვით უპასუხა: - გოლიათები მეკობრეებზე უფრო ღონიერები არიან, არა?

მამას გაეცინა.

ჩამწერებთან რიგი დადგა. ფურცელს როცა შეავსებდნენ, სადაც ფსონი აღინიშნებოდა, ნაწილს მოახევდნენ და მიღებულ ფულთან ერთად კარლოს გადასცემდნენ. შემდეგ იგი უკანა კარიდან გარეთ გადიოდა და ფული მეორე სართულზე აჰქონდა, საკონდიტროს მეპატრონის ოთახში, იქიდან ცენტრალურ ოფისში რეკავდა, შედეგებს ატყობინებდა, ფულს კი კედლის მომცრო სეიფში ინახავდა, რომლის წინ ფარდა იყო ჩამოფარებული. კარლო ჩანაწერებიან ფურცელს წვავდა და ქვევით ჩადიოდა.

კვირას ორ საათზე ადრე არც ერთი მატჩი არ იწყებოდა და მოთამაშეების პირველი ტალღის - ძირითადად, დაოჯახებული მოთამაშეების - მერე მეორე ტალღა მოდიოდა, უფრო მცირერიცხოვანი, სამაგიეროდ, უფრო ჯიუტი და რისკიანი ადამიანებისგან შემდგარი. ესენი უმეტესად მარტოხელა, ახალგაზრდა მამაკაცები იყვნენ, რომლებიც დიდ ფულზე თამაშობდნენ ხოლმე. კვირა დღე კარლოსთვის სწორედ მათი მიზეზით იყო ყველაზე დაძაბული. ზოგიერთი დაოჯახებული მოთამაშე სანაპიროდანაც კი რეკავდა, უნდოდათ კიდევ ეცადათ ბედი და წაგებული ფული აენაზღაურებინათ.

ორის ნახევარზე მოთამაშეთა ნაკადი შემცირდა და კარლომ და სალიმ თავს უფლება მისცეს, ქუჩაში გამოსულიყვნენ, სუფთა ჰაერის ჩასაყლაპავად. მათ წინ პოლიციის მანქანამ ჩაიარა, მაგრამ ყურადღება არ მიუქცევიათ. ტოტალიზატორს ადგილობრივ პოლიციასთან საქმე მაგრად ჰქონდა ჩაწყობილი და ამ მხრივ საფრთხე არ ემუქრებოდა. შენობის გაჩხრეკა მხოლოდ ძალიან მაღალ დონეზე შეეძლოთ ებრძანებინათ, მაგრამ მაშინაც საკმაო დრო რჩებოდათ, რომ ინფორმატორებისგან გაფრთხილება წინასწარ მიეღოთ და სტუმრების შესახვედრად სათანადოდ მომზადებულიყვნენ.

კოუჩიც გარეთ გამოვიდა და მათ გვერდით ჩამოჯდა. ერთხანს ბეისბოლსა და ქალებზე მასლაათობდნენ, შემდეგ კარლომ სიცილით თქვა: - დღეს ჩემი ცოლი კიდევ ერთხელ მივბეგვე, ბოლოს და ბოლოს, რომ გაიგოს, ოჯახში უფროსი ვინაა.

- დიდი მუცელი აქვს უკვე? - კოუჩმა თითქოსდა სასხვათაშორისოდ იკითხა.

- უბრალოდ, ერთი-ორჯერ სიფათში შემოვულაწუნე, - მიუგო კარლომ, - არაფერი მოუვა.

შემდეგ წამით დაფიქრდა და განაგრძო: - ჰგონია, შეუძლია მიბრძანოს, რაც მოესურვება, ამას კი მე ვერაფრით ავიტან.

მათ შორიახლოს რამდენიმე მოთამაშეც იდგა, ჰაერზე გამოსულები ბეისბოლზე ლაპარაკობდნენ, ზოგიერთი კიბის საფეხურზე ჩამომჯდარიყო, კარლოსა და ორი ჩამწერის ზემოთ. უეცრად მოსახვევიდან მუხრუჭების საშინელი ღრჭიალით ავტომობილი გამოვარდა და საკონდიტროს წინ გაჩერდა. ბავშვები დაფრთხნენ და აქეთ-იქით დაიფანტნენ. სანამ მანქანა ბოლომდე გაჩერდებოდა, იქიდან ვიღაც გადმოხტა გაშმაგებული. იქ მყოფები შიშისგან გაქვავდნენ. ეს სონი კორლეონე გახლდათ.

სონის მძიმე, კუპიდონისებური სახე ბრაზისგან საზარლად მოღრეცოდა. წამის მეასედიც არ იყო გასული, კარლო რიჩის მიეჭრა და ყელში სწვდა. ქუჩაში უნდოდა მისი გათრევა, მაგრამ კარლო რკინის მოაჯირს ჩაეჭიდა მთელი ძალით, თითქმის ჩამოეკიდა კიდეც. პერანგი ტანზე შემოეხა და სონის ხელში შერჩა.

ამას შემზარავი სცენა მოჰყვა. სონი კარლოს სცემდა და თან უშვერად აგინებდა. კარლო, მიუხედავად თავისი ფიზიკური ძალისა, სონის არავითარ წინააღმდეგობას არ უწევდა, არც საშველად ეძახდა ვინმეს და არც პატიებას ევედრებოდა. სალი და კოუჩი ჩარევას ვერ ბედავდნენ. ეგონათ, სონის კარლოს მოკვლა ჰქონდა გადაწყვეტილი და, ცხადია, მისი ბედის გაზიარება სრულიადაც არ სურდათ. ბავშვები, რომლებიც სონის გამოჩენამ დააფრთხო, მობრუნდნენ, ერთად დადგნენ, უნდოდათ გაელანძღათ კაცი, ვინც გული გაუხეთქა, მაგრამ ხმის ამოღება ვერ მოახერხეს, - საზარელ სცენას გაოგნებულები, სუნთქვაშეკრულები უყურებდნენ. მშიშარა ბავშვები სულაც არ ეთქმოდათ, მაგრამ სონის გამომეტყველებამ მათ ხმა ჩააწყვეტინა. ამ დროს ტროტუართან კიდევ ერთმა მანქანამ დაამუხრუჭა, საიდანაც სონის მცველები გადმოცვივდნენ, მაგრამ ჩარევა ვერც მათ გაბედეს. ისინიც უბრალოდ იდგნენ და უყურებდნენ, მზად იყვნენ, თავიანთ ბოსს დახმარებოდნენ, თუკი ვინმე იქ მყოფთაგანი გაბრიყვდებოდა და კარლო რიჩის შველას შეეცდებოდა.

მორჩილება, რომლითაც კარლო ცემას იტანდა, ამაზრზენი იყო, მაგრამ სიცოცხლე, ალბათ, სწორედ ამან შეუნარჩუნა. სონი, როგორც იქნა, დაცხრა და კარლოს მიუგდო: - შე ბინძურო ნაბიჭვარო, ჩემს დას ხელს ერთხელ კიდევ თუ ახლებ, დაგბრიდავ.

ამ სიტყვებმა დაძაბულობა განმუხტა, რადგან ყველასთვის ცხადი იყო, სონის კარლოს მოკვლა გადაწყვეტილი რომ ჰქონოდა, მუქარას აღარ დაუწყებდა. კარლო სონის თვალს არიდებდა. ჯერ კიდევ რკინის მოაჯირს იყო ჩაჭიდებული. ამ პოზაში დარჩა, სანამ არ მოესმა, სონის მანქანა როგორ ღრიალით მოსწყდა ადგილს და გავარდა. კოუჩმა უთხრა: - ო,კეი, კარლო, წამო, მაღაზიაში შევიდეთ.

მხოლოდ ახლაღა გაბედა კარლომ, მოაჯირისთვის ხელი გაეშვა და გასწორებულიყო. როდესაც ფეხზე დგებოდა, ბავშვების გაფაციცებული სახეები დაინახა, იქ მყოფი უფროსების მზერაში კი, რომლებიც მისი დამცირების სცენას თვალს არ აცილებდნენ, ზიზღი ამოიკითხა. კარლოს თავბრუ ეხვეოდა, მაგრამ ამის მიზეზი შოკი გახლდათ, - მიუხედავად სეტყვასავით წამოსული ძლიერი დარტყმებისა, სერიოზულად არ დაშავებულა. კოუჩმა კარლოს ხელი მოჰკიდა და საკონდიტროს უკანა ოთახამდე მიიყვანა, სადაც შესივებულ სახეზე ყინული დაადო. კარლოს შიშმა ნელ-ნელა გადაუარა, მაგრამ გადატანილისგან ცუდად გახდა და გული აერია. კოუჩმა შუბლი დაუჭირა ნიჟარაზე, მთვრალებს რომ უჭერენ ხოლმე ისე, და მერე მეორე სართულზე ასვლასა და საძინებელში საწოლზე წამოწოლაში დაეხმარა. კარლომ ვერ შეამჩნია, სალი რაგსი სადღაც რომ გაუჩინარდა.

რაგსი მესამე ავენიუზე ფეხით დაეშვა და ტელეფონ-ავტომატიდან როკო ლამპონეს დაურეკა, მომხდარის შესახებ აცნობა. როკომ მშვიდად მოისმინა ყველაფერი და იმავე წამს თავის კაპორეჟიმეს, კლემენცას გადაურეკა. კლემენცამ ამოიოხრა და ჩაილაპარაკა: - ო, ღმერთო, გამაგიჟებს ეს წყეული სონი თავის ტემპერამენტიანად...

თუმცა სანამ ამას იტყოდა, კლემენცამ ტელეფონის ღილაკს ერთობ წინდახედულად ხელი დააჭირა, ასე რომ, ლამპონეს მისი ეს ბოლო სიტყვები არ გაუგია.

კლემენცამ ლონგ-ბიჩში დარეკა და ტომ ჰეიგენს დაელაპარაკა. ჰეიგენმა ყველაფერი მოისმინა, წამით ჩაფიქრდა, მერე კი უთხრა: - შენი ხალხი ლონგ-ბიჩის ტრასაზე გაგზავნე, სონი რომ მოძებნონ, საცობმა ანდა საგზაო შემთხვევამ შეიძლება შეაჩეროს. როცა გაცოფებულია, თვითონაც არ იცის, რას აკეთებს. არ არის გამორიცხული, ჩვენმა მეგობრებმა უკვე გაიგეს, რომ ქალაქშია. დანამდვილებით წინასწარ ვერავინ იტყვის.

- სანამ ჩემი ხალხი იქ მისვლას მოასწრებს, სონი უკვე შინ იქნება, - ჩაიბურდღუნა კლემენცამ, - ტატალიას ხალხზეც იგივე შემიძლია ვთქვა.

- კი, ვიცი, - მშვიდად მიუგო ჰეიგენმა, - მაგრამ რაიმე გაუთვალისწინებელი თუ მოხდა, საცობი ან ავარია, სონი, შესაძლოა, შეყოვნდეს. ასე რომ, რაც შეგიძლია, ყველაფერი უნდა გააკეთო, პიტ.

კლემენცამ კბილები გააკრაჭუნა და როკო ლამპონეს დაურეკა. უბრძანა, მანქანებიანი ხალხი სასწრაფოდ ლონგ-ბიჩის ტრასის გაყოლებაზე გაეგზავნა, თვითონ კი თავის საყვარელ კადილაკში ჩაჯდა სამ მცველთან ერთად, რომლებიც მის სახლში დღედაღამ გაუსვლელად ისხდნენ, და ატლანტიკ-ბიჩ-ბრიჯით ნიუ-იორკისკენ გასწია.

ტოტალიზატორზე ერთ-ერთმა მოთამაშემ, რომელიც საკონდიტროს წინ იდგა, და რომელიც ტატალიას ოჯახის ინფორმატორი გახლდათ, თავის მეკავშირეს ტელეფონ-ავტომატიდან ასევე დაურეკა. თუმცაღა ტატალიას ოჯახი ომის დაწყებას თვითონ არ აპირებდა, შეტყობინებამ ყველა შუალედური შრე თანამიმდევრულად გაიარა, სანამ კაპორეჟიმემდე არ მიაღწია, რომელმაც მომხდარის შესახებ ოჯახის ბოსს პირადად მოახსენა. იმ მომენტისთვის სონი უკვე ლონგ-ბიჩში, ყოველგვარი გართულების გარეშე, მამის სახლში იყო მისული, სადაც დონის რისხვის პირისპირ უნდა დამდგარიყო.

თავი მეჩვიდმეტე

1947 წლის ომი კორლეონეს ოჯახსა და მის წინააღმდეგ გაერთიანებულ ნიუ-იორკის ხუთ ოჯახს შორის ორივე მხარეს ერთობ ძვირად დაუჯდა. საქმეს ისიც ართულებდა, რომ პოლიცია კაპიტან მაკ-კლასკის მკვლელის პოვნას ყველანაირი გზით ცდილობდა. პოლიცია უიშვიათეს შემთხვევებში იმ პოლიტიკოსების ზეწოლას უგულებელყოფდა ხოლმე, ვინც მაფიის ინტერესებს იცავდა, და ეს სწორედ ერთ-ერთი ასეთი შემთხვევა გახლდათ.

პოლიტიკური მფარველობის დაკარგვას კორლეონეს ოჯახი ისე არ დაუზარალებია, როგორც დანარჩენი ოჯახები. კორლეონეს ჯგუფი ძირითად შემოსავალს აზარტული თამაშებიდან იღებდა და, ამ მხრივ, ადგილობრივი პოლიციის ოპერაციებმა ძალზე დააზარალა. კურიერები პოლიციის ხაფანგებში ებმებოდნენ და სანამ მათ ოფიციალურად საქმეს გაუხსნიდნენ, ერთი-ორჯერ მიარტყამ-მოარტყამდნენ კიდეც. პოლიციამ რამდენიმე არალეგალური ბანკის ადგილსამყოფელიც აღმოაჩინა, რომლებიც გაჩხრიკეს და დიდი თანხების კონფისკაცია მოახდინეს. ბანკირებმა, რომლებიც თავისთავად საკმაოდ დიდ ძალას ფლობდნენ, დახმარებისთვის თავ-თავიანთ კაპორეჟიმეებს მიმართეს, მათ კი ეს თხოვნა ოჯახის ხელმძღვანელობას გადასცეს, მაგრამ არაფრის გაკეთება არ შეიძლებოდა. ბანკირებს უბრძანეს, საქმიანობა შეეჩერებინათ. ჰარლემში, რომელიც, ამ მხრივ, ნიუ-იორკის ყველაზე შემოსავლიან რაიონს წარმოადგენდა, ბანკები ისე დააქუცმაცეს, რომ პოლიციას მათი გამოვლენა მეტისმეტად გაუჭირდა, - ბანკირების ფუნქციები იქ მცხოვრებმა ზანგებმა, ე. წ. „მოხალისეებმა“ იკისრეს.

მაკ-კლასკის დაღუპვის შემდეგ რამდენიმე გაზეთმა სტატიები გამოაქვეყნა, სადაც მოთხრობილი იყო, რომ მას სოლოცოსთან დანაშაულებრივი კავშირი ჰქონდა. გაზეთები ამტკიცებდნენ, მაკ-კლასკიმ სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე, დიდი თანხები მიიღო ხელზე ნაღდ ფულადო. პოლიცია ამას არც ადასტურებდა და არც უარყოფდა, თუმც თავისი საქმე ამ პუბლიკაციებმა მაინც გააკეთა. პოლიციის დეპარტამენტში ინფორმატორებისა და იმ პოლიციელებისაგან, ვინც ჯამაგირს კორლეონეს ოჯახისგანაც იღებდა, ინფორმაცია მიიღეს - მაკ-კლასკი, მართლაც, ნაყიდი გახლდათ. საქმე ის კი არ იყო, რომ მაკ-კლასკი ქრთამს იღებდა, - ამაში პოლიციელები ცუდს არაფერს ხედავდნენ, - არამედ ის, რომ მან ყველაზე ბინძური ფული აიღო, მკვლელობისა და ნარკოტიკებით ვაჭრობის საფასური, რაც პოლიციელთა მორალით მიუტევებელი რამ გახლდათ.

ჰეიგენმა თავის დროზე გააცნობიერა, რომ პოლიციელს კანონსა და სამართალზე ერთობ მიამიტური წარმოდგენა აქვს, უფრო მეტად სჯერა მისი, ვიდრე საზოგადოებას, რომლის ინტერესებსა და უსაფრთხოებასაც თვითონ იცავს. კანონი და სამართალი ხომ ის ჯადოსნური წყარო გახლდათ, საიდანაც იგი თავის პიროვნულ ძალაუფლებას იღებდა, ძალაუფლებას, რომელსაც უაღრესად აფასებდა, - ისევე, როგორც ნებისმიერი ადამიანი საკუთარ ძალაუფლებას. და, იმავდროულად, პოლიციელი მუდმივად უკმაყოფილო იყო იმ საზოგადოებისა, რომლის სამსახურშიც იდგა. ეს ადამიანები ერთდროულად მის სამეურვეოსა და მსხვერპლს წარმოადგენენ. როგორც სამეურვეო, მუდმივად უკმაყოფილოა და პრეტენზიული; როგორც მსხვერპლი - საშიში და ქვეშქვეშა, მზაკვრობით აღსავსე. როგორც კი ვინმე პოლიციის კლანჭებში აღმოჩნდებოდა, საზოგადოება, რომლის ინტერესებსაც იგი იცავდა,

მთელი თავისი რესურსების მობილიზაციას ახდენდა, რათა ის ვიღაც დაეხსნა. ეს პოლიტიკოსების მიზეზით ხდებოდა. მოსამართლეებს ყველაზე უფრო თავზე ხელაღებული განგსტერებისთვის მსუბუქი განაჩენები გამოჰქონდათ. თუკი გამოჩენილი ადვოკატები ვერ მოახერხებდნენ მათი სრული უდანაშაულობის დამტკიცებას, შტატების გუბერნატორები და თვით პრეზიდენტი იწყალებდა მათ. დროთა განმავლობაში პოლიციელი ჭკუას სწავლობდა. ვითომ რატომ არ უნდა აიღოს ქრთამი, რომელსაც განგსტერები სთავაზობენ? ფული ძალიანაც სჭირდება. მისმა შვილებმა კოლეჯში ვითომ რატომ არ უნდა ისწავლონ? ანდა მისმა ცოლმა ძვირფას მაღაზიებში ვითომ რატომ არ უნდა იაროს? ანდა შვებულება შუა ზამთარში ფლორიდაში ვითომ რატომ არ უნდა გაატაროს? მზის აბაზანები მასაც ხომ მოუხდება?

ჩვეულებრივ, პოლიციელი ზღვარს არ გადადიოდა და ბინძურ ფულს არ იღებდა. პოლიციელი ქრთამს არალეგალური ბუკმეკერისგან, სამორინესა თუ ტოტალიზატორის მფლობელისგან სიამოვნებით აიღებდა. ჯიბეში ჩაიდებდა იმის ფულს, ვისაც არ უნდოდა ჯარიმის გადახდა სიჩქარის გადაჭარბების ან უადგილო ადგილას მანქანის გაჩერებისათვის. მეძავ ქალებს ნებას დართავდა, თავიანთი საქმე ეკეთებინათ. ბოლოს და ბოლოს, ეს ადამიანის ბუნებრივი სისუსტეები გახლდათ, მაგრამ უარს იტყოდა, აეღო ქრთამი იმაში, რომ თვალი დაეხუჭა ნარკოტიკებით ვაჭრობაზე, ყაჩაღობაზე, გაუპატიურებაზე, მკვლელობაზე და ასე შემდეგ. მისი აზრით, ეს ყველაფერი უშუალოდ მის ავტორიტეტს უთხრიდა ძირს და ამის შეწყნარება დაუშვებელი იყო.

პოლიციელის მკვლელობა მეფის მკვლელობას შეიძლება შეადაროს კაცმა, მაგრამ, როდესაც ცნობილი გახდა, რომ მაკ-კლასკი ნარკოტიკებით მსხვილ მოვაჭრესთან ერთად დაცხრილეს და რომ იგი მკვლელობებშიც იყო გარეული, პოლიციას შურისძიების სურვილი ნელ-ნელა შეუსუსტდა. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, პოლიციელებსაც ხომ უნდა გადაეხადათ თავიანთი ვალები, სახლებისა თუ მანქანების შესაძენად აღებული კრედიტები დაებრუნებინათ, მათ შვილებს კი კოლეჯებში ესწავლათ. მხოლოდ ხელფასზე ცხოვრება ძალზე ძნელი იყო. ლიცენზიის არმქონე წვრილი მოვაჭრე საუზმის ფულადაც არ ღირდა. უადგილო ადგილას მანქანის გაჩერებისათვის გამოწერილ ყოველ ჯარიმაზე პოლიციელი საცოდავ კაპიკებს იღებდა. მათგან ზოგიერთმა, ყველაზე თავზე ხელაღებულმა, წინასწარი დაკავების საკნებში ეჭვმიტანილებისგან (ჰომოსექსუალებისგან, სექსუალური მოძალადეებისგან) ფულის გამოძალვაც კი დაიწყო, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, პოლიციელები დაშოშმინდნენ. ფასები კიდევ ერთხელ ასწიეს და ნიუ-იორკის ოჯახებს მოქმედების საშუალება მისცეს. ისევ შედგა სიები, სადაც აღნიშნული იყო ადგილობრივი პოლიციის განყოფილებაში ვინ რამდენს მიიღებდა ხელზე. საზოგადოებრივი წესრიგი, ასე თუ ისე, აღდგენილ იქნა.

*

საავადმყოფოში დონის პალატის დასაცავად კერძო დეტექტივების დაქირავება ჰეიგენის იდეა გახლდათ. გარდა ამისა, რაღა თქმა უნდა, იქ ტესიოს ყველაზე გამოცდილი ჯარისკაცებიც გაგზავნეს, მაგრამ სონი ამას საკმარისად არ მიიჩნევდა. თებერვლის შუა რიცხვებში, როდესაც, ექიმების აზრით, დონის უსაფრთხოდ ტრანსპორტირება შესაძლებელი გახდა, სონიმ იგი დაუყოვნებლივ ლონგ-ბიჩის

ხეივანში გადაიყვანა. სახლი სასწრაფოდ გაარემონტეს, დონის საძინებელი ისე გადააკეთეს, რომ ის ახლა საავადმყოფოს პალატად იქცა, სადაც ყველა სამედიცინო დანადგარი თუ მოწყობილობა იყო დამონტაჟებული, რაც კი ავადმყოფს გადაუდებელ შემთხვევაში შეიძლებოდა დასჭირვებოდა. დაიქირავეს საგანგებოდ გაწვრთნილი და მომზადებული მედდები და, აგრეთვე, ექიმი კენედი, რომელიც წარმოუდგენლად დიდი გასამრჯელოს საფასურად დათანხმდა, დონის პირადი ექიმი გამხდარიყო მის საშინაო საავადმყოფოში.

თვით ხეივანი ნამდვილ ციხესიმაგრედ გადაიქცა. მდგმურები ოჯახის ხარჯზე დროებით იტალიაში, თავიანთ სოფლებში გაუშვეს დასასვენებლად, მათ ადგილას კი ნარჩევი ჯარისკაცები დაასახლეს.

ფრედი კორლეონე ლას-ვეგასში გაგზავნეს, სადაც გადატანილი შოკისგან საბოლოოდ უნდა განკურნებულიყო და თანაც საოჯახო ოპერაციებისთვის ნიადაგი მოემზადებინა, სამორინეებისა და ძვირად ღირებული სასტუმროების მშენებლობისათვის თვალყური ედევნებინა.

ლას-ვეგასი დასავლეთ სანაპიროს იმპერიის ნაწილს წარმოადგენდა, რომელიც ნეიტრალურად რჩებოდა და ამ იმპერიის დონი ფრედის უსაფრთხოების გარანტიას იძლეოდა. ნიუ-იორკის ხუთ ოჯახს არავითარი სურვილი არ ჰქონდა, ახალი მტერი გაეჩინა ლას-ვეგასში ფრედი კორლეონეზე თავდასხმის გამო. ნიუ-იორკში პრობლემები ისედაც თავზე საყრელად ჰქონდათ.

ექიმმა კენედიმ დონის თანდასწრებით საქმეზე ნებისმიერი საუბარი აკრძალა, მაგრამ მისი ეს განკარგულება სრულიად უგულებელყვეს. დონმა დაჟინებით მოითხოვა, რომ ომთან დაკავშირებული თათბირები მის ოთახში გამართულიყო. სონი, ტომ ჰეიგენი, პიტ კლემენცა და ტესიო დონის შინ დაბრუნების პირველსავე საღამოს მასთან შეიკრიბნენ.

დონი ჯერ იმდენად სუსტად გრძნობდა თავს, რომ ლაპარაკი თითქმის არ შეეძლო, მაგრამ უნდოდა, ყველაფერი მოესმინა და, თუ საჭირო იქნებოდა, ვეტოს უფლება გამოეყენებინა. როდესაც გაიგო, რომ ფრედი ლას-ვეგასში გაგზავნეს, აზარტული თამაშების ბიზნესი რომ შეესწავლა, მოწონების ნიშნად თავი დახარა. როდესაც გაიგო, რომ ბრუნო ტატალია კორლეონეს ოჯახის ,,შემსრულებლებმა“ საიქიოს გაისტუმრეს, თავი უკმაყოფილოდ გაიქნია და ამოიოხრა, მაგრამ ყველაზე ცუდად მასზე იმის გაგებამ იმოქმედა, რომ მაიკლმა მოკლა მაკ-კლასკი და სოლოცო და სიცილიაში იმალება. როდესაც ეს შეიტყო, ანიშნა, ოთახიდან გასულიყვნენ და მარტო დაეტოვებინათ. თათბირი დონის გარეშე კუთხის ოთახში გაგრძელდა, სადაც იურიდიული ლიტერატურის ბიბლიოთეკა იყო.

სონი საწერ მაგიდასთან ტყავის ფართო სავარძელში ჩაეშვა და თქვა: - ჩემი აზრით, უახლოეს ერთ-ორ კვირას მამაჩემი უნდა დავასვენოთ, სანამ ექიმი საქმის კეთების ნებას არ დართავს.

სონი წამით დადუმდა და შემდეგ განაგრძო: - მინდა, ყველაფერი ისე გაგრძელდეს, როგორც ახლა მიდის. გაგრძელდეს მანამ, სანამ დონი არ მომჯობინდება. პოლიციისგან ნიშანი მივიღეთ, რომ საქმიანობა შეგვიძლია განვაახლოთ. პირველ რიგში, ჰარლემის ბანკებს უნდა მივხედოთ. ზანგებმა მაგრად გაილაღეს, ამიტომ

საქმე სასწრაფოდ ისევ ჩვენს ხელში უნდა ავიღოთ. ისე იქცევიან, როგორც ჩვეულებრივ - მათი უმეტესობა მოგებებს არ იხდის. კადილაკებით დაგრიალებენ და ხალხს, ვინც ფული მოიგო, ეუბნებიან, ცოტა მოიცადეთო, ანდა, რაც კიდევ უარესია, მოგების ნახევარს უხდიან. არ მინდა, ლიმუზინებით დაგრიალებდნენ და საუკეთესოდ იცვამდნენ, არ მინდა, მოთამაშეების ხარჯზე მდიდრდებოდნენ. ეგ „მოხალისეები“ სახელს გვიტეხენ, თავიდან უნდა მოვიშოროთ. ტომ, ჩვენი გეგმა სასწრაფოდ უნდა ავამოქმედოთ. დანარჩენი თავისით მოგვარდება, როგორც კი ამ საქმეს მივხედავთ.

- ჰარლემში არის რამდენიმე მართლა მაგარი ბიჭი, - თქვა ჰეიგენმა, - დიდი ფულის გემო გაიგეს და ასე მარტივად აღარაფერს დათმობენ. უბრალო კურიერებად ანდა ბანკირის თანაშემწეებად ყოფნა აღარ მოუნდებათ.

სონიმ მხრები აიჩეჩა.

- მათი სახელები კლემენცას გადაეცი. ეს მისი საქმეა. მოუაროს.

- პრობლემა არ იქნება, - მიუგო კლემენცამ.

ყველაზე მნიშვნელოვან საკითხზე საუბარი ტესიომ წამოიწყო: - როგორც კი მოქმედებას დავიწყებთ, ხუთივე ოჯახი ჩვენ წინააღმდეგ რეიდებს განაახლებს. ჩვენს ბანკირებს ჰარლემში და ბუკმეკერებს ისტ-საიდში გადაცხრილავენ. ეს ომი ძალზე დიდი ფული დაჯდება.

- ვინ იცის, იქნებ, არც დაიწყონ, - თქვა სონიმ, - მშვენივრად ესმით, რომ იმავე წამს ჩვენგან საპასუხო დარტყმას მიიღებენ. მათთან ჩემი ხალხი სამშვიდობო წინადადებით გავგზავნე. შესაძლოა, მოვახერხოთ ყველაფრის მოგვარება, თუკი ტატალიას შვილის სანაცვლო კომპენსაციას გადავუხდით.

- მოლაპარაკებას აჭიანურებენ, - მიუგო ჰეიგენმა, - ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში დიდი ფული დაკარგეს და ამაში ჩვენ გვადანაშაულებენ. სხვათა შორის, სამართლიანადაც. მგონი, უნდათ, ნარკოტიკების მათ ბიზნესს შევუერთდეთ და ჩვენი პოლიტიკური კავშირების გამოყენების საშუალება მივცეთ. ერთი სიტყვით, ესაა სოლოცოს გეგმა სოლოცოს გარეშე, მაგრამ ამას პირდაპირ არ შემოგვთავაზებენ, სანამ საბრძოლო მოქმედებაში ზარალს არ მოგვაყენებენ. ჰგონიათ, ამის შემდეგ უფრო ადვილად დაგვითანხმებენ ნარკოტიკებით ვაჭრობაზე.

სონიმ უხეშად მოუჭრა: - არავითარი გარიგება ნარკოტიკებზე. დონმა თქვა „არა“ და ეს ძალაში რჩება მანამ, სანამ თვითონ არ შეიცვლის აზრს.

- ამ შემთხვევაში, ტაქტიკური პრობლემის წინაშე აღმოვჩნდებით, - უმალ გამოეპასუხა ჰეიგენი, - მთელი ჩვენი ფული ხელისგულზეა - სამორინეებსა და ტოტალიზატორებში. ადვილად შეუძლიათ დაგვარტყან. ტატალიას ოჯახი პროსტიტუციასა და პროფკავშირებს აკონტროლებს. აბა, ამას როგორ გინდა დაარტყა? დანარჩენი ოჯახებიც სათამაშო ბიზნესს თითქმის არ ფლობენ. სამშენებლო კომპანიები აქვთ, მევახშეობას ეწევიან, პროფკავშირებს აკონტროლებენ და სამთავრობო კონტრაქტებს აჩალიჩებენ. გულუბრყვილო ხალხის დაშანტაჟებითა და სხვა მსგავსი მაქინაციებით შოულობენ ფულს და ეს ფული ქუჩაში არ ყრია. ტატალიას ღამის კლუბი კიდევ მეტისმეტად ცნობილია და თუკი მას დავარტყამთ, ეს

ძალზე დიდ ხმაურს გამოიწვევს, ძვირად დაგვიჯდება. სანამ დონი თამაშგარე მდგომარეობაშია, პოლიტიკური კავშირების მხრივ ჩვენ და ისინი ერთ დონეზე ვართ. ასე რომ, ჩვენ რეალურ პრობლემას ვაწყდებით.

- ეს უკვე ჩემი საზრუნავია, - თქვა სონიმ, - გამოსავალს ვიპოვი. გააგრძელე მოლაპარაკება და სხვა საქმეების ორგანიზება. ჩვენი ბიზნესი განვაახლოთ და ვნახოთ, რა მოხდება. სიტუაციის მიხედვით ვიმოქმედოთ. ბოლო-ბოლო, კლემენცასა და ტესიოს ბლომად ჯარისკაცები ჰყავთ, ერთად აღებული ხუთივე ოჯახის თითო მსროლელს ჩვენი საკუთარი შეგვიძლია დავუპირისპიროთ, თუკი ასე უნდათ. ხალხი გვეყოფა, ,,ლეიბებზე გადავალთ" და ვიომებთ.

,,მოხალისე" შავკანიანი ბანკირების თამაშიდან გამოთიშვა იოლი საქმე აღმოჩნდა. მათი სიები პოლიციას გადასცეს. პოლიციაც განსაკუთრებული ენთუზიაზმით შეუდგა მათ დაპატიმრებას. იმ დროს შავკანიანი პოლიციელს ანდა სახელმწიფო მოხელეს ვერ მოისყიდიდა - რასობრივი ბარიერი მეტისმეტად ძლიერი გახლდათ.

ხუთმა ოჯახმა მოულოდნელი დარტყმა განახორციელა. მოკლეს საფეიქრო პროფკავშირის ორი ხელმძღვანელი, რომლებიც კორლეონეს ოჯახის წევრები იყვნენ. შემდეგ პორტის მუშაკთა პროფკავშირი ხუთი ოჯახის მხარეზე გადავიდა. კორლეონეს ბუკმეკერებს მთელ ქალაქში მუქარა შეუთვალეს, რათა მოწინააღმდეგის მხარეზე გადასვლა აეძულებინათ. ჰარლემის ყველაზე მსხვილი ბანკირი, კორლეონეს ოჯახის ძველი მეგობარი და მოკავშირე, მხეცურად მოკლეს. არჩევანი აღარ დარჩა. სონიმ კაპორეჟიმეებს უბრძანა, ,,ლეიბებზე გადასულიყვნენ".

ქალაქში ორი ბინა დაიქირავეს და ლეიბებით, რომლებზეც ჯარისკაცები დაიძინებდნენ, პროდუქტებით, მაცივრით, იარაღითა და ტყვია-წამლით აღჭურვეს. ერთ ბინაში კლემენცას ხალხი დაბანაკდა, მეორეში - ტესიოსი. ოჯახის ყველა ბუკმეკერს დაცვა მიუჩინეს. ჰარლემში ბანკირები მტრის მხარეზე გადავიდნენ, მაგრამ ამის წინააღმდეგ ბრძოლა ჯერჯერობით შეუძლებელი გახლდათ. ეს ყველაფერი კორლეონეს ოჯახს დიდი ფული დაუჯდა, შემოსავალი კი იმ პერიოდში უმნიშვნელო ჰქონდათ. მომდევნო რამდენიმე თვის განმავლობაში ბევრი რაღაც გაირკვა. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის იყო, რომ კორლეონეს ოჯახს თავისი შესაძლებლობები თურმე გადამეტებულად ჰქონდა შეფასებული.

ამას თავისი მიზეზი და ახსნა ჰქონდა. დონი ჯერ კიდევ ძალზე სუსტად გრძნობდა თავს, საქმეებში უშუალოდ ვერ მონაწილეობდა, ამან კი მისი ოჯახის პოლიტიკური გავლენა ნულზე დაიყვანა. თანაც ათმა მშვიდობიანმა წელმა ორი კაპორეჟიმეს, კლემენცასა და ტესიოს, საბრძოლო თვისებები გვარიანად შეარყია. კლემენცა ნიჭიერ დამსჯელად და ადმინისტრატორად კვლავაც რჩებოდა, მაგრამ ენერგია და ახალგაზრდული შემართება აღარ შერჩა, რაც საშუალებას მისცემდა, ჯარისკაცები შეტევაზე წაეყვანა. ტესიო, ასაკის მომატებასთან ერთად, უფრო რბილი გახდა, არადა სისასტიკე ისედაც აკლდა. აღმოჩნდა, რომ ტომ ჰეიგენი, მიუხედავად თავისი ღირსებებისა, ომის პერიოდის კონსილიორის თანამდებობას არ შეეფერებოდა. მისი მთავარი ნაკლი ის იყო, რომ სიცილიელი არ გახლდათ.

სონი ომის პერიოდში თავისი ოჯახის ამ სისუსტეებს მშვენივრად აცნობიერებდა, მაგრამ მათ გამოსასწორებლად რაიმე ზომების მიღება არ ძალუძდა. იგი დონი არ გახლდათ, არადა მხოლოდ დონს შეეძლო კაპორეჟიმეს ანდა კონსილიორის შეცვლა.

და რომც გამოეცვალა, ამ ფაქტს თავისთავად სიტუაციის დამძიმება და ღალატიც კი შეეძლო გამოეწვია. თავიდან სონი ფიქრობდა, რომ ხანგრძლივ პოზიციურ ომს წამოიწყებდა, დონის გამოჯანმრთელებას დაელოდებოდა, მაგრამ მას მერე, რაც ბანკირები მტრის მხარეზე გადავიდნენ, ბუკმეკერები კი დაატერორეს, კორლეონეს ოჯახის მდგომარეობა მეტისმეტად საშიში გახდა. სონიმ საპასუხო დარტყმის მიყენება გადაწყვიტა.

სონის მტრისთვის პირდაპირ გულში უნდა დაერტყა. ხუთივე ოჯახის ხელმძღვანელების ერთდროულ ლიკვიდაციას გეგმავდა. ამ მიზნით მათზე მუდმივი თვალთვალის მეტად შრომატევადი სისტემა აამუშავა, მაგრამ ერთი კვირის შემდეგ ხუთივე ოჯახის ბოსები იატაკქვეშეთში გადავიდნენ - საზოგადოებაში აღარ ჩანდნენ.

ხუთ ოჯახსა და კორლეონეს იმპერიას შორის ერთობ მყიფე წონასწორობა დამყარდა.

თავი მეთვრამეტე

ამერიგო ბონასერა თავისი დამკრძალავი ბიუროდან რამდენიმე კვარტალის დაშორებით, მალბერი-სტრიტზე ცხოვრობდა და სავახშმოდ ყოველთვის შინ მიდიოდა ხოლმე. შემდეგ უკან ბრუნდებოდა და ჭირისუფლებს უერთდებოდა, ნუგეშს სცემდა.

ვერ იტანდა ხუმრობასა და ანგლობას თავის პროფესიაზე, შიშის მომგვრელ იმ ტექნიკურ დეტალებზე, რომლებიც ესოდენ ნაკლებმნიშვნელოვანი იყო სინამდვილეში. რაღა თქმა უნდა, ვერც ერთი მისი მეგობარი, ოჯახის წევრი ანდა მეზობელი მისი თანდასწრებით ასეთ ხუმრობას ვერ გაბედავდა. ადამიანისთვის ყველა პროფესია საპატიოა, რაც კი საუკუნეების განმავლობაში მას ლუკმაპურს აჭმევს.

ახლა იგი ცოლთან ერთად მძიმე ავეჯით გაწყობილ სასადილო ოთახში იჯდა, რომელიც ღვთისმშობელ მარიამის მომცრო ქანდაკებებითა და წითლად მოციმციმე კანდელებით იყო დამშვენებული. ბონასერამ სიგარეტი „ქემელი“ გააბოლა და ვისკი მოწრუპა, ცოტა რომ დამშვიდებულიყო. მისმა ცოლმა ოთახში ცხელ-ცხელი წვნიანით სავსე თეფშები შემოიტანა. სახლში მარტონი იყვნენ. ქალიშვილი ბოსტონში დეიდამისთან გაგზავნა, სადაც უფრო სწრაფად დაივიწყებდა იმ საზარელ შემთხვევას, ცოტა ხნის წინ თავს რომ გადახდა. დაივიწყებდა იმ ნაძირალებს, რომლებიც დონ კორლეონემ დამსახურებულად დასაჯა.

ცოლმა ჰკითხა: - დღეს საღამოს სამუშაოდ მიბრუნდები?

ბონასერამ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია. ცოლი მის საქმიანობას პატივისცემით უყურებდა, თუმც კი მასში ვერ ერკვეოდა. არ ესმოდა, რომ მისი პროფესიის ტექნიკური მხარე ნაკლებმნიშვნელოვანი იყო. მას, ისევე როგორც ადამიანთა უმეტესობას, ეგონა, ფულს იმიტომ უხდიან, მიცვალებული კუბოში ცოცხალივით რომ გამოიყურებოდეს. და, მართლაც, ამ მხრივ მის ოსტატობაზე ლეგენდები დადიოდა, მაგრამ გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი, უფრო საჭირო, პანაშვიდზე მისი დასწრება გახლდათ. როდესაც ახლობლები და ნათესავები მის დამკრძალავ

ბიუროში გარდაცვლილთან დასამშვიდობებლად მოდიოდნენ, უნდოდათ, ამერიგო ბონასერა მათთან ყოფილიყო.

ბონასერა სამგლოვიარო რიტუალს მუდმივად დამწუხრებული, მკაცრი, მაგრამ, იმავდროულად, მანუგეშებელი გამომეტყველებითა და მტკიცე, დაბალი ხმით უძღვებოდა. მას შეეძლო, მეტისმეტად ხმამაღლა გამოხატული მწუხარება დაეცხრო, ახმაურებული ბავშვები დაეწყნარებინა. თუკი რომელიმე ოჯახი თავის ახლობელს იმ ქვეყნად ამერიგო ბონასერას დახმარებით ერთხელ მაინც გააცილებდა, შემდგომ, მსგავს შემთხვევებში, აუცილებლად მას აკითხავდა. და ამერიგოც თავის კლიენტებს დაკრძალვის წინაღამეს მარტოდ და უნუგეშოდ არასოდეს ტოვებდა.

უმეტეს შემთხვევებში ვახშმის მერე თვალს მოატყუებდა ხოლმე. შემდეგ შხაპს მიიღებდა, პირს საგულდაგულოდ გაიპარსავდა, თანაც ყოველთვის ბლომად ტალკს ხმარობდა, რათა ხშირი წვერის ნარჩენი სიშავე თვალში საცემი არ ყოფილიყო. პირში აუცილებლად წყალს გამოივლებდა. შემდეგ ყველაფერს ახალგარეცხილსა და საგულდაგულოდ დასუფთავებულს იცვამდა, - ქვედა საცვალს, თეთრ გაქათქათებულ პერანგს, შავ ჰალსტუხს, ახალგაუთოებულ შავ კოსტიუმს, შავ ფეხსაცმელსა და შავ წინდებს, მაგრამ მას უფრო მეტად დამამშვიდებელი იერი ჰქონდა, ვიდრე სამგლოვიარო. თმასაც კი იღებავდა შავად, რაც მისი თაობის იტალიელისთვის წარმოუდგენელი რამ გახლდათ, მაგრამ ამას თავმოსაწონად კი არ აკეთებდა, არამედ იმის გამო, რომ თმა ალაგ-ალაგ გაუჭაღარავდა, მონაცრისფრო გაუხდა, რაც მისი პროფესიის კაცს სულ არ უხდებოდა.

როდესაც წვნიანის ჭამა დაასრულა, ცოლმა წინ დაუდო თეფში სტეიკის მომცრო ნაჭრითა და ისპანახის რამდენიმე ფოთლით, რომელსაც ზეთი ჰქონდა გადასხმული. დიდი მჭამელი არ გახლდათ. როდესაც სადილს მორჩა, ფინჯანი ყავა დალია და ისევ „ქემელი“ გააბოლა. ქალიშვილი გაახსენდა, - აღარასოდეს იქნება ისეთი, როგორიც ადრე იყო. სილამაზე კი დაუბრუნდა, მაგრამ თვალებში დამფრთხალი პატარა ცხოველის გამომეტყველება გაუჩნდა და ამერიგოს ამის ატანა არ შეეძლო, ქალიშვილს თვალებში ვეღარ უყურებდა. ამიტომაც გაგზავნა ბოსტონში დროებით. დრო იარებს მოუშუშებს. ტკივილი და შიში, როგორც მშვენივრად მოეხსენებოდა, სიკვდილივით სასრული და საბოლოო არ გახლავთ. პროფესიამ ის ოპტიმისტი გახადა.

ყავა დამთავრებული არ ჰქონდა, რომ სასადილო ოთახში ტელეფონმა დარეკა. როდესაც შინ იყო, მისი ცოლი ტელეფონს არ უპასუხებდა. ამიტომ ადგა, ტელეფონისკენ გაემართა ყავის ფინჯნით ხელში, თანაც გზაში პერანგი შეიხსნა და ჰალსტუხი მოიძრო, წასათვლემად ემზადებოდა. ყურმილი აიღო და თავაზიანად თქვა: - დიახ, გისმენთ.

ყურმილში მკაცრი, დაძაბული ხმა გაიგონა: - ტომ ჰეიგენი ვარ. დონ კორლეონეს დავალებით ვრეკავ.

ამერიგო ბონასერას მოეჩვენა, რომ მუცელში ყავა აუმჟავდა, გულისრევის შეგრძნება გაუჩნდა. ერთი წელი გავიდა მას მერე, რაც დონის მევალე გახდა, ქალიშვილის ღირსება რომ დაეცვა, და იმის ფიქრი და მოლოდინი, ვალის დაბრუნება რომ მოუწევდა, ნელ-ნელა გაუფერმკრთალდა.

როდესაც გაზეთში იმ ორი ნაძირალას დასისხლიანებული სიფათები ნახა, იმდენად მადლიერი იყო დონისა, ნებისმიერ რამეს გააკეთებდა მისთვის, მაგრამ მადლიერების გრძნობას დრო სილამაზეზე უფრო სწრაფად აჭკნობს. ამიტომ ახლა ბონასერამ ცუდად იგრძნო თავი იმ კაცივით, ვისაც უეცარი უბედურება შეემთხვა.

ათრთოლებული ხმით უპასუხა: - დიახ, გავიგე. გისმენთ.

ჰეიგენის ცივმა ტონმა გააკვირვა. კონსილიორი, მართალია, იტალიელი არ იყო, მაგრამ ყოველთვის თავაზიანობით გამოირჩეოდა. ახლა კი სწრაფად და თითქმის უხეშად ელაპარაკებოდა.

- დონს სამსახური უნდა გაუწიო, - უთხრა ჰეიგენმა, - ეჭვი არ ეპარება, რომ ვალს დაუბრუნებ. თანაც, ბედნიერებად მიიღებ, ამის შესაძლებლობა რომ გეძლევა. ერთ საათში, შესაძლოა, ცოტა მოგვიანებით, დონი შენს დამკრძალავ ბიუროში მოვა და დახმარებას გთხოვს. იქ იყავი, ადგილზე დახვდი. შენ გარდა სხვა ნურავინ იქნება. თანამშრომლები სახლებში გაუშვი. თუკი არა ხარ ამაზე თანახმა, ახლავე თქვი და დონ კორლეონეს გადავცემ. სხვა მეგობრებიც ჰყავს, ვინც ამ სამსახურს გაუწევენ.

ბონასერამ შიშისაგან კინაღამ იყვირა: - როგორ იფიქრეთ, რომ ნათლიას უარს ვეტყვი?! რასაკვირველია, ყველაფერს გავაკეთებ, რასაც მთხოვს. ჩემი ვალი არ დამვიწყებია. დაუყოვნებლად წავალ ბიუროში, ახლავე.

ჰეიგენი თითქოს ოდნავ მოლბა, მაგრამ მისი ხმა მაინც უცნაურად ჟღერდა.

- გმადლობ, - თქვა მან, - დონს შენში ეჭვი არასოდეს ეპარებოდა. ეს კითხვა საკუთრივ მე დაგისვი. ამ ღამეს დონს სამსახური გაუწიე და მერე ნებისმიერ გასაჭირში ყოველთვის შეგეძლება პირადად ჩემთან მოსვლა. როგორც ჩემს მეგობარს, ისე დაგეხმარები.

ამან ამერიგო ბონასერა კიდევ მეტად დააფრთხო.

- დონი თვითონ მოვა ჩემთან ამ ღამეს? - ჩურჩულით იკითხა.

- დიახ, - მიუგო ჰეიგენმა.

- ესე იგი, მადლობა ღმერთს, ჭრილობები სრულიად მოუშუშდა, - თქვა ბონასერამ კითხვითი ინტონაციით.

ჰეიგენი დიდხანს დუმდა, ბოლოს მშვიდად უპასუხა: - დიახ.

შემდეგ ბონასერამ ყურმილის დაკიდების ხმა გაიგონა - კავშირი გაწყდა. ამერიგოს ჭირის ოფლმა დაასხა. საძინებელში შევიდა, პერანგი გამოიცვალა, პირშიც გამოივლო, მაგრამ გაპარსვით აღარ გაუპარსავს და არც ახალი ჰალსტუხი გაუკეთებია. დღისით რაც ეკეთა, ისევ ის შეიბა. შემდეგ თავის ბიუროში დარეკა და ასისტენტს უთხრა, მიცვალებულის ჭირისუფლებთან წინა დარბაზში დარჩენილიყო. თვითონ ამ ღამეს ლაბორატორიაში იმუშავებდა. როდესაც თანაშემწემ კითხვების დასმა დაუწყო, სიტყვა უხეშად გააწყვეტინა.

კოსტიუმი ჩაიცვა და ცოლმა, რომელიც ჯერ კიდევ ჭამდა, გაოცებით შეხედა.

- ბევრი სამუშაო მაქვს, - უთხრა ამერიგომ. ცოლმა ერთხელაც შეავლო თვალი და მეტი აღარაფერი უკითხავს. ბონასერა ქუჩაში გავიდა და რამდენიმე კვარტალი დამკრძალავ ბიურომდე ფეხით გაიარა.

დამკრძალავი ბიუროს შენობა ცალკე იდგა, სხვა სახლებისგან მოშორებით, გარშემო მაღალი ბუჩქნარის მესერი ჰქონდა შემოვლებული. ქუჩიდან შენობისაკენ ვიწრო მისასვლელი იყო გაყვანილი, თუმც კი საკმარისად ფართო იმისთვის, რომ კატაფალკსა და სასწრაფო დახმარების მანქანას გაევლო. ბონასერა ჭიშკართან მივიდა, გააღო და ასევე დატოვა. შემდეგ შენობას შემოუარა, უკანა კარიდან შევიდა. ჭირისუფლებს მოჰკრა თვალი, რომლებიც დამკრძალავ ბიუროში ცენტრალური შესასვლელიდან შედიოდნენ.

მრავალი წლის წინ, როდესაც ბონასერამ დამკრძალავი ბიურო პენსიაზე გასული ერთი მესაფლავისგან შეიძინა, შენობას წინ ათიოდე საფეხური ჰქონდა, ასე რომ, იქ მოსახვედრად კიბეზე ასვლა იყო აუცილებელი. ეს კი პრობლემას ქმნიდა. მოხუც და ავადმყოფ ჭირისუფლებს კიბეზე ასვლა უჭირდათ. ბიუროს ძველმა პატრონმა ამ შემთხვევისთვის ერთგვარი ლიფტი, უფრო სწორად, რკინის მექანიკური ბაქანი გააკეთებინა. გვამიცა და კუბოც მისი საშუალებით აჰქონდათ და ჩამოჰქონდათ. და, ცხადია, ის ხალხიც აჰყავდათ, ვისაც კიბეზე ასვლა უჭირდა. ბაქანი სარდაფში იყო დამონტაჟებული და პირდაპირ დარბაზში ადიოდა, სადაც მიცვალებულს დაასვენებდნენ ხოლმე, იატაკის დონეზე ჩერდებოდა, მერე ისევ უკან ჩადიოდა და ა.შ.

ამერიგო ბონასერამ პრობლემის ასეთი გადაწყვეტა შეუფერებლად და არაეკონომიურად მიიჩნია. ამიტომ შენობის ფასადი გადააკეთებინა და კიბის ნაცვლად დამრეცი ასასვლელი მოაწყობინა. თუმცა ბაქანიც დატოვა. მას კვლავაც კუბოების ასატანად იყენებდნენ.

შენობის უკანა ნაწილში, რომელიც სამგლოვიარო დარბაზებისგან მასიური ხმაგაუმტარი კარით გახლდათ გამოყოფილი, ოფისი, ბალზამირების ოთახი, კუბოების საწყობი და საიმედოდ დაკეტილი კარადა იყო განლაგებული, სადაც ქიმიკატები და ამერიგოს პროფესიის საზარელი ინსტრუმენტები ინახებოდა. ბონასერა ოფისში შევიდა, მაგიდასთან დაჯდა და „ქემელი“ გააბოლა, - დამკრძალავ ბიუროში იშვიათად ეწეოდა. ეს სწორედ ერთ-ერთი ასეთი შემთხვევა გახლდათ. დონ კორლეონეს შესახვედრად ემზადებოდა.

სასოწარკვეთამ შეიპყრო. ეჭვი არ ეპარებოდა, დონი რა სამსახურის გაწევას სთხოვდა. ბოლო დროს, კორლეონეს ოჯახს ნიუ-იორკის დანარჩენ მაფიოზურ ოჯახებთან ომი აქვს, გაზეთები ამ ომის საშინელი პერიპეტიებითაა სავსე. ორივე მხრიდან უამრავი ხალხი დაიხოცა. ახლა, ეტყობა, კორლეონეს ოჯახმა ვიღაც ძალზე მნიშვნელოვანი მტრის მოკვლა მოახერხა და განა რა შეიძლება იყოს უკეთესი საშუალება გვამის თავიდან მოსაშორებლად, თუ არა მისი ოფიციალური დაკრძალვა, რომელსაც ჩაატარებს მესაფლავე, ვისაც ამის კანონიერი უფლება აქვს მინიჭებული. ბონასერას მომავალი სამუშაოს შესახებ არავითარი ილუზია არ ჰქონდა. მკვლელობის თანამონაწილე გახდება. მერე, თუკი საქმე გასკდება, მრავალი წლით ციხეში უკრავენ თავს. მისი ცოლ-შვილი საქვეყნოდ შერცხვება და მისი - ყველას მიერ პატივცემული ადამიანის - სახელი მაფიის ბინძური ომის ლაფში სამუდამოდ ამოისვრება.

საკუთარ თავს კიდევ ერთი „ქემელის“ მოწევის უფლება მისცა. მერე კიდევ უფრო საშინელმა აზრმა გაუელვა. როდესაც ცნობილი გახდება, რომ კორლეონეს ოჯახს ეხმარებოდა, მაფიის სხვა ოჯახები მტრად გადაეკიდებიან. აუცილებლად მოკლავენ. ახლა უკვე წყევლიდა იმ დღეს, როცა ნათლიას ეახლა და ქალიშვილის გამო შურისძიებას შეევედრა. წყევლიდა იმ დღეს, როცა მისი და დონ კორლეონეს ცოლები დამეგობრდნენ. წყევლიდა თავის ქალიშვილს, ამერიკასა და საკუთარ წარმატებას ამ ქვეყანაში, მაგრამ შემდეგ ნელ-ნელა ჩვეული ოპტიმიზმი დაუბრუნდა. ჯერ კიდევ შეიძლება ყველაფერი მოგვარდეს. დონ კორლეონე ჭკვიანი კაცია. რაღა თქმა უნდა, ყველაფერს ისე მოაწყობს, საიდუმლო რომ არ გამჟღავნდეს. ახლა მან თავი ხელში უნდა აიყვანოს, ნერვები მოთოკოს, რადგან ყველაზე ცუდი, რაც კი შეიძლება მოხდეს, რასაკვირველია, დონის განრისხება იქნება.

მანქანის ხმა შემოესმა. გავარჯიშებულმა სმენამ უკარნახა, რომ ავტომობილი გვერდითი მისასვლელით მოდიოდა. შენობის უკანა მხარეს გაჩერდა. ბონასერამ კარი გააღო. ოთახში მაღალი, მსხვილი კაცი - კლემენცა - შემოვიდა, რომელსაც უკან ორი, უხეში შესახედაობის ახალგაზრდა შემოჰყვა. იქაურობა ისე გაჩხრიკეს, ამერიგოსთვის სიტყვაც კი არ უთქვამთ. მერე კლემენცა გარეთ გავიდა. ახალგაზრდები მესაფლავესთან დარჩნენ.

ბონასერას სასწრაფო დახმარების მანქანის ხმა შემოესმა. ისიც გვერდითა მისასვლელით მოდიოდა. კლემენცა ოთახში ისევ გამოჩნდა, უკან ორი კაცი მოჰყვებოდა, რომლებსაც საკაცე მოჰქონდათ. ამერიგოს ყველაზე უარესი ეჭვი დასტურდებოდა. საკაცეზე ნაცრისფერ ქსოვილში გახვეული გვამი იდო. შიშველი, გაყვითლებული ტერფები მოუჩანდა.

კლემენცამ სანიტრები საკაციანად ბალზამირების ოთახში შეიყვანა. შემდეგ განათებულ ოფისში უკვე ბინდშემოწოლილი ბაღიდან კიდევ ერთმა კაცმა შემოაბიჯა. ეს დონ კორლეონე გახლდათ.

დონი ავადმყოფობის პერიოდში საგრძნობლად გამხდარიყო და ახლა განსაკუთრებული სიფრთხილით მოძრაობდა. ხელში შლაპა ეჭირა, მასიურ თავის ქალაზე თმა შეთხელებოდა. უფრო დაბერებული ჩანდა, ვიდრე ბოლოს, როცა ბონასერამ ქორწილზე ნახა, მაგრამ თავისებურ სიძლიერეს კვლავაც ასხივებდა. შლაპიანი ხელი გულზე მიიდო და თქვა: - მაშ ასე, ჩემო მეგობარო, მზად ხარ, სამსახური გამიწიო?

ბონასერამ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია. დონი ბალზამირების ოთახში შევიდა და ბონასერაც ფეხის ათრევით მიჰყვა. გვამი მარმარილოს ერთ-ერთ მაგიდაზე იყო დასვენებული. დონ კორლეონემ ოდნავ შესამჩნევი მოძრაობა გააკეთა შლაპით და ყველა იქ მყოფი, ბონასერას გარდა, ოთახიდან გავიდა.

ბონასერამ ჩურჩულით იკითხა: - რა უნდა გავაკეთო?

დონი მაგიდას თვალს არ აშორებდა.

- ყველაფერი გააკეთე, რაც კი შეგიძლია, მთელი შენი ოსტატობა გამოიჩინე, - ბოლოს თქვა დონმა, - არ მინდა, რომ დედამისმა ასეთი ნახოს.

დონ კორლეონე მაგიდას მიუახლოვდა და გვამს ნაცრისფერი ქსოვილი გადახადა. ამერიგო ბონასერამ, მიუხედავად მრავალწლიანი გამოცდილებისა და პროფესიონალიზმისა, ძალაუნებურად წამოიყვირა. მაგიდაზე სონი კორლეონე იწვა, სახე ნატყვიარებით ჰქონდა დასახიჩრებული. მარცხენა თვალი სისხლს აევსო, გაგლეჯილი გუგა მრავალქიმიან ვარსკვლავს მიაგავდა. ცხვირის ძგიდე და ნიკაპი დაჩეჩქვილი ჰქონდა.

დონი ბონასერას წამით დაეყრდნო, თავი რომ შეემაგრებინა, და უთხრა: - შეხედე, ჩემს შვილს რა უქნეს.

თავი მეცხრამეტე

შესაძლოა, სონი გამოუვალმა მდგომარეობამ აიძულა გეზი სისხლიან, ძალის გამომფიტავ ბრძოლაზე აეღო, რამაც, ბოლოს და ბოლოს, დაღუპვამდე მიიყვანა. შესაძლოა, მისმა ბნელმა, მხეცურმა ბუნებამ აიშვა აღვირი. ასე იყო თუ ისე, იმ გაზაფხულისა და ზაფხულის განმავლობაში სონი მოწინააღმდეგის დამხმარე ძალებს განუწყვეტლივ თავს ესხმოდა. ტატალიას ოჯახის შუამავლები, რომლებიც ჰარლემში მოქმედებდნენ, სათითაოდ გადაცხრილეს, საპორტო რაიონის მათი განგსტერები ამოჟლიტეს. პროფკავშირების ხელმძღვანელები, ვინც ხუთ ოჯახს ერთგულება შეჰფიცა, გააფრთხილეს, ნეიტრალიტეტი დაეცვათ და, როდესაც კორლეონეს ოჯახის ბუკმეკერები და მევახშეები დოკების რაიონიდან გააძევეს, სონიმ კლემენცას უბრძანა, მტრისთვის მთელ სანაპიროზე გადამწყვეტი ბრძოლა გაემართათ.

ეს სისხლის ღვრა და ხოცვა-ჟლეტა სრულიად აზრმოკლებული გახლდათ, რადგან ომის ბედსა თუ საბოლოო შედეგს მაინც ვერ გადაწყვეტდა. სონი შესანიშნავი ტაქტიკოსი იყო და არაერთი ბრწყინვალე ტაქტიკური გამარჯვებაც მოიპოვა, მაგრამ ომის მოგებას დონ კორლეონეს სტრატეგიული გენია სჭირდებოდა. მთელი ეს დაპირისპირება მომაკვდინებელ პარტიზანულ ომად გადაიქცა - ორივე მხარე მშვენივრად აცნობიერებდა, რომ ხალხსაც და შემოსავალსაც სრულიად უაზროდ კარგავდა. კორლეონეს ოჯახი, ბოლოს და ბოლოს, იძულებული გახდა, ყველაზე შემოსავლიანი საბუკმეკერო ოფისები დაეხურა, მათ შორის, ისიც, რომელიც კარლო რიჩის ჩააბარეს, თავი რომ შეენახა. კარლო ამის მერე სმასა და მიუზიკ-ჰოლის გოგოებთან გართობას კიდევ მეტად მიეძალა. კონის მძიმე დროება დაუდგა. მართალია, ცოლისთვის ხელის გარტყმას ვეღარ ბედავდა მას მერე, რაც სონიმ ქუჩაში სასტიკად გალახა, მაგრამ, სამაგიეროდ, მასთან აღარ წვებოდა. კონიმ თავი დაიმცირა, შეეხვეწა, მუხლებშიც კი ჩაუვარდა, მაგრამ კარლომ ხელი ჰკრა, როგორც თვითონ ეგონა, რომაელი პატრიციების სადარი დახვეწილობით, ქედმაღლურად ჩაიცინა და უთხრა: - მიდი, შენს ძმას დაურეკე და უთხარი, რომ აღარ გჟიმავ. იქნებ მოვიდეს და მირტყას მანამ, სანამ არ ამიდგება.

ამავე დროს, კარლოს სონისა სასტიკად ეშინოდა. შეხვედრისას ერთმანეთს ხაზგასმულად ცივი თავაზიანობით ესალმებოდნენ. კარლოს იმდენი ჭკუა კი ჰქონდა, მიმხვდარიყო, რომ სონის, შესაძლოა, მართლა მოეკლა, რადგან ისეთი კაცი იყო, ვისაც მტაცებელი ნადირის ბუნებრიობით, სრულიად ძალდაუტანებლად შეეძლო, ადამიანი მოეკლა მაშინ, როცა თვით კარლოს ამისათვის მთელი თავისი გამბედაობა და ნებისყოფა უნდა მოეკრიბა. კარლოს აზრად არასოდეს მოსვლია, რომ ამის გამო,

შესაძლოა, სონიზე უკეთესი ადამიანიც კი იყო, თუკი ამ სიტყვის ხმარება აქ საერთოდ დასაშვებია, არადა მას სონის შემაძრწუნებელი სისასტიკისა შურდა, სისასტიკისა, რომელზეც უკვე ლეგენდები დადიოდა.

ტომ ჰეიგენი, კონსილიორი, სონის ტაქტიკას არ ეთანხმებოდა, მაგრამ ამის გამო დონთან მაინც არ ჩიოდა, რადგან, ასე იყო თუ ისე, ამ ტაქტიკას გარკვეული შედეგი მოჰქონდა. ხუთი ოჯახი, როგორც ჩანს, დაშინდა, მათი საპასუხო დარტყმები სულ უფრო და უფრო სუსტდებოდა, ბოლოს კი საერთოდ შეწყდა. ჰეიგენმა თავიდან არ დაიჯერა მტრის ეს გარეგნული დაშოშმინება, მაგრამ სონი, ლამის იყო, უკვე გამარჯვებას ზეიმობდა.

- ბოლომდე მივაწვები, - ამბობდა იგი, - და ეგ ნაბიჭვრები მუხლებზე ხოხვით მოვლენ ჩემთან, შერიგებას შემეხვეწებიან.

სონის იმ პერიოდში სრულიად სხვა რამ აწუხებდა. ცოლი შავ დღეს აყრიდა, რადგან ხმები მიუვიდა, ლუსი მანჩინიმ სონი გამოიჭირაო. ამის შემდეგ მან თავისი ქმრის „აღჭურვილობასა“ და ტექნიკაზე ხმამაღლა დაიწყო შაყირი, მაგრამ რადგან სონი მასთან დიდი ხნის განმავლობაში აღარ დაწოლილა, ლოგინში მოისაკლისა და გაუთავებელი წუწუნითა და შენიშვნებით ცხოვრება გაუმწარა.

გარდა ამისა, სონის, როგორც მიზანში ამოღებულ კაცს, ცხოვრება მუდმივ დაძაბულობაში უხდებოდა. ნებისმიერი მისი გადაადგილება ქალაქში არაჩვეულებრივ სიფრთხილესა და წინდახედულობას მოითხოვდა. სონიმ მშვენივრად იცოდა, ლუსი მანჩინისთან მის ყოველ ვიზიტს მტრები თვალყურს ადევნებდნენ, მაგრამ მან უსაფრთხოების ყველანაირი ზომა, რაც კი შესაძლებელი გახლდათ, წინასწარ მიიღო, რადგან ის ადგილი ტრადიციულად სახიფათო იყო. თუმცა ახლა იგი იქ უკვე უშიშრად გრძნობდა თავს. ლუსის წარმოდგენაც არ ჰქონდა, რომ მას და მის სახლს ოცდაოთხი საათის განმავლობაში უთვალთვალებდნენ სონის „ჯარისკაცები“ და, როდესაც მის სართულზე ბინა გათავისუფლდა, იქ დაუყოვნებლივ სონის ერთ-ერთი ყველაზე სანდო კაცი შესახლდა.

დონი ნელ-ნელა უკეთ ხდებოდა და მალე მართვის სადავეების ხელში აღებას შეძლებდა. მაშინ კი წარმატება საბოლოოდ კორლეონეს ოჯახის მხარეს გადაიხრებოდა. სონის ამის მტკიცედ სჯეროდა. იმ დრომდე კი იმპერიას თვითონ გაუძღვებოდა, მამის პატივისცემას კიდევ მეტად დაიმსახურებდა და, თუმცა ეს პოზიცია, აბსოლუტური გაგებით, მემკვიდრეობითი არ გახლდათ, თავის პრეტენზიას, კორლეონეს იმპერიის მემკვიდრე გამხდარიყო, კიდევ მეტად განამტკიცებდა.

მაგრამ მტრებს არ ეძინათ - გეგმებს აწყობდნენ. სიტუაცია ყოველმხრივ გააანალიზეს და იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ მარცხის თავიდან ასაცილებლად მხოლოდ ერთი გზა არსებობდა - სონი კორლეონე უნდა მოეკლათ. სიტუაციას ისინი ახლა უკეთ აფასებდნენ და ხვდებოდნენ, დონთან მოლაპარაკება შესაძლებელი იქნებოდა, მისი ლოგიკური აზროვნებისა და გონიერების წყალობით. სონი კი მისი სისხლისმსმელობის გამო სძულდათ, ველურად მიაჩნდათ. თანაც, ეს ბიზნესისთვის ხელის შემშლელი იყო. ძველი დროის დაბრუნება, არეულობითა და სასიკვდილო ხიფათით, არავის სურდა.

ერთ საღამოს კონი კორლეონეს ბინაში ტელეფონმა დარეკა. ვიღაცამ კარლო იკითხა. ახალგაზრდა ქალი ლაპარაკობდა.

- ვინ ბრძანდებით? - ჰკითხა კონიმ.

ქალმა გაიცინა და უთხრა: - კარლოს მეგობარი ვარ. მინდოდა მეთქვა, რომ ამ ღამეს ვეღარ შევხვდები. ქალაქიდან უნდა გავიდე.

- შე ჩათლახო, - უყვირა კონიმ, - შე ბინძურო ჩათლახო!

ყურმილი დაუკიდეს.

გვიან საღამოს კარლო დოღიდან დაბრუნდა. ცუდ გუნებაზე იყო, რადგან ბლომად ფული წააგო. ნახევრად მთვრალი გახლდათ, ვისკის ბოთლი მუდამ თან ჰქონდა. როგორც კი ოთახში შემოვიდა, კონიმ მაშინვე ლანძღვა და წყევლა დაუწყო, მაგრამ კარლომ ამას არავითარი ყურადღება არ მიაქცია და სააბაზანოში შევიდა შხაპის მისაღებად. გამოვიდა, კონის თვალწინ შიშველი სხეული შეიმშრალა და საღამოს კოსტიუმის ჩაცმა დაიწყო.

კონი მის წინ დადგა, ხელები თეძოებზე დაიწყო, სახე სიბრაზისგან გაჰფითრებოდა.

- არსადაც არ წახვალ, - უთხრა ქმარს, - შენმა გერლფრენდმა დარეკა, ამ ღამეს არ შემიძლიაო. შე ბინძურო ნაბიჭვარო, როგორ ბედავ და შენს ბოზებს ჩემს ტელეფონს როგორ აძლევ?! მოგკლავ, შე ნაბიჭვარო!

კონი კარლოს ეცა და მუშტებისა და ფეხების რტყმა დაუწყო. კარლომ დაკუნთული მკლავის ერთი მოძრაობით მოიშორა, განზე გასწია.

- გიჟი ხარ, - ცივად უთხრა.

თუმცა კონიმ შენიშნა, რომ კარლო შეფიქრიანდა. ეტყობა, არ მოელოდა, რომ ქალი, ვისაც ჟიმავს, ასეთ გიჟურ ნომერს უკისრებდა.

- უბრალოდ, იხუმრა, სულ ხუმრობს, - დაამატა კარლომ.

კონი ადგილზე დატრიალდა, კარლოს ხელი მოიშორა, თავი გაითავისუფლა და ხელახლა ეძგერა - უნდოდა სახე დაეფხოჭნა. კარლომ საოცრად მშვიდად და ფრთხილად ჰკრა ხელი. კონიმ იცოდა, ასე მისი ორსულობის გამო მოიქცა და ამან თითქოს ძალა შემატა, თავს უფლება მისცა, დაგროვებული ბოღმა ბოლომდე ამოენთხია. კონი აღგზნებული იყო. ექიმმა ორსულობის ბოლო ორი თვის განმავლობაში ქმართან ხორციელი ურთიერთობა აუკრძალა და, სანამ ჯერ კიდევ ჰქონდა ამის დრო, მასთან დაწოლა უნდოდა, მაგრამ, ამავე დროს, კარლოსთვის ფიზიკური ტკივილის მიყენება სურდა. როდესაც კარლო საძინებელში შევიდა, ისიც შეჰყვა.

კონიმ დაინახა, რომ კარლოს კანზე ნაკაწრები ეტყობოდა, და კმაყოფილება იგრძნო.

- შინ დარჩები, - უთხრა ქმარს, - დღეს არსადაც არ წახვალ.

- ო,კეი, ო,კეი, - ჩაილაპარაკა კარლომ. ჯერაც შორტი ეცვა. უყვარდა შინ ნახევრად შიშველს სიარული, თავისი ათლეტური, მხარბეჭიანი ფიგურითა და ხორბლისფერი

კანით თავი მოჰქონდა. კონის თვალებში სურვილი ამოიკითხა. კარლომ გაცინება სცადა და ცოლს უთხრა: - ბოლოს და ბოლოს, მაჭმევ რამეს თუ არა?

ქმარმა მოვალეობის, - ყოველ შემთხვევაში, ერთ-ერთი მოვალეობის, - შესრულება მოსთხოვა და ამან, ცოტა არ იყოს, კონის გული მოულბო. გემრიელ კერძებს ამზადებდა, დედისგან ჰქონდა ნასწავლი. ახლა ხბოს ხორცისა და წიწაკის შეწვას შეუდგა, თან სალათის კეთებაც დაიწყო. სანამ ტაფა ცეცხლზე შიშხინებდა, კარლო საწოლზე წამოგორდა და ხვალინდელი დოღის პროგრამა ხელში აიღო. საწოლის თავთან, ტუალეტის მაგიდაზე, ვისკის ბოთლი და სავსე ჭიქა ედგა, საიდანაც დროგამოშვებით ცოტ-ცოტას წრუპავდა.

კონი საძინებელში შევიდა. კარში შეჩერდა, თითქოს საწოლთან ახლოს მიპატიჟების გარეშე მისვლა არ უნდაო.

- საჭმელი მაგიდაზეა, - უთხრა ქმარს.

- არ მშია, - მიუგო კარლომ ისე, რომ დოღის პროგრამისთვის თვალი არ მოუცილებია.

- საჭმელი მაგიდაზეა, - ჯიუტად გაიმეორა კონიმ.

- ტრაკში შეიტენე, - უთხრა კარლომ. ვისკი ჩაცალა და შესავსებად ბოთლს დასწვდა. კონის ყურადღებას არ აქცევდა.

კონი სამზარეულოში გავიდა და საჭმლიანი თეფშები სათითაოდ ნიჟარაში მოისროლა. ხმაურზე კარლო მოვარდა. როცა დაინახა ქონით მოთხვრილი კედლები და იატაკი, გაცოფდა.

- შე განებივრებულო ბინძურო იტალიელო ძუკნავ, - იღრიალა მან, - ახლავე დაასუფთავე აქაურობა, თორემ ისე გაგაბრტყელებ, სულ ძღნერი გაგივიდეს.

- მეტი საქმე არა მაქვს, - უპასუხა კონიმ. თითები მოკაუჭებული ჰქონდა, მზად იყო, კარლოს მივარდნოდა და მკერდი მოეფხოჭნა.

კარლო საძინებელში შევიდა და იქიდან ორად მოკეცილი ქამარი გამოიტანა.

- ახლავე დაასუფთავებ, - თქვა მან. მის ხმაში მუქარამ გაიჟღერა. კონი არ განძრეულა. მაშინ კარლომ ქამარი თეძოზე გადაუჭირა, თუმცა ნახევარი ძალით, ასე რომ, სინამდვილეში, კონი არ დაშავებულა. კონიმ უკან, სამზარეულოს კარადისკენ დაიხია და უჯრიდან პურის გრძელი დანა ამოაძვრინა.

კარლომ გაიცინა.

- კორლეონეს ოჯახში ქალებიც კი მკვლელები არიან, - თქვა მან. ქამარი სამზარეულოს მაგიდაზე დადო და კონისკენ წავიდა. კონიმ სცადა, დანა ეძგერებინა, თანაც პირდაპირ მამაკაცური ღირსების ადგილს უმიზნებდა, მაგრამ ორსულობის გამო შენელებულად მოძრაობდა. კარლომ ადვილად განაიარაღა, შემდეგ კი სახეში რამდენჯერმე ნელი, საშუალო სიძლიერის სილა შემოარტყა, ცდილობდა, კვალი არ დაეტოვებინა. კონი უკან-უკან, საძინებლისკენ იხევდა, თავის დაღწევას ცდილობდა, კარლო კი ურტყამდა და ურტყამდა. შეეცადა, კარლოსთვის ხელზე ეკბინა, მაგრამ მან თმაში ხელი ჩაავლო, თავი აუწია და სახეში მანამდე ურტყა, სანამ პატარა

გოგონასავით არ ატირდა, ტკივილისა და დამცირებისაგან. ხელი ზიზღით ჰკრა, კონი საწოლზე დაემხო. კარლო ვისკის ბოთლს დასწვდა, რომელიც იქვე, საწოლის თავთან იდგა, და მოიყუდა. ახლა უკვე გაილეშა და მის ღია ცისფერ თვალებში გიჟური ცეცხლი აინთო. კონიმ შეხედა და გააჟრჟოლა, - მართლა შეეშინდა.

კარლო ბოთლიდან სმას აგრძელებდა. მერე კონის სავსე თეძოზე ხელი მოჰკიდა და მოუჭირა. უნდოდა, სტკენოდა. უნდოდა, კონის ეთხოვა, გამიშვიო.

- ღორივით სქელი ხარ, - უთხრა კარლომ ზიზღით და საძინებლიდან გავიდა.

დამფრთხალი კონი საწოლზე იწვა. გახედვას ვერ ბედავდა, არადა უნდოდა, ენახა, კარლო რას აკეთებდა. ბოლოს ვეღარ მოითმინა, ადგა და სასადილო ოთახის კართან მივიდა. კარლო ტახტზე ეგდო, მის გვერდით ახალგახსნილი ვისკის ბოთლი იდგა. კიდევ ცოტას რომ დალევს, დაეძინება, გაიფიქრა კონიმ. აი, მაშინ კი შეძლებს სამზარეულოში შეუმჩნევლად შესვლას და ლონგ-ბიჩში დარეკვას. დედას სთხოვს, ვინმე გამოგზავნოს მის წასაყვანად. კონის ძალიან არ უნდოდა, ყურმილი სონის აეღო. ყველაზე კარგი იქნებოდა, თუკი ტომ ჰეიგენი ანდა დედამისი უპასუხებდნენ.

დაახლოებით საღამოს ათ საათზე კორლეონეს სახლის სამზარეულოში ტელეფონმა დარეკა. ტელეფონთან დონ კორლეონეს ერთ-ერთი მცველი მივიდა, შემდეგ ყურმილი კონის დედას გადასცა, მაგრამ მან თითქმის ვერაფერი გაიგო, რასაც კონი ეუბნებოდა, - ისტერიკაში იყო, თან ცდილობდა, ჩურჩულით ელაპარაკა, გვერდით ოთახში კარლოს რომ არ გაეგო, თანაც ცემისგან შესივებული ტუჩებიც ლაპარაკში ხელს უშლიდა. მისის კორლეონემ მცველს ანიშნა, სონის დაუძახეო, რომელიც იმ დროს ტომ ჰეიგენთან ერთად კაბინეტში გახლდათ.

სონი სამზარეულოში შემოვიდა და დედას ყურმილი გამოართვა.

- გისმენ, კონი, - თქვა მან.

კონის ქმრისაც ეშინოდა და ძმისაც, ამიტომ მეტყველება კიდევ უფრო გაუგებარი გაუხდა.

- მანქანა გამოგზავნე, - ბუტბუტითა და ენის ბორძიკით უთხრა კონიმ, - ლონგ-ბიჩში რომ წამომიყვანოს, მანდ რომ მოვალ, მერე მოგიყვები. არა, არაფერი მომხდარა, შენ არ მოხვიდე, სონი, გეხვეწები, ტომი გამოგზავნე, არაფერი მომხდარა, უბრალოდ, მინდა სახლში წამოვიდე.

ამ დროს სამზარეულოში ჰეიგენი შემოვიდა. დონმა დამამშვიდებელი წამალი მიიღო და დაეძინა. ახლა ტომს უნდოდა, სონისთვის თვალყური ედევნებინა, რას მოიმოქმედებდა. სამზარეულოში კიდევ ორი მცველი იყო. ყველანი სონის შეჰყურებდნენ.

აშკარა იყო, სონი ივსებოდა რისხვით, რომელმაც მისი გულის იდუმალი სიღრმეებიდან ამოხეთქა. თვალნათლივ ხედავდნენ, ხარივით კისერზე როგორ დაებერა ძარღვები, სისხლი სახეში შემოაწვა, თვალები გაუფართოვდა და სიძულვილით აენთო, ხელები აუცახცახდა, მაგრამ ხმას მაინც აკონტროლებდა, დას ჩუმად უთხრა: - მანდ დამელოდე, უბრალოდ, მანდ დამელოდე.

ყურმილი დაკიდა, წამით შედგა, მერე იღრიალა: - ნაბიჭვარი, ეგ ნაბიჭვარი!

და გარეთ გავარდა. ტომი მისი გამომეტყველებით მიხვდა, რომ ლოგიკურად აზროვნების უნარი დაკარგა, გონება გადაეკეტა. იმწამს ყველაფრის გამკეთებელი იყო, მაგრამ ჰეიგენმა ისიც იცოდა, რომ, სანამ ქალაქში მანქანით ჩააღწევდა, ნერვები ოდნავ მაინც დაუმშვიდდებოდა, ცოტა უფრო რაციონალურად დაიწყებდა აზროვნებას. თუმცა ამ რაციონალიზმს უფრო საშიშიც შეიძლებოდა გაეხადა, სამაგიეროდ, ამავე რაციონალიზმს საკუთარი რისხვის მოულოდნელი შედეგებისგან გარკვეულად მაინც შეეძლო დაეცვა. ჰეიგენმა გაიგონა, მანქანის ძრავა როგორ აღმუვლდა და მცველებს სასწრაფოდ უბრძანა: - უკან მიჰყევით!

შემდეგ ტელეფონთან მივიდა და რამდენიმე ნომერზე დარეკა. ჯერ სონის რეჟიმეს, ანუ რაზმის, რამდენიმე წევრს ელაპარაკა, - უბრძანა, კონისთან მისულიყვნენ, კარლო რიჩი ბინიდან გაეყვანათ. რამდენიმე კაცი კი კონისთან უნდა დარჩენილიყო, სანამ სონი იქ არ მივიდოდა. ტომი რისკზე მიდიოდა, რადგან სონის გეგმის ჩაშლას ცდილობდა, მაგრამ დარწმუნებული იყო, დონი მის მოქმედებას მოიწონებდა. ეშინოდა, სონის კარლო რიჩი მოწმეების თანდასწრებით არ მოეკლა. მტრებისგან ხიფათს ამჯერად არ ელოდებოდა. ხუთი ოჯახი საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში გაყურსულიყო და, ეტყობა, მშვიდობის ჩამოგდებაზე ფიქრობდა.

სონიმ თავისი ,,ბიუიკით'' ლონგ-ბიჩის ხეივნიდან გამოსვლაც ვერ მოასწრო, რომ ლოგიკური აზროვნების უნარი დაუბრუნდა. შენიშნა, მცველები მანქანაში როგორ ჩახტნენ, უკან რომ გაჰყოლოდნენ, და მათი ეს მოქმედება გულის სიღრმეში მოიწონა. თუმცა არანაირ ხიფათს არ ელოდებოდა, ხუთმა ოჯახმა კონტრიერიში შეწყვიტა, რეალურად აღარ ომობდნენ. მანქანაში, საიდუმლო საცავში, იარაღი ჰქონდა დამალული, თვითონ მანქანა მისი რაზმის ერთ-ერთ წევრის სახელზე იყო გაფორმებული. ასე რომ, სასამართლო გარჩევის შემთხვევაში, პირადად მას უსიამოვნება არ ემუქრებოდა. თუმცა სონი არ ფიქრობდა, რომ იარაღი საერთოდ დასჭირდებოდა. ისიც კი არ იცოდა, კარლო რიჩის კონკრეტულად რას უპირებდა.

ახლა, როდესაც სონის დაფიქრების დრო ჰქონდა, მიხვდა: ჯერ დაუბადებელი ბავშვის მამას, რომელიც თან მისი დის ქმარია, ვერ მოკლავს. ეს, ცხადია, უბრალოდ, ოჯახური უსიამოვნება არ გახლდათ. კარლო უვარგისი კაცი იყო და სონი დის წინაშე თავის პასუხისმგებლობას აცნობიერებდა, რადგან კონიმ ეს ნაბიჭვარი სწორედ მისგან გაიცნო.

სონის სასტიკი ბუნების ერთგვარ პარადოქსს ის წარმოადგენდა, რომ ქალის ცემა არ შეეძლო და არც არასოდეს უცემია. ასევე, არ შეეძლო ბავშვისა თუ უმწეოსათვის რაიმე ვნება მიეყენებინა. როდესაც კარლომ წინააღმდეგობა არ გაუწია, ბრძოლა არ დაუწყო, ამან განაიარაღა და კარლო სიკვდილს გადაარჩინა. ბავშვობაში სონის კეთილი გული ჰქონდა. ის, რომ ზრდასრულ ასაკში მკვლელი გახდა, უთუოდ მისი ბედისწერა იყო.

არა, ეს საქმე ერთხელ და სამუდამოდ უნდა გადაწყვიტოს, გაიფიქრა სონიმ, როდესაც ლონგ-ბიჩიდან ავტოსტრადაზე გადაუხვია, ჯონს-ბიჩის ხიდზე რომ ადიოდა და ნიუ-იორკისკენ მიემართებოდა. ქალაქში ჩასასვლელად ყოველთვის ამ ტრასას იყენებდა, მოძრაობა იქ ნაკლები იყო.

სონიმ გადაწყვიტა, რომ კონის, მცველებთან ერთად, ლონგ-ბიჩის სახლში გაუშვებდა, თვითონ კი სიძეს ,,დაელაპარაკებოდა''. რით დასრულდებოდა ეს, წინასწარ არ

იცოდა. თუკი იმ ნაბიჭვარმა კონის რაღაც სერიოზულად დაუშავა, აიღებს და თვითონაც მიასახიჩრებს, მაგრამ სანაპიროდან მონაბერმა სიომ, მარილის სურნელებით გაჟღენთილმა ცივმა ჰაერმა ნელ-ნელა მრისხანება გაუგრილა. მთელი გზა მანქანის მინა ბოლომდე ჩამოწეული ჰქონდა.

ჯონს-ბიჩის ხიდზე შევიდა, სადაც წელიწადის ამ დროს, და თანაც ასე გვიან, კაციშვილი არ ჭაჭანებდა, ამდენად მაქსიმალური სიჩქარე შეეძლო განევითარებინა. თანაც იცოდა, ძალიან სწრაფ სიარულს შეეძლო, დახმარებოდა, საშიში დაძაბულობა გაეფანტა. დაცვის მანქანა შორს, უკან ჩამოიტოვა.

ხიდი ცუდად იყო განათებული. ერთი მანქანაც კი არსად ჩანდა. წინ საბაჟო ჯიხური გამოჩნდა. მიჯრით რამდენიმე ასეთი ჯიხური იყო მიწყობილი, მაგრამ მხოლოდ დღის საათებში მუშაობდნენ, როცა მოძრაობა უფრო ინტენსიური გახლდათ. სონიმ სვლა შეანელა და ხურდის ძიებაში ჯიბეები მოიჩხრიკა. არ აღმოაჩნდა. ჯიბიდან საფულე ამოიღო, ცალი ხელით გახსნა. ხურდა ვერც იქ იპოვა და ცალი კუპიურა ამოაძვრინა. ,,ბიუიკი'' ჯიხურთან მიაყენა, განათებულ ადგილას, და გაოცებულმა დაინახა, რომ წინ მანქანა დგას, გასასვლელს უხერგავს. მძღოლი ჯიხურში მყოფ კაცს რაღაცას ეკითხებოდა, ალბათ, გზას თუ არკვევდა. სონიმ მიუსიგნალა და მანქანამ ადგილი მორჩილად დაუთმო.

სონიმ გადასახადის ამკრებს ჯიხურში ფული მიაწოდა და ხურდის დაბრუნებას დაელოდა. ახლა სონის ერთი სული ჰქონდა, რაც შეიძლება სწრაფად აეწია მანქანის მინა. ატლანტიკის ოკეანის მხრიდან ძალიან ცივმა, გამჭოლმა ქარმა დაუბერა, მაგრამ ჯიხურში მყოფი ხურდის დაბრუნებას არ ჩქარობდა, იმ რეგვენს კუპიურა იატაკზე დაუვარდა. კაცი დაიხარა, ჯიხურში გაუჩინარდა.

ამ დროს სონიმ ყურადღება მიაქცია იმას, რომ მანქანა, რომელიც ცოტა ხნის წინ გზას უღობავდა, კი არ წავიდა, არამედ იქვე იდგა და, ფაქტობრივად, გასასვლელს ისევ უხერგავდა. უეცრად გვერდითი მზერით მარჯვენა ჩაბნელებულ ჯიხურში სილუეტი დალანდა, მაგრამ ფიქრის დრო აღარ იყო, გაჩერებული მანქანიდან ორი კაცი გადმოვიდა და მისკენ წამოვიდა. გადასახადის ამკრები კვლავაც არ ჩანდა და წამის მეათედით ადრე, სანამ რაიმე მოხდებოდა, სონი მიხვდა - აღსასრულმა უწია. შიშმა გონება თითქოს დაუწმინდა, წამში ყველაფერი გაიაზრა.

სიცოცხლის ინსტინქტური სურვილით სონი მთელი ძალით, თავისი მასიური სხეულით, ,,ბიუიკის'' კარს მიაწვა და გაანგრია. ჩაბნელებულ ჯიხურში მყოფმა კაცმა ცეცხლი გახსნა, ტყვიები სონის თავსა და კისერში მოხვდა, მისი მძიმე სხეული ასფალტზე გადმოემხო, ფეხები ,,ბიუიკში'' დარჩა. მანქანიდან გადმოსულმა ორმა კაცმა იარაღი დააძრო, რამდენჯერმე ესროლეს, შემდეგ სახეში ფეხების რტყმა დაუწყეს. ცდილობდნენ, რაც შეიძლება სასტიკად დაემახინჯებინათ. ეს მათი სიძლიერის დამადასტურებელი უნდა ყოფილიყო.

რამდენიმე წამში სამი მკვლელი და გადასახადის თვითმარქვია ამკრები მანქანაში ისხდნენ და ჯონს-ბიჩის საწინააღმდეგო მიმართულებით, მიდოუბრუკის ავტოსტრადაზე მიქროდნენ. ჯიხურთან გასასვლელს სონის გვამი და მისი მანქანა ხერგავდა, მაგრამ როდესაც, ერთი-ორი წუთის შემდეგ, იქ სონის მცველები მივიდნენ და გვამი დაინახეს, მკვლელების დევნის სურვილი არ გასჩენიათ. მანქანა შემოაბრუნეს და უკან, ლონგ-ბიჩისკენ წავიდნენ. პირველივე ტელეფონ-ავტომატთან

გააჩერეს. ერთ-ერთმა მცველმა ტომ ჰეიგენს დაურეკა. მოკლედ და სწრაფად ლაპარაკობდა: - სონი მოკლულია. ჯონს-ბიჩის გამშვებ პუნქტთან ესროლეს.

ტომ ჰეიგენმა სრული სიმშვიდე შეინარჩუნა.

- ო,კეი, - თქვა მან, - მიდით კლემენცასთან სახლში და უთხარით, პირდაპირ აქ წამოვიდეს. ის გეტყვით, რა გააკეთოთ.

ჰეიგენი სამზარეულოდან ლაპარაკობდა, სადაც ამ დროს ქალბატონი კორლეონე საქმიანობდა, ქალიშვილის მოსვლისათვის საჭმელს ამზადებდა. ტომმა მოახერხა და აღელვება არაფრით გამოხატა, ამდენად, ისიც ვერაფერს მიხვდა. რა თქმა უნდა, მას შეეძლო, გუმანით ეგრძნო, მაგრამ დონთან მრავალი წლის ერთობლივმა ცხოვრებამ ასწავლა ხშირ შემთხვევაში რაღაც-რაღაცებზე თვალის დახუჭვა და ზედმეტად არაფერში ერეოდა. თუკი რაიმე ცუდი მოხდა, რაც მან უნდა იცოდეს, ამას ძალზე მალე შეატყობინებენ. და თუ არ უნდა იცოდეს, ურჩევნია, არც გაიგოს. სრულიად თანახმა იყო, თავისი ოჯახის მამაკაცების ტკივილი არ გაეზიარებინა, - ისინი რა, განა ქალების ტკივილს იზიარებდნენ? მშვიდად მოიდუღა ყავა და სუფრა გაშალა. გამოცდილებით იცოდა, შიში და ტკივილი მადაზე უარყოფითად არ მოქმედებდა, ამავე დროს, საჭმელი ტკივილს, გარკვეულად, ამსუბუქებდა. ასეთ დროს ექიმს დამამშვიდებელი წამალი რომ შეეთავაზებინა, უარს ეტყოდა, მაგრამ ყავა და კნატუნა პური სულ სხვა იყო. რაღა თქმა უნდა, იგი უფრო პრიმიტიული კულტურიდან გამოსული გახლდათ.

ამიტომ ტომ ჰეიგენს უპრობლემოდ მისცა ნება, სამზარეულო დაეტოვებინა და კუთხის ოთახში გასულიყო. იქ ჰეიგენი ისეთმა კანკალმა აიტანა, რომ იძულებული გახდა, დამჯდარიყო, ფეხები ერთმანეთთან მთელი ძალით შეეტყუპებინა, ხელები მუხლებს შორის ჩაეწყო, თავი მხრებში ჩაემალა, - შეიძლებოდა, გეფიქრა, ეშმაკის წინაშე ლოცულობსო.

ტომ ჰეიგენმა გააცნობიერა, რომ ომის პერიოდში კონსილიორის თანამდებობისთვის შესაფერისი არ იყო. ხუთმა ოჯახმა თავისი მოჩვენებითი სიმხდალით ყურადღება მოუდუნა, გააბრიყვა. თითქოსდა მშვიდად იყვნენ, მაგრამ ამ დროს საშინელ მახეს უმზადებდნენ. გეგმებს აწყობდნენ და შესაფერის მომენტს ელოდნენ, როცა თავისი სისხლიანი ხელებით ერთადერთ, მაგრამ უსასტიკეს დარტყმას მიაყენებდნენ. და ეს მათ მოახერხეს. ბებერი ჯენკო აბანდანდო ასეთ მახეში არასოდეს გაებმებოდა, გუმანით იგრძნობდა, რაღაც მზაკვრობას რომ ამზადებდნენ, სოროებიდან ვირთხებივით გამოდევნიდა, დამცავ ზომებს გაასამმაგებდა. თანაც, ყველაფერთან ერთად, ტომ ჰეიგენი არაადამიანურ წუხილს განიცდიდა. სონი მისთვის ნამდვილი ძმა იყო, მისი გადამრჩენელი! ბავშვობის დროინდელი ცოცხალი გმირი. სონის იგი არასოდეს დაუჩაგრავს, არც დაუმცირებია, ყოველთვის გულწრფელი მეგობრული სიმპათიით ეპყრობოდა. ტომს არასოდეს დაავიწყდებოდა, როგორ ჩაიხუტა სონიმ, როცა იგი სოლოცოს ტყვეობიდან გაათავისუფლეს. სონის მაშინდელი სიხარული აბსოლუტურად გულწრფელი იყო. იმას, რომ სონი სასტიკ და სისხლიან ადამიანად იქცა, ჰეიგენისთვის არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა.

ჰეიგენმა იცოდა, რომ სონის დედას ვაჟიშვილის დაღუპვის შესახებ ვერასოდეს ეტყოდა, ამიტომ სამზარეულოდან სასწრაფოდ გავიდა. თუმც კი თვით მას საკუთარ დედად არასოდეს მიიჩნევდა მაშინ, როცა დონი მამად მიაჩნდა, სონი კი - ძმად. ტომს

მისდამი ისეთივე დამოკიდებულება ჰქონდა, როგორც ფრედის, მაიკლისა და კონის მიმართ. ეს დამოკიდებულება მსგავსი იყო იმისა, რომელიც შეიძლება გქონდეს ადამიანისადმი, რომელიც შენ მიმართ კეთილგანწყობილია, მაგრამ მაინცდამაინც არ გიყვარს. არა, ვერაფერს ეტყოდა. რამდენიმე თვის განმავლობაში ამ ქალმა ყველა ვაჟიშვილი დაკარგა. ფრედი ნევადაში გაგზავნეს, მაიკლი სიცილიაში იმალება, და აი, ახლა სონი მოკლეს. რომელი მათგანი უყვარდა მეტად? ეს ქალბატონ კორლეონეს არასოდეს გაუმჟღავნებია.

ტომ ჰეიგენის ამ შინაგანმა მდგომარეობამ ორიოდე წუთი გასტანა, შემდეგ თავი ხელში აიყვანა. ტელეფონის ყურმილს დასწვდა. კონის ნომერი აკრიფა. დიდხანს ელოდა, ბოლოს კონიმ ჩურჩულით უპასუხა.

ჰეიგენი რბილად ალაპარაკდა: - კონი, ტომი ვარ. გააღვიძე შენი ქმარი, უნდა დაველაპარაკო.

კონიმ შეშინებული ხმით ჰკითხა: - ტომ, სონი მოვა აქ?

- არა, - მიუგო ჰეიგენმა, - არ მოვა, ამაზე არ ინერვიულო. გააღვიძე კარლო და უთხარი, უნდა დაველაპარაკო.

კონიმ ტირილით უთხრა: - ტომ, მცემა. მეშინია, კიდევ მცემს, როცა გაიგებს, რომ სახლში დავრეკე.

ჰეიგენმა ისევ რბილად გააგრძელა: - არა, აღარ გცემს. დაველაპარაკები და ყველაფერს მოვაგვარებ. ყველაფერი იქნება კარგად. უთხარი, რომ ძალიან, ძალიან მნიშვნელოვანი რაღაც უნდა ვუთხრა. ო,კეი?

ხუთი წუთი მაინც გავიდა, სანამ ყურმილში კარლოს ხმა გაისმა, ვისკისა და ძილისგან ჩახრინწული. ჰეიგენი უხეშად ელაპარაკებოდა, ბოლომდე რომ გამოეფხიზლებინა.

- მისმინე, კარლო, - უთხრა ტომმა, - რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი უნდა მოგიყვე. მოემზადე, შენი რეაქციით კონი რომ არ შეაშინო. უკვე ვუთხარი, ძალიან მნიშვნელოვანი რაღაც რომ უნდა გადმოგცე, ამიტომ მოიფიქრე, რას ეტყვი. ვთქვათ, უთხარი, რომ დონმა გადაწყვიტა, ლონგ-ბიჩის ხეივანში დაგასახლოთ, შენ კი სერიოზული საქმე ჩაგაბაროს, თქვენი ოჯახური ცხოვრება რომ მოწესრიგდეს. გესმის?

კარლომ აშკარად დაიმედებულმა უპასუხა: - მესმის, ო,კეი.

- ერთ-ორ წუთში, - გააგრძელა ჰეიგენმა, - შენთან ჩემი ხალხი მოვა. მოვლენ, რომ წამოგიყვანონ. გადაეცი, ჯერ მე დამირეკონ. სხვას ნურაფერს ეტყვი. ვუბრძანებ, კონისთან დაგტოვონ. ო,კეი?

- კი, კი, გავიგე, - მიუგო კარლომ. აშკარად აღელვებული გახლდათ. დაძაბულობამ ჰეიგენის ხმაში დაარწმუნა, რომ მართლა რაღაც მნიშვნელოვანს ეუბნებოდა.

- სონი მოკლეს, - უთხრა ჰეიგენმა, - ხმა არ ამოიღო, არაფერი წამოგცდეს. როდესაც გეძინა, კონიმ ლონგ-ბიჩში დარეკა და სონი თქვენთან გამოვარდა, მაგრამ ვეღარ მოაღწია. არ მინდა კონის ოდნავი ეჭვი მაინც გაუჩნდეს. იფიქრებს, რომ მისი

მიზეზით მოხდა, რაც მოხდა. მინდა, რომ მასთან დარჩე, ოღონდ არაფერი უთხრა. მინდა, შერიგდეთ. მინდა, დღეს მოსიყვარულე ქმარი იყო, და ასეთად დარჩე თუნდაც მხოლოდ ბავშვის გაჩენამდე. ხვალ დილით ვინმე, - შენ, დონი ანდა დედა, - კონის ეტყვის, რომ ძმა დაეღუპა. მინდა, რომ მშობიარობამ ნორმალურად ჩაიაროს. გამიწიე სამსახური და ამას არ დაგივიწყებ. გასაგებია?

კარლოს ხმა უკანკალებდა: - რა თქმა უნდა, ტომ, რა თქმა უნდა. მე და შენ ყოველთვის ვუგებდით ერთმანეთს. მე ძალიან მადლობელი ვარ შენი. გესმის?

- მესმის, - მიუგო ჰეიგენმა, - ნუ გეშინია, არავინ დაგაბრალებს, რომ ეს ყველაფერი თქვენი ჩხუბის გამო მოხდა.

ტომი წამით გაჩუმდა, შემდეგ კი რბილად, გამამხნევებელი ინტონაციით გააგრძელა: - ახლა კი საქმეს მიხედე, კონისთან მიდი.

ტომმა ყურმილი დაკიდა. დონისგან ისწავლა, არასოდეს არავის დამუქრებოდა, მაგრამ კარლო მშვენივრად მიხვდა - სიკვდილს ერთი ნაბიჯიღა აშორებდა.

ჰეიგენმა ტესიოს დაურეკა და უბრძანა, დაუყოვნებლივ ლონგ-ბიჩის ხეივანში მისულიყო. რისთვის, არ უთქვამს. თვითონ მას კი არაფერი უკითხავს. ჰეიგენმა ამოიოხრა. ახლა ყველაზე რთული საქმე დარჩა გასაკეთებელი.

დონი წამლით მოგვრილი ძილისგან უნდა გამოაფხიზლოს. უნდა უთხრას კაცს, რომელიც ყველაზე მეტად უყვარს ამქვეყნად, რომ დააღალატა, ვერ დაიცვა მისი იმპერია, ვერ დაიცვა მისი უფროსი ვაჟი. უნდა უთხრას, რომ ყველაფერი დაკარგულია მანამ, სანამ თვით იგი, ავადმყოფი მოხუცი, ბრძოლაში არ ჩაებმება. მხოლოდ დიად დონს შეეძლო ამ გამოუვალი სიტუაციიდან გამოსავალი ეპოვა. უსასტიკეს დამარცხებას მხოლოდ ის თუ გადაარჩენდა. ჰეიგენმა ექიმებს არც კი ჰკითხა, შეიძლებოდა თუ არა დონის გაღვიძება. რაც უნდა ეთქვათ, თუნდაც ეს დონისთვის სასიკვდილოდ სახიფათო ყოფილიყო, ვალდებული იყო, ყველაფერი მოეთხრო მამობილისათვის და მერე უსიტყვოდ შეესრულებინა, რასაც კი დაავალებდა. ახლა ექიმების აზრს მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, საერთოდ ყველაფერმა დაკარგა მნიშვნელობა. დონს მართვის სადავეები ხელში უნდა აეღო, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჰეიგენისთვის ებრძანებინა: ყველაფერი, რასაც კი კორლეონეს ოჯახი ფლობს, ნიუ-იორკის ხუთი ოჯახისთვის გადაებარებინა.

ჰეიგენი შეეცადა, თავი ხელში აეყვანა და დონთან საუბრისთვის მომზადებულიყო. არავითარ შემთხვევაში არ უნდა აჩვენოს, რომ დანაშაულის გრძნობა აწუხებს. ეს დონს მდგომარეობას მხოლოდ დაუმძიმებს. თავისი მწუხარება არ უნდა აგრძნობინოს. ამით მწუხარებას მხოლოდ გაუმძაფრებს, რადგან დონი იფიქრებს, რომ შეცდომა დაუშვა, როცა კონსილიორის უმნიშვნელოვანეს თანამდებობაზე ომის პირობებში სამუშაოდ შეუფერებელი კაცი დანიშნა.

ჰეიგენმა იცოდა, რომ დონს ყველაფერი უნდა მოახსენოს, რაც მოხდა, თავისი ანალიზი შესთავაზოს, რა შეიძლება გაკეთდეს შექმნილ სიტუაციაში, და გაჩუმდეს. მისი შემდგომი მოქმედება დონის რეაქციაზე იქნება დამოკიდებული. თუკი დონი დაადანაშაულებს, თავის ბრალს აღიარებს, თუკი აღმოჩნდება, რომ დონი მისგან თანაგრძნობას ელის, გულწრფელ თანაგრძნობას გამოუცხადებს.

ჰეიგენმა მანქანის ხმა გაიგონა. კაპორეჟიმეები სათათბიროდ მოდიოდნენ. ჯერ მათ დაელაპარაკება, ორ სიტყვას ეტყვის, დონს მხოლოდ ამის მერე გააღვიძებს. ჰეიგენი საწერ მაგიდასთან მდგარ ბართან მივიდა და იქიდან ბოთლი და ჭიქა გამოიღო. უეცრად შემოესმა, რომ მის ზურგს უკან ოთახის კარი რბილად გაიღო. ტომი შებრუნდა და დონ კორლეონე დაინახა, თავდასხმის მერე პირველად იხილა სრულიად ჩაცმულ-მოკაზმული.

დონმა კაბინეტი გადასერა და თავის უზარმაზარ ტყავის სავარძელში ჩაეშვა. ცოტა შებოჭილი მოძრაობდა, ტანსაცმელი ოდნავ ეკიდა, მაგრამ, სხვა მხრივ, ჰეიგენის აზრით, ზუსტად ისე გამოიყურებოდა, როგორც ადრე. ისე ჩანდა, თითქოს დონმა ნებისყოფის დაძაბვის ხარჯზე ფიზიკურ სისუსტეს სძლია. სიმტკიცესა და ძლიერებას ისევ ისე ასხივებდა. დონი სავარძელში გასწორდა და ჰეიგენს უთხრა: - ერთი წვეთი ანისეტი დამისხი.

ჰეიგენმა კარადიდან ახალი ბოთლი გამოიღო. დონსაც შეუვსო ჭიქა და თავისთვისაც ჩამოისხა. ეს ანისულზე დაყენებული შინაური არაყი გახლდათ, რომელიც მაღაზიისაზე გაცილებით მაგარი იყო და რომელსაც დონს მისი ძველისძველი მეგობარი ყოველ წელს მომცრო საბარგო მანქანით უგზავნიდა.

- ძილის წინ ჩემი ცოლი ტიროდა, - თქვა დონმა, - მერე ფანჯარაში გავიხედე და დავინახე, რომ კაპორეჟიმეები მოვიდნენ, არადა უკვე შუაღამეა. ასე რომ, ჩემო კონსილიორი, მგონი, რაც კი იცი, შენს დონს ყველაფერს უნდა მოუყვე.

ჰეიგენმა ჩუმად უპასუხა: - დედისათვის არაფერი მითქვამს. ეს-ესაა შენთან შემოსვლას, გაღვიძებას და ყველაფრის მოყოლას ვაპირებდი. ერთ წუთში შენთან ვიქნებოდი.

დონმა მშვიდად მიუგო: - მაგრამ მანამდე სასმელი უნდა დაგელია.

- მართალია, - დაეთანხმა ჰეიგენი.

- მაგრამ უკვე ხომ დალიე, - გააგრძელა დონმა, - შეგიძლია, ახლავე მომიყვე.

მის სიტყვებში, ჰეიგენის სისუსტის გამო, ოდნავი საყვედური იგრძნობოდა.

- სონის ხიდზე ესროლეს, - თქვა ჰეიგენმა, - მოკლულია.

დონს თვალები აუხამხამდა. წამის მეასედის განმავლობაში მის მზერაში ნებისყოფისა და ფიზიკური ძალების დაძაბუნება ნათლად გამოჩნდა, მაგრამ იმავე წამს დონმა თავი ხელში აიყვანა.

ხელები მაგიდის მოპრიალებულ ზედაპირს დაჰკრა და ჰეიგენს პირდაპირ თვალებში შეხედა.

- რაც მოხდა, ყველაფერი მომიყევი, - უთხრა დონ კორლეონემ, მაგრამ უმალ ცალი ხელი შემართა, - მოიცა, ჯერ კლემენცა და ტესიო მოვიდნენ, მოყოლა ორჯერ რომ არ მოგიხდეს.

რამდენიმე წამში კარი გაიღო და ოთახში ორივე კაპორეჟიმე შემოვიდა დაცვის თანხლებით. მაშინვე მიხვდნენ, - დონმა უკვე იცოდა ვაჟიშვილის დაღუპვის ამბავი,

რადგან წამოდგა და ისე შეეგება. დონს ორივე კაპორეჟიმე გადაეხვია და თანაუგრძნო, ძველისძველ მეგობრებს როგორც ეკადრებოდათ. ჰეიგენმა თითო ჭიქა ანისეტი ჩამოასხა. უხმოდ გადაკრეს. შემდეგ ტომ ჰეიგენმა ამბის მოყოლა დაიწყო.

როდესაც თხრობა დაასრულა, დონმა მხოლოდ ერთი კითხვა დაუსვა: - ნამდვილად დადგენილია, რომ ჩემი შვილი მკვდარია?

პასუხი თავის თავზე კლემენცამ აიღო.

- ნამდვილად, - თქვა მან, - მცველები სანტინოს რაზმიდან იყვნენ, მაგრამ ისინი თავის დროზე მე შევარჩიე. როდესაც ლონგ-ბიჩში მობრუნდნენ, დავკითხე. გვამი საბაჟო ჯიხურის პროჟექტორის შუქზე უნახავთ. ისეთი ჭრილობები ჰქონია, ვერაფრით გადარჩებოდა. თავს დებენ, ჩვენი ნათქვამი ზუსტიაო.

დონ კორლეონემ ეს საბოლოო ვერდიქტი გარეგნულად ყოველგვარი აღელვების გარეშე მოისმინა, დუმილის რამდენიმე წამს თუ არ მივიღებთ მხედველობაში. შემდეგ კი თქვა: - ეს საქმე არც ერთ თქვენგანს არ ეხება. ჩემი პირდაპირი ბრძანების გარეშე, არც ერთი თქვენგანი შურისძიებას არ ეცდება, ჩემი შვილის მკვლელების ძებნას არ დაიწყებს. რაიმე საბრძოლო მოქმედება ხუთი ოჯახის წინააღმდეგ, ჩემი უშუალო ბრძანებისა და სურვილის გარეშე, აღარ განხორციელდება. ჩემი შვილის დაკრძალვამდე ყველანაირი საქმიანი ოპერაცია უნდა შევაჩეროთ. შემდეგ კიდევ ერთხელ შევიკრიბებით აქ და მოვილაპარაკებთ, რა მოვიმოქმედოთ. ამ ღამეს კი სანტინოს ყველაფერი უნდა გავუკეთოთ, რაც კი შესაძლებელია, ქრისტიანულად უნდა დავკრძალოთ. ჩემს მეგობრებს ვთხოვ, პოლიციასა და ხელისუფლებასთან ყველა საჭირო საკითხი მოაგვარონ. კლემენცა, შენ და შენი რეჟიმეს ხალხი მუდმივად ჩემთან იქნებით, როგორც პირადი მცველები. ტესიო, შენ ჩემი ოჯახის დანარჩენი წევრების დაცვა გევალება. ტომ, შენ ამერიგო ბონასერას დაურეკე და უთხარი, რომ ამ ღამეს მისი სამსახური დამჭირდება. თავის ბიუროში დამელოდოს. იქ შეიძლება ერთ, ორ ან სამ საათში მივიდე. გასაგებია?

სამივემ თავი დაუკრა თანხმობის ნიშნად. დონ კორლეონემ განაგრძო: - კლემენცა, რამდენიმე კაცი და მანქანები მოიყვანე, აქ დამელოდეთ. ერთ-ორ წუთში მზად ვიქნები. ტომ, შენ სწორად მოიქეცი. მინდა, რომ ამ დილით კონსტანცია დედასთან იყოს. მიიღე ზომები, ქმართან ერთად აქ, ხეივანში რომ დავასახლოთ. სანდრას მეგობრებს, მის დაქალებს შეატყობინეთ, რომ მასთან მივიდნენ და იქვე დარჩნენ. მანქანებით მიიყვანეთ. ჩემი ცოლი მასთან მერე მივა, როცა დაველაპარაკები. ამ უბედურების შესახებ მოუყვება და ქალები ერთად მოემზადებიან, ეკლესიაში მესა რომ დააყენონ და სულის მოსახსენიებელი ლოცვები აღევლინოს.

დონი წამოდგა. დანარჩენებიც ადგნენ. კლემენცა და ტესიო დონს კიდევ ერთხელ გადაეხვივნენ. ჰეიგენმა კარი გააღო და ხელით დაიჭირა, დონი რომ გასულიყო. იგი წამით შეყოვნდა, ყურადღებით შეხედა, ლოყაზე მოუთათუნა, მერე სწრაფად გადაეხვია და იტალიურად უთხრა: - კარგი შვილი ხარ. შენ მე მანუგეშე.

ამით დონმა ჰეიგენს უთხრა, რომ ამ საშინელ სიტუაციაში სწორად მოქმედებდა. შემდეგ დონი მეორე სართულზე ცოლთან სალაპარაკოდ ავიდა. ეს სწორედ ის მომენტი გახლდათ, როდესაც ჰეიგენმა მესაფლავე ამერიგო ბონასერას დაურეკა და უთხრა, - ამ ღამით დონ კორლეონესთვის ვალის დაბრუნება მოუწევდა.

ნაწილი V

თავი მეოცე

სონი კორლეონეს მკვლელობამ ამერიკის მთელი კრიმინალური სამყარო შეაზანზარა, ხოლო როცა ცნობილი გახდა, რომ დონ კორლეონე გამოჯანმრთელდა და მზად არის, მართვის სადავეები ხელში აიღოს, როცა დაკრძალვაზე მყოფმა მზვერავებმა ხუთი ოჯახის თავკაცებს შეატყობინეს, რომ დონი სრულიად ჯანმრთელად გამოიყურება, მათ სასწრაფოდ ყველანაირ ზომას მიმართეს, სისხლისმღვრელი ომისთვის სათანადოდ რომ მომზადებულიყვნენ. მათი აზრით, ახალი ხოცვა-ჟლეტა გარდაუვალი იყო.

დონის ჭეშმარიტ განზრახვას მხოლოდ და მხოლოდ ჰეიგენი ხვდებოდა. მას სრულიადაც არ გაჰკვირვებია, როდესაც დონმა ხუთივე ოჯახთან ემისრები დაგზავნა მშვიდობიანი მოლაპარაკების წინადადებით. დონ კორლეონე ნიუ-იორკის ყველა ოჯახისა და სხვა ქალაქების რჩეული ოჯახების ხელმძღვანელების მონაწილეობით კონფერენციის ჩატარებას სთავაზობდა. ნიუ-იორკის ოჯახები ქვეყანაში ყველაზე ძლევამოსილნი გახლდნენ და მათი მდგომარეობა ძალაუნებურად მთლიანად ქვეყნის მდგომარეობაზე აისახებოდა, უშუალო ზემოქმედებას ახდენდა.

ამ წინადადებას თავიდან ეჭვით შეხვდნენ. ვინ იცის, იქნებ, დონ კორლეონე ხაფანგს ამზადებდა? იქნებ, თავისი მტრები დაცვის გარეშე უნდოდა დაეტოვებინა? იქნებ, შვილის გამო შურისძიების მიზნით მასობრივი ხოცვა-ჟლეტის გამართვას აპირებდა? თუმცა ძალიან მალე დონ კორლეონემ ყველას აგრძნობინა, რომ მისი განზრახვა სავსებით გულწრფელი იყო. იგი ამ შეხვედრაზე არათუ ყველა ცნობილი ოჯახის წარმომადგენელს ეპატიჟებოდა, არამედ ერთი ნაბიჯიც კი არ გადაუდგამს იმისთვის, რომ თავისი ხალხი საბრძოლველად მოემზადებინა ან ახალი მოკავშირეები ეძებნა. ამის შემდეგ კი ისეთი რაღაც გააკეთა, რამაც ყველა საბოლოოდ დაარწმუნა, რომ მისი სურვილი მართლაც გულწრფელი გახლდათ და მომავალ დიდ კრებას არავითარი საფრთხე არ ემუქრებოდა. დონმა დახმარებისთვის ბოჩიჩიოს ოჯახს მიმართა.

ბოჩიჩიო თავისებურად უნიკალური ოჯახი გახლდათ. სიცილიაში ის მაფიის ერთ-ერთ უსასტიკეს დაჯგუფებას წარმოადგენდა, შეერთებულ შტატებში კი მშვიდობის იარაღად იქცა. ეს იყო ადამიანთა გაერთიანება, რომელიც ოდესღაც თავისი ველური სიჯიუტის ხარჯზე შოულობდა ცხოვრების სახსარს, ახლა კი, შეიძლება ითქვას, - ერთგვარი სიწმინდის ხარჯზე. ბოჩიჩიოს ოჯახის მთავარი ღირსება უმტკიცესი ნათესაური კავშირი, ოჯახური ინტერესებისადმი უპირობო ერთგულება გახლდათ, რაც უჩვეულო იყო თვით იმ საზოგადოებაშიც კი, რომელიც ოჯახის მიმართ ერთგულებას ცოლისადმი ერთგულებაზე წინ აყენებდა.

ბოჩიჩიოს ოჯახში ოდესღაც ორასამდე კაცი იქნებოდა, მესამე თაობის ბიძაშვილების ჩათვლით, რაც მათ საშუალებას აძლევდა, სიცილიის სამხრეთი ნაწილის ერთ კუთხეში გაბატონებული მდგომარეობა დაეკავებინათ. ოჯახი შემოსავალს, ძირითადად, ოთხი თუ ხუთი წისქვილისაგან იღებდა, რომელსაც ერთობლივად ფლობდნენ. ეს საქმე ოჯახის ყველა წევრს სამუშაოსა და ლუკმაპურს აძლევდა. ეს

საკმარისი გახლდათ, - ოჯახის შიდაქორწინებების გათვალისწინებით, - რომ საერთო მტრის წინააღმდეგ ერთიანი ფრონტით გამოსულიყვნენ ხოლმე.

ბოჩიჩიოს ოჯახი არავის აძლევდა უფლებას, რომ სიცილიის იმ კუთხეში, სადაც ბატონობდა, ვინმეს წისქვილი ანდა ჯებირი აეშენებინა, რაც მათ შესაძლო კონკურენტებს წყლით უზრუნველყოფდა. ერთხელ ერთმა მდიდარმა და გავლენიანმა მემამულემ საკუთარი საჭიროებისთვის წისქვილის აშენება გადაწყვიტა, მაგრამ წისქვილი დაიწვა. მემამულემ კარაბინერებსა და ხელისუფლებას მიმართა. ბოჩიჩიოს ოჯახის სამი წევრი დააპატიმრეს. სანამ სასამართლო გარჩევა დაიწყებოდა, მემამულის სახლს ცეცხლი მოედო. მემამულემ საჩივარი გაიტანა და ინციდენტი ამით ამოიწურა. რამდენიმე თვეში სიცილიაში იტალიის ცენტრალური ხელისუფლების რამდენიმე მაღალი რანგის მოხელე ჩავიდა. მათ სამხრეთ სიცილიაში წყლის ქრონიკული დეფიციტის პრობლემის გადაწყვეტა სცადეს. ამისთვის ერთი დიდი კაშხალი უნდა აშენებულიყო. რომიდან სიცილიაში ინჟინრები გაგზავნეს და მოსამზადებელი სამუშაოებიც დაიწყეს. ბოჩიჩიოს ოჯახის წევრები იდგნენ და მდუმარედ უმზერდნენ ჩამოსულებს. მიდამო პოლიციელებით აივსო, მათ საცხოვრებლად საგანგებო ბარაკებიც კი აუშენეს.

ისე ჩანდა, რომ კაშხლის აგებას ვეღარაფერი შეაფერხებდა, პალერმოში უკვე მშენებლობისთვის საჭირო მასალები და აღჭურვილობა გადმოტვირთეს, მაგრამ საქმე ამაზე შორს ვერ წავიდა. ბოჩიჩიოს ოჯახი მაფიის სხვა ოჯახების თავკაცებს დაუკავშირდა და შეიპირა, რომ მის განზრახვას მხარს დაუჭერდნენ. ერთ მშვენიერ დღეს მძიმე აღჭურვილობა დაზიანდა, მსუბუქი კი დაიტაცეს. მაფიის წარმომადგენლები პარლამენტში კაშხლის მშენებლობის ინიციატორებს თავს დაესხნენ - მათ წინააღმდეგ ბიუროკრატიული შეტევა წამოიწყეს. ეს ყველაფერი რამდენიმე წელიწადის განმავლობაში გრძელდებოდა მანამ, სანამ ხელისუფლების სათავეში მუსოლინი არ მოვიდა. დიქტატორმა ბრძანა, კაშხალი უნდა აშენდესო. თუმცა საქმე ადგილიდან მაინც არ იძვროდა. დუჩე მშვენივრად ხვდებოდა, რომ მაფია მისი რეჟიმისთვის საშიშროებას წარმოადგენდა, რადგან, ფაქტობრივად, სახელმწიფოში ცალკე სახელმწიფო იყო. მუსოლინიმ პოლიციას განსაკუთრებული უფლებები მიანიჭა და მათ პრობლემა დაპატიმრებებითა და საკატორღო სამუშაოებზე გაგზავნით გადაწყვიტეს. რამდენიმე წელიწადში მაფიის წინააღმდეგობა გატეხეს იმით, რომ აპატიმრებდნენ ყველას, ვისზეც კი ოდნავი ეჭვი მაინც არსებობდა, რომ მაფიოზია. ამის გამო მრავალი უდანაშაულო ადამიანიც დაზარალდა.

ბოჩიჩიოს ოჯახს საკმარისი ძალა არ გააჩნდა, ხელისუფლებას წინ რომ აღდგომოდა. ოჯახის მამაკაცთა ნახევარი შეიარაღებულ შეტაკებებში დაიღუპა, მეორე ნახევარი კი დააპატიმრეს და საკატორღო სამუშაოებზე გაუშვეს, კუნძულებზე გადაასახლეს. გადარჩენილებმა გადაწყვიტეს, ქვეყანა დაეტოვებინათ და ამისთვის მზადებას შეუდგნენ. კანადის გავლით ამერიკაში არალეგალურად გადასვლა ბოჩიჩიოს ოჯახიდან მხოლოდ ოციოდე კაცმა მოახერხა. ისინი ნიუ-იორკ-სიტისთან ახლოს, პატარა ქალაქ ჰადსონ-ველიში დასახლდნენ. ყველაფერი თავიდან დაიწყეს და საკმაოდ მალე მიაღწიეს იმას, რომ მფლობელები გახდნენ ნაგვის გამტანი ფირმისა, რომელსაც საკუთარი სატვირთო მანქანები ჰყავდა. წარმატება მოიპოვეს, რადგან კონკურენტები არ ჰყავდათ. კონკურენტები კი იმიტომ არ ჰყავდათ, რომ მათ

მანქანებს ცეცხლი ეკიდებოდა, ანდა იმტვრეოდა. ერთ-ერთი მათი კონკურენტი, ვინც გაბედა და ფასს დაუწია, მისსავე შეგროვებულ ნაგავში იპოვეს ჩამარხული.

როგორც ბუნების წესია, ბოჩიჩიოს მამაკაცები ცოლებს ირთავდნენ, - ცხადია, სიცილიელ ქალიშვილებს, - ბავშვებიც უჩნდებოდათ, და, მართალია, ნაგვის გატანის ბიზნესი საარსებოდ საკმარისი იყო, მაგრამ ყველა იმ სიამოვნების შეძენის საშუალებას არ იძლეოდა, რასაც ამერიკა სთავაზობდა. და, აი, მაშინ ბოჩიჩიოს ოჯახის წარმომადგენლები მაფიის ერთმანეთთან დაპირისპირებულ ოჯახებს შორის სამშვიდობო მოლაპარაკების პერიოდში ელჩებად და მძევლებად გამოვიდნენ.

ბოჩიჩიოს კლანის წარმომადგენლებს ერთგვარი გონებაშეზღუდულობა ახასიათებდათ, ანდა, უბრალოდ, პრიმიტივები იყვნენ. ასე იყო თუ ისე, მათ იცოდნენ თავიანთი შესაძლებლობები და გააცნობიერეს, რომ მაფიის სხვა ოჯახებს კონკურენციას ვერ გაუწევდნენ ისეთი საქმეების ორგანიზებასა და კონტროლში, როგორებიცაა პროსტიტუცია, აზარტული თამაშები, ნარკოტიკებით ვაჭრობა, საზოგადოებრივი თაღლითობა. ამ ხისტად მოაზროვნე ადამიანებს საპატრულო პოლიციელისთვის საჩუქრის შეთავაზება კიდევ შეეძლოთ, მაგრამ პოლიტიკოსისთვის ქრთამი როგორ მიეცათ, უკვე აღარ იცოდნენ. მათ მხოლოდ ორი უპირატესობა ჰქონდათ - ღირსების გრძნობა და სისასტიკე.

ბოჩიჩიოს კლანი არასოდეს ცრუობდა, მეგობრებს არასოდეს ღალატობდა და ეს ცხოვრებაში საკმაოდ დიდ სირთულეებს უქმნიდა. სამაგიეროდ, არც მისთვის მიყენებულ ვნებას ივიწყებდა და შურს, რაც უნდა დასჯდომოდა, აუცილებლად იძიებდა. აი, ამის წყალობით და ასე შემთხვევით მიაგნეს საქმიანობას, რომელიც მათთვის ყველაზე შემოსავლიან პროფესიად იქცა.

როდესაც ომის მდგომარეობაში მყოფი მაფიის ოჯახები სამშვიდობო მოლაპარაკებას გადაწყვეტდნენ ხოლმე, ბოჩიჩიოს კლანს უკავშირდებოდნენ. კლანის ხელმძღვანელი წინასწარ მოლაპარაკებებსა და საჭირო რაოდენობის მძევლებით უზრუნველყოფას თავის თავზე იღებდა. ასე, მაგალითად, როდესაც მაიკლი სოლოცოსთან შესახვედრად წავიდა, ერთ-ერთი ბოჩიჩიო კორლეონეს სახლში მძევლად დარჩა, რაშიც ფული, ცხადია, სოლოცომ გადაიხადა. მაიკლი რომ მოეკლათ, საპასუხოდ კორლეონეს ხალხი მძევალს მიასაღებდა. ბოჩიჩიოს ოჯახი კი სოლოცოს სამაგიეროს გადაუხდიდა, რადგან მისი მიზეზით მათი ოჯახის წევრი მოკლეს. ბოჩიჩიოს ოჯახი წევრები იმდენად პრიმიტიულები გახლდნენ, რომ შურისძიების გზაზე ვერაფერი, ვერანაირი სასჯელის შიში ვერ აჩერებდათ. ამისთვის მზად იყვნენ, საკუთარი სიცოცხლე გაეწირათ და თუკი ვინმე მოატყუებდა, შემდეგ მათგან თავდაცვის საშუალებას, უბრალოდ, ვეღარ იპოვიდა. მძევალს ბოჩიჩიოს ოჯახიდან ოქროს ფასი ედო.

და, ახლა, როდესაც დონ კორლეონემ ბოჩიჩიოს კლანი დაიქირავა მოლაპარაკების საწარმოებლად და სთხოვა, ყველა ოჯახში, რომლებიც მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ, თავისი მძევლები გაეგზავნა, მისი განზრახვის გულწრფელობაში ეჭვს ვეღარავინ შეიტანდა. ამ შემთხვევაში ღალატი უკვე გამორიცხული იყო. კრება ქორწილზე უსაფრთხო იქნებოდა.

როდესაც მძევლები ოჯახებში მივიდნენ და იქ თავიანთი ადგილი დაიკავეს, კრება ერთ-ერთი მომცრო კომერციული ბანკის სათათბირო დარბაზში გაიმართა. ბანკის

პრეზიდენტი დონის მოვალე გახლდათ, მის სახელზე გაფორმებული აქციების ნაწილი სინამდვილეში დონს ეკუთვნოდა. ბანკის პრეზიდენტს არასოდეს დაავიწყდებოდა ის დღე, როდესაც დონს აქციებზე ხელწერილის მიცემა შესთავაზა. დონი შეძრწუნდა.

- მე შენ განდობდი მთელ ჩემს ქონებას, - უთხრა მან ბანკის პრეზიდენტს, - მე შენ განდობდი ჩემს საკუთარ სიცოცხლესა და ჩემი შვილების კეთილდღეობას. ვერასოდეს დავუშვებ, რომ შეგიძლია მიღალატო. მაშინ ადამიანებისადმი ჩემი რწმენა გაცამტვერდებოდა. მე თვითონ, ცხადია, ჩანაწერები მაქვს გაკეთებული და თუკი რაღაც მომივა, ჩემს მემკვიდრეებს ეცოდინებათ, რომ შენთან მათი საკუთრება ინახება, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომც აღარ ვიყო ამქვეყნად, შენ ჩემს შვილებს არ უღალატებ, მათ ინტერესებს ყოველთვის დაიცავ.

ბანკის პრეზიდენტი, მართალია, სიცილიელი არ იყო, მაგრამ ყველაფერს ზუსტად გრძნობდა. მშვენივრად მიხვდა, რა უთხრა დონმა. ამის მერე დონის თხოვნა მისთვის ბრძანების ტოლფასი გახლდათ და შაბათს, დღისით, თავისი ბანკის დიდი, ღრმა ტყავის სავარძლებით გაწყობილი, ხმაგაუმტარი კედლების მქონე სათათბირო დარბაზი ოჯახების განკარგულებაში გადასცა.

შენობის დაცვა საგანგებოდ შერჩეული ადამიანების ჯგუფს დაევალა, რომელთაც ბანკის თანამშრომელთა ფორმები ეცვათ. შაბათს, დილის ათი საათიდან, დარბაზის შევსება დაიწყო. გარდა ნიუ-იორკის ხუთი ოჯახისა, მთელი ამერიკიდან კიდევ ათი ოჯახის წარმომადგენლები მიიწვიეს, ცხადია, ჩიკაგოს გამოკლებით, რომელიც მათ სამყაროში გარიყული, მოძულებული გახლდათ. ჩიკაგოს ცივილიზების ყოველგვარ მცდელობაზე ხელი ჩაქნეული ჰქონდათ უკვე და ესოდენ მნიშვნელოვან შეკრებაზე ის ცოფიანი ძაღლები, რაღა თქმა უნდა, არ დაუპატიჟებიათ.

სტუმრების განკარგულებაში ბარი და მომცრო ბუფეტი იყო. თათბირის ყველა მონაწილეს თან თითო თანაშემწე ჰყავდა. დონების უმეტესობამ დამხმარედ თავისი კონსილიორები წამოიყვანა, ამიტომ დარბაზში ახალგაზრდები თითქმის არ იყვნენ. ტომ ჰეიგენი იქ მყოფთაგან ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა და ერთადერთი იყო, ვინც სიცილიელი არ გახლდათ. ყველა იქ მყოფი მას თვალს ყურადღებით ადევნებდა, აკვირდებოდა.

ჰეიგენმა იცოდა, თავი როგორ უნდა დაეჭირა. იგი არ ლაპარაკობდა, არ იღიმებოდა. მუდმივად მზად იყო, ის გაეკეთებინა, რასაც თავისი დონი ეტყოდა, ემსახურებოდა მას, როგორც თავადი მეფეს: მიჰქონდა მისთვის სასმელი, უკიდებდა სიგარას, უმარჯვებდა საფერფლეს, მაგრამ ამ ყველაფერს ღირსეულად, ყოველგვარი პირმოთნეობის გარეშე აკეთებდა.

დარბაზში მყოფთაგან ჰეიგენი ერთადერთი იყო, ვინც იცოდა, ვისი პორტრეტები ეკიდა მუქი ხის ფილებით დაფარულ კედლებზე. უმეტესად, ეს სახელგანთქმული ფინანსისტების ზეთში შესრულებული პორტრეტები გახლდათ. ერთ-ერთ მათგანზე ფინანსთა მინისტრი ჰამილტონი იყო გამოსახული. ჰეიგენმა გაიფიქრა, რომ ჰამილტონი, ალბათ, სრულებითაც არ იქნებოდა წინააღმდეგი, მსგავსი შეხვედრა სწორედ კომერციული ბანკის შენობაში გამართულიყო. არაფერი ისე დამამშვიდებლად არ მოქმედებს და გონიერებისკენ არ მოუწოდებს, როგორც კაპიტალის ატმოსფერო.

კრებაზე მისვლის დროდ ათის ნახევრიდან ათამდე იყო დათქმული. პირველი სამშვიდობო მოლაპარაკების ინიციატორი, დონ კორლეონე, გამოჩნდა. მრავალ სხვა ღირსებასთან ერთად მას პუნქტუალობაც ახასიათებდა. დარბაზში მეორე კარლო ტრამონტი შევიდა, ვინც შეერთებული შტატების სამხრეთი თავის ტერიტორიად აქცია. იგი შუახნის, კარგი შესახედაობის, სიცილიელისთვის საკმაოდ მაღალი, მზეზე გარუჯული, საგულდაგულოდ გაკრეჭილ-გაპარსული და გემოვნებით ჩაცმული კაცი იყო. იტალიელს არ ჰგავდა, უფრო ილუსტრირებულ ჟურნალში გამოსახულ მილიონერს მოგაგონებდათ, თავის იახტაზე თევზაობით რომ იქცევს თავს. ტრამონტის ოჯახი ფულს აზარტული თამაშების ბიზნესით შოულობდა და ამ ოჯახის თავკაცთან შეხვედრისას ვერავინ წარმოიდგენდა, რაოდენი სისასტიკით ჰქონდა თავისი იმპერია მოპოვებული.

პატარა ბიჭი იყო, სიცილიიდან ამერიკაში რომ ჩავიდა. იქ დავაჟკაცდა, ფლორიდაში დასახლდა, სამხრეთის წვრილ-წვრილი ქალაქების პოლიტიკოსთა სინდიკატზე დაიწყო მუშაობა, რომელიც აზარტულ თამაშებს აკონტროლებდა. ამ სინდიკატში საკმაოდ მაგარი კაცები იყვნენ და პოლიციის საკმარისად მაღალი წოდების მოხელეებთანაც ჰქონდათ კავშირი. რას წარმოიდგენდნენ, რომ ვიღაც გუშინწინ გამოჩეკილი ემიგრანტი ყველაფერს წაართმევდა, მაგრამ ისინი მზად არ აღმოჩნდნენ, კარლო ტრამონტის სისასტიკისათვის სათანადო წინააღმდეგობა გაეწიათ. საჭირო ძალა ვერ დაუპირისპირეს, რადგან, მათი აზრით, ბიზნესი, რომელზე კონტროლის დასაწესებლადაც მიდიოდა ბრძოლა, ამდენ სისხლად, უბრალოდ, არ ღირდა. ტრამონტიმ პოლიციის მხარდაჭერა მოიპოვა იმით, რომ მოგების დიდ წილს შეჰპირდა და ეს ,,მაგარი ბიჭები", რომლებიც საქმეს ყოველგვარი ფანტაზიის გარეშე უდგებოდნენ, მშრალზე დატოვა. სწორედ ტრამონტი იყო ის კაცი, ვინც კუბასთან, ბატისტას რეჟიმთან საქმიანი ურთიერთობა დაამყარა, იქაურ კურორტებში ფული დააბანდა, ჰავანაში სამორინეები და საროსკიპოები გახსნა, რითიც კონტინენტიდან მრავალი აზარტული მოთამაშე მიიზიდა. ახლა ტრამონტი მულტიმილიონერი და მაიამი-ბიჩში ყველაზე ფეშენებელური სასტუმროს მფლობელი გახლდათ.

როდესაც ტრამონტი დარბაზში მასავით გარუჯულ კონსილიორისთან ერთად შევიდა, დონ კორლეონეს თანაგრძნობის გამომხატველი გამომეტყველებით გადაეხვია, იმის ნიშნად, რომ ვაჟიშვილის დაღუპვის გამო მის მწუხარებას იზიარებს.

დარბაზში ნელ-ნელა სხვა დონებიც იკრიბებოდნენ. ყველანი იცნობდნენ ერთმანეთს, სხვადასხვა ზეიმსა თუ საქმიან შეხვედრებზე ურთიერთობა მრავალჯერ ჰქონიათ. ერთმანეთს ხაზგასმული თავაზიანობით ეპყრობოდნენ, - ახალგაზრდობაში ურთიერთისთვის წვრილ-წვრილი სამსახურიც არაერთხელ გაუწევიათ.

დარბაზში შემდეგი დეტროიტელი დონი, ჯოზეფ ზალუჩი გამოჩნდა. ზალუჩის ოჯახი დეტროიტში ფლობდა იპოდრომს, სადაც არალეგალური ტოტალიზატორი მოქმედებდა. აგრეთვე, მათ განკარგულებაში მრავალი სამორინე იყო. ზალუჩის მთვარესავით მრგვალი სახე ჰქონდა, რბილი ხასიათის, გულკეთილი კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა. დეტროიტის ერთ-ერთ ყველაზე ფეშენებელურ რაიონში, გროს-პოინტში, ასი ათასი დოლარის ღირებულების სახლში ცხოვრობდა. მისმა ერთ-ერთმა ვაჟმა ძველი, ცნობილი ამერიკული ოჯახის ქალიშვილი შეირთო ცოლად. ზალუჩი, დონ კორლეონეს მსგავსად, დელიკატური კაცი გახლდათ. ფიზიკური ძალადობის შემთხვევათა რაოდენობით დეტროიტი იმ ქალაქებს შორის, რომელთაც

მაფია აკონტროლებდა, ბოლო ადგილზე იყო. ბოლო სამი წლის განმავლობაში იქ მხოლოდ ორი კაცი დასაჯეს სიკვდილით. ზალუჩი, დონ კორლეონეს მსგავსად, ნარკოტიკებით ვაჭრობის წინააღმდეგი იყო.

ზალუჩის თან კონსილიორი ჰყავდა. ორივენი დონ კორლეონესთან მივიდნენ და გადაეხვივნენ, მიუსამძიმრეს. ზალუჩის ტიპური ამერიკული როხრეხა ხმა ჰქონდა, აქცენტი თითქმის არ ეტყობოდა. დონ კორლეონეს მიმართა: - მხოლოდ შენი მოწოდება თუ მომიყვანდა აქ.

დონ კორლეონემ მადლობის ნიშნად თავი დახარა. საჭიროების შემთხვევაში, ზალუჩის მხარდაჭერის იმედი მართლაც შეიძლებოდა ჰქონოდა.

შემდეგი ორი დონი დასავლეთ სანაპიროდან მანქანით ერთად ჩამოვიდა, - ყველა საქმეში მეტად მჭიდრო თანამშრომლობა ჰქონდათ. ესენი იყვნენ ფრენკ ფალკონე და ანტონიო მოლინარი; კრებაზე მოწვეულ დონთაგან ყველაზე ახალგაზრდები ბრძანდებოდნენ, - ორმოცს ოდნავ გადაცილებულნი. ცოტა უფრო თავისუფლად ეცვათ, ვიდრე დანარჩენებს, - ჰოლივუდის გავლენა ეტყობოდათ, - და ცოტა უფრო ხმამაღლა გამოხატავდნენ მეგობრულ გრძნობებს, ვიდრე საჭირო იყო. ფალკონე კინემატოგრაფისტთა პროფკავშირებსა და იქ მოქმედ სამორინეებს აკონტროლებდა, აგრეთვე, დასავლეთის სანაპიროს საროსკიპოების „ცოცხალი საქონლით“ მომარაგებაც მის ხელში იყო. ნებისმიერი სხვა დონისთვის წარმოუდგენელი გახლდათ „შოუბიზნესმენობა“, ფალკონეს კი ამასთან უშუალო კავშირი ჰქონდა. დანარჩენი დონები მას მაინცდამაინც არ ენდობოდნენ.

ანტონიო მოლინარი სან-ფრანცისკოს პორტს აკონტროლებდა და სპორტულ ლატარიათა მთელ იმპერიას ფლობდა. წარმოშობით იტალიელი მებადურის ოჯახიდან იყო და ახლა სან-ფრანცისკოში თევზეულის საუკეთესო რესტორნის მეპატრონე გახლდათ, რომელიც, როგორც ამბობდნენ, წაგებაზე მუშაობდა, რადგან იქ დელიკატესების ფასი თვითღირებულებაზე გაცილებით ნაკლები იყო. მას ბანქოს პროფესიონალ მოთამაშესავით გაყინული, შეუვალი გამომეტყველება ჰქონდა. ცნობილი იყო, რომ იგი მექსიკის საზღვარსა და აღმოსავლეთის საოკეანო გემებით ნარკოტიკების კონტრაბანდასთან გახლდათ დაკავშირებული. ფალკონესა და მოლინარის თანაშემწეები ახალგაზრდა, მკვრივად ნაგები მამაკაცები იყვნენ, აშკარად პირადი მცველები იქნებოდნენ და არა კონსილიორები, თუმცა შეხვედრაზე იარაღით მოსვლას, რაღა თქმა უნდა, ვერ გაბედავდნენ. ყველამ იცოდა, რომ კარატეს ოსტატები იყვნენ, მაგრამ ეს დონებს ოდნავადაც არ აღელვებდათ, პირიქით, უფრო ახალისებდათ და ღიმილს ჰგვრიდათ, როგორც ვთქვათ, ღიმილს მოჰგვრიდა, კალიფორნიელი დონები რომის პაპის მსგავსად შემოსილები რომ მოსულიყვნენ შეხვედრაზე. თუმცა უნდა ითქვას, რომ დამსწრეთაგან ზოგიერთი რელიგიური ადამიანი გახლდათ და ღმერთისა სწამდა.

შემდეგი დარბაზში ბოსტონელი დონი გამოჩნდა. ერთადერთი გახლდათ, ვისაც იქ მყოფი დონები აგდებულად უყურებდნენ. მას თვით საკუთარი ქვეშევრდომებიც კი არ სცემდნენ პატივს. ყველამ იცოდა, რომ თავის ხალხს უსამართლოდ და უმოწყალოდ ექცეოდა. ამის პატიება კიდევ შეიძლებოდა, - ბოლოს და ბოლოს, ყველას თავისი სისუსტე აქვს, მაგრამ რისი პატიებაც ნამდვილად შეუძლებელი გახლდათ, ის იყო, რომ საკუთარ იმპერიაში წესრიგს ვერ ამყარებდა. ბოსტონში

მეტისმეტად ბევრი მკვლელობა ხდებოდა, ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად მეტისმეტად ბევრი წვრილ-წვრილი ომი მიმდინარეობდა, მეტისმეტად ბევრი დამოუკიდებელი, არაორგანიზებული დამნაშავე დათარეშობდა, რომლებიც ყველა დაწერილსა თუ დაუწერელ კანონს წარბშეუხრელად არღვევდნენ. თუკი ჩიკაგოში მაფია ბარბაროსებისა და ველურებისგან შედგებოდა, ბოსტონში მაფიოზები გაუთლელი ხეპრეები იყვნენ. ბოსტონელ დონს დომენიკო პანცა ერქვა. დაბალი, დაგვაჯული კაცი გახლდათ. როგორც ერთ-ერთმა დონმა შენიშნა, ბაზრის ქურდს მოგაგონებდათ.

კლივლენდის სინდიკატს, შეერთებულ შტატებში ერთ-ერთ ყველაზე მძლავრ ორგანიზაციას, რომელიც აზარტული თამაშების ბიზნესს აკონტროლებდა, გამხდარი, მგრძნობიარე სახის, ხანში შესული, თოვლივით ჭაღარა კაცი წარმოადგენდა. მას „ურიას“ ეძახდნენ, რაღა თქმა უნდა, ზურგს უკან, რადგან ებრაელი უფრო მეტი ჰყავდა დამხმარედ, ვიდრე სიცილიელი. ჭორიც კი გავრცელდა, კონსილიორად ებრაელის დანიშვნას აპირებსო. კორლეონეს ოჯახს ტომ ჰეიგენის გამო „ირლანდიულ ბანდას“ ეძახდნენ, დონ ვინსენტო ფორლენცას ოჯახს კი „ებრაულ ბანდას“, თანაც მეტი დაჟინებითაც. თუმცა კი თავის ორგანიზაციას ჩინებულად მართავდა, სისხლის დანახვისას გრძნობა არასოდეს დაუკარგავს, მიუხედავად თავისი მგრძნობიარე ნაკვთებისა. რკინისებური ხელით მართავდა, ხელით, რომელზეც თან რბილი პოლიტიკური ხელთათმანი ეცვა.

ხუთი ოჯახის წარმომადგენლები უკანასკნელები გამოჩნდნენ. ჰეიგენზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, რამდენად მედიდურად გამოიყურებოდნენ ისინი პროვინციიდან ჩამოსული დონების ფონზე. ჯერ ერთი, ხუთივე ნიუიორკელი დონი, ძველი სიცილიური ტრადიციის სრული დაცვით, „ღიპიანი“ კაცი გახლდათ, რაც ფიგურალურად იმას ნიშნავდა, რომ მათ ძალაუფლებაც აქვთ და ვაჟკაცობაც. სიცილიაში ეს ორი ცნება და ღიპი მართლაც განუყოფელია. ნიუ-იორკის ხუთივე დონი მოსული, ზორბა მამაკაცი იყო. თითოეულ მათგანს ლომივით თავი, სახის მსხვილი ნაკვთები, დიდრონი, მედიდური ცხვირი, ხორციანი ტუჩები და მსუქანი, დანაოჭებული ლოყები ამშვენებდა. მაინცდამაინც ნატიფად ჩაცმულები და გაპარსულ-გაკრეჭილები არ ყოფილან; ჩანდა, რომ საქმიანი ხალხია, ვისთვისაც უცხოა პატივმოყვარეობა და მსგავსი უაზრობები.

მათ შორის იყო ანტონიო სტრაცი, რომელიც ნიუ-ჯერსისა და მანჰეტენის ვესტ-საიდის დოკების რაიონში ბატონობდა. ნიუ-ჯერსიში აზარტულ თამაშებს აკონტროლებდა და დემოკრატიული პარტიის ფუნქციონერებთან ძალზე ახლო ურთიერთობა ჰქონდა. მძიმე სატვირთო მანქანების მთელი ფლოტილია ჰყავდა, რასაც მისთვის დიდი მოგება მოჰქონდა. პირველ რიგში, იმიტომ, რომ შეეძლო, თავისი მანქანები ზედმეტად დაეტვირთა, - არ ეშინოდა, რომ ავტოსტრადებზე გააჩერებდნენ და შეამოწმებდნენ. მძიმე სატვირთოები გზის საფარს აზიანებდნენ და მისი სამშენებლო-სარემონტო ფირმა სახელმწიფოსგან სარფიან კონტრაქტებს იღებდა გზების აღდგენაზე. ეს ისეთი ოპერაცია გახლდათ, ნებისმიერ კაცს რომ შეშურდებოდა: საქმე, რომელიც თავისთავად ახალ საქმეს შობდა. სტრაცი ძველი ყაიდის კაცი ბრძანდებოდა, პროსტიტუციის ბიზნესს არასოდეს გაჰკარებია, მაგრამ, რადგან ის დოკების რაიონს აკონტროლებდა, უნდოდა თუ არა, ნარკოტიკების კონტრაბანდასთან უშუალო კავშირი ჰქონდა. ხუთი ოჯახიდან, რომელიც

კორლეონეს ოჯახს დაუპირისპირდა, მისი ოჯახი ყველაზე ნაკლებად ძლევამოსილი, სამაგიეროდ, ყველაზე კარგად აწყობილი გახლდათ.

იმ ოჯახის სათავეში, რომელიც ნიუ-იორკის შტატის ჩრდილოეთ ნაწილს აკონტროლებდა, კანადიდან ემიგრანტები არალეგალურად გადმოჰყავდა და სამორინეებსა და ტოტალიზატორებს ფლობდა, ოტილიო კუნეო იდგა. მეფუნთუშესავით მრგვალი სახე ჰქონდა და მის ოფიციალურ საქმიანობას რძის გადამამუშავებელი ერთ-ერთი მსხვილი კომპანია წარმოადგენდა. კუნეოს ბავშვები უყვარდა და ჯიბეში მუდმივად კანფეტები ჰქონდა, თავისი მრავალრიცხოვანი შვილიშვილები ანდა კომპანიონთა ბავშვები რომ გაეხარებინა. მრგვალ ფეტრის შლაპას ატარებდა, რის გამოც სახე კიდევ უფრო მრგვალი უჩანდა. ის ერთ-ერთი იყო იმ რამდენიმე დონიდან, რომელიც არასოდეს დაეპატიმრებინათ და ეჭვიც კი არავის ჰქონდა, სინამდვილეში, რას საქმიანობდა. ასე განსაჯეთ, სამოქალაქო კომიტეტების წევრად ირჩევდნენ, მეწარმეთა პალატამ კი ,,ნიუ-იორკის შტატის წლის საუკეთესო ბიზნესმენად" დაასახელა.

ტატალიას ოჯახის უახლოესი მოკავშირე დონ ემილიო ბარზინი გახლდათ. იგი აკონტროლებდა ბრუკლინისა და ქუინსის სამორინეების ნაწილს, აგრეთვე, გარკვეულწილად, - პროსტიტუციის ბიზნესსაც. ძლიერი კაცი ეთქმოდა. სტეიტ-აილენდი მთლიანად მის ხელში იყო. ბრონქსსა და ვესტესჩერში სპორტულ ტოტალიზატორებს ფლობდა. ნარკოტიკებით ვაჭრობაშიც მონაწილეობდა. კლივლენდსა და დასავლეთ სანაპიროსთან მჭიდრო საქმიანი ურთიერთობა გააბა. იმ მცირერიცხოვან ადამიანთაგან ერთ-ერთი იყო, ვინც საკმარისად მოხერხებული გახლდათ საიმისოდ, რომ ლას-ვეგასსა და რენოში, ნევადის ღია ქალაქებში, საქმეები ეკეთებინა. ასევე, თავისი ინტერესი კუბასა და მაიამიშიც ჰქონდა. მისი ოჯახი, კორლეონეს შემდეგ, ნიუ-იორკსა და, შესაბამისად, მთელ შეერთებულ შტატებში, სიძლიერით მეორე იყო. მისი გავლენა სიცილიაზეც კი ვრცელდებოდა. ყველა სარფიან უკანონო ბიზნესში მისი ხელი იგრძნობოდა. ამბობდნენ, რომ უოლ-სტრიტთანაც იყო დაკავშირებული. ომის დაწყებისთანავე ბარზინი ტატალიას ოჯახს ფულითა და თავისი პოლიტიკური კავშირებით ეხმარებოდა. მისი ოცნება დონ კორლეონეს დამხობა და ქვეყანაში ყველაზე ძლევამოსილ დონად ქცევა იყო, კორლეონეს იმპერიის ხელში ჩაგდება სურდა. ბარზინი დონ კორლეონეს ბევრ რამეში ჰგავდა, მაგრამ უფრო თანამედროვე, უფრო გაქნილი, უფრო ბიზნესმენის ტიპი ბრძანდებოდა. ქედმაღლობითა და ამპარტავნობით მაინცდამაინც არ გამოირჩეოდა, ამიტომ მაფიის ახალგაზრდა ლიდერები ენდობოდნენ. დიდი პიროვნული ძალა ჰქონდა, თუმცა დონ კორლეონეს გულითადობა აკლდა. სათათბირო დარბაზში შეკრებილთა შორის იგი, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე დაფასებული დონი გახლდათ.

უკანასკნელი დარბაზში დონ ფილიპ ტატალია შემოვიდა, - ტატალიას ოჯახის თავკაცი, რომელმაც დონ კორლეონეს წინააღმდეგ გაილაშქრა, სოლოცოს მხარი დაუჭირა და კინაღამ წარმატებასაც მიაღწია, მაგრამ რაც უნდა უცნაური იყოს, დანარჩენი დონები მას, ცოტა არ იყოს, ზევიდან უყურებდნენ. ჯერ ერთი, ცნობილი იყო, რომ მან სოლოცოს უფლება მისცა მისთვის ეხელმძღვანელა და ,,თურქი", ფაქტობრივად, იმას აკეთებინებდა, რაც მოესურვებოდა. სწორედ ფილიპ ტატალიას მიიჩნევდნენ პასუხისმგებლად იმ ქარიშხალზე, რომელმაც ნიუ-იორკის ოჯახების მოწესრიგებული ცხოვრება თავდაყირა ამოატრიალა. თანაც, სამოცი წლის ასაკში

მექალთანედ და ჩაცმა-დახურვის დიდ მოყვარულად რჩებოდა, თავისი სისუსტეების დასაკმაყოფილებლად ყოველგვარ ზღვარს გადადიოდა.

ტატალიას ოჯახის ძირითად ბიზნესს პროსტიტუცია შეადგენდა. ღამის კლუბების უმეტესობა მთელი ქვეყნის მასშტაბით მათი გახლდათ და ქვეყნის ნებისმიერ კუთხეში ნიჭიერი შემსრულებლისთვის შეეძლო კარიერა გაეკეთებინა. ფილიპ ტატალია ძალის გამოყენებას არ ერიდებოდა, როცა კონტრაქტზე იმედის მომცემი მომღერლისა თუ კომიკოსი მსახიობის ხელმოწერა, ანდა ხმის ჩამწერ სტუდიებთან საქმის მოგვარება ესაჭიროებოდა, მაგრამ მის ძირითად საქმიანობად მაინც პროსტიტუცია რჩებოდა.

დარბაზში შეკრებილებს ფილიპ ტატალია არ უყვარდათ. მუდმივად წუწუნებდა, რომ ძალზე მცირე შემოსავალი აქვს; რომ მის ბიზნესში ძალზე დაბალი ფასებია; რომ მთელი მოგება სამრეცხაოს ხარჯებს ხმარდება (იმის თქმა კი ავიწყდებოდა, რომ სამრეცხაოც მას ეკუთვნოდა); რომ ქალები გაზარმაცდნენ, წამდაუწუმ გარბიან, თავს იკლავენ; სუტენიორები თაღლითები და უნამუსოები არიან, ერთგულების ნატამალიც კი არ გააჩნიათ; სანდო დამხმარის შოვნა ძალზე ძნელია; სიცილიელი ბიჭები ამ სამუშაოს ამრეზით უყურებენ, მათი ღირსებისთვის თურმე შეურაცხმყოფელია ქალებით ვაჭრობა... ასე რომ, ფილიპ ტატალიას გაუთავებელი წუწუნი აუტანელი მოსასმენი გახლდათ, თანაგრძნობას არანაირად არ იწვევდა. მას განსაკუთრებით ოფიციალური ხელისუფლება აღიზიანებდა, რომელსაც თავისი ნება-სურვილით შეეძლო აეკრძალა ან დაეშვა სპირტიანი სასმელების გაყიდვა, გაეხსნა ან დაეხურა მისი კუთვნილი კაბარე. ფილიპ ტატალია იფიცებოდა, რომ ჩინოვნიკებისთვის გადახდილი ფულით მან მეტი კაცი აქცია მილიონერად, ვიდრე ეს თვით უოლ-სტრიტს გაუკეთებია.

რაც უნდა უცნაური იყოს, კორლეონეს ოჯახთან ომში თითქმის მოპოვებულმა გამარჯვებამ მას კოლეგების პატივისცემა და დაფასება სრულიადაც არ შემატა. ყველას მშვენივრად მოეხსენებოდა, რომ მისი სიძლიერე სოლოცოსა და ბარზინის ოჯახის დამსახურება იყო. გარდა ამისა, მან ვერ გამოიყენა მოულოდნელი დარტყმით მიღებული უპირატესობა და ვერ მიაღწია გამარჯვებას, რაც ასევე მის წინააღმდეგ მეტყველებდა. უფრო ეფექტიანად რომ ემოქმედა, შემდგომ გართულებებს თავიდან აიცილებდნენ. დონ კორლეონეს სიკვდილი ომის დასასრულის ტოლფასი იქნებოდა.

იმის გამო, რომ დონ კორლეონემ და ფილიპ ტატალიამ ამ ომში ვაჟიშვილები დაკარგეს, ერთმანეთს მხოლოდ თავის ოდნავი დაკვრით მიესალმნენ. დონ კორლეონე ყურადღების ცენტრში გახლდათ, ყველას აინტერესებდა, რა კვალი დააჩნია, რამდენად დაასუსტა იგი ახალმოშუშებულმა ჭრილობებმა და ომში განცდილმა მარცხმა. იქ მყოფთათვის ნამდვილ გამოცანას წარმოადგენდა, რატომ მოისურვა დონ კორლეონემ მშვიდობის ჩამოგდება საყვარელი ვაჟის დაღუპვის შემდეგ. ეს დამარცხების მაუწყებელი უნდა ყოფილიყო, რაც მისი ძალაუფლების შემდგომ დასუსტებას უცილობლად გამოიწვევდა. თუმცა ყველაფერი მალე გაირკვეოდა.

ყველა ერთმანეთს მიესალმა, სასმელიც მიირთვეს, მაგრამ თითქმის ნახევარი საათი გავიდა, სანამ დონ კორლეონემ კაკლის ხის გაპრიალებულ მაგიდასთან თავისი ადგილი დაიკავა. ჰეიგენი მის ზურგს უკან, ოდნავ მარცხნივ დაჯდა, ისე, რომ

თვალში არავის მოხვედროდა. ეს სხვა დონებისთვის იმის მაუწყებელი იყო, რომ მაგიდასთან მათაც უნდა დაიკავონ ადგილები. დანარჩენი დონების კონსილიორებიც მათ ზურგს უკან ჩამოსხდნენ, საკმარისად ახლოს იმისთვის, რომ საჭიროების შემთხვევაში რჩევით დახმარებოდნენ.

სიტყვით პირველი დონ კორლეონე გამოვიდა, ისე ლაპარაკობდა, თითქოს არაფერი მომხდარიყოს - თითქოს უმძიმესად არ დაუჭრიათ, უფროსი ვაჟიშვილი არ მოუკლავთ, იმპერია თითქმის არ დაუქცევიათ, საკუთარი ოჯახი კი არ გაჰფანტვია, - ფრედი დასავლეთშია მოლინარის მფარველობის ქვეშ, მაიკლი კი სიცილიაზე იმალება. დონი, ბუნებრივია, სიცილიურ დიალექტზე ლაპარაკობდა.

- აქ მობრძანებისთვის მადლობა მინდა მოგახსენოთ, - დაიწყო მან, - ამას ვაფასებ როგორც სამსახურს, რომელიც პირადად მე გამიწიეთ, და ყოველი თქვენგანის წინაშე ამიტომ ვალში ვარ. უპირველესად უნდა გითხრათ, რომ აქ თქვენთან საკამათოდ ანდა თქვენს დასარწმუნებლად არ მოვსულვარ. მინდა, უბრალოდ, ერთად ვიმსჯელოთ და, როგორც გონიერმა ადამიანებმა, ყველაფერი გავაკეთოთ იმისთვის, ერთმანეთს მეგობრებად რომ დავშორდეთ. ამის სიტყვას გაძლევთ და ზოგიერთმა აქ მყოფმა, ვინც კარგად მიცნობს, იცის, სიტყვას ტყუილუბრალოდ არ ვიძლევი. თუმცა, ჯობია, პირდაპირ საქმეზე გადავიდეთ. აქ ყველანი ღირსეული ადამიანები ვართ და ერთმანეთისთვის თამასუქების დარიგება არ გვჭირდება.

დონმა პაუზა გააკეთა. ყველა დუმდა. ზოგიერთი სიგარას ეწეოდა, ზოგიც სასმელს წრუპავდა. ყველანი კარგი მსმენელები იყვნენ, მოთმინებაც საკმარისი ჰქონდათ. მათ კიდევ ერთი რამ ახასიათებდათ: ეს იყო ხალხი, ვინც ორგანიზებული საზოგადოების წინაშე მორჩილებაზე, - ანუ იმაზე, რომ სხვა ადამიანებს ეხელმძღვანელათ, - უარი განაცხადა. ამქვეყნად არ არსებობდა არც ძალა, არც ადამიანი, რომელიც შეძლებდა და მათი სურვილის საწინააღმდეგოდ რაიმეს გააკეთებინებდა. ეს იყო ხალხი, რომელიც თავისი ნების დამოუკიდებლობას მკვლელობებითა და გაიძვერობით იცავდა. მხოლოდ სიკვდილს შეეძლო მათი ნების დამარცხება... ან გონიერებას.

დონ კორლეონემ ამოიოხრა.

- საერთოდ, როგორ მოხდა, რომ საქმე აქამდე მივიდა? - დასვა მან რიტორიკული კითხვა, - თუმცა ამას ახლა მნიშვნელობა აღარ აქვს. ბევრი სისულელე გაკეთდა, ძალზე ბევრი. მთელი ეს უბედურება ოდნავადაც არ იყო საჭირო. მაგრამ, მოდი, მოვლენებს ისე აღვწერ, როგორც მე მათ ვხედავ.

დონი წამით დადუმდა, უნდოდა ენახა, ვინმე ხომ არ იქნებოდა იმის წინააღმდეგი, დამსწრეთათვის თავისი ხედვა რომ შეეთავაზებინა. შემდეგ განაგრძო: - მადლობა ღმერთს, ჯანმრთელობა გამომიკეთდა და ახლა შემიძლია, მთელი ძალა საქმეების მოგვარებას მოვახმარო. შესაძლოა, ჩემი შვილი მეტისმეტად სულსწრაფი, მეტისმეტად ჯიუტი იყო. მე ამას არ უარვყოფ. ასე იყო თუ ისე, სოლოცო ჩემთან საქმიანი წინადადებით მოვიდა და ფული და ჩემი პოლიტიკური კავშირების გამოყენების უფლება მთხოვა. მითხრა, რომ ტატალიას ოჯახი უკვე დააინტერესა. საქმე ეხებოდა ნარკოტიკებს, რასაც მე, როგორც მოგეხსენებათ, არ ვცნობ. მე მშვიდი ადამიანი ვარ და ასეთი სარისკო წამოწყებანი არ მიტაცებს. ეს ყველაფერი სოლოცოს წყნარად ავუხსენი, ისე, რომ არც მისი და არც ტატალიას ოჯახის ღირსება არ შემილახავს. უარი თავაზიანობის სრული დაცვით ვუთხარი. ვთქვი, რომ მისი

ბიზნესი ჩემსას ხელს არ შეუშლის და რომ მე არა ვარ წინააღმდეგი, თუკი ამ გზით სურს ფულის შოვნა, ნება მისია. მან კი ეს ყველაფერი ცუდად მიიღო და ჩვენ, ყველას, თავს ნამდვილი უბედურება დაგვატეხა, მაგრამ, რას იზამ, ასეთია ცხოვრება. აქ მყოფთაგან ყველას შეუძლია გამოვიდეს და გვითხრას, თვითონ როგორ ხედავს ამ სამწუხარო ამბავს. თუმცა ჩემი მიზანი ეს არ გახლავთ.

დონ კორლეონემ პაუზა გააკეთა და ჰეიგენს ანიშნა, გამაგრილებელი სასმელი მომაწოდეო. მანაც ჭიქა სასწრაფოდ მიართვა. დონმა პირი გაისველა.

- მინდა, მშვიდობა დავამყარო, - თქვა დონ კორლეონემ, - ტატალიამ ვაჟიშვილი დაკარგა, ასევე - მეც. ბარი ბარში ვართ. სადამდე მივა სამყარო, თუკი ადამიანები უგუნურ მტრობას არასოდეს მოიშლიან? ეს სიცილიის ნამდვილი უბედურებაა, მამაკაცები იმდენად არიან სისხლის აღებით დაკავებულნი, ოჯახებისთვის ლუკმაპურის შოვნის დრო აღარც კი რჩებათ. ეს სიბრიყვეა. მე გთავაზობთ, ისევ ძველ მდგომარეობას დავუბრუნდეთ. ჩემი შვილის მკვლელებზე შურის საძიებლად არაფერს მოვიმოქმედებ. თუკი მშვიდობა იქნება, ამას აღარ ვეცდები... კიდევ ერთი შვილი მყავს, რომელიც ქვეყანაში ვერ ბრუნდება და ყველაფერი უნდა გავაკეთო, რომ ხელისუფლებამ მისი დევნა არ დაიწყოს, როდესაც ჩამოვა. თუკი ამაზე შევთანხმდებით, დანარჩენ საკითხებზე, რაც კი გვაინტერესებს, მოლაპარაკებას შევძლებთ და ამით საკუთარ თავს მშვენიერ სამსახურს გავუწევთ, - დონ კორლეონემ ხელით ფართო ჟესტი გააკეთა, - აი, ყველაფერი, რისი თქმაც მსურდა.

ყველაფერი მართლაც შესანიშნავად ითქვა. კრების წინაშე ისევ ის ძველი დონ კორლეონე იდგა - გონიერი, მოქნილი, თავაზიანი. ყველა იქ მყოფი მიხვდა, დონ კორლეონეს განცხადება ჯანმრთელობის გაუმჯობესების შესახებ იმას ნიშნავდა, რომ ანგარიში უნდა გაუწიონ, მიუხედავად იმისა, რომ მის ოჯახს ამდენი უბედურება დაატყდა თავს. განსაკუთრებული ყურადღება იმ გარემოებას მიაქციეს, რომ დონმა პირდაპირ გააფრთხილა, სანამ მშვიდობის საკითხი არ გადაწყდებოდა, სხვა რამეზე ლაპარაკს აზრი, უბრალოდ, არ ჰქონდა. ისიც გაითვალისწინეს, რომ დონ კორლეონე ძველი სტატუს კვოს აღდგენას ითხოვდა, - ასე რომ, მიუხედავად ყველა განცდილი წარუმატებლობისა, დამარცხებას არ აპირებდა.

დონ კორლეონეს ტატალიამ კი არა, დონ ემილიო ბარზინიმ უპასუხა. ერთობ ხისტად და საქმიანად ლაპარაკობდა, მაგრამ უხეშობისა თუ შეურაცხყოფის გარეშე.

- ეს ყველაფერი მართალია, - თქვა მან, - მაგრამ რაღაც კიდევ მინდა დავუმატო. დონ კორლეონე მეტისმეტად თავმდაბლობს. ფაქტია, რომ სოლოცო და ტატალია, დონ კორლეონეს დახმარების გარეშე, საქმეს ვერ დაიწყებდნენ. მისმა უარმა მათ ზიანი მიაყენა. ეს, რაღა თქმა უნდა, მისი ბრალი არ არის. თუმცა ფაქტი ფაქტად რჩება, მოსამართლეები და პოლიტიკოსები, რომლებიც დონ კორლეონეს კეთილგანწყობით სარგებლობენ, მხოლოდ მის აზრს გაუწევენ ანგარიშს, თუნდაც საქმე ნარკოტიკებს შეეხოს. სოლოცო საქმეს ვერ დაიწყებდა, იმის გარანტია რომ არ ჰქონოდა, მის ხალხს რაც შეიძლება რბილად მოეპყრობოდნენ. ეს ჩვენ, ყველას, კარგად მოგვეხსენება. ასე რომ არ იყოს, დღემდე არაფრის მაქნისი ღარიბ-ღატაკები ვიქნებოდით. ახლა, როდესაც მოსამართლეებმა და საოლქო პროკურორებმა სასჯელი ნარკოტიკებით ვაჭრობაზე მაქსიმალურად გაამკაცრეს, ამას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს. როცა ჩვენი კაცი ციხეში მოხვდება, გინდ სიცილიელი იყოს, თუკი ოც წელს

მიუსჯიან, შეიძლება, ომერტას კანონი დაარღვიოს და ყველაფერი დაფქვას, რაც კი იცის. ამის დაშვება კი არაფრით არ შეიძლება. დონ კორლეონე მთელ ამ აპარატს აკონტროლებს. მის უარს ვერ განვიხილავთ, როგორც მეგობრულ აქტს. ის ამით ჩვენს ოჯახებს ლუკმას ართმევს. დროება შეიცვალა, ახლა უკვე შეუძლებელია ყველამ იმ გზით ვიაროთ, რომლითაც მოგვესურვება. თუკი დონ კორლეონეს ჯიბეში ნიუ-იორკის ყველა მოსამართლე უზის, ამით სარგებლობის საშუალება ჩვენც უნდა მოგვცეს. რაღა თქმა უნდა, ამ სამსახურში შესაბამისი გასამრჯელო შეუძლია მოითხოვოს, ბოლოს და ბოლოს, კომუნისტები კი არა ვართ. თავისი ჭიდან წყალი ჩვენც უნდა დაგვალევინოს. ეს ყველაფერი ძალზე მარტივია.

როდესაც ბარზინიმ სიტყვა დაასრულა, დუმილმა დაისადგურა. ყველაფერი ითქვა და ძველი სტატუს კვოს აღდგენა შეუძლებელი ჩანდა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ბარზინის სიტყვებში ის იყო, რომ მან მიანიშნა: თუკი მშვიდობის მიღწევა შეუძლებელი აღმოჩნდებოდა, ტატალიას ოჯახს კორლეონეს წინააღმდეგ ომში აშკარად დაუჭერდა მხარს. მისმა სიტყვამ შთაბეჭდილება მოახდინა. დარბაზში მყოფთა სიცოცხლე და კეთილდღეობა ბევრწილად ერთმანეთისთვის გაწეულ სამსახურზე იყო დამოკიდებული და თხოვნაზე უარის თქმა, როგორც წესი, მტრულ ნაბიჯად აღიქმებოდა. სამსახურის გაწევის თაობაზე თხოვნა ადვილი არ გახლდათ და, ასევე, არც უარის თქმა შეიძლებოდა ხელაღებით.

საბოლოოდ, დონ კორლეონე საპასუხო სიტყვით გამოვიდა.

- მეგობრებო, - თქვა მან, - უარი ბოროტი გულით არ მითქვამს. ყველანი კარგად მიცნობთ. განა ვინმესთვის სამსახურის გაწევაზე ოდესმე უარი მითქვამს? ეს, უბრალოდ, ჩემს ხასიათში არ ზის, მაგრამ ამჯერად იძულებული ვიყავი, ასე გამეკეთებინა, რადგან მიმაჩნია, რომ ნარკოტიკების ბიზნესი უახლოეს წლებში ყველას დაგვღუპავს. ნარკოტიკებით ვაჭრობის წინააღმდეგ ამ ქვეყანაში განსაკუთრებით უარყოფითი განწყობა არსებობს. ეს არც ვისკია, არც აზარტული თამაშები და არც პროსტიტუცია. ნარკოტიკები ყველასთვის ხიფათის მომტანია, ვინც კი ამ საქმეს რამენაირად დაუკავშირდება. ამან ყველა სხვა ბიზნესი შეიძლება დაღუპოს. პირდაპირ გეტყვით, მსიამოვნებს, რომ მოსამართლეებსა და სახელმწიფო მოხელეებზე გავლენის თვალსაზრისით ესოდენ ძლევამოსილი გგონივართ, და ვისურვებდი, ეს მართლაც ასე ყოფილიყოს. განსაზღვრული გავლენა ნამდვილად მაქვს, მაგრამ იმ ადამიანთა უმეტესობა, ვინც ჩემს რჩევას ყურს უგდებს, ჩემდამი ყოველგვარ პატივისცემასა და ინტერესს დაკარგავს, თუკი ჩვენს ურთიერთობაში ნარკოტიკები ჩაერევა. მათ ამ ბიზნესში გარევისა სასტიკად ეშინიათ და ამ თვალსაზრისით მათი პრინციპები ერთობ მტკიცეა. პოლიციელებიც, რომლებიც აზარტულ თამაშებსა და სხვა საქმეებში ხელს გვიწყობენ, დახმარებაზე უმალ უარს გვეტყვიან, როგორც კი ლაპარაკი ნარკოტიკებზე ჩამოვარდება. ასე რომ, ამგვარ საქმეში ჩემთვის დახმარების თხოვნა იმის ტოლფასია, საკუთარ თავს დარტყმა მივაყენო, მაგრამ ამაზეც კი მზად ვარ წავიდე, თუკი მიგაჩნიათ, რომ ეს სწორია და აუცილებელი, ოღონდ, რასაკვირველია, იმ შემთხვევაში, თუ სხვა საკითხებზე შევთანხმდებით.

როდესაც დონ კორლეონემ გამოსვლა დაასრულა, ატმოსფერო დარბაზში საგრძნობლად განიმუხტა, ხმადაბალი, ჯვარედინი გადალაპარაკება გაიმართა. უმთავრეს საკითხში დონმა პოზიცია დათმო. იგი ამიერიდან ნებისმიერ

ორგანიზაციას, რომელიც ნარკოტიკებით ვაჭრობას დაიწყებდა, თავის მფარველობას სთავაზობდა. ფაქტობრივად, იგი სოლოცოს წინადადებას თანხმდებოდა, თუკი იქ შეკრებილი დონები მის მოთხოვნას მხარს დაუჭერდნენ. აგრეთვე, ყველასთვის ცხადი გახლდათ, რომ უშუალოდ ოპერაციებში მონაწილეობას არ მიიღებდა და არც ფულს დააბანდება ნარკოტიკებში. მხოლოდ სასამართლო ორგანოებში თავის გავლენას გამოიყენებდა. თუმც მისი მხრიდან ესეც უდიდესი დათმობა იყო.

საპასუხო სიტყვით ლოს-ანჯელესელი დონი, ფრენკ ფალკონე გამოვიდა.

- ჩვენ არავითარი საშუალება არ გაგვაჩნია, ამ ბიზნესში ჩვენი ხალხის შესვლას წინ რომ აღვუდგეთ, - თქვა მან, - ისინი ამას რისკის ფასად აკეთებენ და მერე ხათაბალაში ეხვევიან. ნარკოტიკებში ძალზე დიდი ფულია და ამ ცდუნებას ვერ უძლებენ. ამიტომ ჩვენთვის უფრო საშიში იქნება, თუკი ამ საქმეში არ შევალთ. ამ საქმეზე კონტროლს თუ დავამყარებთ, უფრო კარგ ორგანიზებასა და დაცვას უზრუნველვყოფთ, ეს, საბოლოოდ, ნაკლებ უბედურებას მოგვიტანს. მენდეთ, ამ საქმეში ყოფნა არც ისე ცუდია; საჭიროა მხოლოდ კონტროლი, ორგანიზება, დაცვა. ჩვენ ვერ მივცემთ უფლებას ყველას, ის აკეთოს, რაც მოეპრიანება, ბოლო-ბოლო, ანარქისტების ბანდა ხომ არა ვართ.

დეტროიტელი დონი, რომელიც იქ მყოფთაგან დონ კორლეონეს მიმართ ყველაზე მეგობრულად იყო განწყობილი, ახლა, ფაქტობრივად, მისი პოზიციის საწინააღმდეგოდ გამოვიდა.

- მე ნარკოტიკებისა არ მჯერა, - თქვა მან, - მრავალი წლის განმავლობაში ჩემს ხალხს დამატებით ფულს ვუხდიდი, ამ ბიზნესს რომ არ გაჰკარებოდნენ, მაგრამ მაინც არაფერმა უშველა. ქუჩაში ვიღაც აჩერებს და ეუბნება: „ფხვნილი მაქვს, თუკი ამ საქმეში სამი-ოთხი ან ხუთი ათას დოლარს ჩადებ, ორმოცდაათი ათასს მოიტანს“. ასეთი მოგების საცდურს, აბა, ვინ გაუძლებს? თანაც, ამ გვერდითი საქმიანობით ისე არიან ხოლმე მერე გატაცებულნი, ძირითადი საქმე, რაშიც ფულს ვუხდი, უბრალოდ, ავიწყდებათ. წამალში ყველაზე დიდი ფულია. თანაც, მუდმივად მატულობს და, რადგან ამ ბიზნესს ვერაფერს მოვუხერხებთ, კონტროლი ხელში უნდა ავიღოთ და რესპექტაბელურად ვაქციოთ, რამდენადაც კი შესაძლებელია. მაგრამ მე არ მინდა, ნარკოტიკებით სკოლების გვერდით ვაჭრობდნენ, რომ მათ ბავშვები ყიდულობდნენ. ეს უდიდესი სირცხვილი იქნება. ვეცდები, ჩემს ქალაქში ნარკოტიკებით ვაჭრობა მხოლოდ შავებს, ფერადკანიანებს შორის მიდიოდეს. ისინი საუკეთესო კლიენტები არიან, მათთან ხათაბალაც ნაკლებია და, ბოლოს და ბოლოს, ისინი ხომ ცხოველები არიან. პატივს არ სცემენ არც თავიანთ ცოლებს, არც თავიანთ ოჯახებს და არც საკუთარ თავს. ჯანდაბამდე გზა ჰქონიათ, დაიღუპონ თავი ნარკოტიკებით, მაგრამ ჩვენ აუცილებლად რაღაც უნდა მოვიმოქმედოთ, რადგან ვერავის მივცემთ უფლებას, ის აკეთოს, რაც მოეხასიათება და ამით მის გვერდით მყოფ ადამიანებს საფრთხე შეუქმნას.

დეტროიტელი დონის სიტყვას ყველა მოწონებით შეხვდა, რაც ხმამაღალი ჩურჩულით გამოიხატა. მან საერთო სათქმელს თითქოსდა წერტილი დაუსვა. შეუძლებელია, შენს ხალხს იმდენი უხადო, ნარკოტიკებით ვაჭრობას რომ არ გაეკარონ. რაც შეეხება ბავშვებზე მის ნათქვამს, ეს მისი, საყოველთაოდ ცნობილი, გულკეთილობისა და მგრძნობელობის გამოვლინებად მიიჩნიეს. განა შეიძლება,

ვინმემ ბავშვებს ნარკოტიკები მიჰყიდოს? ან თუნდაც, საამისო ფული საიდან ექნებათ? რაც შეეხება ფერადკანიანებზე მის ნათქვამს, ამას, უბრალოდ, ყურადღება არ მიაქციეს. ზანგებს არავინ არაფრად აგდებდა, ისინი სათვალავში მისაღებნიც კი არ იყვნენ. ის ფაქტი, რომ მათ საზოგადოებას უფლება მისცეს, ფეხქვეშ გაეგო და გაეთელა, მეტყველებდა, რომ, უბრალოდ, არარაობანი არიან. მათი ხსენება მხოლოდ იმის მიმანიშნებელი უნდა ყოფილიყო, რომ დეტროიტელი დონი მთავარს მეორეხარისხოვნისგან ვერ ასხვავებდა.

შემდეგ ყველა დონმა სათითაოდ ილაპარაკა. ყველა თანხმდებოდა, რომ ნარკოტიკებით ვაჭრობა ცუდი რამეა, რასაც მრავალი უბედურების მოტანა შეუძლია, მაგრამ, ამავე დროს, ყველა ერთი აზრისა იყო, რომ ნარკოტიკებით ვაჭრობაზე კონტროლი უნდა დააწესონ. ამ საქმეში ძალზე დიდი ფულის შოვნა შეიძლებოდა და ყოველთვის გამოჩნდებოდნენ ადამიანები, რომლებიც, უმკაცრესი ბრძანებისა თუ აკრძალვის მიუხედავად, ამ საქმეს მაინც დაიწყებდნენ. რას იზამ, ასეთია ადამიანის ბუნება.

საბოლოოდ, შეთანხმებას მიაღწიეს. ნარკოტიკებით ვაჭრობა უნდა დაუშვან და დონ კორლეონემ აღმოსავლეთში კანონის წინაშე მისი დაცვა უნდა უზრუნველყოს. ცხადი იყო, ყველაზე მსხვილმასშტაბიან ოპერაციებს ბარზინისა და ტატალიას ოჯახები ჩაატარებდნენ. როდესაც ამ უმნიშვნელოვანეს საკითხზე შეთანხმებას მიაღწიეს, იქ დამსწრეთათვის სხვა, არანაკლებ საინტერესო საკითხების განხილვაზე გადავიდნენ. არაერთი რთული პრობლემა ჰქონდათ გადასაჭრელი. გადაწყდა, რომ ლას-ვეგასი და მაიამი ღია ქალაქებად გამოეცხადებინათ, სადაც მაფიის ნებისმიერ ოჯახს მოქმედების უფლება ექნებოდა. ყველა აღიარებდა, რომ ეს მომავლის ქალაქები იყო. ასევე შეთანხმდნენ, რომ ამ ქალაქებში არანაირ ძალადობას ადგილი აღარ უნდა ჰქონოდა და იქ მოქმედი ყველა სახის წვრილ-წვრილი კრიმინალი თავიდან უნდა მოეშორებინათ. მოილაპარაკეს იმაზეც, რომ ისეთი მკვლელობები, რომლებსაც შეიძლებოდა, საზოგადოების მძაფრი რეაქცია მოჰყოლოდა, კრების თანხმობის გარეშე აღარ უნდა მომხდარიყო. შეთანხმდნენ, - ოჯახების „ჯარისკაცებს“ ერთმანეთთან იარაღით ანგარიშსწორების უფლება ერთმეოდათ. მოილაპარაკეს, რომ, საჭიროების შემთხვევაში, ერთმანეთს სამსახურს გაუწევდნენ: ვთქვათ, გაუგზავნიდნენ პროფესიონალ მკვლელებს, გაუწევდნენ ერთგვარ ტექნიკურ დახმარებას, მოისყიდდნენ ნაფიც მსაჯულებს, რასაც, ზოგ შემთხვევაში, სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა ხოლმე. ამ დისკუსიამ და უმაღლესი დონის მოლაპარაკებამ ბევრი დრო წაიღო და დროებით შეწყდა ლანჩისათვის, რომელიც იქვე ბარში მიირთვეს.

ბოლოს და ბოლოს, დონ ბარზინიმ კონფერენციის დასრულება გადაწყვიტა.

- მაშ ასე, ყველაფერზე მოვილაპარაკეთ, - თქვა მან, - დავამყარეთ მშვიდობა, ახლა ნება მომეცით, გამოვხატო ჩემი პატივისცემა დონ კორლეონესადმი, რომელსაც მრავალი წლის განმავლობაში ვიცნობთ, როგორც სიტყვის კაცს. თუკი მომავალში ახალი აზრთა სხვაობა წარმოიქმნება, კიდევ შეიძლება შევიკრიბოთ, ძველ სისულელეებს აღარ გავიმეორებთ. ჩემი აზრით, ჩვენ მიერ არჩეული გზა საუკეთესოა. მოხარული ვარ, რომ ყველაფერი მოგვარდა.

მხოლოდ ფილიპ ტატალია, ცოტა არ იყოს, შეწუხებული ჩანდა. სანტინო კორლეონეს მკვლელობამ იგი ამ ჯგუფში უპირველეს სამიზნედ აქცია მომავალ შესაძლო ომში. იგი კრებაზე ვრცელი სიტყვით პირველად გამოვიდა.

- მე დავეთანხმე ყველაფერს, რაც აქ ითქვა, მზად ვარ, დავივიწყო ჩემი პირადი მწუხარება, - თქვა მან, - მაგრამ დონ კორლეონესგან გარანტიები მინდა მივიღო. ინდივიდუალურ შურისძიებას ხომ არ აპირებს? ხომ არ დაივიწყებს დღევანდელ შეთანხმებას, როცა დრო გავა და მისი პოზიციები, შესაძლოა, განმტკიცდეს? იქნებ, სამი-ოთხი წლის მერე მოეჩვენოს, რომ ეს ხელშეკრულება ძალით მოახვიეს თავს და, ამდენად, შეუძლია აღარ დაიცვას? ერთმანეთს მუდმივად უნდა ვერიდოთ? თუ მშვიდობიან ცხოვრებას დაწყნარებული გულით შეგვიძლია შევუდგეთ? შეუძლია, დონ კორლეონეს ისეთი გარანტიები მომცეს, როგორსაც მე ვაძლევ?

ამის საპასუხოდ დონ კორლეონემ წარმოთქვა სიტყვა, რომელიც სამუდამოდ დაამახსოვრდათ და რომელმაც კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ იქ მყოფთა შორის იგი ყველაზე შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსია; კეთილგონიერი და გულწრფელი, კაცი, რომელიც საქმის გულისგულსა ჭვრეტს. გარკვეული გაგებით, მან ისეთივე ცნობილი სიტყვა წარმოთქვა, როგორიც ჩერჩილის სახელგანთქმული „რკინის ფარდა“ გახლდათ, თუმცა ფართო საზოგადოებისათვის ის მხოლოდ ათი წლის შემდეგ გახდა ცნობილი.

კრების განმავლობაში დონ კორლეონე სიტყვის სათქმელად პირველად წამოდგა ფეხზე. გადატანილი „ავადმყოფობის“ შემდეგ თვალში საცემად გამხდარიყო და თითქოს სიმაღლეც მოჰკლებოდა. შესაძლოა, ეს თან ასაკის (სამოცი წლისა ბრძანდებოდა) ბრალიც გახლდათ, თუმც კი აშკარად ჩანდა, ადრინდელი ძალა და გამჭრიახობა სრულად დაჰბრუნებოდა.

- რაღა ადამიანები ვიქნებოდით, გონება რომ არ გვიჭრიდეს, - დაიწყო მან, - მაშინ ველურ მხეცებს დავემსგავსებოდით, ჯუნგლებში რომ დაძრწიან, მაგრამ ჩვენ ხომ განსჯის უნარს ვფლობთ, შეგვიძლია, ერთმანეთსა და საკუთარ თავსაც რჩევა ვკითხოთ. რისი გულისთვის შეიძლება მინდოდეს იმ ძველ უბედურებას, ძალადობასა და ქაოსს რომ დავუბრუნდეთ? ჩემი შვილი დაიღუპა და ეს ჩემი პირადი უბედურებაა. მე თვითონ უნდა ვზიდო ეს ტვირთი, მთელი სამყარო კი არ ვაიძულო, ჩემთან ერთად იტანჯებოდეს. და მე გაძლევთ სიტყვას, კაცურ სიტყვას, რომ შურს არ ვიძიებ, არც იმის გარკვევას ვეცდები, ვინ რა მოიმოქმედა წარსულში და ამ კრებიდან სუფთა გულით წავალ.

ნება მომეცით, შეგახსენოთ, ჩვენს ინტერესებზე უნდა ვიზრუნოთ. ჩვენ ვართ ადამიანები, ვინც უარი ვთქვით, გაბრიყვებული მარიონეტები ვიყოთ, ზემდგომები რომ მართავენ. ამ ქვეყანაში გაგვიმართლა. ჩვენი შვილების უმეტესობამ უკეთესი ცხოვრება ნახა. ზოგიერთ თქვენგანს ჰყავს შვილები, რომლებიც პროფესორები, მეცნიერები, მუსიკოსები გახდნენ და თვით თქვენც გაგიღიმათ ბედმა. შესაძლოა, თქვენი შვილიშვილები კიდევ უფრო მსხვილი კალიბრის მოღვაწეები გამოვიდნენ. აქ მყოფთაგან არავის უნდა, რომ ჩვენმა შვილებმა ჩვენი გზით იარონ, ეს მეტისმეტად მძიმე ცხოვრებას ნიშნავს. ჩვენს შვილებს შეუძლიათ, ისეთები გახდნენ, როგორებიც სხვები არიან ამ ქვეყანაში, მათ უსაფრთხოება და საზოგადოებრივი მდგომარეობა ჩვენი გამბედაობის ხარჯზე მოვუპოვეთ. მე შვილიშვილები მყავს და ვიმედოვნებ,

ერთ მშვენიერ დღეს მათი შვილები გახდებიან გუბერნატორები, რომელიმე მათგანი კი, სულაც, პრეზიდენტი. აქ, ამერიკაში, ყველაფერი შესაძლებელია, მაგრამ ცხოვრებას ფეხი უნდა ავუწყოთ. პისტოლეტების, მკვლელობისა და ხოცვა-ჟლეტის დრო წარსულს ჩაჰბარდა. ბიზნესმენური ეშმაკობა გვჭირდება; ბიზნესში მეტი ფულია და ეს ჩვენი შვილებისა და შვილიშვილებისთვისაც უმჯობესია.

რაც შეეხება ჩვენს საქმეებს, ჩვენ პასუხს არ ვაგებთ იმ მსხვილი კალიბრის მოღვაწეებზე, რომლებიც ჩვენს მაგივრად წყვეტენ, რა უნდა ვაკეთოთ, რომლებიც ჩვენ შორის ომს ჩვენს ნაცვლად აცხადებენ ხოლმე, რადგან ამ გზით ცდილობენ დაიცვან ის, რასაც ფლობენ. ვინა თქვა, რომ უნდა დავემორჩილოთ მათ კანონებს, საკუთარი ინტერესების დასაცავად და ჩვენს საზიანოდ რომ გამოიგონეს? ვინ არიან, რას წარმოადგენენ, ჩვენს საქმეებში რომ ერევიან? ჩვენს სამყაროს ჩვენ თვითონ მოვუვლით, რადგან ეს ჩვენი სამყაროა - ,,კოზა ნოსტრა". ასე რომ, ერთად უნდა დავდგეთ, გარეშე შემოტევისგან თავი რომ დავიცვათ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ცხვირში რკინის რგოლს გამოგვაბამენ, როგორც მილიონობით ნეაპოლიტანელსა და სხვა იტალიელს გაუკეთეს ამ ქვეყანაში.

ამიტომ საერთო საქმის სასიკეთოდ შურისძიებაზე უარს ვამბობ. ფიცს ვდებ, რომ, სანამ ჩემი ოჯახის მოქმედებაზე პასუხისმგებელი მე გახლავართ, აქ მყოფთაგან თითსაც კი არავის დავაკარებთ, თუკი ამის სამართლიანი მიზეზი არ გაჩნდება ან აშკარა პროვოკაციას არ მოგვიწყობენ. საერთო საქმეს ჩემს კომერციულ ინტერესზე მაღლა ვაყენებ. კაცურ სიტყვას გაძლევთ და თქვენ კარგად მოგეხსენებათ, ჩემი სიტყვისათვის არასოდეს მიღალატია.

მაგრამ მე ჩემი კერძო ინტერესიც მამოძრავებს. ჩემი უმცროსი ვაჟი იძულებული გახდა, ქვეყანა დაეტოვებინა, რადგან სოლოცოსა და იმ პოლიციის კაპიტნის მკვლელობა დააბრალეს. ახლა უნდა ვიზრუნო იმაზე, რომ უსაფრთხოდ დაბრუნება შეძლოს და ამ ყალბი ბრალდებისგან გათავისუფლდეს. ეს ჩემი საქმეა და ამისთვის, რაც საჭიროა, ყველაფერს გავაკეთებ. შესაძლოა, ნამდვილი მკვლელების მოძებნა დამჭირდეს, შესაძლოა, ხელისუფლების დარწმუნებაც, რომ ჩემი ვაჟი უდანაშაულოა. შესაძლოა, ცრუმოწმეებმა უკან წაიღონ თავიანთი ჩვენებები, მაგრამ ვიმეორებ, ეს ჩემი საქმეა და იმედი მაქვს, ჩემი შვილის სახლში დაბრუნებას შევძლებ.

დამატებით კიდევ რაღაც მინდა გითხრათ. შესაძლოა, სასაცილო სისუსტედ მოგეჩვენოთ, მაგრამ ცრუმორწმუნე კაცი ვარ და, თუ ჩემს უმცროს ვაჟს რაიმე უბედურება შეემთხვევა, - ვთქვათ, პოლიციის ოფიცერს უცაბედად შემოაკვდება ან საკანში თავს ჩამოიხრჩობს, ან ახალი მოწმეები გამოჩნდებიან, რომლებიც დაიწყებენ მტკიცებას, რომ იგია ნამდვილი მკვლელი, - ჩემი ცრუმორწმუნე გონება მიკარნახებს, რომ ეს აქ მყოფი ზოგიერთი ადამიანის არაკეთილმოსურნეობის შედეგია. ჩემს შვილს მეხი რომ დაეცეს და მოკლას, ამაშიც კი ზოგიერთ აქ მყოფს დავადანაშაულებ. თუკი ჩემი ვაჟის თვითმფრინავი ზღვაში ჩავარდება, თუკი მისი გემი ოკეანის ფსკერზე აღმოჩნდება, თუკი სასიკვდილო ციებ-ცხელება შეეყრება ან მის მანქანას მატარებელი შეეჯახება, ჩემი ცრუმორწმუნე გონება ამაშიც ზოგიერთ აქ მყოფს დაადანაშაულებს. ბატონებო, ამ არაკეთილმოსურნეობას ან, თუ გნებავთ, უიღბლობას, ვერასოდეს გაპატიებთ, მაგრამ, ამის გარდა, სხვა არაფერი მაიძულებს ჩვენი სამშვიდობო ხელშეკრულება დავივიწყო. ნუთუ ჩვენ არ ვჯობივართ იმ მსხვილი კალიბრის

პოლიტიკოსებს, რომლებმაც მილიონობით ადამიანი დაღუპეს მხოლოდ ამ ჩვენს ერთ თაობაში?

დონ კორლეონე ამ სიტყვებით თავისი ადგილიდან დაიძრა და დონ ფილიპ ტატალიასკენ გაემართა. ტატალია წამოდგა და მიეგება, ერთმანეთს გადაეხვივნენ და გადაკოცნეს. სხვა დონებიც ფეხზე ადგნენ და ტაში დაუკრეს, მერე დონ კორლეონესა და ფილიპ ტატალიასთან სათითაოდ მივიდნენ, ხელი ჩამოართვეს, დამეგობრება მიულოცეს. მათი მეგობრობა, შესაძლოა, მაინცდამაინც მხურვალე არ ყოფილიყო, ერთმანეთისთვის საშობაო საჩუქრები არ გაეგზავნათ, სამაგიეროდ, არც მკვლელებს მიუგზავნიდნენ ურთიერთს. მათ სამყაროში კი ეს სავსებით საკმარისი გახლდათ.

რადგან ფრედი ნევადაში მოლინარის ოჯახის მფარველობის ქვეშ იმყოფებოდა, დონ კორლეონე სან-ფრანცისკოელ დონთან მივიდა, მადლობა რომ ეთქვა. მოლინარიმ საპასუხოდ რამდენიმე სიტყვა უთხრა დონ კორლეონეს. ეს საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ დონს დასკვნა გაეკეთებინა, ფრედიმ ნევადაში თავისი თავი იპოვა, ბედნიერია და ლამისაა, მექალთანედაც კი იქცეს. როგორც ჩანს, ფრედი ოტელის მენეჯერობას კარგად შეძლებდა. დონ კორლეონემ გაოცებით გადააქნია თავი, როგორც მამებმა იციან, როდესაც საკუთარი შვილების დაფარულ ნიჭზე შეიტყობენ ხოლმე. როგორც ამბობენ, დიდ უბედურებას ზოგჯერ მოულოდნელი სიხარულიც მოაქვს ხოლმე და განა ეს მართალი არ არის? ორივე დონი ამ მოსაზრებას დაეთანხმა. დონ კორლეონემ სან-ფრანცისკოელ დონს პირდაპირ უთხრა, რომ, ფრედიზე მზრუნველობის გამო, მის წინაშე თავს მოვალედ გრძნობს.

უკვე გვარიანად მოსაღამოებული იყო, როდესაც დონ კორლეონე და ტომ ჰეიგენი ლონგ-ბიჩის ხეივანში დაბრუნდნენ. მანქანის მძღოლად და მცველად იმ დღეს როკო ლამპონე ჰყავდათ. როდესაც სახლში შევიდნენ, დონმა ჰეიგენს უთხრა: - ლამპონეს, ჩვენს მძღოლს, ყურადღება მიაქციე. ეგ კაცი, მგონი, გაცილებით მეტს იმსახურებს.

ჰეიგენი ამ ნათქვამმა გააკვირვა. როკო ლამპონეს მთელი დღის განმავლობაში ერთი სიტყვაც კი არ დასცდენია, უკანა სავარძელზე მსხდომებისკენ ერთხელაც კი არ გაუხედავს. როცა ბანკთან მივიდნენ, დონს კარი გაუღო; მანქანა შენობის წინ დააყენა, როცა ბანკში შედიოდნენ; ერთი სიტყვით, ყველაფერი სწორად გააკეთა, მაგრამ არაფერი იმაზე მეტი, რასაც ნებისმიერი კარგად გაწვრთნილი მძღოლი გააკეთებდა. დონმა, ეტყობა, კიდევ რაღაც შენიშნა, რაც თვითონ ვერ დაინახა.

დონმა ჰეიგენი შინ გაუშვა და სთხოვა, მასთან ვახშმის შემდეგ მობრუნებულიყო. თანაც, დაუმატა, ნუ აჩქარდები, ცოტა დაისვენეო, - თათბირი მთელი ღამე მოუწევდათ. ასევე, ჰეიგენს უბრძანა, კლემენცა და ტესიო მოეყვანა. ოღონდ ათ საათზე ადრე არ უნდა მოსულიყვნენ. ჰეიგენს წინასწარ მოკლედ უნდა მოეყოლა მათთვის, რა მოხდა იმდღევანდელ შეკრებაზე.

საღამოს ათ საათზე დონი კუთხის ოთახში, სადაც იურიდიული ბიბლიოთეკა ჰქონდათ, მაგიდასთან იჯდა და თავის კონსილიორისა და კაპორეჟიმეებს ელოდებოდა. მაგიდაზე ლანგარი იდგა, რომელზეც ყინული, სოდიანი წყალი და ვისკის ბოთლები ეწყო. დონი მითითებების გაცემას შეუდგა.

- ამ საღამოს ჩვენ მშვიდობა დავამყარეთ, - თქვა მან, - მე მათ კაცური სიტყვა მივეცი და ეს თქვენთვის საკმარისი უნდა იყოს, მაგრამ ჩვენს ახალ მეგობრებს ბოლომდე

მაინც ვერ ვენდობი, მუდმივად უნდა ვიფრთხილოთ. არავითარი სიურპრიზები აღარ მსურს, - დონ კორლეონე ჰეიგენისკენ შებრუნდა, - ბოჩიჩიოს მძევლები გაუშვით?

ჰეიგენმა თავი დაუქნია.

- როგორც კი შინ მივედი, კლემენცას დავურეკე.

დონ კორლეონე ამჯერად კლემენცას მოუბრუნდა. კაპორეჟიმემ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია: - გავუშვი. ნათლია, მითხარი, შეიძლება სიცილიელები ეგეთი დებილები იყვნენ, როგორც ბოჩიჩიოს ოჯახი? თუ თავს იკატუნებენ?

დონ კორლეონეს გაეღიმა.

- საკმარისად ჭკვიანები არიან იმისთვის, რომ კარგად იცხოვრონ. და ამაზე მეტი ჭკუა რაღაში სჭირდებათ? ბოლოს და ბოლოს, ამქვეყნად ყველა უბედურების მიზეზი ბოჩიჩიოს ოჯახი არ არის. თუმცა, მართალი ხარ, სიცილიური გამჭრიახობა მართლაც აკლიათ.

ახლა, როდესაც ომი დასრულდა, გაცილებით თავისუფლად გრძნობდნენ თავს. დონ კორლეონემ სასმელი საკუთარი ხელით გაამზადა და სათითაოდ ჩამოარიგა. მერე თავისი ჭიქიდან მოწრუპა და სიგარა გააბოლა.

- მე არ მსურს იმის გამოძიება, რა გაუკეთეს სონის. ეს მომხდარია და უნდა დავივიწყოთ. დანარჩენ ოჯახებთან მაქსიმალური თანამშრომლობა მსურს დავამყარო, თუნდაც მოგებას დახარბდნენ და იმდენი არ გადაგვიხადონ, რაც გვეკუთვნის. არ მსურს, რამენაირმა პროვოკაციამ მშვიდობა დაარღვიოს მანამ, სანამ მაიკლის ჩამოყვანას შევძლებთ. მაიკლის დაბრუნება თქვენთვის უმთავრესი საქმე უნდა გახდეს. თანაც, გახსოვდეთ, მისი დაბრუნება აბსოლუტურად უსაფრთხო უნდა იყოს. ტატალიასა და ბარზინის არ ვგულისხმობ. პოლიციას ვგულისხმობ. დარწმუნებული ვარ, მაიკლის წინააღმდეგ მიცემული რეალური ჩვენებებისგან ადვილად დავიხსნით თავს: ოფიციანტი და სოლოცოს კაცი, რომელიც რესტორანში იყო, მაიკლს არ ამოიცნობენ, საერთოდ არაფერს იტყვიან. ასე რომ, რეალური სამხილი ყველაზე ნაკლებ პრობლემას შეგვიქმნის, მით უფრო, რომ მის შესახებ ყველაფერი ისედაც ვიცით. მე უფრო ის ყალბი ჩვენებები მაწუხებს, რომლებსაც პოლიცია აუცილებლად შეთითხნის, რადგან დარწმუნებულია, კაპიტანი მაიკლმა მოკლა. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ ნიუ-იორკის ხუთმა ოჯახმა პოლიციას ეს რწმენა შეურყიოს. პოლიციას ყველა ინფორმატორმა ამ ამბის ახალი ვერსია უნდა მიაწოდოს. დღევანდელი ჩემი გამოსვლის შემდეგ, მგონი, ხუთივე ოჯახი მიხვდება, რომ ეს თვით მათ ინტერესებშია. თუმცა ეს საკმარისი არ იქნება. ჩვენ ისეთი განსაკუთრებული რაღაც უნდა გავაკეთოთ, რომ მაიკლი ამ საქმის გამო აღარასოდეს შეაწუხონ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამერიკაში მის დაბრუნებას არავითარი აზრი არ ექნება. მოდი, ყველამ ვიფიქროთ ამაზე. ეს ყველაზე მნიშვნელოვანი საქმეა.

კიდევ მინდა გითხრათ, რომ ერთხელ ცხოვრებაში შეცდომას ყველა უშვებს. მე ჩემი უკვე დავუშვი. მინდა, რომ ჩვენი ხეივნის გარშემო მთელი მიწა და სახლები შევისყიდოთ. ჩემს ბაღში შემოხედვა არავის უნდა შეეძლოს, თუნდაც ერთი მილის სიშორიდან. მინდა, ხეივანს ღობე შემოვავლოთ და მუდმივი დაცვის ქვეშ ვამყოფოთ. შესასვლელში ჭიშკარი უნდა დავაყენოთ. ერთი სიტყვით, ამიერიდან ციხესიმაგრეში მინდა ვიცხოვრო. ქალაქში საქმეზე აღარასოდეს გავალ. პენსიაზე ჩემს თავს მე

თვითონ ვუშვებ. ბაღში მუშაობა მინდა, მწიფე ყურძნისგან ცოტ-ცოტა ღვინოს დავაყენებ ხოლმე. მინდა საკუთარ სახლში ვიცხოვრო. აქედან მხოლოდ მაშინ გავალ, როცა ხანმოკლე შვებულებას მოვიწყობ ანდა ძალზე მნიშვნელოვანი საქმიანი შეხვედრა მექნება, მაგრამ, ამ შემთხვევაში, უსაფრთხოების ყველანაირი ზომა იქნება მისაღები. ოღონდ, სწორად გამიგეთ, - მე არაფერს ვამზადებ. ფრთხილი ადამიანი ვარ, ყოველთვის ასეთი ვიყავი და არაფერი ისე არ მეზარება, როგორც სიცოცხლისადმი უგულისყურო დამოკიდებულება. ქალსა და ბავშვს კიდევ შეიძლება ჰქონდეთ ამგვარი დამოკიდებულება, მაგრამ კაცს ეს არ ეკადრება. ყველაფერი მშვიდად უნდა გაკეთდეს, ნაჩქარევი ნაბიჯები არ უნდა გადავდგათ, ჩვენი მეგობრები რომ არ შეშფოთდნენ. ყველაფერი ბუნებრივად უნდა გამოიყურებოდეს.

საქმეებს ნელ-ნელა ჩამოვშორდები, ყველაფერი თქვენი, სამის, გადასაწყვეტი გახდება. სანტინოს რაზმი უნდა დავშალოთ და ხალხი თქვენს რაზმებში გადავანაწილოთ. ეს ჩვენს მეგობრებს კიდევ ერთხელ დაარწმუნებს, რომ მშვიდობა მსურს. ტომ, შეარჩიე რამდენიმე კაცი, ვინც ლას-ვეგასში ჩავა და მომახსენებს, რა ხდება იქ. ფრედის ამბავი მაინტერესებს, მითხრეს, ისე გამოიცვალა, ვეღარც კი იცნობო. ამბობენ, თითქოსდა გემრიელი საჭმელების კეთება უსწავლია და გოგოებთანაც უფრო მეტად ერთობა, ვიდრე მისი ასაკის კაცს შეჰფერის. სანამ ახალგაზრდა იყო, მეტისმეტად სერიოზული გახლდათ და ოჯახის ბიზნესისთვის არაფერში გამოდგებოდა. მოდი, გავარკვიოთ, სინამდვილეში რა ხდება და რა შეიძლება, იქ რომ გაკეთდეს.

- იქნებ, შენი სიძე გავგზავნოთ, - ჩუმად თქვა ჰეიგენმა, - ბოლო-ბოლო, ნევადა კარლოს მშობლიური შტატია, იქ ყველა გასასვლელ-გამოსასვლელი ხუთი თითივით ეცოდინება.

დონ კორლეონემ უარის ნიშნად თავი გააქნია.

- არა, ჩემი ცოლი აქ შვილების გარეშე მოიწყენს. მინდა, კონსტანცია ქმართან ერთად აქ, ხეივნის ერთ-ერთ სახლში დავასახლოთ. მინდა, კარლოს რაიმე საპასუხისმგებლო საქმე მივცეთ. შესაძლოა, აქამდე მეტისმეტად მკაცრად ვექცეოდი, - დონს სახე მოეღუშა, - თანაც, ვაჟიშვილები მაკლია. ბუკმეკერობას თავი გაანებოს, პროფკავშირების საქმეში ჩავრთოთ, სადაც ცოტ-ცოტა საწერი და ბევრი სალაპარაკო ექნება. ენის რატრატი კარგად ეხერხება.

დონის ინტონაციაში ოდნავი ზიზღი გამოკრთა.

ჰეიგენმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

- ო,კეი, მე და კლემენცა ჩვენი ხალხის სიას გადავხედავთ და ლას-ვეგასში სამუშაოდ ჯგუფს შევადგენთ. იქნებ, ფრედი რამდენიმე დღით აქ ჩამოგვეყვანა?

დონმა უარის ნიშნად თავი გააქნია. ლამის სასტიკად მიუგო: - რისთვის? ჩემს ცოლს სადილების კეთება ჯერაც კარგად შეუძლია. იყოს, სადაც არის.

სამივე იქ მყოფი უხერხულად შეიშმუშნა. მათ არ იცოდნენ, რომ დონი ფრედის ესოდენ ცუდი თვალით უყურებდა, და გაიფიქრეს, საამისოდ, ალბათ, რაღაც დამატებითი მიზეზი არსებობს, რომელიც ჩვენ არ ვიცითო.

დონ კორლეონემ ამოიოხრა.

- იმედი მაქვს, წელს მწვანე წიწაკისა და პომიდვრის კარგი მოსავალი მომივა, იმაზე მეტი, ვიდრე მოვერევით. ძღვნად მოგართმევთ. სიბერის ჟამს ცოტაოდენი სიმშვიდე, ცოტაოდენი სიჩუმე და დასვენება მჭირდება. მეტი არც არაფერი. თუ გნებავთ, სასმელი კიდევ შეგიძლიათ მიირთვათ.

ეს საუბრის დასასრულის მანიშნებელი გახლდათ. ყველანი ფეხზე ადგნენ. ჰეიგენმა კლემენცა და ტესიო მანქანებამდე მიაცილა და შეხვედრაზე შეუთანხმდა, რომლის დროსაც იმ საქმეების დეტალები უნდა დაეზუსტებინათ, რაზეც დონ კორლეონემ განკარგულება გასცა. შემდეგ უკან შებრუნდა, იცოდა, დონ კორლეონე ელოდებოდა.

დონს პიჯაკი გაეხადა, ჰალსტუხი მოეხსნა, ტახტზე წამოწოლილიყო. ჰეიგენს ხელით ანიშნა, სავარძელში ჩამჯდარიყო, და ჰკითხა: - მაშ ასე, კონსილიორი, მითხარი, იქნებ, ჩემი დღევანდელი გადაწყვეტილებებიდან რომელიმეს არ ეთანხმები?

ჰეიგენი პასუხის გაცემას არ ჩქარობდა.

- არა, - ბოლოს თქვა მან, - მაგრამ მე ისინი თანამიმდევრული არ მეჩვენება, შენი ხასიათისთვის უცხო მგონია. ბრძანე, რომ არ გსურს გამოიძიო, როგორ მოკლეს სანტინო, და არ აპირებ შურისძიებას. მე ამის არ მჯერა. შენ სიტყვა მიეცი, რომ მშვიდობას დაიცავ და, ამდენად, მართლა დაიცავ მას, მაგრამ არ მჯერა, რომ შენს მტრებს გამარჯვებას დაუთმობ, რომელსაც დღეს თითქოსდა მიაღწიეს. ისეთი რთული გამოცანა დამისახე, რომელიც ვერაფრით ამომიხსნია და როგორ შემიძლია, შენს გადაწყვეტილებებს დავეთანხმო ან არა?

დონის გამომეტყველებაში კმაყოფილება გამოკრთა.

- შენ მე მართლაც ყველაზე კარგად მიცნობ, - თქვა მან, - მართალია, სიცილიელი არ ხარ, მაგრამ მე გაქციე სიცილიელად. რაც თქვი, ყველაფერი მართალია, მაგრამ ამ გამოცანას პასუხი აქვს და შენ მას მიხვდები, სანამ ეს ყველაფერი თავის ლოგიკურ დასასრულამდე მივა. მართალი ხარ, რადგან სიტყვა მივეცი, სიტყვას არ გავტეხ. და, მინდა, ჩემი განკარგულებები მაქსიმალური სიზუსტით შესრულდეს, მაგრამ, ტომ, ჩვენი მთავარი საზრუნავი მაიკლის რაც შეიძლება სწრაფად დაბრუნებაა. ეს საქმე შენს გონებასა და ქმედებაში პირველ ადგილზე უნდა იყოს. ამ საქმის ყველა იურიდიული ნიუანსი გადაამოწმე, არ მენაღვლება, ეს რამდენი დამიჯდება. როცა მაიკლი აქ ჩამოვა, აბსოლუტურად დაცული უნდა იყოს. კრიმინალური სამართლის საუკეთესო სპეციალისტებთან გაიარე კონსულტაცია, რჩევა ჰკითხე. მე მოგცემ რამდენიმე მოსამართლის სიას, რომლებიც შეგხვდებიან და გაგესაუბრებიან. ჯერჯერობით კი, შესაძლო ღალატს ყველანაირად უნდა ვუფრთხილდეთ.

- მე, ისევე როგორც შენ, - თქვა ჰეიგენმა, - უფრო პოლიციის შეთითხნილი სამხილი მაწუხებს და არა რეალურად არსებული. პოლიციას შეუძლია, მაიკლი მოაკვლევინოს მას მერე, რაც დააპატიმრებს. შეუძლიათ საკანში მოკლან ან რომელიმე პატიმარი აიძულონ, რომ მოკლას. ეს კი ნიშნავს, რომ მაიკლის დაპატიმრებას ანდა მის წინააღმდეგ საქმის აღძვრას, უბრალოდ, ვერ დავუშვებთ.

დონ კორლეონემ ამოიოხრა: - ვიცი, ვიცი. ამაშია მთელი სირთულე, მაგრამ საქმის გაჭიანურებაც არ შეგვიძლია. სიცილიაზეც პრობლემებია. ახალგაზრდები უფროსებს

აღარ ემორჩილებიან და ამერიკიდან დეპორტირებულთა მოზღვავებულ რაოდენობას იქაური ძველი ყაიდის დონები ვეღარ აკონტროლებენ. მაიკლი შეიძლება რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდეს. წინასწარი ზომები მივიღე და, ჯერჯერობით, საიმედოდ იცავენ, მაგრამ ეს უსასრულოდ ვერ გაგრძელდება. ეს არის ერთ-ერთი მიზეზი, რომლის გამოც მშვიდობის დამყარებაზე წავედი. ბარზინის სიცილიაზე მეგობრები ჰყავს და ისინი მაიკლის კვალს ადგანან. მშვიდობა უნდა ჩამომეგდო. ეს შენი გამოცანის ერთ-ერთი პასუხია - ჩემი ვაჟის უსაფრთხოებისთვის იძულებული გავხდი, მშვიდობა დამემყარებინა. სხვა გზა, უბრალოდ, აღარ მრჩებოდა.

ჰეიგენს დონისთვის არ უკითხავს, ეს ინფორმაცია საიდან მიიღო. არც კი გაჰკვირვებია. ისიც მართალი იყო, რომ ეს გამოცანას მხოლოდ ნაწილობრივ თუ ხსნიდა.

- როდესაც ტატალიას ხალხს დეტალების შესათანხმებლად შევხვდები, უნდა მოვითხოვო თუ არა კატეგორიულად, რომ ნარკოტიკების გამსაღებლებს სუფთა წარსული ჰქონდეთ? - იკითხა ჰეიგენმა, - მოსამართლეებს მსუბუქი განაჩენების გამოტანა გაუჭირდებათ, თუკი ისინი კრიმინალები ან რეციდივისტები იქნებიან.

დონ კორლეონემ მხრები აიჩეჩა და თქვა: - იმდენი ჭკუა კი უნდა ეყოთ, თვითონ რომ მიხვდნენ. ახსენე ეს შენს ლაპარაკში, ოღონდ ყოველგვარი ძალდატანების გარეშე. ჩვენ ჩვენსას მაქსიმალურად ვეცდებით, მაგრამ, თუ პროფესიონალი კრიმინალების გამოყენებას დაიწყებენ, თითსაც კი არ გავანძრევ მათ დასახმარებლად, როცა ციხე დაემუქრებათ. ჩვენ ვეტყვით, რომ ამ შემთხვევაში არაფრის გაკეთება აღარ შეიძლებოდა, მაგრამ ბარზინიმ ეს უჩვენოდაც კარგად იცის. მის გამოსვლას დაკვირვებით უსმენდი? ისე ეჭირა თავი, თითქოს ამ საქმესთან კავშირი არასოდეს ჰქონია. გარეშე პირს მართლა ასე შეიძლება ეგონოს. მოკლედ, ეგ ის კაცი არ არის, ვინც წაგებულ მხარეს უფსკრულში გადაჰყვება.

ჰეიგენი გაოცდა.

- გინდა თქვა, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში ის ტატალიასა და სოლოცოს ზურგს უკან იდგა?

დონ კორლეონემ ამოიოხრა.

- ტატალია ჩვეულებრივი სუტენიორია, - თქვა მან, - სანტინოს ვერასოდეს მოერეოდა. ამიტომაც არ მინდა ვიცოდე, როგორ მოხდა ეს ყველაფერი. ჩემთვის იმის ცოდნაც საკმარისია, რომ ამ ყველაფერში ბარზინის ხელი ურევია.

ჰეიგენი ამ ყველაფრის გაცნობიერებას ცდილობდა. დონი მინიშნებებს აძლევდა, მაგრამ ყველაზე მთავარი არ უთქვამს. ჰეიგენი ხვდებოდა, რა უნდა ყოფილიყო ეს, მაგრამ კითხვების დასმის დრო ახლა არ იყო. დონს ძილი ნებისა უსურვა და კარისკენ წავიდა, მაგრამ დონს კიდევ რაღაც ჰქონდა სათქმელი.

- გახსოვდეს, მთელი შენი ინტელექტი მაიკლის დაბრუნების გეგმას უნდა მოახმარო, - თქვა მან, - და კიდევ ერთი რაღაც: შენმა კაცმა სატელეფონო სადგურზე ყოველთვიურად ინფორმაცია მომაწოდოს, ვისთან საუბრობდნენ კლემენცა და ტესიო. მათზე არავითარი ეჭვი არ მაქვს. შემიძლია თავი დავდო, რომ არ

მიღალატებენ, მაგრამ სულაც არ იქნება ურიგო, თუკი ყველანაირი წვრილმანი წინასწარ გვეცოდინება.

ჰეიგენმა თავი დაუკრა და ოთახიდან გავიდა. გაიფიქრა, საინტერესოა, მასაც უთვალთვალებდა თუ არა დონი რამენაირად, და მერე თავისი ეჭვისა შერცხვა. მაგრამ, რაც მთავარია, იგი ახლა დარწმუნდა - დონი შორსმიმავალ გეგმას აწყობდა და დღევანდელი მოვლენები მხოლოდ და მხოლოდ ტაქტიკური უკან დახევა იყო. ერთი მომენტი მაინც ბურუსით მოცული რჩებოდა, - თვითონ ამის გარკვევა ვერ გაბედა, დონმა კი არაფერი უთხრა, მაგრამ ყველაფერი მაინც იმას მიანიშნებდა, რომ უსასტიკესი შურისგების დღე, ადრე თუ გვიან, დადგებოდა.

თავი ოცდამეერთე

ამ დღის მერე, დაახლოებით, ერთი წელი გავიდა, სანამ დონ კორლეონემ ყველა პრობლემის გადაჭრა მოახერხა, რაც მაიკლის ამერიკაში უსაფრთხო დაბრუნებასთან იყო დაკავშირებული. ამ ერთი წლის განმავლობაში ოჯახის ყველა წევრი საუკეთესო გეგმის შემუშავებაზე თავს იმტვრევდა. კარლო რიჩისაც კი მოუსმინეს, რომელიც იმ დროს უკვე ლონგ-ბიჩის ხეივანში ცხოვრობდა (ამ ერთი წლის განმავლობაში მას და კონის მეორე შვილი, ვაჟი, შეეძინათ), მაგრამ დონმა ამ გეგმათაგან არც ერთი არ მოიწონა.

საბოლოოდ, პრობლემის გადაჭრაში ბოჩიჩიოს ოჯახი დაეხმარათ, თავისი გასაჭირის წყალობით. ამ ოჯახში ერთი ახალგაზრდა კაცი იყო, დაახლოებით ოცდახუთი წლის, სახელად ფელიქსი, რომელიც ამერიკაში გახლდათ დაბადებული და უფრო ჭკვიანი იყო, ვიდრე მის კლანში ვინმე ოდესმე ყოფილა. მან უარი თქვა თავისი ოჯახის ბიზნესში შესულიყო და ცოლად შეირთო მშვენიერი ამერიკელი ქალიშვილი, რომელსაც ინგლისელი წინაპრები ჰყავდა. ამით მან თავის ოჯახთან დაშორებას კიდევ უფრო გაუსვა ხაზი. საღამოობით ლექციებზე დადიოდა, ადვოკატი რომ გამხდარიყო, დღისით კი ფოსტაში უბრალო მოხელედ მუშაობდა. ამასობაში სამი ბავშვი შეეძინათ. მისი ცოლი მეტად მომჭირნე დიასახლისი გამოდგა - ქმრის ერთობ მოკრძალებული ხელფასით ოჯახის გაძღოლას როგორღაც ახერხებდა, სანამ ის ადვოკატის დიპლომს მიიღებდა.

ფელიქს ბოჩიჩიოს, ისევე როგორც მრავალ სხვა ახალგაზრდას, რომლებიც განათლების მიღებისა და პროფესიული დაოსტატებისთვის ყველაფერს აკეთებდნენ, მიაჩნდა, - როგორც კი სწავლას დაასრულებდა, მის მიერ შეძენილი ცოდნა ნაყოფს უმალ გამოიღებდა და ცხოვრებისთვის საკმარის სახსარს გამოუჩენდა. სინამდვილე სრულიად სხვაგვარი აღმოჩნდა. ფელიქსმა, სიამაყის გამო, ნათესავებისგან დახმარების მიღებაზე უარი განაცხადა. მისმა ერთმა ნაცნობ-მეგობარმა, ახალგაზრდა ვექილმა, რომელიც მსხვილ საადვოკატო ფირმაში მუშაობდა, სასარგებლო კონტაქტები ჰქონდა და წინ ბრწყინვალე კარიერის პერსპექტივა ესახებოდა, მცირედი სამსახურის გაწევა სთხოვა. ეს მცირედი სამსახური, იურიდიული თვალსაზრისით, საკმაოდ რთული საქმე აღმოჩნდა - ბანკის თაღლითურ გაკოტრებას ეხებოდა. ამ საქმის გაძღოლა მხოლოდ ლეგალური მეთოდებით პრაქტიკულად შეუძლებელი აღმოჩნდა. თუმცა მილიონიდან მხოლოდ ერთი შანსი იყო იმისა, რომ კანონის დარღვევა გამოაშკარავდებოდა. ფელიქს ბოჩიჩიომ გადაწყვიტა, გაერისკა. ეს

თაღლითური საქმე მის მიერ უნივერსიტეტში მიღებული ცოდნის მაქსიმალურ გამოყენებას მოითხოვდა და ამის გამო მაინცდამაინც უმსგავსო თუ კრიმინალური არ ჩანდა.

ერთი სიტყვით, თაღლითობა გამოაშკარავდა. მეგობარმა ადვოკატმა მის რამენაირ დახმარებაზე უარი თქვა, ტელეფონითაც კი არ დაელაპარაკა. თაღლითობის ორმა მთავარმა მონაწილემ, ხნოვანმა ბიზნესმენებმა, ყველაფერი ფელიქსს გადააბრალეს და განაცხადეს, რომ ამ საქმის ინიციატორი სწორედ ის გახლდათ და მან აიძულა ისინი კანონსაწინააღმდეგო ქმედებაში მონაწილეობა მიეღოთ. საერთოდაც, ჩვენი ბიზნესის მისაკუთრებას აპირებდაო. ცრუმოწმეებიც წარუდგინეს სასამართლოს, რომლებმაც ყალბი ჩვენება მისცეს, თითქოს ფელიქს ბოჩიჩიო დანაშაულებრივად იყო დაკავშირებული თავის ნათესავებთან, რომელთაც, როგორც ეს საყოველთაოდ იყო ცნობილი, ერთობ მძიმე კრიმინალური წარსული ჰქონდათ. ცრუმოწმეთა ჩვენება გადამწყვეტი აღმოჩნდა. ბიზნესმენებს პირობითი სასჯელი აკმარეს, ფელიქს ბოჩიჩიომ კი სამი წელიწადი ციხეში გაატარა. ბოჩიჩიოს კლანმა დასახმარებლად დონ კორლეონეს ან ნიუ-იორკის ხუთი ოჯახიდან რომელიმეს არ მიმართა, რადგან ფელიქსმა მათთან ურთიერთობა გაწყვიტა და მისთვის ჭკუა უნდა ესწავლებინათ: მას უნდა გაეგო, რომ წყალობა მხოლოდ ოჯახისგან მოდის და ოჯახისადმი საზოგადოებასთან შედარებით გაცილებით უფრო დიდი ნდობა გმართებს.

როდესაც ფელიქს ბოჩიჩიო სამი წლის შემდეგ ციხიდან გამოუშვეს, შინ დაბრუნდა, ცოლ-შვილი გადაკოცნა და მათთან ერთად ერთი წელი მშვიდობიანად გაატარა, მაგრამ მერე კი დაამტკიცა, რომ ძარღვებში ნამდვილად ბოჩიჩიოს სისხლი უჩქეფდა. სრულიად დაუფარავად იშოვა პისტოლეტი და თავისი მეგობარი ადვოკატი სიცოცხლეს გამოასალმა, შემდეგ კი რესტორნის შესასვლელთან იმ ორ ბიზნესმენს დაუდარაჯდა და, სრულიად აუღელვებლად, თავში თითო ტყვია ჩააჭედა. გვამები ტროტუარზე დატოვა, თვითონ რესტორანში შევიდა, მაგიდასთან დაჯდა და პოლიციის მოლოდინში მშვიდად შეუკვეთა ყავა.

სასამართლო უსწრაფესად ჩატარდა, განაჩენი უმკაცრესი გამოიტანეს. არალეგალური კრიმინალური გაერთიანების წევრმა ვერაგულად დახოცა მოწმეები, რომლებმაც იგი ციხეში გაუშვეს, სამართლიანად რომ იმსახურებდა. ასეთი იყო საერთო აზრი. საზოგადოება, პრესა, თვით გულმოწყალე ჰუმანისტებიც კი აღშფოთდნენ და შეძრწუნდნენ, სასიკვდილო განაჩენს ყველა ერთხმად მოითხოვდა. ფელიქს ბოჩიჩიოს შესაწყალებლად გუბერნატორი იმაზე მეტად არ იყო განწყობილი, ვიდრე, ვთქვათ, სანიტარიული ინსპექტორი - ცოფიანი ძაღლისა. ბოჩიჩიოს კლანი, რომელიც ახლა უკვე ამაყობდა ფელიქსით, რაღა თქმა უნდა, ხარჯავდა ფულს, განაჩენი რომ გასაჩივრებულიყო და უმაღლეს სასამართლოში გადასულიყო, მაგრამ საქმის ვითარება ცხადზე უცხადესი გახლდათ. ფელიქს ბოჩიჩიოს ელექტროსკამი მიუსაჯეს.

ამ საქმეზე დონ კორლეონეს ყურადღება ჰეიგენმა მიაქცევინა ერთ-ერთი ბოჩიჩიოს თხოვნით, რომელსაც იმედი ჰქონდა, რომ ფელიქსისთვის რაიმეს გაკეთებას მოახერხებდნენ. დონ კორლეონემ თავიდან კატეგორიული უარი განაცხადა, - ჯადოქარი კი არ ვარო. ცხადია, მას შეუძლებელს სთხოვდნენ, მაგრამ მეორე დღეს დონმა ჰეიგენი კაბინეტში დაიბარა და სთხოვა, ეს საქმე მისთვის ყველა წვრილმანის გათვალისწინებით მოეყოლა. როდესაც ჰეიგენმა თხრობა დაასრულა, დონმა უბრძანა, ბოჩიჩიოს კლანის ხელმძღვანელი ლონგ-ბიჩში მასთან შესახვედრად მოეპატიჟებინა.

დანარჩენი, უბრალოდ, გენიალურად გაკეთდა. დონ კორლეონე ბოჩიჩიოს კლანის თავკაცს დაჰპირდა, რომ ფელიქსის ცოლ-შვილი ძალზე სოლიდურ პენსიას მიიღებდა. ამ თანხას ბოჩიჩიოს ოჯახს დაუყოვნებლივ გადასცემდნენ. სამაგიეროდ, ფელიქსს უნდა ეღიარებინა, რომ სოლოცო და კაპიტანი მაკ-კლასკი მისი დახოცილი იყვნენ.

უამრავი დეტალი შეთანხმებას მოითხოვდა. ფელიქსის აღიარება დამაჯერებელი უნდა ყოფილიყო, ამისთვის კი მას მკვლელობის აბსოლუტურად ყველა წვრილმანი უნდა სცოდნოდა. გარდა ამისა, მას პოლიციის კაპიტანი ნარკოტიკებით ვაჭრობასთან კავშირში უნდა ემხილებინა. შემდეგ ეტაპზე კი რესტორნის მიმტანს ფელიქს ბოჩიჩიოში მკვლელი უნდა ამოეცნო. ეს არცთუ მცირე გამბედაობას მოითხოვდა, რადგან მკვლელის გარეგნული მონაცემები რადიკალურად უნდა შეცვლილიყო, - ფელიქს ბოჩიჩიო მაიკლზე გაცილებით დაბალი და მსხვილი გახლდათ, მაგრამ დონ კორლეონემ ეს ყველაფერი მოაგვარა. და რადგან სიკვდილმისჯილს უმაღლესი განათლებისა მეტად სჯეროდა, - თვითონ ხომ კოლეჯდამთავრებული გახლდათ, - უეჭველია, მას ძალიან ენდომებოდა, რომ მის შვილებს ასევე დაემთავრებინათ კოლეჯი. დონ კორლეონე მზად იყო, მათთვის სწავლის საფასური გადაეხადა. ახლა საჭირო იყო ბოჩიჩიოს კლანის დარწმუნება, რომ ნამდვილი მკვლელის, ფელიქს ბოჩიჩიოს, შეწყალების არავითარი იმედი არ არსებობდა. ახალი აღიარება მის მდგომარეობას არანაირად არ დაამძიმებდა, მისი ბედი ისედაც უკვე გადაწყვეტილი იყო.

ყველაფერი მოგვარდა, როგორც დონ კორლეონეს სურდა, ბოჩიჩიოს ოჯახს ფული გადაუხადეს და ციხეში მყოფთან კონტაქტიც დაამყარეს, აუცილებელი ინსტრუქციები დეტალურად გადასცეს. საბოლოოდ, გეგმა წარმატებით განხორციელდა. ერთ მშვენიერ დღეს გაზეთები სენსაციური წარწერებით აჭრელდა, მაგრამ დონ კორლეონე, როგორც ყოველთვის, ფრთხილობდა - მაიკლის ამერიკაში ჩამოყვანის ბრძანება ფელიქს ბოჩიჩიოს სიკვდილით დასჯიდან მხოლოდ ოთხი თვის შემდეგ გასცა.

თავი ოცდამეორე

ლუსი მანჩინი სონის დაღუპვიდან ერთი წლის შემდეგაც ვერ ივიწყებდა მას და უფრო მეტად გლოვობდა, ვიდრე ნებისმიერი სასიყვარულო რომანის გმირი. მისი სიზმრები სასკოლო ასაკის გოგონას არაფრისმთქმელ სიზმრებს არ ჰგავდა, ისევე, როგორც მისი ნაღველი - ერთგული ცოლის ნაღველს. სიცარიელეს იმის გამო არ გრძნობდა, რომ თითქოს „ცხოვრების თანამგზავრი“ დაკარგა, ან იმის გამო, რომ თითქოს მისი მტკიცე ხასიათი დააკლდა. ლუსის არც სენტიმენტალური საჩუქრები ახსენდებოდა, არც სონის ღიმილი და თვალების კასკასი.

არა. მიზეზი გაცილებით მარტივი და გაცილებით მნიშვნელოვანი იყო. სონი გახლდათ ერთადერთი მამაკაცი მსოფლიოში, ვინც ლუსის სასიყვარულო აქტისგან მიღებულ ნეტარებას ბოლომდე შეაგრძნობინებდა ხოლმე და, თავისი ახალგაზრდობისა და მიამიტობიდან გამომდინარე, ლუსის მართლა სჯეროდა, რომ ის ერთადერთი მამაკაცი იყო ამქვეყნად, ვისაც ეს შეეძლო.

ახლა, წლისთავზე, ლუსი ნევადის მცხუნვარე მზის ქვეშ, აუზის პირას, მზეზე ირუჯებოდა. მის ფეხებთან ახალგაზრდა ქერათმიანი კაცი წამოწოლილიყო და ქალის ფეხის თითებს ეთამაშებოდა. კვირა დღე იყო, ოტელის აუზთან იწვნენ და, მიუხედავად იმისა, რომ გარშემო ბლომად ხალხი ირეოდა, კაცის ხელი ლუსის თეძოზე მოურიდებლად მისრიალებდა.

- ო, ჯულ, გეყოფა, - თქვა ლუსიმ, - მეგონა, ექიმები მაინც არ იყვნენ სხვა კაცებივით სულელები.

ჯულმა გაუღიმა.

- მე ლას-ვეგასელი ექიმი ვარ.

ხელი ლაჯებში შეუცურა, შეუღიტინა და გაოცდა, ასეთმა მცირედმა მოძრაობამ ლუსი როგორ ძლიერად აღაგზნო. ეს ქალს სახეზე შეეტყო, თუმც კი ძალიან ცდილობდა, დაეფარა. ლუსი მართლაც საკმაოდ პრიმიტიული, გარკვეულწილად, მიამიტი გოგო იყო. რატომაც არ შეიძლება მასთან საქმე გაიჩარხოს? - ფიქრობდა ჯული. უნდა მოეფიქრებინა, როგორ მიეღწია საწადელისთვის და მაშინ ლუსის ბრიყვული წარმოდგენა მარად შეუცვლელი საყვარლის შესახებ წამში დაიმსხვრეოდა. კაცის ხელი ცოცხალ სხეულს ეხებოდა, რომელსაც მეორე ცოცხალი სხეული სწყუროდა. ჯულ სეგალმა გადაწყვიტა, თავის ბინაში იმ ღამით გადამწყვეტ შეტევაზე გადასულიყო. უნდოდა, ლუსი, უბრალოდ, ყოველგვარი ფოკუსის გარეშე დანებებოდა, მაგრამ თუ ფოკუსები აუცილებელი იქნებოდა, მაგასაც შეძლებდა. ეს ყველაფერი, რაღა თქმა უნდა, მეცნიერული ინტერესიდან გამომდინარე იყო, არადა საბრალო გოგო ლამისაა მოკვდეს სურვილისაგან.

- ჯულ, გეყოფა, გეხვეწები, გაჩერდი, - უთხრა ლუსიმ. ხმა უკანკალებდა.

ჯულმა უმალ უკან წაიღო ხელი.

- ო,კეი, ძვირფასო, - თქვა მან. ლუსის თეძოზე ბალიშივით ჩამოდო თავი და ჩათვლიმასავით. მას ლუსის თრთოლა ახალისებდა, მისი სხეულის მხურვალებას გრძნობდა და როდესაც ქალმა თმაში ხელი შეუცურა, უცებ მაჯა დაუჭირა, თითქოსდა მოსაფერებლად, მაგრამ სინამდვილეში, პულსის გასასინჯად. ლუსის მაჯა ძლიერ აჩქარებული ჰქონდა. ამ ღამით, რაც უნდა მოხდეს, მის საიდუმლოებას ამოხსნის. ამაში ბოლომდე დარწმუნებულმა დოქტორმა ჯულ სეგალმა მართლაც ჩათვლიმა.

ლუსი აუზთან მყოფ ხალხს შესცქეროდა. რას წარმოიდგენდა, რომ მისი ცხოვრება ბოლო ორი წლის განმავლობაში ამდენად შეიცვლებოდა. კონი კორლეონეს ქორწილზე თავისი „სისულელის“ გამო არასოდეს უნანია. მის ცხოვრებაში ეს ყველაზე არაჩვეულებრივი განცდა გახლდათ და სიზმრებში ისევ და ისევ უბრუნდებოდა მას, ისევე როგორც თვითონ და სონი კვლავ და კვლავ იმეორებდნენ იმდღევანდელს თვეების განმავლობაში.

სონი მასთან კვირაში ერთხელ მიდიოდა. ზოგჯერ უფრო ხშირადაც, მაგრამ კვირაში ერთხელ - აუცილებლად. შეხვედრის წინ ლუსის სხეული მომავალი მტანჯველი ნეტარების მოლოდინით ივსებოდა, თითქმის ფიზიკურ ტკივილს გრძნობდა. მათი ურთიერთლტოლვა ერთობ პრიმიტიული გახლდათ, პოეზიის ან რაიმე

ამაღლებულის თუ გონისმიერის ნატამალიც კი არ ერია. ეს იყო ნამდვილი ხორციელი ჟინი, ორი სხეულის ფიზიკური ურთიერთწადილი.

როდესაც სონი ურეკავდა და ატყობინებდა, რომ მოსვლას აპირებს, ლუსი იწყებდა ზრუნვას, სახლში საკმარისი სასმელ-საჭმელი რომ მოემარაგებინა ვახშმისა და საუზმისთვისაც, რადგან სონი ხშირად ისე გვიანობამდე რჩებოდა მასთან, რომ, ფაქტობრივად, მეორე დილას მიდიოდა ხოლმე. სონის უნდოდა მთლიანად, რაც შეიძლება სრულად შეეგრძნო ლუსი და ლუსისაც ზუსტად იგივე ეწადა. სონის თავისი გასაღები ჰქონდა. როდესაც კარს გააღებდა და ოთახში შემოსვლას დააპირებდა, ლუსი გაქანდებოდა და ჩაეხუტებოდა, მის ძლიერ მკლავებში აღმოჩნდებოდა ხოლმე. ამ თავიანთ სიყვარულში ორივენი სასტიკად პრიმიტიულები, სწორხაზოვნები იყვნენ. პირველივე კოცნისას ერთმანეთს ტანსაცმელს გლეჯდნენ, სონის ლუსი ხელში აჰყავდა, ის კი ფეხებს წელზე შემოაწყობდა. დერეფანშივე ერთდებოდნენ, ფეხზე მდგომები, სიყვარულის იმ აქტს იმეორებდნენ, რომელიც პირველი შეხვედრისას ჰქონდათ, და მხოლოდ ამის მერე ლუსი სონის ხელით შეჰყავდა საძინებელ ოთახში.

ლოგინში წვებოდნენ და სიყვარულობდნენ. თექვსმეტი საათიც კი გაუტარებიათ ასე, შიშვლებს. ლუსის დროდადრო საჭმლის უზარმაზარი ულუფები მიჰქონდა მისთვის. ზოგჯერ სონი ტელეფონით საქმეზე ლაპარაკობდა ხოლმე, მაგრამ ლუსი ამას ყურადღებას არ აქცევდა, ისევ მის სხეულს ეთამაშებოდა, ეალერსებოდა და კოცნიდა. როდესაც სონი დგებოდა, ვთქვათ, ჭიქა ვისკის დასასხმელად, ლუსი თავს ვერ იკავებდა, რომ მის შიშველ სხეულს ხელით არ შეხებოდა, თითქოს მისი სხეული, ამ სხეულის ნაწილები საგანგებოდ მისთვის შექმნილი სათამაშო ყოფილიყოს. თავიდან რცხვენოდა საკუთარი საქციელისა, მაგრამ მალე შენიშნა, რომ ეს მის საყვარელს სიამოვნებას ანიჭებს, - სონის თავისი სხეულისადმი ასეთი მონური თაყვანისცემა აშკარად აღელვებდა. ამ ყველაფერში ერთგვარი ცხოველური სიწრფელე ჩანდა. ერთად თავს ბედნიერად გრძნობდნენ.

მას მერე, რაც სონის მამას ქუჩაში ესროლეს, ლუსიმ პირველად გააცნობიერა, რომ მის საყვარელს ასევე შეიძლება ემუქრებოდეს საფრთხე. თავის ბინაში მარტოდ დარჩენილი ლუსი კი არ ტიროდა, მხეცივით ხმამაღლა ყმუოდა. როდესაც სონი მასთან სამი კვირის განმავლობაში არ გამოჩნდა, ლუსიმ მხოლოდ ვისკისა და საძილე წამლების ხარჯზე გაძლო. ნამდვილ ფიზიკურ ტკივილს გრძნობდა, მთელი სხეული ტეხდა. როდესაც სონი, ბოლოს და ბოლოს, მივიდა მასთან, ლუსი მოეხვია, მიეკრო და ერთი წამითაც აღარ მოშორებია. ამის შემდეგ სონი ყოველ კვირა მიდიოდა მასთან, სანამ მოკლავდნენ.

როდესაც ლუსიმ სონის სიკვდილის შესახებ გაზეთებიდან შეიტყო, ღამით ძილის წამლის ძალიან დიდი, სასიკვდილო დოზა მიიღო, მაგრამ რაღაც მიზეზით აბებმა პირდაპირ არ იმოქმედა. ლუსი ცუდად გახდა, გონება დაებინდა, ბინიდან გამობორიალდა და ლიფტის წინ გონდაკარგული დაეცა, სადაც მეზობლებმა იპოვეს და სასწრაფოდ საავადმყოფოში წაიყვანეს. სონისთან მისი კავშირის შესახებ საზოგადოებაში ფართოდ ცნობილი არ ყოფილა, ამიტომ ამ შემთხვევის შესახებ ბულვარულ გაზეთებში მხოლოდ რამდენიმე სიტყვა დაიწერა.

საავადმყოფოში ლუსი ტომ ჰეიგენმა მოინახულა და, შეძლებისდაგვარად, დაამშვიდა. სწორედ მან უშოვა სამუშაო ლას-ვეგასის ერთ-ერთ ოტელში, სადაც სონის ძმა, ფრედი, მენეჯერი გახლდათ. ჰეიგენმა ლუსის უთხრა, რომ კორლეონეს ოჯახისგან ყოველთვიურად განსაზღვრულ თანხას მიიღებდა, - სონიმ შენზე წინასწარ იზრუნაო. მერე ჰკითხა, ორსულად ხომ არ ხარო, თითქოსდა ეს შეიძლებოდა ყოფილიყო მიზეზი თუ ახსნა იმისა, ძილის წამალი რომ დალია, და პასუხად მიიღო, რომ არ არის. შემდეგ ჰკითხა, სონის ხომ არ დაურეკავს ან ხომ არ მისულა მასთან მკვლელობის დღეს, რაზეც პასუხად მიიღო, - არა, არც დაურეკავს და არც მისულა. ლუსიმ ჰეიგენს უთხრა, რომ სამსახურიდან როდესაც ბრუნდებოდა, ყოველთვის შინ იჯდა და სონის ელოდებოდა, რაც, სხვათა შორის, სრული სიმართლე გახლდათ.

- ის ერთადერთი მამაკაცი იყო, რომელიც ოდესმე მყვარებია, - თქვა ლუსიმ, - სხვას ვეღარავის შევიყვარებ.

ლუსიმ დაინახა, რომ ჰეიგენს ოდნავ ჩაეღიმა, თუმცა, ამავე დროს, გაოცდა კიდეც.

- რატომ გგონიათ ეს წარმოუდგენელი? - ჰკითხა ლუსიმ, - განა მან არ მიგიყვანათ თავისთან სახლში, როდესაც ჯერ კიდევ ბავშვი იყავით?

- მაშინ სხვანაირი იყო, - მიუგო ჰეიგენმა, - გაიზარდა და გამოიცვალა.

- ჩემთვის არ გამოცვლილა, - თქვა ლუსიმ, - შეიძლება სხვებისთვის გამოიცვალა, მაგრამ ჩემთვის - არა.

ლუსი ჯერ კიდევ ძალიან სუსტად გრძნობდა თავს და არ შეეძლო იმის მოყოლა, რაოდენ ალერსიანი იყო სონი, - არასოდეს უბრაზდებოდა, არასოდეს ღიზიანდებოდა.

ჰეიგენმა ლუსის ლას-ვეგასში საცხოვრებლად გადასვლის ორგანიზება თავის თავზე აიღო. ბინა დაუქირავა და პირადად გააცილა აეროპორტში. პირობაც ჩამოართვა, რომ თუკი ძალიან მარტოდ იგრძნობდა თავს ან საქმეები ისე არ წაუვიდოდა, როგორც უნდოდა, აუცილებლად დაურეკავდა და იგიც მის დასახმარებლად ყველაფერს გააკეთებდა, რაც კი შესაძლებელი იქნებოდა.

თვითმფრინავში ასვლისას ლუსიმ ოდნავი ყოყმანით ჰკითხა: - სონის მამამ იცის, რასაც აკეთებთ?

ჰეიგენმა გაიღიმა.

- ჩემით ვაკეთებ, რასაც ვაკეთებ, მაგრამ მისი მითითებით. ძველი ყაიდის კაცია და ასეთ საქმეში კანონიერი ცოლის წინააღმდეგ თვითონ არასოდეს წავა, მაგრამ მას ესმის, რომ შენ ჯერ პატარა გოგო ხარ, არაფერი მოგეთხოვება, ამ ყველაფერზე სონის უნდა ეფიქრა. იმ ფაქტმა, რომ აბები გადაყლაპე, დონზე ძლიერ იმოქმედა. - ჰეიგენს აღარ დაუმატებია, რამდენად წარმოუდგენელი გახლდათ დონისნაირი კაცისთვის, რომ ვინმეს თავის მოკვლის სურვილი, საერთოდ, შეიძლებოდა გასჩენოდა.

ახლა, ლას-ვეგასში, დაახლოებით, თვრამეტი თვის ცხოვრების შემდეგ, ლუსი, თავისდა გასაოცრად, თითქმის ბედნიერად გრძნობდა თავს. ღამღამობით სონი ხშირად ესიზმრებოდა ხოლმე. გაეღვიძებოდა, იწვა და ნეტარებდა სონიზე ოცნებით,

სანამ არ ინათებდა და ისევ არ ჩაეძინებოდა. სონის მერე კაცი აღარ ჰყოლია. თუმცა ლას-ვეგასში ცხოვრება მოსწონდა. სასტუმროს აუზში ცურავდა და, როცა უქმე დღე ჰქონდა, მიდ-ლეიკის ტბაზე იახტით სეირნობდა, უდაბნოში მანქანას დააქროლებდა. გახდა და კიდევ უფრო გალამაზდა. კვლავინდებურად მომხიბლავი იყო, ოღონდ უფრო ამერიკულ სტილში, ვიდრე იტალიურში. ოტელში საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებაში მუშაობდა ადმინისტრატორად, ფრედისთან უშუალო შეხება არ ჰქონდა, მაგრამ როდესაც ფრედი გვერდით ჩაუვლიდა, ყოველთვის ჩერდებოდა, მოიკითხავდა და ცოტას წაიმასლაათებდნენ ხოლმე. ლუსის ძლიერ აოცებდა, ფრედი როგორ თვალში საცემად შეიცვალა. ქალების ნამდვილ მუსუსად იქცა, ლამაზად ჩაცმა დაიწყო და თანაც, აზარტული თამაშების კურორტზე ოტელის გაძღოლის უნარი, ეტყობა, მართლაც გამოიჩინა. იგი სასტუმროს ნაწილს აკონტროლებდა, რასაც კაზინოების მფლობელები ჩვეულებრივ დიდ ყურადღებას არ აქცევდნენ. ხანგრძლივი ცხელი ზაფხულისა და აქტიური სექსუალური ცხოვრების გამო ფრედიმ წონაში დაიკლო, ჰოლივუდის მკერავების მიერ შეკერილ ტანსაცმელში კი ნამდვილ ლოველასად გამოიყურებოდა.

ნახევარი წლის შემდეგ ლუსის მოსანახულებლად ლას-ვეგასში ტომ ჰეიგენი ჩავიდა. ლუსის, ხელფასის გარდა, ყოველთვიურად კიდევ ექვსას დოლარს ურიცხავდნენ. ჰეიგენმა აუხსნა, რომ ფულის მისაღებად ოფიციალური წესის დაცვა და საბუთების გაფორმება იყო საჭირო. სთხოვა, მინდობილობაზე ხელი მოეწერა. ჰეიგენმა უთხრა, რომ იგი ამიერიდან იმ სასტუმროს აქციების ხუთი პროცენტის ოფიციალურ მფლობელად ჩაიწერება, სადაც მუშაობდა, და რომ ამისთვის ნევადის შტატში მიღებული ყველა ფორმალური პროცედურის გავლა იყო აუცილებელი. ეს ყველაფერი შენთვის კეთდება და ვეცდებით, ამ ფორმალობებით რაც შეიძლება ნაკლებად შეგაწუხოთ, ოღონდ ამ ყველაფრის შესახებ არავის არაფერი უნდა უთხრაო. ჰეიგენმა დაამატა, რომ იგი კანონით იქნებოდა დაცული და ფულსაც ყოველთვიურად შეუფერხებლად მიიღებდა. თუკი საგადასახადო სამსახურის მოხელეები მისით დაინტერესდებოდნენ და გამოკითხვას დაუწყებდნენ, ლუსის პირდაპირ თავის ადვოკატთან უნდა გაეშვა ისინი და მეტს აღარ შეაწუხებდნენ.

ლუსი ამ ყველაფერზე დათანხმდა. იგი მიხვდა, რომ მას, უბრალოდ, იყენებდნენ, მაგრამ წინააღმდეგი არ იყო, ამგვარად გამოეყენებინათ. ეს ყველაფერი მისთვის ადვილი გასაგები გახლდათ, მაგრამ როდესაც ჰეიგენმა სთხოვა, თვალყური ედევნებინა ფრედისა და მისი ბოსისათვის, ვინც ოტელს, როგორც მთავარი მეწილე, ოფიციალურად ფლობდა, ლუსიმ ვეღარ მოითმინა და უთხრა: - ო, ტომ, შენ რა, გინდა, რომ მე ფრედის ჯაშუშივით ვუთვალთვალო?

ჰეიგენმა გაუღიმა.

- დონ კორლეონე ფრედიზე ძალიან წუხს. ფრედი მო გრინთან დაძმაკაცდა და, უბრალოდ, არ გვინდა, რაღაც ხათაბალაში გაეხვიოს.

მან, რაღა თქმა უნდა, არ დაუწყო ლუსის იმის ახსნა, რომ დონ კორლეონემ ამ სასტუმროს მშენებლობა ლას-ვეგასის უდაბნოში მხოლოდ იმიტომ არ დააფინანსა, რომ შვილისთვის პატარა სამოთხე მოეწყო, არამედ იმისთვისაც, რომ მომავალი, უფრო მსხვილი ოპერაციებისთვის გზა გაეკვალა.

ამ ლაპარაკიდან ცოტა ხნის შემდეგ ოტელში ექიმად დოქტორმა ჯულ სეგალმა დაიწყო მუშაობა. გამხდარი, მაღალი და მეტად მომხიბლავი მამაკაცი გახლდათ; ექიმობისთვის მეტისმეტად ახალგაზრდა იყო, ყოველ შემთხვევაში, ლუსის შეხედულებით. ექიმი სეგალი ლუსიმ შემთხვევით გაიცნო, მას მერე, რაც მკლავზე სიმსივნისმაგვარი რაღაც გაუჩნდა. ლუსიმ რამდენიმე დღე ითმინა და, ბოლოს, გადაწყვიტა, ექიმისთვის მიემართა, რომლის კაბინეტი იქვე, სასტუმროში მდებარეობდა. ლუსი მოსაცდელში შევიდა და დაინახა, რომ იქ ოტელის მიუზიკჰოლის ორი მოცეკვავე გოგონა იჯდა და ჭორაობდა. ორივე ქერათმიანი და ანგელოზივით ლამაზი იყო. ისეთი გარეგნობა ჰქონდათ, რომელზეც ლუსი ყოველთვის ოცნებობდა. გოგოებიდან ერთ-ერთმა თქვა: - დედას ვფიცავ, თუ კიდევ ერთხელ ავიკიდე, ცეკვას თავს დავანებებ.

როდესაც დოქტორმა სეგალმა კარი გააღო, შემდეგი პაციენტი კაბინეტში რომ შეეყვანა, ლუსის ძალიან მოუნდა ამდგარიყო და წასულიყო. რაიმე უფრო ინტიმური ანდა უფრო სერიოზული მიზეზით რომ ყოფილიყო ექიმთან მისული, ნამდვილად წავიდოდა. საქმე ის იყო, რომ დოქტორ სეგალს ფართო შარვალი და გახსნილი, მოღეღილი პერანგი ეცვა. მართალია, ძვლისჩარჩოიანი სათვალე ერთგვარად მკაცრ იერს აძლევდა, მაგრამ მაინც აშკარად არასოლიდურად გამოიყურებოდა, ლუსის კი, როგორც არსებითად ძველი ყაიდის ადამიანს, ვერ წარმოედგინა, რომ მედიცინა და ასეთი არაფორმალური გარეგნობა შეიძლება ერთმანეთს გუობდეს.

თუმცა კაბინეტში ლუსის ეჭვები გაუქარწყლდა, - ექიმის მანერებში იყო რაღაც, რაც აშკარად ნდობას იწვევდა. დოქტორი სეგალი ცოტას ლაპარაკობდა, არ ჩქარობდა, თუმც კი დროს უქმად არ კარგავდა. მან მოთმინებით აუხსნა ლუსის, რომ ეს ჩვეულებრივი ფიბროზული წარმონაქმნი იყო და არა ავთვისებიანი სიმსივნე. უთხრა, სრულიად არ არისო საშიში. მერე ექიმმა მძიმე სამედიცინო წიგნი ხელში აიღო და უთხრა: - ხელი გამომიწოდეთ.

ლუსი წამით შეყოყმანდა, მაგრამ მერე მაინც გაუწოდა ხელი. მთელი ამ ხნის განმავლობაში დოქტორმა სეგალმა პირველად გაუღიმა.

- ამით ქირურგიული ოპერაციისთვის კუთვნილ ჩემს ჰონორარს ვკარგავ, - თქვა მან, - ამ წარმონაქმნს, უბრალოდ, წიგნს დავარტყამ და ისიც თვალის დახამხამებაში გაქრება. მერე, მართალია, ისევ შეიძლება გაჩნდეს, მაგრამ ოპერაცია რომ გამეკეთებინა, ძვირი დაგიჯდებოდათ და მკლავიც დიდხანს გექნებოდათ შეხვეული. ო,კეი?

ლუსიმ დოქტორ სეგალს გაუღიმა. რატომღაც ბოლომდე მიენდო.

- ო,კეი, - თქვა მან. იმავე წამს ექიმმა მძიმე წიგნი მკლავზე დაუშვა. წარმონაქმნი თითქმის უკვალოდ გაქრა.

- ძალიან გეტკინათ? - ჰკითხა ექიმმა.

- არა, - მიუგო ლუსიმ.

დოქტორმა სეგალმა მისი სამედიცინო ბარათის შევსება დაიწყო.

- სულ ეს იყო? - იკითხა ლუსიმ.

ექიმმა თავი დაუქნია. ყურადღებას აღარ აქცევდა. ლუსი კაბინეტიდან გავიდა.

ერთი კვირის შემდეგ დოქტორმა სეგალმა ლუსის კაფეში მოჰკრა თვალი და გვერდით მიუჯდა.

- ხელი როგორ გაქვთ? - იკითხა ექიმმა.

- კარგად, - მიუგო ლუსიმ, - მთლად ტრადიციულ ექიმს არა ჰგავხართ, სამაგიეროდ, ნამდვილად კარგი ექიმი ყოფილხართ.

ჯულ სეგალს გაეცინა.

- ვერ წარმოიდგენთ, რამდენად არატრადიციული ექიმი ვარ. მე კი, ჩემი მხრივ, არ ვიცოდი, რამდენად მდიდარი ყოფილხართ. „ვეგას-სანში“ სასტუმროს აქციების მფლობელთა სია გამოქვეყნდა. იქ წერია, ლუსი მანჩინი მთელი ათი პროცენტის მეპატრონეაო. ესე იგი, მე იმ პატარა წარმონაქმნზე დიდი ფულის გაკეთება შემეძლო.

ლუსიმ არაფერი უპასუხა, უცებ ჰეიგენის გაფრთხილება გაახსენდა. ექიმმა, როგორც ჩანს, რაღაც შეატყო და უთხრა: - ნუ გეშინიათ, ყველაფერს ვხვდები, თქვენ ნამდვილი მფლობელი კი არა, ერთ-ერთი ცრუმაგიერი პირი ხართ. ლას-ვეგასში ასეთები მრავლად არიან. რას იტყვით, საღამოთი რესტორანში რომ დაგპატიჟოთ სავახშმოდ? ვარიეტეც ვნახოთ. თუკი რულეტზე თამაშის სურვილი გაგიჩნდებათ, შემიძლია, რამდენიმე ჟეტონიც გიყიდოთ.

ლუსი ყოყმანობდა, დოქტორი სეგალი კი მის დარწმუნებას განაგრძობდა. ბოლოს ლუსიმ უთხრა: - სიამოვნებით წამოვიდოდი, მაგრამ მეშინია, რომ საღამოს ბოლოს იმედგაცრუებული დარჩებით. მე ისეთი არა ვარ, როგორიც ლას-ვეგასელი გოგოების უმეტესობა.

- ამიტომაც გეპატიჟებით, - მხიარულად მიუგო ჯულმა, - ამ საღამოს ჩემს თავს დასვენება გამოვუწერე.

ლუსიმ გაუღიმა და, ცოტა არ იყოს, სევდიანად უთხრა: - ნუთუ ეს ამდენად თვალში საცემია?

ექიმმა უარის ნიშნად თავი გააქნია და მაშინ ლუსიმ თქვა: - კარგი, ვივახშმოთ ერთად, მაგრამ ჟეტონებს მე თვითონ ვიყიდი.

მართლაც ივახშმეს და თან მიუზიკჰოლის გამოსვლასაც უყურეს. ჯულ სეგალი ლუსის მოცეკვავეთა შიშველი სხეულის სხვადასხვა ნაწილისა და მკერდის სამედიცინო სახელწოდებებს ეუბნებოდა და ასე ართობდა, ოღონდ ყოველგვარი დაცინვის გარეშე, მსუბუქი იუმორით. მერე რულეტი ითამაშეს და ას დოლარზე მეტი მოიგეს. შემდეგ მანქანით ბოულდერ-დემთან მივიდნენ, მთვარის შუქზე იქაურობით რომ დამტკბარიყვნენ. ჯული ლუსის წაეთომარა, მაგრამ რამდენიმე კოცნის შემდეგ ლუსიმ კატეგორიულად მოიშორა თავიდან. ჯული გაჩერდა, თავისი მარცხი კვლავ იუმორით მიიღო.

- ხომ გაგაფრთხილეთ, რომ არ დაგეწყოთ, - უსაყვედურა ლუსიმ.

- მაგრამ რომ არ დამეწყო, ხომ გეწყინებოდათ, - მიუგო ჯულმა. ეს ნამდვილად სრული სიმართლე გახლდათ და ორივეს გაეცინა.

უახლოეს რამდენიმე თვეში ძლიერ დამეგობრდნენ. ეს სიყვარული არ ყოფილა, რადგან სასიყვარულო ურთიერთობა არ ჰქონიათ - ლუსის არ სურდა. მშვენივრად ხედავდა, რომ მისი მუდმივი უარი ჯულს აოცებდა, თუმცა ამის გამო თავს შეურაცხყოფილად არ გრძნობდა, როგორც მამაკაცების უმეტესობა მსგავს სიტუაციაში, და ამიტომ ლუსი მის მიმართ კიდევ მეტად განიმსჭვალა ნდობით. მან აღმოაჩინა, რომ პროფესიონალი ექიმის მკაცრი გარეგნობის მიღმა მხიარული და რისკიანი ადამიანი იმალებოდა. უქმე დღეებში კალიფორნიაში ავტორბოლებში მონაწილეობდა. შვებულება მექსიკის მიყრუებულ ადგილებში გაატარა, იქ იმოგზაურა, სადაც უცხო კაცი სულ უბრალო მიზეზის გამო შეეძლოთ მოეკლათ, ვთქვათ, ფეხსაცმლის გულისთვის, და სადაც ისეთივე პრიმიტიული ცხოვრებით ცხოვრობდნენ, როგორც საუკუნეების წინ. ლუსიმ სრულიად შემთხვევით შეიტყო, რომ ჯული ქირურგი იყო და ადრე ნიუ-იორკის საუკეთესო კლინიკაში მუშაობდა.

ლუსის უკვირდა, რატომ დაიწყო დოქტორმა სეგალმა ოტელის უბრალო ექიმად მუშაობა. როდესაც ამის შესახებ ჰკითხა, ჯულმა შესთავაზა: - მოდი, შენი ბნელით მოცული საიდუმლო მომიყევი, მე კი ჩემსას გიამბობ.

ლუსი გაწითლდა და საუბარი სხვა თემაზე გადაიტანა. ამ საკითხს აღარც ჯული შეხებია. მათი ურთიერთობა თავისით გაგრძელდა, როგორც მხურვალე მეგობრობა, რომელიც ლუსისთვის გაცილებით მეტს ნიშნავდა, ვიდრე თავიდან აცნობიერებდა.

...ახლა, როცა ლუსი აუზის გვერდით იყო წამოწოლილი, ჯულს კი თავი მის კალთაში ჩაედო, ქალი მის მიმართ წარმოუდგენელ სითბოს გრძნობდა. ლუსი ჯულს კისერზე ხელს გაუაზრებლად ნაზად უსვამდა. კაცი თვლემდა, ყოველ შემთხვევაში, მოფერებაზე არ რეაგირებდა და ლუსი უეცრად თვით მისმა გვერდით ყოფნამ აღაგზნო. უეცრად კაცმა თავი ასწია და წამოდგა. ქალს ხელი ჩასჭიდა და ბალახის მოლზე წაიყვანა მოცემენტებული ბილიკისკენ. ლუსი მორჩილად მიჰყვებოდა. წინააღმდეგობა არც მაშინ გაუწევია, როცა ერთ-ერთ კოტეჯში შეიყვანა, სადაც დროებით ბინა ჰქონდა დადებული. იქ ჯულმა ორი კოქტეილი მოამზადა. მხურვალე მზისა და საკუთარი მღელვარე ფიქრების შემდეგ მაგარმა კოქტეილმა უმალ იმოქმედა, ლუსიმ თავბრუსხვევა იგრძნო. მერე კი ჯული მიუახლოვდა და მოეხვია. მათი თითქმის შიშველი სხეულები (მხოლოდ საცურაო კოსტიუმები ეცვათ), ერთმანეთს გადაეხლართა. „არ გინდა“, - ჩურჩულებდა ლუსი, მაგრამ მის ხმაში არავითარი სიმტკიცე არ იგრძნობოდა და კაცმა ამას ყურადღება არ მიაქცია. აზღუდი სასწრაფოდ გააძრო და ლუსის მძიმე ძუძუებს ალერსი და კოცნა დაუწყო, მერე კი ტრუსიც ჩახადა და მუცელი და ლაჯები ჩაუკოცნა. ფეხზე მდგომმა ჯულმა საცურაო კოსტიუმი ცალი ხელით საჩქაროდ ჩაიძრო და ჩახუტებულები, შიშვლები მის ლოგინში ჩაწვნენ. ლუსიმ იგრძნო, როგორ დაეუფლა მას ჯული, - მცირედი შეხებაც საკმარისი აღმოჩნდა, რომ ნეტარება ეგრძნო, მაგრამ ერთი წამის შემდეგ ლუსი ჯულის მოძრაობით მიხვდა, რომ კაცი გაოცებული იყო, და ისეთი მწველი სირცხვილი იგრძნო, რომელსაც სონიმდე გრძნობდა... ჯულმა მის სხეულს მდგომარეობა უცვალა და ლუსიმ მისცა საშუალება ისე დაეწვინა, როგორც სურდა. ჯული კიდევ ერთხელ დაეუფლა, თანაც კოცნიდა და ლუსიმ ისევ იგრძნო ნეტარება,

მაგრამ რაც უფრო მნიშვნელოვანი იყო, მიხვდა, - კაცსაც მისი მსგავსი განცდა აქვს და კულმინაციას უახლოვდება.

როდესაც ჯული საქმეს მორჩა და გვერდზე გადაგორდა, ლუსი მოულოდნელად საწოლის კუთხეში მიიყუჟა და ატირდა. და მით უფრო მოულოდნელი იყო მისთვის ჯულის ხმამაღალი სიცილით ნათქვამი: - შე სულელო იტალიელო გოგო, ამის გამო არ მაძლევდი ამდენ ხანს? რა სულელი ხარ.

ეს ისეთი სიყვარულით წარმოთქვა, რომ ლუსი მისკენ შებრუნდა. ჯულმა მიიზიდა და უთხრა: - შენ შუა საუკუნეების, ნამდვილი შუა საუკუნეების ქალი ხარ.

ლუსი ტირილს განაგრძობდა და კაცმა ეს, რაც შეეძლო, ალერსიანი ტონით უთხრა, რომ დაემშვიდებინა.

მერე სიგარეტს მოუკიდა და ლუსის პირში ჩაუდო. ლუსის კვამლი გადაეყლაპა და იძულებული გახდა, ტირილი შეეწყვიტა.

- ახლა მომისმინე, - თქვა ჯულმა, - თანამედროვე წარმოდგენების მქონე ოჯახში რომ გაზრდილიყავი, ეს შენი პრობლემა, დიდი ხანია, გადაჭრილი გექნებოდა. ახლა კი ნება მომეცი, აგიხსნა, კონკრეტულდ რაში მდგომარეობს შენი სამედიცინო პრობლემა: ეს არ არის სიმახინჯის, ცუდი კანის ან სიელმის მსგავსი რამ, რასაც, კაცმა რომ თქვას, პლასტიკური ქირურგიაც კი ვერ შველის. შენი პრობლემა უფრო ნიკაპზე მეჭეჭის ან არასწორი მოყვანილობის ყურის პრობლემასა ჰგავს. ნუ ფიქრობ ამაზე სექსუალურ ჭრილში. ნუ ფიქრობ, რომ შენ იმდენად დიდი სასქესო ორგანო გაქვს, თითქოს ვერც ერთი მამაკაცი სიამოვნებას ვერ მიიღებს, რადგან პენისისთვის საჭირო ფრიქციას ვერ უზრუნველყოფს. რაც შენ გჭირს, საკმაოდ გავრცელებულია. ეს დეფექტი, უმეტესად, ბავშვის გაჩენის შემდეგ ყალიბდება, მაგრამ, შეიძლება, ძვლოვანი სისტემის თანდაყოლილი თავისებურებითაც იყოს განპირობებული. ეს მართლა ხშირად გვხვდება და ბევრი ქალი ამის გამო მთელი ცხოვრება იტანჯება, არადა მარტივ ოპერაციას ყველაფერი ძალზე სწრაფად შეუძლია გამოასწოროს. ზოგიერთი ქალი ამის გამო თავსაც კი იკლავს. შენ ძალიან ლამაზი სხეული გაქვს და ვერაფრით წარმოვიდგენდი, ეს დეფექტი თუ გექნებოდა. მეგონა, ფსიქოლოგიური პრობლემა გქონდა, რადგან შენი და სონის ისტორია ვიცოდი, - შენ თვითონ საკმარისად ბევრი მომიყევი მის შესახებ. მოდი, ნება მომეცი, გაგსინჯო და ზუსტად გეტყვი, რამდენი სამუშაო გვექნება. ოღონდ ჯერ შედი და შხაპი მიიღე.

ლუსი სააბაზანოში შევიდა და შხაპი მიიღო. შემდეგ, მისი პროტესტის მიუხედავად, ჯულმა მოთმინებით აიძულა საწოლზე დაწოლილიყო და ფეხები გაეშალა. მას შინ საექიმო ინსტრუმენტების სათადარიგო ნაკრები ჰქონდა, რომელიც ახლა გახსნა. გარდა ამისა, საწოლთან მდგარ მომცრო, შუშით დაფარული მაგიდის უჯრებშიც ეწყო რაღაც იარაღები. გულდასმით მუშაობდა, სინჯავდა, თითებს უყოფდა და ატრიალებდა. ლუსი თავს დამცირებულად გრძნობდა. ბოლოს დოქტორმა სეგალმა დუნდულაზე აკოცა და უთხრა: - ცხოვრებაში პირველად მივიღე სიამოვნება ჩემი სამუშაოსგან.

შემდეგ ლუსი მუცელზე გადააბრუნა და თითი უკანა ტანში შეუყვანა. მეორე ხელით კისერზე ეფერებოდა, ამშვიდებდა. როდესაც გასინჯვას მორჩა, ლუსი გადმოაბრუნა, ტუჩებში აკოცა და უთხრა: - ძვირფასო, სრულიად ახალი რაღაც უნდა აგიშენო იქ,

ქვემოთ, და მერე კი პირადად შევამოწმო. მედიცინის ისტორიაში ეს პირველი შემთხვევა იქნება და ამაზე სპეციალურ ჟურნალში სტატიას დავწერ.

ჯულმა ეს ყველაფერი ისეთი სიყვარულითა და იუმორით უთხრა, რომ ლუსი დაბნეულობასა და სირცხვილის გრძნობას მოერია. გარდა ამისა, ჯულმა აჩვენა სამედიცინო წიგნი, სადაც მსგავსი შემთხვევა და მისი გამოსწორების ქირურგიული გზა იყო აღწერილი. ამ ყველაფერმა ლუსი ძლიერ დააინტერესა.

- ეს თან ჯანმრთელობის საკითხიცაა, - თქვა ჯულმა, - თუკი დროზე არ გამოისწორებ, მოგვიანებით შენი შარდსასქესო სისტემის გამო არაერთი პრობლემა შეგექმნება. ქირურგიული კორექტირება თუ არ მოხდა, მთელი სისტემა თანდათან დასუსტდება. უდიდესი სირცხვილია, რომ მსგავს შემთხვევებში გადამეტებული მორიდებულობა ექიმებს ხელს უშლის, სწორი დიაგნოზი დასვან, ქალებს კი - რომ თავისი ჩივილების შესახებ გულწრფელად ილაპარაკონ.

- აღარ გინდა ამაზე, გეხვეწები, აღარ გინდა, - სთხოვა ლუსიმ.

ჯული ხედავდა, რომ ლუსი თავს ერთობ უხერხულად გრძნობდა, რადგან მან მისი საიდუმლოების, ,,საზიზღარი დეფექტის" შესახებ შეიტყო. მიუხედავად იმისა, რომ ჯულის პროფესიულად ნაწრთობ გონებას ლუსის განცდები სასაცილოდაც არ ჰყოფნიდა, მას ეყო გაგების უნარი, რომ საკუთარი თავი მის ადგილას დაეყენებინა. ამან კი მისი დამშვიდების სწორი გზა უკარნახა.

- ო,კეი, - თქვა ჯულმა, - შენი საიდუმლო გავიგე, ახლა ჩემსას მოგიყვები. შენ ხშირად მეკითხები ხოლმე, რა მინდა მე აქ, საუკეთესო ახალგაზრდა ქირურგს მთელ აღმოსავლეთში...

ჯულმა გაზეთებში მის შესახებ დაწერილის სახუმარო ციტირება გააკეთა.

- საქმე ის არის, რომ მე აბორტებს ვაკეთებ. თავისთავად ცუდი ამაში მაინცდამაინც არაფერია, ამით ექიმების ნახევარია დაკავებული. ცუდი ის არის, რომ მე ფაქტზე დამიჭირეს. ჩემმა მეგობარმა, ექიმმა კენედიმ დახმარება შემომთავაზა. როგორც ვხვდები, ტომ ჰეიგენმა თავის დროზე უთხრა, რომ, საჭიროების შემთხვევაში, ყოველთვის შეუძლია კორლეონეს ოჯახს დახმარების სათხოვნელად მიმართოს. კენედი მართალაც დაელაპარაკა ჩემზე ჰეიგენს. ცოტა ხნის მერე ბრალდება მომიხსნეს, მაგრამ ექიმთა კავშირმა შავ სიაში შემიყვანა და მაშინ კორლეონეს ოჯახმა ლას-ვეგასში გამომინახა სამსახური. აქ საკმაოდ კარგ ფულს ვშოულობ. საქმეც ბევრი მაქვს. მიუზიკჰოლის გოგოები წამდაუწუმ ორსულდებიან, მაგრამ, თუკი დროზე მომმართავენ, აბორტი უმარტივესად კეთდება ხოლმე. ისევე ვფხეკ, როგორც დიასახლისი ტაფებს. ფრედი კორლეონე კი ნამდვილი ნადირია. მარტო ჩემი აქ ყოფნისას თხუთმეტი გოგო დააორსულა. სულ ვაპირებ ამ საკითხზე მამაშვილურად დაველაპარაკო. სამჯერ ვუმკურნალე ტრიპერისა და ერთხელ სიფილისისაგან. ნამდვილი ბუღა ხარია.

ჯული დადუმდა. შეგნებულად იყო ესოდენ გულახდილი, რასაც ძალზე იშვიათად აკეთებდა. უბრალოდ, მას უნდოდა, ლუსის სცოდნოდა, რომ სხვა ადამიანებსაც, ვისაც იგი პატივს სცემს და ცოტა კიდეც უფრთხის, - მაგალითად, ფრედის, - თავიანთი სამარცხვინო საიდუმლოებები აქვთ.

- ჩათვალე, რომ სხეულში დეტალი გაქვს, რომელმაც ელასტიკურობა დაკარგა, - თქვა ჯულმა, - ნაწილს მოვაჭრით და დავიწროვდება, ისევ ელასტიკური გახდება.

- მოვიფიქრებ, - მიუგო ლუსიმ, თუმც კი უკვე გულში იცოდა, რომ ოპერაციას დათანხმდებოდა, რადგანაც ჯულს ბოლომდე ენდობოდა. მერე ლუსი სხვა რაღაცაზე დაფიქრდა.

- და ოპერაცია რა ეღირება? - იკითხა მან.

ჯულმა შუბლი შეიჭმუხნა.

- აქ მე ასეთი ოპერაციის ჩასატარებლად შესაფერისი პირობები არ გამაჩნია და ამ სფეროში არცა ვარ ექსპერტი, მაგრამ ჩემი მეგობარი ლოს-ანჯელესში ასეთ ოპერაციებს საუკეთესოდ აკეთებს და კლინიკაც შესანიშნავი აქვს. ის, ფაქტობრივად, ასეთ ოპერაციას თითქმის ყველა კინოვარსკვლავს უტარებს, როცა ეს ქალბატონები რწმუნდებიან, რომ მხოლოდ სახისა და მკერდის აჭიმვა საკმარისი არ არის იმისთვის, რომ მამაკაცი აიძულო, შეგიყვაროს. თავის დროზე, რამდენჯერმე სამსახური გავუწიე, ამიტომ ოპერაცია არაფერი დაგიჯდება. რამდენჯერმე მისი თხოვნით აბორტები მაქვს გაკეთებული. არაეთიკური რომ არ იყოს, რამდენიმე კინოვარსკვლავის სახელს გეტყოდი, ვინც მასთან ასეთი ოპერაცია ჩაიტარა.

ლუსი მომენტალურად დაინტერესდა.

- მითხარი რა, მითხარი, - შეეხვეწა.

- კარგი, გეტყვი, ოღონდ ერთად თუ ვივახშმებთ და ღამესაც ერთად გავატარებთ. ის დრო უნდა ავინაზღაუროთ, შენი სისულელის გამო რომ დავკარგეთ.

ლუსიმ ჯულის მიმართ საოცარი სიყვარული იგრძნო და უთხრა: - სრულიადაც არა ხარ ვალდებული, ჩემთან დაწვე. ხომ ვიცი, ისეთი, როგორიც ახლა ვარ, სიამოვნებას ვერ მოგანიჭებ.

ჯულმა გაიცინა.

- რა სულელი ხარ, ნამდვილი სულელი. ნუთუ არ გაგიგია, რომ არსებობს სხვა მეთოდებიც, უფრო ძველიც და ცივილიზებულიც. ნუთუ მართლა ასეთი გულუბრყვილო ხარ?

- აჰ, ის... - ჩაილაპარაკა ლუსიმ.

- აჰ, ის... - გამოაჯავრა ჯულმა, - წესიერი გოგოები და კაცური კაცები ამას არ აკეთებენ, თუნდაც უკვე 1948 წელი იყოს? იცი, რას გეტყვი, ერთ მოხუც ქალბატონთან შემიძლია მიგიყვანო აქ, ლას-ვეგასში, რომელიც დასავლეთის ათვისების პერიოდში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ქალი ბრძანდებოდა „ველურ დასავლეთში“ გახსნილ პირველ საროსკიპოში. ეს, ალბათ, 1880 წელი იქნებოდა. უყვარს იმ „ტკბილი“ დროების გახსენება. ჰოდა, იცი, რა მომიყვა? რომ ის მაგარი მსროლელი ბიჭები, თავზე ხელაღებული კოვბოები, გოგოებს ყოველთვის „ფრანგულ“ სიყვარულსა სთხოვდნენ, რასაც ჩვენ, ექიმები, ფელაციოს ვუწოდებთ, შენ კი „აჰ, ის“-ს ეძახი. ოდესმე თავში თუ მოგსვლია, ეს სონისთან ერთად გაგეკეთებინა?

და მაშინ ლუსიმ ის პირველად განაცვიფრა. ჯულს მონა ლიზას ღიმილით (ჯულს მეცნიერულად მომართულ გონებაში წამსვე გაუელვა, ამაში ხომ არ იმალება ამ მრავალსაუკუნოვანი გამოცანის პასუხიო) გაუღიმა და მშვიდად უთხრა: - მე და სონი ყველაფერს ვაკეთებდით, რაც კი შესაძლებელია.

ასეთი რამ ლუსის ჯერ არავისთვის ეთქვა.

ორი კვირის შემდეგ ჯულ სეგალი ლოს-ანჯელესის კლინიკის საოპერაციოში იდგა და უყურებდა, როგორ ოსტატურად ირჯებოდა მისი მეგობარი ფრედერიკ კელნერი. სანამ ლუსის ანესთეზიას გაუკეთებდნენ, ჯული დაიხარა და წასჩურჩულა: ,,ექიმს ვუთხარი, რომ ჩემი გოგო ხარ და რაც შეიძლება ვიწროდ გაგკერავს", მაგრამ ლუსი წამლებისგან უკვე გაბრუებული გახლდათ და მის ნათქვამზე ვერც გაიცინა და გაღიმებითაც კი ვერ გაიღიმა. თუმც კი ამ ხუმრობამ წინასაოპერაციო შიში ერთგვარად გაუქარწყლა...

დოქტორი კელნერი მაღალი დონის პროფესიონალი გახლდათ, - სრულიად დარწმუნებული იყო თავის თავში, სწრაფად და ზუსტად, მაგრამ თანაც, საკმაოდ ფრთხილად მოქმედებდა, რადგან მეტისმეტად ღრმა განაჭერს შეიძლება სფინქტერი დაეზიანებინა. ლუსის შემთხვევა რთული არ ჩანდა, ჯულმა რენტგენოგრამები და ანალიზების პასუხები გულდასმით შეისწავლა. წესით, გართულება მოსალოდნელი არ იყო, მაგრამ ოპერაცია ოპერაციაა...

კელნერმა თავის საქმე მართლაც კარგად იცოდა. ოპერაციას ისე მარჯვედ ატარებდა, როგორც დურგალი აჭედებს ფიცრებს.

ოპერაცია დასრულდა. ლუსი გორგოლაჭიანი საკაცით პალატაში გაიყვანეს, ჯული კი კელნერთან სალაპარაკოდ დარჩა. კელნერი კარგ ხასიათზე ჩანდა, რაც მეტყველებდა, რომ ოპერაციამ ჩინებულად ჩაიარა.

- არავითარი გართულება არ იქნება, - უთხრა მან ჯულს, - არანაირი წანაზარდები არ ჰქონია, მარტივი შემთხვევაა. საკმაოდ მოქნილი ქსოვილი აღმოაჩნდა, სიამოვნების მისაღებად მზად არის. კიდეც მშურს შენი, შე ძველო. რასაკვირველია, ცოტა მოცდა მოგიწევს, მაგრამ მერე ჩემს ნახელავს დააფასებ.

ჯულს გაეცინა.

- შენ ნამდვილი პიგმალიონი ხარ, ექიმო, - თქვა მან, - არა, მართლა, ოპერაცია შესანიშნავად ჩაატარე.

კელნერმა ჩაიცინა.

- ეს ყველაფერი ბავშვური თამაშია, შენი აბორტებისა არ იყოს, - თქვა მან, - საზოგადოება უფრო რეალისტურად რომ აზროვნებდეს, ისეთ ადამიანებს, როგორიც შენ და მე ვართ, - ნამდვილად ნიჭიერ ადამიანებს, - გაცილებით სერიოზულ საქმეს დაგვავალებდა, ასეთ რამეებს კი ხელოსნებს გადავაბარებდით. ჰო, სხვათა შორის, ამ დღეებში ერთ გოგოს გამოგიგზავნი. ძალიან კარგი გოგოა, ასეთები კი, მგონი, ხათაბალაში უფრო ხშირად ეხვევიან. მოკლედ, ბარი ბარში ვიქნებით.

ჯულმა თავი დაუქნია.

- გმადლობ, ექიმო, - თქვა მან, - იქნებ როგორმე ჩამოხვიდე ჩვენთან, კარგად გაგართობდით.

კელნერმა სუსტად გაუღიმა.

- მე ისედაც ყოველდღე რისკზე მივდივარ, ამისთვის აზარტული თამაში და რულეტი არ მჭირდება. ისედაც მეტისმეტად ხშირად ვეთამაშები ბედს. შენ კიდევ იქ დროს ტყუილად ხარჯავ. კიდევ რამდენიმე წელი და ფორმას ისე დაკარგავ, სერიოზულ ქირურგიას სამუდამოდ დაემშვიდობები.

კელნერი გატრიალდა და წავიდა. ჯული მიხვდა, ეს საყვედური კი არა, მეგობრული გაფრთხილება იყო, მაგრამ გული მაინც ეტკინა. მან იცოდა, - ლუსი პალატაში, სულ მცირე, თორმეტი საათი მაინც დარჩებოდა, ამიტომ ქალაქში გავიდა და მაგრად დალია. მისი დათრობის ერთ-ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ გულიდან სიმძიმე ჩამოეხსნა, რადგან ლუსის ოპერაციამ ასე კარგად ჩაიარა.

მეორე დღეს ჯული საავადმყოფოში მივიდა და მეტად გაოცებული დარჩა, როდესაც ლუსის პალატაში ორი უცნობი მამაკაცი და ბლომად ყვავილები დახვდა. ლუსი ბალიშებს მიყუდებული ლოგინში წამომჯდარიყო, სახე სიხარულით უბრწყინავდა. ჯული მით უფრო გაკვირვებული იყო, რომ მშვენივრად მოეხსენებოდა, - ლუსის თავის ოჯახთან კავშირი გაწყვეტილი ჰქონდა. ლუსიმ კიდეც სთხოვა, ნათესავებისთვის არაფერი შეეტყობინებინა, გარდა ერთადერთი შემთხვევისა, თუკი რაიმე ძალიან სერიოზული გართულება მოუვიდოდა. ფრედი კორლეონემ, რაღა თქმა უნდა, იცოდა, რომ ლუსი საავადმყოფოში მარტივი ოპერაციის გასაკეთებლად წვებოდა; ჯულმა ამის შესახებ თვითონ უთხრა და თავისთვის და ლუსისთვის შვებულებაც ითხოვა. ფრედი ამას ულაპარაკოდ დათანხმდა და თანაც დაამატა, რომ ოპერაციისა და მკურნალობის ყველა ხარჯს სასტუმრო დაფარავდა.

ლუსიმ ჯულს პალატაში მყოფები წარუდგინა. ერთ-ერთი მათგანი ჯულმა მაშინვე იცნო, - ცნობილი ჯონი ფონტეინი გახლდათ, მეორე - მაღალი, დაკუნთული იტალიელი კაცი, - ნინო ვალენტი აღმოჩნდა. ჯულს ორივემ ხელი ჩამოართვა და მეტად ზედაც აღარ შეუხედავთ, ლუსისთან საუბარი განაგრძეს. ხუმრობდნენ, იხსენებდნენ ბავშვობას, რომელიც ნიუ-იორკის ერთ-ერთ კვარტალში ერთად ჰქონდათ გატარებული. ეს ისეთი საუბარი გახლდათ, რომელშიც ჯული მონაწილეობას ვერ მიიღებდა, ამიტომ ლუსის უთხრა: - მოგვიანებით შემოგივლი. ისედაც ექიმი კელნერი უნდა მენახა.

მაგრამ ჯონი ფონტეინმა გააჩერა და უთხრა: - არა, მეგობარო, ჩვენ გავდივართ. დარჩი და ლუსის კარგად მოუარე, დოკ.

ჯულმა ყურადღება მიაქცია იმას, რომ ჯონი ფონტეინს ხმა უცნაურად ჩახრინწული ჰქონდა, მერე კი უეცრად გააცნობიერა, - დახლოებით ერთი წლის განმავლობაში, მას შემდეგ, რაც საუკეთესო კინოროლისთვის „ოსკარით“ დააჯილდოეს, პუბლიკის წინაშე აღარ უმღერია. რამდენად შეიძლება კაცს ხმა ესოდენ მოწიფულ ასაკში შეეცვალოს, პრესა და ყველა დანარჩენი კი ამაზე კრინტსაც არ ძრავდნენ? ჯულს ყოველთვის აინტერესებდა, რა ხდებოდა ხოლმე კულისებს მიღმა და ახლა გულდასმით აყურადებდა, ცდილობდა, მიმხვდარიყო, ჯონი ფონტეინს ხმა ასე რამ შეუცვალა. შესაძლოა, უბრალოდ გადაეძაბა ანდა მიზეზი მეტისმეტი მოწევა, სმა ან,

სულაც, ქალები იყო. ჯონის ხმა საძაგლად ჟღერდა. შეუძლებელი იყო იმის წარმოდგენა, რომ ის მშვენიერი ნეაპოლიტანური სიმღერების ერთ-ერთ საუკეთესო შემსრულებელს ეკუთვნოდა.

- ალბათ, გაცივებული ხართ, - უთხრა ჯულმა ჯონი ფონტეინს.

ფონტეინმა თავაზიანად უპასუხა: - უბრალოდ, გადავიღალე, გუშინ ვეცადე მემღერა, - უპასუხა ჯონიმ, - ეტყობა, ვერ შევეგუე იმას, რომ ასაკთან ერთად ხმაც იცვლება.

და ჯულს ისე გაუღიმა, თითქოსდა ეუბნებოდა: ,,შენი რა საქმეა?"

ჯულმა ჰკითხა: - ექიმს ეჩვენეთ? იქნებ, შეიძლება დახმარება?

ახლა ჯონი ფონტეინს თავაზიანი უკვე აღარ ეთქმოდა. ჯული ცივად შეათვალიერა და უთხრა: - ეს, დაახლოებით, ორი წლის წინ გავაკეთე. საუკეთესო სპეციალისტებს მივმართე. სხვათა შორის, ჩემი პირადი ექიმი აქ, კალიფორნიაში, ყველაზე კარგ სპეციალისტად ითვლება. მითხრეს, მეტი დაისვენეო. არაფერი გჭირსო, უბრალოდ, ასაკთან ერთად ხმაც იცვლებაო.

ამის მერე ჯონიმ ჯულს ზურგი შეაქცია და ლუსისთან მასლაათი განაგრძო. ჯული ისევ მის ხმას აყურადებდა. ყელის იოგებზე სიმსივნე უნდა ჰქონდეს, მაგრამ ის საუკეთესო სპეციალისტები რას უყურებდნენ? რატომ ვერ შენიშნეს? იქნებ ავთვისებიანია და ოპერაციის გაკეთება არ შეიძლება? მაშინ სხვა საქმეა.

ჯულმა ფონტეინს სიტყვა გააწყვეტინა და ჰკითხა: - ბოლოს როდის ეჩვენეთ სპეციალისტს?

ჯონი ფონტეინი აშკარად ძალზე გაღიზიანდა, მაგრამ ლუსის ხათრით მაინც ცდილობდა, თავი შეეკავებინა.

- დაახლოებით, თვრამეტი თვის წინ, - თქვა მან.

- ამ ხნის განმავლობაში თქვენი პირადი ექიმი თუ გსინჯავდათ? - ჰკითხა ჯულმა.

- რა თქმა უნდა, - გაბრაზებით მიუგო ფონტეინმა, - მსინჯავს და კოდეინის აეროზოლს მინიშნავს. მეუბნება, რომ ეს ასაკის, მოწევის, სმისა და ყველაფერი დანარჩენის ბრალია. შენ რა გგონია, მასზე მეტი გესმის?

- რა ჰქვია? - ჰკითხა ჯულმა.

- ტაკერი. დოქტორი ჯეიმზ ტაკერი, - ეს სახელი და გვარი ფონტეინმა ერთგვარი სიამაყით წარმოთქვა, - აბა, რას იტყვი მასზე?

ეს საკმაოდ ცნობილი სახელი გახლდათ, კინოვარსკვლავებსა და საუკეთესო გამაჯანსაღებელ ცენტრებთან უშუალოდ დაკავშირებული.

- მაგრად იცვამს, - ჯულმა ღიმილით მიუგო.

ფონტეინი გაბრაზებას უკვე აღარ მალავდა.

- შენ რა გგონია, უკეთესი ექიმი ხარ?

ჯულს გაეცინა.

- ვინ უფრო უკეთესი მომღერალია, ჯონი ფონტეინი თუ კარმენ ლომბარდო? - თქვა მან.

ეს რომ გაიგონა, ნინო ვალენტიმ გადაიხარხარა, საცილისგან ლამის ჩაბჟირდა, თავი სავარძლის საზურგეს რამდენჯერმე მიურაკუნა. ჯული გაოცდა, მისი ხუმრობა არც იმდენად სასაცილო იყო, მაგრამ მერე ვისკის სუნი იგრძნო და მიხვდა, - მისტერ ვალენტი ამ დილაადრიან თითქმის მთვრალი გახლდათ.

ფონტეინმა ნინო ვალენტის შეუბღვირა.

- ეი, შენ, მაგის კი არა, ჩემს ხუმრობებზე უნდა იცინო! - მიუგდო ნინოს.

ამ დროს ლუსი წამოიწია, ჯულს ხელი ჩასჭიდა და თავის საწოლთან ახლოს მიიყვანა.

- მხოლოდ გარეგნულად ჰგავს პატარა ბიჭს, სინამდვილეში კი ბრწყინვალე ქირურგია, - თქვა ლუსიმ ხმამაღლა, - თუკი ამბობს, რომ დოქტორ ტაკერზე უფრო მაგარია, ესე იგი, მართლაც ასეა. დაუჯერე, ჯონი.

ამ დროს პალატაში ექთანი შემოვიდა და თქვა, ყველა გასულიყო, - ლუსისთვის პროცედურა უნდა ჩაეტარებინათ. ჯულს ძალზე ესიამოვნა, როცა დაინახა, გამომშვიდობებისას ლუსიმ ჯონსა და ნინო ვალენტის საკოცნელად ლოყა მიუშვირა, მას კი ტუჩებში აკოცნინა და უჩურჩულა: - სადილის მერე შემოიარე, კარგი?

ჯულმა თავი დაუქნია.

როდესაც დერეფანში გავიდნენ, ნინო ვალენტიმ იკითხა: - რა ოპერაცია გაუკეთეს? რამე სერიოზულია?

ჯულმა უარის ნიშნად თავი გააქნია.

- არა, პატარა ქალური ამბავია. აბსოლუტურად არაფერი სერიოზული, მენდეთ. თქვენზე მეტად ეს მე მაწუხებს, ამ გოგოს ცოლად შერთვას ვაპირებ.

ჯონიმ და ნინომ შემფასებლურად აათვალიერ-ჩაათვალიერეს. ჯულმა ჰკითხა: - და საიდან გაიგეთ, რომ საავადმყოფოშია?

- ფრედიმ დაგვირეკა და გვთხოვა, გვენახა, - მიუგო ფონტეინმა, - ჩვენ ხომ ერთ უბანში ვიზრდებოდით. ლუსი ფრედის დის ქორწილში მეჯვარე იყო.

- აა, - თქვა ჯულმა. გადაწყვიტა, არ გაემჟღავნებინა, რომ მთელი ეს ისტორია ისედაც მშვენივრად იცის, რადგან შეატყო, რომ მათ ლუსისა და სონის ურთიერთობის საიდუმლოდ შენახვა უნდოდათ.

დერეფანში მიდიოდნენ, როდესაც ჯულმა ფონტეინს შესთავაზა: - მე ამ კლინიკაში მოწვეული ექიმის სტატუსით ვსარგებლობ, იქნებ, ყელში ჩამახედოთ?

ჯონიმ უარის ნიშნად თავი გააქნია: - არა, მეჩქარება.

- მაგის ყელი მილიონობით დოლარი ღირს და უბრალო ექიმს, აბა, როგორ ჩაახედებს? - თქვა ნინო ვალენტიმ და ჯულს გაუცინა. ჯული მიხვდა, ეტყობა, ნინო მის მხარეზეა.

- მე უბრალო ექიმი არ ვარ, - თქვა ჯულმა, - მე ვიყავი ყველაზე იმედის მომცემი ახალგაზრდა ქირურგი და დიაგნოსტი მთელ აღმოსავლეთ სანაპიროზე, სანამ აბორტზე არ გამომიჭირეს.

როგორც ჯული მოელოდა, ამ სიტყვებმა ჯონისა და ნინოზე შთაბეჭდილება მოახდინა. უფრო სერიოზულად შეხედეს. საკუთარი დანაშაულის აღიარებით მან თითქოსდა მეტი წონა შესძინა თავის განცხადებას, რომ მაღალი დონის სპეციალისტი იყო.

პირველმა ნინომ უპასუხა: - თუ ჯონი თქვენი სამსახურით არ ისარგებლებს, მე ერთ ჩემს მეგობარ გოგოს გამოგიგზავნით. ოღონდ ყელის გასინჯვა არ სჭირდება, არამედ სრულიად სხვა რაღაცის.

ჯონი ფონტეინმა ჯულს ნერვიულად ჰკითხა: - რამდენ დროს წაიღებს?

- ათ წუთს, - მიუგო ჯულმა. ეს ტყუილი იყო, მაგრამ ექიმ სეგალს მიაჩნდა, რომ განსაკუთრებულ შემთხვევაში ადამიანის მოტყუება დასაშვები გახლდათ, - როდესაც საქმე მის ჯანმრთელობას ეხებოდა.

- ო,კეი, - თქვა ჯონიმ. ხმა ნერვიულობისგან კიდევ უფრო ჩაეხრინწა.

ჯულმა ცალკე კაბინეტი და მედდა ითხოვა. კაბინეტში, მართალია, ყველაფერი არ აღმოჩნდა, რაც მას სჭირდებოდა, მაგრამ ასეც შეიძლებოდა იოლად გასულიყვნენ. ათ წუთზე ნაკლები დასჭირდა იმის დასადგენად, რომ ჯონი ფონტეინს იოგებზე მართლა ჰქონდა სიმსივნე, თანაც საკმაოდ მარტივად მოსაშორებელი. ტაკერიც კი, ეს სრულიად არაკომპეტენტური ჰოლივუდელი ნაბიჭვარი, ვალდებული იყო სწორი დიაგნოზი დაესვა. „ვინ იცის, შეიძლება, ლიცენზიაც კი არა აქვს, და თუ აქვს, დაუყოვნებლივ უნდა ჩამოერთვას“, - გაიფიქრა ჯულმა. ჯონისა და ნინოს ყურადღებას აღარ აქცევდა. ყურმილი აიღო და კლინიკის ოტოლარინგოლოგს სთხოვა, მასთან კაბინეტში მოსულიყო. შემდეგ ნინო ვალენტის მიუბრუნდა და უთხრა: - ეს, ალბათ, ბევრ დროს წაიღებს. უმჯობესია, თქვენ წახვიდეთ.

ფონტეინმა ყურებს არ დაუჯერა.

- შე ნაბიჭვარო, აქ გინდა დამტოვო? შენ გგონია, ჩემს ყელზე გაჯეჯილებ?!

ჯულმა ფონტეინს პირდაპირ თვალებში შეხედა და უფრო მეტი სიამოვნებით, ვიდრე ამ სიტუაციაში მოსალოდნელი იყო, უთხრა: - რაც გინდა, ის გიქნია, მაგრამ იცოდე, ყელში სიმსივნე გაქვს, პირდაპირ იოგებზე. თუკი რამდენიმე საათი აქ დარჩები, ანალიზებს აგიღებთ და გავარკვევთ, ავთვისებიანია სიმსივნე თუ კეთილთვისებიანი. გავარკვევთ, ქირურგიულად ვუმკურნალოთ თუ თერაპიულად. ყველაფერს გეტყვი. შემიძლია, დაგისახელო ამ დარგის საუკეთესო სპეციალისტი შეერთებულ შტატებში. შენი ფულით ამ საღამოსვე შეგიძლია თვითმფრინავით ჩამოიყვანო, თუკი ამას აუცილებლად ჩავთვლი, მაგრამ შეგიძლია წახვიდე და ეჩვენო შენს პირად ექიმს, ანდა ვინმე სხვას, მასავით კომპეტენტურს. თუკი სიმსივნე ავთვისებიანია და

საკმარისად დიდი, მთელ ყელს ამოგღადრავენ და მოკვდები. დარჩი აქ, რამდენიმე საათში ყველაფერი გვეცოდინება. ამაზე უფრო მნიშვნელოვანი საქმე გაქვს?

ამ სიტყვების გაგონებაზე ნინო ვალენტიმ შესძახა: - რა ჯანდაბაა, ჯონი, დასთანხმდი! ახლავე ჩავალ ჰოლში და სტუდიაში დავრეკავ. არაფერს ავუხსნი, უბრალოდ, ვეტყვი, რომ დაგვაგვიანდება. მერე ამოვალ და შენთან დავრჩები.

დრო ძალიან ნელა გადიოდა, საღამო უსაშველოდ გაიწელა, მაგრამ თან შედეგიც მოიტანა. ჯულმა ანალიზების პასუხები და რენტგენოგრამა გულდასმით შეისწავლა და ერთობ კმაყოფილი დარჩა. როდესაც ჯონის ნაცხის აღებისას ყელში იოდი წაუსვეს, გულის ზიდვა დაეწყო და გაქცევა დააპირა, მაგრამ ნინო ვალენტი მხრებზე დააწვა და ადგილზე დასვა. როცა ყველაფერი მოთავდა, ჯულმა ფონტეინს გაუღიმა და უთხრა: - მეჭეჭია.

ფონტეინმა ვერ გაიგო. ჯულმა გაიმეორა: - რამდენიმე მეჭეჭია, წანაზარდები. ისევე მარტივად ჩამოვფხეკთ, ძეხვს რომ ტყავს აცლიან. ერთ-ორ თვეში ყველაფერი რიგზე გექნება.

ნინო ვალენტიმ სიხარულის ყიჟინა დასცა, თუმცა ჯონი მაინც უკმაყოფილო სახით იჯდა.

- ეს ჩემს ხმაზე როგორ იმოქმედებს, შევძლებ სიმღერას? - იკითხა მან.

ჯულმა მხრები აიჩეჩა.

- ვერაფრის გარანტიას ვერ მოგცემ, მაგრამ ისედაც ვერ მღერი და რა განსხვავებაა? - უპასუხა ფონტეინს.

ჯონიმ ამრეზით შეხედა: - ბიჭო, შენ აზრზე ხარ, რას მეუბნები? შენ გგონია, მაგრად გამახარე? მეუბნები, რომ შეიძლება მეტად ვეღარასოდეს ვიმღერო. ეს ნაღდია?

ეს ყველაფერი ჯულ სეგალს, ბოლოს და ბოლოს, ყელში ამოუვიდა. იგი ნამდვილი პროფესიონალივით მოქმედებდა და, თანაც, ჯონი ფონტეინს დიდი შეღავათი და სამსახური გაუწია. ამ ნაბიჭვარს მართლა სიკეთე გაუკეთა, ის კიდევ ისე ელაპარაკება, თითქოს რაღაც დაუშავა.

- მისმინე, მისტერ ფონტეინ. მე ექიმი ვარ. შეგიძლია დამიძახო „დოქტორი“, მაგრამ არავითარ შემთხვევაში - „ბიჭო“. მე მართლა კარგი ამბავი გითხარი. აქ როცა მოვდიოდით, დარწმუნებული ვიყავი, რომ ყელში ავთვისებიანი სიმსივნე გქონდა, რომელიც იოგებიანად ამოსაჭრელი იქნებოდა. თუ არა და, მოგკლავდა. ძალიან მაწუხებდა, რომ შეიძლებოდა, იძულებული გავმხდარიყავი და მეთქვა შენთვის, განწირული ბრძანდები-მეთქი. ამიტომაც გამიხარდა ასე, როცა საშუალება მომეცა, მეთქვა, რომ მეჭეჭია. შენი სიმღერა მართლა მომწონდა, გოგოების შებმაშიც კი მეხმარებოდა ახალგაზრდობაში. მსახიობიც მართლა კარგი ხარ, მაგრამ თან ძალიან განებივრებული ჯეელი ბრძანდები. რა გგონია, რადგან ჯონი ფონტეინი გქვია, კიბო არ შეიძლება დაგემართოს? ანდა არაოპერაბელური სიმსივნე გაგიჩნდეს თავის ტვინში? ანდა გულის მანკი? რა გგონია, არასოდეს მოკვდები? ამ ცხოვრებაში ისე არაა ყველაფერი, როგორც შენს დაშაქრულ სიმღერებშია. ერთი ამ საავადმყოფოში გაისეირნე, თუ გინდა ნამდვილი უბედურება და გასაჭირი ნახო, და მერე მეჭეჭებს

ოდებს უმღერებ. მოკლედ, სისულელეს თავი დაანებე და გააკეთე, რაც გასაკეთებელია. შენს კერპს, შენს პირად ექიმს, შეუძლია, ქირურგი შეგირჩიოს, მაგრამ საოპერაციოში თვითონ თუ შევა, გირჩევ, განზრახ მკვლელობის მცდელობისათვის დააჭერინო.

ჯული შეტრიალდა და კარისკენ დაიძრა, ამ დროს ნინო ვალენტიმ უთხრა: - მაგარი ხარ, დოკ, ყველაფერი უთხარი.

ჯული ნინოს მიუბრუნდა და ჰკითხა: - შენ დილიდანვე ყოველთვის ასეთი მთვრალი ხარ?

- რაღა თქმა უნდა, - მიუგო ნინომ ისეთი იუმორით და ისე თბილად გაუღიმა, რომ ჯულმა მკაცრი ინტონაცია შეარბილა და უთხრა: - თუ ასე გააგრძელებ, ხუთ წელიწადში მოკვდები.

ნინო ვალენტი მოკლე-მოკლე ნაბიჯებით, თითქოს ცეკვავსო, ისე მიუახლოვდა ჯულს, მოეხვია, ვისკის ოხშივარი ცხვირში შეაფრქვია და სიცილით თქვა: - ხუთი წელი? - კვლავაც იცინოდა, - კიდევ ამდენი დამრჩა?

ოპერაციიდან ერთი თვის შემდეგ ლუსი მანჩინი ლას-ვეგასის ოტელის აუზთან იჯდა, ცალ ხელში კოქტეილი ეჭირა, მეორით კი ჯულს თმაზე ეფერებოდა. ჯულს თავი მის კალთაში ედო.

- სასმლით გულის გამაგრება არ გინდა? - ჰკითხა ჯულმა, - ჩვენს აპარტამენტებში შამპანური მაქვს.

- დარწმუნებული ხარ, რომ ასე მალე ყველაფერი უკვე შეიძლება? - ჰკითხა ლუსიმ.

- დღევანდელი ღამე ჩვენთვის უმნიშვნელოვანესია. წარმოიდგინე, პირველი ქირურგი ვარ მედიცინის ისტორიაში, რომელიც თვითონ შეამოწმებს მის მიერვე დაგეგმილი ოპერაციის შედეგს. ხომ გესმის, - რა იყო „მანამდე“ და რა არის „მერე“. ამის შესახებ დიდი სიამოვნებით დავწერ სამედიცინო ჟურნალში. აი, მისმინე: „თუკი ოპერაციამდე სიამოვნების შეგრძნება მხოლოდ და მხოლოდ ფსიქოლოგიური მოტივაციისა და ქირურგის ალერსიანობის ხარჯზე მიიღწეოდა, ოპერაციის შემდეგ სწრაფ ორგაზმს მკვლევრისა და პაციენტი ქალის სასქესო ორგანოების კონგრუენტულობა უზრუნველყოფს“.

ჯულმა ლაპარაკი შეწყვიტა და ტკივილისგან დაიღმუვლა, რადგან ლუსიმ თმა მთელი ძალით მოქაჩა.

ლუსიმ კი, ვითომც არაფერიო, ტკბილად გაუღიმა და უთხრა: - ესე იგი, ამ ღამეს თუკი ვერ დაკმაყოფილდები, შემეძლება ვთქვა, რომ ამის მიზეზი თვითონ ბრძანდები.

- ჩემს საქმეზე გარანტიას ვიძლევი. ყველაფერი მე თვითონ დავგეგმე, თუმცაღა ხელით გასაკეთებელი კელნერს გავაკეთებინე, - თქვა ჯულმა, - ახლა კი, მოდი, დავისვენოთ. წინ კვლევის ხანგრძლივი ღამე გველის.

როდესაც თავის აპარტამენტებში ავიდნენ, - ახლა ისინი ერთად ცხოვრობდნენ, - ლუსის სიურპრიზი დახვდა: გაწყობილი სუფრა შესანიშნავი კერძებითა და

შამპანურით.გარდა ამისა, მაგიდაზე კოლოფიც დაინახა, რომელშიც საკმაოდ მსხვილბრილიანტიანი საქორწინო ბეჭედი იდო.

- ეს კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რამდენად დარწმუნებული ვარ ჩემი საქმის შედეგში, - თქვა ჯულმა, - წამო, ახლა ვნახოთ, ამ ყველაფრის ღირსი ხარ თუ არა...

ჯული ლუსისთან უაღრესად სათუთი და ალერსიანი იყო. თავიდან ლუსი, ცოტა არ იყოს, ფრთხებოდა, მაგრამ მალე დამშვიდდა და ისეთი ნეტარება იგრძნო, რომელიც მანამდე არასოდეს განეცადა.

- კარგად მიმუშავია, - ჩასჩურჩულა ჯულმა.

- ო, ძალიან, ძალიან, - ჩურჩულითვე უპასუხა ლუსიმ.

ორივეს გაეცინა და სიყვარულობა განაგრძეს.

ნაწილი VI

თავი ოცდამესამე

სიცილიაზე ხუთი თვის ცხოვრების შემდეგ მაიკლი, ბოლოს და ბოლოს, მამის ხასიათსა და მის ბედისწერას ჩახვდა. ისეთი ხალხისაც გაიგო, როგორებიც ლუკა ბრაზი და სასტიკი კაპორეჟიმე კლემენცა იყვნენ, მიხვდა, დედამისი თავის როლს რატომ იღებდა და უხმოდ რატომ ემორჩილებოდა მამას. დაინახა, რა მოუვიდოდათ, ბრძოლაზე უარი რომ ეთქვათ. გააცნობიერა, რატომ ამბობდა მამამისი, რომ „ადამიანს ცხოვრებაში მხოლოდ ერთი გზა აქვს დაწერილი“. მიხვდა, რატომ უყურებდნენ ამრეზით მთავრობასა და ოფიციალურ ხელისუფლებას, რატომ სძულდათ ისინი, ვინც დაარღვია დუმილის კანონი - ომერტა.

გემიდან, რომელმაც პალერმოს პორტში ჩაუშვა ღუზა, ძველმანებში ჩაცმული მაიკლი კუნძულ სიცილიის შუაგულში გადაიყვანეს, იმ ტერიტორიაზე, რომელსაც ადგილობრივი კაპომაფიოზო აკონტროლებდა. ეს პროვინციელი დონი მაიკლის მამისგან დიდად იყო დავალებული, წარსულში დონ ვიტომ მას დიდი დახმარება გაუწია. სწორედ იმ რაიონში მდებარეობდა ქალაქი კორლეონე, რომლის სახელიც ამერიკაში მრავალი წლის წინ ჩასვლისას დაირქვა დონმა.

მაიკლმა ნათესავები ვერ აღმოაჩინა. ქალები სიბერისგან დახოცილიყვნენ, კაცები, ნაწილი ვენდეტამ გაწყვიტა, ნაწილი კი ემიგრაციაში წავიდნენ, - ზოგი ამერიკაში, ზოგი ბრაზილიაში, ზოგიც კონტინენტურ იტალიაში გადასახლდა. როგორც მაიკლმა მოგვიანებით შეიტყო, მკვლელობების რაოდენობით ეს პატარა ქალაქი მსოფლიოში პირველ ადგილზე იყო.

მაიკლი, როგორც სტუმარი, ადგილობრივი კაპომაფიოზოს უცოლშვილო ბიძის, დოქტორ ტაცას სახლში დააბინავეს. ეს სამოცდაათს მიტანებული კაცი იმ რაიონის ექიმი გახლდათ. თვით კაპომაფიოზო, დონ ტომაზინო, სამოციოდე წლის კაცი იყო და სიცილიის ერთ-ერთი ყველაზე არისტოკრატიული ოჯახის ადგილ-მამულის გაბელოტო, ანუ მოურავი ბრძანდებოდა. გარდა ამ თავისი ძირითადი

მოვალეობებისა, იგი, აგრეთვე, თვალყურს ადევნებდა იმას, რომ ღარიბ გლეხებს დაუმუშავებელი მიწა არ მოეთხოვათ ანდა თვითნებურად არ მიეტაცებინათ. ერთი სიტყვით, გაბელოტო იყო მაფიოზი, რომელიც, განსაზღვრული ანაზღაურების საფასურად, მდიდრებს ღარიბების კანონიერი თუ უკანონო პრეტენზიებისგან იცავდა. როდესაც ღარიბი გლეხი ცდილობდა ესარგებლა კანონით, რომელიც უფლებას აძლევდა დაუმუშავებელი მიწა ეყიდა, გაბელოტო დაემუქრებოდა ხოლმე, - ან დასახიჩრდები, ანდა მოკვდებიო და ისიც ჩერდებოდა. ეს ყველაფერი უმარტივესი იყო.

გარდა ამისა, დონ ტომაზინო თავის რეგიონში წყლის რესურსებს განაგებდა და ახალი კაშხლების აშენებას კრძალავდა, თუნდაც ეს ცენტრალური მთავრობის მიერ ყოფილიყო სანქცირებული. სასმელ წყალს მის მფლობელობაში არსებული არტეზიული ჭებიდან იღებდნენ. ახალი კაშხლები წყლით ვაჭრობის ბიზნესს მოუსპობდა. წყალი გაიაფდებოდა და ასეული წლების განმავლობაში ჩამოყალიბებული წყლით მომარაგების სისტემაც დაირღვეოდა. ამავე დროს, დონ ტომაზინო ძველი ყაიდის კაპომაფიოზო გახლდათ და ნარკოტიკებით ვაჭრობასა და პროსტიტუციას არ ცნობდა. ამის გამო მას ხშირი კონფლიქტები ჰქონდა მაფიის ლიდერების ახალ თაობასთან, პალერმოსა და სხვა დიდ ქალაქებში რომ გამოჩეკილიყვნენ. ისინი ამერიკიდან დეპორტირებული განგსტერების გავლენას განიცდიდნენ და ამგვარი კომპლექსებისგან თავისუფალნი იყვნენ.

დონ ტომაზინო ,,ღიპიანი კაცი'' ბრძანდებოდა, რაც ნიშნავდა, რომ მას ხალხის დაშინების უნარი ჰქონდა. მისი მფარველობის ქვეშ მაიკლს საფრთხე, წესით, არ უნდა დამუქრებოდა, მაგრამ მაინც გადაწყდა, მაიკლის ვინაობა საიდუმლოდ შეენახათ. მაიკლს დოქტორ ტაცას, დონ ტომაზინოს ბიძის, მამულიდან გარეთ გასვლა აუკრძალეს.

დოქტორი ტაცა სიცილიელისთვის მეტად მაღალი, თითქმის ექვსი ფუტი, გახლდათ, თოვლივით თეთრი თმა და ღაჟღაჟა ლოყები ჰქონდა. მიუხედავად იმისა, რომ სამოცდაათი წლისა იყო, ყოველ კვირა პალერმოს საროსკიპოში მიდიოდა. თანაც, რაც უფრო ახალგაზრდა იქნებოდა ქალი, მით მეტად მოსწონდა. მისი მეორე გატაცება კითხვა გახლდათ. კითხულობდა ყველაფერს განურჩევლად, შემდეგ კი ამის შესახებ თავის მეზობლებსა და პაციენტებს უყვებოდა, რომლებიც, ძირითადად, წერა-კითხვის უცოდინარი გლეხები იყვნენ. ამ ჩვევის გამო დოქტორი ტაცა, ცოტა არ იყოს, შერეკილად მიაჩნდათ.

საღამოობით დონ ტომაზინო, დოქტორი ტაცა და მაიკლი ისხდნენ ხოლმე ბაღში, მარმარილოს ქანდაკებებით გარშემორტყმულები. ქანდაკებები სიცილიაზე ნებისმიერ ბაღში იმდენი იყო, გეგონებოდათ, მიწიდან სასწაულებრივად იზრდებიანო. დოქტორ ტაცას უყვარდა მაფიის ისტორიიდან ამბების მოყოლა და მაიკლიც ინტერესით უსმენდა ხოლმე. ზოგჯერ დონ ტომაზინო, ბაღის სიმშვიდით, სუფთა ჰაერითა და სურნელოვანი ნატურალური ღვინით დამტკბარი, თავისი ცხოვრების საინტერესო შემთხვევებს იხსენებდა.

ამ ძველთაძველ ბაღში მაიკლმა ის ფესვები შეიგრძნო, რაც მამამისს ასაზრდოებდა. შეიტყო, რომ სიტყვა ,,მაფია'' თავიდან თავშესაფრის ადგილს აღნიშნავდა. შემდეგ ეს სახელი საიდუმლო ორგანიზაციას ეწოდა, რომელიც საუკუნეების განმავლობაში

ებრძოდა ხელისუფლებას, ხალხს რომ უმოწყალოდ ჩაგრავდა. სიცილიას ყველაზე უფრო სასტიკ ექსპლუატაციას უწევდნენ. ინკვიზიცია მდიდარსაც და ღარიბსაც ერთნაირად ტანჯავდა. მდიდარი მემამულეები და კათოლიკური ეკლესიის მმართველები მეცხვარეებსა და მიწათმოქმედებზე აბსოლუტურ ძალაუფლებას ფლობდნენ. პოლიცია მათ იარაღს წარმოადგენდა და იმდენად იყო ხელისუფლებასთან შეზრდილი, რომ ვინმეს მისამართით ნათქვამი სიტყვა „პოლიციელი“ უმძიმეს შეურაცხყოფად აღიქმებოდა.

ხელისუფალთა სისასტიკემ ხალხს ასწავლა, შიში და სიძულვილი აშკარად არ გაემჟღავნებინა. სიცილიელებმა თავის შეკავება ისწავლეს, ხმამაღლა არასოდეს არავის ემუქრებოდნენ, რადგან ამას შეიძლებოდა საპასუხო მოქმედება მოჰყოლოდა. მიხვდნენ, რომ ხელისუფლება მათი მტერი იყო, ამიტომ დასახმარებლად მეამბოხე იატაკქვეშა ორგანიზაციას, მაფიას მიმართავდნენ. მაფიამ კი თავისი ძალაუფლება იმით განამტკიცა, რომ ჩამოაყალიბა დუმილის კანონი - ომერტა. ვთქვათ, სიცილიაში სოფლად ვინმე უცხოს უახლოეს ქალაქში მისასვლელი გზა რომ ეკითხა, პასუხს არავინ გასცემდა. მაფიის წევრისათვის უდიდესი დანაშაული იყო, თუკი პოლიციას დაუსახელებდა კაცს, რომელმაც ეს-ესაა ესროლა ანდა რაიმე დაუშავა. ომერტა სიცილიელთა რელიგიად იქცა. ქალი, რომელსაც ქმარი მოუკლეს, პოლიციელს მკვლელის სახელს არ ეტყოდა. არ ეტყოდა არც ვაჟიშვილის მკვლელისა და არც ქალიშვილის გამაუპატიურებლის სახელს.

სამართალი ხელისუფლებისგან არასოდეს მოდიოდა, ამიტომ ხალხი დახმარებისთვის მაფიას, როგორც რობინ ჰუდს, ისე მიმართავდა. და, გარკვეულად, მაფია ამ როლს მართლაც ასრულებდა. ნებისმიერი გასაჭირისას ხალხი ადგილობრივ კაპომაფიოზოს შველას სთხოვდა და ისიც, ნამდვილი სოციალური მუშაკივით, სამუშაოსა და ლუკმაპურს აძლევდა, მფარველობას უწევდა.

მაგრამ დოქტორ ტაცას არაფერი უთქვამს იმის თაობაზე, რომ მაფია, ბოლოს და ბოლოს, მდიდრების დასაყრდენად და სულაც დამატებით პოლიციურ ძალად იქცა. ამას მაიკლი მომდევნო თვეებში თვითონ მიხვდა. სიცილიური მაფია პარაზიტული კაპიტალისტური სტრუქტურა გახლდათ, ანტილიბერალური, ანტიკომუნისტური, რომელიც გადასახადებს ნებისმიერ მეწარმეს ახდევინებდა, სულერთია, თუნდაც წვრილი ბიზნესი ჰქონოდა.

მაიკლი პირველად მიხვდა, მამამისის მსგავსი ადამიანები საზოგადოების ლოიალურ წევრობას ქურდობასა და მკვლელობას რატომ ამჯობინებდნენ. ღირსების მქონე ადამიანისთვის სიღატაკე, მუდმივი შიში და დამცირება სრულიად მიუღებელი იყო, ხოლო ამერიკაში გადასახლებული სიცილიელები მალე დარწმუნდნენ, რომ იქაური ხელისუფლება არანაკლებ სასტიკად ეპყრობოდა, ვიდრე მშობლიური.

დოქტორმა ტაცამ მაიკლს შესთავაზა, საროსკიპოში წაჰყოლოდა, მაგრამ მაიკლმა უარი უთხრა. სიცილიაში გადასახლებამ მოტეხილი ყბის სათანადოდ მკურნალობის საშუალება მოუსპო, ასე რომ, მარცხენა ლოყაზე მაკ-კლასკის სახსოვარს მუდმივად ატარებდა. ძვლები არასწორად შეუხორცდა და რაღაცნაირი, დეფექტური გამომეტყველება მიიღო, განსაკუთრებით, პროფილში თუ შეხედავდი. მაიკლი თავისი გარეგნობით ყოველთვის ამაყობდა და ახლა დეფორმირებული სახე უფრო მეტად აწუხებდა, ვიდრე ამას ოდესმე წარმოიდგენდა. დროდადრო ფიზიკურ

ტკივილსაც გრძნობდა, თუმცა ამას არად აგდებდა, უსიამოვნო შეგრძნებას დოქტორ ტაცას მიცემული აბებით იხსნიდა. დოქტორმა შესთავაზა მაიკლს, ყბაზე გიმკურნალებო, მაგრამ მაიკლი საკმარისად დიდხანს იყო კუნძულზე, რომ მიმხვდარიყო, - დოქტორი ტაცა, ალბათ, ყველაზე ცუდი ექიმი გახლდათ მთელ სიცილიაში. იგი ყველაფერს კითხულობდა, გარდა სამედიცინო ლიტერატურისა, რომელსაც, როგორც თვითონ ამბობდა, ვერაფერს უგებდა. სამედიცინო ფაკულტეტზე გამოცდები მან სიცილიის ყველაზე ძლევამოსილი კაპომაფიოზოს დახმარებით ჩააბარა, რომელიც საგანგებოდ ჩავიდა პალერმოში, ტაცას პროფესორებს მისი მომავალი შეფასებების თაობაზე რომ გასაუბრებოდა. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებდა, რამდენად საშიში იყო მაფია საზოგადოებისათვის. დამსახურება, ნიჭი თუ შრომა არაფერს ნიშნავდა. მაფიის ნათლია პროფესიას, როგორც საჩუქარს, ისე იძლეოდა.

მაიკლს საკმარისზე ბევრი დრო ჰქონდა, ეს ყველაფერი კარგად რომ გაეაზრებინა. დღისით ახლომდებარე ველ-მინდვრებში ხშირად სეირნობდა ხოლმე. მას ყოველთვის ახლდა თან ორი მწყემსი, რომლებიც დონ ტომაზინომ მიუჩინა. კუნძულზე მწყემსები ხშირად მაფიის დაქირავებული მკვლელების როლს ასრულებდნენ, ოღონდ კი ლუკმაპური ეშოვათ. მაიკლი მამამისის ორგანიზაციაზე ფიქრობდა. თუ ის კვლავაც გაძლიერდება, ამერიკაშიც იგივე მოხდება, რაც აქ, კუნძულზე, - მაფია მთელ საზოგადოებას მოედება კიბოსავით და დაღუპავს. სიცილია მოჩვენებების ქვეყნად იქცა, მისი მცხოვრებნი ნებისმიერ სხვა ქვეყანაში გარბოდნენ, საარსებო სახსარი რომ ეშოვათ, ანდა, უბრალოდ, საკუთარი სიცოცხლე გადაერჩინათ, რადგან პოლიტიკური და ეკონომიკური თავისუფლების მოპოვებას ცდილობდნენ.

სეირნობისას მაიკლი ბუნების მშვენიერებით ტკბებოდა. ფორთოხლის ბაღებში დაეხეტებოდა, სადაც სარწყავი წყალი ვეება თლილი ქვებიდან ამოჩქეფდა, რომლებზეც ხახადაღებული გველები ჯერ კიდევ უძველეს დროში, ქრისტეს შობამდე იყო გამოსახული. ძველი რომაული ვილების მსგავსად ნაგები სახლები, რომლებსაც უზარმაზარი მარმარილოს პორტალები და გუმბათიანი ოთახები ჰქონდათ, ნელ-ნელა ინგრეოდა და ახლა იქ მხოლოდ გზააბნეული თხებიღა პოულობდნენ თავშესაფარს. ჰორიზონტზე ბორცვები გამოხრული ძვლების გროვებივით ლაპლაპებდა. ამწვანებული ბაღები და მდელოები უდაბურ პეიზაჟს ფირუზისფერი ყელსაბამივით ამშვენებდა. ზოგჯერ მაიკლი ქალაქ კორლეონემდეც მიდიოდა. მისი თვრამეტი ათასი მცხოვრები მთის ფერდობზე მიმობნეულ სახლებში ბინადრობდა, რომლებიც ამავე მთის შავი ქვისგან იყო ნაგები. წინა წელს კორლეონეში სამოცი მკვლელობა მოხდა, - ქალაქს თითქოსდა სიკვდილის აჩრდილი დაჰყურებდა.

მაიკლის მცველებს თან ყოველთვის სიცილიური თოფები, ლიუპარები ჰქონდათ. ეს მაფიის საყვარელი იარაღი გახლდათ. მუსოლინის მიერ სიცილიაზე გაგზავნილმა პოლიციის უფროსებმა ბრძანება გასცეს, დაენგრიათ ერთ მეტრზე უფრო მაღალი ქვის ყველა ღობე, რათა ლიუპარიანი მკვლელებისთვის ჩასაფრების საშუალება მოესპოთ. ამან არ უშველა და მაშინ პოლიციის მინისტრმა პრობლემა იმით გადაწყვიტა, რომ აპატიმრებდნენ და კუნძულიდან ასახლებდნენ ყველა მამაკაცს, ვისზეც მცირედი ეჭვი მაინც არსებობდა, რომ მაფიოზია.

როდესაც სიცილია მოკავშირეთა ჯარებმა დაიკავეს, ამერიკელმა სამხედროებმა წარმოიდგინეს, რომ ყველა ადამიანი, ვინც ფაშისტურმა რეჟიმმა ციხეში ჩააგდო, დემოკრატია, ამიტომ მრავალი მაფიოზი სოფლის მამასახლისებად დანიშნეს, ზოგიერთი კი მოკავშირეებთან თარჯიმნად მსახურობდა. ამის ხარჯზე მაფიამ სწრაფად მოახერხა ძალების აღდგენა, რეორგანიზება და გაძლიერება.

ხანგრძლივი სეირნობა, ვახშმად კი მაგარი სიცილიური ღვინო და ხორციანი მაკარონი მაიკლს მშვიდი ძილის საშუალებას აძლევდა. დოქტორ ტაცას ბიბლიოთეკაში იტალიური წიგნები იყო და, მიუხედავად იმისა, რომ მაიკლი სიცილიურ დიალექტზე ლაპარაკობდა, თანაც კოლეჯში იტალიური ენის კურსიც მოისმინა, წიგნების კითხვა და გაგება საკმაოდ უჭირდა, - ძალზე ბევრ დროსა და ენერგიას ხარჯავდა. დროთა განმავლობაში უაქცენტოდ დაიწყო ლაპარაკი. და თუმცა მას სიცილიის მკვიდრად მაინც არ მიიღებდნენ, ადვილად შეეძლოთ წარმოედგინათ, რომ იგი ერთ-ერთია იმ უცნაურ ჩრდილოიტალიელთაგან, რომლებიც შვეიცარიისა და გერმანიის საზღვრის მახლობლად ცხოვრობენ.

ის, რომ მაიკლს სახე ცალ მხარეს დეფორმირებული ჰქონდა, კუნძულის მკვიდრს უფრო მეტად ამსგავსებდა. ასეთი დეფექტები სიცილიაში საკმაოდ გავრცელებული გახლდათ, რადგან კვალიფიციური სამედიცინო დახმარების მიღება რთული იყო. ამას მოსახლეობის ელემენტარული უფულობაც ემატებოდა. ძალზე ბევრ მამაკაცსა და მოზარდს სახეზე დეფექტები ჰქონდათ, რომლებიც ამერიკაში მინიმალური ქირურგიული ჩარევით ანდა სწორი თერაპიული მკურნალობით ადვილად გამოსწორდებოდა.

მაიკლი ხშირად ფიქრობდა ქეიზე, იხსენებდა მის ღიმილს, სხეულს და გრძნობდა სინდისის ქენჯნას, რომ დაუმშვიდობებლად მიატოვა. თავისდა გასაოცრად, არავითარ სინდისის ქენჯნას არ განიცდიდა იმის გამო, რომ ორი კაცი მოკლა, - სოლოცო მამამისს უპირებდა მოკვლას, მაკ-კლასკიმ კი სამუდამოდ დაამახინჯა.

დოქტორი ტაცა მაიკლს მუდმივად სთავაზობდა ქირურგიული ოპერაციის ჩატარებას მოტეხილ ყბაზე, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ტკივილგამაყუჩებელ აბებს სთხოვდა, არადა, ტკივილი თანდათან უფრო და უფრო ძლიერი და ხშირი ხდებოდა. ტაცამ აუხსნა, - სახეზე, თვალს ქვემოთ არის ნერვული წნული და ეს ადგილი უაღრესად მგრძნობიარეაო, - როდესაც მაფიოზები თავის მსხვერპლს აწამებენ ხოლმე, სწორედ იმ წერტილში ურჭობენ ნემსს. მაიკლს, უეჭველია, სწორედ ეს ნერვი აქვს დაზიანებული, ანდა მას ძვლის ფრაგმენტი აწვება. მარტივი ოპერაცია, რომელიც პალერმოს საავადმყოფოში შეიძლება ჩატარდეს, მაიკლს ტკივილისგან სამუდამოდ გაათავისუფლებს.

მაგრამ მაიკლმა უარი უთხრა. როდესაც დოქტორი ტაცა ჩაეკითხა, რატომ ამბობდა უარს, მაიკლმა გაიღიმა და მიუგო: - სახლს მახსენებს.

მაიკლი ტკივილს დიდ ყურადღებას არ აქცევდა, - აუტანელი ნამდვილად არ გახლდათ. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს ძვალზე რაღაც უკაკუნებდა, თითქოს რაღაც მექანიზმი მუშაობდა მონოტონურად...

მაიკლმა სიცილიაზე თითქმის შვიდი თვე გაატარა, სანამ ნამდვილი მოწყენილობა იგრძნო. იმ დროისათვის დონ ტომაზინოს ახალი საზრუნავი გამოუჩნდა და

დოქტორ ტაცას ვილას უკვე იშვიათად სტუმრობდა. პრობლემები პალერმოს „ახალ მაფიასთან“ შეექმნა, რომელმაც ფული ომის შემდგომი სამშენებლო ბუმით იშოვა. ისინი ყველანაირად ცდილობდნენ პროვინციელი კაპომაფიოზოების ძალაუფლება შეესუსტებინათ. დონ ტომაზინო მათი შემოტევის მოგერიებას მაქსიმალური ძალისხმევის ფასად ახერხებდა. ამის გამო მაიკლი იძულებული იყო, მხოლოდ დოქტორ ტაცას საზოგადოებას დასჯერებოდა, არადა მან მოყოლილი ამბების ხელმეორედ მოყოლა დაიწყო.

ერთხელ მაიკლმა ქალაქ კორლეონეს წინ გადაშლილ მთებამდე მისვლა გადაწყვიტა. მას, როგორც ყოველთვის, ორი მცველი-მწყემსი თან ახლდა. ეს მხოლოდ კორლეონეს ოჯახის მტრებისგან დაცვა არ ყოფილა. იმ არემარეში უცხო კაცისთვის მარტო სეირნობა, უბრალოდ, სახიფათო იყო. თუმცა იქაურისთვისაც ასევე საშიში გახლდათ. რაიონი ყაჩაღებითა და მაფიის მოქიშპე დაჯგუფებებით იყო სავსე. მაიკლი პალიაიოს ქურდიც შეიძლებოდა ჰგონებოდათ.

პალიაიო თივით გადახურულ ქოხს ერქვა, სადაც გლეხები სამუშაო იარაღებსა და სურსათს ინახავდნენ. სიცილიაზე გლეხები იმ მიწაზე არ ცხოვრობდნენ, რომელსაც ამუშავებდნენ. ეს მეტად სახიფათო იყო, თანაც, სახნავ-სათესი მიწა ძალზე ძვირად ფასობდა და მას საცხოვრებლად არ იყენებდნენ. გლეხი სოფელში ცხოვრობს და მინდორში დილაუთენია მიდის სამუშაოდ. კაცი, რომელსაც თავისი პალიაიო გაძარცული დახვდება, ნამდვილად ზარალდება. იმ დღეს ვეღარ იმუშავებს, - ცოლ-შვილი ლუკმაპურის გარეშე ურჩება. კანონი, როგორც ყოველთვის, ამ შემთხვევაშიც უძლური აღმოჩნდა, ამიტომ მაფიამ ამ პრობლემის მოგვარება თავის თავზე აიღო და თავისებურადვე გადაჭრა კიდეც. მაფია პალიაიოს ყველა მძარცველის დევნასა და ლიკვიდაციას შეუდგა. ამ დროს, ხშირად, სრულიად უდანაშაულო ადამიანებიც ისჯებოდნენ. მაიკლი შემთხვევით ახალგაძარცული პალიაიოს ახლოს მოხეტიალე რომ ენახათ, თავისუფლად შეიძლებოდა, ქურდი ჰგონებოდათ, თუკი გვერდით ვინმე არ ეყოლებოდა, ვინც მას გამოესარჩლებოდა და დაიცავდა.

ასე რომ, ერთ მშვენიერ მზიან დილას, მაიკლმა, თავის ერთგულ მწყემსებთან ერთად, სასეირნოდ გასწია. მწყემსთაგან ერთ-ერთი უბრალო, უშნო კაცი იყო, ლამის გონებაჩლუნგი. მუდმივად დუმდა, ინდიელივით არაფრისგამომხატველი სახე ჰქონდა. ტიპური სიცილიელივით ხმელ-ხმელი, მკვრივი აღნაგობისა გახლდათ. ასეთები კუნძულზე ასაკთან ერთად, როგორც წესი, სუქდებოდნენ. კალო ერქვა.

მეორე, უფრო ახალგაზრდა, მკვირცხლი და გაქექილი ჩანდა, ცხოვრებაში რაღაცის ნახვა უკვე მოესწრო. მეორე მსოფლიო ომის დროს იტალიურ სამხედრო-საზღვაო ფლოტში მსახურობდა და სვირინგიც კი გაიკეთა, სანამ ინგლისელები მის გემს ჩაძირავდნენ და ტყვედ ჩაიგდებდნენ. სვირინგმა სოფელში ცნობილ კაცად აქცია. სიცილიელები სვირინგებს ძალზე იშვიათად იკეთებენ, - საამისო არც დრო აქვთ და არც სურვილი. ფაბრიციომ, ასე ერქვა იმ მწყემსს, სვირინგი მუცელზე უფრო იმიტომ გაიკეთა, თანდაყოლილი პიგმენტური წითელი ფერის ლაქა რომ დაეფარა. ასე იყო თუ ისე, როდესაც ფაბრიციო მშობლიურ სოფელში დაბრუნდა, სვირინგით თავი მაინცდამაინც არ მოჰქონდა, თუმც კი ის ყოველი სიცილიელისთვის ერთობ ძვირფას სცენას გამოსახავდა: ხანჯალშემართული ქმარი კლავს თავის ცოლსა და მის ახალგაზრდა საყვარელს, რომლებიც სასიყვარულო აგონიაში ერთმანეთს შიშვლები ეხუტებიან.

ფაბრიციო მაიკლს ეხუმრებოდა ხოლმე და ამერიკის შესახებ კითხვებს უსვამდა, რადგან მწყემსებისთვის აშკარა იყო, - შეერთებული შტატებიდანაა ჩამოსული. დანამდვილებით არ იცოდნენ, ვინ იყო მაიკლი, - ერთადერთი ის იცოდნენ, რომ იმალება და ამაზე ხმამაღლა არ უნდა ილაპარაკონ. ფაბრიციოს ზოგჯერ მაიკლისთვის ახალამოყვანილი ყველის ერთი თავი მოჰქონდა ხოლმე, რომელსაც ჯერ კიდევ რძის სუნი უდიოდა.

იმ დილით ისინი მტვრით სავსე შარაგზაზე მიაბიჯებდნენ. გზაზე სახედარშებმული, მოხატული ურიკები ხშირად ხვდებოდათ. გარშემო ყვავილები, ფორთოხლის ბაღები, ზეთისხილისა და ნუშის ხეების კორომები იყო და ყველაფერი ყვაოდა. ეს მაიკლისთვის მართლაც გასაოცარი გახლდათ. ეგონა, გახრიოკებულ მიწას ნახავდა, რადგან სიცილია ლეგენდარულად ღარიბი ქვეყანა იყო. აქ კი მან ყვავილებით მოფენილი და აყვავებული, ლიმონის სურნელით გაჯერებული ნაყოფიერი მიწა იპოვა. იმდენად მშვენიერი იყო, მაიკლს ვერ გაეგო, როგორ ტოვებდნენ მას და როგორ მიდიოდნენ უცხო მხარეში სამუდამოდ. თუმცა, ამის მიხედვით შეიძლებოდა დასკვნის გაკეთება, რაოდენ ცუდად ექცეოდა აქ ადამიანი ადამიანს, თუკი ამ სამოთხიდან გარბოდნენ.

მაიკლმა გადაწყვიტა სანაპიროზე მდებარე სოფელ მაზარამდე მისულიყო, საღამოს კი ქალაქ კორლეონეში ავტობუსით დაბრუნებულიყო. რაც მეტად დაიქანცებოდა, მით ადვილად დაეძინებოდა. მწყემსებს პურითა და ყველით სავსე ზურგჩანთები ჰქონდათ, ლიუპარების დამალვას არც კი ცდილობდნენ.

მშვენიერი დილა გათენდა. მაიკლს ისეთივე შეგრძნება გაუჩნდა, როგორიც ბავშვობაში ჰქონდა, როცა ზაფხულში დილაადრიან ბურთის სათამაშოდ გამოვიდოდა ხოლმე. მაშინ ყოველი დღე თითქოს ახალი გაფერადებული, ახალი განბანილი ეჩვენებოდა. და ახლაც ასე იყო... სიცილია ყვავილების ხალიჩას დაეფარა, ლიმონისა და ფორთოხლის სურნელება კი იმდენად ძლიერი იყო, რომ მაიკლი ცხადად გრძნობდა მას, არადა, ტრავმის მერე ყნოსვა აშკარად დაუქვეითდა.

სახის მარცხენა მხარეს დაზიანება დიდი ხანია, მოუშუშდა, მაგრამ ძვლები არასწორად შეუხორცდა და ნერვულ წნულს აწვებოდა, რის გამოც მარცხენა თვალი მუდმივად სტკიოდა. გარდა ამისა, ტრავმის გამო მუდმივად სდიოდა ცხვირიდან და ცხვირსახოცს ხშირ-ხშირად იცვლიდა, მაგრამ უფრო ხშირად კი ცხვირის შიგთავსს პირდაპირ მიწაზე გადაუშვებდა ხოლმე სიცილიელი გლეხებივით, არადა, ბავშვობაში საშინელ ზიზღს გრძნობდა, როდესაც დაინახავდა, - ხანში შესული იტალიელი ემიგრანტები, რომლებიც ცხვირსახოცს, როგორც ინგლისურ კუდაბზიკობას, უბრალოდ, არ ცნობდნენ, პირდაპირ ასფალტზე აფრქვევდნენ ცინგლს.

იმ დღეს ზღვის ნაპირს ვერ მიაღწიეს. დაახლოებით, თხუთმეტი მილის გავლის შემდეგ მაიკლი და მწყემსები ფორთოხლის კორომის ჩრდილში ჩამოსხდნენ წასახემსებლად და ღვინის დასალევად. ფაბრიციო იმაზე ლაპარაკობდა, ერთ მშვენიერ დღეს ამერიკაში როგორ გაემგზავრება. როდესაც დანაყრდნენ და ღვინოც დალიეს, ბალახზე წამოგორდნენ, ფაბრიციომ კი მუცელზე პერანგი შეიხსნა და კუნთები დაძაბა, სვირინგი რომ „გაეცოცხლებინა“. მართლაც, ფიგურები ამოძრავდნენ - შიშველი ქალი და ვაჟი სასიყვარულო აგონიაში იყვნენ, გახელებული

ქმარი კი მათ ხანჯალს უღერებდა. ამან ყველა გაახალისა. ამ გართობაში იყვნენ, როდესაც მაიკლს მოულოდნელად, როგორც სიცილიაში იციან თქმა, „მეხი დაეცა“.

ფორთოხლის კორომის წინ მინდვრები გადაშლილიყო, იქაური ბარონის მამულები. გზა დაბლა ეშვებოდა, სადაც ვილა იდგა, რომელიც ძველრომაულს იმდენად მიაგავდა, შეიძლებოდა გეფიქრა, პომპეის გათხრებზე ეს-ესაა მიწისგან გაათავისუფლესო. ნამდვილი სასახლე გახლდათ მარმარილოს ფრონტონითა და სვეტებით. სწორედ იქ გამოჩნდა უეცრად სოფლელი ქალიშვილების გუნდი, რომლებსაც ორი შავებში ჩაცმული ხნოვანი მატრონა მოჰყვებოდა. როგორც ჩანს, გოგონები, ძველთაძველი ტრადიციისამებრ, ბარონის მამულს ასუფთავებდნენ და ზამთრისთვის ამზადებდნენ. ახლა ისინი, ეტყობა, მინდორში ყვავილების დასაკრეფად გამოსულიყვნენ, ვილა რომ გაელამაზებინათ. ვარდისფერ სულასა და ცისფერ ვისტერიას წყვეტდნენ, ლიმონისა და ფორთოხლის ყვავილებს ურევდნენ და თაიგულებს კრავდნენ. გოგონები ბალახზე წამოწოლილ მამაკაცებს ვერ ამჩნევდნენ და პირდაპირ მათკენ მოდიოდნენ.

ჩითის ნაირფერი იაფფასიანი კაბები ეცვათ, ტანზე შემოტმასნილი. არც ერთი მათგანი ჯერ ოცი წლისაც არ იქნებოდა, მაგრამ სამხრეთის მცხუნვარე მზის ქვეშ ადრე დაქალებულიყვნენ. სამი თუ ოთხი გოგონა ერთ-ერთს გამოეკიდა, ფორთოხლის ბაღის მიმართულებით გარბოდნენ. იმ ერთს მარცხენა ხელში ყურძნის მტევანი ეჭირა და თავის მდევრებს მარცვლებს სათითაოდ ესროდა. მოშავო-მოიისფრო ხვეული თმა ჰქონდა, იმ ყურძნისფერი, ხელში რომ ეჭირა. ისეთი იყო, კანში ვერ ეტეოდა.

ფორთოხლის კორომთან როცა მიირბინა, უეცრად უცხო მამაკაცები შენიშნა და თითის წვერებზე შედგა. იმწამს შველს ჰგავდა, საფრთხეს რომ გაურბის. ბალახზე წამოწოლილებთან საკმაოდ ახლოს იყო, მისი სახის ყველა ნაკვთს მშვენივრად არჩევდნენ.

ყველაფერი ოვალური ჰქონდა - სახის მოყვანილობა, თვალები, წარბების კონტური. მუქი კრემისფერი კანი, დიდრონი შავი თვალები, გრძელი შავი წამწამები. ვნებიანი ტუჩები ყურძნის წვენს წითლად შეეღება. ისეთი მოხდენილი იყო, ფაბრიციოს აღმოხდა: - უფალო იესო ქრისტე, მიიბარე სული ჩემი, ვკვდები...

ვითომცდა ხუმრობით თქვა, მაგრამ ხმაში მეტისმეტი მღელვარება ეტყობოდა. ქალიშვილმა თითქოს ნათქვამი გაიგონაო, უმალ შებრუნდა და მეგობრებისკენ გაიქცა. როცა მათთან მივიდა, კიდევ ერთხელ შემოტრიალდა, - ისეთი მშვენიერი იყო, ყვავილებით მოფენილი მინდვრის სილამაზეც კი დაჩრდილა. ხელი, რომელშიც ყურძნის მტევანი ეჭირა, ფორთოხლის ხეებისკენ გაიშვირა და რაღაც თქვა. გოგონებმა გაიცინეს და იქაურობას სასწრაფოდ გაეცალნენ. მათ შავებში ჩაცმული მსუქანი მატრონები მიჰყვნენ.

მაიკლ კორლეონემ უცებ აღმოაჩინა, რომ ფეხზე დგას, გული გამალებით უცემს, ოდნავ თავბრუც კი ეხვევა. სისხლი მთელ სხეულში ძალუმად უჩქეფდა, თითის წვერებშიც აწვებოდა თითქოს. იმწამს სიცილიის ყველა არომატი - ფორთოხლის, ლიმონის, ყურძნის, ყვავილების - თითქოს ერთდროულად შეიგრძნო. ისეთი განცდა ჰქონდა, თითქოს სულმა მისი სხეული მიატოვა. მერე მწყემსების სიცილი გაიგონა.

- მეხი დაგეცა? - უთხრა ფაბრიციომ და მხარზე ხელი დაჰკრა.

კალომაც კი გამოამჟღავნა მეგობრული გრძნობები. მხარზე ხელი შეახო და საკმაოდ ემოციურად უთხრა: - მშვიდად, ძმაო, მშვიდად.

მაიკლი ისე გრძნობდა თავს, თითქოსდა მანქანა დაეჯახაო. ფაბრიციომ ბოთლი ღვინო მიაწოდა. მაიკლმა მოიყუდა, გვარიანად დალია. ამან, ცოტა არ იყოს, უშველა, - გონება დაეწმინდა.

- რაებსა ბოდავთ, თქვე თხების მჟიმავებო, - თქვა მაიკლმა.

მწყემსებს გაეცინათ. კალომ მიამიტი სახე დაისერიოზულა და უთხრა: - მეხის დაცემას ვერ დაფარავ. მაშინვე ყველა ამჩნევს. ო, ღმერთო, ამის კი არ უნდა გრცხვენოდეს, ზოგიერთი, პირიქით, უფალს ევედრება, მეხი რომ დაეცეს. იღბლიანი ყოფილხარ.

მაიკლს სულაც არ ესიამოვნა, მისი გრძნობები თურმე ასე იოლად რომ იკითხება. მსგავსი რამ ცხოვრებაში პირველად მოუვიდა. ეს რაღაც გარდამავალი ასაკის სასიყვარულო გატაცებებს ან ქეის მიმართ მის გრძნობებს სრულიად არ ჰგავდა. მას ქეი უყვარდა, მისი გარეგნობაც ხიბლავდა, თუმცა უფრო მეტად მისი ინტელექტუალობა იზიდავდა და, ალბათ, გარკვეულად, მათ შორის არსებული კონტრასტიც მოსწონდა. ქეი ქერათმიანი გახლდათ, თვითონ კი - შავგვრემანი. ქეი მთელი არსებით სურდა, მისი ცხოვრება ამ ერთ სურვილზე იყო კონცენტრირებული. თავისი გადასახლების განმავლობაში ყოველდღე მასზე ფიქრობდა, ქეის სახე გონებაში ჰქონდა ჩაბეჭდილი, მაგრამ ისიც მშვენივრად ესმოდა, რომ ერთად ვეღარასოდეს იქნებოდნენ. იგი ხომ მკვლელია, მაფიოზი, კაცი, რომელმაც „თავი გამოიჩინა“, მაგრამ იმწამს ქეი მისი გონებიდან სრულიად გამქრალიყო.

ფაბრიციომ ჩაილაპარაკა: - სოფელში წავალ, გავარკვევ, ვინაა. შეიძლება უფრო იოლი ხელმისაწვდომია, ვიდრე ჩვენ ვფიქრობთ. მეხის დაცემისგან მხოლოდ ერთი წამალი არსებობს, არა, კალო?

კალომ თავი მძიმედ დაუქნია. მაიკლს არაფერი უთქვამს. მწყემსებს მიჰყვა, რომლებმაც ახლომდებარე სოფლისკენ აიღეს გეზი. ცოტა ხნის წინ გოგონების გუნდი სწორედ იქ გაუჩინარდა.

როგორც სიცილიის იმ კუთხეში გახლდათ მიღებული, სოფლის შუაგულში შადრევნიანი მოედანი გაემართათ. იმის გამო, რომ სოფელზე ერთ-ერთი ძირითადი საავტომობილო გზა გადიოდა, მოედანზე რამდენიმე მაღაზიაც გაეხსნათ, მათ შორის, ერთი ღვინისა. მომცრო კაფეც კი იყო, წინ ტერასით, სადაც სამი მაგიდა იდგა. მწყემსები მაგიდას მიუსხდნენ, მაიკლიც ჩამოჯდა. ქალიშვილები არსად ჩანდნენ, მათი კვალიც კი არ იგრძნობოდა. სოფელი ჩამკვდარიყო, გზაზე მხოლოდ რამდენიმე ბიჭი და სახედარი მოჩანდნენ.

მალე მათთან კაფეს მეპატრონე გამოვიდა, ტანდაბალი, ჩასკვნილი, პირქუში კაცი, რომელმაც მოულოდნელად გულიანად გაუღიმა და მაგიდაზე წვრილი თურქული მუხუდოთი სავსე თეფში დაუდგა.

- უცხოები ჩანხართ, - თქვა მან, - ასე რომ, ერთ რჩევას მოგცემთ. ჩემი ღვინო გასინჯეთ. საკუთარი ვენახისაა, ჩემი შვილების დაყენებული. ღვინოს ფორთოხლისა და ლიმონის წვენს ურევენ. იტალიაში საუკეთესო ღვინოა.

ერთი დოქი მოატანინეს და გემო გაუსინჯეს. ღვინო მართლაც სანაქებო აღმოჩნდა, - მუქი წითელი, ლამის კონიაკივით მაგარი.

ფაბრიციომ კაფეს მფლობელს უთხრა: - სანაძლეოს დავდებ, თქვენ აქ ყველა გოგოს იცნობთ. რამდენიმე ჩვენც ვნახეთ, ამ სოფელში მოდიოდნენ, ერთ-ერთმა ჩვენს მეგობარს მეხი დასცა.

და მაიკლზე თავის მოძრაობით ანიშნა.

კაფეს მეპატრონემ მაიკლს ახალი ინტერესით შეხედა. მონგრეული სახე მისთვის ჩვეულებრივი სანახაობა გახლდათ, მაგრამ მეხდაცემული კაცი სულ სხვა ამბავი იყო.

- ჯობია, რამდენიმე ბოთლი ღვინო თან წაიღო, მეგობარო, - უთხრა მან მაიკლს, - ამის გარეშე დაძინება გაგიჭირდება.

მაიკლმა ჰკითხა: - ხომ არ იცნობთ ქალიშვილს, რომელსაც თმა მთლიანად კულულებად აქვს დახვეული? კრემისფერი კანი აქვს და ძალზე დიდი შავი თვალები. არის თქვენს სოფელში ასეთი ქალიშვილი?

- არა, ასეთ ქალიშვილს არ ვიცნობ, - მოუჭრა მეპატრონემ და შენობაში შევიდა.

ღვინოს დაგემოვნებით სვამდნენ და ნელ-ნელა მთელი დოქი გამოწრუპეს. კიდევ ერთის შეკვეთა უნდოდათ, კაფეს მეპატრონეს დაუძახეს, მაგრამ არ გამოჩნდა. მაშინ ფაბრიციო მის მოსაძებნად შენობაში შევიდა, თუმცა მალევე მობრუნდა, სახე დამანჭა და მაიკლს უთხრა: - ეგრეც ვფიქრობდი, ამის ქალიშვილი ყოფილა. ახლა ზის, იბოღმება და ფიქრობს, რა გვიხიმანდროს. დროზე დავახვიოთ კორლეონეში.

მიუხედავად იმისა, რომ მაიკლმა კუნძულზე რამდენიმე თვე გაატარა, სიცილიელთა განსაკუთრებულ მგრძნობელობას სქესთა ურთიერთობის საკითხებში ვერა და ვერ შეეჩვია. არადა, ორივე მწყემსს სიტუაცია სრულიად ბუნებრივად ეჩვენებოდა. ელოდნენ, რომ მაიკლი ადგებოდა და გაჰყვებოდა. ფაბრიციომ დაამატა: - ამ ბებერმა ნაბიჭვარმა თქვა, ორი მაგარი ბიჭი მყავსო. საკმარისია, დაუსტვინოს და აქ გაჩნდებიან. დროზე ავითესოთ.

მაიკლმა მას გამყინავი მზერა სტყორცნა. აქამდე იგი ამ მწყემსებისთვის ტიპური ახალგაზრდა ამერიკელი იყო, მშვიდი და ზრდილი. თუმცა, რადგან სიცილიაზე იმალებოდა, ესე იგი, ცხოვრებაში რაღაც კაცურიც ჰქონდა გაკეთებული. ახლა კი მათ კორლეონეს ცნობილი მზერა პირველად იხილეს. დონ ტომაზინო, რომელმაც მაიკლის ნამდვილი ვინაობა და მის მიერ ჩადენილიც მშვენივრად იცოდა, ყოველთვის რიდითა და პატივისცემით ეპყრობოდა მას, როგორც ნამდვილ „ღირსების კაცს“, ისე უყურებდა. ამ გულუბრყვილო მწყემსებს კი მაიკლზე საკუთარი წარმოდგენა ჰქონდათ და - არცთუ სახარბიელო, მაგრამ მისმა გამყინავმა მზერამ, გაშეშებულმა, გადაფითრებულმა სახემ, რისხვამ, რომელიც ისე ასდიოდა, როგორც ყინულს ორთქლი, უმალ ჩააჩუმა და მაიკლისადმი მათ ფამილარულ დამოკიდებულებას ბოლო მოუღო.

მაიკლმა დაინახა, როგორ შეეცვალათ განწყობა, - პატივისცემით აღვსილნი ელოდნენ, რას ეტყოდა. მანაც უბრძანა: - ის კაცი აქ მომიყვანეთ.

ფაბრიციო და კალო უყოყმანოდ დაემორჩილნენ. ლიუპარები მხარზე მოიგდეს და კაფეში შევიდნენ. რამდენიმე წამში გამობრუნდნენ, კაფეს მფლობელი მოჰყავდათ. შეშინებული სულაც არ ჩანდა, პირიქით, აშკარად განრისხებული იყო და სრულიადაც არ ფრთხილობდა.

მაიკლი სკამის საზურგეს მიაწვა, ყურადღებით ახედ-დახედა. მერე მშვიდად უთხრა: - მესმის, რომ შეურაცხყოფა მოგაყენეთ თქვენს ქალიშვილზე საუბრით. გთხოვთ, მაპატიოთ, უცხოელი ვარ და ამ ქვეყნის წეს-ჩვეულებებს კარგად არ ვიცნობ. დამიჯერეთ. ანუ, იმას ვგულისხმობ, რომ არც თქვენი და არც თქვენი ქალიშვილის შეურაცხყოფა აზრადაც არ მქონია.

ამ ნათქვამმა მცველ-მწყემსებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. მათთან საუბრისას მაიკლის ხმა ასე არასოდეს ჟღერდა. ახლა მაიკლი ბოდიშს იხდიდა, მაგრამ, ამასთან, მის ხმაში მბრძანებლური და მედიდური ინტონაციაც იგრძნობოდა. კაფეს მეპატრონემ მხრები აიჩეჩა, თუმც კი ერთობ ფრთხილად, რადგან ხედავდა, გლეხის ბიჭთან არ ჰქონდა საქმე, და ჰკითხა: - ვინ ხარ და რა გინდა ჩემი ქალიშვილისგან?

მაიკლმა დაფიქრების გარეშე მიუგო: - ამერიკელი ვარ, სიცილიაზე ჩემი ქვეყნის პოლიციას ვემალები. მაიკლი მქვია. შეგიძლიათ, პოლიციას შეატყობინოთ და ფულიც გააკეთოთ, მაგრამ მაშინ თქვენი ქალიშვილი მამას დაკარგავს იმის ნაცვლად, რომ ქმარი იშოვოს. თქვენს ქალიშვილს მინდა შევხვდე. თქვენი ნებართვითა და ოჯახის მეთვალყურეობით. ყველა წესის დაცვით. სათანადო პატივისცემით. მე ღირსების კაცი ვარ და თქვენი ქალიშვილის შეურაცხყოფას არ ვაპირებ. მინდა თქვენს ქალიშვილს შევხვდე, ველაპარაკო და, თუ ერთმანეთს გავუგებთ, ცოლად შევირთო. თუ არადა, თქვენ მეტად ვეღარასოდეს მნახავთ. შეიძლება, არც მოვეწონო, ასეთ შემთხვევაში კი ვეღარაფერს ვიზამ. როცა დრო მოვა, ყველაფერს გეტყვით, რაც სიმამრმა სიძეზე უნდა იცოდეს.

მაიკლს სამივე გაშტერებული უყურებდა. ფაბრიციომ ერთგვარი რიდით ჩაილაპარაკა: - ეს ნამდვილი მეხის დაცემაა.

კაფეს მეპატრონე, პირველად მთელი ამ ხნის განმავლობაში, მაინცდამაინც თავდაჯერებული და ქედმაღალი აღარ ჩანდა; ბრაზიც თითქმის აღარ ეტყობოდა. ბოლოს მაიკლს ჰკითხა: - თქვენ მეგობრების მეგობარი ხართ?

რადგანაც რიგით სიცილიელს სიტყვა „მაფიის“ ხმამაღლა წარმოთქმის უფლება არ ჰქონდა, კაფეს მეპატრონეს მხოლოდ ასე შეეძლო ეკითხა მაიკლისათვის, მაფიის წევრი ხომ არ იყო. ეს კუნძულზე ჩვეული განსაზღვრება გახლდათ, თუმცა ასე პირდაპირ ამას არასოდეს ეკითხებოდნენ კაცს, რომელზეც ეჭვი ეპარებოდათ, რომ თვითონაა მაფიოზი.

- არა, - უპასუხა მაიკლმა, - მე თქვენს ქვეყანაში უცხო ვარ.

კაფეს მფლობელმა კიდევ ერთხელ შეათვალიერა მაიკლი, მის მონგრეულ ყბასა და გრძელ ფეხებს დააკვირდა. ეს უკანასკნელი სიცილიაში იშვიათობა გახლდათ. შეხედა ორ მწყემსს, რომლებიც ლიუპარებს არც კი მალავდნენ და გაახსენდა, როგორ უთხრა

ერთ-ერთმა მათგანმა, რომ პადრონეს მისი ნახვა სურს. ამაზე კაფეს მფლობელმა მაშინ უპასუხა: ის ნაბიჭვარი ჯობია, აქედან წაეთრიოსო, რაზეც მწყემსმა უთხრა: ,,დამიჯერეთ, გირჩევნიათ, გამოხვიდეთ და თქვენ თვითონ დაელაპარაკოთ". და რატომღაც მართლაც გამოვიდა - რაღაცამ აიძულა. ახლა კი იმ რაღაცამ კვლავ უკარნახა, რომ კარგი იქნებოდა, თუკი ამ უცხოელს თავაზიანად მოექცეოდა. მეპატრონემ უკმაყოფილოდ უთხრა: - კვირა საღამოს მოდით. ვიტელი მქვია. ჩემი სახლი ბორცვზე დგას, სოფლის თავზე. აქ მოდით, კაფეში, და თვითონ აგიყვანთ.

ფაბრიციოს რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ მაიკლმა შეხედა და მანაც უმალ ხმა გაკმინდა. ეს არც ვიტელის გამოჰპარვია. ამიტომ, როდესაც მაიკლი წამოდგა და ხელი გაუწოდა, კაფეს მეპატრონემ უმალ ჩამოართვა და გაუღიმა. გაიკითხავს ვინაა, და თუ ინფორმაცია არ დააკმაყოფილებს, მაიკლს ლიუპარებით შეიარაღებულ თავის ვაჟიშვილებს დაახვედრებს. კაფეს მფლობელს ,,მეგობრების მეგობრებთან" საკუთარი კავშირები ჰქონდა, მაგრამ ახლა რაღაცამ უკარნახა, რომ უიშვიათესი ბედნიერი შემთხვევა ეწვია, რომლისაც უბრალო სიცილიელებს სჯერათ, ანუ ქალიშვილის სილამაზე ბედნიერებას მოუტანდა მასაც და მთელ ოჯახსაც. რამდენიმე სოფლელი ახალგაზრდა მის ქალიშვილს უკვე თავს დასტრიალებდა, ასე რომ, ამ ყბამონგრეულ უცხოელს საკმაო ჯაფა დაადგება გზიდან მათ ჩამოსაშორებლად. კეთილგანწყობის საჩვენებლად ვიტელიმ ერთი ბოთლი საუკეთესო, ჩაცივებული ღვინო აჩუქა. არც ის გამოჰპარვია, რომ დანახარჯი ერთ-ერთმა მწყემსმა გადაიხადა. ამანაც შთაბეჭდილება მოახდინა მასზე და კიდევ ერთხელ დაარწმუნა - მაიკლი მართლაც უფრო მაღალ საფეხურზე დგას თანმხლებებთან შედარებით.

მაიკლს სეირნობის ყოველგვარი სურვილი დაეკარგა. გარაჟს მიაგნეს და მანქანა დაიქირავეს, რომელიც კორლეონეში წაიყვანდა. როცა ჩავიდნენ, მწყემსებმა დოქტორ ტაცას შეატყობინეს, რაც მოხდა. საღამოს მან დონ ტომაზინოს უთხრა: - ჩვენს მეგობარს დღეს მეხი დასცემია.

დონ ტომაზინოს ეს არ გაჰკვირვებია. მხოლოდ ჩაიცინა.

- კარგი იქნებოდა, იმ პალერმოელ ჯეელებსაც დასცემოდათ მეხი, - ჩაილაპარაკა მან, - ცოტას მოვისვენებდი.

მაფიის ახალგაზრდა ლიდერებს გულისხმობდა, რომლებიც ძველი ყაიდის კაპომაფიოზოებს ძალაუფლებას ეცილებოდნენ.

მაიკლმა დონ ტომაზინოს უთხრა: - არ მინდა მწყემსები კვირადღესაც გამომყვნენ. ქალიშვილთან სადილად მივდივარ. არ მინდა, კუდში დამდევდნენ.

დონ ტომაზინომ უარის ნიშნად თავი გააქნია.

- ამას ნუ მთხოვ, მამაშენის წინაშე შენზე პასუხს ვაგებ. და კიდევ, გავიგე, რომ ქორწილზე ლაპარაკობ. ამის უფლებას ვერ მოგცემ, სანამ მამაშენის აზრს არ შევიტყობ.

მაიკლ კორლეონემ საკმაოდ ფრთხილად უპასუხა, - ბოლოს და ბოლოს, ,,ღირსების კაცთან" ჰქონდა საქმე.

- დონ ტომაზინო, თქვენ კარგად იცნობთ მამაჩემს. ესაა კაცი, რომელსაც, უბრალოდ, არ ესმის, როდესაც ,,არას" ეუბნებიან. სმენა მხოლოდ მაშინ უბრუნდება ხოლმე, როცა ეტყვიან ,,დიახ", მაგრამ ჩემგან ,,არა" ბევრჯერ გაუგონია. მწყემსებს რაც შეეხება, მესმის თქვენი და სულაც არ მინდა უსიამოვნება შეგხვდეთ. ასე რომ, წამოვიდნენ. ოღონდ, ქორწილს რაც შეეხება, თუ მოვინდომებ ცოლის შერთვას, აუცილებლად შევირთავ. მამაჩემს არ ვაძლევ უფლებას ჩემს პირად ცხოვრებაში ჩაერიოს და მისი შეურაცხყოფა იქნება, თუკი ამის უფლებას თქვენ მოგცემთ.

კაპომაფიოზომ ამოიოხრა.

- ესე იგი, ქორწილი გველის. მე ვიცნობ იმას, ვინც შენ მეხი დაგცა. კარგი გოგონაა, ოჯახიც პატივსაცემია. შეურაცხყოფას ისე ვერ მიაყენებ, შენი მოკვლა რომ არ სცადონ, მერე საპასუხოდ შენ გექნება სისხლი დასაღვრელი. მაგ ოჯახს კარგად ვიცნობ და, ცხადია, ამას ვერ დავუშვებ.

- შესაძლოა, არც მოვეწონო, - თქვა მაიკლმა, - ანდა ჩათვალოს, რომ მეტისმეტად ბებერი ვარ.

მაიკლმა შენიშნა, დოქტორ ტაცასა და დონ ტომაზინოს როგორ ჩაეღიმათ.

- მანქანა და საჩუქრებისათვის ფული დამჭირდება, - განაგრძო მაიკლმა.

დონმა თავი დაუქნია.

- ყველაფერზე ფაბრიციო იზრუნებს. გონიერი ბიჭია, ფლოტში სამსახურისას მექანიკოსობაც კი ისწავლა. ხვალ დილით ფულს მოგცემ და მამაშენს შევატყობინებ, რაც აქ ხდება. უბრალოდ, ვალდებული ვარ, ეს გავაკეთო.

- შეგიძლიათ, რამე მიშველოთ, მუდმივად ცხვირიდან რომ არ ჩამომდიოდეს? - მაიკლმა დოქტორ ტაცას მიმართა, - აბა, როგორ ვაჩვენო იმ გოგოს, წამდაუწუმ ცხვირს რომ ვიხოცავ.

დოქტორმა ტაცამ უთხრა: - სანამ სადილზე წახვალ, მალამოს წაგისვამ. ცოტას დაგიბუჟებს, მაგრამ არა უშავს, იმ გოგოს კოცნა ჯერ მაინც არ მოგიწევს.

ამ ხუმრობაზე დოქტორმაც და დონ ტომაზინომაც ჩაიცინეს.

კვირას მაიკლს ნახმარი, მაგრამ საკმაოდ კარგი ,,ალფა-რომეო" მიუყვანეს. მანამდე მან ავტობუსით პალერმოში მოასწრო ჩასვლა, სადაც ქალიშვილსა და მის მშობლებს საჩუქრები უყიდა. მაიკლმა გაიგო, რომ ქალიშვილს აპოლონია ერქვა და ღამეებს ამ ლამაზ სახელსა და მის მშვენიერ მფლობელზე ფიქრით ათენებდა. დაძინებას მხოლოდ მაგარი ღვინის დახმარებით ახერხებდა. მსახურებს უბრძანეს, მაიკლის საწოლთან ჩაცივებული ღვინო დაედგათ ხოლმე და ისიც ყოველღამ თითო ბოთლს ცლიდა.

კვირადღეს, როდესაც მთელ სიცილიაზე ეკლესიებში ზარის რეკვა დაიწყეს, მაიკლი ,,ალფა-რომეოთი" სოფელში ჩავიდა და მანქანა კაფესთან გააჩერა. კალო და ფაბრიციო თავიანთი ლიუპარებიანად უკანა სავარძელზე ისხდნენ, მაიკლმა ქალიშვილის სახლში წაყოლის უფლება არ მისცა, კაფეში უნდა დალოდებოდნენ.

კაფე დაკეტილი აღმოჩნდა, მაგრამ ვიტელი იქვე იყო, ტერასაზე იდგა მოაჯირზე დაყრდნობილი.

ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს. მაიკლმა მანქანიდან სამი შეკვრა გადმოიღო და ვიტელის სახლისკენ გზას გაუყვნენ. სახლი უფრო მოზრდილი აღმოჩნდა, ვიდრე ჩვეულებრივ გლეხებს ჰქონდათ ხოლმე. ვიტელი ღარიბი კაცი ნამდვილად არ ჩანდა.

სახლში მადონას ფიგურები იდგა, მინის ხუფებით დაფარული, - მათზე კანდელების ციმციმი ირეკლებოდა. ვიტელის ორი ვაჟიშვილი გამოეგებათ, - შავ საკვირაო კოსტიუმებში გამოწყობილიყვნენ. ოციოდე წლის ჯან-ღონით სავსე ყმაწვილები იყვნენ, თუმცა თავის ასაკზე უფროსებად გამოიყურებოდნენ, - ეს უთუოდ მიწაზე ყოველდღიური მძიმე შრომის გავლენა გახლდათ. დედა მოსული ქალბატონი აღმოჩნდა, ისეთივე მსუქანი, როგორიც ქმარი. ქალიშვილი არსად ჩანდა.

ერთმანეთის გაცნობის შემდეგ (მაიკლი ისეთ მდგომარეობაში იყო, სახელების დამახსოვრება არც კი უცდია), ოთახში დასხდნენ, რომელიც სასტუმროდაც შეიძლებოდა მიგეღო და უბრალოდ, საცხოვრებელ ოთახადაც, რადგან სხვადასხვანაირი, არცთუ დიდი გაბარიტის, - სიცილიის კვალობაზე საკმაოდ ძვირფასი, - ავეჯით იყო სავსე.

მაიკლმა სინიორ და სინიორა ვიტელის საჩუქრები გადასცა: მამას - სიგარების საჭრელი ოქროს დანა, დედას - ყველაზე ძვირად ღირებული ქსოვილი, რაც კი პალერმოში შეიძლებოდა გეყიდა. ქალიშვილისთვის განკუთვნილი საჩუქარი მაიკლს ხელში ეჭირა. საჩუქრები თავშეკავებული მადლიერებით მიიღეს, რადგან ცოტა ნაადრევი გახლდათ. ტრადიციით, საჩუქრების მირთმევა მეორე ვიზიტისას ხდებოდა.

სინიორ ვიტელიმ მაიკლს კაცურად, სოფელში როგორც იციან ხოლმე, ისე მიმართა: - არ გეგონოს, უცხოებს ასე ადვილად ვუშვებდეთ სახლში, მაგრამ თვით დონ ტომაზინო დაგიდგა თავდებად და ამ კეთილი კაცის სიტყვა ჩვენს კუთხეში არავითარ ეჭვს არ იწვევს. ასე რომ, კეთილი იყოს შენი მობრძანება, მაგრამ იცოდე, თუკი შენი განზრახვა ჩემი ქალიშვილის თაობაზე სერიოზულია, ცოტა მეტი უნდა ვიცოდეთ შენსა და შენი ოჯახის შესახებ. ეს უნდა გესმოდეს, შენი ოჯახიც ხომ სიცილიიდანაა.

მაიკლმა თავაზიანად დაუკრა თავი და მიუგო: - ნებისმიერ დროს შემიძლია გითხრათ ყველაფერი, რაც გაინტერესებთ.

სინიორ ვიტელიმ ხელი ასწია.

- მე ცნობისმოყვარე კაცი არა ვარ. ჯერ ვნახოთ, საჭირო გახდება ეს თუ არა. ჯერჯერობით კი კეთილი იყოს შენი მობრძანება, როგორც დონ ტომაზინოს მეგობრის.

მიუხედავად მალამოსი, რომელიც მაიკლს წაუსვეს, ქალიშვილის სურნელება იგრძნო. მოტრიალდა და დაინახა, რომ აპოლონია თაღიან შესასვლელში იდგა, რომელიც სახლის სიღრმეში გადიოდა. აყვავებული ლიმონისა და ყვავილების სურნელება უდიოდა, თუმცა თმაში არანაირი მოსართავი არ ჰქონდა. ასევე არაფერი ეკეთა სადა შავ კაბაზე, რომელიც, უეჭველია, მისი საუკეთესო საკვირაო ჩასაცმელი

გახლდათ. ქალიშვილმა მაიკლს ელვისებური ღიმილი სტყორცნა, ოდნავ შესამჩნევად გაუღიმა, თვალები დახარა და დედის გვერდით დაჯდა.

მაიკლმა ისევ იგრძნო, რომ სუნთქვა ეკვრის, მთელ სხეულში საოცარმა, მტანჯველმა სურვილმა დაუარა. პირველად მიხვდა ცხოვრებაში, რა არის კლასიკური იტალიური ეჭვიანობა. იგი მზად იყო, მოეკლა ნებისმიერი, ვინც კი აპოლონიას შეეხებოდა, მის დაჩემებას, წართმევას მოუნდომებდა. ისევე უნდოდა, ეს ქალიშვილი მისი საკუთრება გამხდარიყო, როგორც ავადმყოფური სიძუნწით შეპყრობილს - ოქროს მონეტები. ისევე ეწადა იგი, როგორც მიწის მოიჯარადე გლეხს სურს ნაკვეთი, რომელსაც ამუშავებს, მისი საკუთარი გახდეს. მაიკლს ვერავინ და ვერაფერი გააჩერებდა, რაც უნდა დასჯდომოდა, ქალიშვილი მისი უნდა გამხდარიყო, სახლში უნდა ჩაეკეტა და მხოლოდ თავისთვის ჰყოლოდა. არ სურდა, ვინმეს საერთოდ დაენახა. როდესაც აპოლონიამ ერთ-ერთ ძმას გაუღიმა, მაიკლმა მომაკვდინებელი მზერა სტყორცნა ისე, რომ ვერც კი გააცნობიერა. ოჯახი დარწმუნდა - ეს ,,მეხის დაცემის'' კლასიკური შემთხვევა იყო და დამშვიდდა. ქორწინებამდე ახალგაზრდა კაცი მათი ქალიშვილის ხელში სათამაშოდ დარჩება. მერე, რასაკვირველია, ყველაფერი შეიცვლება, მაგრამ ამას უკვე არავითარი მნიშვნელობა აღარ ექნებოდა.

მაიკლმა პალერმოში თავისთვის კარგი ჩასაცმელი შეიძინა და გლეხივით აღარ გამოიყურებოდა. ქალიშვილის ოჯახში მიხვდნენ, რომ იგი, განსაზღვრული თვალსაზრისით, დონია. მისი მონგრეული სახე ისე შიშის მომგვრელად არ გამოიყურებოდა, როგორც თვითონ ეგონა; სახის მეორე ნახევარი მეტად მომხიბლავი ჰქონდა, ასე რომ, ეს კონტრასტი მას საინტერესოსაც კი ხდიდა.

მაიკლმა აპოლონიას გახედა, მის მშვენიერ სახეს თვალი შეავლო. ახლაღა შეამჩნია პირველად, რომ ტუჩები თითქმის ლურჯი ჰქონდა, იმდენად მუქი იყო სისხლი, რომელიც ძარღვებში უჩქეფდა.

მაიკლი დაელაპარაკა, თუმცა სახელით მიმართვა მაინც ვერ გაბედა: - რამდენიმე დღის წინ ფორთოხლის ბაღში გნახეთ, როცა გაიქეცით. იმედი მაქვს, ჩემი არ შეგშინებიათ.

ქალიშვილმა თვალები წამით აზიდა. უარის ნიშნად თავი გააქნია. ისეთი ლამაზი თვალები ჰქონდა, მაიკლმა ვერ გაუძლო და მზერა მოაშორა. დედამ თქვა: - აპოლონია, დაელაპარაკე საბრალო ყმაწვილს, შორი გზა გამოიარა შენს სანახავად.

მაგრამ ქალიშვილს გრძელი წამწამები თვალებს კვლავაც უფარავდა, - ფრთებივით. მაიკლმა ოქროსფერ ქაღალდში გახვეული საჩუქარი მიაწოდა. აპოლონიამ გამოართვა და მუხლებზე დაიდო.

- გახსენი საჩუქარი, - უბრძანა მამამ, მაგრამ ქალიშვილი არ განძრეულა. მაშინ შეკვრა დედამ აიღო და მოუთმენლად, თუმცა კი საკმაოდ ფრთხილად, - ძვირფასი ქაღალდი რომ არ დაეზიანებინა, - გახსნა. იქ წითელი ხავერდით დაფარული მომცრო კოლოფი აღმოჩნდა. დედა წამით შეყოვნდა, ასეთი რამ ხელში არასოდეს სჭეროდა და არ იცოდა, როგორ გაეხსნა, მაგრამ ინსტინქტის კარნახით მალევე მოახერხა და კოლოფიდან საჩუქარი ამოიღო.

მსხვილი ოქროს ძეწკვი აღმოჩნდა, რომელიც ყელსაბამივით შეიძლებოდა გეტარებინა. საჩუქარმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, არა მარტო იმის გამო, რომ

აშკარად ძვირფასი ნივთი იყო, არამედ იმიტომაც, რომ იმ საზოგადოებაში ოქროს სამკაულის ჩუქება განზრახვის სერიოზულობაზე მეტყველებდა. ეს ხელის თხოვნის ტოლფასი გახლდათ. მაიკლის გეგმების სერიოზულობაში ეჭვი უკვე აღარავის ეპარებოდა... და არც მის შესაძლებლობებში.

აპოლონია კვლავაც თავდახრილი იჯდა და ხმა მხოლოდ მაშინ ამოიღო, როცა დედამ საჩუქარი პირდაპირ თვალებთან მიუტანა. წამით აზიდა წამწამები, მაიკლს თვალებში შეხედა და ჩაილაპარაკა: - გმადლობ.

ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა მაიკლმა მისი ხმა გაიგონა.

ამ ხმაში მაიკლმა ხავერდისებრი სინაზე და თან კდემამოსილებაც იგრძნო. ეს ხმა დიდხანს ედგა ყურში. მაიკლმა თავი გვერდზე მიაბრუნა და სინიორ ვიტელისა და მის მეუღლეს საუბარი გაუბა მხოლოდ იმიტომ, რომ აპოლონიას ვერ უყურებდა, ცუდად ხდებოდა. თუმც კი შენიშნა, რომ მიუხედავად აპოლონიას კაბის მკაცრი კონსერვატიულობისა, მის ქვეშ აშკარად მგრძნობიარე სხეული იმალებოდა. ისიც შეამჩნია, რომ ქალიშვილს მუქი კრემისფერი კანი კიდევ მეტად გამუქებოდა, - ეტყობა, გაწითლდა, სახეში სისხლი მოაწვა.

ბოლოს მაიკლი წამოდგა, ვიტელის ოჯახის წევრებიც წამოიშალნენ. მაიკლი ყველას ერთობ ცერემონიულად დაემშვიდობა. აპოლონიამ ხელი გაუწოდა და წამით შეეხო. მაიკლმა იგრძნო მისი კანი, მხურვალე და ოდნავ გაუხეშებული, გლეხის ქალებს რომ აქვთ ხოლმე. სინიორ ვიტელიმ მანქანამდე მიაცილა და შესთავაზა, მომავალ კვირას სადილად მისულიყო. მაიკლმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია, თუმც კი მშვენივრად იცოდა, ერთ კვირას ვერ მოიცდიდა.

ვერც მოიცადა. მეორე დილით მაიკლი თავისი მწყემსების გარეშე სოფელში მივიდა და კაფეს ტერასაზე დაჯდა, აპოლონიას მამასთან სამასლაათოდ. სინიორ ვიტელი მაიკლის მდგომარეობაში შევიდა და ბიჭი გაგზავნა შინ, ცოლი და ქალიშვილი კაფეში რომ ჩამოსულიყვნენ. ეს შეხვედრა ნაკლებოფიციალური გამოდგა. აპოლონია იმდენად შებოჭილი აღარ გახლდათ, მეტს ლაპარაკობდა. ყოველდღიური ჭრელი კაბა ეცვა, რომელიც მეტად უხდებოდა.

მეორე დღეს იგივე განმეორდა. ოღონდ ამჯერად აპოლონიას ის ოქროს ძეწკვი ეკეთა, მაიკლმა რომ აჩუქა. მაიკლმა გაუღიმა, მიხვდა, ეს მისთვის კარგი ნიშანი იყო. საუბრის შემდეგ მაიკლმა გააცილა ქალიშვილი, ერთად წავიდნენ ბორცვზე მდგარი სახლისაკენ. აპოლონიას დედა უკან მიჰყვებოდათ, ძალზე ახლოს. ამისდა მიუხედავად, მაინც ვერ იკავებდნენ თავს, ერთმანეთს რომ არ შეხებოდნენ. რაღაც წამს აპოლონიამ ბილიკზე წაიბორძიკა და მაიკლი იძულებული გახდა, დაეჭირა, რომ არ წაქცეულიყო. აპოლონიას სხეული იგრძნო, - ნაზი და მხურვალე, - თავში ისევ აუვარდა სისხლი. მაიკლმა ვერ დაინახა, როგორ ჩაიღიმა აპოლონიას დედამ. მის ქალიშვილს ამ ბილიკზე ერთხელაც არ დასცდენია ფეხი, - პატარაობაშიც კი, - ნამდვილი მთის ჯეირანივით მოქნილი და მოხერხებული გახლდათ. უბრალოდ, ეს მისთვის ერთადერთი საშუალება იყო ქორწინებამდე მაიკლის ხელში აღმოჩენისა.

ასე გაგრძელდა ორი კვირა. მაიკლს ყოველ ჯერზე ახალ-ახალი საჩუქრები მიჰქონდა და აპოლონიაც სულ უფრო ნაკლებად მორცხვობდა, მაგრამ სხვათა თანდასწრების გარეშე შეხვედრა ერთხელაც ვერ მოახერხეს. აპოლონია ჩვეულებრივი სოფლელი

გოგონა იყო, წერა-კითხვის თითქმის უცოდინარი, სამყაროზე ზედაპირული წარმოდგენით, მაგრამ რაღაც განსაკუთრებული სიცინცხალე და სიცოცხლის სურვილი ახასიათებდა, რაც მაიკლის თვალში მის პიროვნებას საინტერესოს ხდიდა. მაიკლის თხოვნით ყველაფერი ძალზე სწრაფად გადაწყდა. ქორწილი ორ კვირაში დანიშნეს.

საქმეში დონ ტომაზინოც ჩაერთო. ამერიკიდან შეატყობინეს, რომ მაიკლს ვერავინ ვერაფერს უბრძანებს, უბრალოდ, უსაფრთხოების ყველა ზომა მიიღეთო. დონ ტომაზინომ თავი მაიკლის მამობილად გამოაცხადა, რითაც ქორწილზე საკუთარი დაცვის დასწრება უზრუნველყო. ქორწილზე მაიკლის მხრიდან დოქტორი ტაცა, ფაბრიციო და კალო იყვნენ მიპატიჟებულნი. ახალდაქორწინებულები დოქტორ ტაცას ვილაში იცხოვრებდნენ, რომელიც ქვის მაღალი კედლით იყო გარშემორტყმული.

ჩვეულებრივი გლეხური ქორწილი ჰქონდათ. მთელი სოფელი გზაზე გამოეფინა, ნეფე-პატარძალს, სანამ ეკლესიიდან სახლამდე ფეხით მიდიოდნენ, თავზე ყვავილებს აყრიდნენ, და კიდევ - ტრადიციულ საქორწილო ნუგბარს, დაშაქრულ ნუშს. დარჩენილი ნუში პატარძლის საწოლზე მიმოაბნიეს. ამ შემთხვევაში, ეს სიმბოლურად გაკეთდა, რადგან ახალშეუღლებულებს პირველი ღამე ვილაზე უნდა გაეტარებინათ. ქორწილი შუაღამემდე გაგრძელდა, თუმცა ნეფე-პატარძალმა სუფრა ადრე დატოვა, ,,ალფა-რომეოთი'' ვილაზე გაემგზავრნენ. მაიკლის გასაოცრად, მათთან ერთად პატარძლის დედაც წამოვიდა, პატარძლისავე თხოვნით. მამამ ეს ასე აუხსნა: მეტად ახალგაზრდაა, ქალწულია, ეშინია, ცოტა არ იყოს, და ვიღაც სჭირდება, ვისაც მეორე დილით დაელაპარაკება; ვინც რჩევას მისცემს, თუკი რაიმე მთლად რიგზე არ იქნება. ზოგჯერ ეს საქმე საკმაოდ რთულდება ხოლმეო. მაიკლმა აპოლონიას დიდრონ შავ თვალებში ჩახედა და იგრძნო, - ეჭვი აქვს, დედამისის წამოყვანაზე უარს იტყვის. მაიკლმა გაუღიმა და თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

ასე რომ, ვილაზე მიმავალ მანქანაში სიდედრიც აღმოჩნდა. თუმც კი მისვლისთანავე ქალიშვილს მოეხვია, აკოცა და მერე დოქტორ ტაცას მსახურებთან გააბა მასლაათი, მეტად აღარც გამოჩენილა. უზარმაზარ საძინებელ ოთახში მაიკლი და აპოლონია მარტონი ავიდნენ.

აპოლონიას საქორწილო კაბა ეცვა და ზემოდან მოსასხამი ეკეთა. ოთახში ჩემოდანი და ჩანთა ამოუტანეს. მომცრო მაგიდაზე ბოთლი ღვინო და თეფშით საქორწილო ნამცხვარი ეწყო. დიდი ოთახის შუაგულში ვეება ჩარდახიანი საწოლი მოეთავსებინათ. აპოლონია ფეხზე იდგა და მაიკლს ელოდებოდა - პირველი მოძრაობა მას უნდა გაეკეთებინა.

ახლა, როდესაც მაიკლი კანონიერი ქმარი გახდა, აპოლონიას სილამაზით დაუბრკოლებლად შეეძლო დამტკბარიყო, - რაზედაც ყოველღამ ოცნებობდა, - მაგრამ ადგილიდან ვერც კი დაიძრა. უყურებდა, როგორ მოიხსნა აპოლონიამ მოსასხამი და სკამზე გადაკიდა, მერე პატარძლის გვირგვინი ტუალეტის მაგიდაზე დადო. მაგიდა სუნამოებითა და ნელსაცხებლებით იყო სავსე, - მაიკლმა პალერმოდან გამოაგზავნინა. ქალიშვილმა ამ ყველაფერს თვალი წამით შეავლო.

მაიკლმა სინათლე ჩააქრო, რადგან ჩათვალა, რომ ქალიშვილს ტანზე გახდისა რცხვენოდა. ფანჯრიდან სიცილიური სავსე მთვარის შუქი იღვრებოდა, ამიტომ

მაიკლმა დარაბებიც მიხურა, ოღონდ ღრიჭო მაინც დატოვა, ოთახი რომ არ დახუთულიყო. აპოლონია ისევ მაგიდასთან იდგა. მაიკლი ოთახიდან გამოვიდა, კიბეზე დაეშვა და მერე ბაღში გავიდა, სადაც დონ ტომაზინო და დოქტორი ტაცა ისხდნენ და ღვინოს მიირთმევდნენ. მათთან ერთად თითო ჭიქა დალია. მაიკლს ეგონა, როდესაც საძინებელ ოთახში დაბრუნდებოდა, აპოლონია ღამის პერანგში დახვდებოდა.

საძინებელში ბნელოდა, დარაბები ბოლომდე დაგმანული იყო. საწოლს ხელის ცეცებით მიაგნო და საბნის ქვეშ აპოლონიას სილუეტი დალანდა. მაიკლმა გაიხადა და სრულიად შიშველი შეწვა. ქალიშვილის აბრეშუმივით ნაზი კანის შეხება იგრძნო. აპოლონიას ღამის პერანგი არ ეცვა, შიშველი იყო, - ეს მაიკლს მეტად ესიამოვნა. ქალიშვილს ხელი მხარზე ნელა, ფრთხილად დაადო და თავისკენ შემოაბრუნა. აპოლონია ნელა შემოტრიალდა და მაიკლმა მის სავსე მკერდს ხელი შეახო. ქალიშვილი უცებ ჩაეხუტა, ორივე სხეული ერთმანეთს გადაეხლართა, თითქოს ელექტრონმა დაუარათო. მაიკლი სანატრელ ტუჩებს გაშმაგებით კოცნიდა, მკერდსა და მთელ სხეულზე ეფერებოდა...

ბოლოს, როდესაც მაიკლი დაეუფლა, აპოლონიამ სუსტად შეჰკივლა, წამით გაირინდა, მერე კი ფეხები წელზე შემოაჭდო. ისე მაგრად აღმოჩნდნენ ჩახვეულები, ისე გამეტებით ეკვროდნენ ერთმანეთს, რომ დაშორებისას ორივეს გააკანკალა, - სიკვდილისწინა გატოკებასავით.

იმ ღამეს, და მომდევნო კვირების განმავლობაში, მაიკლი მიხვდა, სოციალურად დაბალ საფეხურზე მდგომი ადამიანები ქალწულობას ესოდენ დიდ მნიშვნელობას რატომ ანიჭებენ. მაიკლმა იმგვარი რაღაც იგრძნო, რაც ადრე არასოდეს განეცადა. ეს იყო პერიოდი, როდესაც მამაკაცური ძლევამოსილების შეგრძნება ახალგაღვიძებულ ქალურობასთან იყო შეხამებული. იმ პირველ დღეებში აპოლონია ლამის მის მონად იქცა. ამ სისხლსავსე გოგონამ ქალწულებრივი უმანკოებიდან ეროტიკულ დახვეწილობამდე არსებული დისტანცია უსწრაფესად გაიარა, მაიკლს ენით გამოუთქმელ ნეტარებას ანიჭებდა, - უტკბესი გახლდათ, მწიფე ეგზოტიკური ნაყოფივით.

აპოლონიამ, თავის მხრივ, ვილაში გამეფებული პირქუში ატმოსფეროც გაფანტა. დედა პირველი საქორწილო ღამის შემდეგ შინ გაისტუმრა. ახლა აპოლონია საერთო სუფრის თავში იჯდა ხოლმე და სილამაზესა და სიცოცხლეს ასხივებდა. ყოველ საღამოს დონ ტომაზინო მათთან ერთად ვახშმობდა, დოქტორი ტაცა კი თავის ძველ ისტორიებს ხელახლა ჰყვებოდა. ქანდაკებებითა და წითელი ყვავილებით მოფენილ ბაღში ერთობ სასიამოვნო საღამოები ჰქონდათ. ღამღამობით კი ახალშეუღლებული წყვილი გაშმაგებით, საათობით სიყვარულობდა. მაიკლი თითქოს ვერა და ვერ ძღებოდა აპოლონიას ქანდაკებასავით ნატიფი სხეულის, მისი თაფლისფერი კანის, მისი დიდრონი, შავი, ვნებით ანთებული თვალების სილამაზით. აპოლონიას საუცხოო ცინცხალი სურნელი უდიოდა, რომელიც მაიკლს მუდმივად აღაგზნებდა. აპოლონიას ქალწულებრივი ვნება მის ხორციელ ჟინს მშვენივრად შეერწყა, - ხშირად მხოლოდ გამთენიისას ჩაეძინებოდათ ხოლმე. ზოგჯერ მაიკლი ფანჯრის რაფაზე ჩამოჯდებოდა ხოლმე და მძინარე აპოლონიას შიშველ სხეულს უყურებდა. სახეც წარმოუდგენლად მომხიბლავი ჰქონდა, - ასეთი გარეგნობა მაიკლს ადრე მხოლოდ

ალბომებში თუ ენახა, სადაც იტალიელი მხატვრების მიერ შესრულებული მადონას სურათების რეპროდუქციები იყო.

ქორწინების პირველ კვირას „ალფა-რომეოთი“ სეირნობდნენ, პიკნიკებს აწყობდნენ, მაგრამ შემდეგ დონ ტომაზინომ მაიკლი გაიხმო და გააფრთხილა, რომ ქორწილმა მისი ვინაობა და ადგილსამყოფელი სიცილიის ამ კუთხეში ყველასათვის ცნობილი გახადა და აუცილებელი იყო უსაფრთხოების დამატებითი ზომების მიღება კორლეონეს ოჯახის მტრებისგან თავდასაცავად. დონ ტომაზინომ ვილის გარშემო შეიარაღებული დაცვა დააყენა, ფაბრიციო და კალო კი ახალშეუღლებულებს მამულის შიგნით იცავდნენ. ახლა მაიკლს დრო იმით გაჰყავდა, რომ აპოლონიას ინგლისურ წერა-კითხვასა და მანქანის მართვას ასწავლიდა ვილის ეზოში, რომელიც ქვის მაღალი კედლით იყო შემოზღუდული. იმ პერიოდში დონ ტომაზინო უკვე იშვიათად უწევდა მათ კომპანიას. დოქტორმა ტაცამ თქვა, პალერმოში მაფიის ახალ ლიდერებთან პრობლემები აქვსო.

ერთ საღამოს მოხუცმა სოფლელმა ქალმა, რომელიც ვილაში მოსამსახურედ მუშაობდა, თეფშით ზეთისხილი მიართვა, მაიკლს შეხედა და ჰკითხა: - მართალია, რასაც ამბობენ, რომ დონ ვიტო კორლეონეს, ნათლიას, ვაჟი ბრძანდებით?

მაიკლმა დაინახა, დონ ტომაზინომ თავი როგორ უკმაყოფილოდ გააქნია, - მაიკლის ვინაობა საყოველთაოდ ცნობილი რომ გახდა, მაგრამ მოხუცი ქალი ისეთი ინტერესით უმზერდა, ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს მისთვის ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვსო, ამიტომ მაიკლმა მოლოდინი არ გაუცრუა და თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

- იცნობთ მამაჩემს? - ჰკითხა მაიკლმა.

მოხუცს ფილომენა ერქვა, ყავისფერი კანი, დანაოჭებული სახე და ჩაყვითლებული კბილები ჰქონდა. მაიკლს ვილაზე ყოფნის განმავლობაში პირველად გაუღიმა.

- ნათლიამ სიცოცხლე გადამირჩინა, - თქვა მან, - და ჭკუა-გონებაც, რომ არ შევიშალე.

ქალმა ხელით თავზე ანიშნა. ჩანდა, კიდევ რაღაცის თქმა უნდოდა, ამიტომ მაიკლმა გამამხნევებლად გაუღიმა. ქალმა აკანკალებული ხმით ჰკითხა: - მართალია, რომ ლუკა ბრაზი მოკვდა?

მაიკლმა თავი დაუქნია თანხმობის ნიშნად და გაოცებულმა შენიშნა, რომ მოხუცს სახეზე შვება გამოესახა. ქალმა პირჯვარი გადაიწერა და თქვა: - ღმერთმა მაპატიოს, მაგრამ იმედი მაქვს, სამარადისოდ ჯოჯოხეთის ცეცხლში იხრუკება.

მაიკლს კარგად ახსოვდა, ლუკა ბრაზის პიროვნება როგორ აინტერესებდა და უცებ იგრძნო, ამ მოხუცმა ქალმა იცოდა ის ამბავი, რომლის მოყოლაზეც ტომ ჰეიგენი და სონი კატეგორიულ უარს ეუბნებოდნენ. მაიკლმა ქალს ჭიქა ღვინო ჩამოუსხა და აიძულა, დამჯდარიყო.

- მომიყევით მამაჩემისა და ლუკა ბრაზის შესახებ, - მოხუც ქალს სთხოვა, - რაღაც-რაღაცები კი ვიცი, მაგრამ მაინტერესებს, როგორ დამეგობრდნენ და რატომ იყო ლუკა მამაჩემის ასე ერთგული.

ფილომენამ დანაოჭებული სახე დონ ტომაზინოსკენ მიაბრუნა, მანაც ანიშნა, მოყოლის უფლებას გაძლევო. ასე რომ, მთელი ის საღამო ფილომენას ამბის მოსმენაში გაატარეს.

ოცდაათი წლის წინ ფილომენა ბებიაქალი იყო და ნიუ-იორკში, მეოთხე ავენიუზე ცხოვრობდა, იტალიურ კოლონიას ემსახურებოდა. ქალები განუწყვეტლივ ორსულდებოდნენ და მასაც, შესაბამისად, ბევრი სამუშაო ჰქონდა. ფილომენა თავისი საქმის კარგი მცოდნე გახლდათ და მძიმე მშობიარობისას ზოგჯერ ექიმებსაც კი აძლევდა რჩევას. მის, აწ გარდაცვლილ, ქმარს მაღაზია ჰქონდა, სადაც საბაყლო საქონლით ვაჭრობდა და საკმაოდ კარგ შემოსავალსაც იღებდა, მაგრამ ბანქოსა და ქალების მოყვარული იყო, ამიტომ ფული ჯიბეში არ უჩერდებოდა. თუმცა, მიუხედავად ამისა, ფილომენა ქმარს მაინც აღმერთებდა. ერთხელაც, ღამით, როცა პატიოსანი ადამიანები უკვე მეშვიდე სიზმარს ხედავდნენ, ფილომენას კარზე მიუკაკუნეს. არ შეშინებია, რადგან ეს სწორედ ის დრო გახლდათ, რომელსაც ჩვილები უფრო ხშირად ირჩევენ, ამ ცოდვილ მიწას რომ მოევლინონ. ასე რომ, ფილომენამ ჩაიცვა და კარი გააღო. ზღურბლზე ლუკა ბრაზი იდგა, რომელიც იმ დროს უკვე საშიში კაცის რეპუტაციით სარგებლობდა. ისიც ცნობილი გახლდათ, რომ მარტოხელა იყო. ამიტომ ფილომენა დაფრთხა, იფიქრა, ბრაზი მოვიდა, ჩემს ქმარს რაღაც რომ დაუშავოს, რადგან, ალბათ, რაიმე მცირე სამსახურზე უარი უთხრაო.

არადა, ლუკა ბრაზი სწორედაც ფილომენასთვის ჩვეულ საქმეზე აღმოჩნდა მოსული. უთხრა, რომ ერთი ქალი მშობიარობას აპირებს და ფილომენა უნდა გაჰყვეს. ფილომენას გულმა რაღაც ავი უგრძნო. ლუკას ისეთი გაგიჟებული სახე ჰქონდა, თითქოსდა ეშმა შეუჩნდაო. უარის თქმა დააპირა, ლუკას უთხრა, რომ მხოლოდ იმ ქალებს ამშობიარებს, ვისი სამედიცინო ისტორიაც იცის და წინასწარ გასინჯულიც ჰყავს, მაგრამ ბრაზიმ მწვანე ბანკნოტების ბღუჯა ხელში ჩაუტენა და უხეშად მოსთხოვა, გაჰყოლოდა. ფილომენას შეეშინდა და უარი ვეღარ უთხრა.

ქუჩაში ,,ფორდი'' ელოდებოდათ. საჭესთან ბრაზისნაირი ახალგაზრდა კაცი იჯდა. დაახლოებით, ნახევარი საათი იარეს და ლონგ-აილენდზე, ზედ ხიდის გადაღმა ერთ სახლს მიადგნენ. ეს ორი ოჯახისთვის განკუთვნილი სახლი გახლდათ, მაგრამ იქ მხოლოდ ლუკა და მისი ბანდის წევრები ბინადრობდნენ. სამზარეულოში რამდენიმე კაცი ვისკის სვამდა და ბანქოს თამაშობდა. ბრაზიმ ფილომენა მეორე სართულზე აიყვანა, საძინებელ ოთახში. საწოლზე ახალგაზრდა, ლამაზი ქალი იწვა, შესახედაობით ირლანდიელს მიაგავდა, ფერუმარილიან-წითელთმიანს გაბერილი მუცელი ჰქონდა. თანაც, ქალი მეტად შეშინებული ჩანდა. როგორც კი ლუკა დაინახა, თავი შიშით წამსვე გვერდზე მიაბრუნა. და, მართლაც, გაცოფებული ლუკა ყველაზე საშინელი რამ იყო, რაც კი ცხოვრებაში მენახაო, - თქვა ფილომენამ და ისევ პირჯვარი გადაიწერა.

ერთი სიტყვით, ლუკა ოთახიდან გავიდა. მისი ორი კაცი ფილომენას მიეხმარა და ქალმა იმშობიარა, შემდეგ კი გატანჯულსა და გასავათებულს ჩაეძინა. ლუკა ბრაზის დაუძახეს და ფილომენამ მას ზეწარში შეხვეული ჩვილი გაუწოდა.

- აიყვანეთ, თუკი მამა თქვენა ხართ. მე ჩემს საქმეს უკვე მოვრჩი, - თქვა ბებიაქალმა.

ბრაზიმ თვალები ისევ გიჟივით გაკვესა და უთხრა: - კი, მამა მე ვარ, მაგრამ მინდა მაგათი ჯიში საერთოდ ამოწყდეს. სარდაფში ჩაათრიე და ღუმელში შეაგდე.

ფილომენას ეგონა, ნათქვამი სწორად ვერ გავიგე, რაღაც მომესმაო. თანაც, გააკვირვა სიტყვამ „ჯიში“. რას გულისხმობდა? რომ ბავშვის დედა იტალიელი არ არის? თუ იმას, რომ აშკარად მეძავია? თუ ლუკა სიცოცხლეს უკრძალავდა ყველაფერს, რაც თვით მისგან გამომდინარეობდა? მერე ფილომენამ გაიფიქრა, რომ ლუკა, უბრალოდ, სასტიკად ხუმრობს და უთხრა: - რაც გინდათ, უყავით, თქვენი შვილია.

და შეეცადა, ლუკასთვის ბავშვი გადაეცა. ამ დროს ჩვილის დედას გაეღვიძა და მათკენ შემობრუნდა. სწორედ იმწამს ლუკამ მუშტი მთელი ძალით ხეთქა ზეწარში გახვეულ ბავშვს - ფილომენას მკერდზე კლავდა. ქალმა იყვირა: - ლუკ, ლუკ, არ მინდოდა.

ლუკამ ქალს გახედა.

- ეს რაღაც საშინელება იყო, - თქვა ფილომენამ. რაღაც საშინელება. ორივენი მხეცებსა ჰგავდნენ. არაფერი ადამიანური არ ეცხოთ. ოთახი მათი სიძულვილისგან ჩაიხუთა. მათთვის იმწამს ამქვეყნად სხვა არაფერი არსებობდა, ახალშობილიც კი. და თან, რაღაც საოცარ ვნებასაც ასხივებდნენ. სისხლიანი, დემონური ვნება იყო, იმდენად არაბუნებრივი, რომ ორივენი, უეჭველად, სამარადისოდ დაიწყევლნენ...

ლუკა ბრაზი ფილომენას მიუბრუნდა და უხეშად უთხრა: - რასაც გეუბნები, გააკეთე. დაგასაჩუქრებ.

ფილომენამ შიშისგან ხმა ვერ ამოიღო. უარის ნიშნად თავი გააქნია. მერე მოახერხა და ჩურჩულით თქვა: - თქვენ თვითონ გააკეთეთ, თუ გინდათ, მამა თქვენა ხართ.

მაგრამ ბრაზიმ არაფერი უპასუხა. ამის ნაცვლად დანა ამოიღო.

- ყელს გამოგჭრი, - უთხრა ფილომენას.

ფილომენას აღარ ახსოვდა, როგორ აღმოჩნდა სარდაფში, ანთებული ღუმლის წინ. ბავშვი კვლავაც ხელში ეჭირა (ჩვილი ხმას არ იღებდა. შესაძლოა, ჯერ კიდევ ცოცხალი იყო და, რომ მეჩქმიტა, შეიძლებოდა, ტირილი დაეწყო, - თქვა ფილომენამ, - იქნება ამას ბრაზისთვის გული მოელბო).

ბრაზის ერთ-ერთმა კაცმა ღუმლის სარქველი გამოაღო და ქალმა აგიზგიზებული ცეცხლი დაინახა. მერე ფილომენა და ბრაზი სარდაფში მარტონი დარჩნენ. ლუკამ ისევ ამოიღო დანა. ეჭვი არ იყო, ფილომენას მოკვლას აპირებდა. თვალებში ცეცხლის ალი ედგა. ნამდვილად დემონური გამომეტყველება ჰქონდა. ქალს ღუმლისკენ უბიძგა.

ფილომენა დადუმდა. გაძვალტყავებული ხელები მკერდზე დაიწყო და მაიკლს პირდაპირ თვალებში შეხედა. მაიკლი მიხვდა, როგორ უნდოდა უსიტყვოდ მოეყოლა მისთვის ყველაფერი. ფრთხილად ჰკითხა: - გააკეთეთ?

ფილომენამ თავი დაუქნია.

ლაპარაკის გაგრძელება მხოლოდ მას მერე შეძლო, რაც მეორე ჭიქა ღვინო დალია, პირჯვარი გადაისახა და ლოცვა ჩაიბუტბუტა. მოკლედ, ბლომად ფული მომცეს და შინ გამომისტუმრესო. ფილომენა ხვდებოდა, ამ ამბის შესახებ კრინტიც რომ დასცდენოდა, უეჭველად ყელს გამოსჭრიდნენ, მაგრამ, აი, ორი დღე გავიდა და ლუკა

ბრაზიმ ის ირლანდიელი ქალი, ბავშვის დედა, მოკლა. პოლიციამ ლუკა დააპატიმრა. ფილომენამ შიშს ვეღარ გაუძლო და დონ კორლეონესთან მივიდა, ყველაფერს მოუყვა. ნათლიამ უბრძანა, ჩუმად ყოფილიყო და უთხრა, რომ ყველაფერს მოაგვარებდა. იმ დროს ლუკა ბრაზი დონ კორლეონეზე ჯერ კიდევ არ მუშაობდა.

სანამ დონი საქმის მოგვარებას შეუდგებოდა, ლუკამ თავის მოკვლა სცადა, ყელი შუშის ნამსხვრევით გამოიჭრა. ციხის საავადმყოფოში გადაიყვანეს და, სანამ საბოლოოდ გამოჯანმრთელდებოდა, დონ კორლეონემ მართლაც მოაგვარა ყველაფერი. პოლიციას ბრალის დამადასტურებელი მტკიცებულებები, რასაც სასამართლოს წარუდგენდნენ, არ აღმოაჩნდა, ამიტომ ლუკა ბრაზი გაათავისუფლეს.

მიუხედავად იმისა, რომ ნათლიამ ფილომენა დაარწმუნა, არც ბრაზისა და არც პოლიციის არ უნდა გეშინოდესო, ქალმა მაინც ვერაფრით მოისვენა. ნერვები ისეთ მდგომარეობაში ჰქონდა, რომ ბებიაქალად მუშაობა ვეღარ გააგრძელა. ბოლოს და ბოლოს, ქმარი დაარწმუნა, მაღაზია გავყიდოთ და იტალიაში დავბრუნდეთო. მისი ქმარი კეთილი კაცი გახლდათ. ფილომენა ყველაფერს მოუყვა და მანაც გაუგო, მაგრამ, ამავე დროს, სუსტი ნებისყოფის კაცი იყო და ძალიან მალე ქონებიდან, რომელიც მძიმე შრომით მოიპოვეს ამერიკაში, კაპიკიც აღარ შერჩათ. ქმრის გარდაცვალების შემდეგ ფილომენა იძულებული გახდა, შინამოსამსახურედ წასულიყო. მოხუცმა ამბის მოყოლა დაასრულა, კიდევ ერთი ჭიქა ღვინო დალია და მაიკლს უთხრა: - მამაშენის სახელს ვიფიცებ. ყოველთვის მიგზავნიდა ფულს, როცა კი ვთხოვდი. ლუკა ბრაზისგან მამაშენმა გადამარჩინა. გადაეცი, მისი სულისათვის ყოველღამ ვლოცულობ, ასე რომ, სიკვდილისა ნუ შეეშინდება.

როდესაც ქალი წავიდა, მაიკლმა დონ ტომაზინოს შეხედა და ჰკითხა: - ეს მართალია?

დონ ტომაზინომ თავი დაუქნია. „არაა გასაკვირი, რომ ამ ამბის ჩემთვის მოყოლა არავის სურდა“, - გაიფიქრა მაიკლმა.

მეორე დილით მაიკლს დონ ტომაზინოსთან დალაპარაკება უნდოდა, მაგრამ უთხრეს, პალერმოში სასწრაფო საქმეზე გამოიძახესო. საღამოს დონ ტომაზინო დაბრუნდა, მაიკლი გაიხმო და უთხრა, ამერიკიდან ამბავი მოვიდაო. ისეთი ამბავი, რომლის თქმაც საშინლად უმძიმს. სანტინო მოკლეს....

თავი ოცდამეოთხე

სიცილიის მზეს, დილაობით ლიმონისფერს, ოთახი აევსო. მაიკლმა თვალები გაახილა, აპოლონიას ხავერდივით კანის შეხება იგრძნო და ფრთხილად გამოაღვიძა. ისევ ისიყვარულეს. მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე თვე სულ ერთად იყვნენ, მაიკლი მისი სილამაზითა და ვნებით მაინც ვერა და ვერ ძღებოდა.

აპოლონია ადგა, შხაპი რომ მიეღო. მაიკლმა, ჯერ კიდევ შიშველმა, სიგარეტს მოუკიდა და ლოგინში სიამოვნებით გაიჭიმა. ეს ბოლო დღე გახლდათ მათი ამ სახლში ცხოვრებისა. დონ ტომაზინომ განკარგულება გასცა, სიცილიის სამხრეთ სანაპიროზე მდებარე პატარა ქალაქში გადაეყვანათ. აპოლონიას, რომელიც ორსულობის პირველ თვეში იყო, მშობლებთან უნდოდა წასულიყო და ერთი-ორი კვირა მათთან გაეტარებინა, შემდეგ კი მაიკლს ახალ ადგილას შეუერთდებოდა.

წინა საღამოს, როდესაც აპოლონია დასაძინებლად წავიდა, დონ ტომაზინომ მაიკლს სთხოვა, ბაღში სასაუბროდ დარჩენილიყო. დონ ტომაზინო შეწუხებული და გადაღლილი ჩანდა, მაიკლს უთხრა, რომ მისი უსაფრთხოების საკითხი ძალიან აფიქრებს.

- ქორწილმა შენი ადგილსამყოფელი გამოააშკარავა, - თქვა მან, - მიკვირს, მამაშენმა რომ არაფერი იღონა ახალ ადგილას შენს გადასაყვანად. მე კიდევ ჩემი პრობლემები მაქვს პალერმოელ ახალგაზრდა „თურქებთან“. რამდენიმე კარგი საქმე შევთავაზე და ნისკარტი უფრო მეტად გაისველეს, ვიდრე ეკუთვნოდათ, მაგრამ იმ ნაბიჭვრებს ყველაფრის ხელში ჩაგდება უნდათ. მაგათი ვერაფერი გამიგია. რამდენჯერმე მახე დამიგეს, მაგრამ ეგრე ადვილად ვერ გამისტუმრებენ. უნდა გაიგონ, მე მათთვის მეტისმეტად დიდი ლუკმა ვარ, ვერ გადამყლაპავენ, მაგრამ სწორედ ეგაა ახალგაზრდების უბედურება, რომ არაფერზე ფიქრობენ, რაც გინდა ნიჭიერები იყვნენ. წინასწარ არ უკვირდებიან, რას აკეთებენ და ჭაში რაც წყალია, მთლიანად თავისთვის უნდათ.

შემდეგ დონ ტომაზინომ მაიკლს უთხრა, რომ ორი მწყემსი, ფაბრიციო და კალო, ახალ ადგილას მცველებად გაჰყვებოდნენ. თვითონ კი ახლავე გამოემშვიდობება, რადგან პალერმოში საქმეები აქვს და ხვალ იქ უნდა იყოს. დოქტორ ტაცას არავითარ შემთხვევაში არაფერი უთხრან, რადგან მოხუცი პალერმოში აპირებს ღამის გატარებას და იქ ეს ამბავი შეიძლება წამოაყრანტალოს.

მაიკლმა იცოდა, დონ ტომაზინოს უამრავი პრობლემა ჰქონდა. ვილას გარედან ღამღამობით შეიარაღებული დაცვა პატრულირებდა, ეზოში მუდმივად ლიუპარებიანი რამდენიმე ერთგული მწყემსი იყო, თვითონ დონ ტომაზინო ყოველთვის კარგად შეიარაღებული გახლდათ და მუდმივად პირადი დაცვის თანხლებით დაიარებოდა.

დილის მზე უკვე მაგრად აჭერდა. მაიკლმა სიგარეტი ჩააქრო, სამუშაო შარვალი და პერანგი ჩაიცვა და ქუდიც დაიხურა, რომელსაც სიცილიელ მამაკაცთა უმრავლესობა ატარებდა. ჯერ კიდევ ფეხშიშველი ფანჯარასთან მივიდა, ბაღში გადაიხედა და ფაბრიციო დაინახა, რომელიც სკამზე იჯდა და თმას ზანტად ივარცხნიდა, ლიუპარა მაგიდაზე უდარდელად მიეგდო. მაიკლმა დაუსტვინა და ფაბრიციომ ამოიხედა.

- მანქანა გაამზადე, - უთხრა მაიკლმა, - ხუთ წუთში გავდივართ. კალო სადაა?

ფაბრიციო წამოდგა. პერანგი ჩახსნილი ჰქონდა, მუცელზე სვირინგის ლურჯი და წითელი ზოლები მოუჩანდა.

- კალო ყავას სვამს სამზარეულოში, - თქვა მან, - ცოლიც მოგყვებათ?

მაიკლმა თვალები მოჭუტა. გაახსენდა, რომ, ბოლო დროს, ფაბრიციო აპოლონიას თვალს მეტისმეტად ხშირად აყოლებდა ხოლმე. თუმცა იგი, რაღა თქმა უნდა, დონის მეგობრის ცოლისაკენ ერთი ნაბიჯის გადადგმასაც კი ვერ გაბედავს. სიცილიაში ეს საფლავისკენ მიმავალი ყველაზე მოკლე გზაა.

- არა, - ცივად უთხრა მაიკლმა, - მშობლებთან მიდის, რამდენიმე დღეში შემოგვიერთდება.

მაიკლმა დაინახა, რომ ფაბრიციო სირბილით გაემართა ქვის ფარდულისკენ, რომელსაც „ალფა-რომეოს“ გარაჟად იყენებდნენ.

მაიკლი სააბაზანოსკენ წავიდა, დერეფნის ბოლოში რომ იყო. აპოლონია იქ აღარ დახვდა. ალბათ, სამზარეულოშია და საუზმეს უმზადებს, - უთუოდ უნდა, თავისი „დანაშაული“ რაღაცით მაინც შეამსუბუქოს. აპოლონიას ეჩვენებოდა, მაიკლი უკმაყოფილოა, რომ მან მშობლებისა და ძმების მონახულება გადაწყვიტა. გარკვეული ხნის მერე აპოლონია დონ ტომაზინოს მაიკლის ახალ თავშესაფარში უნდა ჩაეყვანა.

მაგრამ აპოლონია სამზარეულოში არ აღმოჩნდა. ფილომენამ მაიკლს ყავა მიართვა და მორიდებით დაემშვიდობა.

- მამაჩემს თქვენს თავს შევახსენებ, - უთხრა მაიკლმა.

ამ დროს სამზარეულოში კალო შემოვიდა და მოახსენა: - მანქანა მზადაა. ბარგი ჩამოვიტანო?

- მე თვითონ ჩამოვიტან, - მიუგო მაიკლმა, - აპოლონია სადაა?

კალოს გაეღიმა.

- საჭესთან ზის და ერთი სული აქვს, ძრავა ჩართოს. ამერიკაში ჩასვლამდე უკვე ნამდვილი ამერიკელი იქნება.

ქალი საჭესთან, - ასეთი რამ სიცილიელი გლეხისთვის წარმოუდგენელი გახლდათ. მაიკლი აპოლონიას უფლებას აძლევდა, მანქანა ეზოში ეტარებინა, თუმცა ყოველთვის გვერდით ეჯდა ხოლმე, რადგან ზოგჯერ შეცდომით მუხრუჭის მაგივრად ფეხს გაზის პედალს აჭერდა.

- ფაბრიციო მოიყვანე და მანქანაში დამელოდეთ, - უთხრა მაიკლმა და მეორე სართულზე აირბინა. ბარგით სავსე ჩანთა მზად ჰქონდა. მაიკლმა ფანჯარაში გაიხედა და დაინახა, რომ „ალფა-რომეო“ სახლის მთავარ შესასვლელთან დგას და არა სამზარეულოს კართან. აპოლონია მანქანაში იჯდა, ხელები საჭეზე ეწყო, პატარა ბავშვივით ხალისობდა. კალო ამ დროს საგზლით სავსე კალათას უკანა სავარძელზე დებდა. მაიკლმა შენიშნა, რომ ფაბრიციო ეზოდან გარეთ გავიდა და გაბრაზდა. რა ჯანდაბაა, სად მიდის? არა, ამ თავხედ მწყემსს ჭკუა უნდა ასწავლოს. მაიკლი პირველ სართულზე ჩავიდა და გადაწყვიტა, ფილომენას საბოლოოდ დამშვიდობებოდა, სამზარეულოში შესულიყო.

- დოქტორ ტაცას კიდევ სძინავს? - ჰკითხა მან მოხუც ქალს.

ფილომენამ ეშმაკურად ჩაიღიმა.

- ბებერი მამლები მზის ამოსვლას ვეღარა ხვდებიან, - თქვა მან, - გუშინ ღამით პალერმოში წაბრძანდა.

მაიკლს გაეცინა. ბაღში სამზარეულოს კარიდან გავიდა. აყვავებული ლიმონის სურნელება ეცა. იმდენად ძლიერი არომატი იფრქვეოდა, დაზიანებული ცხვირითაც კი გრძნობდა. მაიკლმა დაინახა, რომ აპოლონია ხელს უქნევდა, ანიშნებდა, მანდ დარჩი და მანქანას მე თვითონ მოვიყვან შენამდეო. მანქანის უკან კალო იდგა

ლიუპარით ხელში, იღიმებოდა. ფაბრიციო არსად ჩანდა. მაიკლი უეცრად რაღაცას მიხვდა; ისე, ბოლომდე გაცნობიერებაც კი ვერ მოასწრო, მთელი ძალით იყვირა: - არა, არა!

მაგრამ უკვე გვიან იყო. მაიკლის ხმა საშინელმა აფეთქებამ გადაფარა, - აპოლონიამ მანქანის ძრავა ჩართო. სამზარეულოს კარი ნაფოტებად იქცა, აფეთქების ტალღამ მაიკლი სახლის კედელთან ოცდაათი ფუტით უკან გადაისროლა. სახურავიდან კრამიტი ჩამოცვივდა და მაიკლს თავზე დაეცა. სანამ გონებას დაკარგავდა, შემჩნევა მოასწრო - „ალფა-რომეოსგან“ ბორბლებისა და ფოლადის კარკასის გარდა არაფერი დარჩა.

*

გონზე ჩაბნელებულ ოთახში მოვიდა. საუბრის ხმა შემოესმა, მაგრამ მეტისმეტად ჩუმად ლაპარაკობდნენ და სიტყვები ვერ გაარჩია. თავდაცვის ცხოველურმა ინსტინქტმა აიძულა, თავი ისე დაეჭირა, თითქოს კვლავაც უგონოდ იყო, მაგრამ იგრძნო, ვიღაც მისკენ გადმოიხარა და გაიგონა, ამჯერად სრულიად გარკვევით რომ ჩაილაპარაკა: - როგორც იქნა, დაგვიბრუნდა.

ოთახში შუქი აანთეს. სინათლემ მაიკლს თვალი მოსჭრა, ცეცხლივით დაწვა. თავი განზე მიაბრუნა, სასტიკად მძიმე ჰქონდა, გაბრუებული. მაიკლმა გაარჩია - კაცი, რომელიც მისკენ გადმოიწია, დოქტორი ტაცა გახლდათ.

- ერთი წამით შეგხედავ და მერე ჩავაქრობ, - უთხრა დოქტორმა. ფანქრისსიმსხო ფარანი პირდაპირ თვალებში ჩაანათა.

- მალე კარგად გახდები, - უთხრა დოქტორმა ტაცამ. მერე ვიღაცას მიუბრუნდა და თქვა, - შეგიძლიათ, დაელაპარაკოთ.

ეს დონ ტომაზინო იყო, მაიკლის საწოლის ახლოს სკამზე იჯდა. მაიკლმა ახლა იგი უკვე გარკვევით დაინახა.

- მაიკლ, შეიძლება დაგელაპარაკო? - ჰკითხა დონ ტომაზინომ, - იქნებ დასვენება გინდა?

მაიკლისთვის ხელის აწევა უფრო ადვილი იყო, ვიდრე სიტყვის თქმა, და ასეც მოიქცა. დონ ტომაზინომ განაგრძო: - მანქანა გარაჟიდან ფაბრიციომ გამოიყვანა?

მაიკლმა გაიღიმა ისე, რომ ვერ გააცნობიერა, რას აკეთებდა. ეს უცნაური, გაყინული ღიმილი თანხმობას აღნიშნავდა.

- ფაბრიციო გაქრა, - თქვა დონ ტომაზინომ, - მაიკლ, მისმინე, მთელი ერთი კვირა იყავი უგონოდ. ყველას ჰგონია, დაიღუპე, ასე რომ, ახლა უსაფრთხოდ ხარ, აღარ დაგეძებენ. მამაშენს ყველაფერი შევატყობინე და ინსტრუქციები გამომიგზავნა. მალე ამერიკაში გაემგზავრები. მანამდე კი აქ მშვიდად დაისვენებ. უსაფრთხოდ იქნები აქ, მთაში, ჩემს სახლში. პალერმოელმა ჯეელებმა მშვიდობა შემომთავაზეს, რადგან ჰგონიათ, ცოცხალი აღარა ხარ. თურმე, სინამდვილეში, მე კი არ დამდევდნენ, შენი მოკვლა უნდოდათ. ეს უნდა იცოდე. რაც შეეხება დანარჩენს, ეგ მე მომანდე. მომჯობინდი, ძალები აღიდგინე, მშვიდად იყავი.

მაიკლს ყველაფერი გაახსენდა. მისი ცოლი მოკლულია; კალო მოკლულია. ის კი ვერაფრით აღიდგინა გონებაში, მოხუცი ქალი მასთან ერთად გამოვიდა სამზარეულოდან თუ არა. მაიკლმა ჩურჩულით იკითხა: - ფილომენა?

დონ ტომაზინომ მშვიდად მიუგო: - გადარჩა, მხოლოდ სისხლი წამოუვიდა ცხვირიდან. მაგაზე ნუ ღელავ.

- დონ ტომაზინო, - თქვა მაიკლმა, - გადაეცი აქაურ მწყემსებს, ვინც ფაბრიციოს თავს ჩამაბარებს, სიცილიაში საუკეთესო საძოვრებს მიიღებს.

ოთახში მყოფმა ორივე კაცმა შვებით ამოისუნთქა. დონ ტომაზინო მაგიდაზე ჭიქას დასწვდა და რაღაც მოყვითალო სასმელი გადაკრა. დოქტორი ტაცა საწოლზე ჩამოჯდა და სასხვათაშორისოდ ჩაილაპარაკა: - იცი, ქვრივი კაცი ხარ. სიცილიაში ეს დიდი იშვიათობაა.

თითქოსდა ამას რამენაირად შეეძლო, მაიკლი ენუგეშებინა.

მაიკლმა დონ ტომაზინოს ანიშნა, ახლოს მისულიყო. დონი მაიკლის საწოლზე ჩამოჯდა და მისკენ გადაიხარა.

- გადაეცი მამას, სახლში დამაბრუნოს, - უთხრა მაიკლმა, - გადაეცი, რომ მისი შვილი მინდა ვიყო.

მაგრამ ამის მერე ერთი თვე გავიდა, სანამ მაიკლი ბოლომდე გამომჯობინდა და კიდევ ორი თვე, სანამ ყველა საჭირო საბუთი გაუმზადეს. შემდეგ მაიკლი პალერმოდან თვითმფრინავით რომში გადაფრინდა, იქიდან კი - ნიუ-იორკში.

ნაწილი VII

თავი ოცდამეხუთე

კოლეჯის დამთავრების შემდეგ ქეი ადამსმა მშობლიურ ნიუ-ჰემფშირში საშუალო სკოლის მასწავლებლად დაიწყო მუშაობა. მაიკლის გაუჩინარებიდან პირველი ექვსი თვის განმავლობაში დედამისს ყოველ კვირას ურეკავდა და ეკითხებოდა, რამე ხომ არ გაგიგიათო. მისის კორლეონე ალერსიანად ელაპარაკებოდა, თუმცაღა ყოველ საუბარს ერთი და იმავე ფრაზით ამთავრებდა: „ძალიან, ძალიან კარგი გოგონა ხარ. დაივიწყე მაიკლი და შენი საკადრისი ქმარი იშოვე“. ქეის ეს არ სწყინდა, ესმოდა, მაიკლის დედა ამას მასზე ზრუნვით ამბობდა. როდესაც სკოლაში პირველი სემესტრი დასრულდა, ქეიმ გადაწყვიტა ნიუ-იორკში ჩასულიყო, თავისთვის ახალი ტანსაცმელი ეყიდა, თანაც კოლეჯის მეგობრებიც მოენახულებინა. გარდა ამისა, ფიქრობდა, ნიუ-იორკში უფრო საინტერესო სამუშაოც მოეძებნა. ორი წლის განმავლობაში შინაბერასავით ცხოვრობდა, მხოლოდ წიგნებს კითხულობდა და გაკვეთილებს ატარებდა, ვინმესთან შეხვედრაზე უარს ამბობდა, შინიდან საერთოდ არ გადიოდა. ლონგ-ბიჩშიც აღარ რეკავდა. ქეიმ იცოდა, დიდხანს ასეთ ცხოვრებას ვეღარ გაუძლებდა, - სულ უფრო ადვილად ღიზიანდებოდა, სულ უფრო მეტად გრძნობდა თავს უბედურად, მაგრამ სჯეროდა, მაიკლი, ადრე თუ გვიან, იპოვიდა

საშუალებას, მისთვის წერილი ან თუნდაც მოკლე ბარათი გაეგზავნა. ის, რომ მაიკლი ამას არ აკეთებდა, ანუ არ ენდობოდა, მასზე სასტიკად დამამცირებლად მოქმედებდა.

ნიუ-იორკში მიმავალ პირველივე მატარებელს გაჰყვა და შუადღისას უკვე სასტუმროში იყო. მისი დაქალები ამ დროს სამსახურებში იყვნენ და მათი შეწუხება არ უნდოდა, საღამოს აპირებდა მათთან სტუმრად მისვლას. მაღაზიებში გავლაც ჯერ არ სურდა - მგზავრობამ დაღალა. ოტელის ნომერში ყოფნისას ქეის გაახსენდა მაიკლთან ერთად ასეთივე სასტუმროებში გატარებული დრო და მარტოობის მტანჯველი შეგრძნება დაეუფლა... სწორედ ამის გამო მოუვიდა თავში აზრად ლონგ-ბიჩში მაიკლის დედასთან დაერეკა.

ვიღაც კაცმა უპასუხა, რომელსაც უხეში ხმა და ნიუ-იორკული აქცენტი ჰქონდა. ქეიმ მისის კორლეონე იკითხა. ერთი-ორი წუთის შემდეგ ქეიმ მაიკლის დედის ხმა გაიგონა. ქეიმ მოულოდნელი მღელვარება იგრძნო.

- ქეი ადამსი ვარ, მისის კორლეონე, - თქვა მან, - გახსოვართ?

- რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა, მახსოვხარ, - მიუგო მისის კორლეონემ, - რატომ აღარ გვირეკავ? ხომ არ გათხოვდი?

- ო, არა, - თქვა ქეიმ, - დაკავებული ვიყავი.

ქეის ძალიან გაუკვირდა, - მისის კორლეონე აშკარად უკმაყოფილო ჩანდა იმით, რომ მათთან რეკვა შეწყვიტა. ქეიმ განაგრძო: - მაიკლზე რამე ხომ არ გაგიგიათ? როგორაა?

ხანმოკლე პაუზის შემდეგ მისის კორლეონე მტკიცე ხმით ალაპარაკდა: - მაიკლი სახლშია. შენთან არ დაურეკავს? არ უნახავხარ?

ქეიმ უეცარი შოკისგან საშინელი სისუსტე იგრძნო, თანაც ძალიან მოუნდა ტირილი. გაბზარული ხმით იკითხა: - რამდენი ხანია, რაც სახლშია?

- ექვსი თვეა, - უპასუხა მისის კორლეონემ.

- ოო, მესმის, - თქვა ქეიმ. და მართლაც ესმოდა. სასტიკად შერცხვა, რომ მაიკლის დედამ გაიგო, როგორ მოექცა მისი ვაჟი, მაგრამ მერე გაბრაზდა, - მაიკლზეც, დედამისზეც, ყველა უცხოელზეც, იტალიელებზეც, რომლებსაც ელემენტარული ადამიანობაც კი არ ჰყოფნით, რომ მეგობრულ გრძნობებს მაინც გაუწიონ ანგარიში, როცა სასიყვარულო ურთიერთობა დასრულებულია. ნუთუ მაიკლმა არ იცის, რომ ღელავს მასზე, როგორც მეგობარი, მიუხედავად იმისა, რომ მისთვის ცხადია, აღარ სურს მასთან სასიყვარულო ურთიერთობა, არც ცოლად შერთვას უპირებს. ნუთუ მაიკლს ჰგონია, რომ იმ საწყალ გაბრიყვებულ იტალიელ გოგოებსა ჰგავს, რომლებიც თვითმკვლელობით ამთავრებენ სიცოცხლეს ანდა ისტერიულ სცენებს უწყობენ კაცებს, რომლებმაც ხელი ჰკრეს და მიატოვეს?

ქეი შეეცადა, რაც შეეძლო მშვიდად ელაპარაკა.

- მესმის, დიდი მადლობა, - თქვა მან, - მიხარია, რომ მაიკლი სახლშია და ყველაფერი კარგად აქვს. სწორედ ამის გაგება მინდოდა. მეტად აღარ დაგირეკავთ.

მისის კორლეონე ისეთი მოუთმენლობით ალაპარაკდა, თითქოს ქეის აქამდე არც კი უსმენდა.

- მაიკლის ნახვა თუ გინდა, ახლავე მოდი. სიურპრიზი გაუკეთე. აიყვანე ტაქსი და როცა აქ მოხვალ, ფულს ჩვენ გადავუხდით. უთხარი ტაქსის მძღოლს, რომ ორმაგად გადაუხდი, რასაც მრიცხველი დაწერს. თუ ამას არ ეტყვი, ლონგ-ბიჩში არ წამოგიყვანს. ოღონდ შენ არ გადაუხადო. ჩემი ქმრის კაცი, კარში რომ დგას, ის მისცემს ფულს.

- ამას ვერ გავაკეთებ, მისის კორლეონე, - ცივად უთხრა ქეიმ, - მაიკლს ჩემი ნახვა რომ ნდომოდა, აქამდე დამირეკავდა. აშკარაა, ჩვენი ურთიერთობის განახლება არ სურს.

ყურმილში მისის კორლეონეს ხმა გაისმა.

- შენ ძალიან კარგი გოგო ხარ, ფეხები ლამაზი გაქვს, მაგრამ ჭკუა საკმარისი არ გქონია, - ჩაიცინა მან, - ჩემთან მოდი, მაიკლთან კი არა. მე მინდა დაგელაპარაკო. ახლავე წამოდი. გელოდები.

ქეიმ ყურმილის დაკიდების ხმა გაიგონა. მისის კორლეონემ საუბარი გაწყვიტა.

ქეის შეეძლო, კიდევ ერთხელ დაერეკა მისთვის და ეთქვა, რომ ვერ მივიდოდა, მაგრამ მაიკლის ნახვა და მასთან ლაპარაკი უნდოდა, თუნდაც ეს საუბარი მაინცდამაინც თავაზიანი არ გამომდგარიყო. თუკი მაიკლი შინაა, ეს ნიშნავს, რომ საფრთხე აღარ ემუქრება, ნორმალურად ცხოვრების საშუალება აქვს. ქეი საწოლიდან წამოხტა და მომზადება დაიწყო. თავის გარეგნობასა და ტანსაცმელს დიდი დრო დაუთმო. ნომრიდან გამოსვლამდე სარკეში თავისი თავი კიდევ ერთხელ შეათვალიერა. როდესაც მაიკლმა ბოლოს ნახა, უკეთესად გამოიყურებოდა თუ არა? ხომ არ ჩათვლის, რომ ძალიან დაბერდა? იქნებ მომხიბლაობა დაეკარგა? ახლა სხეული აშკარად უფრო ქალური აქვს, თეძო-მკერდი შეევსო. იტალიელებს კი, როგორც ამბობენ, ასეთი ქალები უფრო მოსწონთ, თუმცა მაიკლი ყოველთვის ამბობდა, რომ მისი სიგამხდრე ხიბლავს, მაგრამ ამას არავითარი მნიშვნელობა აღარ აქვს. მაიკლს მასთან საერთოდაც არ სურს ურთიერთობა, ასე რომ არ იყოს, ერთხელ მაინც დაურეკავდა ამ ექვსი თვის განმავლობაში.

ტაქსის მძღოლი ლონგ-ბიჩში მის წაყვანაზე უარს ამბობდა, სანამ ტკბილად არ გაუღიმა და არ დაჰპირდა, რომ ორმაგად გადაუხდიდა, რასაც მრიცხველი დაწერდა. მგზავრობამ მთელ საათს გასტანა. ლონგ-ბიჩის ხეივანი ძლიერ შეცვლილიყო იმ დროიდან, როცა ქეიმ ბოლოს ნახა. გარშემო რკინის მესერი ჰქონდა შემოვლებული, შესასვლელს რკინის დიდი ჭიშკარი კეტავდა. ჭიშკართან იდგა კაცი, რომელსაც ფართო, თეთრი შარვალი და თეთრი პიჯაკი ეცვა, ქვეშ - წითელი პერანგი. კაცმა მანქანაში თავი შემოყო, მრიცხველი რომ ენახა და მძღოლს რამდენიმე მწვანე კუპიურა ჩაუთვალა. როდესაც ქეიმ დაინახა, რომ მძღოლი კმაყოფილია და არ აპროტესტებს, მანქანიდან გადმოვიდა, ხეივანს ცენტრალური შენობისაკენ გაუყვა.

კარი თვით მისის კორლეონემ გაუღო და ისე მხურვალედ შეეგება, ისე აღელვებით გადაეხვია, რომ ქეი გაოცდა. შემდეგ ქალბატონმა კორლეონემ შემფასებლურად აათვალიერ-ჩაათვალიერა.

- მშვენიერი გოგო ხარ, - თქვა მან გადაჭრით, - მე კიდევ სულელი შვილები მყავს.

მისის კორლეონემ ქეი სამზარეულოსკენ წაიყვანა. სუფრა გაწყობილი დახვდა, ქურაზე ყავადანი დუღდებოდა.

- მაიკლი მალე მოვა, - თქვა მისის კორლეონემ, - სიურპრიზს გაუკეთებ.

მაგიდას მიუსხდნენ. მოხუცმა ქალმა ქეი აიძულა, ეჭამა, თან კითხვებს დაინტერესებით უსვამდა. აშკარად ესიამოვნა, როცა გაიგო, რომ ქეი მასწავლებელია საშუალო სკოლაში, რომ ახლა ნიუ-იორკში ძველი მეგობრების სანახავად ჩამოვიდა, რომ მხოლოდ ოცდაოთხი წლისაა. ამ ყველაფრის გაგონებისას იგი თავს უკრავდა, თითქოსდა გონებაში რაღაც წინასწარი ჩამონათვალი ჰქონდა და ყველა დამთხვევას კმაყოფილებით აღნუსხავდა. ქეი იმდენად ღელავდა, რომ მხოლოდ მისის კორლეონეს კითხვებზე პასუხობდა, სხვა არაფერი უთქვამს.

მაიკლი ფანჯარაში პირველმა ქეიმ დაინახა. მანქანა გაჩერდა, იქიდან ორი კაცი გადმოვიდა, მერე კი - მაიკლი. გადმოსულთაგან ერთ-ერთს ელაპარაკებოდა. მაიკლი პროფილით იდგა, ქეი მხოლოდ სახის მარცხენა მხარეს ხედავდა. ისე ჰქონდა დაზიანებული, დაჭეჭყილი, თითქოსდა პლასტმასის სათამაშოსი იყო, რომელსაც ჭირვეულმა ბავშვმა წიხლი ჩააზილა. უცნაურია, მაგრამ მაიკლს ქეის თვალში ამის გამო მომხიბლაობა არ დაჰკარგვია, თუმცა კი ქეიმ ეს იმდენად განიცადა, რომ კინაღამ ცრემლები წამოუვიდა. ქეიმ ისიც შენიშნა, რომ მაიკლმა თოვლივით ქათქათა ცხვირსახოცი ცხვირთან მიიტანა და ერთი წამით გააჩერა, სანამ შინ შემოვიდოდა.

ქეის კარის გაღებისა და დერეფანში ნაბიჯების ხმა მოესმა. მაიკლი სამზარეულოს ზღურბლზე გამოჩნდა, ქეისა და დედამისს თავზე წამოადგა. თავიდან მისი სახე არაფერს გამოხატავდა, შემდეგ კი ისე გულიანად გაიღიმა, რომ ქეი, რომელიც აპირებდა, რაც შეეძლო ცივად ეთქვა, ,,ჰელოუ, როგორ ხარ", თავისდა უნებურად წამოხტა და გადაეხვია. მაიკლმა დანამულ ლოყაზე აკოცა და ჩახუტებული ჰყავდა, სანამ ტირილს არ მორჩა, მერე კი სახლიდან გამოიყვანა და მანქანაში ჩასვა, რომელიც ისევ შესასვლელთან იდგა. ქეი თავის მოწესრიგებას შეუდგა, რაც მაკიაჟისგან შერჩა, ცხვირსახოცით მოიშორა.

- ამას არ ვაპირებდი, - თქვა ქეიმ, - უბრალოდ, არ ვიცოდი, რომ ასე მძიმედ დაგაშავეს.

მაიკლმა გაიცინა და ხელი სახეზე შეივლო.

- ამას გულისხმობ? ეს არაფერია. უბრალოდ, პატარა პრობლემა დამიტოვა. ახლა, როცა აქა ვარ, ალბათ, ამასაც მივხედავ... იცი, მე შენ ვერ დაგირეკავდი და ვერც ვერაფერი, - თქვა მაიკლმა, - პირველ რიგში, ამას უნდა მიხვდე.

- ო,კეი, - მიუგო ქეიმ.

- ქალაქში ბინა მაქვს, - გააგრძელა მაიკლმა, - გინდა იქ წავიდეთ, თუ გირჩევნია, რესტორანში ვისადილოთ?

- არ მშია, - თქვა ქეიმ.

ერთხანს ჩუმად იყვნენ. მანქანას გეზი ნიუ-იორკისკენ ეჭირა.

- აიღე დიპლომი? - ჰკითხა მაიკლმა.

- ავიღე, - უპასუხა ქეიმ, - სკოლაში მასწავლებლად ვმუშაობ, ჩემს მშობლიურ ქალაქში... ნამდვილი მკვლელი იპოვეს, ვინც ის პოლიციელი მოკლა და ამიტომაც მოახერხე დაბრუნება?

მაიკლმა მხოლოდ პაუზის შემდეგ უპასუხა.

- კი, ასეა, - თქვა მან, - ეს ნიუ-იორკის ყველა გაზეთში ეწერა, ნუთუ არ წაგიკითხავს?

ქეიმ გაიცინა. მის სიცილში შვება იგრძნობოდა, მაიკლი მკვლელი რომ არ აღმოჩნდა.

- ჩვენს ქალაქში მხოლოდ ,,ნიუ-იორკ ტაიმსს" ვიღებთ, - თქვა მან, - ეგ ცნობა, ალბათ, სადღაც ბოლოში, ოთხმოცდამეცხრამეტე გვერდზე ეწერა. წაკითხული რომ მქონოდა, დედაშენს აქამდე დავურეკავდი.

ქეი წამით გაჩუმდა. ხანმოკლე პაუზის შემდეგ გააგრძელა: - რა სასაცილოა, დედაშენი ისე ლაპარაკობდა, თითქმის დავიჯერე, რომ მართლა შენი გაკეთებული იყო. სანამ მოხვიდოდი, ყავას ვსვამდით და მიყვებოდა, იმ არანორმალურმა როგორ აღიარა ყველაფერი.

მაიკლმა თქვა: - შესაძლოა, თავიდან დედაჩემს ამის კიდეც სჯეროდა.

- დედაშენს?! - გაოცება ვერ დაფარა ქეიმ.

მაიკლს გაეღიმა.

- დედები პოლიციელებივით არიან. ყველაზე ცუდს ფიქრობენ.

მაიკლმა მანქანა მალბერი სტრიტზე გააჩერა, გარაჟში დააყენა. გარაჟის მეპატრონე მისი ნაცნობი იყო. შემდეგ ქეი კუთხის სახლისკენ წაიყვანა. სახლი საკმაოდ შელახული იყო. მაიკლმა კარი გასაღებით გააღო და ქეიმ ისეთი კომფორტული და ძვირად ღირებული ავეჯით გაწყობილი ინტერიერი დაინახა, რომელსაც მილიონერიც კი არ დაიწუნებდა. მეორე სართულზე ავიდნენ, სადაც უზარმაზარი სასადილო ოთახი, საძინებელი და სამზარეულო იყო. სასადილო ოთახის ერთ კუთხეში ბარი იდგა. მაიკლმა სასმელი გაამზადა. სავარძელზე დასხდნენ ჭიქებით ხელში და მაიკლმა ჩუმად თქვა: - შეგვიძლია, საძინებელში შევიდეთ.

ქეიმ ჭიქიდან მოსვა, გაუღიმა და უთხრა: - კარგი.

ლოგინში ჩაწვნენ. ქეისთვის ყველაფერი ისევ ძველებურად იყო, ერთის გარდა, - სიყვარულის პროცესში მაიკლი უფრო უხეში, უფრო პირდაპირი, ნაკლებად ალერსიანი აღმოჩნდა, ვიდრე ორი წლის წინ, მაგრამ ქეი შეეცადა, ამისთვის ყურადღება არ მიექცია. ეს გადაუვლის, - დაასკვნა მან, თანაც გაიფიქრა, - ,,სასაცილოა, მაგრამ მამაკაცები ასეთ სიტუაციაში უფრო მგრძნობიარენი არიან". ორი წლის ინტერვალის შემდეგ მაიკლთან სასიყვარულო ურთიერთობა ცხოვრებაში ყველაზე უფრო ბუნებრივ რამედ მოეჩვენა. თითქოს მაიკლი საერთოდაც არსად წასულიყოს.

- შეგეძლო, ჩემთვის მოგეწერა, ცოტა მეტი ნდობა გამოგეჩინა, - უთხრა მაიკლს და ჩაეხუტა, - ნიუ-ინგლანდის ომერტას კანონს დავიცავდი. იანკისაც შეუძლია საიდუმლოების შენახვა.

მაიკლმა სიბნელეში თითქმის უხმოდ გაიცინა.

- არასოდეს მიფიქრია შენთვის მომეწერა, - თქვა მან, - არ მეგონა, თუკი ამ ყველაფრის მერე მაინც დამელოდებოდი.

ქეიმ უმალ მიუგო: - არასოდეს მჯეროდა, რომ ის ორი კაცი შენი მოკლულია. გარდა იმ ერთი მომენტისა, როცა მომეჩვენა, რომ ამის თვითონ დედაშენს სჯეროდა, მაგრამ გულის სიღრმეში არასოდეს მჯეროდა. მე შენ ძალიან კარგად გიცნობ.

ქეიმ გაიგონა, როგორ ამოიოხრა მაიკლმა.

- არა აქვს მნიშვნელობა, მოვკალი თუ არა, - თქვა მან, - შენ ეს უნდა გაიგო.

მაიკლის სუსხიანმა ნათქვამმა ქეიზე გამაოგნებლად იმოქმედა.

- მაშინ ახლა მითხარი, გააკეთე თუ არა, - თქვა მან.

მაიკლი ლოგინში წამოჯდა, ბალიშს დაეყრდნო, ნაფაზი დაარტყა. სიგარეტი გაღვივდა, იქაურობა წამით განათდა.

- რომ გთხოვო, ცოლად გამომყევი-მეთქი, ამ კითხვაზე პასუხის გაცემა მაინც მომიწევს თუ არა? - ჰკითხა მაიკლმა თავის მხრივ.

ქეიმ მიუგო: - სულერთია, მე შენ მიყვარხარ და ჩემთვის მნიშვნელობა არაფერს აქვს, მაგრამ შენც რომ გყვარებოდი, აღარ შეგეშინდებოდა ჩემთვის სიმართლის თქმის. აღარ შეგეშინდებოდა, რომ შეიძლება პოლიციას გადავცე ყველაფერი. ასე არ არის? და რა გამოდის, შენ მართლა განგსტერი ხარ? მაგრამ ჩემთვის ამასაც კი არა აქვს მნიშვნელობა. ჩემთვის მთავარი ისაა, რომ შენ არ გიყვარვარ და ექვსი თვის განმავლობაში ერთხელაც არ დამირეკე.

მაიკლმა სიგარეტი კიდევ ერთხელ მოქაჩა. გავარვარებული ფერფლი ქეის შიშველ ზურზე დაეცა. ქეი შეკრთა და ხუმრობით ჩაილაპარაკა: - არ გინდა ჩემი წამება, მაინც არავის არაფერს ვეტყვი.

მაიკლს არ გაუცინია. ისეთი ხმა ჰქონდა, თითქოს სხვა რაღაცაზე ფიქრობსო.

- იცი, როდესაც შინ დავბრუნდი და მამაჩემს, დედაჩემს, კონისა და ტომს შევხვდი, ბედნიერების განცდა არ მქონია. საკმაოდ სასიამოვნო შეგრძნება იყო, მეტი არაფერი. მაგრამ, აი, დღეს, როცა სამზარეულოში დაგინახე, თავი ბედნიერად ვიგრძენი. ამას გულისხმობ, როცა სიყვარულზე ლაპარაკობ?

- ეს ჩემთვის სავსებით საკმარისია, - თქვა ქეიმ.

ისევ ჩაეხვივნენ ერთმანეთს, კიდევ ისიყვარულეს. ამჯერად მაიკლი უფრო ალერსიანი იყო. რაღაც ხნის შემდეგ მაიკლი წამოდგა, ბართან მივიდა, ორი ჭიქა სასმელი გაამზადა, მოიტანა და საწოლის წინ სავარძელზე ჩამოჯდა.

- მოდი, სერიოზულად ვილაპარაკოთ, - თქვა მან, - გამომყვები ცოლად?

ქეიმ გაუღიმა და ანიშნა, ლოგინში შემოწექიო. მაიკლმაც გაუღიმა საპასუხოდ.

- ცოტა უფრო სერიოზულად, რა, - უთხრა ქეის, - მე ვერ გეტყვი ყველაფერს, რაც მოხდა. ახლა მამაჩემზე ვმუშაობ. ვემზადები იმისთვის, რომ ჩვენი ოჯახის ზეთისხილის ბიზნესი გადმოვიბარო, მაგრამ შენ, ალბათ, მოგეხსენება, ჩემს ოჯახს მტრები ჰყავს, მამაჩემს ჰყავს მტრები. არის შანსი, რომ ახალგაზრდა ქვრივი გახდე, მცირედი შანსი, მაგრამ ის მაინც არსებობს. და მე ვერასოდეს მოგიყვები, ჩვენს ოფისში ყოველდღე რა ხდება. ჩემი ბიზნესის შესახებ ვერაფერს გეტყვი. შენ იქნები ჩემი ცოლი, მაგრამ არ იქნები ჩემი პარტნიორი ცხოვრებაში. ამ გაგებით, თანასწორი პარტნიორი. ეს, უბრალოდ, შეუძლებელია.

ქეი ლოგინში წამოიწია, წამოჯდა, საწოლის გვერდით, ტუალეტის მაგიდაზე, ლამპა აანთო და სიგარეტს მოუკიდა. მერე ბალიშს დაეყრდნო და თქვა: - შენ მეუბნები, რომ განგსტერი ხარ, ასე არ არის? შენ მეუბნები, რომ პასუხისმგებელი იქნები ადამიანთა მკვლელობაზე და მსგავს დანაშაულზე, არა? და რომ ამაზე არათუ კითხვის დასმა, ფიქრიც კი მეკრძალება. როგორც საშინელებათა ფილმში, სადაც მონსტრი მშვენიერ ქალიშვილს სთხოვს, ცოლად გამომყევიო.

მაიკლმა გაიღიმა და ქეისკენ სახის დაზიანებული მხარე მიაბრუნა. ქეი კვლავ ალაპარაკდა, ამჯერად თითქოსდა თავის მართლებით: - ო, მაიკლ, ასეთ სისულელეს აღარ ვიტყვი, გეფიცები, აღარასოდეს.

- ვიცი, - თქვა მაიკლმა, - ახლა მე ეს უკვე მომწონს კიდეც. ერთადერთი, კარგი იქნებოდა, ცხვირიდან რომ არ ჩამომდიოდეს.

- შენ მითხარი, უფრო სერიოზული იყავიო, - განაგრძო ქეიმ, - თუკი დავქორწინდებით, რა ცხოვრება მექნება? დედაშენივით, იტალიელი ქალივით მხოლოდ დიასახლისობა და ბავშვების მოვლა? და უცებ რამე რომ მოხდეს? ერთ მშვენიერ დღეს ციხეში რომ აღმოჩნდე?

- არა, ეგ არ მოხდება, - თქვა მაიკლმა, - მოკვლით შეიძლება მომკლან, მაგრამ ციხე - არა.

ქეის მის ასეთ თავდაჯერებულობაზე გაეცინა. ამ სიცილში სიამაყეც იყო და ერთგვარი გაოცებაც.

- რატომ ხარ ასე დარწმუნებული? - ჰკითხა ქეიმ, - არა, მართლა.

მაიკლმა ამოიოხრა.

- ეს არის ის, რაზედაც ვერაფერს მოგიყვები. ამაზე ლაპარაკი საერთოდ არ მინდა.

ქეი დადუმდა. დიდხანს არ ამოუღია ხმა. ბოლოს იკითხა: - და რატომ მოგინდა ჩემი ცოლად შერთვა, თუკი ერთხელაც არ დამირეკე ამ ექვსი თვის განმავლობაში? ლოგინში ვარ ასეთი კარგი?

მაიკლმა სერიოზულად დაუქნია თავი.

- დიახ, - თქვა მან, - თუმცა მე ამას ისედაც ნისიად ვიღებ. მაშ, მაინც რატომ მინდა შენი ცოლად შერთვა?.. მისმინე, მე ამწამს შენგან პასუხს არ ვითხოვ, გამომყვები თუ არა ცოლად. შეხვედრები გავაგრძელოთ. შეგიძლია, მამაშენს დაელაპარაკო. ვიცი, რომ მაგარი კაცია, თავისებურად. მოუსმინე, რას გეტყვის.

- შენ მაინც არ მიპასუხე, რატომ გინდა ჩემი ცოლად შერთვა? - ჯიუტად გაიმეორა ქეიმ.

მაიკლმა ტუალეტის მაგიდის უჯრა გამოაღო, თეთრი ცხვირსახოცი ამოიღო და ცხვირი მოიხოცა.

- ეს არის ყველაზე კარგი საბაბი შენთვის, უარი რომ მითხრა, - თქვა მან, - აბა, როგორ გექნება ურთიერთობა კაცთან, რომელიც წამდაუწუმ ცხვირს იხოცავს?

- გეყოფა, - მოუთმენლად თქვა ქეიმ, - ცოტა უფრო სერიოზულად, რა. მე კითხვა დაგისვი.

მაიკლს ხელში ცხვირსახოცი ეჭირა.

- ო,კეი, - თქვა მან, - მხოლოდ ამ ერთხელ გეტყვი. შენ ერთადერთი ადამიანი ხარ ამქვეყნად, ვინც მაღელვებს. არ გირეკავდი, რადგან მეგონა, იმ ყველაფრის მერე, რაც მოხდა, ჩემ მიმართ ინტერესს დაკარგავდი. რაღა თქმა უნდა, შემეძლო შენი დევნა და ძალით შენი მოპოვება, მაგრამ ამის გაკეთება არ მინდოდა. ახლა რაღაცას გაგანდობ, რაც არავის უნდა უთხრა, მამაშენსაც კი. თუკი ყველაფერი კარგად წავა, ხუთ წელიწადში კორლეონეს ოჯახის ბიზნესი მთლიანად ლეგალური გახდება. ამის მისაღწევად რამდენიმე რთული ოპერაცია უნდა ჩავატაროთ. ასე რომ, შენ შეიძლება, მდიდარი ქვრივი აღმოჩნდე, მაგრამ მაინც რატომ მინდა ცოლად შეგირთო? იმიტომ, რომ მინდიხარ და მინდა ოჯახი მქონდეს. მინდა ბავშვები მყავდეს; უკვე დროა. თუმცა არ მინდა, ჩემს შვილებზე ისეთივე გავლენა მოვახდინო, როგორიც მამაჩემმა - ჩემზე. თუმცა ეს მას შეგნებულად არც გაუკეთებია. არ სურდა, ოჯახურ ბიზნესში რომ შევსულიყავი. უნდოდა, პროფესორი ან ექიმი გამოვსულიყავი, ან რაღაც ამდაგვარი, მაგრამ საქმე ცუდად წავიდა და იძულებული გავხდი, ოჯახის მხარეზე მეომა. იმიტომ ვიომე, რომ მიყვარს მამაჩემი, ვაღმერთებ. არასოდეს შემხვედრია ადამიანი, რომელიც მეტად იმსახურებს პატივისცემას. ის იყო საუკეთესო ქმარი, საუკეთესო მამა და საუკეთესო მეგობარი ადამიანებისა, ვისაც ცხოვრებაში არ გაუმართლა. არსებობს კიდევ მეორე მხარეც, მაგრამ ეს ჩემთვის, როგორც შვილისთვის, სულერთია... თუმც კი არ მინდა, ჩემს შვილებსაც იგივე მოუვიდეთ. მინდა, შენი გავლენის ქვეშ იყვნენ. მინდა, ისე გაიზარდონ, როგორც ჩვეულებრივი ამერიკელი ბავშვები, და ნამდვილი ამერიკელები გახდნენ. მერე ისინი ან მათი შვილები, შესაძლოა, პოლიტიკოსებიც კი გამოვიდნენ.

მაიკლმა გაიღიმა და განაგრძო: - იქნებ ერთ-ერთი მათგანი ამერიკის პრეზიდენტიც კი გახდეს. რატომაც არა? გახსოვს, დარტმუთის კოლეჯში ისტორიას ვსწავლობდით და მშვენივრად ვიცით, ზოგიერთი ჩვენი პრეზიდენტის მამასა თუ ბაბუას ბედმა ძალზე გაუღიმა, სახრჩობელაზე რომ არ დაასრულეს ცხოვრება, მაგრამ მე სრულიად დამაკმაყოფილებს, თუკი ჩემი შვილები ექიმები, მუსიკოსები ან მასწავლებლები იქნებიან. ოჯახის ბიზნესში არასოდეს შევლენ. სანამ გაიზრდებიან, მე უკვე პენსიონერი ვიქნები. მე და შენ რომელიმე არისტოკრატიული კლუბის წევრები ვიქნებით. ვიცხოვრებთ კანონმორჩილი ამერიკელების უპრეტენზიო ცხოვრებით. რას იტყვი ჩემს წინადადებაზე?

- მშვენიერია, - თქვა ქეიმ, - მაგრამ შენ ქვრივად ქცევის საკითხი გამოტოვე.

- ამის შესაძლებლობა ძალზე მცირეა. ეგ იმიტომ ვახსენე, რომ შენთვის რაც შეიძლება სრული წარმოდგენა შემექმნა, - უთხრა მაიკლმა და ცხვირი მოიხოცა.

- არა, არ შემიძლია დავიჯერო, რომ ასეთი კაცი ხარ, - თქვა ქეიმ. სახეზე ეტყობოდა, მაიკლის ნათქვამით შოკირებული იყო. შემდეგ გააგრძელა, - არა, უბრალოდ, არ მესმის, საერთოდ ეს როგორაა შესაძლებელი?

- მეტს აღარაფერს აგიხსნი, საკმარისია, - რბილად უთხრა მაიკლმა, - იცი, ამ ყველაფერზე საერთოდ არ უნდა იფიქრო. შენ ეს სინამდვილეში არ გეხება. ჩვენს ერთობლივ ცხოვრებას ეს არ შეეხება, თუკი მართლა დავქორწინდებით.

ქეიმ უარის ნიშნად თავი გააქნია.

- როგორ მეუბნები, რომ ჩემი ცოლად შერთვა გინდა, როგორ მიმანიშნებ, თითქოს გიყვარვარ, როცა ეს ჩემთვის ერთხელაც არ გითქვამს? ახლა მეუბნები, მამაჩემი მიყვარსო, მაგრამ არასოდეს გითქვამს, რომ მე გიყვარვარ. თუკი იმდენად არ მენდობი, რომ იმას არ მიყვები, რაც შენს ცხოვრებაში ყველაზე მთავარია? აბა, რად გინდა ცოლი, რომელსაც არ ენდობი? დედაშენი ენდობა მამაშენს. მე ეს ნამდვილად ვიცი.

- მართალია, - თქვა მაიკლმა, - მაგრამ ეგ არ ნიშნავს, რომ ყველაფერს უყვება. და მას საკმარისი საფუძველი აქვს იმისთვის, რომ ენდობოდეს. საქმე მხოლოდ ის კი არ არის, რომ დაქორწინდნენ და მისი ცოლი გახდა. ოთხი შვილი გაუჩინა იმ დროს, როდესაც ეს უსაფრთხო სრულიადაც არ იყო. როცა ესროლეს, უვლიდა და იცავდა. დედას სჯერა მისი. ორმოცი წლის განმავლობაში მისი ყურადღებისა და ზრუნვის ცენტრშია. თუკი შენც ასეთი იქნები, შეიძლება, რაღაც-რაღაცები მოგიყვე, რისი მოსმენა არც მოგინდება.

- ხეივანში უნდა ვიცხოვროთ? - იკითხა ქეიმ.

მაიკლმა თავი დაუქნია.

- საკუთარი სახლი გვექნება. იქ არც ისე ცუდია. ჩემი მშობლები შვილების ცხოვრებაში არ ერევიან. ყველაფერი ჩვენი გადასაწყვეტი იქნება, მაგრამ სანამ სიტუაცია არ მოწესრიგდება, ხეივანში უნდა ვიცხოვროთ.

- რადგან შენთვის ხეივნის გარეთ ცხოვრება სახიფათოა? - იკითხა ქეიმ.

პირველად, მთელი იმ ხნის განმავლობაში, რაც იცნობდა, ქეიმ დაინახა, რომ მაიკლი მართლა გაბრაზდა. ეს იყო ყინულივით ცივი რისხვა, რომელიც მაიკლს არც რაიმე მოძრაობით გამოუხატავს და არც ხმა შეუცვლია, მაგრამ ახლა ისეთ მომაკვდინებელ სიცივეს ასხივებდა, რომ ქეის გაუელვა, - მაიკლზე გათხოვებას თუკი გადაიფიქრებდა, სწორედ ამის გამო.

- მთელი უბედურება იმ სიბინძურეშია, ფილმებსა და გაზეთებში რომ პოულობ, - თქვა მაიკლმა, - არასწორი წარმოდგენა გაქვს მამაჩემსა და კორლეონეს ოჯახზე. ახლა უკანასკნელად აგიხსნი რაღაცას და ეს მართლა ბოლო იქნება. მამაჩემი ბიზნესმენია, რომელიც ზრუნავს თავის ცოლ-შვილსა და მეგობრებზე, რომლებიც, შესაძლოა, მერე გასაჭირში გამოადგნენ. იგი არ იღებს ამ საზოგადოების წესებს; რომ მიეღო, ისეთი ცხოვრებით უნდა ეცხოვრა, რომელიც მისთვის, მისი განსაკუთრებული ძალისა და

ხასიათის გამო, სრულიად შეუფერებელი იქნებოდა. უნდა გაიგო, რომ მას თავი არაფრით ნაკლები არ ჰგონია პრეზიდენტებზე, პრემიერ-მინისტრებზე, უმაღლესი სასამართლოს მოსამართლეებსა თუ გუბერნატორებზე. ის უარს ამბობს იცხოვროს სხვების მიერ დადგენილი წესებით, თუმცა მისი საბოლოო მიზანია, დაიკავოს ადგილი სწორედ ამ საზოგადოებაში, რომელიც თავის წევრებს არ იცავს, თუკი საკუთარი პიროვნული ძალა არ გააჩნიათ. ამავე დროს, ცხოვრობს ეთიკური ნორმებით, რომლებიც, მისი აზრით, გაცილებით სრულყოფილია, ვიდრე საზოგადოებაში მიღებული.

ქეიმ მაიკლს აშკარა ეჭვით შეხედა.

- მაგრამ ეს ხომ სასაცილოა, - თქვა მან, - რა გამოვა, ყველამ ასე რომ იფიქროს? საზოგადოება საერთოდ როგორღა იარსებებს? ქვის ხანაში დავბრუნდებით. მაიკლ, შენ არ შეიძლება, გჯეროდეს იმისა, რასაც ამბობ, ასე არაა?

მაიკლმა გაიღიმა.

- მე გეუბნები იმას, რისიც მამაჩემს სჯერა. როგორიც უნდა იყოს, უპასუხისმგებლო ადამიანი არ გახლავს, ყოველ შემთხვევაში, იმ საზოგადოებაში, რომელიც თვითონ შექმნა. ავტომატით შეიარაღებული განგსტერი არაა, შენ რომ წარმოგიდგენია.

- და შენ რისი გჯერა? - ჩუმად იკითხა ქეიმ.

მაიკლმა მხრები აიჩეჩა.

- მჯერა ჩემი ოჯახის, - თქვა მან, - მჯერა შენი და იმ ოჯახისა, რომელიც შეიძლება გვქონდეს. არ მჯერა, რომ ეს საზოგადოება დამიცავს და არ ვაპირებ ჩემი ბედ-იღბალი ჩავაბარო ადამიანებს, რომელთა ერთადერთი ღირსება ის არის, რომ შეუძლიათ ერთი უბნის მცხოვრებნი აიძულონ, არჩევნებზე ხმა მისცენ. თუმცა ახლა ბევრი რამ შეიცვალა. მამაჩემმა დიდი საქმეები გააკეთა, მაგრამ მსგავსი საქმეების დრო წავიდა, ახლა ეს ძალიან დიდ რისკთან იქნებოდა დაკავშირებული. გვინდა თუ არა, კორლეონეს ოჯახი ამ საზოგადოებას უნდა შეუერთდეს. ოღონდ იმ მომენტში, როცა ამას გავაკეთებთ, ჩვენ რაც შეიძლება დიდი ძალა უნდა გვქონდეს, - ფული და სხვა საშუალებები. ჩემს შვილებს რაც შეიძლება უსაფრთხო ცხოვრების პირობები მინდა შევუქმნა მანამ, სანამ დამოუკიდებლად დაიწყებენ ცხოვრებას.

- მაგრამ შენ ომში მოხალისედ წახვედი, ომის გმირი იყავი, - თქვა ქეიმ, - რამ გამოგცვალა?

- ასე თუ გავაგრძელეთ, ვერაფრამდე ვერ მივალთ, - თქვა მან, - შესაძლოა, მე ერთ-ერთი ისეთი ძველი ყაიდის კონსერვატორი ვარ, როგორებიც შენს მშობლიურ ქალაქში იბადებიან. მე საკუთარ თავზე ვზრუნავ, ჩემს პიროვნებაზე. მთავრობა თავისი მოქალაქეებისთვის მართლა ძალიან ცოტას აკეთებს, მაგრამ მთავარი ეგ არ არის. ერთადერთი, რაც შემიძლია ვთქვა: მამაჩემს უნდა დავხმარებოდი, მის მხარეზე უნდა მეომა, - მაიკლმა ქეის გაუღიმა, - ჩემი ცოლობა არც ისეთი კარგი იდეაა შენთვის, არა?

ქეიმ ბალიშს ხელი დაჰკრა.

- ცოლობისა არ ვიცი, - თქვა მან, - მაგრამ ორი წელი კაცის გარეშე ვიცხოვრე და ასე ადვილად ვეღარ გაგიშვებ. მოდი ჩემთან.

როდესაც ისევ ჩაწვნენ ლოგინში და სინათლეც ჩააქრეს, ქეიმ ჩურჩულით ჰკითხა: - გჯერა, რომ ამ ორი წლის განმავლობაში კაცთან არ ვყოფილვარ?

- მჯერა, - უთხრა მაიკლმა.

- და შენ გყავდა ქალები? - ჰკითხა ქეიმ.

- მყავდა, - მიუგო მაიკლმა და იგრძნო, ამ პასუხმა ქეის იმედი გაუცრუა. მერე დაამატა, - მაგრამ ბოლო ექვსი თვის განმავლობაში არა მყოლია.

ეს სიმართლე იყო. აპოლონიას დაღუპვის შემდეგ ქალს აღარ გაჰკარებია.

თავი ოცდამეექვსე

მდიდრული აპარტამენტების ფანჯრები სასტუმროს წინ ხელოვნურად გაშენებულ ბაღს - საიდანღაც გადმორგულ პალმებს, გირლანდებად გაბმული ნარინჯისფერი ნათურებით რომ იყო განათებული - და ორ ვეება აუზს გადაჰყურებდა, რომელთა წყალში უდაბნოს მოციმციმე ვარსკვლავები ირეკლებოდა. ჰორიზონტზე კირქვისა და გრანიტის მთები მოჩანდა, ლას-ვეგასის ნეონის ველს რკალად რომ ერტყა. ჯონი ფონტეინმა მოქარგული ფარდა ჩამოუშვა და ოთახში შებრუნდა.

ოთხი კაცი - კრუპიე, დილერი, მისი თანაშემწე და ოფიციანტი ქალი, რომელსაც ღამის კლუბისთვის შესაფერისი კაბა ეცვა, საღამოს სამზადისში იყვნენ. ნინო ვალენტი ვისკით სავსე ჭიქით ხელში სავარძელზე ნახევრად გადაწოლილიყო. თვალყურს ადევნებდა, როგორ ამზადებდნენ მაგიდას „ბლექჯეკისთვის“, - გარშემო ექვსი სკამი რკალად შემოუწყვეს.

- მშვენიერია, მშვენიერი, - თქვა მან ჩახრინწული, მაგრამ ჯერ კიდევ ნახევრად ფხიზელი ხმით, - მოდი, ჯონი, იმ ნაბიჭვრებს ერთად ვეთამაშოთ. დედას ვუტირებთ.

ჯონი იქვე ჩამოჯდა.

- ხო იცი, მე არ ვთამაშობ, - თქვა მან, - ნინო, თავს როგორ გრძნობ?

ნინო ვალენტიმ გაიღიმა.

- შუაღამისას ქალები მოვლენ, მერე ვივახშმებთ, მერე ისევ „ბლექჯეკი“. ხო იცი, კაზინოში ორმოცდაათი ათასი მოვხსენი და ერთი კვირაა აღარ მასვენებენ.

- ვიცი, - თქვა ჯონი ფონტეინმა, - ფულს ვის დაუტოვებ, როცა დაიბრიდები?

ნინომ ჭიქა ერთიანად გადაკრა.

- ჯონი, როგორ შეიქმენი მაგარი კაი ტიპის რეპუტაცია? შენ ხომ საშინლად მოსაწყენი ჯეელი ხარ. ღმერთო, ამ ქალაქში ტურისტებიც კი შენზე უკეთესად ატარებენ დროს.

- კი, როგორ არა, - თქვა ჯონიმ, - რას ელოდები, ხელით გინდა მაგიდასთან მიგაბრძანონ?

ნინო შეიშმუშნა, სავარძელზე გასწორდა და ფეხები ხალიჩაზე ძლივს ჩამოაწყო.

- მე თვითონაც შემიძლია, - უპასუხა ნინომ. ხელი გაშალა და ჭიქა იატაკზე ჩამოუსრიალდა. წამოდგა, ,,ბლექჯეკის" მაგიდასთან საკმაოდ მტკიცე ნაბიჯით მივიდა. მაგიდა უკვე გამზადებული გახლდათ. პარტნიორებიც მზად იყვნენ. კრუპიე დილერის ზურგს უკან იდგა, თვალყურს ადევნებდა. დილერის თანაშემწემ თავისი სკამი მაგიდის ოდნავ მოშორებით დადგა. ოფიციანტი ქალი კი ისე დაჯდა, ნინო ვალენტის ყოველი მოძრაობა რომ დაენახა.

ნინომ ხელი რამდენჯერმე მაგიდის მწვანე ხავერდზე დააკაკუნა და მერე მოითხოვა:
- ჟეტონები.

კრუპიემ ჯიბიდან ბლოკნოტი ამოიღო, რაღაც ჩაწერა, ფურცელი ამოხია და ავტოკალამთან ერთად ნინოს წინ დაუდო.

- ინებეთ, მისტერ ვალენტი, - თქვა მან, - როგორც ყოველთვის, ხუთი ათასი დასაწყისისთვის.

ნინომ ფურცელს ხელი მოაწერა და კრუპიემ ჯიბეში ჩაიდო. დილერს თავი დაუქნია.

მანაც ელვისებური მოძრაობით შავი და ოქროსფერი ჟეტონების დასტა აიღო, თითოეული ასი დოლარის ღირებულების. ხუთი წამიც არ იყო გასული, რომ ნინოს წინ ხუთი ასეთი დასტა იყო მოქუჩებული, თითოში ათი ასდოლარიანი ჟეტონით.

მწვანე ხავერდზე თითოეული მოთამაშის წინ დახატული იყო ექვს-ექვსი კვადრატი. ნინომ სამი ჟეტონი სამ კვადრატზე დადო. პირველი პარტია მოიგო და ჯონის მიუბრუნდა.

- აი, როგორ უნდა დაიწყო ღამე, ხედავ, ჯონი?

ჯონიმ გაუღიმა. ერთობ უცნაურად ეჩვენა, რომ თამაშის წინ ნინოს ხელი მოაწერინეს. ჩვეულებრივ, სიტყვაზე ენდობოდნენ ხოლმე. შესაძლოა, კაზინოში ეშინოდათ, რომ ნინოს სიმთვრალის გამო რაღაც დაავიწყდებოდა. ის კი არ იცოდნენ, რომ ნინოს არასოდეს არაფერი ავიწყდებოდა.

ნინო მოგებას აგრძელებდა და მესამე პარტიის შემდეგ ოფიციანტ ქალს ხელით ანიშნა. მანაც ბარიდან ვისკით სავსე ჭიქა მოუტანა. ნინომ ჭიქა გამოართვა, მეორე ხელი წელზე მოხვია და უთხრა: - მოდი აქ, ტკბილო, ერთი-ორი ხელი ჩემთან ერთად ითამაშე, იქნებ, იღბალი მომიტანო...

ოფიციანტი ქალი საკმაოდ ლამაზი იყო, მაგრამ ჯონი იმასაც კარგად ხედავდა, რომ ერთი ფულზე დახარბებული მეძავი გახლდათ, თუმც კი ცდილობდა თავი ისე დაეჭირა, თითქოსდა წესიერი ქალია. ნინოს გაუღიმა, მაგრამ თანაც ჟეტონებს თვალს არ აცილებდა, მეტისმეტი სურვილისგან ენის წვერი გამოუჩნდა. ჯანდაბას, გაიფიქრა ჯონიმ, ვითომ რატომ არ უნდა ერგოს ერთი-ორი ჟეტონი? თუმცა ჯონის თან გული დასწყდა, რომ ნინოს თავის ფულად უკეთესი არ ერგებოდა.

ნინომ ქალს რამდენიმე პარტიის თამაშის უფლება მისცა, მერე ერთი ჟეტონი აჩუქა, უკანალზე ხელი მოუთათუნა და დაითხოვა. ჯონიმ ანიშნა, ვისკი მომიტანეო. მანაც მოუტანა, მაგრამ ეს ისე გააკეთა, თითქოს ყველაზე დრამატულ კინოფილმში ყველაზე დრამატულ ეპიზოდს თამაშობდა. მთელი თავისი მომხიბლაობა დიდ ჯონი ფონტეინს დააფრქვია. თვალები უციმციმებდა, მიხრა-მოხრა ვნებიანი გაუხდა. ცხოველს ჰგავდა, რომელიც ვნებისგან იწვის, მაგრამ ეს ყველაფერი მხოლოდ თამაში იყო, ერთ-ერთი იმ გავრცელებულ ხერხთაგანი, რომელთა მეშვეობითაც ქალები მის ლოგინში შეთრევას ცდილობდნენ. ეს ჯონი ფონტეინზე მხოლოდ მაშინ მოქმედებდა, როცა მთვრალი იყო, ახლა კი სრულიად ფხიზელი გახლდათ. ქალს თავისი საქვეყნოდ ცნობილი ღიმილი სტყორცნა და უთხრა: - გმადლობ, ტკბილო.

ქალმა შეხედა და საპასუხოდ მადლიერების გამომხატველი ღიმილით გაუღიმა. მზერა დაებინდა, სხეული დაეძაბა. ძუძუები თითქოს დაებერა, გეგონებოდა, ცოტაც და, პერანგი ზედვე გადაუსკდებაო. ქალი აჩვენებდა, რომ, ლამისაა, ორგაზმი განიცადა, რადგან ჯონიმ უთხრა: ,,გმადლობ, ტკბილო". ეს საკმაოდ შთამბეჭდავი იყო. უკეთესი შესრულება ჯონის არც კი ენახა, მაგრამ მან მშვენივრად იცოდა, რომ ეს ყველაფერი წმინდა წყლის თვალთმაქცობაა და ქალები, რომლებიც ასეთ რაღაცებს აკეთებდნენ, როგორც წესი, ლოგინში არაფერ განსაკუთრებულს არ წარმოადგენდნენ.

ჯონიმ თვალი გააყოლა. ოფიციანტი ქალი თავის სკამს დაუბრუნდა. ჯონი ფონტეინმა ჭიქა ნელ-ნელა დაცალა. ამ წარმოდგენის ხელმეორედ ყურების არანაირი სურვილი არ ჰქონდა. იმ საღამოს გუნებაზე ვერ იყო.

ერთი საათის თამაშის შემდეგ ნინო ვალენტიმ გონება დაკარგა. ჯერ წინ გადაქანდა, შემდეგ უკან გადაიწია და, ბოლოს, სკამიდან გადმოვარდა. პარტნიორებმა მოასწრეს და ჰაერში დაიჭირეს, მერე საძინებელ ოთახში შეიყვანეს და საწოლზე დააწვინეს.

ჯონი უყურებდა, ოფიციანტი ქალი კაცებს ნინო ვალენტის გახდასა და ლოგინში ჩაწვენაში როგორ ეხმარებოდა. კრუპიემ ნინოს ჟეტონები დაითვალა და ბლოკნოტში რაღაც ჩაინიშნა.

- რამდენი ხანი უგრძელდება ხოლმე ეს? - იკითხა ჯონიმ.

კრუპიემ მხრები აიჩეჩა.

- დღეს რაღაც ადრე მოუვიდა. სულ პირველ ჯერზე ექიმს გამოვუძახეთ და იმან მოასულიერა. მერე ნინომ გაგვაფრთხილა, ასეთ შემთხვევებში ექიმს ნუღარ დაუძახებთო, უბრალოდ, ლოგინში ჩამაწვინეთ და დილით ფორმაში ვიქნებიო. არადა მაგრად უმართლებს, დღეს ისევ სამი ათასი მოიგო.

- მოდი, ექიმს დღესაც დავუძახოთ, ო,კეი? - თქვა ჯონიმ.

თხუთმეტ წუთში ნომერში ჯულ სეგალი შემოვიდა. ჯონიმ გაღიზიანებით გაიფიქრა, არასოდეს გამოიყურება ისე, როგორც ექიმს შეეფერებაო. დღეს თეთრსახელოიანი ლურჯი პერანგი და შიშველ ფეხზე თეთრი ზამშის ფეხსაცმელი ეცვა. ექიმის შავი საკვოიაჟით ხელში სასაცილო სანახავი იყო.

- იქნებ შენი რაღაცები გოლფის ჩანთით გეტარებინა? - უთხრა ჯონიმ.

ჯულმა გაგებით გაუღიმა.

- მართალი ხარ, ეს საექიმო ჩანთა საშინლად გამოიყურება. ხალხს აშინებს. გადავღებო მაინც.

ჯული საწოლთან მივიდა, სადაც ნინო იწვა. სანამ ჩანთას ხსნიდა, ჯონი ფონტეინს უთხრა: - დიდი მადლობა ჩეკისათვის, რომელიც კონსულტაციისთვის გამომიგზავნე, მაგრამ მეტისმეტი იყო. ამდენის არაფერი გამიკეთებია. არ ღირდა.

- რა თქმა უნდა, არ გაგიკეთებია, - თქვა ჯონიმ, - მაგრამ, მოდი, დავივიწყოთ ეს, დიდი ხნის ამბავია. ნინოს რა სჭირს?

ჯულმა სწრაფად შეუმოწმა ნინოს პულსი, სუნთქვა, გაუზომა წნევა. შემდეგ ჩანთიდან შპრიცი ამოიღო და ნინოს მკლავში ნემსი გაუკეთა. ნინოს ცვილივით ფერმკრთალი სახე გაუვარდისფრდა, თითქოსდა შედედებული სისხლი უფრო სწრაფად აუმოძრავდაო.

- დიაგნოზი უმარტივესია, - თქვა ექიმმა, - გონება პირველად როცა დაკარგა, რამდენიმე გამოკვლევა ჩავუტარე. სანამ გონზე მოვიდოდა, საავადმყოფოში გადავიყვანე. დიაბეტი აქვს, საშუალო სიმძიმის, რომელსაც ადვილად მოევლება, თუკი დიეტას დაიცავს და წამალს მიიღებს, მაგრამ ნინო ამას აინუნშიაც არ აგდებს. გადაწყვეტილი აქვს, ლოთობით მოიკლას თავი. ღვიძლიც უკანასკნელ დღეში აქვს და ტვინიც. ამწუთას დიაბეტურ კომაშია. ჩემი რჩევაა, აქაურობას მოვაშოროთ, საავადმყოფოში მოვათავსოთ.

ჯონიმ შვებით ამოისუნთქა. ესე იგი, საქმე არც ისე სერიოზულადაა - მთავარია, ნინომ რეჟიმი დაიცვას და თავს მიხედოს.

- შენ ერთ-ერთ იმ დაწესებულებას გულისხმობ, სადაც გამოიკვლევენ და უმკურნალებენ? - ჰკითხა ჯონიმ.

ჯული ოთახის შორეულ კუთხეში მდგარ ბართან მივიდა და სასმელი მოიმზადა.

- არა, - თქვა მან, - ფსიქიატრიულს ვგულისხმობ.

- ნუ მაცინებ, - თქვა ჯონიმ.

- არ გაცინებ, - მიუგო ჯულმა, - ფსიქიატრიული კლინიკებით აღფრთოვანებული სულაც არ ვარ, თუმცა ესეც ჩემი პროფესიის ნაწილია და ვიცი, რა და როგორ. შენი მეგობარი ნინო ფიზიკურად შეიძლება საკმაოდ მისაღებ ფორმაში მოვიყვანოთ, თუკი ღვიძლი ძალიან არ დაეშალა, ოღონდ ამის გაგებას მხოლოდ სიკვდილის შემდგომი გაკვეთით თუ შევძლებთ... სინამდვილეში, ავადმყოფობა მას თავში აქვს. თითქოს არც ენაღვლება, მოკვდება თუ არა, შესაძლოა, კიდეც უნდა, თავი რომ მოიკლას. სანამ ამას არ ვუმკურნალებთ, მისი გადარჩენის შანსი არ არსებობს. ამიტომ ჩემი რჩევაა, ფსიქიატრიულში მოვათავსოთ, სადაც სათანადოდ მოუვლიან.

ამ დროს დააკაკუნეს. ჯონი კარის გასაღებად წავიდა. ზღურბლზე ლუსი მანჩინი იდგა. პირდაპირ ჯონის მკლავებში აღმოჩნდა, ჯონიმ გადაკოცნა.

- ოო, ჯონი, როგორ გამიხარდა შენი ნახვა, - უთხრა ლუსიმ.

- კაი ხანია, ერთმანეთი აღარ გვინახავს, - თქვა ჯონიმ. შენიშნა, ლუსი შეცვლილიყო. უფრო გამხდარი იყო, უკეთესად ეცვა. თმა მოკლედ, ბიჭურად ჰქონდა შეკრეჭილი. გაცილებით ახალგაზრდულად და მომხიბლავად გამოიყურებოდა, ვიდრე ჯონის ახსოვდა. ჯონიმ გაიფიქრა, რომ ლუსის აქ, ლას-ვეგასში, შეეძლო მისთვის კომპანია გაეწია. ნამდვილ ლამაზმანთან სეირნობა ერთი სიამოვნება იქნებოდა, მაგრამ, სანამ ბოლომდე მოიხიბლებოდა, ჯონის გაახსენდა, რომ ლუსი დოქტორ სეგალის გოგოა. ,,ესე იგი, არაფერი გამოვა", - გაიფიქრა მან. ჯონიმ ლუსის გაუღიმა და ჰკითხა: - ღამით ნინოს აპარტამენტებში რამ მოგიყვანა?

ლუსიმ ხელი მეგობრულად წაჰკრა.

- გავიგე, ნინო ცუდად გამხდარა, ჯული გამოუძახებიათ. მინდოდა, გამეგო, რამით ხომ ვერ დავეხმარებოდი. ახლა ნინო უკეთაა, არა?

- კი, კი, - მიუგო ჯონიმ, - კარგად იქნება.

დოქტორი სეგალი სავარძელზე გაიჭიმა.

- კარგად კი არა, უკანასკნელ დღეშია, - თქვა მან, - მე მაქვს წინადადება, დავრჩეთ აქ, სანამ არ მოსულიერდება და დაველაპარაკოთ იმაზე, თავს რომ იკლავს. ლუსი, ნინოს შენ უყვარხარ. იქნებ დაეხმარო. ჯონი, შენ კიდევ, ნინოს ნამდვილი მეგობარი თუ ხარ, დარჩი და სცადე, რაღაც შეაგნებინო. წინააღმდეგ შემთხვევაში, ძალიან მალე ნინოს ღვიძლი რომელიმე სამედიცინო ლაბორატორიის თაროზე აღმოჩნდება გამოფენილი.

ექიმის თავისუფალმა ქცევამ და ტონმა ჯონი გააბრაზა. ვინ ჰგონია თავი? რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ ამ დროს ნინოს ხმა მოისმა: - ჰეი, ძმაო, ერთიც ხომ არ დაგველია?

ნინო ლოგინში წამოჯდა. ლუსის გაუღიმა, ხელები ფართოდ გაშალა და უთხრა: - პატარავ, მოდი ბებერ ნინოსთან.

ლუსი საწოლის კიდეზე ჩამოჯდა და ნინოს გადაეხვია. უცნაურია, მაგრამ ნინო ახლა სრულიად ჯანმრთელად გამოიყურებოდა.

- მიდი, ჯონი, ჭიქა მომიტანე, ღამე ახლა იწყება, - თქვა ნინომ და თითები შეათამაშა, - ე, ჩემი ,,ბლექჯეკის" მაგიდა რა იქნა?

ჯონიმ ჭიქიდან მოსვა და ნინოს უთხრა: - ვერ დალევ. შენი ექიმი გიკრძალავს.

ნინო გაბრაზდა.

- ჩემი ექიმის დედაც... - ხმამაღლა თქვა მან და მაშინვე მოჩვენებითი სინანულით გააგრძელა, - ოი, ჯულ, ეს ხომ შენ ხარ. შენ არ ხარ ჩემი ექიმი? არა, ძმაო, შენ არ გგულისხმობდი. ჯონი, ჭიქა მომეცი, თუ არა და, ავდგები და მე თვითონ დავისხამ.

ჯონიმ მხრები აიჩეჩა და ბარისკენ გაემართა. ჯულმა ინდიფერენტული ტონით ჩაილაპარაკა: - მე ხომ ვთქვი, რომ არ უნდა დალიოს.

ჯონიმ იცოდა, ჯული ასე რატომ აღიზიანებდა, - რაც უნდა სერიოზულ რაღაცაზე ელაპარაკა, ხმა ყოველთვის ცივი და თავშეკავებული ჰქონდა. თუნდაც რაიმე

გამაფრთხილებელი ან შემაშფოთებელი ეთქვა, ყოველთვის სიტყვით გამოხატავდა და არა ინტონაციით, ხმა ყველა შემთხვევაში გულგრილი რჩებოდა. ამან ისე გააბრაზა ჯონი, რომ ნინოს ჭიქა ვისკი გაუწოდა, მაგრამ მანამდე ჯულს უთხრა: - ეს არ მოკლავს, არა?

- სწორედაც მოკლავს, - ჩუმად მიუგო ჯულმა. ლუსიმ შეშფოთებულმა შეხედა, რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ ხმა არ ამოიღო. ამასობაში ნინომ ჯონის ვისკი გამოართვა და გადაკრა.

ჯონიმ ნინოს გაუღიმა, - ეს მაზალო ექიმი ადგილზე ხო მოვსვითო, მაგრამ უეცრად ნინო გალურჯდა, სუნთქვა შეეკრა, ვეღარ სუნთქავდა, პირი ფართოდ დააღო, ჰაერი აღარ ჰყოფნიდა. თვალები გადმოეკარკლა, სახე გაუწითლდა, ნაპირზე ამოგდებულ თევზს დაემსგავსა. ჯული საწოლის მეორე მხრიდან მიადგა, ჯონისა და ლუსის გადახედა და მოულოდნელად ნინოს კისრისა და მხრის შეერთების ადგილას ნემსი შეურჭო. ნინოს ხელები მოუდუნდა, კრუნჩხვა შეუწყდა, ზურგით ბალიშზე გადაემხო. თვალები დაეხუჭა და ჩათვლიმა.

ჯული, ჯონი და ლუსი საძინებელი ოთახიდან გამოვიდნენ და მაგიდას შემოუსხდნენ. ლუსიმ ტელეფონის მოცისფრო აპარატი თავისთან ახლოს მისწია და ყავა და სენდვიჩები შეუკვეთა. ამ დროს ჯონი ბართან მივიდა და სასმელი გაიმზადა.

- იცოდი, ვისკიზე ასეთი რეაქცია რომ ექნებოდა? - ჰკითხა ჯონი ფონტეინმა.

ჯულმა მხრები აიჩეჩა.

- დარწმუნებული ვიყავი, - მშვიდად თქვა მან.

- რატომ არ გამაფრთხილე? - ჯონიმ აგრესიული ტონით ჰკითხა.

- გაგაფრთხილე, - მიუგო ჯულმა.

- ასე არ აფრთხილებენ, - თქვა ჯონიმ ყინულივით ცივი ხმით, - დამპალი ექიმი ხარ. არაფერი გაღელვებს. მირჩევ, საგიჟეთში მოვათავსო და ერთი ნორმალური სიტყვის თქმა არ შეგიძლია. ეტყობა, მაგრად კაიფობ, ადამიანს სიმართლეს რომ აჯახებ ხოლმე, არა?

ლუსიმ თავი დახარა. ჯული ჯონი ფონტეინს ღიმილით შეჰყურებდა.

- ვისკის მაინც მისცემდი, ვერაფერი გაგაჩერებდა, - თქვა მან ბოლოს, - გინდოდა, დაგემტკიცებინა, რომ ჩემი რჩევა არ გჭირდება. გახსოვს, ყელზე შენი ოპერაციის შემდეგ შემომთავაზე, ჩემი პირადი ექიმი გახდიო. უარი გითხარი და იცი, რატომ? იმიტომ, რომ მივხვდი, ვერასოდეს მოვრიგდებოდით. ექიმებს თანამედროვე საზოგადოებაში თავი ღმერთებად მიაჩნიათ, ეს მათთვის ერთგვარი ჯილდოა მძიმე შრომის სანაცვლოდ, მაგრამ შენ ჩემ მიმართ ასეთი განწყობა არასოდეს გექნებოდა. იმ თქვენს ექიმებზე მეტად არ დამაფასებდი, ჰოლივუდში რომ გყავთ. ღმერთო, ნეტავი ვიცოდე, ეგეთებს სად შოულობთ? არაფერი გაეგებათ თუ, უბრალოდ, არაფერი ენაღვლებათ? იციან, რა სჭირს ნინოს და ყველანაირი წამლით ჭყეპენ, ოღონდ კი როგორმე გააძლებინონ. აბრეშუმის კოსტიუმებში დაიარებიან და ტრაკზე გკოცნიან, რადგან ძლევამოსილი კინომაგნატები ბრძანდებით, და თქვენც გგონიათ, მაგარი ექიმები არიან... მაგრამ იმათ ფეხებზე ჰკიდიათ, ცოცხალი ხარ თუ მკვდარი. ჰოდა,

ჩემი ჰობი, როგორი მაზალოც უნდა გეჩვენებოდეთ, სწორედ ის არის, რომ ადამიანებს სიცოცხლეს ვუნარჩუნებ. მე მოგეცი საშუალება თვითონ დარწმუნებულიყავი, რა მოუვიდოდა ნინოს, როცა ვისკის დალევდა.

ჯული ჯონი ფონტეინისკენ გადაიწია, ხმა მშვიდი, აუღელვებელი, უემოციო ჰქონდა.

- შენი მეგობარი თითქმის უკვე გვამია. შეგიძლია, ამის გაგება? გადარჩენის არავითარი შანსი არა აქვს სასწრაფო თერაპიული მკურნალობის გარეშე. დიაბეტმა, მაღალმა წნევამ და მავნე ჩვევებმა ნებისმიერ მომენტში შეიძლება ინსულტი გამოიწვიოს. ტვინი ნაფლეთებად დაეშლება. ეს შენთვის საკმარისად გასაგები ნათქვამია? მართალი ხარ, მე გითხარი, საგიჟეთში მოვათავსოთ-მეთქი. მინდოდა გაგეგო, რა მდგომარეობაშია. სხვა შემთხვევაში ხელსაც არ გაანძრევდი. მე დაგანახვე, რა დღეშია. შენ შეგიძლია, გადაარჩინო შენი მეგობარი, თუკი საავადმყოფოში მოათავსებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეგიძლია სამუდამოდ გამოეთხოვო.

ლუსიმ ჩურჩულით უთხრა: - ჯულ, ძვირფასო, არ გინდა ასე მკაცრად, უბრალოდ უთხარი....

ჯულ სეგალი წამოდგა. ჯონი ფონტეინმა სიამოვნებით შენიშნა, რომ მისი ჩვეული სიმშვიდე სადღაც გამქრალიყო. ხმასაც დაეკარგა მონოტონურობა.

- როგორ გგონია, მსგავს სიტუაციაში ადამიანებს პირველად ველაპარაკები? - იკითხა ჯულმა, - ამას ყოველდღე ვაკეთებ. ლუსიმ მთხოვა, მკაცრი ნუ იქნებიო, მაგრამ არ იცის, რას მთხოვს. ადრე, როგორც წესი, ვეუბნებოდი ხოლმე: „ნუ ჭამთ ამდენს, თორემ მოკვდებით; ნუ ეწევით ამდენს, თორემ მოკვდებით; ნუ სვამთ ამდენს, თორემ მოკვდებით; ნუ მუშაობთ ამდენს, თორემ მოკვდებით“, მაგრამ არავინ მისმენდა. იცი, რატომ? იმიტომ, რომ არ ვეუბნებოდი: „მოკვდებით ხვალ“. ჰოდა, შემიძლია გითხრათ, რომ ნინო მართლა შეიძლება მოკვდეს ხვალ.

ჯული ბართან მივიდა და სასმელი გაიმზადა.

- რას ფიქრობ, ჯონი, მზად ხარ, საავადმყოფოში რომ მოათავსო? - ჰკითხა ჯულმა.

- არ ვიცი, - უპასუხა ჯონიმ.

ჯულმა სასმელი გადაკრა და მაშინვე მეორე ჭიქა დაისხა.

- იცი, სასაცილოა, მაგრამ ადამიანმა მართლა შეიძლება თავი მოიკლას სიგარეტით, სმით, ჭამითაც კი. ეს ყველაფერი შესაძლებელია. ერთადერთი, სამედიცინო თვალსაზრისით შეუძლებელი, ის არის, რომ ჟიმაობით თავს ვერ მოიკლავს.

ჯულმა პაუზა გააკეთა, სასმელი რომ ჩაემთავრებინა. შემდეგ განაგრძო: - თუმცა ესეც ქმნის გარკვეულ საშიშროებას, განსაკუთრებით, ქალებისათვის. ჩემთან მოდიოდნენ ქალები, რომლებიც ბავშვის გაჩენას აპირებდნენ. ვეუბნებოდი, „ეს თქვენთვის საშიშია, შეიძლება დაიღუპოთ“. ერთი თვის შემდეგ მოვიდოდნენ გაღიმებულები და მეტყოდნენ: „ექიმო, მგონი, ორსულად ვარ“. ისევ ვეუბნებოდი: „მაგრამ თქვენთვის ეს სახიფათოა“. იმ პერიოდში ჩემს ხმას ემოცია არ აკლდა. და იცით, რას მიპასუხებდნენ ხოლმე? - „მე და ჩემი ქმარი მტკიცე კათოლიკეები ვართ“.

კარზე დააკაკუნეს და ნომერში ორმა ოფიციანტმა გორგოლაჭიანი მაგიდა შემოაგორა, რომელზეც საჭმელი და ვერცხლისფერი ყავადანი იდგა. მომცრო მაგიდაზე სუფრა გააწყვეს და გავიდნენ.

სუფრას შემოუსხდნენ და ცხელი სენდვიჩები მიირთვეს, ლუსიმ რომ შეუკვეთა. მერე ყავაც დალიეს. ჯონი სკამის საზურგეს მიეყრდნო და სიგარეტი გააბოლა.

- ესე იგი, შენ სიცოცხლის მხსნელი ხარ, - თქვა მან, - და აბორტმახერი როგორ გახდი?

მთელი ამ ხნის განმავლობაში ლუსი პირველად ჩაერთო საუბარში.

- ჯულს უნდა დაეხმაროს გოგოებს, რომლებიც მძიმე სიტუაციაში აღმოჩნდნენ, რომლებსაც, შესაძლოა, თავი მოეკლათ ანდა ჩანასახი რაიმე საშიში საშუალებით მოეშორებინათ.

ჯულმა ლუსის გაუღიმა და ამოიოხრა.

- ყველაფერი არც ასე მარტივადაა, - თქვა მან, - მე ხომ ქირურგი ვიყავი. კარგი ხელი მქონდა, ბეისბოლისტები რომ იტყვიან, მაგრამ იმდენად ამივარდა თავში, რომ სისულელეების კეთება დავიწყე. ვიღაც საწყალ ნაბიჭვარს მუცლის რეზექციას ვუკეთებდი, თუმცა ვიცოდი, რომ განწირული იყო. ოპერაციას ვუკეთებდი, არადა ვიცოდი, რომ სიმსივნე ან კიბო ისევ დაუბრუნდებოდა, - სახლში ღიმილითა და გამოჯანმრთელების კეთილი სურვილებით ვისტუმრებდი. მოვიდოდა ვიღაც საწყალი ლამაზმანი და ერთ ძუძუს მოვკვეთდი. გავიდოდა ერთი წელიწადი, ისევ მოვიდოდა და მეორე ძუძუსაც მივაყოლებდი. კიდევ ერთი წლის შემდეგ კი მთელ შიგნეულობას ამოვაცლიდი ხოლმე, თქვენ რომ გოგრის შიგთავსს იღებთ, ისე. აი, მერე კი უეჭველად კვდებოდნენ. მთელი ამ ხნის განმავლობაში მათი ქმრები რეკავდნენ და მეკითხებოდნენ: „ანალიზებმა რა აჩვენა?“

სპეციალურად მათთან სალაპარაკოდ, დამატებით, მეორე მდივანი ქალი დავიქირავე. პაციენტს მხოლოდ ბოლო მომენტში ვხვდებოდი ხოლმე, როცა ყველანაირად მოამზადებდნენ საოპერაციოდ, ანალიზებსა და გამოკვლევას გაუკეთებდნენ. მსხვერპლთან მინიმალურად შესაძლებელ დროს ვატარებდი, ბოლოს და ბოლოს, ერთობ დაკავებული კაცი ვიყავი. სულ ბოლოს კი ქმრებს ორად ორი წუთით დაველაპარაკებოდი ხოლმე. „ტერმინალურია“, - ვეუბნებოდი, მაგრამ ეს სიტყვა არასოდეს ესმოდათ. თავიდან ვიფიქრე, არაცნობიერად ამ სიტყვას ჩუმად ვამბობ-მეთქი და შეგნებულად ხმამაღლა დავიწყე თქმა, მაგრამ მაინც არ ესმოდათ. ერთმა ჯეელმა მკითხა: „რა ჯანდაბას გულისხმობ, რა გერმინალური?“

ჯულს გაეცინა.

- გერმინალური, ტერმინალური და ჯანდაბა. ჰოდა, მოკლედ, აბორტების კეთება დავიწყე. მარტივად და ლამაზად. ყველა ბედნიერია. ეს რაღაცით ჭურჭლის რეცხვასა და ნიჟარის დაკრიალებას ჰგავს. იქაც ჩემს კლასს ვაჩვენებდი. მომწონდა აბორტების კეთება. არ მჯერა, რომ ორი თვის ჩანასახი უკვე ადამიანია, ამდენად, მორალური პრობლემები არ მქონია. ვეხმარებოდი გოგონებსა თუ მოწიფულ ქალბატონებს, რომლებიც მძიმე სიტუაციაში აღმოჩნდნენ, და კარგ ფულსაც ვაკეთებდი. ფრონტის წინა ხაზი მივატოვე. როცა აბორტზე დამიჭირეს, თავს დეზერტირად ვგრძნობდი, მაგრამ გამიმართლა: მეგობარმა თავისი კავშირები აამოქმედა და გამათავისუფლეს,

ოღონდ დიდი კლინიკები ოპერაციების კეთების უფლებას აღარ მაძლევდნენ. ამიტომაც აღმოვჩნდი აქ. სასარგებლო რჩევებს ვიძლევი, რომლებსაც როგორც ადრე, ახლაც უგულებელყოფენ.

- მე არ უგულებელვყოფ, - თქვა ჯონი ფონტეინმა, - უბრალოდ, ყველაფერი კარგად უნდა ავწონ-დავწონო.

ბოლოს ლუსიმ საუბრის თემა შეცვალა.

- ჯონი, ლას-ვეგასში რას აკეთებ? - იკითხა მან, - ისვენებ თუ მუშაობ?

ჯონიმ უარის ნიშნად თავი გააქნია.

- მაიკლ კორლეონეს ჩემი ნახვა და რაღაც საქმეზე დალაპარაკება უნდა. ამ ღამეს უნდა ჩამოფრინდეს ტომ ჰეიგენთან ერთად. ტომმა მითხრა, რომ შენთანაც უნდა შეხვედრა. ხომ არ იცი, რა საქმე აქვს?

ლუსიმ უარის ნიშნად თავი გააქნია.

- ხვალ საღამოს ყველანი ერთად ვისადილებთ, მათ შორის, ფრედიც. მგონი, ეს ოტელთან იქნება დაკავშირებული. კაზინო ბოლო დროს წაგებაზე მუშაობს. დონს, ალბათ, უნდა, რომ მაიკლმა გაარკვიოს, რა ხდება.

- გავიგე, მაიკლს სახე, როგორც იქნა, გამოუსწორესო, - თქვა ჯონიმ.

ლუსიმ გაიცინა.

- ეს, ეტყობა, ქეის გავლენაა. ქორწილამდე მაიკლი ამის გაკეთებას არ აპირებდა. ვერ გამიგია, რატომ? საშინლად გამოიყურებოდა, თანაც წამდაუწუმ ცხვირიდან ჩამოსდიოდა. ადრეც უნდა გაეკეთებინა.

ლუსიმ პაუზა გააკეთა.

- კორლეონეს ოჯახმა ჯული ოპერაციაზე კონსულტანტად და დამკვირვებლად მიიწვია.

ჯონიმ თავი დაუქნია და მშრალად შენიშნა: - მე გავუწიე რეკომენდაცია.

- ო, - თქვა ლუსიმ, - მაიკლი ამბობს, ჯულისთვის რაღაც მინდა გავაკეთოო. ამიტომ გვეპატიჟება ხვალ სადილზე.

- მაიკლი არავის ენდობა, - დაფიქრებით თქვა ჯულმა, - გამაფრთხილა, ოპერაციაზე თვალყური მედევნებინა, ვინ რას გააკეთებდა. არადა, რთული ოპერაცია სულაც არ იყო. ნებისმიერი კომპეტენტური ქირურგი გააკეთებდა.

საძინებლიდან ხმა შემოესმათ. ფარდა გადასწიეს, შეიხედეს და ნახეს, - ნინო გონს მოსულიყო. ჯონი ნინოს საწოლის კიდეზე ჩამოჯდა. ჯული და ლუსი საწოლის გვერდით გაჩერდნენ. ნინომ სუსტად გაუღიმა.

- ო,კეი, მეტს აღარ გავახურებ, - თქვა მან, - მართლა ცუდად ვარ. ჯონი, გახსოვს, რა მოხდა ერთი წლის წინ, როცა მე და შენ ორ ქალთან ერთად პალმ-სპრინგში ვიყავით?

გეფიცები, სულაც არ მიეჭვიანია. პირიქით, გამიხარდა, ასე რომ მოხდა. გჯერა ჩემი, ჯონი?

- რა თქმა უნდა, ნინო, - დაამშვიდა ჯონიმ, - მჯერა შენი.

ლუსიმ და ჯულმა ერთმანეთს გადახედეს. ჯონი ფონტეინზე რაც, საერთოდ, იცოდნენ და როგორც იცნობდნენ, წარმოუდგენლად მოეჩვენათ, რომ მან თავის უახლოეს მეგობარს ქალი დააწერა. და რატომ ეუბნებოდა ნინო ერთი წლის მერე, რომ არ უეჭვიანია? ორივეს თავში გაუელვა აზრმა: შესაძლოა, ნინო იმიტომ იკლავს თავს ლოთობით, რომ ამას რომანტიკული საფუძველი აქვს - ქალმა მიატოვა ჯონი ფონტეინის გამო.

ჯულმა ნინოს დაკვირვებით შეხედა.

- მომვლელს გამოვიძახებ და ღამე აქ დარჩება, - თქვა მან, - რამდენიმე დღე ლოგინში უნდა იწვე. არ ვხუმრობ.

ნინომ გაიღიმა.

- ო,კეი, დოკ, - თქვა მან, - ოღონდ მომვლელი ძალიან ლამაზი ნუ იქნება.

ჯულმა მომვლელი ტელეფონით გამოიძახა და მერე ლუსისთან ერთად აპარტამენტებიდან გავიდა. ჯონი სკამზე ჩამოჯდა, მომვლელს დაელოდა. ნინოს ეძინებოდა, გატანჯული გამომეტყველება ჰქონდა. ჯონი მის ნათქვამზე ფიქრობდა.- ერთი წლის წინ პალმ-სპრინგში რაც მოხდა, თურმე ნინოს მასზე არ უეჭვიანია. არადა, თავში აზრად არასოდეს მოსვლია, ნინოს ეჭვიანობა თუ შეეძლო.

*

ერთი წლის წინ ჯონი თავისი კინოკომპანიის მდიდრულ ოფისში იჯდა და გაცილებით ცუდად გრძნობდა თავს, ვიდრე ოდესმე. ეს მით უფრო უცნაური იყო, რომ მის მიერ გადაღებულმა პირველმა ფილმმა, სადაც მთავარ როლებში თვითონ და ნინო იყვნენ, უამრავი ფული მოიტანა. ყველაფერი შესანიშნავად გამოვიდა. თავისი საქმე ყველამ უმაღლეს დონეზე გააკეთა. ფილმი ბიუჯეტში ჩაეტია. მოწილეებმა კაპიტალი იშოვეს, ჯეკ ვოლცმა კი ათი წლის სიცოცხლე დაკარგა. ახლა ჯონი კიდევ ორ ფილმს იღებდა, ერთში მთავარ როლს თვითონ ასრულებდა, მეორეში - ნინო. ნინო ეკრანზე მშვენივრად გამოიყურებოდა, განსაკუთრებით, სასიყვარულო როლებში, ქალებს რომ მოსწონთ... რასაც ხელს ახლებდა, ყველაფერი ფულად იქცეოდა. ნათლია მოგებიდან თავის წილს ბანკის მეშვეობით იღებდა და ჯონის ეს ყველაზე მეტად უხაროდა. ნათლიას ნდობა გაამართლა. თუმცაღა იმ დღეს ეს ნაკლებად შველოდა.

ახლა წარმატებული და დამოუკიდებელი კინოპროდიუსერი გახლდათ და გაცილებით მეტი ძალაუფლება ჰქონდა, ვიდრე ოდესმე, როდესაც მხოლოდ მომღერალი იყო. ულამაზესი ქალები მუხლებში უცვივდებოდნენ, როგორც ადრე, მაგრამ ამას ახლა, ძირითადად, კომერციულ-ფინანსური საფუძველი ჰქონდა. საკუთარი თვითმფრინავი ჰყავდა და ისეთ ცხოვრებას ეწეოდა, რომელიც ყველაზე ცნობილი მსახიობისთვისაც კი მიუწვდომელი იყო. მაშ, რა ჯანდაბა აწუხებდა?

მიზეზი იცოდა. შუბლი სტკიოდა, ყელი უხურდა, ექავებოდა. ერთადერთი, რაც ამ ქავილს მოუხსნიდა, სიმღერა იყო. უნდოდა, ემღერა, მაგრამ ეშინოდა. ჯულ სეგალს ჰკითხა, როდის შეიძლებოდა სიმღერა დაეწყო. პასუხად მიიღო: „როცა კი მოგინდება“. ჯონიმ სცადა, მაგრამ ისეთი ხრინწიანი, სუსტი ხმა ამოუშვა, რომ უმალ შეწყვიტა. იმ დღიდან ყელმა სერიოზულად შეაწუხა, ოღონდ ეს სხვანაირი ტკივილი იყო, ვიდრე ის, რომელსაც გრძნობდა მანამ, სანამ მეჭეჭს ამოაჭრიდნენ. სტკიოდა უარესად, ყელი უხურდა, თითქოს ცეცხლი უკიდიაო.

ეშინოდა სიმღერის დაწყების, ეშინოდა, რომ ხმა სამუდამოდ დაკარგა.

მაგრამ თუ ვეღარ იმღერებს, ყველაფერი აზრს კარგავს. დანარჩენი წვრილმანია ამასთან შედარებით. ერთადერთი, რაც მართლა იცის, სიმღერაა. შესაძლოა, მსოფლიოშიც კი ყველაზე მეტად იცის. ახლაღა გააცნობიერა, რამდენად კარგად მღეროდა. განვლილმა წლებმა ნამდვილ პროფესიონალად აქცია. ვერავინ ეტყოდა, ასე ჯობდა ემღერა თუ ისე. ყველაზე უკეთ ეს თვითონ იცოდა და არავის რჩევა არ სჭირდებოდა. რა სამწუხარო დანაკარგია...

პარასკევი დღე იყო და გადაწყვიტა, უიკ-ენდი ვირჯინიასა და ბავშვებთან გაეტარებინა. წინასწარ დაურეკა, როგორც ამას ყოველთვის აკეთებდა ხოლმე. აძლევდა საშუალებას ეთქვა, „არა“, მაგრამ ვირჯინიას ეს ერთხელაც არ უთქვამს მათი გაყრის შემდეგ. უბრალოდ, არ შეეძლო გოგონების მამასთან შეხვედრისთვის ხელი შეეშალა. „როგორი ქალია!“ - გაიფიქრა ჯონიმ. ვირჯინიასთან გაუმართლა. და თუმცა ვირჯინია სხვა ქალებზე მეტად ეძვირფასებოდა, მასთან ერთად ცხოვრება მაინც არ შეეძლო. იქნებ ეს მოახერხონ, პენსიაზე როცა გავლენ - სამოცდახუთი წლის ასაკში...

თუმცა სინამდვილემ ეს წარმოდგენა დაუმსხვრია. ვირჯინია ცუდ გუნებაზე დახვდა, არც გოგონებს გამოუხატავთ მაინცდამაინც დიდი სიხარული. საქმე ის იყო, რომ უიკ-ენდზე ამხანაგს ორივე კალიფორნიულ რანჩოზე დაეპატიჟა - პონის ცხენებით უნდა ესეირნათ.

ჯონიმ ვირჯინიას ურჩია, გოგონები რანჩოზე გაეშვა. დამშვიდობებისას ღიმილით გადაკოცნა. მშვენივრად ესმოდა მათი. აბა, რომელ ბავშვს არ ურჩევნია დეპრესიული მამის ყურებას რანჩოზე ცხენების ჭენება?

ჯონიმ ვირჯინიას უთხრა: - ერთ-ორ ჭიქას გადავკრავ და მეც ავორთქლდები.

- კარგი, - მიუგო ვირჯინიამ. აშკარად ცუდ გუნებაზე იყო. ეს იშვიათად ემართებოდა, მაგრამ როცა კი ემართებოდა, თვალში საცემი გახლდათ. მისთვის ასეთი ცხოვრება ადვილი გასაძლები ნამდვილად არ იყო.

ვირჯინიამ დაინახა, რომ მეტისმეტად ბევრი დალია, - ზედიზედ.

- გათიშვა რის გამო გადაწყვიტე? - იკითხა მან, - საქმეები მშვენივრად მიგდის. ვერასოდეს ვიფიქრებდი, რომ შენგან კარგი ბიზნესმენი დადგებოდა.

ჯონიმ გაიღიმა.

- ეს არც ისე რთულია, - თქვა მან.

იმწამს გააცნობიერა, რატომ იყო ვირჯინია ცუდ გუნებაზე. ჯონი ქალებს კარგად იცნობდა, ესმოდა მათი და მიხვდა, ვირჯინია მისმა წარმატებამ გააღიზიანა. ჰგონია, უკვე ყველაფერი მოიპოვა, რაც კი ოდესმე სურდა. ქალები ვერ იტანენ, როცა კაცები მეტისმეტ წარმატებას აღწევენ. ეს მათ აღიზიანებს, იმის შეგრძნებას უქმნის, რომ კაცებზე ძალაუფლებას კარგავენ, ძალაუფლებას, რომელიც სიყვარულზე, სექსის ჩვევასა და საქორწინო კავშირზეა დაფუძნებული. ჯონიმ უფრო ვირჯინიასთვის გუნების გამოსაკეთებლად, და არა თავისი საწუხარის გასამჟღავნებლად, თქვა: - რა ჯანდაბად მინდა ეს ყველაფერი, თუკი ვეღარ ვიმღერებ?

ვირჯინია მოუთმენლად ალაპარაკდა: - ო, ჯონი, პატარა ბიჭი აღარ ხარ, ცოტაც და, ორმოცის გახდები. ეგ შენი სულელური სიმღერები კიდევ გაინტერესებს? როგორც პროდიუსერი, გაცილებით მეტ ფულს შოულობ.

ჯონიმ ინტერესით შეხედა და უთხრა: - მე მომღერალი ვარ. მიყვარს სიმღერა. რა შუაშია ამასთან ასაკი?

ვირჯინიამ მოუთმენლად განაგრძო.

- შენი სიმღერა არასოდეს მომწონდა. ახლა, როცა დაამტკიცე, შეგიძლია კარგი პროდიუსერი იყო, კიდეც მიხარია, რომ ვეღარ მღერი.

ჯონი გაცოფდა და მიახალა: - ამის თქმა ნაბიჭვრული დამპლობაა!

გულწრფელად იყო აღელვებული. როგორ უთხრა ვირჯინიამ ასეთი რამ? როგორ შეუძლია ასე სძულდეს?

ვირჯინიამ გაუღიმა და უთხრა: - როგორ გგონია, რას ვგრძნობდი, როცა ქალები ამ შენი სიმღერის გამო ყელზე გეკიდებოდნენ? საინტერესოა, რას იტყოდი, შიშველი ტრაკით რომ მევლო ქუჩაში იმისთვის, კაცები რომ ამკიდებოდნენ? შენი სიმღერა ჩემთვის სწორედაც ასეთი რაღაც იყო და ძალიანაც მინდოდა, ხმა დაგეკარგა, საერთოდ ვეღარ გემღერა. თუმცა ეს ჩვენს გაყრამდე იყო.

ჯონიმ ვისკი ჩაამთავრა.

- ჯანდაბა, შენ არაფერი გესმის, საერთოდ არაფერი, - თქვა მან და სამზარეულოში შევიდა. ნინოს დაურეკა. შესთავაზა, უიკ-ენდი პალმ-სპრინგში გაეტარებინათ და ერთი ლამაზი, ქორფა ქალიშვილის ტელეფონი მისცა, რომელიც გამოძახებებზე დადიოდა. მასთან ადრევე აპირებდა დროის გატარებას.

- შენთვის დაქალს წამოიყვანს, - უთხრა ჯონიმ, - ერთ საათში შენთან ვიქნები.

როცა სახლიდან გადიოდა, ვირჯინია ცივად დაემშვიდობა. ჯონიმ არაფერი უპასუხა. ეს ის იშვიათი შემთხვევა გახლდათ, როცა მართლა გაბრაზებული იყო მასზე. ჯანდაბას, უიკ-ენდს მაგარ გრიალში გაატარებს და მთელ ამ შხამს ამოირეცხავს.

პალმ-სპრინგში ყველაფერი ისე წარიმართა, როგორც ჩაიფიქრა. ჯონის სახლში მივიდნენ, რომელიც წელიწადის ამ დროს სრულ წესრიგში ჰქონდა ხოლმე. ქალიშვილები მეტად ახალგაზრდები იყვნენ. ჯერ აუზში ჩავიდნენ, მერე ნინომ თავისი გოგო საძინებელში წაიყვანა, სასწრაფოდ რომ ,,გაეფორმებინა“, სანამ მზეზე წოლისგან ჯერ კიდევ გახურებული იყო. ჯონიმ თავისი პუტკუნა, ქერათმიანი გოგო,

სახელად ტინა, შხაპის მისაღებად გაუშვა. ვირჯინიასთან ჩხუბის შემდეგ ქალთან პირდაპირ დაწოლა უჭირდა ხოლმე.

ჯონი სასტუმრო ოთახში შევიდა, რომელიც შუშის კედლებით პატიოს ესაზღვრებოდა, - იქ როიალი იდგა. როდესაც ორკესტრთან ერთად გამოდიოდა, ზოგჯერ, ხუმრობით, თავის თავს აკომპანემენტს თვითონ უკეთებდა. ახლაც მიუჯდა როიალს და ძალზე ჩუმად დაიწყო მარტივი ბალადის შესრულება. სიტყვებს უფრო ამბობდა, ვიდრე მღეროდა. ოთახში ტინა შემოვიდა, ორი ჭიქა ვისკი დაასხა და როიალთან დაჯდა. ჯონიმ რამდენიმე მელოდია დაუკრა, ტინა ცდილობდა, ხმა აეყოლებინა. მერე ჯონი ადგა და აბაზანისკენ წავიდა, შხაპი რომ მიეღო. შხაპის ქვეშაც მღეროდა, უფრო ზუსტად, მარტივ სასიმღერო ფრაზებს წამღერებით ამბობდა. მერე გაიმშრალა, ჩაიცვა და ოთახში შებრუნდა. ტინა ისევ მარტო იყო. ნინო ან მართლა ჟიმავდა თავის გოგოს, ანდა ვისკის სვამდა.

ჯონი ისევ მიუჯდა როიალს. ტინა გარეთ გავიდა. ჯონიმ თავისი ერთი ძველი სიმღერის შესრულება სცადა. ყელი აღარ უხურდა. ხმა თითქოს ოდნავ დაგუდული გამოუვიდა, თუმცა, ფორმის მხრივ, ყველაფერი რიგზე იყო. ჯონიმ პატიოსკენ გაიხედა. ტინა ჯერ კიდევ აუზთან იდგა, შუშის კარი დაკეტილი იყო - ვერაფერს გაიგებდა. ჯონიმ ისევ დაიწყო თავისი საყვარელი ბალადა. მთელი ძალით დაიწყო, როგორც დარბაზში გამოსვლისას, ყელში ნაცნობ მწველ ტკივილს ელოდებოდა, მაგრამ არაფერი მომხდარა. საკუთარ ხმას ჩაუკვირდა. თითქოს ცოტა სხვანაირად ჟღერდა, თუმცა კი მაინც მოეწონა. ხმა უფრო ღრმა ჰქონდა, მსუყე. მამაკაცის ხმა და არა - ბიჭისა. სიმღერა დაასრულა, შვებით ამოისუნთქა და ასევე დარჩა როიალთან, ჩაფიქრდა...

- არა უშავდა, ძმაო, ნამდვილად არა უშავდა, - მოესმა ზურგს უკან ნინოს ხმა.

ჯონი შეტრიალდა. ზღურბლზე ნინო იდგა, მისი გოგო არსად ჩანდა. ჯონიმ კიდევ ერთხელ ამოისუნთქა შვებით. არ იცოდა, თუ ნინო უსმენდა.

- ჰო, რა, - თქვა ჯონიმ, - მოდი, ქალები გავუშვათ. სახლში გაისტუმრე.

- ჯობია, შენ თვითონ გაუშვა, - უთხრა ნინომ, - კარგი გოგოები არიან. არ მინდა ვაწყენინო. თანაც ჩემი ეს-ესაა ორჯერ გავჟიმე. ვახშმის გარეშე როგორ გავისტუმრო.

,,ჯანდაბას, - გაიფიქრა ჯონიმ, - გვისმინონ, თუნდაც მთლად კარგად არ გამოვიდეს''. მერე ერთ-ერთი ორკესტრის ხელმძღვანელს დაურეკა, რომელიც პალმ-სპრინგში ცხოვრობდა, და სთხოვა, მანდოლინა გამოეგზავნა.

- კალიფორნიაში მანდოლინაზე არავინ უკრავს, - გააპროტესტა დირიჟორმა.

- მანდოლინა მიშოვე, - კატეგორიულად მოსთხოვა ჯონიმ.

სახლში უამრავი ხმის ჩამწერი აპარატურა იყო და ჯონიმ გოგოებს უთხრა, ტემბრისა და ხმის რეგულატორებთან დამსხდარიყვნენ. ნინოს სთხოვა, მანდოლინაზე აკომპანემენტი გაეწია და თავისი ძველი სიმღერა წამოიწყო. ისეთი გრძნობა გაუჩნდა, თითქოს შეუჩერებლივ, უსასრულოდ შეეძლო ემღერა. იმ დროის განმავლობაში, როცა ხმა დაკარგული ჰქონდა, ხშირად ფიქრობდა სიმღერაზე, - როგორ შეიძლებოდა განსხვავებულად ემღერა თავისი ლირიკული სიმღერები. გონებაში მღეროდა ხოლმე,

უფრო ნატიფ აქცენტებს წარმოისახავდა. ახლა კი ამას უკვე რეალურად აკეთებდა. თუმცა ზოგჯერ მთლად ისე არ გამოსდიოდა, როგორც გონებაში სიმღერისას. ახლა ხმამაღლა მღეროდა. „ხმამაღლა“, - გაიფიქრა ჯონიმ. საკუთარ ხმას აღარ უკვირდებოდა, მთელი ყურადღება შესრულების გარეგნულ ფორმაზე გადაიტანა. თავში თითქოს მეტრონომი ჰქონდა, რომელიც არასოდეს ცდებოდა. უბრალოდ, ცოტა ვარჯიში იყო საჭირო.

ბოლოს და ბოლოს, სიმღერა შეწყვიტა. ტინა მასთან მივიდა და თვალებგაბრწყინებულმა აკოცა.

- ახლა მივხვდი, რატომ დადის დედაჩემი შენს ყველა ფილმზე, - უთხრა მან.

ასეთი რაღაცის თქმა ჯონისთვის მხოლოდ ასეთ მომენტში თუ შეიძლებოდა, სხვა დროს ნამდვილად გაბრაზდებოდა. ახლა კი ჯონისა და ნინოს, უბრალოდ, გაეცინათ.

მაგნიტოფონი ჩართეს. ახლა ჯონის საკუთარი თავისთვის მართლა შეეძლო მოესმინა. ხმა ნამდვილად შეეცვალა, საკმაოდ შეეცვალა, მაგრამ ეს ხმა მაინც აშკარად ჯონი ფონტეინის კუთვნილი ხმა იყო. უფრო მდიდრული და ღრმა გახდა, როგორც თავიდანვე იგრძნო, - უფრო მეტად მამაკაცის ხმასავით ჟღერდა, ბიჭის ხმას აღარ ჰგავდა. ხმაში ნამდვილი ემოცია და ხასიათი კიდევ მეტად იგრძნობოდა. ტექნიკური თვალსაზრისით კი მისი სიმღერა გაცილებით სრულყოფილი გახლდათ, ვიდრე ოდესმე ყოფილა. ჭეშმარიტად ოსტატური შესრულება იყო. და თუკი ასე იმღერა ახლა, რას იზამს, როცა ფორმაში შევა? ჯონიმ ნინოს გაუღიმა.

- მართლა ასეთი კარგია, როგორც მგონია? - ჰკითხა ნინოს.

ნინომ მის ბედნიერებისგან გაბრწყინებულ სახეს დაფიქრებით შეხედა.

- ძალიან კარგია, - თქვა მან, - მაგრამ ვნახოთ, ხვალ როგორ იმღერებ.

ჯონის ეწყინა.

- ნაბიჭვარო, კარგად იცი, შენ თვითონ ასე ვერასოდეს იმღერებ, - თქვა მან, - ხვალინდელზე კი ნუ ღელავ. მშვენივრად ვგრძნობ თავს.

მაგრამ იმ საღამოს აღარ უმღერია. ქალებთან ერთად ივახშმეს. ტინამ ღამე მის ლოგინში გაატარა. ჯონის სასწაულები ნამდვილად არ მოუხდენია. ქალი, ცოტა არ იყოს, იმედგაცრუებული დარჩა. „ჯანდაბას, - გაიფიქრა ჯონიმ, - ყველაფერს ერთ დღეს ხომ ვერ გააკეთებს კაცი“.

დილით ბუნდოვანი შეგრძნებით გაეღვიძა, - თითქოსდა ხმის დაბრუნება დაესიზმრა. შემდეგ, როცა დარწმუნდა, რომ ეს სიზმარი არ ყოფილა, შეეშინდა, რომ ხმა ისევ წაუვიდოდა. ფანჯარასთან მივიდა და ცოტა წაიმღერა, შემდეგ, ჯერ კიდევ პიჟამაში გამოწყობილი, სასტუმრო ოთახში ჩავიდა. როიალს მიუჯდა, მელოდია შეარჩია და შეეცადა, ემღერა. დაგუდულად გამოუვიდა, მაგრამ ყელი არ სტკიოდა და არც უხურდა, ასე რომ, სიმღერა გააგრძელა. აკორდები ნამდვილად მსუყე გამოსდიოდა, თანაც, ძალის დაძაბვა სრულიად არ სჭირდებოდა. ხმა თავისით, თავისუფლად იფრქვეოდა. ჯონი მიხვდა - შავმა დროებამ ჩაიარა, ხმა სამუდამოდ დაუბრუნდა და უკვე არაფერს აღარ ჰქონდა მნიშვნელობა: არც ფილმებს, არც იმას, რომ ტინა ბოლომდე ვერ დააკმაყოფილა, არც იმას, რომ ვირჯინიამ შეიძულა, რადგან ხმა

დაუბრუნდა. ერთადერთი იმაზე სწყდებოდა გული, რომ ხმა მაშინ არ მოუვიდა, როცა ქალიშვილებისთვის უნდოდა ემღერა. რა მშვენიერი იქნებოდა. როგორ გაახარებდა!

*

მომვლელმა ოთახში მომცრო გორგოლაჭიანი მაგიდა შემოაგორა, რომელზეც მედიკამენტები ეწყო. ჯონი წამოდგა და ნინოს გახედა, - ეძინა, ანდა, შეიძლება, კვდებოდა კიდეც. ჯონიმ იცოდა, ნინოს არასოდეს მისი ხმისა არ შურდა, მაგრამ იმწამს გააცნობიერა - ნინოს შეშურდა, ესოდენ ბედნიერად რომ იგრძნო თავი, როცა ხმა დაუბრუნდა, სიმღერა ამდენს რომ ნიშნავდა მისთვის. ახლა ცხადი გახდა, ნინო ვალენტის ამქვეყნად არაფერი ენაღვლება იმდენად, რომ სიცოცხლე მოანდომოს.

თავი ოცდამეშვიდე

მაიკლ კორლეონე ლას-ვეგასში გვიან საღამოს ჩაფრინდა. წინასწარ ბრძანა, აეროპორტში არავინ დახვედროდა. თან მხოლოდ ორი კაცი ახლდა: ტომ ჰეიგენი და ახალი მცველი, ალბერტო ნერი.

მაიკლისა და მის თანმხლებთათვის ოტელის საუკეთესო აპარტამენტები გაამზადეს. სასტუმროში უკვე ელოდებოდნენ ისინი, ვისი ნახვაც სურდა.

ფრედი ძმას სიხარულით გადაეხვია. გასუქებული, უფრო კეთილგანწყობილი, გულისხმიერი და გაცილებით უკეთ ჩაცმული იყო. შესანიშნავად შეკერილი შავი აბრეშუმის კოსტიუმი ეცვა, ყველა საჭირო აქსესუარით. თმა კინოვარსკვლავივით საგულდაგულოდ ჰქონდა დავარცხნილი, პირი სუფთად გაპარსული, ფრჩხილები - მოვლილ-დამუშავებული. სრულიად სხვა კაცი იყო, არაფრით ჰგავდა იმას, ოთხი წლის წინ ნიუ-იორკიდან რომ გახიზნეს.

ფრედიმ რამდენიმე ნაბიჯით უკან დაიხია და ძმას სიყვარულით შეხედა.

- ახლა გაცილებით უკეთესად გამოიყურები, სახე რომ გაისწორე. როგორც იქნა, შენმა ცოლმა გაიძულა, არა, ოპერაციის გაკეთება? ქეი როგორ არის? როდის ჩამოვა და მოგვინახულებს?

მაიკლმა ძმას გაუღიმა.

- შენც მშვენივრად გამოიყურები. ქეი ჩემთან ერთად აპირებდა ჩამოსვლას, მაგრამ ბავშვი ჰყავს. თანაც, მეორეზეა ორსულად, თავს უნდა გაუფრთხილდეს. გარდა ამისა, ფრედი, ეს საქმიანი ვიზიტია, ხვალ საღამოს ან ზეგ დილით უკან დაბრუნებას ვაპირებ.

- ჯერ ცოტა წაიხემსე, - უთხრა ფრედიმ, - სასტუმროში ძალიან მაგარი მზარეული გვყავს, ისეთ გემრიელ რაღაცებს გაჭმევთ, სიცოცხლეში რომ არ გაგისინჯავს. მიდი, შხაპი მიიღე და ამასობაში სუფრაც გაიშლება. ყველა აქაა, ვისი ნახვაც გინდა, გელოდებიან.

- იცი რა, მოდი, მო გრინი ბოლოს მოვიტოვოთ. ო,კეი? - შესთავაზა მაიკლმა, - ვახშამზე ჯონი ფონტეინი და ნინო დაპატიჟე... და ლუსი თავის მეგობარ ექიმთან ერთად. თანაც ვილაპარაკოთ.

მაიკლი ტომ ჰეიგენს მიუბრუნდა.

- რამე ხომ არ გინდა დაუმატო, ტომ? - ჰკითხა მას.

ჰეიგენმა უარის ნიშნად თავი გააქნია. ფრედიმ ტომს გაცილებით ნაკლები კეთილგანწყობით შეხედა. ჰეიგენი ხვდებოდა, რაში იყო საქმე. ფრედი მამამისის „შავ სიაში“ მოხვდა და ამაში ნაწილობრივ კონსილიორის ადანაშაულებდა. ჰეიგენი, თავის მხრივ, სიამოვნებით გამოასწორებდა ამ სიტუაციას, მაგრამ არ იცოდა, ფრედიმ დონის გულისწყრომა რით დაიმსახურა. დონი უკმაყოფილებას ხმამაღლა არ გამოთქვამდა ხოლმე. უბრალოდ, აგრძნობინებდა.

თორმეტი საათი შესრულდა, სანამ მაიკლის აპარტამენტებში გაშლილ სუფრასთან თავი მოიყარეს. ლუსიმ მაიკლს აკოცა, არ უთქვამს, სახე ოპერაციის შემდეგ გაცილებით უკეთ რომ ჰქონდა. ჯულ სეგალმა მაიკლის ყბას თვალი შეავლო და უთხრა: - კარგი ნამუშევარია. მშვენივრად შეხორცებულა. ცხვირი წესრიგში გაქვს?

- სრულ წესრიგში, - მიუგო მაიკლმა, - დიდი მადლობა დახმარებისთვის.

ვახშამზე ყველა მაიკლს ადევნებდა თვალს. ლაპარაკითა და ქცევით დონს საოცრად დამსგავსებოდა. უცნაური იყო, მაგრამ ზუსტად ისეთივე პატივისცემის გრძნობასა და რიდს იწვევდა, თუმცა კი თავი სრულიად ბუნებრივად ეჭირა. ჰეიგენი, როგორც ყოველთვის, ჩრდილში რჩებოდა. ახალი მცველი ასევე მორიდებით იქცეოდა. ალბერტო ნერიმ თქვა, რომ არ შია და შემოსასვლელ კართან სავარძელში მოთავსდა ადგილობრივი გაზეთით ხელში. კითხვას შეუდგა.

მას მერე, რაც რამდენიმე ჭიქა დალიეს და საჭმელიც მიირთვეს, ოფიციანტები დაითხოვეს. მაიკლმა ჯონი ფონტეინს უთხრა: - გავიგე, რომ ხმა დაგიბრუნდა. და ხმასთან ერთად, თაყვანისმცემლებიც. გილოცავ.

- გმადლობ, - მიუგო ჯონიმ.

ჯონის ერთი სული ჰქონდა, როდის გაიგებდა, რა საქმე ჰქონდა მაიკლს. ნეტავ რა სამსახურის გაწევას სთხოვენ?

მაიკლმა ყველა იქ მყოფს ერთდროულად მიმართა.

- კორლეონეს ოჯახი ლას-ვეგასში გადმოსვლას ფიქრობს. ჩვენი ზეთისხილის ზეთის იმპორტის ბიზნესი გვინდა გავყიდოთ და აქ დავსახლდეთ. დონმა, ტომ ჰეიგენმა და მე ვითათბირეთ და იმ დასკვნამდე მივედით, რომ ჩვენი ოჯახის მომავალი აქაა. ეს არ ნიშნავს, რომ ახლავე გადმოვსახლდებით ან, თუნდაც, ერთ წელიწადში. ყველაფრის მოგვარებამ შეიძლება ორი, სამი ან ოთხი წელიც კი მოითხოვოს. ეს ზოგადი გეგმაა. ჩვენი მეგობრები ამ სასტუმროსა და კაზინოს დიდი წილის მფლობელები არიან, ამდენად, ჩვენი ბაზა აქ იქნება. მო გრინი თავის წილს მოგვყიდის, ასე რომ, სასტუმრო მთლიანად ჩვენი ოჯახის მეგობრების ხელში გადავა.

ფრედის მთვარესავით სახეზე ეჭვი გამოესახა.

- მაიკლ, დარწმუნებული ხარ, რომ მო გრინი თავის წილს გაყიდის? ჩემთვის არაფერი უთქვამს, თანაც, უყვარს თავისი ბიზნესი. არა მგონია, გაყიდოს.

- ისეთ წინადადებას შევთავაზებ, რომელზეც უარს ვეღარ იტყვის, - ჩუმად თქვა მაიკლმა.

ამ ჩვეულებრივი ტონით ნათქვამმა სიტყვებმა იქ მყოფებზე საოცრად იმოქმედა, ჟრუანტელმა დაუარათ. ეს დონის საყვარელი ფრაზა იყო. მაიკლი ჯონი ფონტეინს მიუბრუნდა.

- დონს შენი იმედი აქვს, რომ საქმის დაწყებაში დაგვეხმარები, - თქვა მაიკლმა, - მოთამაშეების მოსაზიდად გასართობს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. იმედი გვაქვს, ხელს მოაწერ კონტრაქტს წელიწადში ხუთჯერ გამოსვლაზე აქ, ვეგასში, ვთქვათ, თითოკვირიანი გასტროლებით. იმედი გვაქვს, აგრეთვე, რომ შენი მეგობრები კინოს სამყაროდან იმავეს გააკეთებენ. მათთვის დიდი სამსახური გაქვს გაწეული. ასე რომ, ახლა თავისუფლად შეგიძლია სთხოვო მსგავსი რამ.

- რა თქმა უნდა, - თქვა ჯონიმ, - ნათლიასთვის ყველაფერს გავაკეთებ, შენ ეს კარგად იცი, მაიკლ.

ჯონი ფონტეინის ხმაში მაიკლმა მცირედი ეჭვი მაინც შენიშნა. მაიკლმა გაიღიმა და უთხრა: - არც შენ და არც შენი მეგობრები ამ საქმით წაგებულები არ დარჩებით. პირადად შენ სასტუმროს შემოსავლიდან პროცენტს მიიღებ. ასევე, შენს მეგობართაგან ისიც, ვინც, შენი აზრით, ამის ღირსი იქნება. გჯერა ჩემი, ჯონი? იცოდე, დონის სახელით ვლაპარაკობ.

- როგორ არ მჯერა, მაიკლ, - სასწრაფოდ მიუგო ჯონიმ, - მაგრამ ახლა აქ, სულ მცირე, ათი სასტუმრო მაინც შენდება თავისი კაზინოებიანად. ამ ბაზარზე შემოსვლა შეიძლება დაგაგვიანდეთ და თქვენი ადგილი ვეღარ ნახოთ.

საუბარში ჰეიგენი ჩაერია.

- კორლეონეს ოჯახის მეგობრები სამი სასტუმროს მშენებლობას აფინანსებენ, - თქვა მან.

ჯონი უმალ მიხვდა, რომ ეს სამი სასტუმრო კორლეონეს ოჯახის საკუთრებაა. ასე რომ, პროცენტიც სოლიდურ თანხას შეადგენს.

- ახლავე ვიწყებ ამაზე მუშაობას, - თქვა ჯონიმ.

მაიკლი ლუსისა და ჯულ სეგალს მიუბრუნდა.

- შენ წინაშე ვალში ვარ, - უთხრა ჯულს, - გაგონილი მაქვს, ისევ გინდა ნამდვილი ოპერაციების კეთება, მაგრამ საავადმყოფოები იმ ძველი აბორტის გამო ამის უფლებას არ გაძლევენ. მინდა დავაზუსტო, მართლა გინდა?

ჯულმა გაიღიმა.

- მგონი, მინდა, - თქვა მან, - მაგრამ შენ სამედიცინო საზოგადოებას არ იცნობ. რაც უნდა ძალაუფლებას ფლობდე, მათზე ეს არ მოქმედებს. ვშიშობ, ამ საქმეში ვერ დამეხმარებით.

მაიკლმა თავი დაუქნია.

- შენ მართალი ხარ, - ჩაილაპარაკა მან, - მაგრამ რამდენიმე ჩემი მეგობარი ლას-ვეგასში დიდი საავადმყოფოს აშენებას აპირებს. ქალაქი იზრდება და მომავალშიც გაიზრდება. ასე რომ, კარგი საავადმყოფო აუცილებლად დასჭირდება. იქნებ მოგცენ საოპერაციოში შესვლის უფლება, თუკი დაველაპარაკებით, როგორც საჭიროა. ჯანდაბას, აქ, უდაბნოში, რამდენი კარგი ქირურგის ჩამოყვანას მოახერხებენ? ჩვენ მათ დიდ საქმეს ვუკეთებთ. ასე რომ, აქ იყავი. გავიგე, შენ და ლუსი დაქორწინებას აპირებთ

ჯულმა მხრები აიჩეჩა.

- როცა დავრწმუნდები, რომ მომავალი უზრუნველყოფილი მაქვს, - თქვა მან.

- მაიკლ, საავადმყოფოს თუ არ ააშენებთ, შინაბერად მოვკვდები, - თქვა ლუსიმ.

ყველამ გაიცინა. ყველამ, გარდა ჯულ სეგალისა. მაიკლს ჰკითხა: - თუკი საავადმყოფოში ადგილს მივიღებ, დამატებითი ვალდებულებები მექნება თუ არა?

- არავითარი დამატებითი ვალდებულებები, - ცივად მიუგო მაიკლმა, - შენ წინაშე ვალში ვარ და მინდა, დაგიბრუნო.

ლუსიმ ჩუმად უთხრა: - ნუ ბრაზობ, მაიკლ.

მაიკლმა გაიღიმა.

- არ ვბრაზობ, - თქვა მან და ჯულს მიუბრუნდა, - ეგ სისულელე არ უნდა გეთქვა. კორლეონეს ოჯახმა შენი გულისთვის თავისი კავშირები აამოქმედა. როგორ გგონია, იმდენად ბრიყვი ვარ, რომ იმის გაკეთებას გთხოვ, რაც გულზე არ გეხატება? და თუნდაც გთხოვო, მერე რა? როცა გასაჭირში აღმოჩნდი, შენს დასახმარებლად ვინმემ თითი მაინც თუ გაანძრია? როცა გავიგე, ისევ გინდა ნამდვილი ქირურგობა, უამრავი დრო დავხარჯე, რომ გამერკვია, რამდენად იყო ეს შესაძლებელი, როგორ დაგხმარებოდი. მე შემიძლია ეს საქმე გაგიკეთო. არაფერს გთხოვ, მაგრამ, სულ მცირე, უნდა მიხვდე, მეგობრული ურთიერთობა უნდა გვქონდეს და, თუ საჭიროა, ის უნდა გამიკეთო, რასაც ნებისმიერ კარგ მეგობარს გაუკეთებდი. მხოლოდ ესაა შენი ვალდებულება. თუმც შენი ნებაა, შეგიძლია უარი თქვა.

ტომ ჰეიგენმა თავი დახარა და გაიღიმა. დონიც კი ვერ იტყოდა უკეთესად.

ჯული წამოწითლდა.

- მაიკლ, მე ეს არ მიგულისხმია. უაღრესად მადლობელი ვარ შენი და მამაშენის. დაივიწყე, რაც ვთქვი.

მაიკლმა თავი დაუქნია და უთხრა: - კარგი. სანამ საავადმყოფო აშენდება, ოთხი სასტუმროს სამედიცინო უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი იქნები. შეარჩიე პერსონალი. ხელფასს მოგიმატებთ, მაგრამ ამაზე ტომს მოგვიანებით დაელაპარაკე... შენ კი, ლუსი, მინდა, უფრო მნიშვნელოვანი საქმეებით დაკავდე. შესაძლოა, ეს იყოს ყველა მაღაზიის საქმიანობის კოორდინაცია, რომლებიც სასტუმროების ჰოლებში გაიხსნება. კოორდინაცია ფინანსური თვალსაზრისით; ანდა ქალიშვილების შერჩევას

დაგავალებთ, რომლებიც კაზინოებში იმუშავებენ. მოკლედ, რაიმე მაგდაგვარი. ასე რომ, თუკი ჯული ცოლად არ შეგირთავს, შეძლებ მდიდარ შინაბერად მოკვდე.

ფრედი სიგარას ნერვიულად ექაჩებოდა. მაიკლი მიუბრუნდა და ფრთხილად უთხრა: - მე მხოლოდ და მხოლოდ დონის დავალებების შემსრულებელი ბიჭი ვარ. რა უნდა გააკეთო, თვითონ გეტყვის, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ეს საკმარისად დიდი საქმე იქნება იმისთვის, რომ თავი ბედნიერად იგრძნო. შენზე ყველა გვეუბნება, ძალიან კარგად მუშაობსო.

- მაშინ რატომ მიბრაზდება? - იკითხა ფრედიმ საწყლად, - მხოლოდ იმიტომ, რომ კაზინოს მოგება არ მოაქვს? მაგრამ ამას მე კი არა, მო გრინი აკონტროლებს. რა უნდა მამას ჩემგან?

- ეგ ნუ გაწუხებს, - უთხრა მაიკლმა. მერე ჯონი ფონტეინს მიუბრუნდა და ჰკითხა: - სად არის ნინო? მასთან შეხვედრა მინდოდა.

ჯონიმ მხრები აიჩეჩა.

- ძალიან ცუდადაა. ნომერშია, ლოგინში წევს. მომვლელი ადგას თავზე, მაგრამ ექიმი ამბობს, საგიჟეთში დავაწვინოთო, თავის მოკვლა უნდაო. წარმოგიდგენია, ნინოს!

მაიკლი გულწრფელად გაოცდა.

- ნინო ყოველთვის მართლა კარგი ბიჭი იყო. არასოდეს გამიგია, რამე ცუდი გაეკეთებინოს, ვინმესთვის ედამპლოს. არასოდეს არაფერი აწუხებდა განსაკუთრებით. სასმელს თუ არ ჩავთვლით.

- ეგრეა, - თქვა ჯონიმ, - ფულიც ბლომად ჰქონდა და სამუშაოც, კინოშიც და ესტრადაზეც. ბოლო ფილმში ორმოცდაათი ათასი აიღო და მაშინვე დახარჯა. სახელი და პოპულარობა არ აინტერესებს. მთელი ეს წლები ძმაკაცები ვიყავით. რაც თავი მახსოვს, მართლა ერთხელაც არ უდამპლია. ახლა კი თავს ლოთობით იკლავს.

ჯულმა რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ ამ დროს კარზე დააკაკუნეს. ძალიან გაუკვირდა, რომ კაცი, რომელიც ყველაზე ახლოს იჯდა კართან, არ განძრეულა. სავარძელში მჯდომმა ალბერტო ნერიმ გაზეთის კითხვა მშვიდად განაგრძო. კარი ჰეიგენმა გააღო. ნომერში თავის ორ მცველთან ერთად მო გრინი შემოვიდა, ჰეიგენი ლამის გვერდზე გასწია.

მო გრინი მაღალი კაცი იყო, რომელმაც სახელი გაითქვა, როგორც პროფესიონალმა მკვლელმა ბრუკლინში. აზარტული თამაშების ბიზნესში შეძვრა, მერე კი დასავლეთში გაემგზავრა, იქ რომ ეცადა ბედი. პირველი იყო, ვინც მიხვდა, რა პერსპექტივები ჰქონდა ლას-ვეგასს, და იქ სასტუმრო და კაზინო ერთ-ერთმა პირველმა ააშენა. დროდადრო სასტიკად, ლამის სადისტურად იქცეოდა. სასტუმროში მისი ყველას ეშინოდა, მათ შორის, ფრედის, ლუსისა და ჯულ სეგალს. მისგან თავი, შეძლებისდაგვარად, შორს ეჭირათ.

მო გრინი დაღვრემილი იყო.

- შენთან ლაპარაკი მინდა, - უთხრა მაიკლ კორლეონეს, - ხვალ ძალიან დაკავებული ვიქნები, ამიტომ ახლა შემოგიარე. რას იტყვი?

მაიკლმა მო გრინს მეგობრულად, თუმც კი გაოცებით შეხედა.

- რა თქმა უნდა, - თქვა მან, მერე ჰეიგენს მიუბრუნდა და უთხრა, - ტომ, მისტერ გრინს ვისკი დაუსხი.

ჯულმა შენიშნა, ალბერტო ნერი მო გრინს როგორი ყურადღებით აკვირდებოდა. მის მცველებს, რომლებიც კარს მიყუდებულები იდგნენ, ზედაც არ უყურებდა. ჯულმა იცოდა, ნებისმიერი ძალადობა აქ, უშუალოდ ვეგასში, სრულიად გამორიცხული იყო. ეს უსასტიკესად გახლდათ აკრძალული, რადგან ძალადობა ლას-ვეგასის სათამაშო ბიზნესის ლეგალურ სამოთხედ გადაქცევის გეგმას ძირს გამოუთხრიდა.

მო გრინმა თავის მცველებს მიმართა: - მოიტანეთ ჟეტონები, რომ ამ ხალხმა კაზინოში ითამაშოს.

ცხადია, ლუსის, ჯულს, ჯონი ფონტეინსა და მაიკლის მცველს, ალბერტო ნერის, გულისხმობდა.

მაიკლმა თავი დაუქნია.

- კარგი იდეაა, - თქვა მან.

მხოლოდ ამის შემდეგ ადგა ალბერტო ნერი და სტუმრების გასაცილებლად მოემზადა.

დამშვიდობების შემდეგ ნომერში ფრედი, ტომ ჰეიგენი, მო გრინი და მაიკლ კორლეონე დარჩნენ.

მო გრინმა ჭიქა მაგიდაზე დადგა და დაუფარავი ბრაზით თქვა: - გავიგე, კორლეონეს ოჯახი ჩემი წილის ყიდვას აპირებს! აქეთ გიყიდით ყველას. იცოდეთ, მე არ ვიყიდები.

- ყოველგვარი ლოგიკის საწინააღმდეგოდ შენი კაზინო წაგებაზე მუშაობს, - თქვა მაიკლმა, - ეტყობა, რაღაც შეცდომას უშვებ. იქნებ ჩვენ უკეთესად გამოგვივიდეს ეგ საქმე.

მო გრინმა უხეშად გაიცინა.

- თქვე ბინძურო იტალიელებო, როცა გიჭირდათ, ფრედი შევიფარე, სიკეთე გაგიკეთეთ, ახლა კი საქმიდან ჩემი გაყვანა გინდათ, მაგრამ არაფერი გამოგივათ. მე ბევრი მეგობარი მყავს.

მაიკლი კვლავაც მშვიდად ლაპარაკობდა: - შენ ფრედი მიიღე იმიტომ, რომ კორლეონეს ოჯახმა საკმარისად დიდი თანხა გადმოგცა, სასტუმროსთვის ავეჯი რომ გეყიდა და კაზინო მოგეწყო. მოლინარის ოჯახმა ფრედის უსაფრთხოების დაცვა ითავა და შენ რაღაც სამსახური გაგიწია იმისთვის, რომ შეიფარე. კორლეონეს ოჯახსა და შენ ერთმანეთის არაფერი გმართებთ. რატომ ბრაზობ, არ მესმის. ჩვენ ვიყიდით შენს წილს ნებისმიერ რეალურ ფასად, რომელსაც დაასახელებ. რა არის ამაში ცუდი ან უსამართლო? შენი კაზინო წაგებაზე მუშაობს, ჩვენ კიდევ შენთვის სასარგებლო წინადადებას გთავაზობთ.

მო გრინმა უარის ნიშნად თავი გააქნია.

- კორლეონეს ოჯახს ის ძველი ძალა აღარ გააჩნია. ნათლია ავადაა. სხვა ოჯახები ნიუ-იორკიდან გაგდებენ და თქვენ გგონიათ, ლას-ვეგასში თბილად მოეწყობით. მაიკლ, გირჩევ, არც ეცადო.

- ამიტომაც იფიქრე, რომ შეგიძლია თავს უფლება მისცე ფრედის სახალხოდ სილა გააწნა? - ჰკითხა მაიკლმა ტკბილი ხმით.

ამ სიტყვებმა ჰეიგენზე გამაოგნებლად იმოქმედა, მიბრუნდა და ფრედის შეხედა. ფრედი გაწითლდა.

- ო, მაიკლ, ეგ არაფერია, - თქვა ფრედიმ, - მო გრინი ცუდს არაფერს ფიქრობდა. ზოგჯერ წონასწორობას კარგავს, მაგრამ ჩვენ მეგობრები ვართ მაინც, არა, მო?

მო გრინმა გადაწყვიტა, მეტი სიფრთხილე გამოეჩინა.

- ჰო, რასაკვირველია, - თქვა მან, - საქმე წესიერად რომ მიდიოდეს, ზოგჯერ იძულებული ვარ, ჩემს ხალხს პანღური ამოვარტყა ხოლმე. ფრედიზე იმიტომ გავბრაზდი, რომ ყველა ოფიციანტ ქალს ზედიზედ ჟიმავდა, თანაც, იმ დროს, როცა სამუშაო ჰქონდათ. ცოტა ვიკამათეთ, მაგრამ მერე ყველაფერი მოგვარდა.

მაიკლმა ფრედის სრულიად ნეიტრალური გამომეტყველებით ჰკითხა: - გამოსწორდი, ფრედი?

ფრედი უმცროს ძმას მიაჩერდა. არაფერი უპასუხა. გრინმა გაიცინა და თქვა: - ეს ნაბიჭვარი ორ-ორ ქალს იწვენდა ლოგინში და ერთად ჟიმავდა, სენდვიჩის ვარიანტში. უნდა ვაღიარო, ფრედი, ეგ საქმე კარგად გამოგდის. მას მერე, რაც შენს ხელში გაიარეს, სხვა ვეღარავინ აკმაყოფილებთ.

ჰეიგენმა შენიშნა, რომ ამ ნათქვამმა მაიკლი გააოცა. ერთმანეთს გადახედეს. შესაძლოა, ესაა დონის გულისწყრომის ნამდვილი მიზეზი. დონი ძალზე მკაცრი გახლდათ ყველაფერში, რაც სექსს ეხებოდა. ორი ქალის ერთდროულად გაჟიმვა, დონის აზრით, ფრედის სრული დეგრადაციის მაჩვენებელი იქნებოდა. გარდა ამისა, მისცე უფლება, ფიზიკურად დაგამცირონ ისეთმა კაცმა, როგორიც მო გრინია, ნიშნავს, კორლეონეს ოჯახის რეპუტაცია შელახო. დონის უკმაყოფილების მიზეზი ესეც შეიძლება ყოფილიყო.

მაიკლი წამოდგა და თქვა: - ხვალ ნიუ-იორკში ვბრუნდები, ასე რომ, ფასზე იფიქრე.

მო გრინმა დაიღრიალა: - შე ნაბიჭვარო, რა გგონია, ასე უბრალოდ შეგიძლია მომისროლო? უფრო მეტი კაცი მომიკლავს, ვიდრე შენ დაგსიზმრებია. ნიუ-იორკში გადავფრინდები და დონს მე თვითონ დაველაპარაკები. იქით შევთავაზებ რაღაცას.

ფრედი ანერვიულდა და ჰეიგენს მიმართა: - ტომ, შენ ხომ კონსილიორი ხარ, იქნებ დაელაპარაკო დონს და რჩევა მისცე.

და ამ დროს მაიკლმა დაგროვილი ბოღმა ფრედისა და მო გრინს დაანახვა.

- დონი საქმეებს თითქმის ჩამოშორდა, საკუთარი ნებით, - თქვა მან, - ახლა ოჯახს მე ვმართავ. ტომი კონსილიორობიდან მოვხსენი. აქ, ლას-ვეგასში, ჩვენი ადვოკატი

იქნება. რამდენიმე თვეში გადმოსახლდება ოჯახთან ერთად და იურიდიული საკითხების მოგვარებას დაიწყებს. ასე რომ, თუკი გინდათ რამე თქვათ, მე მითხარით.

არავინ უპასუხა. მაიკლმა ოფიციალური ტონით განაგრძო: - ფრედი, შენ ჩემი უფროსი ძმა ხარ და პატივს გცემ, მაგრამ ოჯახის ინტერესების წინააღმდეგ არასოდეს წახვიდე. ამჯერად დონს არაფერს ვეტყვი.

მაიკლი მო გრინს მიუბრუნდა.

- ნუ შეურაცხყოფ ადამიანებს, რომლებიც ცდილობენ, დაგეხმარონ. ჯობია, შენი ენერგია იმის გარკვევას მოახმარო, რატომ კარგავს კაზინო ფულს. კორლეონეს ოჯახმა დიდი თანხა ჩადო ამაში, მოგება კი ჯერაც არ ჩანს. თუმცა, ამისდა მიუხედავად, მე შენთვის შეურაცხყოფა არ მომიყენებია. მე დახმარების ხელს გიწვდი. თუ გინდა, ამ ხელს დააფურთხო, შენი საქმეა. მე მეტს ვერაფერს ვიტყვი.

მაიკლს ხმა ერთხელაც არ აუწევია, მაგრამ მისმა ნათქვამმა ფრედი და მო გრინი გამოაფხიზლა. მაიკლმა ყურადღებით შეხედა მათ, მერე კი მაგიდას მოშორდა. ამით აგრძნობინა, რომ ელოდება, როდის დატოვებენ ოთახს. ჰეიგენი კართან მივიდა და გააღო. ორივენი დაუმშვიდობებლად გავიდნენ.

*

მეორე დღეს მაიკლ კორლეონემ მო გრინისგან შეტყობინება მიიღო: სასტუმროს კუთვნილ წილს არანაირ ფულად არ გავყიდიო. მაიკლს ეს ამბავი ფრედიმ გადასცა. მაიკლმა მხრები აიჩეჩა და ფრედის უთხრა: - ნიუ-იორკში დაბრუნებამდე ნინოს ნახვა მინდა.

ნინოს აპარტამენტებში ჯონი ფონტეინი დახვდათ, რომელიც სავარძელში იჯდა და საუზმობდა. ამ დროს საძინებელში, დახურული ფარდების მიღმა, ექიმი სეგალი ნინოს სინჯავდა. ბოლოს და ბოლოს, ფარდა გადაიწია.

ნინოს გარეგნულმა მდგომარეობამ მაიკლი შეაძრწუნა. ცოცხალ ადამიანს აღარ ჰგავდა - თვალები გაშეშებული, პირი მუდმივად ღია, სახის კუნთები მოდუნებული. მაიკლი საწოლის კიდეზე ჩამოჯდა და უთხრა: - ნინო, ძალიან მიხარია, რომ შეგხვდი. დონი მუდმივად გკითხულობს.

ნინომ თავისი ძველი ღიმილით გაუღიმა.

- გადაეცი, რომ ვკვდები. შოუბიზნესი უფრო საშიში აღმოჩნდა, ვიდრე ზეთისხილის ზეთის ბიზნესი.

- კარგად იქნები, - უთხრა მაიკლმა, - თუ ოჯახს რაიმეთი შეუძლია შენი დახმარება, ოღონდ თქვი.

ნინომ უარის ნიშნად თავი გააქნია.

- ვერაფრით დამეხმარებით, - თქვა მან, - ვერაფრით.

მაიკლი კიდევ ცოტას ელაპარაკა, მერე ადგა და გავიდა. ფრედიმ აეროპორტში გააცილა, მაგრამ, მისივე თხოვნით, თვითმფრინავის გაფრენას აღარ დალოდებია.

როდესაც მაიკლი, ტომ ჰეიგენი და ალბერტო ნერი თვითმფრინავში ავიდნენ, მაიკლი ნერის მიუბრუნდა და ჰკითხა: - კარგად დაიმახსოვრე?

ნერიმ ხელი შუბლზე მსუბუქად მიიკაკუნა.

- მო გრინი აქა მყავს ჩაბეჭდილი, - თქვა მან.

თავი ოცდამერვე

თვითმფრინავში, რომელსაც გეზი ნიუ-იორკისაკენ ეჭირა, მაიკლმა დაძინება სცადა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. მისი ცხოვრების ყველაზე საშიში, შესაძლოა, საბედისწერო პერიოდი იწყებოდა. საქმის გადადება აღარ გამოვიდოდა. ყველაფერი მზად იყო, უსაფრთხოების ზომებიც წინასწარ ჰქონდათ მიღებული. ამ ზომებს ორი წლის განმავლობაში ამზადებდნენ. საქმის გაჭიანურება უკვე შეუძლებელი იყო. წინა კვირას დონმა ოფიციალურად გამოუცხადა კაპორეჟიმეებსა და ოჯახის სხვა წევრებს, რომ საქმეს მთლიანად თავს ანებებს. მაიკლი ხვდებოდა, ამით მამამ უთხრა, რომ მისი დრო მოვიდა.

სამი წელი გავიდა მას მერე, რაც სიცილიიდან დაბრუნდა და ორი წელი - რაც ქეი ცოლად შეირთო. ეს სამი წელი საოჯახო ბიზნესის შესწავლას მოანდომა. ტომ ჰეიგენსა და თვით დონთან ერთად არაერთი საათი გაატარა. გაოცებული დარჩა, კორლეონეს ოჯახი სინამდვილეში რამდენად ძლიერი და მდიდარი ყოფილა. ნიუ-იორკის ცენტრში ძალზე ძვირად ღირებულ შენობებს ფლობდა, სადაც ოფისები იყო განლაგებული. უოლ-სტრიტზე ორი საბროკერო ფირმის კომპანიონი გახლდათ, ლონგ-აილენდის რამდენიმე ბანკში, აგრეთვე, ტანსაცმლის გამომშვებ რამდენიმე ფირმაში წილი ჰქონდა, და ეს ყველაფერი - აზარტული თამაშების არალეგალური ბიზნესის გარდა.

ყველაზე საინტერესო ამბავი, რომელიც მაიკლმა გაიგო, როდესაც ძველ საქმეებს ეცნობოდა, ის იყო, რომ თურმე ომის დამთავრების შემდეგ კორლეონეს ოჯახი ფულს იღებდა ჯგუფისგან, რომელიც გრამფირფიტებს არალეგალურად უშვებდა. ცნობილი მომღერლების ჩანაწერებიან ამ ფირფიტებს ისე ოსტატურად ამზადებდნენ და ავრცელებდნენ, რომ ერთხელაც არ ჩავარდნილან. რაღა თქმა უნდა, ამ ფირფიტებს მომღერლებისა და ოფიციალური ფირმებისათვის ერთი ცენტი შემოსავალი არ მოუტანია. მაიკლმა ყურადღება მიაქცია იმას, რომ ჯონი ფონტეინმა ამის გამო კოლოსალური ფული დაკარგა, რადგან იმ პერიოდში, სანამ ხმა ჯერ კიდევ ჰქონდა, ქვეყანაში ყველაზე პოპულარული მომღერალი იყო.

მაიკლმა ტომ ჰეიგენს ჰკითხა, რატომ მისცა დონმა ყალბისმქნელებს უფლება, მისი ნათლულის ხარჯზე გამდიდრებულიყვნენ. ჰეიგენმა მხრები აიჩეჩა. ბიზნესი ბიზნესია. თანაც იმ დროს დონი ჯონიზე გულმოსული იყო, რადგან ცოლ-შვილი მიატოვა მარგოტ აშტონის გულისთვის. ამ ამბავმა დონი სასტიკად აღაშფოთა.

- იმ ჯეელებმა საქმე როგორ შეწყვიტეს? - იკითხა მაიკლმა, - პოლიციამ ჩაიჭირა?

ჰეიგენმა უარის ნიშნად თავი გააქნია.

- არა. დონმა მფარველობაზე უარი უთხრა. ეს ზუსტად კონის ქორწილის მერე მოხდა.

ასეთ მაგალითებს მაიკლი მერეც ხშირად აწყდებოდა. დონი გასაჭირში ეხმარებოდა ხოლმე იმათ, ვისი გაჭირვებაც ნაწილობრივ მისი ორგანიზებული იყო. გაიძვერობის ან წინასწარი ბოროტგანზრახვის გამო კი არა, არამედ იმიტომ, რომ ინტერესების შეჯახება ხდებოდა, ანდა, უბრალოდ, იმიტომ, რომ ასეთია სამყაროს ბუნება - კეთილი და ბოროტი ურთიერთდაკავშირებული და გადაჯაჭვულია.

მაიკლისა და ქეის ქორწილი ნიუ-ინგლანდში ჩატარდა. ერთობ მოკრძალებული ქორწილი ჰქონდათ, მხოლოდ ოჯახის წევრები და ქეის რამდენიმე უახლოესი მეგობარი ესწრებოდნენ. ქორწილის მერე ლონგ-ბიჩის ხეივნის ერთ-ერთ სახლში დასახლდნენ. მაიკლი გაოცებული დარჩა, ქეიმ საერთო ენა დედამისსა და ხეივნის სხვა ბინადრებთან რა სწრაფად იპოვა. თანაც, რაღა თქმა უნდა, უმალ დაორსულდა, როგორც კარგი, ძველი ყაიდის იტალიელი ცოლი იზამდა, და გარკვეული როლი ამანაც ითამაშა. ორი წლის განმავლობაში, ახლა მეორე ბავშვს ელოდებოდა.

ქეი მას უთუოდ აეროპორტში დახვდებოდა. როცა მაიკლი შორეული მოგზაურობიდან ბრუნდებოდა, ქეი მართლა ბედნიერად გრძნობდა ხოლმე თავს. ასევე, მაიკლსაც მასთან შეხვედრა ძალზე უხაროდა, მაგრამ ახლა მაინც სხვა შემთხვევა იყო. ამ მოგზაურობის დასასრული ნიშნავდა, რომ მაიკლი იმ მისიის შესრულებას იწყებდა, რომლისთვისაც სამი წლის განმავლობაში ემზადებოდა. დონი ელის მას. კაპორეჟიმეები ელიან. სწორედ მან, მაიკლ კორლეონემ, უნდა გასცეს ბრძანებები და მიიღოს გადაწყვეტილებები, რომლებიც მის და მისი ოჯახის მომავალს განსაზღვრავს...

*

როცა ქეი დილაობით დგებოდა, ბავშვისთვის რომ ეჭმია, ფანჯარაში ხედავდა, დედა კორლეონე, დონის მეუღლე, რომელიმე მცველს მანქანით სადღაც მიჰყავდა. ერთ საათში უკან ბრუნდებოდნენ. ქეიმ მალე შეიტყო, რომ მისი დედამთილი ყოველ დილით ეკლესიაში დადის. უკანა გზაზე ქეისთან შეივლიდა ხოლმე შვილიშვილის სანახავად და ყავის დასალევად.

დედა კორლეონე საუბარს მუდმივად ერთი კითხვით იწყებდა - რატომ არ სურს კათოლიკობის მიღება. იგი სრულიად უგულებელყოფდა იმ ფაქტს, რომ ბავშვი უკვე პროტესტანტულად მონათლული გახლდათ. ქეი, თავის მხრივ, ეკითხებოდა, რატომ დადის ყოველ დილით ეკლესიაში, აუცილებელია ეს ყველა კათოლიკესათვის თუ არა.

და რადგან მოხუცი ქალი ფიქრობდა, ამან შეიძლება ქეის ხელი შეუშალოს კათოლიკედ ქცევაშიო, უპასუხებდა: - არა, არა, ზოგიერთი კათოლიკე ეკლესიაში მხოლოდ აღდგომასა და შობას მიდის ხოლმე. როცა მოგინდება, მაშინ ივლი.

ქეის გაეცინა.

- მაშინ რატომ დადიხართ ყოველ დილით?

დედა კორლეონემ სრულიად ბუნებრივად მიუგო: - მე ჩემი ქმრის გულისთვის დავდივარ, - იატაკზე მიუთითა, - იქ რომ არ აღმოჩნდეს, - მერე პაუზა გააკეთა და განაგრძო, - ყოველ დილით ვლოცულობ, რომ მისი სული იქ ავიდეს, - და ხელი ზეცისკენ აიშვირა. ეს მან ეშმაკური ღიმილით თქვა, თითქოსდა ქმრის ნებას

გარკვეულად ცვლიდა. ეს მართლაც ხუმრობით ნათქვამი იყო, - მის ბებრულ, ძველი ყაიდის იტალიურ სტილში. თანაც, როგორც ყოველთვის, როდესაც მისი ქმარი იქ არ გახლდათ, მის ნათქვამში დიდი დონისადმი ერთგვარი მსუბუქი უპატივცემულობა გამოსჭვიოდა.

- თქვენი მეუღლე თავს როგორ გრძნობს? - თავაზიანად იკითხა ქეიმ.

დედა კორლეონემ მხრები აიჩეჩა.

- მას მერე, რაც დაჭრეს, ის ძველი დონი აღარ არის. ძალიან გამოიცვალა. მაიკლს ნებას აძლევს, ყველა საქმე აკეთოს, თვითონ კი ბაღში წიწაკისა და პომიდვრის მოვლით იქცევს თავს. თითქოსდა ისევ გლეხია. თუმცა კაცები ყველანი ეგეთები არიან.

იმ დღეს, მოგვიანებით, ქეისთან კონი კორლეონემ მოსანახულებლად და სამასლაათოდ თავის ორ ბავშვთან ერთად შეიარა. ქეის მოსწონდა კონი, მისი ცოცხალი ხასიათი, მისი აშკარა კეთილგანწყობა მაიკლის მიმართ. კონიმ მას ზოგიერთი იტალიური კერძის დამზადება ასწავლა, მაგრამ ყველაზე რთულებს მაინც თვითონ აკეთებდა და მაიკლისათვის გამზადებული მოჰქონდა.

იმ დღეს კონიმ, ჩვეულებრივ, ქეის ჰკითხა, როგორ ჰგონია, რას ფიქრობს მაიკლი მის ქმარზე, კარლოზე? მართლა უყვარს კარლო თუ, უბრალოდ, თავს ასე აჩვენებს? კარლოს ყოველთვის წვრილ-წვრილი უსიამოვნებები ჰქონდა ოჯახთან, მაგრამ ახლა გამოსწორდა. იგი მართლა კარგად მუშაობდა პროფკავშირში, - თანაც, ამისთვის ძალიან ბევრი ენერგიისა და დროის ხარჯვა უხდებოდა. „კარლოს მართლა უყვარს მაიკლი“, - ამბობდა კონი. თუმცაღა, მაიკლი ყველას უყვარდა, ისევე როგორც მამამისი. მაიკლი თითქოსდა ხელახლა დაბადებული დონი იყო. ყველაზე სწორი გადაწყვეტილება იქნა მიღებული, - ოჯახის ზეთისხილის ზეთის ბიზნესს მაიკლი რომ უნდა გასძღოლოდა.

ქეიმ ყურადღება მიაქცია, - როდესაც კონი ოჯახის ამბებზე ლაპარაკობდა, მისი ქმრის სასარგებლოდ ნათქვამ ყოველ სიტყვას ყოველთვის ნერვიულად ელოდებოდა. ქეი ნამდვილი ბრიყვი უნდა ყოფილიყო, რომ ვერ შეენიშნა, როგორ შიშით არკვევდა კონი, მართლა უყვარს მაიკლს კარლო თუ არა. ერთხელ ღამით ქეი ამის შესახებ მაიკლს დაელაპარაკა. ქეიმ გააცნობიერა ფაქტი, - სონი კორლეონეს ან თუნდაც მასთან დაკავშირებულ რაიმეს, ოჯახში არავინ ახსენებდა, ყოველ შემთხვევაში, ქეის თანდასწრებით. ერთხელ ქეიმ სცადა, თანაგრძნობა გამოეთქვა დონისა და მისი მეუღლისათვის სონის დაღუპვის გამო. მას ცივად მოუსმინეს, არაფერი უთქვამთ. ქეი ეცადა, კონი აელაპარაკებინა უფროს ძმაზე, მაგრამ ასევე ამაოდ.

სონის ცოლი, სანდრა, ბავშვებთან ერთად ფლორიდაში გადასახლდა, სადაც მისი მშობლები ცხოვრობდნენ. მას ფულს სისტემატურად უგზავნიდნენ, ასე რომ, შვილებთან ერთად კომფორტულად ცხოვრობდა, ოღონდ სონის არავითარი უძრავი ქონება არ დარჩენია.

მაიკლმა აშკარად საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ აუხსნა, რა მოხდა იმ ღამეს, როცა სონი მოკლეს. კარლომ სცემა კონის, კონიმ დარეკა ხეივანში, ტელეფონს სონიმ უპასუხა და გაცოფებული კონისთან გავარდა. ასე რომ, კონი და კარლო ყოველთვის შიშობდნენ, ოჯახი მათ სონის სიკვდილს არაპირდაპირ აბრალებდა; ანდა, - მხოლოდ

კარლოს, მაგრამ ასე არ არის. და, აი, ამის საბუთი. კარლო და კონი ხეივანში დაასახლეს, კარლოს პროფკავშირში საპასუხისმგებლო საქმე მისცეს და ისიც გამოსწორდა, აღარ სვამს, აღარ თამაშობს. ბოლო ორი წლის განმავლობაში ოჯახი მისი ქცევითა და მუშაობით კმაყოფილია. არავინ აბრალებს იმას, რაც მოხდა.

- და რატომ არ დაპატიჟებ ერთხელ ჩვენთან და შენს დას რატომ არ დაამშვიდებ? - ჰკითხა ქეიმ, - საწყალი კონი სულ ნერვიულობს, კარლოზე რას ფიქრობსო. უთხარი, რომ თავიდან ამოიგდოს ეგ სისულელე.

- ამას ვერ გავაკეთებ, - თქვა მაიკლმა, - ასეთ რაღაცებზე ჩვენს ოჯახში არ ლაპარაკობენ.

- გინდა, გადავცე ის, რაც შენ მითხარი? - ჰკითხა ქეიმ.

ქეის მეტისმეტად გაუკვირდა, რომ ამ წინადადებაზე, რომელიც მას ერთადერთი სწორი გამოსავალი ეგონა, მაიკლმა ძალზე დიდხანს იფიქრა.

- არა მგონია, ქეი, რომ ეს შენ უნდა გააკეთო, - თქვა მან ბოლოს, - არა მგონია, ამან რაიმე სიკეთე მოიტანოს. კონი მაინც ინერვიულებს. ეს ისეთი საქმეა, ვერავინ რომ ვერ უშველის.

ქეი გაოცებული დარჩა. შენიშნა, მაიკლი, ცოტა არ იყოს, ცივად ეპყრობოდა კონის, მიუხედავად მის მიმართ აშკარა სიყვარულისა.

- მაგრამ შენ ხომ არ აბრალებ კონის, რომ სონი მოკლეს? - ჰკითხა ქეიმ.

მაიკლმა ამოიოხრა.

- რა თქმა უნდა, არა, - თქვა მან, - ის ჩემი უმცროსი დაა და ძალიან მიყვარს. მის გამო ძალზე ვწუხვარ. კარლო გამოსწორდა, თუმცაღა, მართლა ყველაზე უარესი ქმარი იყო, რაც კი შეიძლება. რას იზამ, ყველაფერი ხდება. მოდი, დავივიწყოთ ეს საუბარი.

ქეი ბუნებით არ იყო აბეზარი ადამიანი და ამ თემაზე ლაპარაკი მეტად აღარ დაუწყია. ესმოდა, მაიკლი ის კაცი არ არის, ვისაც შეიძლება ძალით მიაწვე. ეს ცივ უკმაყოფილებას გამოიწვევდა. ქეი ერთადერთი ადამიანი იყო მსოფლიოში, ვისაც მაიკლის გადარწმუნება შეეძლო, მაგრამ იმასაც ხვდებოდა, თუკი მეტისმეტად ხშირად ეცდებოდა ამას, თავის ძალას დაკარგავდა. ერთობლივი ცხოვრების განვლილმა ორმა წელმა მაიკლისადმი სიყვარული ქეის კიდევ უფრო განუმტკიცა.

ქეის მაიკლი მისი საოცარი წესიერების გამო უყვარდა. ეს უცნაურიც კი იყო. ადამიანების მიმართ, რომლებიც მის გარშემო იყვნენ, უაღრესად სამართლიანი გახლდათ, თანაც ყველა წვრილმანში. ქეი ხედავდა, მას ახლა წარმოუდგენლად დიდი ძალაუფლება ჰქონდა, უამრავი ხალხი მიდიოდა მასთან და დახმარებას სთხოვდა; ადამიანები პატივისცემითა და შიშით უყურებდნენ, მაგრამ ერთმა შემთხვევამ ქეის სიყვარული განსაკუთრებით გაუძლიერა.

მას მერე, რაც მაიკლი სიცილიიდან ჩამოვიდა, ოჯახში ყველა ცდილობდა დაერწმუნებინა, ოპერაცია უნდა გაიკეთო, რომ დამახინჯებული სახე გაისწოროო. განსაკუთრებით დედამისი არ აძლევდა მოსვენებას. ერთ კვირადღეს, როცა მთელი ოჯახი სუფრასთან შეკრებილიყო ხეივანში, შვილს უყვირა: - განგსტერს ჰგავხარ,

კინოში რომ აჩვენებენ! ღვთის გულისათვის და შენი ცოლის ხათრით, გაისწორე სახე. თანაც, ცხვირიდან ჩამოგდის მთვრალი ირლანდიელივით.

დონი, რომელიც სუფრის თავში იჯდა და ამ ყველაფერს უსმენდა, ქეის მიუბრუნდა: - შენ ეს ძალიან გაწუხებს?

ქეიმ უარის ნიშნად თავი გააქნია. დონმა ცოლს მიმართა: - ის უკვე შენს ხელთა აღარაა. შენ ეს არ გეხება.

მოხუცი ქალი წამსვე დაცხრა. იმიტომ არა, რომ ქმრისა ეშინოდა, უბრალოდ, უპატივცემულობა იქნებოდა, მასთან ამ საკითხზე ყველას თანდასწრებით კამათი რომ დაეწყო.

მაგრამ ამ დროს შემოვიდა კონი, დონის ნებიერა, რომელიც სამზარეულოში სადილის მზადებაში იყო და თქვა: - მგონი, მაიკლი უნდა დათანხმდეს ოპერაციაზე. სანამ ყბას მოსტეხდნენ, ოჯახში ყველაზე სიმპათიური იყო. მაიკლ, მიდი, თქვი, რომ თანახმა ხარ.

მაიკლმა თითქოსდა დაბნეულმა შეხედა. შეიძლებოდა გეფიქრა, რომ მისი ნათქვამი ერთი სიტყვაც კი არ გაუგია. არაფერი უპასუხა.

კონი მამასთან მივიდა.

- აიძულე, გაიკეთოს, - უთხრა დონს. ხელები მხრებზე დაადო სიყვარულით, კისერზე მოეფერა. ერთადერთი ადამიანი იყო, ვისაც ასე ფამილარულად შეეძლო დონს მოჰქცეოდა. კონის სიყვარული მამისადმი გულის ამაჩუყებელი გახლდათ. დონმა ხელზე მსუბუქად დაჰკრა და უთხრა: - შიმშილით ვიხოცებით ყველანი. ჯერ სპაგეტი მოიტანე და მერე ილაპარაკე, რამდენიც გინდა.

კონი ქმარს მიუბრუნდა და უთხრა: - კარლო, უთხარი მაიკლს, სახე გამოისწოროს. იქნებ, შენ დაგიჯეროს.

მისი ინტონაცია გულისხმობდა, რომ მაიკლსა და კარლოს სხვებზე მეტად აკავშირებთ მეგობრული ურთიერთობა.

კარლომ, ლამაზად გარუჯულმა, საგულდაგულოდ გაკრეჭილ-დავარცხნილმა, ჭიქიდან შინ დაყენებული ღვინო მოსვა და უპასუხა: - მაიკლს ვერავინ ეტყვის, რა გააკეთოს.

კარლო სხვა კაცი გახდა მას მერე, რაც საცხოვრებლად ხეივანში გადავიდნენ. იცოდა თავისი ადგილი ოჯახში და მის ფარგლებს არ სცილდებოდა.

ამ ყველაფერში იყო რაღაც, რაც ქეის არ ესმოდა და თვალშიც არ მოსდიოდა. როგორც ქალმა, შენიშნა, რომ კონი განზრახ ელაქუცებოდა მამას, თუმცა კი ამას მომხიბლავად და გულწრფელად აკეთებდა. და მაინც, ეს არ იყო თავისთავადი, ბუნებრივი მოქმედება. კარლოს პასუხში კი თავისებური მორჩილება გამოიხატა, მაგრამ მაიკლმა ამას არავითარი ყურადღება არ მიაქცია.

ქეის ქმრის მოღრეცილი სახე იმდენად არ აწუხებდა, რამდენადაც ცხვირი, მუდმივად რომ უსველდებოდა. პლასტიკური ოპერაცია ამ პრობლემასაც მოაგვარებდა. ამის

გამო უნდოდა, მაიკლს ოპერაცია გაეკეთებინა, მაგრამ ხვდებოდა, მაიკლს რატომღაც სურდა, დამახინჯებული სახე შეენარჩუნებინა. ქეი დარწმუნებული იყო, დონიც ხვდებოდა ამას.

პირველი ბავშვის გაჩენის მერე მაიკლმა მოულოდნელად ჰკითხა: - გინდა, სახე გავისწორო?

ქეის გაუკვირდა, თავი დაუქნია და უთხრა: - ხომ იცი, ბავშვების ამბავი, შენს შვილს განცდები ექნება ამის გამო, როცა საკმარისად წამოიზრდება და მიხვდება, სახე ნორმალურად არ გაქვს. უბრალოდ, არ მინდა, ჩვენმა ბავშვმა ეს ნახოს. პირადად ჩემთვის, სიმართლე გითხრა, ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.

- ო,კეი, - გაუღიმა მაიკლმა, - გავიკეთებ.

დაელოდა, სანამ სამშობიარო სახლიდან გამოწერდნენ. ამასობაში ოპერაციისთვის თადარიგი დაიჭირა, ყველა საკითხი მოაგვარა. ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა. ყბის დეფორმაცია ახლა აღარ ეტყობოდა.

ოჯახში ყველას უხაროდა, მაგრამ ყველაზე მეტად - კონის. საავადმყოფოში მაიკლის სანახავად ყოველდღე მიდიოდა და თან კარლოც მიჰყავდა. როდესაც მაიკლი შინ დაბრუნდა, გადაეხვია, აკოცა და უთხრა: - ახლა შენ ისევ ჩემი ლამაზი ძმა ხარ.

მხოლოდ დონზე არ მოახდინა ამან შთაბეჭდილება. მხრები აიჩეჩა და თქვა: - რა განსხვავებაა?

ქეი მაიკლის ნამდვილად მადლიერი იყო. იცოდა, ოპერაცია მან თავისი სურვილისა და განწყობის საწინააღმდეგოდ გაიკეთა. გაიკეთა იმიტომ, რომ მან სთხოვა. ქეი იყო ერთადერთი ადამიანი ამქვეყნად, რომელსაც შეეძლო მაიკლი აეძულებინა საკუთარი ბუნების საწინააღმდეგოდ ემოქმედა.

*

მაიკლის ლას-ვეგასიდან დაბრუნების დღეს როკო ლამპონე ხეივანში ლიმუზინით მივიდა, ქეი აეროპორტში რომ გაეყვანა. ქეი ქმარს ყოველთვის ხვდებოდა ხოლმე, რადგან ხეივანში ისე ცხოვრობდა, როგორც ნამდვილ ციხესიმაგრეში, მაიკლის გარეშე თავს მეტისმეტად ეულად გრძნობდა.

ქეიმ დაინახა, როგორ ჩამოვიდა მაიკლი თვითმფრინავიდან ტომ ჰეიგენსა და თავის ახალ მცველ, ალბერტო ნერისთან ერთად. ქეის არ მოსწონდა ალბერტო ნერი, რადგან ლუკა ბრაზის, მის მდუმარე სისასტიკეს ახსენებდა. ქეიმ შეამჩნია, ნერი ოდნავ ჩამორჩა მაიკლს, ელვისებურად თვალი გადაავლო ყველას, ვინც ჩამოსულებს ხვდებოდა. ქეი შენიშნა და მაიკლს მკლავზე შეეხო, მისკენ მიახედა.

ქეიმ ქმართან მიირბინა და გადაეხვია, მაიკლმა სწრაფად აკოცა და გაუშვა. მაიკლი, ქეი და ტომ ჰეიგენი ლიმუზინში ჩასხდნენ, ნერი კი სადღაც გაუჩინარდა. ქეიმ ვერ შენიშნა, რომ იგი მეორე მანქანაში ჩაჯდა კიდევ ორ კაცთან ერთად. ეს მანქანა მაიკლისას ლონგ-ბიჩამდე უკან უნდა გაჰყოლოდა.

ქეი არასოდეს ეკითხებოდა მაიკლს, საქმეები როგორ მიდიოდა. რაც უნდა თავაზიანი ფორმით ეკითხა, ასეთივე თავაზიან, არაფრის მთქმელ პასუხს მიიღებდა, მაგრამ, რაც

მთავარია, ეს იქნებოდა უხერხული შეხება იმ აკრძალულ ზონასთან, რაზეც მათი ცოლქმრობა არ ვრცელდებოდა. ქეი ამას შეგუებული იყო, მაგრამ როდესაც მაიკლმა უთხრა, საღამო მამასთან უნდა გავატარო, ლას-ვეგასში მოგზაურობის შესახებ უნდა მოვუყვეო, ქეიმ თავი ვეღარ შეიკავა და უკმაყოფილოდ დაიმანჭა.

- ძალიან ვწუხვარ, - უთხრა მაიკლმა, - ხვალ საღამოს ნიუ-იორკში წავიდეთ, შოუ ვნახოთ, რესტორანში ვივახშმოთ, ო,კეი? - ხელი ქეის მუცელზე მსუბუქად მიუტყაპუნა (ქეი უკვე მეშვიდე თვეზე იყო), - ბავშვის გაჩენის შემდეგ სახლიდან ხომ ვეღარ გამოაღწევ... შენ უფრო იტალიელი ხარ, ვიდრე იანკი. ორი ბავშვი ორ წელიწადში!

ქეიმ მიუგო: - შენ კი უფრო მეტად იანკი ხარ, ვიდრე იტალიელი. შინ დაბრუნებული პირველივე დღეს საქმეს უთმობ, - თუმცა ეს რომ უთხრა, მაიკლს თან გაუღიმა, მერე კი ჰკითხა, - გვიან მოხვალ?

- შუაღამემდე, - უპასუხა მაიკლმა, - არ დამელოდო, თუკი დაღლილი იქნები, დაიძინე.

- დაგელოდები, - თქვა ქეიმ.

*

თათბირს იმ საღამოს კუთხის საბიბლიოთეკო ოთახში დონ კორლეონე, მაიკლი, ტომ ჰეიგენი, კარლო რიჩი და ორივე კაპორეჟიმე - კლემენცა და ტესიო ესწრებოდნენ.

თათბირის ატმოსფერო ისე მეგობრული არ გახლდათ, როგორც ადრე იყო ხოლმე. მას მერე, რაც დონმა გამოაცხადა, საქმეებს თავს ვანებებ და ყველაფერი მაიკლის ხელში გადადისო, ამ ადამიანებს შორის ურთიერთობაში ერთგვარი დაძაბულობა გაჩნდა. სულაც არ იყო აუცილებელი, საოჯახო ბიზნესის ხელმძღვანელის თანამდებობა მემკვიდრეობით გადასულიყო. ისეთ ძლევამოსილ კაპორეჟიმეებს, როგორებიც იყვნენ კლემენცა და ტესიო, ნებისმიერ სხვა ოჯახში თავისუფლად შეეძლოთ დონის ადგილი დაეკავებინათ. ანდა, ყოველ შემთხვევაში, მათ მისცემდნენ უფლებას, ცალკე გასულიყვნენ და საკუთარი ოჯახები დაეფუძნებინათ.

თანაც, მას მერე, რაც კორლეონეს ოჯახმა ნიუ-იორკის ხუთ ოჯახთან მშვიდობა ჩამოაგდო, მისი ძალაუფლება თანდათან სუსტდებოდა. ნიუ-იორკში ახლა ყველაზე ძლიერი ბარზინის ოჯახი იყო; ტატალიას ოჯახთან ერთად მან ის ადგილი დაიკავა, რომელიც ადრე კორლეონეს ოჯახს ეჭირა. თანაც, უწყვეტად საცდელ გამოხდომებს აწყობდნენ იმ ტერიტორიაზე, რომელსაც კორლეონეს ოჯახი აკონტროლებდა და, როცა რწმუნდებოდნენ, საპასუხო რეაქცია ერთობ სუსტი გახლდათ, იქ თავიანთ ბუკმეკერებს სვამდნენ.

ბარზინისა და ტატალიას დონის გადადგომა მეტისმეტად ესიამოვნათ. რა ძალაც უნდა მოიკრიბოს მაიკლმა, უახლოესი ათი წლის განმავლობაში დონს ვერანაირად ვერ გაუტოლდება. კორლეონეს ოჯახი აშკარად დაცემის გზას ადგა.

სერიოზული პრობლემები ერთიმეორეს მოსდევდა. ფრედიმ დაამტკიცა, რომ სასტუმროს მენეჯერისა და მექალთანის მეტს ცხოვრებაში არც არაფერს წარმოადგენს, მფარველის გარეშე, დამოუკიდებლად გაძლება არ შეუძლია, - დედის

ძუძუს მიჯაჭვული ბავშვივით, - მოკლედ, კაცად არ ჩაითვლება. სონის დაღუპვა ოჯახისთვის, ასევე, კატასტროფა გახლდათ. სონი იყო კაცი, რომლისაც ეშინოდათ, ანგარიშს უწევდნენ. მან, რასაკვირველია, შეცდომა დაუშვა, როცა თავისი უმცროსი ძმა, მაიკლი, „თურქისა“ და პოლიციის კაპიტნის მოსაკლავად გაუშვა. ტაქტიკურად, ეს საჭირო იყო, მაგრამ სტრატეგიულად, ხანგრძლივ პერსპექტივაში, სერიოზულ შეცდომას წარმოადგენდა. სწორედ ამან აიძულა ჯერ კიდევ ავადმყოფი დონი ლოგინიდან წამომდგარიყო. ამან დააკარგვინა მაიკლს ორი წელიწადი. არადა, ამ ხნის განმავლობაში მას შეეძლო, უძვირფასესი გამოცდილება დაეგროვებინა, უშუალოდ დონის ხელმძღვანელობით გაწვრთნილიყო. და, რაღა თქმა უნდა, ირლანდიელის კონსილიორად დანიშვნა ერთადერთი უგუნური შეცდომა იყო, რაც კი დონს ცხოვრებაში მოსვლია. ეშმაკობით ირლანდიელი სიცილიელს ვერასოდეს გაუტოლდება. ასეთი იყო დანარჩენი ოჯახების წარმოდგენა. ისინი ბარზინი-ტატალიას კავშირს მეტ პატივს სცემდნენ, ვიდრე კორლეონეს ოჯახს. მათი აზრით, მაიკლი სონივით ძლიერი არ გახლდათ, თუმც კი ჭკუით აღემატებოდა, ოღონდ, ცხადია, მამასავით ჭკვიანი ვერ იყო.

თანაც, მიუხედავად იმისა, რომ დონის ბრძნულ სამშვიდობო პოლიტიკას ყველა მიესალმებოდა, იმ ფაქტმა, რომ მან სონის გამო შურისძიებაზე უარი თქვა, მათ თვალში კორლეონეს ოჯახს ღირსება შეულახა და პატივისცემა ბევრწილად დააკარგვინა. ყველამ ჩათვალა, რომ ეს გადაწყვეტილება სისუსტის შედეგი გახლდათ.

თათბირზე მყოფთ ეს ყოველივე კარგად მოეხსენებოდათ და ზოგიერთ მათგანს კიდეც სჯეროდა - ყველაფერი, მართლაც, ზუსტად ასე იყო. კარლო რიჩის უყვარდა მაიკლი და არ ეშინოდა მისი ისე, როგორც სონისა. კლემენცა აფასებდა მაიკლის ვაჟკაცურ მოქმედებას თურქისა და პოლიციის კაპიტნის საქმეში, მაგრამ მიაჩნდა, მაიკლი მაინც მეტისმეტად რბილია იმისთვის, დონი რომ გახდესო. კლემენცას იმედი ჰქონდა, უფლებას მისცემდნენ, კორლეონეს ოჯახს გამოჰყოფოდა და საკუთარი იმპერია ჩამოეყალიბებინა, მაგრამ დონმა აგრძნობინა - ეს არ უნდა გააკეთოს. კლემენცა იმდენად სცემდა დონს პატივს, რომ გადაწყვიტა, დამორჩილებოდა. ყოველ შემთხვევაში, მანამ, სანამ სიტუაცია სრულიად გაუსაძლისი არ გახდებოდა.

ტესიოს მაიკლზე უკეთესი წარმოდგენა ჰქონდა. ხვდებოდა, რომ მაიკლი თავის ნამდვილ ძალას უცხო თვალისგან საგულდაგულოდ ფარავდა, იზიარებდა მამის დევიზს, რომლის თანახმად, შენს ღირსებებს მეგობრები ბოლომდე ვერ უნდა აფასებდნენ, მტრებს კი შენს სისუსტეებზე გადაჭარბებული წარმოდგენა უნდა ჰქონდეთ.

თავად დონსა და ტომ ჰეიგენს მაიკლში ეჭვი ერთი წამითაც არ ეპარებოდათ. დონი არ გადადგებოდა, სრულიად დარწმუნებული რომ არ ყოფილიყო, მაიკლს შესწევს უნარი, ოჯახს დაკარგული ძალაუფლება დაუბრუნოს. ჰეიგენი ბოლო ორი წლის განმავლობაში მაიკლის მასწავლებელი გახლდათ და გაოცებული იყო, საოჯახო ბიზნესთან დაკავშირებულ ყველა წვრილმანს როგორ ადვილად ითვისებდა. მაიკლი ჭეშმარიტად დონის შვილი ბრძანდებოდა.

კლემენცა და ტესიო უკმაყოფილონი იყვნენ მაიკლისა, რადგან მან მათი რაზმები შეამცირა, სონის რაზმის აღდგენაზე კი არც უფიქრია. ახლა კორლეონეს ოჯახს

მხოლოდ ორი რაზმი ჰყავდა, რომლებიც ადრინდელთან შედარებით გაცილებით მცირერიცხოვანნი იყვნენ. კლემენცას და ტესიოს მიაჩნდათ, რომ ეს თვითმკვლელობის ტოლფასი იყო, განსაკუთრებით, ბარზინი-ტატალიას იმპერიის გაძლიერების ფონზე. იმედი ჰქონდათ, ეს შეცდომები დონის მიერ მოწვეულ ამ საგანგებო თათბირზე გამოსწორდებოდა.

მაიკლმა დაიწყო იმის მოყოლა, რა შედეგით დასრულდა ლას-ვეგასში მოგზაურობა - რომ მო გრინმა წილის გაყიდვაზე უარი განაცხადა.

- მაგრამ ჩვენ ისეთ წინადადებას შევთავაზებთ, რომელზეც უარს ვეღარ იტყვის, - თქვა მაიკლმა, - თქვენთვის უკვე ცნობილია კორლეონეს ოჯახის ოპერაციების დასავლეთში გადატანის გეგმა. ლას-ვეგასში ჩვენ ოთხი სასტუმრო და კაზინო გვექნება, მაგრამ ეს უცებ ვერ მოხდება, ამ ყველაფერს დრო სჭირდება, - მაიკლი კლემენცას მიუბრუნდა, - პიტ, მინდა, რომ შენ და ტესიო ამ ერთი წლის განმავლობაში ყველა საქმეში კითხვების დასმისა და კამათის გარეშე წამომყვეთ. ერთი წლის შემდეგ გექნებათ საშუალება, კორლეონეს ოჯახს გამოეყოთ და საკუთარი ოჯახები შექმნათ. რაღა თქმა უნდა, ჩვენ შევინარჩუნებთ მეგობრულ ურთიერთობას თქვენთან. სხვანაირად რომ მეფიქრა, ეს მამაჩემის მიმართ თქვენი პატივისცემისა და პირადად თქვენი შეურაცხყოფა იქნებოდა, მაგრამ მანამდე მსურს, უსიტყვოდ დამემორჩილოთ და არაფერზე ინაღვლოთ. ამჟამად მოლაპარაკება მიმდინარეობს, რომელმაც, ერთი შეხედვით, გადაუჭრელი პრობლემები უნდა გადაჭრას. უბრალოდ, მოთმინებაა საჭირო.

- თუკი მო გრინს სურს მამაშენს დაელაპარაკოს, რატომ არ გინდა ამის საშუალება მისცე? - ჰკითხა ტესიომ, - დონს შეუძლია, ნებისმიერი ადამიანი დაარწმუნოს, ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, ვინმეს მისი არგუმენტებისთვის გაეძლოს.

პასუხი თავად დონმა გასცა.

- მე უკვე გადავდექი, - თქვა მან, - თუკი ახლა ჩავერევი, მაიკლს პატივს აღარ სცემენ. გარდა ამისა, მო გრინი ისეთი კაცია, რომელთანაც ლაპარაკი არ მსურს.

ტესიოს გაახსენდა ხმები იმ ალიყურზე, რომელიც მო გრინმა ფრედის ვეგასის ოტელში ყველას თვალწინ აჭამა. დამპალი საქმეა. ტესიო სავარძლის საზურგეს მიეყრდნო. ,,მო გრინი უკვე მკვდარია", - გაიფიქრა მან. კორლეონეს ოჯახს არ სურს მისი დარწმუნება.

- კორლეონეს ოჯახი ნიუ-იორკში საქმიანობას მთლიანად წყვეტს? - იკითხა კარლო რიჩიმ.

მაიკლმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

- ჩვენ ზეთისხილის ზეთის ბიზნესს ვყიდით, - თქვა მან, - ყველაფერს, რაც კი შესაძლებელია, კლემენცასა და ტესიოს გადავცემთ, მაგრამ შენს თანამდებობაზე ნუ ინაღვლებ. ნევადაში ხარ გაზრდილი, კარგად იცნობ შტატს, იქაურებს, ასე რომ, ვფიქრობ, შენ ჩემი მარჯვენა ხელი გახდები, როცა იქ გადავბარგდებით.

კარლო სავარძელში გასწორდა, სახე მადლიერებისგან გაუბრწყინდა - მისი დრო ახლოვდება, რეალური ძალაუფლების დრო. მაიკლმა განაგრძო: - ტომ ჰეიგენი

კონსილიორი აღარაა. ლას-ვეგასში ჩვენი ადვოკატი იქნება. ორ თვეში ცოლ-შვილთან ერთად იქ მუდმივად საცხოვრებლად გადავა, როგორც ადვოკატი. ამ წუთიდან მას სხვა საქმეებზე აღარ უნდა მიმართოთ. ის მხოლოდ და მხოლოდ ადვოკატია და მეტი არაფერი. ასე მსურს. და თუკი რჩევა დამჭირდება, მამაჩემზე უკეთესი მრჩეველი განა შეიძლება, ვინმე მყავდეს?

ეს ხუმრობის ტონით იყო ნათქვამი, მაგრამ ყველა დარწმუნდა, ტომ ჰეიგენი თამაშგარე მდგომარეობაშია, ყველანაირი ძალაუფლება დაკარგა. თათბირის მონაწილეებმა წამით თვალი შეავლეს ჰეიგენს, მისი რეაქცია რომ ენახათ, მაგრამ იგი მშვიდი, არაფრის გამომხატველი გამომეტყველებით იჯდა.

კლემენცა მსუქანი კაცისთვის დამახასიათებელი მქშინავი ხმით ალაპარაკდა: - ესე იგი, თუ სწორად გავიგე, ერთი წლის შემდეგ ჩვენ საკუთარი თავის პატრონები ვიქნებით?

- შეიძლება უფრო ადრეც, - თავაზიანად მიუგო მაიკლმა, - რასაკვირველია, თუკი სურვილი გექნებათ, შეგიძლიათ, კორლეონეს ოჯახის შემადგენლობაში დარჩეთ. ეს თქვენი გადასაწყვეტია, მაგრამ ჩვენ ძალების უმეტესი ნაწილი დასავლეთში გადაგვყავს და თქვენთვის უმჯობესი იქნება, თუკი საკუთარ ორგანიზაციებს შექმნით.

ტესიომ ჩუმად შენიშნა: - მაშინ, მიმაჩნია, რომ უფლება უნდა მოგვცე ჩვენი რაზმებისათვის ახალი ხალხი შევარჩიოთ. ბარზინის ნაბიჭვრები ჩვენს ტერიტორიაზე დაძვრებიან. მგონი, სწორედაც ჭკვიანური იქნება, თუკი თავაზიანობის ერთი-ორ გაკვეთილს ჩავუტარებთ.

მაიკლმა უარის ნიშნად თავი გააქნია.

- არა. წყნარად ისხედით, - თქვა მან, - მოლაპარაკება მიმდინარეობს. ყველა საკითხს მოვაგვარებთ, სანამ აქედან გადავალთ.

მაგრამ ტესიოს დარწმუნება არ იყო ადვილი საქმე. მან პირდაპირ დონს მიმართა, თუმცა ამით მაიკლის რისხვა შეეძლო გამოეწვია.

- მაპატიე, ნათლია, - თქვა მან, - დაე, ჩვენი მეგობრობის წლები იყოს ჩემი თავხედობის გამართლება, მაგრამ მე მგონია, რომ ნევადის საკითხში შენ და შენი შვილი ცდებით. როგორ ფიქრობთ წარმატების მიღწევას იქ, თუკი აქ ძლიერი ზურგი არ გექნებათ? ეს ხომ ურთიერთკავშირშია. როდესაც თქვენ აქედან გადახვალთ, ბარზინი და ტატალია ჩვენთვის მეტისმეტად ძლიერები აღმოჩნდებიან. მე და პიტი ცუდ დღეში ჩავცვივდებით და, ადრე თუ გვიან, პოზიციებს დავთმობთ. ბარზინი ისეთი კაცია, ვისთანაც საქმის დაჭერა სრულიადაც არ მსურს. ვფიქრობ, კორლეონეს ოჯახმა პირველი ნაბიჯი სუსტი კი არა, ძლიერი პოზიციიდან უნდა გადადგას. ჩვენი რაზმები უნდა გავაძლიეროთ და დაკარგული ტერიტორიები დავიბრუნოთ, ყოველ შემთხვევაში, სტეიტენ-აილენდზე მაინც.

დონმა თავი გააქნია.

- მშვიდობის პირობა მივეცი, სიტყვას ვერ გადავალ.

ტესიო არ ცხრებოდა.

- ყველამ იცის, რომ ბარზინი შენს პროვოცირებას ეწევა, - თქვა მან, - გარდა ამისა, თუკი მაიკლია ახლა კორლეონეს ოჯახისთავი, ყველაფერი შეუძლია გააკეთოს, რასაც კი საჭიროდ ჩათვლის. შენი სიტყვა მას უშუალოდ არ ბოჭავს.

მაიკლმა ტესიოს კატეგორიულად გააწყვეტინა.

- მოლაპარაკება მიმდინარეობს, - თქვა მან, - ის შენს კითხვებზე პასუხს გასცემს და ეჭვებს გაგიფანტავს. თუკი შენთვის ჩემი სიტყვა საკმარისი არ არის, თავად შენს დონს მიმართე.

მაგრამ ტესიო უკვე მიხვდა, რომ მეტისმეტად შორს შეტოპა. თუკი ახლა გაბედავს და დონს კითხვას დაუსვამს, მაიკლს მტრად გადაიკიდებს. ამიტომ მან მხრები აიჩეჩა და თქვა: - მე ოჯახის სიკეთეზე ვზრუნავ, საკუთარ თავზე კი არა. ჩემს თავს მე თვითონ მივხედავ როგორმე.

მაიკლმა მეგობრულად გაუღიმა.

- ტესიო, მე შენში ეჭვი არასოდეს მეპარებოდა, - თქვა მან, - უნდა დამიჯერო. მე, რასაკვირველია, ამ საკითხებში შენ და პიტს ვერ შეგედრებით, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, მამაჩემი მყავს, რომელიც წინ გამიძღვება. ასე რომ, ჩვენთვის ყველაფერი სასიკეთოდ უნდა დამთავრდეს.

თათბირი დასრულდა. ყველაზე მნიშვნელოვანი ახალი ამბავი ის გახლდათ, რომ კლემენცასა და ტესიოს უფლება ექნებოდათ, თავიანთი რაზმების საფუძველზე საკუთარი ოჯახები შეექმნათ. ტესიოს კონტროლს დაექვემდებარება აზარტული თამაშები ბრუკლინში, კლემენცასას კი - მანჰეტენში, ასევე, დოღის ბიზნესი ლონგ-აილენდზე.

კაპორეჟიმეებმა თათბირი, ცოტა არ იყოს, უკმაყოფილოებმა დატოვეს. კარლო რიჩი აგრძელებდა ოცნებას იმაზე, რომ, ცოტაც და, მას შეხედავენ, როგორც ოჯახის სრულუფლებიან წევრს, თუმცა მალევე მიხვდა, რომ მაიკლის გეგმებში ეს სრულიადაც არ შედიოდა. როცა ოთახიდან გადიოდა, იქ დონი, ტომ ჰეიგენი და მაიკლი დარჩნენ. ალბერტო ნერიმ იგი კარამდე მიაცილა. კარლომ ყურადღება მიაქცია იმას, რომ მცველი კართან შეყოვნდა და მანამ უყურებდა, სანამ გაჩახჩახებული ხეივანი არ გადაჭრა.

ოთახში დარჩენილებმა თავისუფლად იგრძნეს თავი, როგორც იგრძნობდნენ ერთი ოჯახის წევრები, საერთო ჭერქვეშ რომ ცხოვრობენ წლების განმავლობაში. მაიკლმა დონს ანისეტი დაუსხა, ჰეიგენს - ვისკი. თვითონაც დალია, რასაც საკმაოდ იშვიათად აკეთებდა.

პირველი ტომ ჰეიგენი ალაპარაკდა.

- მაიკლ, რატომ გაგყავარ თამაშიდან? - იკითხა მან.

მაიკლი გაოცდა.

- შენ იქნები ჩვენი ნომერი პირველი კაცი ლას-ვეგასში, - თქვა მან, - ჩვენ იქ კანონის ფარგლებში დავრჩებით და შენ ხომ კანონის კაცი ხარ. რა შეიძლება იყოს შენთვის ამაზე უფრო მნიშვნელოვანი?

ჰეიგენმა სევდიანად გაიღიმა.

- ამას არ გეკითხები. მე ვლაპარაკობ იმაზე, რომ როკო ლამპონე საიდუმლო რაზმს აყალიბებს ჩემ გარეშე; რომ შენ ალბერტო ნერისთან უშუალო კონტაქტი გაქვს და არა ჩემი ან კაპორეჟიმეების მეშვეობით. ოღონდ, თუკი საერთოდ იცი, რით არის დაკავებული როკო ლამპონე.

- საიდან გაიგე ლამპონეს რაზმის შესახებ? - რბილად იკითხა მაიკლმა.

ჰეიგენმა მხრები აიჩეჩა.

- ნუ ღელავ, ინფორმაციის გაჟონვა არ მომხდარა. ჩემ გარდა ამის შესახებ არავინ იცის. მე ისეთი პოზიცია მიჭირავს, რომ ყველაფერს ვხედავ. შენ ლამპონეს სრული თავისუფლება მიანიჭე. მას სჭირდება ადამიანები, რომელნიც მისი მომცრო იმპერიის მართვაში დაეხმარებიან, მაგრამ ყველა, ვისაც ის სამუშაოზე იღებს, ჯერ მე უნდა წარმომიდგინონ. გარდა ამისა, ყურადღება მივაქციე იმას, რომ ყველა, ვინც მას ხელფასის მიმღებთა სიაში შეჰყავს, უფრო მეტს იღებს, ვიდრე მათი თანამდებობა თუ გაკეთებული საქმე ღირს. არ შემცდარხარ, რომ ამ საქმისათვის ლამპონე შეარჩიე. სხვათა შორის, კარგად მუშაობს.

მაიკლი უკმაყოფილოდ დაიჯღანა.

- ჯანდაბას, ესე იგი, არც ისე კარგად, თუკი ამ ყველაფერს მიხვდი, - თქვა მან, - ისე, ლამპონე დონის შერჩეულია.

- ო,კეი, - თქვა ჰეიგენმა, - მაგრამ მაინც რატომ გაგყავარ თამაშიდან?

- ტომ, ომის პერიოდში კონსილიორობა არ გამოგდის, - პირდაპირ უთხრა მაიკლმა, - ნაბიჯს, რომლის გადადგმასაც ვაპირებთ, შეიძლება, გართულება მოჰყვეს, ომი ისევ დაიწყოს. ყოველი შემთხვევისათვის, ფრონტის წინა ხაზიდან მინდა გამოგიყვანო.

ჰეიგენი წამოწითლდა. მსგავსი რაღაც დონს რომ ეთქვა, მორჩილად მიიღებდა, მაგრამ მაიკლი რას წარმოადგენს, ამის თქმას რომ უბედავს?

- ო,კეი, - თქვა ჰეიგენმა, - მაგრამ ტესიოს უნდა დავეთანხმო. ამ საქმეში, მაიკლ, მგონი, ცდები. მოქმედებას სუსტი პოზიციიდან იწყებ. ეს კი ყოველთვის წამგებიანია. ბარზინი მგელივითაა და, თუკი ნაკუწ-ნაკუწ გლეჯას დაგიწყებს, სხვა ოჯახები შენს საშველად არ მოირბენენ.

ბოლოს და ბოლოს, დონი ალაპარაკდა.

- ეს მხოლოდ მაიკლის გადაწყვეტილება არაა, - თქვა მან, - ეს ყველაფერი მე ვურჩიე. შესაძლოა, ჩვენ მოგვიწიოს იმის გაკეთებამაც, რაზეც მე არანაირად არ მინდა პასუხისმგებლობა ავიღო. ეს ჩემი სურვილია და არა მაიკლის. არასოდეს მიფიქრია, რომ შენ ცუდი კონსილიორი იყავი; მე მგონია, რომ სანტინო იყო ცუდი დონი, ღმერთმა გაანათლოს მისი სული. მას კეთილი გული ჰქონდა, მაგრამ ის კაცი არ იყო, ვინც ოჯახს უნდა ჩასდგომოდა სათავეში, როცა უსიამოვნება შემემთხვა. ანდა, ვინ იფიქრებდა, რომ ფრედი ასეთი მექალთანე გახდებოდა? ასე რომ, ნაწყენი ნუ დარჩები. მაიკლს შენზე ნაკლებად არ ვენდობი. მიზეზთა გამო, რომელთა ცოდნაც შენთვის საჭირო არ არის. იმაში, რაც მოხდება, არ უნდა გაერიო. სხვათა შორის,

მაიკლი გავაფრთხილე, რომ საიდუმლო რაზმის შექმნა არ გამოგეპარებოდა. ეს კიდევ ერთხელ მეტყველებს, რომ შენი მჯერა.

მაიკლმა გაიცინა.

- ნამდვილად არ მეგონა, ტომ, რომ ამას მიხვდებოდი, - თქვა მან.

და ჰეიგენმა მოისაზრა: - უნდათ, რომ აამონ.

- იქნებ, დახმარება შევძლო? - იკითხა მან.

მაიკლმა თავი კატეგორიულად გააქნია.

- არა, შენ უკვე გახვედი, ტომ, - თქვა მან.

ჰეიგენმა სასმელი ჩაამთავრა და, სანამ ოთახიდან გავიდოდა, მაიკლს მსუბუქად „უკბინა“.

- თითქმის მამაშენის დონეზე ხარ, - თქვა მან, - მაგრამ ერთი რაღაც მაინც ჯერ კიდევ სასწავლი გაქვს.

- რა არის ეს? - თავაზიანად ჰკითხა მაიკლმა.

- როგორ უნდა თქვა „არა“, - მიუგო ჰეიგენმა.

მაიკლმა სერიოზული სახით დაუქნია თავი.

- მართალი ხარ, - თქვა მან, - გავითვალისწინებ.

როდესაც ჰეიგენი ოთახიდან გავიდა, მაიკლმა მამას ხუმრობით უთხრა: - ესე იგი, შენ ყველაფერი მასწავლე ამის გარდა. როგორ ვუთხრა ადამიანს „არა“ ისე, რომ კმაყოფილი დარჩეს?

დონი თავის უზარმაზარ საწერ მაგიდას მიუჯდა.

- ადამიანებს, რომლებიც გიყვარს, „არა“ ძალიან ხშირად არ უნდა უთხრა. მთელი საიდუმლო ესაა; ხოლო როცა ეუბნები „არას“, ეს ისე უნდა ჟღერდეს, თითქოსდა ეუბნები „დიახ“. ან იქამდე უნდა მიიყვანო, რომ თვითონ თქვან: „არა“. ეს დროსა და წვალებას მოითხოვს. თუმცა მე ძველი ყაიდის კაცი ვარ, ნუ მისმენ მე, ბებერს.

მაიკლს გაეცინა.

- კარგი, მაგრამ შენ ეთანხმები იმას, რომ ტომი თამაშიდან გადის?

დონმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

- ამ ყველაფერში არ უნდა გაერიოს, - თქვა მან.

- ვფიქრობ, დადგა დრო, როცა უნდა გითხრა: ჩემი გეგმა არ არის მხოლოდ შურისძიება აპოლონიასა და სონის გამო, - ჩუმად თქვა მაიკლმა, - ეს უბრალოდ ყველაზე სწორია, რაც კი ამ სიტუაციაში შეიძლება გავაკეთოთ. ტესიო და ტომი ბარზინისთან დაკავშირებით მართლები არიან.

დონმა თავი დაუქნია.

- შურისძიება ისეთი კერძია, რომელიც გაცივებული უნდა მიირთვა, მაშინაა გემრიელი, - თქვა მან, - მშვიდობას არ ჩამოვაგდებდი, შენი აქ უვნებლად დაბრუნების რაიმე სხვა გზა რომ არსებულიყო. მიკვირს, ბარზინი მაინც რომ ცდილობდა შენს მოკვლას. შესაძლოა, ეს ყველაფერი სამშვიდობო მოლაპარაკებამდე ჰქონდა ორგანიზებული და პროცესი უბრალოდ ვეღარ შეაჩერა. დარწმუნებული ხარ, რომ დონ ტომაზინოზე არ ნადირობდნენ?

მაიკლმა უპასუხა: - უნდოდათ, სწორედ ეგ გვეფიქრა და კარგადაც გამოსდიოდათ, შენც კი არ შეგპარვია ეჭვი, მაგრამ ბოლომდე კარგად მაინც ვერ იმოქმედეს - მე გადავრჩი. ჩემი თვალით დავინახე, ფაბრიციო ეზოდან როგორ გაიქცა. და, რაღა თქმა უნდა, ყველაფერი გადავამოწმე, როცა დავბრუნდი.

- იპოვეთ ის მწყემსი? - იკითხა დონმა.

- ვიპოვე, - მიუგო მაიკლმა, - ერთი წლის წინ. ბუფალოში პატარა პიცერია აქვს. ახალი სახელი, ყალბი პასპორტი და საიდენტიფიკაციო ნომერი. მწყემს ფაბრიციოს საქმე მშვენივრად მისდის.

დონმა თავი დაუქნია.

- ესე იგი, მოცდას აზრი აღარ ჰქონია. როდის დავიწყოთ?

მაიკლმა მიუგო: - მინდა დაველოდო, სანამ ქეი ბავშვს გააჩენს. ყოველი შემთხვევისთვის, ვაითუ, საქმე ცუდად წავიდეს. თანაც, მინდა, ტომი ვეგასში დასახლდეს, ამ საქმეში რომ არ გაერიოს. ვფიქრობ, ერთი წლის შემდეგ უნდა დავიწყოთ.

- ყველაფრისთვის მოემზადე? - იკითხა დონმა. ისე ჰკითხა, მაიკლისთვის არც შეუხედავს.

მაიკლმა ფრთხილად თქვა: - შენ ამაში არ მონაწილეობ. არავითარი პასუხისმგებლობა არ დაგეკისრება. მთელ პასუხისმგებლობას ჩემს თავზე ვიღებ. ვეტოს გამოყენების უფლებასაც კი არ მოგცემ. თუ შენ ახლა ეცდები ამას, ოჯახს მივატოვებ და ჩემს გზაზე წავალ. შენ პასუხს არ აგებ!

დონი დიდხანს დუმდა, ბოლოს ამოიოხრა და თქვა: - კარგი, ასე იყოს. შესაძლოა, სწორედ ამიტომაც გადავდექი, ამიტომაც გადმოგაბარე ყველაფერი... ცხოვრებაში რაც უნდა გამეკეთებინა, უკვე გავაკეთე, მეტის ძალა აღარ შემწევს. არსებობს ისეთი მოვალეობები, რომლებსაც ყველაზე საუკეთესონიც კი ვეღარ ასრულებენ. ესეც ერთ-ერთი იმათგანია.

იმ წელს ქეი ადამსმა მეორე ბავშვი - მეორე ბიჭი - გააჩინა. ადვილად, ყოველგვარი გართულების გარეშე იმშობიარა. ლონგ-ბიჩში დედოფალივით დახვდნენ. კონი კორლეონემ ახალშობილს იტალიური ხელით ნაქსოვი ჩასაცმელი აჩუქა, ძალზე ლამაზი და ძვირად ღირებული.

- კარლომ იპოვა, - თქვა მან, - მთელი ნიუ-იორკის მაღაზიები გადაქექა მას მერე, რაც მე ვერაფერი ვნახე ისეთი, რაც მართლა მომეწონებოდა.

ქეიმ მადლიერებით გაუღიმა და წამსვე მოისაზრა, - ეს ზღაპარი მაიკლს უნდა გადასცეს. ქეი თავისებურად სიცილიელი ხდებოდა.

იმავე წელს ნინო ვალენტი ტვინში სისხლის ჩაქცევით გარდაიცვალა. ეს ცნობა ბულვარული გაზეთების პირველ გვერდებზე დაიბეჭდა, რადგან ორი კვირით ადრე ეკრანებზე გამოვიდა ფილმი, რომელიც ჯონი ფონტეინმა გადაიღო. მთავარ როლს ნინო ვალენტი ასრულებდა. ფილმს ძალზე დიდი წარმატება ხვდა წილად. გაზეთები წერდნენ, რომ დაკრძალვის ორგანიზება თავის თავზე ჯონი ფონტეინმა აიღო და რომ ყველაფერი ერთობ მოკრძალებულად ჩატარდებოდა, მხოლოდ უახლოესი ნათესავები და მეგობრები დაესწრებოდნენ. ერთ-ერთი გაზეთი წერდა, რომ ჯონი ფონტეინი მათი კორესპონდენტისთვის მიცემულ ინტერვიუში მეგობრის სიკვდილში თავის თავს ადანაშაულებდა, - ძალა უნდა დამეტანებინა, საავადმყოფოში რომ დაწოლილიყოო. თუმცა ჟურნალისტმა ეს ნათქვამი, უბრალოდ, ტრაგედიის თვითმხილველის ბუნებრივ რეაქციად აღიქვა. ჯონი ფონტეინმა ბავშვობის მეგობარი ნამდვილ კინოვარსკვლავად აქცია და მეტი რა შეიძლება მოსთხოვო მეგობარს?

ნინოს დაკრძალვაზე კალიფორნიაში კორლეონეს ოჯახიდან ფრედის გარდა არავინ ჩასულა. იყვნენ, აგრეთვე, ლუსი და ჯულ სეგალი. დონს უნდოდა, პირადად ჩასულიყო კალიფორნიაში, მაგრამ მსუბუქმა გულის შეტევამ ერთი თვით ლოგინს მიაჯაჭვა. სანაცვლოდ, დონმა უზარმაზარი თაიგული გაგზავნა. ოჯახის ოფიციალურ წარმომადგენლად დასავლეთ სანაპიროზე ალბერტო ნერი გაემგზავრა.

დაკრძალვიდან ორი დღის შემდეგ მო გრინს თავისი ჰოლივუდელი საყვარლის სახლში ესროლეს და მოკლეს; ალბერტო ნერი ნიუ-იორკში თითქმის ერთი თვის შემდეგ დაბრუნდა. შვებულება კარიბის კუნძულებზე გაატარა, საოცრად გაირუჯა. მაიკლი გაღიმებული შეეგება და უთხრა, რომ დღეიდან ,,საცხოვრებლად“ დამატებით ფულს მიიღებდა, ისტ-საიდის ტოტალიზატორების მოგების წილს. ნერი კმაყოფილი დარჩა, კმაყოფილი იყო იმით, რომ ცხოვრობს სამყაროში, სადაც დამსახურებისამებრ მიაგებენ კაცს, ვინც თავის მოვალეობას კეთილსინდისიერად ასრულებს.

თავი ოცდამეცხრე

მაიკლ კორლეონემ უსაფრთხოების ყველა ზომა წინასწარ მიიღო. მისი გეგმა შეუმცდარი იყო, უსაფრთხოება - გარანტირებული. მოთმინებით აკეთებდა საქმეს, აპირებდა მზადებისთვის მთელი ერთი წელი დაეთმო, მაგრამ ეს ერთი წელი მის განკარგულებაში არ აღმოჩნდა, მის გეგმებს ბედისწერა გადაეღობა და თანაც ერთობ მოულოდნელი სახით, რადგან თვით დიდმა დონმა, ნათლიამ, დაარღვია მაიკლის გეგმა.

ერთ დილას, როცა ქალები ეკლესიაში იყვნენ, დონ ვიტო კორლეონემ ბაღში სამუშაო ტანსაცმელი გადაიცვა: ნაცრისფერი უხეში შარვალი, გახუნებული ცისფერი პერანგი, ფეტრის მუქი ყავისფერი შლაპა, რომელსაც აბრეშუმის ლენტი ჰქონდა გაკეთებული. ბოლო წლებში დონი თვალში საცემად გასუქდა, ხშირად დასტრიალებდა პომიდვრის

კვლებს, სადაც, როგორც თვითონ ამბობდა, ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად მუშაობდა. თუმცა ამით არავინ ტყუვდებოდა.

სიმართლე ის იყო, რომ მას თავისი ბაღ-ბოსტანი, უბრალოდ, უყვარდა; უყვარდა მისი ყურება ადრიან დილით. ეს მას ბავშვობაში, სამოცი წლით უკან, სიცილიაში აბრუნებდა, თანაც საშუალებას აძლევდა, არ ეფიქრა მამის სიკვდილსა და იმ შიშზე, რომელსაც მაშინ განიცდიდა. კვლებზე ბარდა პატარ-პატარა თეთრ ყვავილებად აყვავებულიყო... ბაღის კუთხეში რკინის კასრი იდგა, რომელიც ძროხის ნაკელით - საუკეთესო სასუქით - იყო სავსე.

ბოსტანში ხელით გაკეთებული ხის ჩარჩოები იდგა, რომლებზეც სქელი თეთრი კანაფი დაეჭიმათ. პომიდვრის რტოები ამ კანაფს მიჰყვებოდა.

დონი ბაღის მორწყვას ჩქარობდა. მანამ უნდა მოესწრო, სანამ მზე დააჭერდა და წყალს ცეცხლოვან, მხურვალე სითხედ აქცევდა, რომელსაც სალათის ნაზი ფოთლები ქაღალდივით შეუძლია დაწვას. მზე უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე წყალი; წყალიც ძალზე მნიშვნელოვანი გახლდათ, მაგრამ ორივე ერთად დიდ ხიფათს წარმოადგენდა.

დონი კვლებს მიუყვებოდა, ჭიანჭველებს ეძებდა. თუკი ჭიანჭველებს იპოვიდა, ეს იმის მაჩვენებელი იქნებოდა, რომ მცენარეს პარაზიტები გაუჩნდა და საჭიროა შეწამვლა.

სწორედაც დროზე მოასწრო მორწყვა. მზე თანდათან ხურდებოდა და დონი გულში იმეორებდა: „ფრთხილად, ფრთხილად“, მაგრამ რამდენიმე მცენარე მიწაზე გაწოლილიყო და ჩარჩოზე უნდა მიება. დონი კვლავ დაიხარა. ამ საქმესაც მორჩება და სახლში შებრუნდება.

უეცრად მოეჩვენა, რომ მზე ძალზე დაბლა დაეშვა, ზედ მის თავთან. თვალებში მოცეკვავე ოქროს წერტილები ჩაუდგა. ამ დროს მაიკლის უფროსი ვაჟიშვილი მიწაზე დაჩოქილი ბაბუასკენ გაიქცა. ბიჭუნას გარშემო თვალისმომჭრელი ოქროსფერი გარსი ეკრა, მაგრამ დონს ასე უბრალოდ ვერ მოატყუებ, ცხოვრებაში ძალზე ბევრი რამ უნახავს. ამ ოქროსფერი გარსის უკან სიკვდილი იმალება, რომელიც მზადაა, ნებისმიერ წამს ეცეს და დონმა ბიჭს ხელი აუქნია, ახლოს არ მიუშვა. სწორედაც დროულად გააკეთა. მკერდში თითქოს შიგნიდან ურო ჩასცხესო, დონმა იგრძნო, რომ ვეღარ სუნთქავს. მიწაზე გადაემხო.

ბიჭუნა მამასთან გაიქცა დასაძახებლად. მაიკლ კორლეონე და რამდენიმე კაცი, რომლებიც ხეივნის შესასვლელთან იდგნენ, ბაღში შეცვივდნენ და კვალზე გადამხობილი დონი დაინახეს, - მიწას ფხოჭნიდა. დონი ხელში აიყვანეს და პატიოს გადახურული ნაწილის ჩრდილში დააწვინეს. მაიკლმა დაიჩოქა, მამას ხელი მოუჭირა, სანამ სხვები სასწრაფო დახმარებასა და პირად ექიმს ტელეფონით გამოიძახებდნენ.

დონმა ძალის წარმოუდგენელი დაძაბვით თავი აიძულა, თვალი გაეხილა და შვილისთვის კიდევ ერთხელ შეეხედა. გულის შეტევამ მისი ჩვეულებრივ წითელი სახე თითქმის გაალურჯა. ეს დონის უკანასკნელი წამები იყო. ბაღის ჰაერი შეისუნთქა, თვალი ოქროსფერმა შუქმა დაუბინდა, ჩურჩულით წარმოთქვა: „რა მშვენიერია სიცოცხლე“...

ქალების ცრემლები ვეღარ ნახა, რადგან გარდაიცვალა მანამ, სანამ ეკლესიიდან დაბრუნდებოდნენ, სანამ სასწრაფო დახმარება ანდა პირადი ექიმი მოვიდოდა. გარდაიცვალა მამაკაცებით გარშემორტყმული, უსაყვარლესი ვაჟიშვილის ხელს ჩაჭიდებული.

დაკრძალვა მეფური მოუწყვეს. ხუთმა ოჯახმა თავისი დონები და კაპორეჟიმეები გამოგზავნა, - ასევე ტესიოსა და კლემენცას ოჯახებმა. ჯონი ფონტეინის იქ გამოჩენას ბულვარულმა გაზეთებმა პირველი გვერდები მიუძღვნეს. ჯონიმ მაიკლის რჩევა არ ისმინა და დონის დაკრძალვაზე მაინც ჩავიდა. პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ ვიტო კორლეონე მისი ნათლია და საუკეთესო ადამიანი იყო იმათგან, ვისაც კი ოდესმე იცნობდა, - ბედნიერია, რომ აქვს საშუალება, უკანასკნელი პატივი მიაგოს ასეთ პიროვნებას და სრულიადაც არ ენაღვლება, ვინ რას იფიქრებს.

პანაშვიდი ხეივნის სახლში, ძველ ყაიდაზე ჩატარდა. ამერიგო ბონასერას ამაზე უკეთესად არასოდეს უმუშავია. ამით დარჩენილი ვალი გაისტუმრა - თავისი ძველი მეგობარი და ნათლია ისეთი სიყვარულით მორთო და მოკაზმა, როგორც დედა მოკაზმავდა ქალიშვილს საქორწილოდ. ყველა ამბობდა, სიკვდილსაც კი არ ძალუძს დონის კეთილშობილება და ღირსება წაშალოსო, და ეს სიტყვები ბონასერას სიამაყით, საკუთარი ძალაუფლების შეგრძნებით აღავსებდა. მხოლოდ მან იცოდა, სიკვდილმა დონის სახე როგორ უმოწყალოდ დაამახინჯა.

დონის ყველა ძველი მეგობარი და მესაჭურვლე იქ იყო. ნაზორინი, მისი ცოლი, ქალიშვილი თავის ქმარსა და შვილებთან ერთად. ლუსი მანჩინი ლას-ვეგასიდან ფრედისთან ერთად ჩამოფრინდა. იქვე იყო ტომ ჰეიგენი ცოლ-შვილთან ერთად, აგრეთვე, დონები სან-ფრანცისკოდან, ლოს-ანჯელესიდან, ბოსტონიდან და კლივლენდიდან. კუბოს როკო ლამპონე და ალბერტო ნერი მიასვენებდნენ ტესიოსა და კლემენცასთან და, ცხადია, დონის ვაჟებთან ერთად. ხეივანი და სახლი გვირგვინებით იყო მოფენილი.

ხეივნის გარეთ ჟურნალისტებისა და ფოტორეპორტიორების ჯგრო ირეოდა. იქვე მომცრო საბარგო მანქანა იდგა, რომელშიც, როგორც იცოდნენ, ეფ-ბი-აის გადამღები ჯგუფი იყო კინოკამერებიანად. რამდენიმე ჟურნალისტმა ხეივანში შეღწევა სცადა, მაგრამ ჭიშკარში მცველები იდგნენ, რომლებიც პირადობის მოწმობასა და მოსაწვევს ითხოვდნენ. ჟურნალისტებს თავაზიანად ეპყრობოდნენ, წასახემსებელი და დასალევიც კი გამოუტანეს, მაგრამ ხეივანში არც ერთი არ შეუშვეს. რეპორტიორთა მცდელობა, აელაპარაკებინათ ვინმე, ხეივნიდან გამოსული, ასევე უშედეგოდ დასრულდა.

მაიკლმა დღის უმეტესი ნაწილი კუთხის საბიბლიოთეკო ოთახში გაატარა ქეის, ტომ ჰეიგენისა და ფრედისთან ერთად. ყველას, ვინც თანაგრძნობის გამოსახატავად მიდიოდა მასთან, მაიკლი გამორჩეული თავაზიანობით ხვდებოდა, მაგრამ როდესაც ვინმე მიმართავდა: „დონ მაიკლ“, ანდა „ნათლია“, მას, როგორც ქეიმ შენიშნა, ტუჩი უკმაყოფილოდ ებრიცებოდა.

ოთახში ტესიო და კლემენცაც შემოუერთდნენ. მაიკლმა ორივეს სასმელი ჩამოუსხა. ცოტა საქმეზე ილაპარაკეს. მაიკლმა უთხრა, რომ ხეივანი თავისი სახლებიანად სამშენებლო კომპანიას უნდა მიჰყიდონ. ეს ძალზე დიდ მოგებას მოიტანდა, რაც დონის გენიოსობას კიდევ ერთხელ ამტკიცებდა.

ყველა მიხვდა: კორლეონეს იმპერია დასავლეთში გადადის.

ოჯახი ნიუ-იორკში საქმეების ლიკვიდაციას შეუდგა. ეს მხოლოდ დონის სრულ გადადგომას ანდა მის სიკვდილს შეეძლო გამოეწვია.

ვიღაცამ შენიშნა, ათი წელია, ამ სახლში ასეთი ხალხმრავლობა აღარ ყოფილა, კონი კორლეონეს ქორწილის შემდეგო. მაიკლი ფანჯარასთან მივიდა, ბაღს რომ გადაჰყურებდა. ათი წლის წინ ამ ბაღში ქეისთან ერთად იჯდა და ვერც კი წარმოედგინა, რა უცნაური ბედი მოელოდა. მამამისმა სიკვდილის წინ წარმოთქვა: ,,რა მშვენიერია სიცოცხლე". მაიკლი საერთოდ ვერ იხსენებდა, რომ დონს რაიმე ეთქვას სიკვდილზე. როგორც ჩანს, მეტისმეტად დიდ პატივს სცემდა სიკვდილს, მასზე რომ ეფილოსოფოსა.

სასაფლაოზე გამგზავრების დრო დადგა - დიდი დონის დაკრძალვის დრო. მაიკლმა ქეის ხელკავი გამოსდო და ბაღში გავიდა. უკან კლემენცა და ტესიო მიჰყვნენ თავიანთი ,,ჯარისკაცებიანად", შემდეგ წამოვიდნენ ადამიანები, ვისაც დონი დახმარებაზე უარს არასოდეს ეუბნებოდა. მათ შორის იყვნენ ხაბაზი ნაზორინი, სინიორა კოლომბო თავის ვაჟიშვილებთან ერთად და მისი იმპერიის უამრავი სხვა მოქალაქე, იმპერიისა, რომელსაც ესოდენ მკაცრად, თუმცა კი სამართლიანად მართავდა. ზოგიერთი მისი მტერიც კი იყო მოსული, ამ დიდი ადამიანისთვის უკანასკნელი პატივი რომ მიეგო.

მაიკლი ამ ყველაფერს დაძაბული, ზრდილობიანი ღიმილით უმზერდა. მასზე ეს შთაბეჭდილებას არ ახდენდა. ფიქრობდა, თუკი მოვახერხებ, მოვკვდე ამ სიტყვებით, ,,რა მშვენიერია სიცოცხლე", სხვას არაფერს არავითარი მნიშვნელობა აღარ ექნება; თუკი შევძლებ ასე მჯეროდეს საკუთარი თავისა, დანარჩენს მართლა არ ექნებაო მნიშვნელობა. მამის კვალს გაჰყვება. იზრუნებს შვილებზე, ოჯახზე, თავის სამყაროზე. თუმცა კი მისი შვილები განსხვავებულ სამყაროში გაიზრდებიან. გახდებიან ექიმები, მხატვრები, მეცნიერები, გუბერნატორები, პრეზიდენტები... იზრუნებს, რომ კაცობრიობის დიდ ოჯახს შეუერთდნენ, მაგრამ, როგორც ძლევამოსილი და წინდახედული მამა, ყოველთვის მათ სადარაჯოზე იდგება.

*

დაკრძალვის მეორე დილას ხეივანში კორლეონეს ოჯახის ყველა მნიშვნელოვანმა წევრმა მოიყარა თავი. შუადღისას ისინი დონის დაცარიელებულ სახლში შეიყვანეს, სადაც მაიკლმა მიიღო.

მათ თითქმის შეავსეს კუთხის საბიბლიოთეკო ოთახი. იქ იყვნენ ორივე კაპორეჟიმე, კლემენცა და ტესიო, როკო ლამპონე, კარლო რიჩი, რომელმაც კარგად იცოდა თავისი ადგილი და ხმას თითქმის არ იღებდა, ტომ ჰეიგენი, რომელიც ამ კრიზისულ მომენტში თავის ოფიციალურ როლს კარგად აცნობიერებდა; ალბერტო ნერი, რომელიც ცდილობდა მაიკლთან ახლოს ყოფილიყო, - უკიდებდა სიგარეტს, უმზადებდა სასმელს, ერთი სიტყვით, აკეთებდა ყველაფერს, რომ თავისი ერთგულება გამოეხატა, მიუხედავად ოჯახზე თავს დამტყდარი უბედურებისა.

ოჯახისათვის დონის სიკვდილი მართლაც უდიდესი უბედურება იყო. ისე ჩანდა, რომ მის გარეშე ოჯახმა ნახევარი ძალა დაკარგა და ბარზინი-ტატალიას ალიანსს წინააღმდეგობას ვეღარ გაუწევდა. ოთახში მყოფთაგან ეს ყველას მშვენივრად

ესმოდა, მაიკლის სიტყვას ელოდებოდნენ. მათ თვალში იგი ნამდვილი დონი ჯერ არ იყო; ეს წოდება დამსახურებული ჯერაც არ ჰქონდა. დონი ცოცხალი რომ ყოფილიყო, ამაში თავის ვაჟს ხელს შეუწყობდა; ეს ახლა ცხადზე ცხადი გახლდათ.

მაიკლი დაელოდა, სანამ ნერიმ ყველას არ ჩამოურიგა სასმელი და თქვა: - მინდა დაგარწმუნოთ, მესმის თქვენი გრძნობებისა. ვიცი, რომ თქვენ, ყველანი, პატივს სცემდით მამას, მაგრამ ახლა საკუთარ თავსა და თქვენს ოჯახებზე უნდა იზრუნოთ. ზოგიერთ თქვენგანს აინტერესებს, როგორ იმოქმედებს მომხდარი ჩვენს გეგმებსა და იმ დაპირებებზე, რაც მოგეცით. პასუხი ერთია: არანაირად არ იმოქმედებს. ყველაფერი ისე წავა, როგორც დაგეგმილი იყო.

კლემენცამ ხარივით თავი გააქნია. ფოლადისფერი, ჭაღარა თმა ჰქონდა, დანაოჭებული სახე ქონისგან დასივებოდა და ერთობ უსიამო შესახედი გახლდათ.

- ბარზინი და ტატალია დიდი ძალებით აპირებენ შემოტევას, - თქვა მან, - ჩვენ ან მართლა უნდა ვიომოთ, ან მაშინვე დავნებდეთ.

ყველამ მიაქცია ყურადღება, რომ კლემენცამ მიმართვის ოფიციალური ფორმა უგულებელყო - მაიკლს „დონი“ არ უწოდა.

- მოდი, მოვიცადოთ და ვნახოთ, რა მოხდება, - თქვა მაიკლმა, - მშვიდობა პირველებმა დაარღვიონ.

- უკვე დაარღვიეს, - თავისი რბილი ხმით თქვა ტესიომ, - ამ დილით ბრუკლინში ორი საბუკმეკერო გახსნეს. ეს მე პოლიციის კაპიტნისგან ვიცი, რომლის ხელშიც არის სია, ვისაც ისინი ფულს უხდიან. ერთი თვის შემდეგ ბრუკლინში ქუდის ჩამოსაკიდი ადგილი აღარ დამრჩება.

მაიკლმა დაფიქრებით შეხედა.

- ამასთან დაკავშირებით რაიმე ზომები ხომ არ მიგიღია?

ტესიომ უარის ნიშნად თავი გააქნია.

- არა, - თქვა მან, - არ მინდოდა, პრობლემები გქონოდა.

- კარგია, - თქვა მაიკლმა, - წყნარად ვისხდეთ. ეს ყველას მინდა გითხრათ. წყნარად ისხედით. პროვოკაციას არ აჰყვეთ. მომეცით რამდენიმე კვირა, რომ ყველა საქმე მოვაგვარო და გავარკვიო, ქარი საით უბერავს. და მერე ისეთ გარიგებას მოვახდენ, რაც ყველა აქ მყოფისთვის ხელსაყრელი იქნება. მაშინ კიდევ ერთხელ შევიკრიბებით და საბოლოო გადაწყვეტილებებს მივიღებთ.

მაიკლმა მათი გაოცება არ შეიმჩნია, ალბერტო ნერიმ კარი გააღო, ყველა წამოიშალა. მაიკლმა ხისტად თქვა: - ტომ, შენ ერთი წუთით დარჩი.

ჰეიგენი ფანჯარასთან მივიდა, ხეივანს რომ გადაჰყურებდა, დაელოდა, სანამ კაპორეჟიმეები, კარლო რიჩი და როკო ლამპონე არ გამოჩნდნენ, რომელთაც ალბერტო ნერი მიაცილებდა, მაიკლს მიუბრუნდა და ჰკითხა: - ყველა პოლიტიკოსთან დაამყარე კავშირი, ვინც გვჭირდება?

მაიკლმა უარის ნიშნად თავი გააქნია.

- სამწუხაროდ, არა. კიდევ დაახლოებით ოთხი თვე მინდოდა. დონი და მე ამაზე ვმუშაობდით, მაგრამ ყველა მოსამართლე უკვე მყავს, ამაზე პირველ რიგში ვიზრუნეთ, და რამდენიმე ყველაზე მნიშვნელოვანი კაციც კონგრესში. პარტიულ ბოსებთან აქ, ნიუ-იორკში, პრობლემები, ცხადია, არ შექმნილა. კორლეონეს ოჯახი გაცილებით ძლიერია, ვიდრე ზოგიერთს ჰგონია, მაგრამ იმედი მაქვს, სრულიად შეუვალს გავხდი, - მაიკლმა ჰეიგენს გაუღიმა, - ახლა შენ, მგონი, უკვე ყველაფერი იცი.

ჰეიგენმა თავი დაუქნია.

- ეს რთული მისახვედრი არ იყო, ერთის გარდა - რატომ გინდოდა, თამაშიდან რომ გავსულიყავი. თუმცა მე ჩემი სიცილიური ქუდი დავიხურე და, ბოლოს, ამასაც მივხვდი.

მაიკლს გაეცინა.

- მამამ მითხრა, რომ მიხვდებოდი, მაგრამ ეს იყო ფუფუნება, რომლის უფლებასაც ჩემს თავს ახლა ვეღარ მივცემ. აქ მჭირდები. ყოველ შემთხვევაში, უახლოესი რამდენიმე თვის განმავლობაში. დარეკე ვეგასში, შენს ცოლს დაელაპარაკე, ოღონდ უთხარი, რომ რამდენიმე კვირა დარჩები.

ჰეიგენმა ჰკითხა: - როგორ ფიქრობ, თავს დაგესხმიან?

მაიკლმა ამოიოხრა.

- დონმა ინსტრუქტაჟი ჩამიტარა. ამას ჩემი უახლოესი კაცის მეშვეობით ეცდებიან. ბარზინი მომიგზავნის ისეთ კაცს, რომელზეც მე ეჭვი, წესით, არ შეიძლება მქონდეს.

ჰეიგენმა მაიკლს გაუღიმა.

- ვინმე ჩემნაირს? - იკითხა მან.

მაიკლმაც გაუღიმა საპასუხოდ.

- შენ ირლანდიელი ხარ და არ გენდობიან.

- მე გერმანული წარმოშობის ამერიკელი ვარ, - თქვა ჰეიგენმა.

- იმათთვის ირლანდიელი ხარ, - თქვა მაიკლმა, - ისინი შენთან არ მოვლენ და არც ალბერტო ნერისთან, რადგან პოლიციელი იყო. გარდა ამისა, თქვენ ორნი ჩემთან მეტისმეტად დაახლოებულნი ხართ. ასე ვერ გარისკავენ. აი, როკო ლამპონე ასე ახლოს არაა, მაგრამ, არა, ეს კლემენცა, ტესიო ან კარლო რიჩი იქნება.

ჰეიგენმა მშვიდად თქვა: - ნაძლევს დავდებ, კარლო იქნება.

- ვნახოთ, - მიუგო მაიკლმა, - მალე გამოჩნდება.

ეს მეორე დილითვე გამოჩნდა. როდესაც მაიკლი და ჰეიგენი ერთად საუზმობდნენ, მაიკლს ტელეფონზე სთხოვეს. ბიბლიოთეკიდან სამზარეულოში დაბრუნებულმა მაიკლმა ჰეიგენს უთხრა: - ყველაფერი გაირკვა. ერთ კვირაში ბარზინის ვხვდები. ახალი სამშვიდობო ხელშეკრულება უნდა დავდოთ, რადგან დონი გარდაიცვალა.

მაიკლს ჩაეცინა. ჰეიგენმა ჰკითხა: - ვინ დაგირეკა? ბარზინისთან კონტაქტზე ვინ გავიდა?

მათ მშვენივრად იცოდნენ, - ის, ვინც კორლეონეს ოჯახიდან კონტაქტზე გავიდა, მოღალატეა.

მაიკლმა ჰეიგენს სევდიანად გაუღიმა.

- ტესიო, - თქვა მან.

საუზმე მდუმარედ ჩაამთავრეს. ყავის სმისას ჰეიგენმა თავი გაიქნია.

- თავს დავდებდი, რომ ეს კარლო იქნებოდა, უკიდურეს შემთხვევაში, კლემენცა, - თქვა მან, - ოღონდ ვერასოდეს წარმოვიდგენდი, ტესიო თუ აღმოჩნდებოდა. ის ხომ ყველას სჯობდა.

- ის ყველაზე ჭკვიანია, - თქვა მაიკლმა, - და ჰგონია, ყველაზე ჭკვიანურს აკეთებს ახლა. უნდა ბარზინის დახმარებით მომიშოროს და მერე კორლეონეს ოჯახს დაეპატრონოს. მისი ანგარიშით, გამარჯვების შანსი არ გამაჩნია.

ჰეიგენმა ხანმოკლე პაუზა გააკეთა, სანამ ყოყმანით ჰკითხავდა: - რამდენად სწორია მისი ანგარიში?

მაიკლმა მხრები აიჩეჩა.

- საერთოდ, საქმეს ცუდი პირი უჩანს. თუმცა მამაჩემი ერთადერთი კაცი იყო, ვინც აცნობიერებდა, რომ პოლიტიკური კავშირები და ძალაუფლება ათი რაზმის ტოლფასია. მამაჩემის პოლიტიკური ძალის უდიდესი ნაწილი ახლა უკვე ჩემს ხელშია, ოღონდ მე ერთადერთი კაცი ვარ, ვინც ნამდვილად იცის, რომ ეს ასეა, - მაიკლმა ჰეიგენს გამამხნევებლად გაუღიმა, - მე მათ ვაიძულებ, დონი მიწოდონ, მაგრამ ტესიოს გამო გული მწყდება.

ჰეიგენმა ჰკითხა: - დასთანხმდი ბარზინისთან შეხვედრას?

- ჰო, - მიუგო მაიკლმა, - შეხვედრა ერთი კვირის თავზე შედგება, ბრუკლინში, ტესიოს ტერიტორიაზე, სადაც უსაფრთხოდ ვიქნები, - მაიკლს ისევ ჩაეცინა.

- მანამდეც გაფრთხილდი, - უთხრა ჰეიგენმა.

პირველად იმ დილის განმავლობაში მაიკლმა ჰეიგენს ცივად მიმართა.

- მე არ მჭირდება კონსილიორი, რომელიც ასეთ რჩევებს მაძლევს, - თქვა მან.

*

იმ ერთი კვირის განმავლობაში, რომელიც ბარზინისთან შეხვედრას წინ უძღოდა, მაიკლმა დაუმტკიცა ჰეიგენს, რამდენად ფრთხილი შეუძლია იყოს. ხეივნიდან ერთხელაც არ გასულა და არავინ მიუღია ისე, ალბერტო ნერი ზურგს უკან რომ არ ჰყოლოდა. ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ ერთ არასასიამოვნო გართულებას ჰქონდა ადგილი. კონისა და კარლოს შვილს კათოლიკურ ეკლესიაში კონფირმაცია უნდა მიეღო და მაიკლს სთხოვეს, ნათლია ყოფილიყო. მაიკლმა უარი თქვა.

- მე არცთუ ხშირად გთხოვ ხოლმე, - უთხრა ქეიმ, - თუ შეიძლება, გააკეთე ეს ჩემთვის. კონის ძალიან უნდა, ნათლია რომ იყო. ასევე კარლოსაც. ამას ძალზე დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. თუ შეიძლება, მაიკლ.

ქეის დაჟინებამ მაიკლი გააბრაზა, ამიტომ ქეი დარწმუნებული იყო, საბოლოოდ უარს ეტყოდა. ძლიერ გაუკვირდა, როცა მაიკლმა უთხრა: - ო,კეი, მაგრამ ხეივნიდან გასვლა არ შემიძლია. ყველაფერი აქ ჩაატარონ. გადავიხდი, რამდენსაც მეტყვიან. თუკი ეკლესიის ხალხთან პრობლემები იქნება, ჰეიგენმა მოაგვაროს.

ასე რომ, ბარზინისთან დათქმულ შეხვედრამდე ერთი დღით ადრე მაიკლი კონისა და კარლო რიჩის ვაჟიშვილის ნათლია გახდა. ბიჭს საუცხოო, ძალზე ძვირად ღირებული ოქროს საათი აჩუქა, თავის ოქროს ძეწკვიანად. კარლოს სახლში მოკრძალებული წვეულება გაიმართა, რომელზეც კაპორეჟიმეები, ჰეიგენი, ლამპონე და ხეივნის ყველა ბინადარი, მათ შორის, რაღა თქმა უნდა, დონის ქვრივი დაპატიჟეს. კონი იმდენად გულაჩუყებული და აღელვებული იყო, რომ მთელი საღამო მაიკლსა და ქეის ეხვეოდა და კოცნიდა. კარლო რიჩისაც გული უჩუყდებოდა, მაიკლს წამდაუწუმ ხელს ართმევდა და ნათლიას ეძახდა, - ძველი ტრადიციისამებრ. იმ საღამოს მაიკლი ისეთი მხიარული და გულგახსნილი იყო, ადრე რომ არასოდეს ყოფილა.

- მგონი, კარლო და მაიკლი ახლა ნამდვილი მეგობრები გახდებიან, - კონიმ ქეის წასჩურჩულა, - ასეთი რაღაც ადამიანებს ყოველთვის აახლოებს.

ქეიმ კონის მკლავზე ხელი მოუჭირა.

- ძალიან მიხარია, - თქვა მან.

ნაწილი VIII

თავი ოცდამეათე

ალბერტო ნერი ბრონქსში, თავის ბინაში იჯდა და პოლისმენის საკუთარ ძველ ფორმას საგულდაგულოდ ასუფთავებდა. ლითონის გერბი მოხსნა და მაგიდაზე დადო, მოგვიანებით რომ გაეპრიალებინა. სკამის საზურგეზე ქამარი ჰქონდა გადაკიდებული ზედ იარაღის ბუდიანად, შიგ პისტოლეტი იდო. ეს ჩვეული, რუტინული საქმიანობა ნერის ამჯერად უცნაურ სიამოვნებას ანიჭებდა. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში, მას მერე, რაც ცოლმა მიატოვა, თითქმის პირველად გრძნობდა თავს ბედნიერად.

რიტა ცოლად შეირთო, როცა იგი სკოლას ამთავრებდა, თვითონ კი დამწყები პოლიციელი გახლდათ. რიტა მორცხვი, შავგვრემანი ქალიშვილი იყო კონსერვატიული იტალიური ოჯახიდან, რომელსაც ნებას არ რთავდნენ ქუჩაში ღამის ათი საათის შემდეგ დარჩენილიყო. ნერის უყვარდა რიტა, მოსწონდა მისი უმანკოება, წესიერება და, რაღა თქმა უნდა, ეშხიანი სილამაზე.

თავდაპირველად რიტა ქმრით აღტაცებული იყო. ნერი ძალზე ძლიერი გახლდათ ფიზიკურად და რიტა ხედავდა, ხალხს მისი ეშინოდა, ეშინოდა მისი ძალისა და პირდაპირი, ხისტი ქცევისა, როცა საჭირო ხდებოდა, გაერკვია, ვინ იყო მტყუანი და ვინ მართალი. ნერი ტაქტით არ გამოირჩეოდა. თუკი ვინმე არ ეთანხმებოდა, იმ ადამიანს, ანდა სულაც, ადამიანთა მთელ ჯგუფს, უბრალოდ, მოაკეტინებდა ხოლმე. თავაზიანი არასოდეს ყოფილა. თანაც, ნამდვილი სიცილიური ტემპერამენტი ჰქონდა და, თუკი გაბრაზდებოდა, მართლა შეეძლო ადამიანისთვის გული გაეხეთქა, სასტიკად დაეშინებინა, ოღონდ ცოლს არასოდეს უბრაზდებოდა.

ხუთი წლის სამსახურის განმავლობაში ნერი ნიუ-იორკის ერთ-ერთ ყველაზე საშიშ და, ასევე, ერთ-ერთ ყველაზე პატიოსან პოლიციელად იქცა. თუმცა მას კანონის დაცვის საკუთარი მეთოდები ჰქონდა. სძულდა ქუჩის ბიჭები და როდესაც დაინახავდა, ახალგაზრდების ჯგუფი ღამით სადმე ქუჩის კუთხეში დაყუდებულა და გამვლელებს აწუხებს, წესრიგს სწრაფად და გადაჭრით ამყარებდა. ამ დროს, ცხადია, თავის გასაოცარ ფიზიკურ ძალას იყენებდა.

ერთხელაც ღამით ნერიმ ცენტრალ-პარკ-ვესტში ექვსი ახალგაზრდა შენიშნა, - შავი აბრეშუმის პიჯაკები ეცვათ. ნერი საპატრულო მანქანიდან გადმოხტა, მისი მეწყვილე კი საჭესთან დარჩა, რადგან მისი ძალის ამბავი კარგად მოეხსენებოდა. ექვსივენი თინეიჯერები აღმოჩნდნენ, გამვლელებს აჩერებდნენ და ელაზღანდარებოდნენ, სიგარეტს მუქარით სთხოვდნენ, თუმცა არავის არაფერს უშავებდნენ. და კიდევ, გამვლელ ქალებს უხამსი, შეურაცხმყოფელი ჟესტებით მიმართავდნენ.

ნერიმ ექვსივე ქვის კედლის გასწვრივ ჩაამწკრივა, რომელიც ცენტრალ-პარკს მერვე ავენიუსგან ყოფდა. უკვე ბნელდებოდა, მაგრამ ნერის თან ჰქონდა თავისი საყვარელი იარაღი - უზარმაზარი ფარანი. ასეთ დროს იგი ნამდვილ იარაღს ბუდიდან არასოდეს იღებდა; ამის საჭიროება არც იყო ხოლმე. როდესაც ბრაზდებოდა, ისეთი სასტიკი გამომეტყველება უჩნდებოდა, რომ, პოლიციელის ფორმასთან ერთად, ჩვეულებრივ, სავსებით საკმარისი იყო, ხულიგნებს ჩაესვარათ. ეს ექვსნი გამონაკლისს არ წარმოადგენდნენ.

ნერიმ პირველივე ახალგაზრდას ჰკითხა: - შენი სახელი?

ბიჭმა ირლანდიული სახელი უთხრა.

- აქედან წაეთრიე, - უღრიალა ნერიმ, - თუ კიდევ ერთხელ აქ გნახე, იცოდე, დედას გიტირებ.

ნერიმ ანთებული ფარანი გვერდზე გაიქნია და ბიჭიც სასწრაფოდ გაეცალა იქაურობას. შემდეგ ორ ბიჭს იგივე პროცედურა ჩაუტარა, ისინიც გაუშვა, მაგრამ მეოთხემ იტალიური სახელი უთხრა და ახლობელივით გაუღიმა. ნერის ერთი შეხედვით შეატყობდი, იტალიელი რომ იყო. ნერი ბიჭს დააკვირდა, ჰკითხა: - იტალიელი ხარ?

ბიჭმა გაუღიმა.

ნერიმ თავში ფარანი ხია. ბიჭი ჩაიკეცა, მუხლებზე დაემხო. თავზე კანი გადაუსკდა და სახეზე სისხლი ნაკადად ჩამოუვიდა. თუმცა თავის ქალა არ დაშავებია, მხოლოდ

კანი. ნერიმ უღრიალა: - ნაბიჭვარო, შენ ყველა იტალიელს უფუჭებ სახელს. შენისთანების გამო არ ვუყვარვართ. ახლავე დადექი ფეხზე!

ნერიმ ბიჭს ფერდში მიარტყა, თუმცა არცთუ ძლიერად.

- წადი შინ და ქუჩას აღარ გაეკარო. თუ ამ პიჯაკში ერთხელ კიდევ გნახე, შენს თავს დააბრალე. პირდაპირ საავადმყოფოში გაგამგზავრებ. ახლა კი წაეთრიე. მადლობა თქვი, მამაშენი რომ არა ვარ.

დანარჩენ ორ მოზარდზე ნერის დრო აღარ დაუხარჯავს. პანღურების რტყმით გაყარა, თანაც გააფრთხილა, მეორედ აღარ გნახოთო.

მსგავს შემთხვევებში ყველაფერი ისე სწრაფად ხდებოდა ხოლმე, რომ გამვლელები ჩარევას თუ პროტესტის გამოთქმას ვერ ასწრებდნენ. ნერი საპატრულო მანქანაში ჩახტებოდა, მეწყვილე კიდევ გაზს მიაჭერდა, გააქროლებდა. რასაკვირველია, ყოფილა შემთხვევები, როცა მისთვის წინააღმდეგობის გაწევა უცდიათ და დანაც კი ამოუღიათ, მაგრამ ასეთები ნამდვილად უბედურ ვარსკვლავზე იყვნენ გაჩენილნი. ნერი მათ სასტიკად სცემდა ხოლმე და საპატრულო მანქანაში ყრიდა. მერე ოფიციალურად აპატიმრებდნენ და პოლიციის ოფიცრისთვის წინააღმდეგობის გაწევის ბრალდებით ასამართლებდნენ. თუმცაღა, მოსამართლეს მოცდა უწევდა, სანამ მათ საავადმყოფოდან გამოწერდნენ ხოლმე.

ნერი სამუშაოდ გადაიყვანეს რაიონში, სადაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შტაბბინა იყო განლაგებული. როგორც ეტყობა, გადაიყვანეს იმიტომ, რომ უფროსს მიაჩნდა, პატივს სათანადოდ არ მცემსო. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის თანამშრომლები, დიპლომატიური იმუნიტეტით დაცულნი, კუთვნილ მანქანებს სადაც მოუნდებოდათ, იქ აჩერებდნენ, პოლიციის მითითებებს არაფრად აგდებდნენ. ნერიმ თავის ახალ უფროსთან ამის გამო დაიჩივლა, მაგრამ პასუხად მიიღო, - არ გინდა ხმაური, უბრალოდ, ყურადღებას ნუ მიაქცევო, მაგრამ ერთხელ ასეთი მანქანის გამო ერთ-ერთ გვერდით ქუჩაზე საცობი წარმოიშვა.

შუაღამეს გადაცილებული იყო, ნერიმ ფარანი აიღო, ქუჩას ჩამოუარა და ყველა მანქანას, რომელიც კი უადგილო ადგილას იყო გაჩერებული, მინები ჩაუმსხვრია. დიპლომატებსაც კი რამდენიმე დღე დასჭირდათ, ახალი მინები რომ ჩაეყენებინათ. პოლიციის განყოფილებაში საჩივრები ღვარად წამოვიდა, ამ ვანდალიზმის აღკვეთას კატეგორიულად მოითხოვდნენ. მინების მსხვრევის კვირის თავზე პოლიციაში ვიღაცამ მოისაზრა, რა ხდებოდა, და ნერიც ჰარლემში გადაიყვანეს სამუშაოდ.

ამ ყველაფრის მერე, ერთ კვირადღეს, ნერი ცოლთან ერთად დაქვრივებულ დას სტუმრად ეწვია. როგორც ყველა სიცილიელს, და მასაც ძალიან უყვარდა, ორ თვეში ერთხელ მაინც აკითხავდა, რომ დარწმუნებულიყო, ყველაფერი რიგზე აქვს. ნერის და მასზე ბევრად უფროსი იყო, თითქმის ოცი წლის ვაჟი ჰყავდა. ამ ბიჭს, ტომასს, მამის ხელი მოაკლდა და აიშვა, წამდაუწუმ ხათაბალაში ეხვეოდა. ქუჩაში ჩხუბობდა, ხულიგნობდა. ერთხელ ნერი იძულებულიც კი გახდა, პოლიციაში თავისი კავშირები გამოეყენებინა, დაპატიმრებას რომ გადაერჩინა, - ბინის ძარცვა ბრალდებოდა. მაშინ ნერიმ მოახერხა მრისხანების შეკავება, მხოლოდ ეს უთხრა: - ტომი, ჩემს დას ერთხელ კიდევ თუ აატირებ, ჩემი ხელით მოგიყვან ჭკუაზე.

ეს ნათქვამი ბიძის მეგობრულ გაფრთხილებად იქნა აღქმული, ნამდვილ მუქარად კი არა. ტომი თავაშვებული ბიჭი გახლდათ, თავაშვებულ ბრუკლინში ცხოვრობდა, თუმცა ბიძა ალბერტოსი მაინც ეშინოდა, - ისეთი სახელი ჰქონდა.

ამჯერად აღმოჩნდა, რომ ტომი ღამით შინ ძალზე გვიან დაბრუნებულიყო და ჯერაც თავის ოთახში ეძინა. დედამისმა გააღვიძა და უთხრა, ამდგარიყო, ბიძასა და დეიდასთან ერთად რომ ესადილა, მაგრამ ნახევრად ღია კარში გაისმა: - თავი დამანებე, ფეხებზე მკიდია.

დედამისი ოთახიდან სამზარეულოში დამნაშავე, უხერხული ღიმილით გამობრუნდა. ასე რომ, სადილად ტომის გარეშე დასხდნენ. ალბერტომ დას ჰკითხა, რამე სერიოზული ხომ არ დაუშავებიაო. დამ უარის ნიშნად თავი გააქნია.

როდესაც ტომმა, ბოლოს და ბოლოს, ადგომა ინება, ალბერტო ცოლთან ერთად უკვე წასასვლელად ემზადებოდა. ტომმა ძლივს ამოღერღა ,,ჰელოუ" და სამზარეულოში შევიდა.

- დეე, საჭმელს გამიკეთებ თუ არა? - ყვირილით მიმართა დედას.

ეს თხოვნა კი არა, განებივრებული ლაწირაკის პრეტენზია იყო.

- დროზე ამდგარიყავი და ისადილებდი. შენთვის საჭმლის კეთებას თავიდან არ ვაპირებ, - უთხრა დედამ.

ეს ჩვეულებრივი, უმსგავსი სცენა იყო, რომელიც, ცხადია, ხშირად იმართებოდა, მაგრამ ტომი ჯერ ბოლომდე არ გამოფხიზლებულიყო და შეცდომა მოუვიდა.

- შენი დედაც და შენი ჭკუაც, წავალ და სადმე ქუჩაში შევჭამ, - უთხრა დედას.

როგორც კი ეს სიტყვები წარმოთქვა, წამსვე ინანა. ალბერტო ისე ეცა, როგორც კატა თაგვს. საქმე ის კი არ გახლდათ მხოლოდ, რომ მის დას იმ მომენტში შეურაცხყოფა მიაყენა, უბრალოდ, ცხადი იყო - სხვა დროსაც ასე ელაპარაკებოდა. ბიძის თანდასწრებით ტომი, ჩვეულებრივ, თავს იკავებდა, მაგრამ ამ კვირადღეს სიფრთხილე დაკარგა, თავისდა საუბედუროდ.

ნერიმ ბიჭს გულგახეთქილი ქალების თვალწინ სასტიკად სცემა. თავიდან ტომი ცდილობდა თავის დაცვას, მაგრამ მალე მიხვდა, ამას აზრი არ ჰქონდა და წინააღმდეგობა შეწყვიტა, მხოლოდ შეწყალებას ევედრებოდა. ნერიმ სახეში ურტყა მანამ, სანამ ტუჩები არ დაუსივდა და დაუსისხლიანდა. კედელზე თავი არტყმევინა, მუცელში მუშტი ჩასცხო და ხალიჩაზე დააგორა. შემდეგ აიძულა, ამდგარიყო და ქუჩაში გაჰყოლოდა. იქ მანქანაში ჩაისვა და სასტიკად დაემუქრა.

- თუკი ჩემი და მეტყვის, რომ ერთხელ მაინც ეუზრდელე, ისე გირტყამ, რაც ახლა მოგხვდა, ქალის კოცნად მოგეჩვენება, - უთხრა ბიჭს, - დღეიდანვე უნდა გამოსწორდე. ახლა კი ადი და ჩემს ცოლს უთხარი, რომ მანქანაში ველოდები.

ამ შემთხვევიდან ორი თვის შემდეგ ღამის მორიგეობიდან დაბრუნებულმა ნერიმ აღმოაჩინა, რომ ცოლმა მიატოვა. მთელი თავისი გარდერობი წაეღო და მშობლების ოჯახში დაბრუნებულიყო. როგორც სიმამრმა ნერის უთხრა, რიტას მისი ეშინია, ეშინია მასთან ცხოვრება, მისი მხეცური ბუნების გამო. ალბერტო გაოგნებული იყო,

ვერ იჯერებდა. არასოდეს უცემია ცოლი, არასოდეს დამუქრებია და მის მიმართ, სიყვარულის გარდა, არაფერს გრძნობდა. მასზე იმდენად იმოქმედა ცოლის საქციელმა, რომ გადაწყვიტა, რამდენიმე დღე მოეცადა და სალაპარაკოდ მერეღა მისულიყო.

თუმცა მეორე დღეს, საუბედუროდ, საშინელ ხათაბალაში გაეხვია. ჰარლემში მისმა საპატრულო მანქანამ გამოძახება მიიღო, შემოვიდა სიგნალი მკვლელობის მცდელობაზე. როგორც ყოველთვის, ნერიმ მანქანის დამუხრუჭებას არ დაუცადა, გადმოხტა მანამ, სანამ გაჩერდებოდა. შუაღამე იყო და თავისი ვეება ფარანი თან ჰქონდა. შემთხვევის ადგილი ადვილად იპოვა. სეირის მაყურებელთა ჯგუფი ერთ-ერთ სახლთან შეგროვილიყო. ვიღაც ზანგმა ქალმა უთხრა: - იქ კაცია, პატარა გოგოს ჭრის დანით.

ნერი სახლში შევიდა. დერეფნის ბოლოს ნახევრად ღია კარი ჩანდა, საიდანაც კვნესა ისმოდა. ნერიმ ფარნით ხელში კარს ფეხი ჰკრა და ოთახში შეაბიჯა.

კინაღამ იატაკზე გაშოტილ ორ სხეულს წამოედო. ერთი ოცდახუთიოდე წლის ზანგი ქალი იყო, მეორე - თორმეტიოდე წლის ზანგი გოგონა. ორივეს სახესა და სხეულზე უამრავი ჭრილობა ჰქონდა სამართებლით მიყენებული. ოთახში ნერიმ დაინახა კაცი, ვისი ნამოქმედარიც გახლდათ. ნერი იმ კაცს კარგად იცნობდა.

ეს იყო ვაქს ბეინსი, ცნობილი სუტენიორი, ნარკოტიკებით მოვაჭრე და შანტაჟისტი. კაიფისგან თვალები გადმოცვენაზე ჰქონდა, გასისხლიანებული დანა ხელში უცახცახებდა. ორი კვირის წინ იგი ნერიმ ერთ-ერთი მისი მეძავი ქალის სასტიკი ცემისათვის დააპატიმრა. მაშინ ბეინსმა უთხრა: - ჰეი, შენ, ეს შენი საქმე არის.

ნერის მეწყვილემ ჩაილაპარაკა, ნიგერებმა, რამდენიც უნდათ, იმდენი ხოცონო ერთმანეთი, მაგრამ ნერიმ მაინც დააპატიმრა ბეინსი და პოლიციის განყოფილებაში მიიყვანა. თუმცა ის მეორე დღესვე გამოუშვეს თავდებით.

ნერის ზანგები მაინცდამაინც არასოდეს ჰყვარებია, ჰარლემში მუშაობამ კი მათზე წარმოდგენა საერთოდ გაუფუჭა, ყველანი ნარკომანები და ლოთები არიან და თავიანთ ქალებს აიძულებენ, სხეულით ივაჭრონო. დასერილი გოგონას დანახვამ კინაღამ გული აურია. ნერიმ გადაწყვიტა, ამჯერად ბეინსი პოლიციის განყოფილებაში აღარ წაეყვანა.

მაგრამ ამასობაში გარშემო მოწმეები შეგროვდნენ - ბეინსის მეზობლები და ნერის მეწყვილე.

- დანა დააგდე, დაკავებული ხარ, - უბრძანა ნერიმ.

ბეინსმა გაიცინა.

- ჰეი, შენ, - მიმართა მან ნერის, - პისტოლეტის გარეშე ვერ დამაკავებ, ან, იქნებ, ეს მოგინდა? - და დანა დაანახვა.

ნერი ისე სწრაფად ეცა ბეინსს, რომ მისმა მეწყვილემ იარაღის ამოღებაც კი ვერ მოასწრო. ზანგმა დანა აუქნია, მაგრამ ნერის წარმოუდგენლად სწრაფმა რეაქციამ საშუალება მისცა, მარცხენა ხელით მისი მკლავი დაეჭირა, მარჯვენით კი ფარანი მთელი ძალით ჩაარტყა თავში. ბეინსი მთვრალივით შეტორტმანდა. დანა ხელიდან

გაუვარდა, წინააღმდეგობის გაწევის ყოველგვარი საშუალება დაკარგა. ამიტომ მეორე დარტყმა გამართლებული არ გახლდათ, როგორც ეს პოლიციის დეპარტამენტის მოკვლევამ მოგვიანებით მოწმეებისა და ნერის მეწყვილე პოლიციელის ჩვენებების საფუძველზე დაასკვნა. მეორე დარტყმა იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ ფარნის მინა ჩაიმსხვრა და პატარა ნათურა ამოვარდა - ოთახის მეორე კუთხეში გაფრინდა. თვით ფარნის მასიური ალუმინის კორპუსი დამსხვრევას მხოლოდ შიგ ჩაწყობილმა ელემენტებმა გადაარჩინა. ბეინსის ერთ-ერთმა მეზობელმა, რომელმაც მოგვიანებით ნერის წინააღმდეგ ჩვენება მისცა, იმ მომენტში თქვა: - ჰეი, შენ, ამ ნიგერს ძაან მაგარი გოგრა აქვს.

მაგრამ ბეინსის ,,გოგრა'' საკმარისად მაგარი არ აღმოჩნდა. დარტყმამ თავის ქალა ჩაუტეხა. ბეინსი ორი საათის შემდეგ ჰარლემის საავადმყოფოში გარდაიცვალა.

ალბერტო ნერი იყო ერთადერთი, ვისაც გაუკვირდა, როცა პოლიციის დეპარტამენტში ძალის გადამეტების ბრალდება წაუყენეს. მერე დააპატიმრეს და საქმე სასამართლოს გადასცეს. სასამართლომ დამნაშავედ ცნო და ერთი წელი ციხე მიუსაჯა. იმ მომენტში ნერი იმდენად იყო გაცოფებული, იმდენად სძულდა მთელი საზოგადოება, რომ ლამის ჭკუა დაკარგა. მას დამნაშავედ აცხადებენ! ციხეში სვამენ იმ ნადირის, იმ მხეცის მოკვლისათვის! დანით სახედასერილი ქალი და გოგონა კი, რომლებიც ჯერაც საავადმყოფოში არიან და დამახინჯებულებმა უნდა იარონ მთელი ცხოვრება, სრულიად არ ანაღვლებთ!

ციხისა ნერის არ ეშინოდა. იმის გამო, რომ პოლისმენი იყო და უფრო თავისი დანაშაულის ხასიათის გამო, ეგონა, იქ ნორმალურად მიიღებდნენ. რამდენიმე მისმა ძმაკაცმა პოლიციის ოფიცერმა დააიმედა, სიტყვას შეგაწევთო. მხოლოდ მისი სიმამრი, გაქნილი იტალიელი, თევზის მაღაზიის მფლობელი, მიხვდა, რომ ნერისნაირ კაცს ძალზე ცოტა შანსი აქვს, ციხიდან ცოცხალი გამოვიდეს. ნერი შეიძლება მოკლას მასთან ერთად მჯდომმა რომელიმე პატიმარმა, ანდა, ადრე თუ გვიან, თვითონ მოკლავს ვინმეს. სიმამრს დანაშაულის გრძნობა ჰქონდა, ქალიშვილს ხელი რომ არ შეუშალა, როცა ასეთ კაცს მიჰყვებოდა ცოლად, ამიტომ კორლეონეს ოჯახთან თავისი კონტაქტები გამოიყენა (მფარველობისათვის გადასახადს უხდიდა ოჯახის წარმომადგენელს და ქალაქში საუკეთესო თევზით ამარაგებდა, - რაღა თქმა უნდა, ძღვნის სახით), - სთხოვა, ჩარეულიყო.

კორლეონეს ოჯახმა ალბერტო ნერის არსებობის შესახებ ისედაც იცოდა. მოუსყიდველ პოლიციელად ითვლებოდა, კაცად, რომელსაც ადამიანის დაშინება ადვილად შეეძლო. ასეთი გამორჩეული პიროვნება ყურადღებას ნამდვილად იმსახურებდა. კორლეონეს ოჯახს ყოველთვის აინტერესებდა ამგვარი ადამიანები. იმ ფაქტს, რომ იგი პოლიციელი გახლდათ, მაინცდამაინც დიდი ყურადღება არ ექცეოდა.

კლემენცამ პირველმა მიაქცევინა ტომ ჰეიგენს ნერის საქმეზე ყურადღება. ჰეიგენი ნერის სასამართლო საქმეს ფურცლავდა და თან კლემენცას უსმენდა.

- შესაძლოა, ჩვენ საქმე გვაქვს ახალ ლუკა ბრაზისთან, - თქვა მან.

კლემენცამ დარწმუნებით დაუქნია თავი. სახეზე გულკეთილობის ნატამალიც არ ეტყობოდა.

- ამაზე მეც ვიფიქრე, - თქვა მან, - მაიკლი, წესით, უნდა დაინტერესდეს.

ერთი სიტყვით, ცოტა ხანში ნერი გაათავისუფლეს.

ნერი სულაც არ იყო ბრიყვი, მისი სიმამრი კი - სენტიმენტალური რეგვენი. ნერიმ რიტასთან გაყრაზე თანხმობა მისცა, შემდეგ ლონგ-ბიჩში გაემართა, თავის კეთილისმყოფელთათვის მადლობა რომ ეთქვა. შეხვედრისთვის ყველაფერი მზად იყო. მაიკლმა ნერი ბიბლიოთეკაში მიიღო.

ნერიმ ოფიციალური ტონით მოახსენა მადლობა და გაოცდა, როგორ გულთბილად მიიღო მაიკლმა.

- ჯანდაბას, ხომ ვერ დავუშვებდი, სიცილიელი ასე დაეჩაგრათ, - თქვა მაიკლმა, - ამის მაგივრად შენთვის მედალი უნდა მოეცათ, მაგრამ ამ წყეულ პოლიტიკოსებს არაფერი ენაღვლებათ. მისმინე, ყველაფერი რომ არ გადამემოწმებინა და არ დავრწმუნებულიყავი, უსამართლოდ მოგექცნენ, ამ საქმეში არასოდეს ჩავერეოდი. ჩემი ერთ-ერთი კაცი შენს დას გაესაუბრა და გაიგო, როგორ ზრუნავ მასსა და მის ბიჭზე, როგორ ცდილობდი აღგეზარდა, გზიდან რომ არ გადაეხვია. ეს კი, დამეთანხმები, ჩვენს დროში დიდი იშვიათობაა.

მაიკლმა ტაქტიანად აუარა გვერდი იმას, რომ ნერის ცოლი გაექცა. თითქმის ერთ საათს საუბრობდნენ. ნერის ბევრი ლაპარაკი არ უყვარდა, სიტყვაძუნწი კაცი იყო, მაგრამ მაიკლს გული გადაუშალა. მაიკლი ნერიზე მხოლოდ ხუთი წლით იყო უფროსი, მაგრამ ისე ელაპარაკებოდა, როგორც კაცს, მამად რომ ეკუთვნის.

საბოლოოდ, მაიკლმა უთხრა: - რა აზრი ექნებოდა ციხიდან შენს გამოყვანას, თუკი მშრალზე დაგტოვებდით. მე შემიძლია, სამუშაო მოგცე. ლას-ვეგასში ჩემი ინტერესები მაქვს. შენი გამოცდილების მქონე კაცი, შეიძლება იქ იყოს, ვთქვათ, სასტუმროს დაცვის უფროსი, მაგრამ თუკი გსურს რაიმე საკუთარი პატარა ბიზნესის გახსნა, შემიძლია, ბანკს სიტყვა ვუთხრა და კრედიტს მიიღებ.

ნერი დაიბნა, მაგრამ თან მადლიერებითაც აღივსო, წინადადებაზე კი უარი თქვა, თანაც დაამატა: - ახლა მე მაინც პოლიციის მუდმივი ზედამხედველობის ქვეშ უნდა ვიყო.

მაიკლმა უთხრა: - ეს წვრილმანია, ამის მოგვარება შემიძლია. ამაზე არ ინაღვლო. ბანკი რომ არ გაჭირვეულდეს, შენი ყვითელი ფურცელი შეიძლება გავაქროთ.

,,ყვითელი ფურცელი“ ეწოდებოდა პოლიციის ჩანაწერს ამა თუ იმ პირის მიერ დანაშაულის ჩადენის თაობაზე. განაჩენის გამოტანის წინ მოსამართლე მას საგულდაგულოდ ამოწმებდა ხოლმე. ნერი თვითონ პოლიციელი იყო და კარგად მოეხსენებოდა, არაერთ განგსტერს მსუბუქი განაჩენი მიუღია იმის წყალობით, რომ მოსამართლეს პოლიციის დეპარტამენტის კორუმპირებული თანამშრომლები სრულიად სუფთა ყვითელ ფურცელს უდებდნენ მაგიდაზე, - რაღა თქმა უნდა, ქრთამის აღების შემდეგ. ამიტომ მას მაიკლის წინადადება მაინცდამაინც არ გაჰკვირვებია. მხოლოდ ის გაუკვირდა, მისთვის თავს როგორ იწუხებდნენ.

- თუკი დახმარება დამჭირდება, მოგმართავთ, - უთხრა ნერიმ მაიკლს.

- ძალიან კარგი, - თქვა მაიკლმა და საათზე დაიხედა. ნერიმ იფიქრა, ეს აუდიენციის დასასრულს ნიშნავსო და წამოდგა, მაგრამ მაიკლის სიტყვებმა ისევ გააოცა.

- ლანჩის დროა, - თქვა მაიკლმა, - წამოდი, სუფრაზე დაგვეწვიე. მამაჩემმა თქვა, სიამოვნებით შევხვდებიო. მის სახლში გადავიდეთ. დედაჩემს შემწვარი წიწაკა და ძეხვიანი ერბოკვერცხი ექნება მომზადებული. ნამდვილი სიცილიური საჭმელი.

ის საღამო ალბერტო ნერისათვის ერთ-ერთი ყველაზე სასიამოვნო აღმოჩნდა ბავშვობის მერე, მას მერე, რაც თხუთმეტი წლისას მშობლები დაეხოცა. დონი მეტად თავაზიანად ეპყრობოდა, ძალიან გაუხარდა, როცა გაიგო, ნერი წარმოშობით კორლეონეს მეზობელი სოფლიდან ყოფილა. საუბარი სასიამოვნო იყო, საჭმელი - გემრიელი, ღვინო - წითელი და მაგარი. ნერის გაუელვა აზრმა, რომ, როგორც იქნა, თავისიანებში მოხვდა. მშვენივრად აცნობიერებდა, რომ შემთხვევითი სტუმარია, მაგრამ იმასაც კარგად ხვდებოდა, თუკი მოინდომებდა, ამ სამყაროში თავის ადგილს იპოვიდა და ბედნიერადაც იცხოვრებდა.

დონმა და მაიკლმა მანქანამდე მიაცილეს. დონმა ხელი ჩამოართვა და უთხრა: - კარგი კაცი ხარ. მაიკლს ზეთისხილის ზეთის იმპორტის ბიზნესის მართვა შევასწავლე. დავბერდი, გადადგომას ვაპირებ. და, აი, ამას წინათ მოვიდა ჩემთან და მითხრა, რომ სურს დაგეხმაროს. ვუთხარი, შენი საქმე ჯერჯერობით მხოლოდ სწავლაა-მეთქი, მაგრამ არ მომეშვა. ასე მითხრა: კარგი სიცილიელი ბიჭია, ის ნაბიჭვრები კიდევ ჩაგრავენო და იმდენი მელაპარაკა, რომ ბოლოს, გადავწყვიტე, თვითონ მენახა შენი საქმე. მე ამას მხოლოდ იმიტომ გიყვები, მინდა იცოდე: მაიკლი მართალი იყო. ახლა, როცა შეგხვდი, დახარჯული დრო აღარ მენანება. ამიტომ შენთვის თუკი რაიმეს გაკეთებას კიდევ შევძლებთ, მხოლოდ სიტყვა გვითხარი. გასაგებია? ყოველთვის შენს განკარგულებაში ვართ (როდესაც შემდგომ ნერი დონის სიკეთეს იხსენებდა ხოლმე, ღმერთს ევედრებოდა, ამ შესანიშნავი კაცისთვის დიდი ხნის სიცოცხლე მიეცა).

ნერიმ დონის ნათქვამზე, დაახლოებით, სამი დღე იფიქრა. მიხვდა, რომ „ახვევენ“, მაგრამ მეტსაც მიხვდა. გააცნობიერა, კორლეონეს ოჯახმა დააფასა მისი ქმედება, რომლის გამოც საზოგადოებამ დაგმო და დასაჯა. კორლეონეს ოჯახი აფასებდა მას, საზოგადოება - არა. მიხვდა, რომ კორლეონეს სამყაროში უფრო ბედნიერი იქნებოდა, ვიდრე გარე სამყაროში. იმასაც მიხვდა, რომ კორლეონეს ოჯახი უფრო ძლევამოსილია, მიუხედავად შეზღუდვებისა, რომელსაც უწესებენ.

ნერი მაიკლთან მივიდა და ყველაფერი გულახდილად უთხრა, კარტები გაუშალა; უთხრა, რომ ლას-ვეგასში მუშაობა არ სურს, მაგრამ ნიუ-იორკში გააკეთებს ყველაფერს, რასაც კორლეონეს ოჯახი დაავალებს. პირდაპირ გამოუცხადა ერთგულება. მისმა სიტყვებმა მაიკლზე იმოქმედა. ნერიმ ეს აშკარად დაინახა. ერთი სიტყვით, ყველაფერი გადაწყდა, მაგრამ მაიკლმა ძალა დაატანა, სანამ სამუშაოს შეუდგებოდა, ერთი თვე მაიამიში გაეტარებინა კორლეონეს ოჯახის კუთვნილ სასტუმროში. ყველა ხარჯს, რაღა თქმა უნდა, ოჯახი თავის თავზე იღებდა. თანაც, დამატებით ერთი თვის ხელფასს წინასწარ გადაუხდიდნენ, ჯიბეზე ფული რომ ჰქონოდა.

მაიამიში გატარებული შვებულების დროს ნერიმ კარგი ცხოვრების გემო, შეიძლება ითქვას, პირველად გაიგო. სასტუმროს პერსონალი მასზე განსაკუთრებულად ზრუნავდა, ეუბნებოდნენ: „ო, თქვენ მაიკლ კორლეონეს მეგობარი ბრძანდებით“. მის

შესახებ, ცხადია, გაფრთხილებულნი იყვნენ. ნერი საუკეთესო აპარტამენტებში მოათავსეს და არა რაღაც საცოდავ ნომერში, რომელსაც საწყალ ნათესავს სამადლოდ მისცემდნენ. ღამის კლუბის მენეჯერი ლამაზი ქალებით ამარაგებდა. ერთი სიტყვით, როცა ნერი ნიუ-იორკში დაბრუნდა, ცხოვრებაზე, ცოტა არ იყოს, განსხვავებული წარმოდგენა ჰქონდა.

ნერი კლემენცას რაზმში ჩართეს. კლემენცამ, ადამიანების შერჩევის ამ დიდოსტატმა, საგულდაგულოდ შეამოწმა. სიფრთხილე აუცილებელი იყო. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ნერი ყოფილი პოლიციელი გახლდათ, მაგრამ მისმა ბუნებრივმა სისასტიკემ ძალიან სწრაფად ამოარეცხვინა, თუკი რამ ჰქონდა პოლიციელობის დროიდან შერჩენილი. ერთი წლის შემდეგ ნერიმ „თავი გამოიჩინა“ - უკან დასახევი გზა მოჭრილი იყო.

კლემენცა მას პირდაპირ დითირამბებს უმღეროდა: „ნერი ბუნების საოცრებაა, ახალი ლუკა ბრაზია; ლუკაზე უკეთესიც კი იქნება“, - ამტკიცებდა კლემენცა. თანაც, ნერი მისი აღმოჩენილი გახლდათ. ფიზიკური ძალის მხრივ ნერი შეუდარებელი იყო. ისეთი კოორდინაცია და რეფლექსები ჰქონდა, ახალი ჯო დიმაჯიო შეიძლებოდა გამოსულიყო. კლემენცა ხვდებოდა, ნერი მისი რანგის კაცს არ დაემორჩილებოდა. იგი ბრძანებებს უშუალოდ მაიკლისგან იღებდა. შუალედური რგოლისა თუ ბუფერის როლს მათ შორის თვით ტომ ჰეიგენი ასრულებდა. ნერი, მართლაც, განსაკუთრებული პიროვნება იყო და, შესაბამისად, დიდ ხელფასსაც იღებდა, თუმცა დამატებითი შემოსავალი „საცხოვრებლად“ აზარტული თამაშებიდან არ ჰქონია. ყველასთვის ცხადი იყო, მაიკლს იგი განსაკუთრებულ პატივს სცემდა და ერთხელაც ტომ ჰეიგენმა ხუმრობით უთხრა: - მაიკლ, ახლა შენცა გყავს საკუთარი ლუკა.

მაიკლმა თავი დაუქნია. ეს მან მართლაც მოახერხა. ალბერტო ნერი მისი საკუთარი მკვლელი გახდა. მაიკლმა კარგად გამოიყენა მეთოდი, რომელიც დონმა ასწავლა. როდესაც იგი მამის ხელმძღვანელობით ბიზნესის საიდუმლოებებს ეუფლებოდა, ერთხელ ჰკითხა: - როგორ მოხდა, რომ ისეთი კაცი გამოიყენე, როგორიც ლუკა ბრაზი იყო? ნამდვილი მხეცი?

დონმა ყველაფერი დეტალურად აუხსნა.

- ამქვეყნად არიან ადამიანები, რომლებიც ლამის ითხოვენ, მომკალითო, - თქვა მან, - შენ ისინი არაერთხელ გინახავს. ასეთები კარტის თამაშისას ჩხუბს ტეხენ, გაცოფებული გადმოხტებიან ხოლმე მანქანიდან, თუკი ვინმემ შემთხვევით მათ ავტომობილს გვერდი ოდნავ გაუკაწრა, შეურაცხყოფას აყენებენ და აღიზიანებენ ადამიანებს, რომელთა შესაძლებლობებზე წარმოდგენაც კი არ აქვთ. მინახავს ბრიყვი, რომელიც უაღრესად საშიში ადამიანების მთელ ჯგუფს იწვევდა მაშინ, როცა ზურგს არავინ და არაფერი უმაგრებდა. ასეთები ამქვეყნად თითქოსდა დაეხეტებიან ყვირილით: „მომკალით, მომკალით“... და ყოველთვის გამოჩნდება ხოლმე ადამიანი, რომელიც ამ თხოვნას შეუსრულებს. ასეთების შესახებ გაზეთებში ყოველდღე ვკითხულობთ. და ასეთები, რასაკვირველია, გარშემომყოფებს მეტად დიდ ზიანს აყენებენ.

ლუკა ბრაზი სწორედ ასეთი კაცი იყო, მაგრამ თანაც განსაკუთრებული პიროვნება გახლდათ, ასე რომ, ძალიან დიდი ხნის განმავლობაში მისი მოკვლა ვერავინ მოახერხა. ასეთი ადამიანების უმეტესობა სრულიად უმაქნისია, მაგრამ ლუკა მძლავრ

იარაღს წარმოადგენდა და მისი გამოყენება აუცილებელი იყო. სიკვდილისა არ ეშინოდა და კიდეც დაეძებდა მას, ასე რომ, მთელი საქმე ის იყო, როგორმე უნდა მოგეხერხებინა, გამხდარიყავი მისთვის ერთადერთი კაცი, რომლის ხელითაც სიკვდილი არ ენდომებოდა.

ეს იყო ერთ-ერთი უძვირფასესი გაკვეთილი, რომელიც მაიკლმა დონისგან მიიღო. მან ალბერტო ნერის საკუთარ ლუკა ბრაზად გადაქცევა მოახერხა.

და, აი, ახლა ალბერტო ნერი ბრონქსის ბინაში ისევ ემზადება პოლიციელის მუნდირის ჩასაცმელად. ჯაგრისით საგულდაგულოდ გაწმინდა ფორმა. ახლა პისტოლეტი უნდა დაზეთოს. მერე გერბსა და მძიმე შავ ფეხსაცმელს გააპრიალებს. ნერი ხალისით მუშაობდა. სამყაროში თავისი ადგილი იპოვა, - მაიკლი ბოლომდე ენდობა და ამ ნდობას დღეს გაამართლებს.

თავი ოცდამეთერთმეტე

სწორედ იმ დღეს ხეივანში ორი ლიმუზინი იდგა. ერთ-ერთი ამ ორი დიდი ავტომობილიდან კონი კორლეონეს, დედამისს, მის ქმარსა და ბავშვებს ელოდებოდა, აეროპორტში რომ წაეყვანა. კარლო რიჩის ოჯახი ლას-ვეგასში დასვენებას და ამ ქალაქში გადასახლებისთვის მომზადებას აპირებდა. მაიკლმა კარლო რიჩის ამის თაობაზე ბრძანება მისცა, მიუხედავად კონის პროტესტისა. მან არ დაუწყო ახსნა, რომ სურს, ყველა გაამგზავროს ქალაქიდან, სანამ კორლეონე-ბარზინის შეხვედრა გაიმართება. თვით ეს შეხვედრა უდიდეს საიდუმლოებას წარმოადგენდა. მის შესახებ მხოლოდ ორი ოჯახის ხელმძღვანელობამ იცოდა.

მეორე მანქანა ქეის და მის ბავშვებს ელოდებოდა, ნიუ-ჰემფშირში უნდა წასულიყვნენ ქეის მშობლებთან. მაიკლი ხეივანში რჩებოდა; ძალზე დაკავებული იყო და მათ ვერ გაჰყვებოდა.

ლას-ვეგასში გამგზავრების წინა საღამოს მაიკლმა კარლოს უთხრა, რომ უნდა დარჩენილიყო, შენს ცოლ-შვილს ვეგასში რამდენიმე დღის შემდეგ შეუერთდებიო. კონი ნერვიულობდა. როცა ეს გაიგო, პირდაპირ გაცეცხლდა. მაიკლს ძებნა დაუწყო, უნდოდა, ტელეფონით დალაპარაკებოდა, მაგრამ ის სადღაც ქალაქში აღმოჩნდა საქმეზე წასული. ახლა კონი ხეივანში თვალებით დაეძებდა მას, მაგრამ ამაოდ. ტომ ჰეიგენთან ერთად კაბინეტში ჩაიკეტა, საქმეზე თათბირობდნენ. კარლომ კონი ლიმუზინში ჩასვა. აკოცა, დაემშვიდობა.

- ორ დღეში თუ არ ჩამოხვალ, დავბრუნდები და ძალით წამოგიყვან, - დაემუქრა კონი ქმარს.

კარლომ გაუღიმა.

- ჩამოვალ, - თქვა მან.

კონიმ მანქანიდან თავი გამოყო.

- როგორ გგონია, რაში სჭირდები აქ მაიკლს? - ქმარს ჰკითხა. მოღუშული გამომეტყველება კონის მეტად აბერებდა და აუშნოებდა.

კარლომ მხრები აიჩეჩა.

- რაღაც დიდი საქმის მოცემას მპირდება. შეიძლება, უნდა მომელაპარაკოს. ყოველ შემთხვევაში, ამაზე მიმანიშნა.

კარლომ არ იცოდა, რომ იმ ღამეს ბარზინის ოჯახთან შეხვედრა იყო დანიშნული.

- მართლა, კარლო? - სიხარულით ჩაეკითხა კონი.

კარლომ დამაიმედებლად დაუქნია თავი. ლიმუზინი დაიძრა და ხეივნიდან გავიდა. მხოლოდ მას მერე, რაც მანქანა თვალს მიეფარა, მაიკლი სახლიდან გამოვიდა, ქეისა და თავის ორ შვილს რომ დამშვიდობებოდა. კარლოც მივიდა მათთან და კეთილი მგზავრობა და დროის კარგად გატარება უსურვა.

- ძალიან ვწუხვარ, რომ იძულებული გავხდი, აქ დამეტოვებინე, - უთხრა მაიკლმა, - ეს ორიოდე დღეს დაიკავებს მხოლოდ.

კარლომ სწრაფად უპასუხა: - ეს ჩემთვის პრობლემა არ არის.

- ძალიან კარგი, - თქვა მაიკლმა, - იყავი ტელეფონთან და მაშინვე დაგირეკავ, როგორც კი დროს გამოვნახავ შენთან სალაპარაკოდ. ო,კეი?

- რასაკვირველია, მაიკლ, რასაკვირველია, - მიუგო კარლომ. სახლში შევიდა, საყვარელს დაურეკა, რომელიც ვეტბურიში ცხოვრობდა, და უთხრა, შესაძლოა, ამ ღამით შენთან მოსვლა მოვახერხოო. მერე ტელეფონთან ვისკის ბოთლი დაიდგა და ლოდინი დაიწყო. საკმაოდ დიდხანს მოუწია.

შუადღეს რომ გადასცილდა, ხეივანში მანქანებმა იწყეს შემოსვლა. კარლომ დაინახა, ერთ-ერთიდან კლემენცა გადმოვიდა, მეორიდან - ტესიო. მცველმა ორივე მაიკლთან შეიყვანა. კლემენცა რამდენიმე საათის შემდეგ გამობრუნდა, მანქანაში ჩაჯდა და წავიდა, ტესიო კი აღარ გამოჩენილა.

კარლო გარეთ, სუფთა ჰაერზე გამოვიდა, - ხეივანში, დაახლოებით, ათი წუთი ისეირნა. ყველა მცველს იცნობდა, რომლებიც ხეივანში მორიგეობდნენ ხოლმე, ზოგიერთთან მეგობრობდა კიდეც. დროის გასაყვანად მათთან მასლაათს აპირებდა, მაგრამ, მისდა გასაოცრად, ვერც ერთი ნაცნობი ვერ ნახა. ყველა მათგანი ახალი კაცი აღმოჩნდა. და, რაც უფრო გასაოცარი იყო, ჭიშკართან თვით როკო ლამპონე იდგა. როკო მეტისმეტად დიდი კაცი გახლდათ ოჯახში, ასეთი მარტივი საქმე რომ ეკეთებინა. ერთადერთი, თუკი რაღაც ექსტრაორდინარული მოვლენები არ იყო მოსალოდნელი.

როკომ მეგობრულად გაუღიმა და მიესალმა, მაგრამ კარლომ იფრთხილა, არაფერი უთქვამს. როკომ უთხრა: - მეგონა, დონთან ერთად მიდიოდი დასასვენებლად.

კარლომ მხრები აიჩეჩა.

- მაიკლს უნდა, რამდენიმე დღე დავრჩე. ჩემთვის რაღაც საქმე აქვს.

- ჰო, - გაეპასუხა როკო, - მეც იგივე მითხრა, მერე კი მიბრძანა, ჭიშკართან დავდგე. ჯანდაბას, ასე იყოს. ბოლოს და ბოლოს, ბოსია.

ეს ისეთი ტონით თქვა, თითქოსდა იგულისხმა, მაიკლს მაინც ბევრი უკლია მამამისამდეო. ეს, ცოტა არ იყოს, დამამცირებლად ჟღერდა.

კარლომ ისე დაიჭირა თავი, თითქოს ვერაფერს მიხვდა.

- მაიკლმა იცის, რას აკეთებს, - თქვა მან.

როკომ საყვედური უხმოდ მიიღო. კარლო დაემშვიდობა და სახლისკენ წავიდა. რაღაც ხდება, მაგრამ რა, როკომაც კი არ იცის.

*

მაიკლი სასადილო ოთახში იდგა, ფანჯარაში თვალს ადევნებდა, როგორ გადადიოდა კარლო ხეივანს. ჰეიგენმა ჭიქა მიაწოდა, მაგარი ბრენდი. მაიკლმა მადლიერებით შეხედა და დიდი ყლუპი მოსვა.

ჰეიგენმა რბილად უთხრა: - მაიკლ, უკვე დროა, დავიძრათ.

მაიკლმა ამოიოხრა.

- კარგი იქნებოდა, კიდევ გვქონოდა დრო. კარგი იქნებოდა, მამას კიდევ ცოტა ეცოცხლა.

- ყველაფერი კარგად იქნება, - თქვა ჰეიგენმა, - თუკი მე გავუძელი, სხვებიც გაუძლებენ. შენ ყველაფერი შესანიშნავად გააკეთე.

მაიკლი შემობრუნდა და ფანჯარას მოშორდა.

- ამის უდიდესი ნაწილი ჯერ კიდევ დონმა დაგეგმა, - თქვა მან, - ვერასოდეს ვაცნობიერებდი ბოლომდე, რამდენად შორსმჭვრეტელი იყო, მაგრამ შენ, იმედია, იცოდი ეს.

- ბადალი არ ჰყავდა, - დაეთანხმა ჰეიგენი, - არაჩვეულებრივი იყო, საუკეთესოზე საუკეთესო. თუმცა, შენც არა გიშავს. მშვენივრად მოიფიქრე, რაც მოიფიქრე.

- ვნახოთ, საქმე როგორ წავა, - თქვა მაიკლმა, - კლემენცა და ტესიო უკვე აქ არიან?

ჰეიგენმა თავი დაუქნია. მაიკლმა ბრენდი ჩაამთავრა.

- კლემენცა ჩემთან გამოგზავნე. პერსონალურად მივცემ ინსტრუქციებს. ტესიოს ნახვა საერთოდ არ მინდა. უბრალოდ, უთხარი, რომ ბარზინისთან შესახვედრად ნახევარ საათში მზად ვიქნები. მერე კლემენცას ხალხმა მოუაროს.

ჰეიგენმა ორჭოფულად იკითხა: - არანაირად არ შეიძლება ტესიო ყულფიდან გამოვიხსნათ?

- არ შეიძლება, - მიუგო მაიკლმა.

*

ქალაქ ბუფალოს ერთი მომცრო პიცერიის საქმეები მშვენივრად მიდიოდა. სადილის დრომ ჩაიარა, ვაჭრობა ჩამთავრდა და გამყიდველმა დიდი ლითონის ლანგარი, რომელზეც რამდენიმე პიცა იყო შემორჩენილი, ვიტრინიდან მოხსნა, უზარმაზარი

აგურის ღუმლის თაროზე შემოდო. მერე ღუმელში შეიხედა, სადაც ახალი პიცა ცხვებოდა. ყველი ჯერ კიდევ არ დაბუშტულიყო. გამყიდველი დახლთან მივიდა, რომელიც ქუჩაზე გადიოდა და ახალგაზრდა კაცი დაინახა.

- ერთი პიცა, - უთხრა კაცმა.

გამყიდველმა ხის ნიჩბით გაცივებული პიცა მოხერხებულად აიტაცა და ღუმელში გასაცხელებლად შეაგდო. მყიდველმა ქუჩაში ლოდინი არ მოინდომა, კარი გააღო და შიგნით შემოვიდა. პიცერიაში კაციშვილი არ ჭაჭანებდა. გამყიდველმა ცხელი პიცა ღუმლიდან გამოიღო, მუყაოს თეფშზე დადო და მიაწოდა, მაგრამ კაცი გადახდას არ ჩქარობდა. ყურადღებით შეხედა გამყიდველს.

- გამიგია, მაგარი სვირინგი გაქვს მკერდზე, - თქვა მან, - ახლა მის ზედა ნაწილს ვხედავ მხოლოდ. იქნებ, დანარჩენიც მაჩვენო?

გამყიდველი გაშეშდა, თითქოს დამბლა დაეცაო.

- გაიხსენი პერანგი, - სთხოვა კაცმა.

გამყიდველმა უარის ნიშნად თავი გააქნია.

- არავითარი სვირინგი არა მაქვს, - თქვა მან ინგლისურად, მაგრამ მძიმე იტალიური აქცენტით, - ეს ჩემს შემცვლელზე გითხრეს, მაგრამ ახლა არ არის, საღამოს ცვლაში იქნება.

კაცმა გაიცინა, მაგრამ ეს უსიამოვნო სიცილი იყო, უხეში, დაძაბული.

- მიდი, მიდი, გაიხსენი პერანგი და მაჩვენე.

გამყიდველმა უკან დაიხია, უნდოდა ღუმელს ამოჰფარებოდა, მაგრამ კაცმა ხელი ასწია - ხელში პისტოლეტი ჰქონდა - და ესროლა. ტყვია გამყიდველს მკერდში მოხვდა, ღუმელს მიანარცხა. კაცმა კიდევ ერთხელ ესროლა. გამყიდველი იატაკზე დაეცა. კაცი ახლოს მივიდა, დაიხარა, მკვეთრი მოძრაობით პერანგი თავისკენ ამოქაჩა. პიცის გამყიდველის მკერდი სისხლს დაეფარა, მაგრამ მაინც ჩანდა სვირინგი - შეყვარებულები და ხანჯალი, რომელიც მათ თავზე იყო აღმართული. გამყიდველმა ცალი ხელი ასწია, თითქოს თავის დაცვას ცდილობსო.

- ფაბრიციო, მაიკლ კორლეონე მოკითხვას გითვლის, - უთხრა კაცმა.

პისტოლეტი საფეთქელთან მიუტანა და კიდევ ერთხელ გამოჰკრა სასხლეტს თითი. შემდეგ ქუჩაში გავიდა. ტროტუართან კარღია მანქანა ელოდებოდა. მანქანაში შეხტა. ავტომობილი ადგილს მოსწყდა და გაუჩინარდა.

*

როკო ლამპონემ ტელეფონის ზარს უპასუხა. აპარატი ჭიშკართან რკინის ბოძზე იყო მიმაგრებული. ყურმილში გაისმა: - ამანათი მზადაა.

ყურმილი დაკიდეს. როკო მანქანაში ჩაჯდა და ხეივნიდან გავიდა. ჯონ-ბიჩის ხიდი გადაიარა, სადაც სონი კორლეონე მოკლეს, და სარკინიგზო სადგურ „ვანტეგასთან“ გაჩერდა. მანქანა დააყენა. იქ მას სხვა მანქანა ელოდებოდა, რომელშიც ორი კაცი იყო.

როკო ჩაუჯდა. სანრაიზის ავტოსტრადით მოტელისკენ გასწიეს, რომელიც სადგურიდან ათი წუთის სავალზე მდებარეობდა. როკომ ორივე კაცი მანქანაში დატოვა, თვითონ კი მომცრო კოტეჯისკენ გაემართა. კარს ფეხი მთელი ძალით ჰკრა და ოთახში შევარდა.

სამოცდაათი წლის ფილიპ ტატალია, ახალშობილივით სრულიად შიშველი, საწოლთან იდგა, საწოლზე ახალგაზრდა ქალი იწვა. ტატალიას ხშირი თმა ნახშირივით შავი ჰქონდა, მაგრამ ბალანი მკერდზე - გაჭაღარავებული. ტანი ნასუქი ქათმისას მიუგავდა. როკომ მუცელში ოთხი ტყვია ჩააჭედა. მოტრიალდა და მანქანისკენ გაიქცა. ორმა კაცმა ვანტეგამდე მიიყვანა, სადაც თავის ავტომობილში გადაჯდა და ლონგ-ბიჩისკენ გასწია. მაიკლთან წამით შეიარა, შემდეგ კი ჭიშკართან თავისი ადგილი დაიკავა.

*

თავის ბინაში მარტო მყოფმა ალბერტო ნერიმ პოლიციელის ფორმის მოწესრიგება დაამთავრა. ძალიან ნელა ჩაიცვა შარვალი, პერანგი, გაიკეთა ჰალსტუხი, მოიცვა კიტელი, შემოირტყა ქამარი იარაღის ბუდიანად. პოლიციიდან წასვლის შემდეგ იარაღი დააბრუნებინეს, მაგრამ რაღაც ბიუროკრატიული თუ ადმინისტრაციული შეცდომის გამო ფორმა მასთან დარჩა. კლემენცას ნერისთვის 38 კალიბრის ახალი საპოლიციო რევოლვერი ჰქონდა გადაცემული. ნერიმ ახლა იარაღი დაშალა, დაზეთა, ნემსი და სასხლეტი შეამოწმა და ისევ ააწყო. ვაზნები დოლურაში ჩასვა. ბოლომდე გაემზადა.

ნერიმ პოლიციელის ქუდი ქაღალდის მოზრდილ პაკეტში ჩაუშვა და კიტელს ზემოდან სამოქალაქო პიჯაკი გადაიცვა. დრო მოინიშნა. თხუთმეტ წუთში მის სახლთან მანქანა გაჩერდება. ეს თხუთმეტი წუთი სარკეში თავისი გარეგნობის შემოწმებას მოანდომა. ეჭვგარეშეა, ნამდვილი პოლიციელივით გამოიყურება.

დათქმულ დროს მანქანა, რომელშიც ორი კაცი იყო როკო ლამპონეს რაზმიდან, მის სახლთან შეჩერდა. ნერი უკან დაჯდა. როგორც კი მანქანა მის უბანს გასცდა და ქალაქის ცენტრისკენ წავიდა, ნერიმ პიჯაკი გაიხადა და მანქანის იატაკზე დადო. მერე პაკეტიდან პოლიციელის ქუდი ამოიღო და დაიხურა.

მანქანა მეხუთე ავენიუსა და 55-ე ქუჩის კუთხეში შეჩერდა. ნერი მანქანიდან გადმოვიდა და ავენიუზე დაეშვა. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს კვლავაც ნამდვილი პოლიციელია და, ჩვეულებრივ, შემოვლაზეა უბანში. ნერი როკფელერ-ცენტრს მიუახლოვდა, წმინდა პატრიკის საკათედრო ტაძართან. იქ მანქანა შენიშნა, რომელსაც ეძებდა. გაჩერების ამკრძალავი წითელი საგზაო ნიშნების ქვეშ მარტოდმარტო იდგა. ნერიმ სვლა შეანელა. ადრე მოუვიდა მოსვლა. ნერი შეჩერდა, ბლოკნოტში რაღაც ჩაინიშნა, მერე მანქანასთან მივიდა და კორპუსზე დააკაკუნა. მძღოლმა გაოცებით ახედა. ნერიმ მიუთითა ნიშანზე „გაჩერება აკრძალულია“. მერე თავის მოძრაობით ანიშნა, წასულიყო. მძღოლმა გვერდზე გაიხედა.

ნერი ტროტუარიდან ჩამოვიდა, მძღოლის მხარეს გადავიდა და ჩამოწეულ ფანჯარასთან დადგა. მძღოლი ერთი მუტრუკი ჯეელი იყო, ასეთები ნერის ყოველთვის აღიზიანებდნენ. ნერიმ განზრახ შეურაცხმყოფელი ტონით უთხრა: - ჭკუის კოლოფო, გინდა ტრაკში ჯარიმა შეგტენო თუ მოხევ აქედან?

მძღოლმა სრულიად მშვიდად უპასუხა: - გირჩევნია, შენი უბნის უფროსობასთან გაარკვიო, ვის ელაპარაკები, მაგრამ თუკი შენ ეს გაგახარებს, შეგიძლია, დამაჯარიმო.

- გააჯვი ახლა აქედან, თორემ მანქანიდან გადმოგიღებ და გაგაბრტყელებ.

მძღოლმა ათდოლარიანი კუპიურა საიდანღაც ილუზიონისტივით ამოაძვრინა, ცალი ხელით ოთხად მოკეცა და სცადა ნერისთვის ჯიბეში ჩაედო. ნერიმ უკან დაიხია და მძღოლს თითით ანიშნა, მანქანიდან გადმოსულიყო. მძღოლი უკმაყოფილოდ დაემორჩილა.

- მართვის მოწმობა და მანქანის საბუთები, - მოითხოვა ნერიმ. უნდოდა, მძღოლი იმ ადგილიდან გაეყვანა, მაგრამ ახლა ამისთვის დრო აღარ რჩებოდა. გვერდითი მზერით ნერიმ შენიშნა - პლაზა-ბილდინგის კიბეზე სამი ტანდაბალი, მსუქანი კაცი ჩამოდიოდა. ეს ბარზინი და მისი ორი მცველი იყვნენ, მაიკლ კორლეონესთან შესახვედრად მიდიოდნენ. როდესაც ნერის თვალი მოჰკრეს, ერთ-ერთი მცველი დაწინაურდა, უნდოდა გაერკვია, ბარზინის მანქანას რა პრობლემა აქვს.

- რა ხდება? - ჰკითხა მან მძღოლს.

- მაჯარიმებენ, - უპასუხა მძღოლმა, - მეტი არაფერი. ეს ჯეელი აშკარად ახალბედაა თავის უბანში.

ამ დროს მათთან ბარზინი და მეორე მცველი მივიდნენ. ბარზინიმ უკმაყოფილოდ ჩაიბურდღუნა: - რა ჯანდაბა ხდება ისევ?

ნერიმ ოქმის შევსება დაამთავრა და მძღოლს მოწმობა და საბუთები დაუბრუნა. შემდეგ წიგნაკი ჯიბეში ჩაიდო და უეცრად ხელის ელვისებური მოძრაობით რევოლვერი ამოიღო.

ბარზინის ფართო მკერდში სამი ტყვიის ჩაჭედება მოასწრო მანამ, სანამ დანარჩენი სამი კაცი იმდენად მაინც გამოერკვეოდა, დამალვა რომ ეცადა. იმ მომენტისთვის ნერი უკვე ქუჩის კუთხეში ხალხის ბრბოს შეერია, სადაც მას მანქანა ელოდებოდა. ავტომობილი მეცხრე ავენიუთი ქალაქის ცენტრისკენ წავიდა მაქსიმალური სიჩქარით. ჩელსი-პარკთან ნერი, რომელმაც ფორმაზე ისევ სამოქალაქო ტანსაცმელი გადაიცვა და პოლიციელის ქუდი მოიშორა, მეორე მანქანაში გადაჯდა. ერთ საათში იგი უკვე ლონგ-ბიჩში იყო და მაიკლ კორლეონეს ესაუბრებოდა.

*

ტესიო სამზარეულოში იჯდა და ყავას სვამდა, როდესაც ჰეიგენი შემოვიდა და უთხრა: - მაიკლი მზადაა, კარგი იქნება, თუკი ბარზინის დაურეკავ და ეტყვი, გამოვიდეს.

ტესიო წამოდგა და კედელზე ჩამოკიდებულ აპარატთან მივიდა. ბარზინის ნიუ-იორკის ოფისში დარეკა და მოკლედ თქვა: - ბრუკლინის გზაზე ვართ.

მერე ჰეიგენისკენ შემობრუნდა, გაუღიმა და უთხრა: - იმედი მაქვს, მაიკლი ამ ღამით მომგებიანი ხელშეკრულების დადებას მოახერხებს.

- დარწმუნებული ვარ ამაში, - სერიოზულად მიუგო ჰეიგენმა. ტესიო და ჰეიგენი სამზარეულოდან ხეივანში გავიდნენ. სახლთან ერთ-ერთმა მცველმა უთხრა: - ბოსმა თქვა, რომ მეორე მანქანით წამოვა. თქვენ ორნი ერთად ჩასხედით და წინ წადითო.

ტესიო გაბრაზებით მიუბრუნდა ჰეიგენს.

- რა ჯანდაბაა, მაიკლი ამას როგორ აკეთებს. ეს ჩემს ყველა შეთანხმებას არღვევს, - თქვა მან.

ამ დროს მათ გარშემო კიდევ სამი მცველი გაჩნდა. ჰეიგენმა რბილად უთხრა: - ტესიო, ვერც მე წამოვალ შენთან ერთად.

კაპორეჟიმე ყველაფერს მიხვდა. ბედს დამორჩილდა. ერთი წამი ფიზიკურად ცუდად იყო, მაგრამ მერე ძალა მოიკრიბა და ჰეიგენს უთხრა: - გადაეცი მაიკლს, ეს, უბრალოდ, ბიზნესია. მე ყოველთვის პატივს ვცემდი მას.

ჰეიგენმა თავი დაუქნია.

- მაიკლმა იცის ეს, - თქვა მან.

ტესიომ პაუზა გააკეთა და მერე იკითხა: - ტომ, შეგიძლია გადამარჩინო? გაიხსენე ჩვენი ძველი ურთიერთობა.

ჰეიგენმა უარის ნიშნად თავი გააქნია.

- არ შემიძლია, - თქვა მან.

ჰეიგენი უყურებდა, ტესიოს როგორ შემოარტყეს ალყა მცველებმა და როგორ ჩასვეს მანქანაში. ჰეიგენს გულისრევის მსუბუქი შეგრძნება გაუჩნდა. ტესიო კორლეონეს ოჯახის საუკეთესო ჯარისკაცი იყო; დონ ვიტო მას ყველაზე მეტად ენდობოდა, ლუკა ბრაზის თუ არ ჩავთვლით. ძალზე გულდასაწყვეტი იყო, რომ ასეთმა ჭკვიანმა კაცმა სიცოცხლის მიწურულს ასეთი ფატალური შეცდომა დაუშვა.

*

კარლო რიჩის, რომელიც ჯერ კიდევ მაიკლთან საუბრის მოლოდინში იყო, მანქანების ეს განუწყვეტელი მისვლა-მოსვლა სულ უფრო და უფრო ანერვიულებდა. ცხადი იყო, რაღაც მნიშვნელოვანი ხდებოდა, რის შესახებაც მას არაფერი უთხრეს. კარლომ მაიკლს დაურეკა. ერთ-ერთმა მცველმა უპასუხა და მაიკლის დასაძახებლად წავიდა. ცოტა ხნის მერე მაიკლის პასუხი გადასცა, მშვიდად იყავი, მალე დაგირეკავო.

კარლომ ისევ თავის საყვარელს დაურეკა და უთხრა, უეჭველად მოვახერხებ მოგვიანებით მოსვლას და ღამით დარჩენასო. მაიკლი მალე დაუძახებს და მათი საუბარი ერთ საათს გასტანს, მაქსიმუმ - ორს. ვესტბურიმდე მანქანით მისვლას ორმოცი წუთი უნდა. ასე რომ, ყველაფერს მოასწრებს. კარლომ საყვარელს ტკბილად უთხრა, არ იჯავრო, დამელოდეო. ყურმილი დაკიდა და გადაწყვიტა, საღამოს კოსტიუმი ჩაეცვა, ასე რამდენიმე წუთს მოიგებდა. როდესაც პერანგს იცვლიდა, კარზე დააკაკუნეს. კარლომ მოისაზრა, ეტყობა, მაიკლი ურეკავდა და ვერ დაუკავშირდა, რადგან იმ დროს ტელეფონი დაკავებული ჰქონდა, და, ეტყობა, კაცი გაუგზავნა დასაძახებლად. კარლომ კარი გააღო და შიშისგან მუხლები მოეკვეთა,

გულისრევა იგრძნო. ზღურბლზე მაიკლ კორლეონე იდგა, სახეზე სიკვდილი ეწერა. ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, რომელსაც კარლო ღამეულ კოშმარებში ხედავდა ხოლმე.

მაიკლის ზურგს უკან ჰეიგენი და როკო ლამპონე იდგნენ. სერიოზული გამომეტყველება ჰქონდათ, თითქოსდა თავისი ნების საწინააღმდეგოდ იყვნენ მოსულები მეგობართან რაღაც ცუდი ახალი ამბის სათქმელად. სამივემ სახლში შეაბიჯა. კარლომ სასტუმრო ოთახში შეიყვანა.

- სანტინოს საქმეზე პასუხი უნდა აგო, - უთხრა მაიკლმა.

მაიკლის ნათქვამმა კარლო ცუდად გახადა, გულზიდვა დაეწყო. პასუხი არ გასცა, ვითომდა ვერ გაიგო, რა უთხრეს. ჰეიგენი და ლამპონე ოთახის მოპირდაპირე კედლებთან დადგნენ. მაიკლი და კარლო პირისპირ დარჩნენ.

- სონის კვალზე ბარზინის ხალხი შენ დააყენე, - თქვა მაიკლმა დაგუდული ხმით, - ბარზინიმ გითხრა წინასწარ, რა მოჰყვებოდა იმ პატარა ფარსს, რომელიც ჩემს დასთან გაითამაშე?

კარლო ალაპარაკდა. სასტიკმა შიშმა აალაპარაკა, მის ხმაში სიამაყისა თუ პიროვნული ღირსების ნატამალიც კი არ იგრძნობოდა.

- გეფიცები, უდანაშაულო ვარ, - თქვა მან, - ჩემს შვილებს გეფიცები, უდანაშაულო ვარ. არ გამიკეთო ეს, მაიკლ, გევედრები, არ გამიკეთო.

მაიკლმა მშვიდად უთხრა: - ბარზინი მკვდარია. ასევე ფილიპ ტატალიაც. ამ ღამეს ყველა ანგარიში უნდა გავასწორო. შენთვის უკეთესი იქნება, ყველაფერი აღიარო.

ჰეიგენმა და ლამპონემ მაიკლს გაოცებით შეხედეს. გაიფიქრეს, მამამისამდე მაინც ბევრი უკლიაო. რაში სჭირდება, მოღალატემ დანაშაული აღიაროს? კარლოს ბრალი დამტკიცებულია იმდენად, რამდენადაც ეს საერთოდ შესაძლებელია. პასუხი ცხადი გახლდათ. მაიკლი ბოლომდე არ იყო დარწმუნებული თავის სისწორეში, ეშინოდა, უსამართლობა არ ჩაედინა, მხოლოდ კარლოს აღიარებას შეეძლო მისი ეჭვები გაეფანტა.

კარლო ხმას არ იღებდა. მაიკლმა თითქმის ტკბილად უთხრა: - ნუ გეშინია, როგორ ფიქრობ, ჩემს დას საკუთარი ხელით დავაქვრივებ? დისშვილებს დავაობლებ? ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, შენი შვილის ნათლია ვარ. არა, შენი სასჯელი ის იქნება, რომ ოჯახთან ვეღარ იმუშავებ. თვითმფრინავში ჩაგსვამ და ლას-ვეგასში ცოლ-შვილთან გაგიშვებ. მეტი არაფერი. ოღონდ ნუ მეტყვი, რომ უდანაშაულო ხარ. ნუ გამაბრაზებ. ვინ დაგიკავშირდა, ბარზინი თუ ტატალია?

კარლოს გაუჩნდა იმედი, რომ არ მოკლავდნენ, და წაილუღლუღა: - ბარზინი.

- კარგი, კარგი, - რბილად თქვა მაიკლმა, მერე კი მარჯვენა ხელი მოუთმენლად აიქნია, - მანქანა გელოდება, რომელიც აეროპორტში გაგიყვანს. ახლავე მინდა გაემგზავრო.

კარლო შენობიდან პირველი გავიდა. დანარჩენები ძალზე ახლოს მიჰყვებოდნენ. უკვე დაღამებულიყო, მაგრამ ხეივანი, როგორც ყოველთვის, მძლავრი

პროჟექტორების შუქით იყო გაკაშკაშებული. მათ წინ მანქანა გაჩერდა. კარლომ დაინახა, ეს თავისი მანქანა იყო. მძღოლი ვერ იცნო. უკანა სავარძელზე ვიღაც იჯდა კუთხეში შეყუჟული. ლამპონემ წინა კარი გააღო და კარლოს ანიშნა, დაჯექიო.

მაიკლმა უთხრა: - შენს ცოლს დავურეკავ და ვეტყვი, რომ უკვე გზაში ხარ.

კარლო მანქანაში ჩაჯდა. პერანგი ოფლისაგან სველი ჰქონდა.

მანქანა ადგილს მოსწყდა და გასასვლელისკენ სწრაფად წავიდა. კარლო მოტრიალებას აპირებდა, უნდოდა ენახა, უკანა სავარძელზე ვინ იჯდა. ამ დროს კლემენცამ სწრაფად და მარჯვედ მოუჭირა ყელზე გაროტა, თითქოსდა გოგონამ კნუტს ბაფთა ჩამოაცვაო. აბრეშუმის თოკმა კარლოს კისერზე კანი ჩაუჭრა, ანკესზე წამოცმული თევზივით აფართხალდა. კლემენცას გაროტა მაგრად ეჭირა მანამ, სანამ კარლოს სხეული არ მოუდუნდა. უეცრად სალონი საზიზღარმა სუნმა აავსო. კარლოს სწორი ნაწლავი გათავისუფლდა. ეს სიკვდილის მაუწყებელი იყო. კლემენცას გაროტა კიდევ ცოტა ხანს დაჭიმული ჰქონდა, ყოველი შემთხვევისათვის, მერე კი მოხსნა და ჯიბეში შეინახა. სავარძელზე გასწორდა, ფანჯარა ჩამოსწია, სალონი გაანიავა. კარლო იატაკზე ჩაცურდა.

კორლეონეს ოჯახმა აბსოლუტური გამარჯვება მოიპოვა. იმავე ოცდაოთხი საათის განმავლობაში კლემენცასა და ლამპონეს რაზმებმა გაანადგურეს ყველა, ვინც კი კორლეონეს კლანის კონტროლირებად ტერიტორიაზე იყო შემოგზავნილი. ნერის დაავალეს, ტესიოს რაზმის ხელმძღვანელობა ხელში აეღო. ბარზინის ბუკმეკერები თამაშიდან გამოთიშეს; მისი ორი ყველაზე საშიში „შემსრულებელი“ ჩაცხრილეს, როცა იტალიურ რესტორანში თავიანთ გემოზე სადილობდნენ. ჩაწყობილი დოღის ერთი ცნობილი ორგანიზატორი საკუთარ სახლში მოკლეს. საპორტო რაიონის ორი ყველაზე მსხვილი მევახშე გაქრა - მათი გვამები ორი თვის შემდეგ ნიუ-ჯერსის ჭაობებში იპოვეს.

ამ ერთი სასტიკი შეტევით მაიკლ კორლეონემ სახელიც მოიპოვა და კორლეონეს ოჯახს ნიუ-იორკის ყველაზე ძლიერი ოჯახის რეპუტაციაც აღუდგინა. საყოველთაო აღიარება მას არა მარტო ბრწყინვალე ტაქტიკურმა ოპერაციამ მოუტანა, არამედ იმანაც, რომ ბარზინისა და ტატალიას ოჯახების ყველაზე გავლენიანი კაპორეჟიმეები დაუყოვნებლივ მის მხარეზე გადავიდნენ.

მაიკლ კორლეონესთვის ეს სრულყოფილი ტრიუმფი იქნებოდა, მის დას, კონის, ისტერიკა რომ არ მოეწყო.

კონი დედასთან ერთად სასწრაფოდ ჩაფრინდა ნიუ-იორკში, ბავშვები ლას-ვეგასში დატოვა. სანამ მანქანა ხეივანში გაჩერდებოდა, თავს იკავებდა, მაგრამ გაჩერდა თუ არა ავტომობილი, გადმოხტა და მაიკლის სახლისკენ გაიჭრა, დედამ მისი შეჩერება ვერ მოასწრო. კონი სახლში შევარდა, მაიკლი და ქეი სასტუმრო ოთახში იპოვა. ქეიმ მასთან მისვლა დააპირა, უნდოდა მოხვეოდა და თანაგრძნობა გამოეხატა, მაგრამ ადგილზე გაშეშდა, გააოგნა ისტერიკულმა წყევლა-კრულვამ, რომელიც კონიმ მაიკლს თავს დაატეხა.

- ნაბიჭვარო, - ყვიროდა კონი, - ქმარი შენ მომიკალი. მამაჩვენის სიკვდილს ელოდებოდი, ხელის შემშლელი რომ აღარ გყოლოდა. შენ მოკალი კარლო. სონის

დაღუპვას აბრალებდი, ყოველთვის აბრალებდი, ყველა აბრალებდა. შენ არასოდეს გიფიქრია ჩემზე. მე შენთვის არაფერი არა ვარ. რა ვქნა მე ახლა, რა?!

კონი უკვე მოთქვამდა. მის ზურგს უკან მაიკლის ორი მცველი დადგა, მაიკლის ბრძანებას უცდიდნენ, მაგრამ მაიკლი მშვიდად ელოდებოდა ისტერიკის დასრულებას.

შოკირებულმა ქეიმ უთხრა: - კონი, რამ გაგაგიჟა, ასეთ რაღაცას როგორ ამბობ.

კონი გონს მოეგო. ახლა მისი ხმა მომაკვდინებლად გესლიანად აჟღერდა: - როგორ გგონია, რატომ იყო მთელი ეს დრო ჩემთან ასე ცივად? როგორ გგონია, რატომ დაასახლა კარლო ხეივანში? მთელი ამ ხნის განმავლობაში იცოდა, ადრე თუ გვიან, მოკლავდა ჩემს ქმარს, მაგრამ სანამ მამა ცოცხალი იყო, ვერ ბედავდა. მამაჩემი გააჩერებდა. მან ეს იცოდა და ამიტომ, უბრალოდ, ელოდებოდა. ჩვენი ბავშვის ნათლიობას მხოლოდ იმისთვის დათანხმდა, რომ ჩვენთვის თავგზა აებნია. ამ ნაბიჭვარს ქვის გული აქვს. გგონია, იცნობ შენს ქმარს? კარლოს გარდა, იცი, რამდენი კაცი ჰყავს მოკლული? გაზეთები ნახე - ბარზინი, ტატალია და უამრავი სხვა ჩემი ძმის ბრძანებით დახოცეს.

კონი ისევ ისტერიკამდე მივიდა, უნდოდა მაიკლისთვის სახეში შეეფურთხებინა, მაგრამ ნერწყვი არ ეყო, პირი გამშრალი ჰქონდა.

- შინ წაიყვანეთ და ექიმს დაუძახეთ, მიხედოს, - ბრძანა მაიკლმა.

მცველებმა წამსვე ჩასჭიდეს ხელი კონის და სახლიდან გაიყვანეს.

ქეი გაოგნებული და შეძრული იყო. ქმარს ჰკითხა: - მაიკლ, რამ ათქმევინა ეს ყველაფერი? რატომ სჯერა ამ ყველაფრის?

მაიკლმა მხრები აიჩეჩა.

- ისტერიულია, - თქვა მან.

ქეიმ თვალებში შეხედა.

- მაიკლ, ეს ტყუილია, გეხვეწები, მითხარი, რომ ეს ტყუილია.

მაიკლმა თავი დაუქნია.

- რა თქმა უნდა, ტყუილია. დამიჯერე. ამ ერთადერთხელ გაძლევ უფლებას, მკითხო ჩემს საქმეებზე, და გიპასუხებ, ტყუილია.

მაიკლის ხმა ამაზე უფრო დამაჯერებლად ადრე არასოდეს ჟღერდა. ქეის პირდაპირ თვალებში უყურებდა. მაიკლმა ქეის ნდობა და სიყვარული მაქსიმალურად გამოიყენა, რომ დაერწმუნებინა. ქეის აღარ შეეძლო რაიმე ეჭვი ჰქონოდა. ქმარს გაუღიმა. მაიკლმა ხელები გაშალა და ჩაიხუტა, ქეიმ აკოცა.

- თითო ჭიქა არ გვაწყენდა, - თქვა ქეიმ და სამზარეულოში გავიდა, ყინული რომ მოეტანა. გაიგონა, შემოსასვლელი კარი როგორ გაიღო. სამზარეულოდან გამოიხედა და დაინახა კლემენცა, ნერი და როკო ლამპონე, რომლებიც თავიანთ მცველებთან ერთად შემოდიოდნენ. მაიკლი ქეისთან ზურგით იყო, მაგრამ ქეი ისე დადგა, რომ

პროფილში შეეძლო დაენახა. სწორედ იმ მომენტში კლემენცამ მის ქმარს მიმართა: - დონ მაიკლ. - თქვა მან.

ქეი ხედავდა, როგორ იდგა მაიკლი, მათი პატივის მისაღებად მზად იყო. ძველი რომაელი იმპერატორების ქანდაკებები გაახსენდა, იმპერატორებისა, რომლებიც ღვთაებრივი უფლებით ქვეშევრდომთა სიკვდილ-სიცოცხლეს ერთპიროვნულად წყვეტდნენ. ცალი ხელი წელზე ედო. სახეზე ამაყი, ძლიერი გამომეტყველება დასთამაშებდა, ოდნავ გვერდზე წინ გაწეულ ფეხს სხეული თავისუფლად ეყრდნობოდა. მის წინ კაპორეჟიმეები იდგნენ. და ქეი იმწამს მიხვდა: ყველაფერი, რასაც კონი აბრალებდა, მართალია. ქეი სამზარეულოში შევარდა და აქვითინდა.

ნაწილი IX

თავი ოცდამეთორმეტე

კორლეონეს ოჯახის სისხლიანმა გამარჯვებამ დასრულებული სახე მხოლოდ ერთი წლის დელიკატური პოლიტიკური მანევრების შემდეგ მიიღო, რამაც მაიკლ კორლეონე საბოლოოდ დაამკვიდრა, როგორც ყველაზე ძლევამოსილი ოჯახისთავი შეერთებულ შტატებში. თორმეტი თვის განმავლობაში მაიკლი ლონგ-ბიჩის შტაბსა და ლას-ვეგასის ახალ სახლს შორის მიდი-მოდიოდა, მაგრამ წლის ბოლოს გადაწყვიტა, ნიუ-იორკში საქმეები მთლიანად დაესრულებინა და ხეივანი თავის შენობა-ნაგებობებიანად გაეყიდა. ამ მიზნით, ოჯახი ნიუ-იორკში ჩაიყვანა. იქ ერთი თვე დარჩებიან, ყველა საქმეს მოამთავრებენ, ქეი ნივთების შეფუთვასა და ტრანსპორტირებას მიადევნებს თვალყურს. უამრავი წვრილმანი იყო მოსაგვარებელი.

კორლეონეს ოჯახი ახლა, მართლაც, უძლეველი გახლდათ. კლემენცას საკუთარი ოჯახი ჰქონდა. როკო ლამპონე კორლეონეს ოჯახის კაპორეჟიმე გახდა. ალბერტო ნერი ლას-ვეგასში ოტელების უსაფრთხოებაზე ზრუნავდა. ჰეიგენიც ასევე კორლეონეს დასავლეთის ოჯახში შედიოდა.

დრომ ძველი ჭრილობები მოაშუშა. კონი ძმას შეურიგდა. კარლოს სიკვდილიდან კვირის თავზე მაიკლს პატიება სთხოვა და შეეცადა, ქეი დაერწმუნებინა, რომ რასაც ძმას აბრალებდა, მხოლოდ და მხოლოდ ახალგაზრდა ქვრივი ქალის ისტერიკა გახლდათ და მეტი არაფერი.

კონი კორლეონემ ახალი ქმარი ადვილად იშოვა; ერთი წელიც კი არ დაუცდია კარლოს ხსოვნის პატივისაცემად. ლოგინი ახალგაზრდა კაცმა გაუთბო, რომელმაც ლონგ-ბიჩში კორლეონეს ოჯახის მდივნად დაიწყო მუშაობა. სანდო იტალიური ოჯახის შვილი იყო, თანაც ამერიკაში საუკეთესო ბიზნესსკოლა ჰქონდა დამთავრებული. ცხადი გახლდათ, დონის დაზე დაქორწინება მის მომავალს საუკეთესოდ უზრუნველყოფდა.

ქეი ადამსმა თავისი იტალიელი ნათესავები იმით გაახარა, რომ კათოლიციზმში განისწავლა და მათი რწმენა მიიღო. შვილები, ცხადია, ასევე კათოლიკურ ეკლესიაში დაჰყავდა. თვით მაიკლს მოვლენების ასეთი განვითარება მაინცდამაინც არ

ახარებდა. ერჩივნა, მისი შვილები პროტესტანტები ყოფილიყვნენ. ასე უფრო ამერიკული იქნებოდა.

ქეის, თავისდა გასაოცრად, ნევადაში ცხოვრება მოეწონა. მოეწონა პეიზაჟი: გორაკები და კანიონები, მეწამული გრანიტის კლდეები, გავარვარებული უდაბნო, ტბები, რომლებიც ყველაზე მოულოდნელ ადგილას გამოჩნდებოდნენ ხოლმე, თვით სიცხეც კი. მისი ბიჭები საკუთარ პონის ცხენებს დააჭენებდნენ. ახლა ქეის მხოლოდ მცველები კი არა, ნამდვილი მსახურები ჰყავდა. მაიკლიც უფრო ნორმალური ცხოვრებით ცხოვრობდა. სამშენებლო კომპანია შეიძინა; ბიზნესმენთა კლუბსა და სხვადასხვა სამოქალაქო კომიტეტში შევიდა; ადგილობრივი პოლიტიკის მიმართ ჯანსაღი ინტერესი ჰქონდა, თუმცა აშკარად არ ერეოდა. მათთვის ეს კარგი ცხოვრება იყო. ქეის უხაროდა, რომ ნიუ-იორკის რეზიდენციას აუქმებდნენ და ლას-ვეგასი მათი ნამდვილი, მუდმივი საცხოვრებელი გახდებოდა. ნიუ-იორკში ჩასვლა აღარც უნდოდა, მაგრამ ამ ბოლო ჯერზე მას საოჯახო ნივთების შეფუთვისა და გადაზიდვის ორგანიზებაზე უნდა ეზრუნა.

იმ დღეს ქეი ადამს-კორლეონე დილაუთენია ადგა. მძიმე საბარგო მანქანების ხმა ესმოდა, ხეივანში რომ შემოდიოდნენ. ამ მანქანებზე ავეჯს დატვირთავენ. კორლეონეს ოჯახი, დედა კორლეონეს ჩათვლით, ლას-ვეგასში სადილის მერე უნდა გაფრენილიყო.

როდესაც ქეი აბაზანიდან გამოვიდა, დაინახა, მაიკლს გაჰღვიძებოდა და ლოგინში სიგარეტს ეწეოდა.

- რა ჯანდაბისთვის დადიხარ ყოველდღე ეკლესიაში? - იკითხა მან, - კვირაობით კიდევ მესმის, მაგრამ ყოველდღე? რაღა შენ და რაღა დედაჩემი.

მაიკლმა სიბნელეში ჩამრთველი მოძებნა და მომცრო ნათურა აანთო.

ქეი საწოლის კიდეზე ჩამოჯდა, მაღალყელიან წინდებს იცვამდა.

- ხომ იცი, როგორი ხდება ის, ვინც კათოლიციზმში გადადის, - თქვა მან, - ყველაფერს უფრო სერიოზულად უყურებს.

მაიკლი გადაიწია, უნდოდა თეძოზე შეხებოდა, თბილ კანზე, იქ, სადაც ნეილონის წინდა მთავრდება.

- არ გინდა, - უთხრა ქეიმ, - დღეს უნდა ვეზიარო.

მაიკლი ცოლის გაჩერებას არ ცდილა, ოდნავ შესამჩნევად ჩაიღიმა და ჰკითხა: - თუ ასეთი პირწავარდნილი კათოლიკე ხარ, ბავშვები შენთან ერთად რატომ არ დაგყავს?

ქეიმ უხერხულად იგრძნო თავი. მაიკლი მას, როგორც მოეჩვენა, ,,დონის" თვალით აკვირდებოდა.

- წინ ბევრი დრო აქვთ, - თქვა ქეიმ, - როცა სახლში ჩავალთ, მეტად ვატარებ.

ქეიმ ქმარს აკოცა და სახლიდან გავიდა. ზაფხულის მზე უკვე ამოდიოდა, აღმოსავლეთი ალისფრად იყო შეფერილი. ქეი თავისი მანქანისკენ გაემართა,

რომელიც ჭიშკართან იდგა. შავებში ჩაცმული დედა კორლეონე უკვე მანქანაში ელოდებოდა. ეს ჩვევად გადაჰქცეოდათ, - ყოველ დილით მესაზე ერთად სიარული.

ქეიმ მოხუც ქალს ლოყაზე აკოცა და საჭესთან დაჯდა. დედა კორლეონემ ეჭვით ჰკითხა: - ისაუზმე?

- არა, - მიუგო ქეიმ.

მოხუცმა მოწონების ნიშნად თავი დახარა. ქეის ერთხელ გადაავიწყდა, რომ წმინდა ზიარების წინ საკვების მიღება თორმეტი საათის შემდეგ აკრძალულია. ამ შემთხვევიდან საკმაოდ დიდი დრო გავიდა, მაგრამ დედა კორლეონე აღარ ენდობოდა და ყოველთვის ამოწმებდა ხოლმე.

- კარგად გრძნობ თავს? - ჰკითხა მოხუცმა.

- დიახ, - უპასუხა ქეიმ.

ადრიანი დილის შუქზე ეკლესია უფრო ცარიელი და პატარა ჩანდა, ვიდრე სინამდვილეში იყო. ფერადი მინები სიცხეს შიგნით არ უშვებდა. იქ, სულის მოსასვენებელ ადგილას, სიგრილე უნდა ყოფილიყო. ქეი დედამთილს დაეხმარა, თეთრი ქვის კიბეზე ასულიყო და თვითონაც მიჰყვა. მოხუცებულს წინ ჯდომა უყვარდა, საკურთხეველთან ახლოს. ქეი ერთი წამით შეყოვნდა კიბეზე. ამ ბოლო მომენტში იგი ყოველთვის ყოყმანობდა და რაღაც შიშსაც კი განიცდიდა.

ბოლოს გაბედა და გრილ ბინდბუნდში შეაბიჯა. თითის წვერები ნაკურთხ წყალში დაისველა და პირჯვარი გამოისახა, ბოლოს თითები გამშრალ ტუჩებზე მიიდო. სანთლები წმინდანების ხატებსა და ჯვარცმული ქრისტეს წინ კიაფობდნენ. ქეიმ დაიჩოქა, სანამ თავის რიგში შევიდოდა, მერე თავისი სკამის წინ მუხლებზე დადგა, დაელოდა, როდის დაუძახებდნენ ზიარების მისაღებად. თავი დახარა, თითქოს ლოცულობსო, მაგრამ ამისთვის ჯერ მზად არ იყო.

მხოლოდ ეკლესიის ბინდში აძლევდა თავს უფლებას, ქმრის მეორე, დაფარულ ცხოვრებაზე ეფიქრა, იმ საშინელ ღამეზე, როცა ერთი წლის წინ მაიკლმა მთელი მისი ნდობა და სიყვარული გამოიყენა, რათა ტყუილში დაერწმუნებინა, - თითქოსდა თავისი დის ქმარი არ მოუკლავს.

ქეიმ იგი სწორედ ამ ტყუილის გამო მიატოვა და არა იმის გამო, რაც გააკეთა. მეორე დილით ბავშვები წაიყვანა და მშობლებთან, ნიუ-ჰემფშირში დაბრუნდა. არავის არაფერი უთხრა, თვითონაც კი არ ესმოდა ბოლომდე, რას აკეთებდა. მაიკლი წამსვე ყველაფერს მიხვდა. იმავე დღეს დაურეკა, მერე კი მოეშვა. ერთი კვირის თავზე ქეის მშობლების სახლთან მანქანა გაჩერდა. საჭესთან ჰეიგენი იჯდა.

ეს ყველაზე გრძელი და ყველაზე საშინელი დღე იყო ქეის ცხოვრებაში. ის მან ჰეიგენთან ერთად გაატარა. პატარა ქალაქის მიმდებარე ტყეში მისეირნობდნენ. ჰეიგენი ჩვეულებისამებრ თავაზიანი არ ყოფილა.

ქეიმ შეცდომა დაუშვა, საუბარი კადნიერი, სასტიკი ხუმრობით დაიწყო.

- მაიკლმა გამოგგზავნა დასამუქრებლად? - იკითხა მან, - ველოდებოდი, მანქანიდან თქვენი ჯეელები გადმოხტებიან-მეთქი ავტომატებით ხელში, დაბრუნება რომ მაიძულონ.

რაც კი იცნობდა, ქეიმ პირველად დაინახა, რომ ჰეიგენი მართლა გაბრაზდა. უხეშად უთხრა: - ეს რა ბავშვური სიბრიყვეა. ასეთ რამეს შენგან არ მოველოდი. ქეი, დაფიქრდი ცოტა.

- კარგი, - უთხრა ქეიმ.

სიმწვანეში ჩაფლულ სოფლის გზას მიუყვებოდნენ.

- რატომ გაიქეცი? - ჰკითხა ჰეიგენმა.

- იმიტომ, რომ მაიკლმა მომატყუა, - თქვა ქეიმ, - იმიტომ, რომ გამაბრიყვა, როცა კონის ბავშვის ნათლია გახდა. მიღალატა. არ შემიძლია, ასეთი კაცი მიყვარდეს. მასთან ცხოვრება არ შემიძლია. ჩემი შვილების მამა იყოს, არ შემიძლია.

- არ მესმის, რაზე ლაპარაკობ, - თქვა ჰეიგენმა.

ქეი სასტიკად გაბრაზდა, გაცოფებული მიუბრუნდა.

- მე ვგულისხმობ, რომ მან თავისი დის ქმარი მოკლა. გესმის ეს?! - ქეიმ პაუზა გააკეთა, - და რომ მომატყუა!

დიდხანს მიდიოდნენ მდუმარედ. ბოლოს ჰეიგენმა თქვა: - შენ არ შეიძლება იცოდე, რომ ეს სიმართლეა, მაგრამ, დავუშვათ, ერთი წამით, რომ სიმართლეა. ოღონდ, დაიმახსოვრე, მე არ ვამბობ, ეს მართლაც ასეა-მეთქი. რას იტყვი, თუკი მოგიყვან იმის გასამართლებელ საბუთს, რაც მან გააკეთა? ანდა შესაძლო საბუთს?

ქეიმ დამცინავად შეხედა.

- პირველად დავრწმუნდი, რომ მართლა ადვოკატი ყოფილხარ, - თქვა მან, - არცთუ მომხიბლავად გამოგდის.

ჰეიგენმა გაიღიმა.

- ო,კეი, მისმინე, - თქვა მან, - რას იტყვი იმაზე, რომ კარლომ სონი სახლიდან გამოიტყუა, დარტყმის ქვეშ დააყენა? რას იტყვი იმაზე, რომ კონის ცემა პროვოკაცია იყო და მკვლელებმა იცოდნენ, სონი ჯონ-ბიჩის ხიდით წავიდოდა? რას იტყვი იმაზე, რომ კარლომ ამაში ფული აიღო?

ქეიმ არაფერი უპასუხა. ჰეიგენმა განაგრძო.

- რას იტყვი, თუკი გაიგებ, რომ დონმა, ამ დიდმა კაცმა, ვერ აიძულა თავი, გაეკეთებინა ის, რაც უნდა გაეკეთებინა - შური ეძია შვილის გამო და მოეკლა სიძე? და რომ ამიტომ გადადგა, მაიკლს დაუთმო შურისძიების უფლება, იცოდა, რომ ამ ტვირთს თავის თავზე აიღებდა?

- მაგრამ ეს ყველაფერი ხომ უკვე წარსულს ჩაჰბარდა, - თქვა ქეიმ და ცრემლები წასკდა, - ყველა ბედნიერად იყო. რატომ არ შეიძლებოდა კარლოს პატიება? რატომ არ შეიძლებოდა ყველაფრის დავიწყება?

ქეიმ მდელო გადაჭრა და ვეება მუხასთან შეჩერდა. ჰეიგენი ბალახზე წამოწვა და ამოიოხრა. აქეთ-იქით გაიხედა, ისევ ამოიოხრა და თქვა: - ამ სამყაროში სხვანაირად არ გამოდის.

- მაიკლი ის კაცი არაა, ვისაც მე გავყევი, - თქვა ქეიმ.

ჰეიგენმა ჩაიცინა.

- ის კაცი რომ ყოფილიყო, ახლა ცოცხალი აღარ იქნებოდა. შენ კიდევ დაქვრივდებოდი და პრობლემებიც აღარ შეგაწუხებდა.

ქეი გაცეცხლდა.

- რა ჯანდაბას გულისხმობ? მიდი, ტომ, ცხოვრებაში ერთხელ მაინც ილაპარაკე გულწრფელად. მესმის, მაიკლს სხვანაირად არ შეუძლია, მაგრამ შენ ხომ სიცილიელი არ ხარ, ხომ შეგიძლია ქალს სიმართლე უთხრა, შეხედო მას, როგორც თანასწორს, როგორც ადამიანს?

ამას დიდი ხნის დუმილი მოჰყვა. ტომმა უარის ნიშნად თავი გააქნია.

- მაიკლთან დაკავშირებით ცდები, - თქვა მან, - იმან გაგაგიჟა, რომ მოგატყუა. კი მაგრამ, ხომ გაგაფრთხილა, არასოდეს გეკითხა მისი საქმეების შესახებ? შენ გაგიჟდი, რადგან კარლოს შვილის ნათლია გახდა, მაგრამ ეს შენ თვითონ აიძულე. თუმცა, რეალურად, სწორი ნაბიჯი იყო, თუკი კარლოს წინააღმდეგ მოქმედებას აპირებდა. კლასიკური სვლა, მსხვერპლის ნდობა რომ მოიპოვო, - ჰეიგენმა ნაღვლიანად გაუღიმა, - ასეთი ბოლომდე გახსნილი ლაპარაკი გაკმაყოფილებს?

ქეიმ თავი დაუქნია. ჰეიგენმა განაგრძო: - რაღაც-რაღაცებს კიდევ გეტყვი გახსნილად. დონის გარდაცვალების შემდეგ მაიკლის მოკვლა გადაწყვიტეს. იცი ვინ? ტესიომ. ასე რომ, ტესიო უნდა მომკვდარიყო. კარლოც უნდა მომკვდარიყო, რადგან ღალატის პატიება არ შეიძლება. მაიკლს შეეძლო ეპატიებინა, მაგრამ ისინი თვითონ არ აპატიებენ ამას საკუთარ თავს. ისინი ყოველთვის საშიშნი იქნებოდნენ. მაიკლს უყვარდა ტესიო. მას უყვარს თავისი და, მაგრამ მაიკლი თავის მოვალეობას შენ წინაშე, თავისი შვილების წინაშე, მთელი თავისი ოჯახის წინაშე, ჩემსა და ჩემი ოჯახის წინაშე უგულებელყოფდა, თუკი ტესიოსა და კარლოს ცოცხლად დატოვებდა. ისინი ყოველთვის საშიშნი იქნებოდნენ ჩვენთვის.

ქეი უსმენდა და თან ცრემლები ჩამოსდიოდა.

- მაიკლმა ამის სათქმელად გამოგგზავნა?

ჰეიგენმა გულწრფელი გაოცებით შეხედა.

- არა, - თქვა მან, - დამავალა გადმოგცე, რომ გექნება ყველაფერი, რაც გინდა, და შეგეძლება აკეთო ნებისმიერი რამ, რაც მოგესურვება მანამ, სანამ ბავშვებს მოუვლი,

როგორც საჭიროა, - ჰეიგენმა გაიღიმა, - მითხრა, გადმოგცე, რომ შენ მისი დონი ხარ. ეს ხუმრობაა, ცხადია.

ქეიმ ჰეიგენს ხელი მხარზე დაადო.

- მაიკლს არ უბრძანებია შენთვის ამ ყველაფრის მოყოლა?

ჰეიგენი წამით შეყოვნდა, თითქოს ფიქრობდა, ბოლომდე ეთქვა სიმართლე თუ არა.

- შენ ჯერაც ვერაფერი გაიგე, - თქვა მან ბოლოს, - თუკი მაიკლს ეტყვი, რომ ეს ყველაფერი მე დღეს მოგიყევი, გამასაღებენ, - ჰეიგენმა პაუზა გააკეთა, - ამქვეყნად მხოლოდ შენ და შენი შვილები ხართ ის ადამიანები, ვისაც იგი ვერაფერს ავნებს.

მთელი ხუთი წუთი გავიდა მანამ, სანამ ბალახიდან წამოდგნენ და სახლისკენ მიმავალ გზაზე გავიდნენ. როდესაც სახლს მიაღწიეს, ქეიმ ჰკითხა: - შეგიძლია, შენი მანქანით მე და ბავშვები ვახშმის მერე ნიუ-იორკში წაგვიყვანო?

- ამისთვის ჩამოვედი, - მიუგო ჰეიგენმა.

მაიკლთან დაბრუნებიდან ერთი კვირის თავზე ქეი მღვდელთან მივიდა და უთხრა, რომ სურს კათოლიკე გახდეს.

*

ეკლესიის ზარმა შემოჰკრა. ეს სინანულისკენ მოწოდება გახლდათ. ქეიმ, როგორც ასწავლეს, მუშტად შეკრული ხელი მკერდზე მსუბუქად დაირტყა იმის ნიშნად, რომ ცოდვებს ინანიებს. ზარმა კიდევ ერთხელ შემოჰკრა. ქეიმ გაიგონა მათი ფეხის ხმა, ვინც ადგა და საკურთხევლისკენ საზიარებლად წავიდა. ქეი წამოდგა და მათ შეუერთდა. საკურთხევლის წინ ისევ დაიჩოქა და როცა ზარმა კვლავ დარეკა, კიდევ ერთხელ დაირტყა მუშტი მკერდზე. მის წინ მღვდელი დადგა. ქეიმ პირი გააღო და ქაღალდივით თხელი სეფისკვერის გემო იგრძნო. ეს იყო ყველაზე შიშის მომგვრელი მომენტი.

ცოდვებისგან განწმენდილმა, ნაკურთხმა მავედრებელმა თავი დახარა და ხელები საკურთხევლის წინა მოაჯირზე ჩამოდო. სიმძიმე ხელებზე გადაიტანა, მუხლები რომ ძალიან არ სტკენოდა.

გონება გაითავისუფლა ყველა ფიქრისაგან თავის თავზე, ბავშვებზე, შესაძლო საფრთხეზე და ამის მერე გააკეთა ის, რასაც ყოველდღე აკეთებდა კარლო რიჩის სიკვდილის შემდეგ: უღრმესი რწმენითა და იმედით, რომ მის ვედრებას ღმერთი შეისმენდა, მაიკლ კორლეონეს სულისათვის ილოცა.